საქართველოს ისტორია 11

მოსწავლის წიგნი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

თავი I. განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში

I ქვეთავი. საქართველო 1014–1223 წლებში

1. როგორ დასრულდა გიორგი I-ის დაპირისპირება ბიზანტიის იმპერატორთან 7
2-3. რას მოგვითხრობს წერილობითი წყაროები ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების შესახებ. როგორ შეიცვალა საგარეო ვითარება ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნის 50-60-იან წლებში 13
4. რა შედეგი მოუტანა საქართველოს „დიდმა თურქობამ“ 22
5-6. რა შედეგები მოუტანა საქართველოს დავით IV აღმაშენებლის რეფორმებმა 27
7. როგორ აფასებდნენ დავით IV-ს მისი თანამედროვე მემატიანეები და XX საუკუნის ისტორიკოსები 39
8. რა ცვლილებები მოხდა დავითის მემკვიდრეების – დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის მმართველობის დროს 43
9-10. რას მოგვითხრობს სხვადასხვა წყარო თამარ მეფის დროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებაზე 49
11. რატომ აფასებენ წყაროები გიორგი IV ლაშას განსხვავებულად 58

II ქვეთავი. საქართველო XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან XV ს.-ის 50-იან წლებამდე

12-13 როგორ მიმდინარეობდა საქართველოს სამეფოს დასუსტების პროცესი და რატომ გაიყო ქვეყანა ორ ნაწილად 66
14. რომელმა ისტორიულმა მოვლენებმა გამოიწვია XIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს დასუსტება და რამდენიმე ნაწილად დაშლა 76
15. რა ისტორიულმა პროცესმა შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანებას 82
16-17. რა ცვლილებები მოუტანა საქართველოს თემურლენგის ლაშქრობებმა 90

III ქვეთავი. მმართველობა და საზოგადოება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში

18. როგორ მართავდნენ საქართველოს სამეფოს XI-XIV საუკუნეებში 98
19. როგორ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში 104
20-21. როგორი საზოგადოებრივ-სოციალური და კულტურული ვითარება იყო XI-XV საუკუნეების საქართველოში 107
22. როგორ მონაწილეობდნენ ქალები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში 115

თავი II. საქართველო XV–XVIII საუკუნეებში

ქვეთავი I. რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველომ XV–XVII საუკუნეებში

23. რატომ დაიშალა საქართველო XV ს.-ის II ნახევარში სამეფო-სამთავროებად 122
24. როგორ იმოქმედა საქართველოზე XVI ს-ის I ნახევარში ირან-ოსმალურმა დაპირისპირებამ და ამასიის ზავმა 129
25. რა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში XVI ს.-ის II ნახევარში 136
26. რა გავლენა იქონია საქართველოზე თურქეთ-ირანის დაპირისპირებამ XVI ს.-ის ბოლოსა და XVII ს.-ის დასაწყისში (შაჰ აბას I-ის ლაშქრობები საქართველოში) 144
27. რა შედეგები მოუტანა შაჰ აბასის ლაშქრობებმა საქართველოს (მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები. გიორგი სააკაძე) 150

ქვეთავი II. XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული პროცესები

28. რა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (როსტომ-ხანის მმართველობა, ბახტრიონის აჯანყება) 159
29. როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი დასავლეთი და სამხრეთი საქართველოში XVII საუკუნეში 165
30-31. რა ისტორიული პროცესები მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში 171
32. როგორ განვითარდა პროცესები XVIII საუკუნის შუა ხანების საქართველოში 179
33. როგორი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი) 188

ქვეთავი III. როგორ შეიცვალა საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI–XVIII საუკუნეების საქართველოში

34. რატომ მოღვაწეობდნენ ქართველები უცხოეთში XVII-XVIII საუკუნეებში 197
35-36. როგორ ახასიათებდნენ კათოლიკე მისიონერები და ევროპელი მოგზაურები საქართველოს 205
37. როგორი იყო საქალაქო ცხოვრება XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში 217

თავი III. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

ქვეთავი I. როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი და მმართველობის როგორი სისტემა დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ

38. რატომ დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო 222
39-40. როგორ განვითარდა მოვლენები იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებში რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ 227
41. რატომ გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 234
42-43. როგორ და რატომ იბრძოდნენ კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში 240
44. რატომ მოხდა კავკასიის რუსული მმართველობის ევოლუცია და როგორ მიიღო ის ქართულმა საზოგადოებამ 252

Don't copy

ქვეთავი II. რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთ–ირანის და რუსეთ–ოსმალეთის ომების შედეგად

45. რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის პირველი მესამედის რუსეთის კავკასიური ომების შედეგად 261
46. რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ომებს საქართველოსთვის 269

ქვეთავი III. რა ცვლილება განიცადა საქართველოს საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში

47. როგორ შეიცვალა ქართული საზოგადოება „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის შედეგად 277
48. რატომ გაუქმდა ბატონყმობა რუსეთში და როგორ შეიცვალა საზოგადოება ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად. 289
49-50. როგორ ვითარდებოდა საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა XIX საუკუნეში 292
51-52. როგორ განვითარდა საზოგადოებრივი ყოფა და ქართული კულტურა 305
53. როგორ გავრცელდა მარქსიზმი და რა პოლიტიკური ორგანიზაციები წარმოიშვა საქართველოში XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის პირველ ნახევარში 314
54-55. როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოება 1905-1907 წლების რევოლუციისა და პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში. 321

რუკების საძიებელი

1. საქართველო XI ს.I მეოთხედში, მეფე გიორგი პირველის დროს 1014-1027 წწ. 8
2. ახლო აღმოსავლეთი XI ს. დასაწყისში 9
3. საქართველო-ბიზანტიის ომი 1021-22 წწ. 11
4. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში ალფ-არსლანის მეთაურობით 1064 და 1068 წწ. 20
5. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში მალიქ-შაქის მეთაურობით. „დიდი თურქობა“. 23
6. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა 1096-1099 წწ. 28
7. ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები 28
8. საქართველო XI-XII სს. მიჯნაზე, მეფე დავით IV აღმაშენებლის დროს 1089-1125 წწ. 37
9. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა 1204 წელს 55
10. საქართველო XII-XIII სს. მიჯნაზე, მეფე თამარის დროს 56
11. მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში 1220-1222 წწ. 61
12. მონღოლთა დაპყრობითი ომები. 70
13. მონღოლთა მიერ დუმნებად დაყოფილი საქართველო 73
14. მონღოლთა იმპერიის დაშლა 75
15. საქართველო XIII ს. ბოლოს, მეფე დემეტრე II თავდადებულის დროს 77
16. საქართველო XIV ს. I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალეს დროს 88
17. თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში 92

18. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად XV ს. ბოლოს 124
19. ქართლის სამეფოს სადროშოები და სათავადოები 125
20. კახეთის სამეფოს სადროშოები 126
21. ირანელთა ლაშქრობები საქართველოში 1541-54 წწ. შაჰ-თამაზის სარდლობით 133
22. ირანი და ოსმალეთი 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით 134
23. ოსმალთა ლაშქრობა კავკასიაში 1578 წელს მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით 138
24. ახალციხის საფაშოს შექმნა XVI ს. ბოლოს 141
25. ირანელთა ლაშქრობები საქართველოში XVII ს. I-ის პირველ ნახევარში, შაჰ აბას I-ის დროს 153
26. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XVII ს. დამდეგს. 165
27. სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში 1713-1716 წწ. 175
28. რუსეთის არმიის ლაშქრობები კასპიისპირეთში 1722-23 წწ., პეტრე I-ის დროს 177
29. დას. საქართველოს ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ხრესილის ბრძოლა 1757 წ. 185
30. რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წწ. ომი 188
31. 31. საქართველო XVIII ს. II ნახევარში 195

32. საქართველოს გუბერნიის შექმნა 1801 წ. და რუსული მმართველობის დასაწყისი კავკასიაში. 225
33. დასავლეთი საქართველო XIX ს. დამდეგს 228
34. ქართული საეკლესიო ეპარქიები ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წ.) 235
35. მთიულეთის აჯანყება 1804 წელს 243
36. რუსული ადმინისტრაციული მოწყობა კავკასიაში XIX ს. შუახანებში 255
37. ტფილისის გუბერნია 256
38. ქუთაისის გუბერნია 256
39. ზაქათალის ოლქი 257
40. რუსეთ-ირანის ომები სამხრ. კავკასიისათვის XIX ს. I მესამედში 263
41. რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წწ. ომი და ქართული მიწების დაბრუნება 267
42. 1853-56 წწ. ყირიმის ომი და საომარი მოქმედებები დას. საქართველოს ტერიტორიაზე 269
43. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომი და ქართული მიწების დაბრუნება 272
44. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები 282
45. გერმანელ კოლონისტთა დასახლებები სამხრეთ კავკასიაში 291
46. დუხობორთა დასახლებები საქართველოში 291
47. სარკინიგზო ქსელის მშენებლობა კავკასიაში XIX ს. II ნახევარში. 300

Print copy



თავი I.

განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში

თქვენ უკვე იცით, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით ძველი სამყარო დასრულდა და ისტორიაში ახალი ეპოქა – შუა საუკუნეები – დაიწყო, რომელიც ევროპაში XV საუკუნემდე გაგრძელდა. დროის ამ მონაკვეთში კაცობრიობის ისტორიაში ბევრი ისეთი მოვლენა მოხდა, რამაც საზოგადოების შემდგომი განვითარება განაპირობა. ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, რამაც იმ პერიოდში მცხოვრებ ადამიანთა საქმიანობა, ყოველდღიურობა, ტრადიციები განსაზღვრა.

ჩვენი სახელმძღვანელოს პირველი თავი, განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში გამოგზაურებს. ეს პერიოდი, (XI ს.-XIII ს.ის პირევლი მეოთხედი) ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების ხანაა. სწორედ ამ საუკუნეებში ქართული მწერლობის, თავდაცვითი, საერო და საეკლესიო ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობის, ოქრომჭედლობის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები შეიქმნა; ამ დროს, საქართველოში ფუნქციონირებდა ორი აკადემია.

ეს თავი იმ დროს მომხდარ მოვლენებს გაგაცნობს, საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი სხვადასხვა რანგის წევრების: მეფეების, მთავრების, აზნაურების, რიგითი მეომრების, ხელოსნებისა და გლეხების შესახებ მოგითხრობს. შუა საუკუნეების ისტორიული სურათის აღდგენაში, პირველადი და მეორეული ისტორიული წყაროების გარდა, ნივთიერი და გამომსახველობითი წყაროებიც დაგეხმარება.

Don't copy

ქვეთავი I. საქართველო 1014–1223 წლებში

1 როგორ დასრულდა გიორგი I-ის დაპირისპირება ბიზანტიის იმპერატორთან

IX-XI საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს გარშემო პოლიტიკური ვითარება ნელ-ნელა იცვლებოდა. არაბთა სახალიფოს დასუსტებამ მისი დაშლა გამოიწვია. საქართველოს სამხრეთით, ირანში რამდენიმე სამეფო, აღმოსავლეთით კი, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, შირვანშაჰების სახელმწიფო შეიქმნა (IX ს.). ჩრდილოეთით ხაზართა სახაკანო დასუსტდა და X ს.-ში ფაქტობრივად გაქრა. რეალურად საქართველოს საზღვრებთან, ბიზანტიის გარდა, ძლიერი მეზობელი სახელმწიფო არ დარჩა. ბიზანტიის იმპერიას კი X საუკუნის 80-იანი წლებიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბულგარეთის ძლიერ სამეფოსთან ოცდაათწლიანი ომი ჰქონდა. ასეთ ვითრებაში, ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1014 წელს საქართველოში მისი 12 წლის ვაჟი გიორგი I (1014-1027 წწ.) გამეფდა. გიორგის გამეფებისთანავე ბაგრატ III-ის მიერ გადაყენებულმაკახეთის მეფემ, კვირიკე III დიდმა (1010/1014-1037 წწ.), მისი მცირეწლოვანება გამოიყენა და ტახტი დაიბრუნა. მეტიც. საქართველოს ჰერეთიც გამოეყო და კვირიკე, კახეთ-ჰერეთის გაერთიანებულ სამეფოს ჩაუდგა სათავეში, „რანთა და კახთა მეფის“ ტიტულით. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, გიორგი I-მა და მისმა დიდებულებმა გადაწყვიტეს, ბიზანტია-ბულგარეთის ომით ესარაგებლათ და იმ მიწების ნაწილის დაბრუნება სცადეს, რომლებიც ბიზანტიის იმპერატორმა, ბასილი II-მ (976-1025 წწ.), დავით III კურაპალატის ანდერძის თანახმად მიიღო (ქართველტა საკურაპალატო ანუ იმიერ ტაო და ბასიანი). გიორგი I-მა თავისი მმართველობა ძირითადად ბიზანტიასთან ბრძოლაში გაატარა.



სურ. 1. ბასილი II-ის ომი ბულგარელებთან. მინიატურა XII ს.-ის მანასიევის (ბულგარეთი) ხელნაწერიდან

საქართველოს სამეფოს ჯარი იმიერტაოში შეიჭრა და დაიკავა. ამან ბიზანტიის იმპერატორი, ბასილი II, გააღიზიანა, მაგრამ ის ბულგარელებს ებრძოდა და საქართველოსთვის არ ეცალა. 1014-1019 წლებში ბასილიმ რამდენჯერმე დაამარცხა ბულგარელები და 1019 წელს მათი დედაქალაქი, ოხრიდი, აიღო. ბასილი II-ის ბრძანებით ბიზანტიელებმა 15 ათასი ბულგარელი ტყვე დააბრმავეს. ყოველ მეასეს ცალი თვალი დაუტოვეს, რათა მათ სხვები სახლში მიეყვანათ. ამ სისასტიკის გამო იმპერატორს „ბულგართმმუსვრელი“ უწოდეს. ბულგარეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და ეს ტერიტორია ბიზანტიის პროვინციად გამოცხადდა. ომის წარმატებით დასრულების შემდეგ ბასილი II-მ საქართველოსთვის მოიცალა და გიორგი I-ს პასუხი მოსთხოვა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მითვისებისთვის.

1. გაიხსენე წინა წელს გავლილი მასალა. რატომ უანდერძა დავით III კურაპალატმა ბიზანტიას თავისი საგამგებლო ტერიტორია და რატომ ვერ მოახერხა მისმა მემკვიდრემ, ბაგრატ III-მ, ამ მიწების დაბრუნება?

2. რატომ იმოქმედა ახლო აღმოსავლეთში ვითარების შეცვლამ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე და მისი საზღვრების ცვლილებაზე: დააკვირდი რუკა 1-ს – რამდენი პოლიტიკური ერთეულია საქართველოს ტერიტორიაზე?

3. შენი აზრით, ბიზანტია-ბულგარეთის ომის რომელი ეპიზოდებია გამოსახული მინიატიურაზე (სურ. 1)?

Don't copy

რუკა 1. საქართველო მეფე გიორგი პირველის დროს 1014-1027 წწ.



რუკა 2. ახლო აღმოსავლეთი XI ს. დასაწყისში

წყარო ა) არისტაკეს ლასტივერტეცი, სომეხი ისტორიკოსი, ისტორია, XI ს.

„გიორგი მეფეს თვითმპყრობელმა მეფემ ბასილიმ ასეთი ბრძანება მოსწერა: „რაც კი დავით კურაპალატის წილიდან მამაშენს ძღვნად მიეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო“, ხოლო გიორგიმ არ მიიღო ეს ბრძანება, არამედ ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა ბასილი მეფეს საწინააღმდეგო პასუხი გასცა: „რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო“. ეს რომ თვითმპყრობელმა შეიტყო, ჯარი გაგზავნა ქვეყნის ძალით დასაპყრობად“.

წყარო ბ) იაჰია ანტიოქიელი, არაბი ისტორიკოსი, „მატიანის გაგრძელება“, XI ს.

„როდესაც ბასილი ბულგარელებს მთელი ძალით ებრძოდა, საქართველოს მეფე გიორგიმ განიზრახა, ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოების მეზობელი ოლქებისათვის. დაეუფლა ციხესიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც დავით კურაპალატმა დაუთმო ბასილი კეისარს. ბულგარეთის დაპყრობისა და კონსტანტინოპოლში ბასილი კეისრის დაბრუნების შემდეგაც, ამ გიორგიმ არ ცნო საჭიროდ, გამოესწორებინა თავისი შეცდომა, თავი შეეკავებინა მოქმედებისაგან და მამამისის მსგავსად გამოეცხადებინა მისთვის ერთგულება. მეტიც, იგი ყოყლოჩინობდა და ჯიუტობდა. მისწერა **ალ-ჰაქიმს,** რომ ერთად გამოსულიყვნენ საომრად მის წინააღმდეგ და ყოველი მათგანი დაძრულიყო თავისი ქვეყნიდან. ამან მიაღწია ბასილი კეისრამდე და იგი აივსო მრისხანებით მის მიმართ. გამოაცხადა მზადება საბრძოლველად სირიის ოლქებში. ყველა ფიქრობდა, რომ იგი სირიაში მიდიოდა სალაშქროდ. მაგარამ როცა ალ-ჰაქიმი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ბასილი ქართველთა წინააღმდეგ გაემართა. ამასობაში დადგა ზამთარი და ბასილი კეისარი დაბრუნდა ტრაპიზონს, რათა იქ დაებანაკებინა ლაშქარი გამოსაზამთრებლად და მერე დაბრუნებოდა ლაშქრობას... ტრაპიზონში ჩამოსვლისთანავე კეისარმა იწყო მზადება ფლოტის გასაგზავნად ზღვით საქართველოში. მაშინ მოვიდა მასთან მეფე გიორგის წარგზავნილი, რომელიც სთხოვდა მას შეწყნარებას და პატიებას იმის გამო, რაც მან მოიმოქმედა, და პირობას იძლეოდა, რომ გადასცემდა მას ციხესიმაგრეებსა და ყველა იმ დასახლებას, რომელნიც დავით

Don't copy

კურაპალატის იყო, აგრეთვე თავის შვილს მძევლად, არ შეიცვლებოდა და დარჩებოდა მუდამ მისი მონა-მორჩილი და მოკავშირე. ბასილი კეისარი დაეთანხმა თხოვნას და მიიღო მისი პირობა, გაგზავნა მის წარგზავნილთან ერთად წარჩინებულების ჯგუფი. მათ მოსთხოვეს გიორგის, კათალიკოსს, ქვეყნის სამღვდელოების მეთაურს, ყველა ეპისკოპოსს, სხვა წარჩინებულებსა და მაღალი მდგომარეობის ქვეშევრდომებს მტკიცე ფიცი დაპირებულისა და მოლაპარაკებულის თაობაზე. კეისარმა აიღო მათგან საგარანტიოდ ისეთი ფიცი, როგორსაც იღებენ ხოლმე სხვადასხვა რელიგიის მორწმუნეთაგან. მხოლოდ მაშინ გაემგზავრა კეისარი, რათა მიეღო ციხესიმაგრეები და დასახლებები, რომლებსაც მას დაჰპირდა გიორგი და აეყვანა მისი შვილი მძევლად.

ამ დროს მიიღო ბასილი კეისარმა ამბავი იმის შესახებ, რომ **ნიკიფორე პატრიკიოსი**, ცნობილი სახელით ქსიფიასი, ანატოლიკის გამგებელი, დაუკავშირდა **ნიკიფორე კისერმოღრეცილს**, **ძეს ბარდა ფოკასი**, შეთანხმდნენ, აჯანყებულიყვნენ მის წინააღმდეგ და გამოეყენებინათ ბასილი კეისრის არყოფნა ბიზანტიაში და ის, რომ იგი დაკავებული იყო ომით გიორგისთან...

როდესაც საქართველოს მეფემ გაიგო აჯანყების შესახებ ბიზანტიაში, თავი ძლიერად იგრძნო და უარი თქვა დადებულ პირობაზე. მაშინ ცხადი გახდა კეისრისათვის, რომ მასთან მოლაპარაკება მხოლოდ სიცრუე იყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ ბასილი კეისარმა ეს ამბავი სასწრაფოდ გააგებინა გიორგის. საქართველოს მეფის ვეზირმა, სახელად ზვიადმა, ურჩია გიორგის, რომ გამოეყენებინა მას ფიცი და ვალდებულება ღვთის სახელით, როგორც ისეთი რამ, რომელიც ხაფანგში მოამწყვდევდა ბასილი კეისარს. კეისარი გაემგზავრა გიორგის ქვეყანაში დაპირებული ოლქებისა და ციხესიმაგრეების მისაღებად, აგრეთვე მისი შვილის მძევლად წასაყვანად. თან წაიყვანა მამაცი და გულადი მეომრები იმდენი, რამდენიც ცნო საჭიროდ გიორგის ძალით დამორჩილების შემთხვევაში, თუკი იგი უარს იტყოდა შეთანხმებაზე და არ შეასრულებდა მას. გიორგიმ გაიფიქრა, რომ დადგა დრო მოქმედებისა და, როცა კეისარი მიუახლოვდა მას, თავს დაესხა კეისრის ლაშქარს იმ მიზნით, რომ უკუეგდო და გაენადგურებინა. კეისარი შეებრძოლა, დახოცა მისი მოლაშქრენი და დაატყვევა მრავალი ხალხი. გიორგი, მისი ვეზირი და ქვეშევრდომნი უკანმოუხედავად გაიქცნენ. კეისრის ლაშქარმა ხელთ იგდო მისი დიდძალი ქონება, სურსათ-სანოვაგის მარაგი და, გარდა ამისა, ახლობლების ბარგი-ბარხანა. მაშინ დაბრუნდა საქართველოს მეფე, დაიმცირა თავი და დაემორჩილა კეისარს. კეისარმა მისი შვილი მძევლად წაიყვანა და მიიღო ზემოთ აღნიშნული ციხესიმაგრეები და მამულები და შეუთანხმდა იმაზე, რომ მისი შვილი კეისრის დედაქალაქში ორ წელიწადს დაჰყოფდა და შემდეგ დაუბრუნდებოდა მას. ეს იყო მისი (ბასილის) მეფობის 48 წელს“.

წყარო გ) უცნობი ავტორი, „მატიანე ქართლისა“, XI ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„გიორგის მეფობის მეშვიდე წელს ბასილი დიდი ლაშქრით მოვიდა, გიორგი მეფეც თავისი ლაშქრით საბრძოლველად გაემზადა. ორივე ბასიანში დაბანაკდა. მრავალი დღის განმავლობაში ისინი დაბანაკებული იდგნენ და ბრძოლას არ იწყებდნენ. გიორგიმ **ოლთისი** გადაწვა და **კოლისკენ** წავიდა. ბასილი მის კვალს მიჰყვა და სოფელ **შირიმნთან** მოხდა შეტაკება, რომელშიც ორივე მხრიდან მრავალი დაიხოცა, მათ შორის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და დიდებული ხურსი... ბიზანტიელებმა ქართველებს შემოუარეს და არტაანთან დაესხნენ თავს, მოაოხრეს არტაანი. გიორგი ჯავახეთიდან თრიალეთში გადავიდა, ბასილი ისევ უკან მიჰყვა. გიორგის იქ კახეთიდან და ჰერეთიდან მისული ჯარები შეუერთდნენ და ერთად დაუდგნენ წინ ბიზანტიელებს, ბასილი თრიალეთიდან უკუაქციეს. მან ჯავახეთი და არტაანი კიდევ ერთხელ დაარბია და დასაზამთრებლად ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად დადგა. მეფეთა შორის ზავის მისაღწევად მოციქულებმა დაიწყეს სიარული... ბასილი ისევ ბასიანში მობრუნდა და „ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა, და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა“. გიორგიმ ზვიად ერისთავი გაგზავნა წინ მოსალაპარაკებლად და თვითონ დიდი ლაშქრით უკან მიჰყვა. მისი განზრახვა ასეთი იყო: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვისცა“. დიდებულებმა, რომლებსაც მშვიდობა არ უნდოდათ, ომისთვის მზადება დაიწყეს, თავს დაესხნენ კიდეც ბიზანტიური ჯარის ნაწილებს. ბასილი განრისხდა, შეუტია ქართველებს და დაამარცხა. გიორგი ზავზე დათანხმდა – ის ქვეყნები, რომელიც დავით კურაპალატს ტაოში, ბასიანში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში ჰქონდა, ასევე ის ციხესიმაგრეები, რომელიც ადრე ქართველ აზნაურებს ეკუთვნოდათ, მაგრამ შემდეგ ბიზანტიას გადაეცა, კვლავ იმპერიას უბრუნდებოდა. ბასილს კონსტანტინოპოლში სამი წლით მძევლად მიჰყავდა გიორგის ვაჟი – ბაგრატი“.

Don't copy



სურ. 2. ომის ეპიზოდი ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის. XII ს.-ში გადაწერილი ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე სკილიცეს ხელნაწერში დაცული ბიზანტიური მინატურა (ხელნაწერი დაცულია მადრიდის არქივში)

ალ-ჰაქიმი – ეგვიპტისა და სირიის ფატიმიდების სახალიფოს ხალიფა 996-1021 წლებში. 1021 წ. სექტემბერში ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სავარაუდოდ, ბიზანტიის კეისრის ბასილი II-ის დავალებით მოკლეს.


ნიკიფორე პატრიკიოსი, ქსიფიასი – ბიზანტიელი დიდგვაროვანი, რომელმაც გამოიყენა იმპერატორისა და საქართველოს მეფის, გიორგი I-ის, ომი და აუჯანყდა ბასილი II-ს.

ნიკიფორე ფოკა – ბიზანტიელი დიდგვაროვანი, ბარდა ფოკას ძე. 1021 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. მისმა მოკავშირე ნიკიფორე ქსიფიასმა კონფლიქტის შემდეგ ის მოაკვლევინა.

ოლთისი – ისტორიული ქალაქი ტაოში. აქ იყო დავით III კურაპალატის სამეფო რეზიდენცია. ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ერზრუმის პროვინციაში.

კოლა – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, ამჟამად მდებარეობს თურქეთში.

შირიმნი – სოფელი ჩილდირის ტბის მახლობლად, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.



რუკა 3. საქართველო-ბიზანტიის ომი 1021-22 წწ.

Demo Copy

1027 წელს გიორგი თრიალეთში გარდაიცვალა და იგი ქუთაისში დაკრძალეს. მისი მეფობის დროს თითქმის დასრულდა სვეტიცხოველის ტაძრის მშენებლობა მცხეთაში. „მატიანე ქართლისა“ გიორგის შემდეგნაირად ახასიათებს: „უშიში... ვითარცა უხორცო“ და „სავსე ყოვლითა სიკეთითა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.

4. დააკვირდი რუკა 2-ს და გამოთქვი ვარაუდი, რატომ გადაწყვიტა გიორგი I-მა ალ-ჰაქიმთან კავშირის დამყარება და რამდენად ხელსაყრელი იყო საქართველოსა და ეგვიპტისთვის ეს კავშირი?

5. ა, ბ და გ წყაროებისა და რუკა 3-ის მიხედვით აღადგინე ბიზანტია-საქართველოს ომის მსვლელობა.

6. შენი აზრით, ბიზანტია-საქართველოს ომის რომელი ეპიზოდია სურ. 2-ზე გამოსახული? პასუხი დაასაბუთე

7. დათარიღების რა ფორმას იყენებენ არაბი და ქართველი მემატიანეები? გაიხსენე, პერიოდიზაციის კიდევ რომელ სისტემას იყენებდნენ ქართველი მემატიანეები?

8. შენი აზრით, რომელი წყარო გამოხატავს ბიზანტიისა და რომელი საქართველოს პოზიციას?

9. მიუხედავად ბიზანტიასთან განცდილი მარცხისა, შენი აზრით, რატომ ახასიათებს ასე დადებითად „მატიანე ქართლისა“ გიორგი I-ს?

10. რომელი წყაროს ავტორია უფრო სანდო, ობიექტური?

11. შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო გიორგი I-ის დაპირისპირება ბიზანტიასთან?

12. დისკუსია: წარმოიდგინეთ თავი იმ დროში. გიორგი I-ისა და ბასილი II-ის ელჩები ერთმანეთს ხვდებიან. ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები თავ-თავისი შეხედულების დასადასტურებლად.

13. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 1: წყაროების გაცნობის შემდეგ რა ასოციაციას იწვევს თქვენში ბასილისა და გიორგის პიროვნება? მათი პიროვნული მახასიათებლები ჩაწერეთ გრაფებში.

14. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 2: წყარობის გაცნობის შემდეგ შეავსეთ სქემა და დააჯგუფეთ წყაროები ერთმანეთთან მსგავსება-განსხვავების მიხედვით.



სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა 1010-29 წლებში მიმდინარეობდა. ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ხუროთმოძღვრად არსუკიძე მიიწვია. მისი სახელი ტაძრის კედლებზე ორგან არის ამოკვეთილი – აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადზე. ჩრდილოეთ ფასადზე შემორჩენილი წარწერა ასეთია: „ხელი მონისა არსუკიძისა შეუნდვეთ“. ტაძრის მშენებლობას კონსტანტინე გამსახურდიამ რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ მიუძღვნა. სვეტიცხოველი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

სურ. 3. სვეტიცხოველი



გონიო – ხუროთმოძღვრის სამშენებლო იარაღი, სახაზავი

სურ. 4. გონიოიანი ხელის რელიეფური გამოსახულება და არსუკიძის წარწერა ტაძრის ჩრდილოეთის ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ

Don't copy

2-3 რას მოგვითხრობს წერილობითი წყაროები ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების შესახებ. როგორ შეიცვალა საგარეო ვითარება ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნის 50-60-იან წლებში

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ცხრა წლის ბაგრატ IV (1027- 1072) ავიდა. მეფის მცირეწლოვანებით ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ტაოელმა ფეოდალებმა და თავიანთი ციხეები ბიზანტიელებს გადასცეს. იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) გამოგზავნილი ჯარები საქართველოში შემოიჭრნენ და ჯავახეთი, თრიალეთი და შავშეთ-კლარჯეთი დაარბიეს. ბიზანტიელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაშმა, ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ, ანჩის ეპისკოპოსმა ეზრამ და შავშეთელმა აზნაურებმა გაბედეს.

1028 წელს ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა რომანოზ III-მ (1028-1034) საქართველოსთან დაზავება გადაწყვიტა. იმპერატორმა ბაგრატ IV-ს კურაპალატის ტიტული უბოძა და ცოლად თავისი ძმისშვილი ელენე შერთო. მაგრამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ვერც ამ დინასტიურმა ქორწინებამ მოაწესრიგა. ელენე დედოფალი მალე გარდაიცვალა და ბიზანტიის საიმპერატორო კარი ბაგრატის ნახევარძმას, გიორგი I-ის უმცროს ვაჟს, **დემეტრეს**, მიემხრო, რომლის საქართველოში გამეფება სურდათ. მართალია, მან ეს ვერ შეძლო, მაგრამ დემეტრეს მფლობელობაში მყოფი ანაკოფიის ციხე ბიზანტიელებმა დაიკავეს და იქ მათი სამხედრო გარნიზონი ჩადგა.

XI საუკუნის 40-იან წლებში ბიზანტია საქართველოს საშინაო საქმეებში კვლავ აქტიურად ჩაერია. ამ დროს მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის დაპირისპირება დაიწყო.

1. შენი აზრით, ლიპარტის ბრძოლა ბიზანტიელების წინააღმდეგ საკუთარი ინტერესებით იყო განპირობებული თუ ერთიანი ქართული სამეფოს დაცვის მოტივით? რატომ ფიქრობ ასე?
2. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიასა და საქართველოს დაზავებას? პასუხი დაასაბუთე
3. რას ნიშნავდა საქართველოს მეფისთვის კურაპალატობის მინიჭება?

ჯერ კიდევ 1032 წელს, ბაგრატ IV-ის არასრულწლოვანების დროს (ის 14 წლის იყო), ლიპარიტმა და ქართლის ერისთავმა, ივანე აბაზას ძემ, თბილისის ამირა ჯაფარი შეიპყრეს და ბაგრატს მიჰგვარეს. გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ თბილისის საამირო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შესულიყო. მაგრამ მეფემ ამირა შეიწყალა და თბილისში დააბრუნა. სავარაუდოდ, მეფის გარშემო შეკრებილ სხვა დიდაზნაურებს არ სურდათ, რომ ლიპარიტსა და ქართლის ერისთავს საამიროს მიწების ნაწილი ჯილდოდ მიეღოთ, რაც მათ ძალიან გააძლიერებდა. ამიტომ მეფე დაარწმუნეს, ამირა გაეთავისუფლებინა. 1037 წელს, კვლავ ლიპარიტის ინიციატივით, ბაგრატ IV-მ ალყა შემოარტყა თბილისს. ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა და თბილისელები ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ქალაქში საკვები აღარ იშოვებოდა. ამირას ქალაქიდან გაპარვა უნდოდა, ხოლო ქალაქის თავკაცები დანებებას აპირებდნენ. სწორედ ამ დროს ბაგრატმა ჯაფარს დაზავება შესთავაზა. ქართველი ისტორიკოსების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მეფეს ეს ნაბიჯი ამ შემთხვევაშიც კლდეკარის ერისთავის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებმა გადააძგმევინეს. ისტორიკოსების მეორე ნაწილი კი ბაგრატის უკანდახევას, ოღუზების, თურქ-სელჩუკების სამხრეთ კავკასიაში გამოჩენას უკავშირებს. ამის შემდეგ მეფესა და ლიპარიტს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. მოგვიანებით, ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ, 1046 წელს, მართალია, თბილისი საქართველოს მეფის ხელში გადავიდა, მაგრამ მან ქალაქი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ამ დროს მის წინააღმდეგ კლდეკარის ერისთავი აჯანყდა და ბაგრატი იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა. თბილისის საამირომ არსებობა გააგრძელა.

წყარო ა. იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსი, „სრული ისტორია“, XII-XIII სს.

„ჰიჯრით 429 (1037-1038) წელს **აფხაზთა მეფემ** ქალაქი თბილისი ალყაში მოაქცია და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხრიდან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, გარემოცვას და შევიწროებას მაინც განაგრძობდა. როდესაც ხორაგი გამოელია და სურსათის მოწოდება შეწყდა, მოსახლეობამ **აზერბაიჯანის** მუსლიმებს დახმარება და სამხედრო მხარდაჭერა სთხოვა. მაგრამ, როდესაც **ღუზებმა** აზერბაიჯანამდე მიაღწიეს და აფხაზებმა მათი მოახლოება შეიტყვეს და ისიც გაიგეს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ისინი სომხებს, შიშისაგან თბილისს მაშინვე ალყა მოხსნეს და დატოვეს“.

Don't copy

აზერბაიჯანი – აქ იგულისხმება ისტორიული ადარბადაგანი. ადარბადაგანი ირანის აზერბაიჯანს ერქვა, რომელიც დღესაც არსებობს და მდებარეობს ირანის ჩრდილო-დასავლეთში. ესაზღვრება თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკას.

4. მეფესთან დაპირისპირებამდე როგორ შეაფასებ ლიპარიტის ქმედებას?

5. გაეცანი წყარო ა-ს, მოსწავლის რვეულში მოტანილ დამატებით მასალას (ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების მიზეზი, ვიკინგები და სასირეთის ბრძოლა) და იმსჯელე, რა გახდა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის დაპირისპირების მიზეზი? შენ რომელ მოსაზრებას ემხრობი? რატომ?

6. როგორ ფიქრობ, რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა ბაგრატს ლიპარიტის გაძლიერების შემთხვევაში?

მეფისა და ლიპარიტის დაპირისპირების დროს ბიზანტიელებმა ლიპარიტის მხარე დაიჭირეს. კლდეკარის ერისთავი ამ ბრძოლაში მის ნახევარძმას, დემეტრე გიორგის ძეს და კახეთის მეფესაც იყენებდა. დემეტრე მალე გარდაიცვალა, მაგრამ ლიპარიტი ბრძოლას განაგრძობდა. 1046 წელს სასირეთის ბრძოლაში კლდეკარის ერისთავმა მეფე დაამარცხა. ამის შემდეგ, ბაგრატ IV, ფაქტობრივად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს აკონტროლებდა. ეს დაპირისპირება დროებით შეწყდა იმის გამო, რომ 1048 წლის შემოდგომაზე ლიპარიტი, მდ. არაქსის ნაპირებთან მდებარე ქალაქ კაპეტრონთან, თურქ-სელჩუკებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა. ითვლება, რომ სელჩუკებს ქართულ-ბიზანტიური გაერთიანებული ჯარი პირველად სწორედ აქ დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებმა გაიმარჯვეს და თურქ-სელჩუკებმა უკან დაიხიეს, მათ ლიპარიტის დატყვევება მოახერხეს.



სურ. 1. კაცხის ტაძარი. მდებარეობს თანამედროვე ჭიათურის რ-ში, ისტორიულ არგვეთში (აგებულია ლიპარიტ ბაღვაშის ბიძის, რატის მიერ)

წყარო ბ) მიქაელ ატალიატე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ისტორია“, XI ს.

„ერთ დღეს, ბიზანტიის იმპერატორის გადაწყვეტილებით, **იბერიის** საზღვრებთან შეიკრიბა მეომარი ხალხი, რომელსაც გამოჩენილი მხედართმთავარი ჰყავდა, მას ლიპარიტი ერქვა. თურქ-სელჩუკებსა და ამათ შორის დიდი შეტაკება მოხდა, რომელშიც მოწინააღმდეგეებმა მოიპოვეს გამარჯვება. ბიზანტიელები რომ დაამარცხეს, თურქებმა ლიპარიტი ცოცხალი იგდეს ხელთ და თავიანთ მეფეს მიჰგვარეს, როგორც უდიდესი ნანადირევი. იმ მეფეს სულთანი ეწოდება სპარსულ დიალექტზე. სულთანმა რომ დაინახა ის და მისი გვარიშვილობა შეიტყო, ჰკითხა, როგორ უნდა მოპყრობოდა მას, ხოლო მან უპასუხა, „მეფურადო“. და სულთანმა მაშინვე გაათავისუფლა იგი საცოდავი ბედისაგან და ყველაფერი ის, რაც მან ომში დაკარგა, მრავალკეცად აღუდგინა... ლიპარიტი ბიზანტიელმა იმპერატორმა მიიღო და საჯარო პატივით დააჯილდოვა და შეამკო საჩუქრებითა და სიტყვებით“.

წყარო გ) გიორგი კედრენე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ქრონოგრაფია“, XI ს.

„როდესაც **ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ** გაიგო ლიპარიტის დატყვევების ამბავი, სულ იმის ცდაში იყო, რომ გამოესყიდა; ამიტომ მან ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი გაუგზავნა სულთანს... და სთხოვდა ლიპარიტის განთავისუფლებას და ზავის დადებას“.

Don't copy

წყარო დ) იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსი, „სრული ისტორია“, XII-XIII სს.

„ამ 440 (1048/1049) წელს, იბრაჰიმ ინალმა ილაშქრა რომაელების წინააღმდეგ, დააამარცხა ისინი და ნადავლით დაბრუნდა. საქმე იმაში იყო, რომ მასთან ბევრი ოღუზი გამოცხადდა, მაგრამ მან მათ უთხრა: „ჩემს ქვეყანაში თქვენ ვერ დაეტევით და ის თქვენს მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ გირჩევთ, ღმერთისა და ნადავლისთვის რომაელების წინააღმდეგ ილაშქრეთ. მე უკან გამოგყვებით და დაგეხმარებით“. ისინი ასე მოიქცნენ, **იბრაჰიმ ინალი** კი უკან გაყვა. მათ მიაღწიეს მელაზგერდამდე, ერზრუმამდე, კალიკალამდე, ტრაპეზუნტამდე... მათ შეეგება ორმოცდაათიათასიანი რომაელების და აფხაზების ჯარი. მათ შორის რამდენიმე ბრძოლა გაიმართა, რომლებშიც ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე. ბოლოს გამარჯვება მუსლიმებს დარჩათ, რომლებმაც ბევრი რომაელი მოკლეს, დანარჩენი გააქციეს და დიდი რაოდენობით ტყვე აიყვანეს. ტყვეებს შორის იყო კარიტი, აფხაზთა მეფე, რომელმაც გამოსასყიდად 300 ათასი დინარი და 100 ათასის საჩუქრები შესთავაზა, მაგრამ ის (იანალი) არ დათანხმდა.“

7. შენი აზრით, როგორ მოახერხა ბიზანტიასთან ურთიერთობის დათბობა ლიპარიტმა და რატომ ვერ შეძლო ეს ბაგრატმა?
8. წყარო ბ-ს მიხედვით, როგორ მოპყრობას ითხოვს ლიპარიტი სულთნისგან და შენი აზრით, რატომ?
9. რატომ გამოისყიდა ბიზანტიის იმპერატორმა ლიპარიტი?
10. შეადარე ბ და გ წყაროები. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 3. უპასუხე კითხვას: რატომ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ლიპარატი ბიზანტიისთვის?
11. გაიხსენე წინა წლის მასალა. წელთარღიცხვის რომელ სისტემას იყენებს იბნ ალ-ასირი? რატომ?
12. შეადარე წყარო ბიზანტიურ მატიანეებს და ივარაუდე, ვინ უნდა იყოს აფხაზთა მეფე კარიტი. შენი აზრით, რატომ უწოდებს მემატიანე მას აფხაზთა მეფეს?
13. შენი აზრით, რომელი წყარო უფრო სანდო ინფორმაციას გადმოგვცემს? რატომ?
14. როგორ ფიქრობ, ლიპარიტის გათავისუფლების შემდეგ რა პრობლემა შეიძლებოდა შეჰქმნოდა ბაგრატს?

ბაგრატმა ლიპარიტის ტყვეობით ისარგებლა და ქართლი დაიკავა. თბილისის თავკაცებმა („თბილელმა ბერებმა“) ქალაქი კვლავ ბაგრატს გადასცეს. ბაგრატ IV-მ თბილისი სამი წელი შეინარჩუნა, მაგრამ ლიპარიტის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ქალაქი დატოვა და თბილისის საამირო არსებობა განაგრძო. იმის გამო, რომ ბიზანტიელთა მოკავშირე ლიპარიტის დამარცხებას ვერ ახერხებდა, ბაგრატ IV-მ 1054 წელს გადაწყვიტა, თავად წასულიყო კონსტანტინოპოლში. წასვლამდე თავისი მცირეწლოვანი შვილი, გიორგი, ქუთაისში მეფედ აკურთხა

დემეტრე, გიორგი I-ის ძე – გიორგი I-ის უმცროსი ვაჟი, რომელიც მეორე ცოლისგან, ოვსთა მეფის ასულისაგან, ალდესგან ეყოლა. გიორგის გარდაცვალების შემდეგ, უფლისწული დემეტრე და ალდე ანაკოფიის ციხეს ფლობდნენ.
აფხაზთა მეფე – საქართველოს მეფე
ღუზები – ოღუზები, თურქ-სელჩუკები
იბერია, იგულისხმება იბერიის თემი, საკატეპანო – XI ს.-ში ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი, რომელშიც ნაწილობრივ ქართული (დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა) და ძირითადად სომხური მიწები შედიოდა
იბრაჰიმ ინალი – თურქ-სელჩუკების ერთ-ერთი მხედართმთავარი, სულთან თოღრულ-ბეგის ნახევარ ძმა დედის მხრიდან
ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე – კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055)

Don't copy

წყარო ე) გიორგი კედრენე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ისტორიული მიმოხილვა“, XI ს.

„ბაგრატი მდინარე ფაზისის გზით გაემართა და ჩავიდა ტრაპეზუნტში. იქიდან მაცნეები გაუგზავნა იმპერატორს და აუწყა, რომ სამეფო ქალაქში ჩასვლა და მასთან შეხვედრა სურს. როდესაც მან ეს ნებართვა მიიღო, ბიზანტიონში ჩავიდა. იმპერატორს რომ შეხვდა, ჯერ დიდი საყვედური მოახსენა მასთან ხელშეკრულების დარღვევისა და კერძო პირის, განდგომილი მონის დაახლოებისთვის. შემდეგ იმპერატორის შუამავლობა ითხოვა მათი (ბაგრატის და ლიპარიტის) შერიგებისთვის. მართლაც ასე მოხდა; იმათ ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, მესხეთის, მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ“.

საქართველოს მეფეს საკმაოდ დიდხანს – სამი წელი – მოუხდა ბიზანტიაში დარჩენა. ეს, ფაქტობრივად, მეფის საპატიო ტყვეობა იყო. ამ პერიოდში კლდეკარის ერისთავმა მეფის ძე, გიორგი, ქართლში გადმოიყვანა, რუისის ეკლესიაში მეფედ აკურთხა და როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „მოიყუანეს მზრდელად მისსა ლიპარიტ“.

XI საუკუნის 50-იან წლებში ბიზანტიას თავად ჰქონდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პრობლემები: სამეფო კარზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა. ბიზანტიელები თავიანთ საზღვრებში შეჭრილ პაჭანიკებსა და თურქ-სელჩუკებს წარუმატებლად ებრძოდნენ. ამიტომ მათ ხელს აძლევდა საქართველოს სამეფოსთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინე VIII-ის ქალიშვილმა, თეოდორამ (1055-1056) ბაგრატ IV-ს ქალიშვილის გაგზავნა სთხოვა. მემატიანე წერს: „მას ჟამსა თეოდორა დედოფალს ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ მეფისგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა და შვილად თვისად აღზარდოს“. ეს საქართველოს სამეფო კარის ინტერესებშიც შედიოდა. ბაგრატის დედას, მარიამს, სურდა, მისი შვილიშვილი, მართა, ბიზანტიის სამეფო კარზე აღზრდილიყო და შესაძლებლობის შემთხვევაში, მომავალი იმპერატორის მეუღლე გამხდარიყო. თუმცა ამ გეგმის განხორციელება იმ დროს ვერ მოხერხდა, რადგან 1056 წელს თეოდორა გარდაიცვალა და მომდევნო წელს ბაგრატ IV და მისი ქალიშვილი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში დაბრუნდნენ.

15. გააანალიზე წყარო ე) და იმსჯელე ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ხასიათზე.
16. გამოთქვი ვარაუდი, რატომ დასჭირდა ბაგრატს იმპერატორისგან ნებართვა კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად?
17. შენი აზრით, რატომ გახდა ლიპარიტი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი?
18. წყაროს მიხედვით, როგორ მოიხსენიებს ბაგრატი ლიპარიტს და რას უსვამს ამით ხაზს?
19. როგორ ფიქრობ, სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის შიგნით ვის უფრო მეტი გავლენა აქვს: ლიპარიტს თუ ბაგრატს? რატომ?
20. როგორ ფიქრობ, წყაროში მოცემული ზავი დააკმაყოფილებდა თუ არა დაპირისპირებულ მხარეებს? რატომ?
21. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ბიზანტიის ტახტზე ქართველი მეფის ასულის ყოფნა?

წყარო ვ) უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისა, XI ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„გაძლიერდა ლიპარიტი და კარგი ურთიერთობა ჰქონდა თურქთა სულთან თოღრულ-ბეგთან და ბიზანტიის იმპერატორთან. და ზრდიდა ბაგრატის ძეს, გიორგის, მცირე მეფის სახელით, ხოლო ბაგრატი ფლობდა დასავლეთ საქართველოს.

და მცირე ხნის შემდგომ სამეფოს დიდებულებს მობეზრდათ ლიპარიტის ბატონობა. სულა კალმახელმა და მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ლიპარიტი და ძე მისი ივანე, ხოლო მეორე ძე ნიანია ანისს გადაიხვეწა... მოვიდა ბაგრატ მეფე ჯავახეთს და მოუყვანა სულამ ლიპარიტი და ივანე. ბაგრატმა მიიღო ლიპარიტისგან არტანუჯი და ყუელისციხე, უფლისციხე და ბირთვისი. ხოლო კლდეკარი მტკიცედ ეპყრათ ლიპარიტის მეციხოვნეებს. იქ იყო ლიპარიტის მწიგნობართ-უხუცესი ანამორი. მაშინ აღმართეს ძელნი და ზედ გააკრეს ლიპარიტი და ივანე და სასიკვდილოდ გაწირეს. რამდენიმე დღეში მეციხოვნეებმა ითხოვეს მეფისგან ლიპარიტის და ივანეს გაშვება კლდეკარის დათმობის სანაცვლოდ. და დათმეს კლდეკარი. ლიპარიტი ბერად აღიკვეცა და შეავედრა ძე თვისი, ივანე მეფეს. დარჩა არგუეთის მამული ივანეს. ლიპარიტი კი საქართველოდან გადაიხვეწა“.

Don't copy

ლიპარიტ ბაღვაშმა ბერობაში ანტონის სახელი მიიღო. სავარაუდოდ, მან აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ (საკვირველ) მთაზე, წმ. ბარლაამის ქართველთა მონასტერი დააარსა. 1060-1064 წლებში ის ამ მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო. ის გვერდში ედგა ათონის მთაზე მოღვაწე გიორგი მთაწმინდელს და მათ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო საქმე გააკეთეს.



გიორგი მთაწმინდელი (1009-1065) – ქართველი სასულიერო მოღვაწე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი, მწერალი, მთარგმნელი, ათონის (საბერძნეთი) ივერთა მონასტრის წინამძღვარი. მის კალამს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული თხზულება „იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრება“, საეკლესიო ჰიმნები. ბერძნულიდან ნათარგმნი აქვს ბიბლიის ნაწილები, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელისა და სხვა ქრისტიანი მოღვაწეების თხზულებები. გიორგი მთაწმიდელი დაუპირისპირდა ანტიოქიის პატრიარქს, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას უარყოფდა და სხვადასხვა წყაროთი დაუმტკიცა, რომ ქრისტიანობა საქართველოში ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს.

ბაგრატ IV-ის მოწვევით, გიორგი მთაწმინდელი ათონის მთიდან საქართველოში ჩამოვიდა, რათა ქართული ეკლესიის ნაკლოვანებები აღმოეფხვრა. ამ დროს ეკლესიაში წოდებრიობა და სიმდიდრე იყო გაბატონებული, საეპისკოპოსო თანამდებობები იყიდებოდა და უსწავლელ და უღირს ადამიანებს ჰქონდათ. გიორგი მთაწმინდელი არა მხოლოდ მათ, არამედ მეფესაც დაუპირისპირდა და ამხილა ისინი. ის შეეცადა, ქართულ ეკლესიაში წოდებრიობა მოესპო და ადამიანის პირადი ღირსება წამოსწია წინ. გიორგი მთაწმინდელმა 80 ახალგაზრდა ბიზანტიაში სასწავლებლად წაიყვანა.



22. სახელმძღვანელოს ტექსტისა და ე და ვ წყაროების მიხედვით აღადგინე და დროის ხაზზე გადაიტანე ბაგრატისა და ლიპარიტის დაპირისპირების ეტაპები

23. შეასრულე მოსწავლის წიგნში მოცემული დავალება 4. შეავსე ცხრილი ბაგრატის მეფობის საწყისი პერიოდის შესახებ, ქრონოლოგიის გათვალისწინებით, შეუსაბამე ერთმანეთს წლები და ფაქტები.

24. შენი აზრით, ბიზანტიისთვის რამდენად ხელსაყრელი პირობებით დაზავდნენ ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში?

25. როგორ გესმის მემატიანის სიტყვები, რომ უფლისწული გიორგი „მცირე მეფე“ იყო, ხოლო ბაგრატ IV მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ფლობდა?

26. შენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს ქართველმა დიდაზნაურებმა ლიპარიტის დატყვევება?

27. რა მეთოდებს იყენებს მეფე კლდეკარის ხელში ჩასაგდებად და შეასრულა თუ არა კლდეკარის დამცველთა მოთხოვნა?

28. წარმოიდგინე, რომ გიორგი უფლისწული ხარ და ესწრები სამეფო კრებას, სადაც ლიპარიტისა და მისი ვაჟის ბედი უნდა გადაწყდეს. რას შეთავაზებდი მამას, ბაგრატ IV-ს?

29. რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა ივანესგან ბაგრატიონთა საგვარეულოს და რამდენად მართებულად მიგაჩნია ბაგრატის გადაწყვეტილება?

30. შესწავლილი წყაროების მიხედვით დაახასიათე ლიპარატის პიროვნება.

31. შენი აზრით, ლიპარიტის მოღვაწეობა როგორ იქნებოდა აღწერილი საქართველოს სამეფო კარის მატიანეებში? რატომ ფიქრობ ასე?

32. შეასრულე მოსწავლის წიგნში მოცემული დავალება 5. სახელმძღვანელოს ტექსტისა და წყაროების მიხედვით შეაფასე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ბაგრატ IV-ის გამეფების საწყის პერიოდში.

Don't copy

საქართველო და თურქ-სელჩუკები

XI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში ახალი ხალხი გამოჩნდა. ესენი თურქ-სელჩუკები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მცირერიცხოვანი თურქული ტომები X საუკუნეში ამ რეგიონში უკვე მოსახლეობდნენ, თურქ-სელჩუკთა მოსვლა თურქულენოვან ხალხთა პირველი მსხვილმასშტაბიანი ჩამოსახლება იყო. სელჩუკები ოღუზების სახელით ცნობილი მომთაბარე ტომები იყვნენ. თავდაპირველად ისინი შუა აზიაში, კასპიისა და არალის ზღვებს შორის მომთაბარეობდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. სახელწოდება თავიანთი მეთაურის, სელჩუკის, სახელიდან მიიღეს, რომელმაც ცალკეული ტომები გააერთიანა. X საუკუნემდე სელჩუკები მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს, ამ დროიდან კი მათ ისლამი მიიღეს. ამავე საუკუნის ბოლოდან მათ მშობლიური ველები დატოვეს და დაპყრობითი ომები დაიწყეს. ამ ომებს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ისინი საძოვრების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ და იძულებული იყვნენ, ახალ-ახალი მიწები ეძებნათ. მათი ელჩები ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს აღნიშნავდნენ, რომ „მათ დედამიწაზე ადგილი არ აქვთ“; მეორე მიზეზი სამხედრო ალაფის მოპოვება და სამიწათმოქმედო მდიდარი რეგიონების ხელში ჩაგდება იყო. 40-იან წლებში სულთან თოღრულ-ბეგის (1038-1063 წწ.) დროს მათ დაიპყრეს ხორეზმი, ირანი, ერაყი, ქურთისტანი. ისინი სამხრეთ კავკასიაშიც შემოიჭრნენ. სელჩუკებს რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ ბიზანტიელებთან. ასეთი საშიში მოწინააღმდეგის გამოჩენამ სხვადასხვა სახელმწიფო შეაკავშირა. სწორედ ამ პერიოდში ქართველებმა ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფოსთან ურთიერთობა განაახლეს.



სურ. 2. სელჩუკი დიდგვაროვანი. ილუსტრაცია XI-XII სს. არაბი პოეტის მუჰამედ ალ-ჰარირის ნაწარმოებების წიგნიდან. გამოიცა 1237 წელს ქ. ბაღდადში.

წყარო ზ) ნასირ ხოსროუ, სპარსელი მოგზაური, „საფარ-ნამე“, XI ს.

„1047 წელს კაიროში ნილოსის არხის გახსნის დროს საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უფლისწულები და დიდებულთა შვილები... ისინი იყვნენ მაღრიბიდან, იემენიდან, რუმიდან, სლავთა ქვეყნიდან, ნუბიიდან... აქ იყვნენ ჩამოსულნი დელის მეფის ძენი და მათი დედა, ქართველ მეფეთა ვაჟები...და თურქესტანის ხაკანის ვაჟები“.

33. ერთ-ერთი თურქი მემატიანე წერდა: „ქართველების ქვეყანა ბიზანტიელთა სათარეშოდ და ურწმუნოებისა და ტირანიის საძოვრად გადაქცეულიყო“. როგორ გესმის ეს ფრაზა? რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?

34. შენი აზრით, ამჯერად რატომ ცდილობდნენ ქართველები ფატიმიანებთან დაკავშირებას?

35. როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა ზ) წყარო? გამოთქვი ვარაუდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველ მეფეთა ვაჟები, როდესაც ბაგრატ IV-ის ვაჟი, გიორგი, ამ დროს არასრულწლოვანი იყო?

XI ს.-ის 60-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1064 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი უზარმაზარი ლაშქრით შემოიჭრა საქართველოში. ბაგრატ IV ოჯახთან ერთად ტაოდან ქუთაისში ბრუნდებოდა, როდესაც მოულოდნელად მტერი თავს წამოადგა. ბაგრატ IV-მ მოახერხა, თურქ-სელჩუკებს გასცლოდა და ქართლში გადასულიყო. ალფ-არსლანმა ალყა შემოარტყა ახალქალაქს.

წყარო თ) სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი, ხვარაზმელი ისტორიკოსი, „ცნობები სელჩუკთა სახელმწიფოს შესახებ“, XI ს.

„სულთანი გაემართა ქალაქ ახალკალასკენ (ახალქალაქისკენ). ქალაქის კედლები ასი წყრთის სიმაღლისა იყო, სიგანე კი კიდევ უფრო მეტი. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქი გარშემორტყმული იყო მთებით, რომლის წვერებზეც მიუდგომელი ციხეები იდგა, კედლები კი, რომლებიც ვახსენეთ, სამხრეთის მხარეს იყო. ამ კედლების წინ **ჯეიჰუნივით** ღრმა წყალი იყო, ზედ კი ხდი. მაგრამ ალყაში მოქცეულებმა ხიდი ასწიეს და ისლამის მეომრებმა ქალაქის აღების იმედი დაკარგეს.

სულთანმა ალფ-არსლანმა კარავი ქალაქის ჭიშკართან დასცა და ლოცვა დაიწყო, ალაჰს დახმარებას შესთხოვდა. სულთნის მეომრებმა დიდი ხიდი გადეს და ბრძოლა დაიწყო. მაშინ

Don't copy

ქალაქიდან ორი კაცი გამოვიდა. ისინი შეწყალებას ითხოვდნენ. სულთანს სამართლიანი ემირის დაყენება სთხოვეს, რომელიც ქალაქში დანაშაულს არ დაუშვებდა და ქალებს დაიცავდა. მაშინ სულთანმა მათ ემირი იბნ მუჯაჰიდი და აბუ სუმრუ გააყოლა. როცა მათ პირველი კედელი გაიარეს, ქართველები გარს შემოერტყნენ და თავს დაესხნენ. ისინი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ: წინ ხმლები იყო, უკან – წყალი. როდესაც ქართველების თავდასხმისა და მუსლიმების უკანდახევის ამბავი შეატყობინეს, სულთანი ლოცულობდა. მან ლოცვა არ შეწყვიტა, დაასრულა, შემდეგ გამოვიდა, ცხენზე შეჯდა და სისხლისმღვრელი ბრძოლა გააჩაღა. იგი იქამდე არ გაჩერებულა, ვიდრე ქალაქში არ შევიდა და ურწმუნოთაგან არ გაწმინდა...

ამ ციხესიმაგრესთან ახლოს მეორე ციხესიმაგრე იყო. სულთანმა ისიც აიღო. მაშინ ქართველთა მეფემ სულთანს ელჩები გამოუგზავნა საჩუქრებით და შეწყნარება და მშვიდობა ითხოვა... სულთანმა ქართველთა მეფეს მისწერა, ან ისლამი მიეღო, ან ჯიზია გადაეხადა. და ქართველთა მეფეც ჯიზიის გადახდას დასთანხმდა“.

წყარო ი) უცნობი ავტორი, „მატიანე ქართლისა“, XI ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„გამოვიდა **სპარსთა მეფე** არფასარან (ალფ-არსლანი)... მოვიდა და შემუსრა **კანგარი** და თრიალეთი...“ წავიდა ჯავახეთს და მოადგა ახალქალაქს, და იბრძოდნენ სამ დღეს. რადგან არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი, ველარ დადგნენ ძლიერი ბრძოლით. აღიჭურვნენ ქალაქში მყოფნი, კარი გახსნეს და შეებნენ მტერს... და შევიდეს ქალაქად თურქნი და დაატყვევეს ურიცხვი ქრისტიანი, აიღეს განძი და ტყვეები, და შეიღება ახალქალაქის წყალი სისხლით. და მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულთანმა ბაგრატ მეფეს... სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულთანი ანისად, შემუსრა და წაიღო ანისი... და წავიდა თავის ქვეყანაში, სპარსეთში... ხოლო დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა. ხოლო შემდგომად ამისა გაათხოვა დისწული თვისი და შერთო სულთანსა.

სამი წლის შემდეგ გამოვიდა სულთანი, შემოვლო რანი და შევიდა ჰერეთად. ამ ქვეყნის დიდებულები „მორთულ და ერთგულ“ იყვნენ ბაგრატისა... ამ დროს ბაგრატი გალაშქრებულ იყო კახეთის ასაღებად, ხოლო **აღსართან** მიერთო სულთანსა, მიართვა ძღვენი დიდი, დაუტევა სჯული და... აღუთქვა ხარაჯა; და მისცა ყოველი ციხენი... შემდგომად სულთანს შეუერთდნენ სომეხთა მეფე კვირიკე, ტფილელი ამირა და აღსართან. შემოჰყვნენ ქართლს... მოხდა ეს დეკემბრის თვეში, ათ რიცხვში, სამშაბათ დღეს, ქორონიკონის ორას ოთხმოცდარვა წელს (1068 წ.)... თვით სულთანი დადგა **კარბსა**... და მიგზავნა მოციქულად ივანე ლიპარიტის ძე მეფემან ბაგრატ ძიებად მშვიდობისა, ხოლო სულთანმა... სთხოვა ხარაჯა და უქადა მშვიდობა, მაგრამ ზამთრის სიფიცხლისგან ველარ მოილოდინა და წავიდა ქართლიდან...

და ამის შემდეგ უგზავნიდა სულთანი ბაგრატ მეფეს მოციქულებს ძღვენითურთ და ტკბილი ენით ითხოვდა მისგან ხარკს. არ დაადო ბაგრატმა ქვეყანას ხარკი, არამედ გზავნიდა ისიც მოციქულებს ძღვენითურთ. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული“.

Don't copy

ჯეიჰუნი – მდ. ამუ-დარია (შუა აზიაში)
სპარსთა მეფე – აქ იგულისხმება თურქ-სელჩუკთა სულთანი
კანგარი – ისტორიული ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთი მხარე
აღსართან I – კახეთ-ჰერეთის მეფე 1058-1084 წლებში
კარბი – სოფელი გორის რაიონში

36. წყარო თ-ს მიხედვით დაახასიათე XI ს.-ის ქალაქი.
37. მოსწავლის რვეულში შეასრულე დავალება 6. თ და ი წყაროებისა და რუკა 4-ის მიხედვით აღადგინე და კონტურულ რუკაზე დაიტანე ალფ-არსლანის ლაშქრობების მარშრუტი.
38. შენი აზრით, ჰერი დიდებულები საკუთარ მეფეს, აღსართანს, რატომ არ უჭერენ მხარს?
39. შეასრულე მოსწავლის წიგნში მოცემული დავალება 7. თ და ი წყაროების გაანალიზების შემდეგ შეავსე ცხრილი.
40. შენი აზრით, როგორ ავსებს ერთმანეთს წყარო თ და ი. მათ მოწოდებულ ინფორმაციაში, გამოყავი განსხვავება. მოვლენების აღწერისას რომელი უფრო სანდოა: სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინისა თუ „მატიანე ქართლისას“ მონაცემები.



რუკა 4. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში ალფ-არსლანის მეთაურობით 1064 და 1068 წწ.

60-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე X დუკამ (1059-1067) ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დანათესავება გადაწყვიტა და 1065 წელს თავისი ძისთვის, მიხეილისთვის, საცოლედ ითხოვა ბაგრატ IV-ის ასული მართა (ბიზანტიაში მარიამად წოდებული). ბიზანტიის საიმპერატორო სახლთან დანათესავება, ბაგრატ IV-ის დედის, მარიამისა და გიორგი მთაწმინდელის სურვილიც იყო. ცნობილია მარიამ დედოფლის სიტყვები, რომლითაც ამ ქორწინების დროს გიორგი მთაწმინდელს მიმართა: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რა იგი ოდესმე ინანასწარმეტყუელე მართასთვის“. 1071/73-1081 წლებში მართა-მარიამ ბაგრატიონი ბიზანტიის დედოფალი იყო.



სურ. 3. ბაგრატ IV-ის მონეტა

შუბლზე ბერძნული წარწერა: წმინდა ღვთისმშობელი
ზურგზე ასომთავრული წარწერა: ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და სევასტოსი

ბიზანტიური ტიტულები:

კურაპალატი – იუსტინიანე I-ის დროიდან (VI ს.) ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული. XI საუკუნიდან ძირითადად ენიჭებოდათ საქართველოს ვასალური სამეფოების მმართველებს. ბიზანტიელ სახელმწიფო მოხელეთა შორის რანგით ნოველისიმოსზე, სევასტოსსა და კესაროსზე დაბლა იდგა.

ნოველისიმოსი – XI საუკუნის შუა ხანებიდან ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული. ძირითადად ენიჭებოდათ საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლებს. ამ პერიოდში კურაპალატზე უფრო საპატიო, მაგრამ კესაროსსა და სევასტოსზე ნაკლები წოდება.

სევასტოსი – XI საუკუნის შუა ხანებიდან ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული. ძირითადად ენიჭებოდათ საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლებს.

კესაროსი – XI საუკუნიდან შუა ხანებიდან ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული. ძირითადად ენიჭებოდათ საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლებს. ნოველისიმოსსა და სევასტოსზე უფრო პრესტიჟული წოდება.

წყარო კ) უცნობი ავტორი, „მატიანე ქართლისა“, XI ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„სამშვილდის ტბასთან მყოფ ბაგრატს უეცრად დაეწყო მუცლის ტკივილი. გაჩერდნენ მარაბდაში. გაუძლიერდა ტკივილი და მწოლიარე ხელით წამოიყვანეს, თან ახლდა გიორგი კურაპალატი და ყველა თავისი დიდებული. გიორგი კურაპალატი დაწინაურდა; ჩამოიყვანეს მეფე ქართლში და იქ ჩამოვიდა ყველა მისი დიდებული. მოვიდნენ მისი დედა, მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა და ასული მისი მარიამი. ამის შემდეგ მიიცვალა ბაგრატი თვესა ნოემბერსა, ოცდაოთხში, ქორონიკონის ორას ოთხმოცდათორმეტში. ბაგრატის სიკვდილის ჟამს მოკლულ იქნა სულთანიც ერთი მოხუცი თურქის მიერ კარავში, როდესაც თავის ლაშქართან ერთად იმყოფებოდა... ვერ შეიტყვეს ბაგრატმა და სულთანმა ერთმანეთის სიკვდილის შესახებ. ეს მეფე ბაგრატი გამეფდა ცხრა წლისა და აღესრულა ორმოცდათექვსმეტისა. იგი ჯერ კურაპალატი იყო, შემდეგ – ნოველისიმოსი და მერე გახდა სევასტოსი. შემდგომად ამისა დაჯდა ძე ბაგრატისი გიორგი კურაპალატი მეფედ“.

40. დააკვირდი ბაგრატის მონეტასა და წყარო თ)-ს და იმსჯელე, რა ცვლილებები მოხდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებში და რა იყო ამის მიზეზი?

41. გამოიყენე მოსწავლის რვეულში მოცემული მასალა ქართული წელთაღრიცხვის სისტემების შესახებ და გამოთვალე, რომელ წელს გარდაიცვალა ბაგრატ IV.

42. დაახასიათე საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ბაგრატ IV-ის მეფობის დროს. დაახასიათე ბაგრატ IV, როგორც მეფე და პოლიტიკოსი.

Don't copy

4 რა შედეგი მოუტანა საქართველოს „დიდმა თურქობამ“

1072 წელს, ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე მისი ძე, გიორგი II ავიდა. საერთო საფრთხემ, რომელიც თურქ-სელჩუკების გამუდმებულმა თავდასხმებმა გამოიწვია, საქართველო და ბიზანტია ისევ დააახლოვა. ამას დაემატა ისიც, რომ გიორგის გამეფებისას ბიზანტიის იმპერატორი მისი სიძე, დის ქმარი, მიხეილ VII დუკა (1071-1078), იყო. მან გადაწყვიტა, სამხრეთ საქართველოში, იბერიის თემში შემავალი ციხეები საქართველოსთვის დაებრუნებინა. ბანაში გიორგი II-ს შეხვდა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოღვაწე ქართველს, **გრიგოლ ბაკურიანის ძეს.** მან, იმპერატორის დავალებით, საქართველოს მეფეს იბერიის თემში შემავალი ციხეები, ოლთისი, ქალაქი კარი (ყარსი) და მისი მიმდებარე ტერიტორიები გადასცა. ამ პერიოდში, მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიის ჯარის სელჩუკებთან დამარცხების და შემდგომ ქვეყანაში დაწყებული შიდა არეულობის გამო, იმპერიის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ იბერიის თემს გიორგი II უკეთ მიხედავდა. თურქ-სელჩუკებსა და ბიზანტიის აღმოსავლეთის საზღვარს შორის, საქართველოს სამეფოს ტერიტორია მოექცეოდა და შესაბამისად, მათ თავდასხმებებს თავდაპირველად საქართველოს ჯარი მოიგერიებდა. ამ შეთანხმებით, საქართველოს სამხრეთი საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო.

წინა წლებში მოჭრილ მონეტებს ზურგზე ასეთი წარწერები აქვს: ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და ნოველისიმოსი (მოჭრილია 1073 წელს) და ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და სევასტოსი (1074 წელს)



სურ. 1. გიორგი II-ის მონეტა. მოჭრილია 1075-1089 წწ. **შუბლზე გამოსახულია ღვთისმშობელი და წარწერა:** დედა ღვთისა; ზურგზე აქვს წარწერა: ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კესაროსი

მამის სიკვდილის შემდეგ, ერთ წელიწადში, მეფეს სამეფოს დიდაზნაურები – ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი განუდგნენ. გიორგი II-მ ისინი დაამარცხა, მაგრამ არ დაუსჯია და სხვადასხვა დათმობითა და დაპირებით მიმხრობა სცადა. მიუხედავად ამისა, ივანე ლიპარიტის ძე ისევ განუდგა. გიორგიმ კახეთის მეფე აღსართან III-თან ერთად დაამარცხა ივანე ლიპარიტის ძე, მაგრამ ისევ არ დასაჯა და ერთ-ერთ ეკლესიაში ერთგულებაზე დააფიცა.

სწორედ ამ პერიოდში, გიორგი II-ის გამეფების მეორე წელსვე, საქართველოს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი შემოესია, მისმა ლაშქარმა სამშვილდის ციხე აიღო, ქართლი დაარბია და უკან გაბრუნდა. შემდეგ სულთანმა განძა აიღო, მის გამგებლად **სარანგი** დანიშნა და ქართლში ლაშქრობა დაავალა. 1074 წელს სარანგი გიორგი მეფის წინააღმდეგ დაიძრა, მაგრამ გიორგიმ ფარცხისის ბრძოლაში ის დაამარცხა და თურქები საქართველოდან განდევნა. გიორგი მეფის ამ წარმატებას მალიქ-შაჰის საქართველოში მეორედ ლაშქრობა მოჰყვა. თურქ-სელჩუკებმა კარის ციხე-ქალაქი აიღეს, ჯავახეთში მდგომ მეფეს თავს დაესხნენ და დაამარცხეს.

გრიგოლ ბაკურიანის ძე – ქართული წარმოშობის ბიზანტიელი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, ბიზანტიის ჯერ დასავლეთის, შემდეგ კი აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალი (დომესტიკოსი). მოღვაწეობდა XI საუკუნეში. მან ბულგარეთის ტერიტორიაზე დიდი ქართული მონასტერი – პეტრიწონი (ამჟამად მოქმედი ბაჩკოვოს მონასტერი) დაარსა, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დიდი საგანმანათლებლო ცენტრი იყო.

სარანგი – აქ იგულისხმება თურქ-სელჩუკი სამხედრო მოხელე, მხედართმთავარი.

Don't copy

Don't copy

რუკა 5. თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში მალიქ-შაქის მეთაურობით. „დიდი თურქობა“.

1. **რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გიორგი შიდა დაპირისპირების დროს კახეთის მეფეს სთხოვს დახმარებას?**
2. **გაიხსენე წინა წლის მასალა. როგორი იყო ბაგრატ III-ის გადაწყვეტილებები განდგომილი დიდებულების მიმართ? როგორ ფიქრობ, განსხვავდება თუ არა ამ პრობლემისადმი მისი და გიორგი II-ის მიდგომა და შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**
3. **გაიხსენე, ვის მფლობელობაში იყო ანაკოფიის, კლარჯეთის, შავშეთისა და არტაანის ციხესიმაგრეები და როდის და რა პირობებში დაკარგეს ისინი ქართველმა მეფეებმა?**
4. **დააკვირდი რუკა 4-ს და იმსჯელე, რატომ გადასცა ბიზანტიის იმპერატორმა გიორგი II-ს ციხეები? ეს მათი ახლო ნათესაობის შედეგი იყო თუ ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა?**
5. **წინა კითხვაზე პასუხიდან და გიორგი II-ის მონეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ივარაუდე, ასე ხშირად რატომ იცვლებოდა მისი ბიზანტიური ტიტული?**
6. **რომელი ბიზანტიური ტიტულები ჰქონდათ ბაგრატ III-ს, ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ს? შენი აზრით, რა იყო ამ განსხვავების მიზეზი?**
7. **XI საუკუნეში მოღვაწე რომელ მეფეს არ ჰქონდა ბიზანტიური ტიტული და რატომ?**
8. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 8. კონტურულ რუკაზე აღნიშნე: ა) მალიქ-შაჰის ლაშქრობის მარშრუტი; ბ) გიორგი II-ის მიერ დაკავებული ტერიტორიები.**

1080 წლიდან საქართველოში ე. წ. „დიდი თურქობა“ დაიწყო. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო ერთგვაროვანი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათი სულთნები ქვეყნის ცენტრალიზაციას ცდილობდნენ, თურქული ტომების ნაწილი კვლავ მომთაბარეობას მისდევდა და საძოვრების ძებნაში ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. 1080 წელს სწორედ ასეთი ტომების ნაწილი შემოესია საქართველოს: მათ დალაშქრეს კლარჯეთი, შავშეთი, იმერეთის ნაწილი, ქართლი; აიღეს და გადაწვეს ქალაქები არტანუჯი და ქუთაისი. ამის შემდეგ ყოველ წელს თურქები საქართველოში შემოდიოდნენ. როგორც მემატიანე გადმოგვცემს: „გაზაფხულის დადგომისას კვლავ ბრუნდებოდნენ თურქნი და იმავეს სჩადიოდნენ, ზამთარში კი მიდიოდნენ. აღარაფერი ითესებოდა და იმკებოდა იმ დროს: აოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა. ადამიანთა ნაცვლად მხეცნი და ველის ნადირნი დამკვიდრდნენ აქ. გაუსაძლის გასაჭირში იყო ქვეყნის ყველა მკვიდრი, მანამდე გაგონილ და მომხდარ ყველა აოხრებასთან შეუდარებელსა და აღმატებულში“.

საქართველოსთვის მძიმე აღმოჩნდა „დიდი თურქობის“ შედეგები. ეს არ იყო მხოლოდ შემოსევების შედეგად დანგრეული და გადამწვარი ციხესიმაგრეები, დახოცილი ადამიანები. თურქ-სელჩუკები სახლდებოდნენ დაკავებულ მიწა-წყალზე, მათი ყოფა-ცხოვრება, მეურნეობა კი ქართულისგან სრულიად განსხვავებული იყო. როგორც ძველი, ისე თანამედროვე ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოს დიდ საშიშროებას სწორედ ეს ფაქტორი უქმნიდა.

წყარო ა) უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, XI-XII სს.

„მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი... კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი... აღივსო თურქითა“. შემოსეულებმა ქუთაისი და არტანუჯი გადაწვეს. „და ესე იყო პირველი დიდი თურქობა“.

წყარო ბ) მარიამ ლორთქიფანიძე, თურქ-სელჩუკთა შემოსევები „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III

„სელჩუკები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით, სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწა-წყალზე და სამეურნეოდ ვარგის მთელ ფართობს საძოვრებად აქცევდნენ. ნადგურდებოდა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა. მემინდვრეობა-მებაღეობა-მევენახეობის ადგილს მომთაბარულ-მეჯოგური მესაქონლეობა იჭერდა“.

წყარო გ) ნიკო ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისთვის. წიგნში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. VIII

„თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და თავისი მეურნეობისთვის საჭირო მიწებს იჭერდნენ... ერთმანეთის შეუთავსებელი და გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა – თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“.

Don't copy

9. შეადარე წყაროები ერთმანეთს და იმსჯელე, რატომ იყო შეუთავსებელი საქართველოს ეკონომიკისთვის თურქულ-მომთაბარული მეურნეობა?

10. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 9. შეავსე ცხრილი I. მარცხნივ ჩამოწერე თურქ-სელჩუკთა სულთნები მათი მმართველობის წლების მითითებით, მარჯვნივ – იმ დროის საქართველოს მეფეები და რა ხდებოდა ამ პერიოდში საქართველოში.

11. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 10. შეავსე ცხრილი 2, რომელშიც საკუთარი სიტყვებით უნდა დაახასიათო მეურნეობის ორივე ტიპი: რა დარგებს აერთიანებს როგორც ერთი, ისე მეორე ტიპი; ჩამოთვალო, რა სამუშაოებს ასრულებს როგორც მიწათმოქმედი, ისე მომთაბარე-მეჯოგე; დაბოლოს, გამოთქვა მოსაზრება, განსაზღვრავს თუ არა მეურნეობის ხასიათი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ცივილიზაციის დონეს.

თურქული ტომების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი გახდა და გიორგი II-მ 1083 წ. თავი დამარცხებულად ცნო. მან სამეფო დარბაზთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა, სულთან მალიქ-შაჰს ხლებოდა, მორჩილება გამოეცხადებინა და ყოველწლიური ხარკის საფასურად ზავი და მშვიდობა ეთხოვა. სულთნის ის მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც ბაგრატ IV-ს შეუძლებლად მიაჩნდა, გიორგი II-ისათვის სათხოვნელი შეიქმნა. მალიქ-შაჰმა საქართველოს მეფე დიდი პატივით მიიღო. გიორგიმ ხარკის გადახდა იკისრა, სამაგიეროდ კი მალიქ-შაჰი დაჰპირდა, რომ თურქული ტომების საქართველოში ყოველწლიურ შემოსვლას აღკვეთდა. ასევე, გიორგის გადასცა კახეთ-ჰერეთი და მის დასაკავებლად ჯარიც გამოაყოლა. გიორგი II-მ **ვეჯინის** ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ მემატიანის სიტყვებით, დაზამთრებისთანავე მეფეს აჯამეთის ტყეში ნადირობა მოენატრა, ციხეს ალყა მოხსნა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ ფაქტს ქართველი ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად აფასებენ.

ვეჯინი – სოფელი კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში
აჯამეთი – სოფელი იმერეთში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში

წყარო დ) ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II

„ამავე დროს უკვე შემოდგომა დაიწყო და დაზამთრდა, თოვლიც მოვიდა. დადგა, როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, ნადირობის ხანა და გატაცებულმა მონადირემ გიორგი II-მ ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს თავი მიანება და სანადიროდ გაეშურა, ვეჯინის გარემოცვის დამთავრება კი თავის ხელქვეით მოხელეებს და სამხედრო პირებს ანდო. ამ ცხადი პოლიტიკური ქარაფშუტობის წყალობით კახთა მეფეს აღსართანს სრული საშუალება ჰქონდა, გიორგი II-ის უსუსური ზრახვა გაექარწყლებინა იმავე გზით, რომლითაც გიორგი II-ს თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელება სურდა. აღსართანმა მისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. კახთა მეფე აღსართანი მელიქ-შაჰთან წავიდა და შეევედრა, კახთა სამეფო კვლავ მის ხელში დაეტოვებინა“.

წყარო ე) მარიამ ლორთქიფანიძე, თურქ-სელჩუკთა შემოსევები. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III

„უკანასკნელ ხანს არის ცდა აიხსნას ეს, ერთი შეხედვით, მართლაც დაუფიქრებელი და მძიმე ნაბიჯი გიორგი მეფისა. გასათვალისწინებელია ის, რომ სულთანთან მისულ გიორგი მეფეს არავითარი საშუალება არ ჰქონდა, უარი ეთქვა მის წყალობაზე და არ წამოეყვანა თან სელჩუკთა ლაშქარი „ნაჩუქარი“ კახეთისა და ჰერეთის დაპყრობის მიზნით, მაგრამ ამასთანავე გიორგის უნდა სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა შედეგად სელჩუკთა მიერ კახეთისა და ჰერეთის აღებას. ამიტომ ერთადერთი, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა, თვითონ მაინც არ მიეღო მონაწილეობა ამ ქართული კუთხის აღებაში და თავისი ლაშქრით არ შეეწყო ხელი სელჩუკებისთვის. ალბათ ამიტომ გაეცალა მათ და დასავლეთ საქართველოში გადავიდა“.

Don't copy

1088 წელს ისედაც გაჭირვებულ და აოხრებულ ქვეყანას ახალი უბედურება დაატყდა თავს – მიწისძვრა. ქალაქები, სოფლები და ციხესიმაგრეები, მათ შორის თმოგვის ციხე, დაინგრა. მიუხედავად დაპირებისა, თურქული მომთაბარე ტომების ნაწილი სულთანს არ უჯერებდა და საქართველოში მაინც შემოდიოდა. ქვეყანაში შექმნილი ვითარება უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. 1089 წელს სამეფო კარზე არსებულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გიორგი II აქტიურ პოლიტიკას ჩამოაშორა. ის გადადგა და ტახტზე მისი ერთადერთი ვაჟი დავით IV ავიდა.

12. იმსჯელე, მალიქ-შაჰთან წასვლის და ხარკის გადახდის პირობის დადების გარდა, ჰქონდა თუ არა გიორგი II-ს სხვა გამოსავალი?

13. როგორ შეიცვლა საქართველოს საგარეო პოლიტიკა გიორგის მეფობის მიწურულს და რა არის ამის მიზეზი?

14. შენი აზრით, რა მდგომარეობაა ბიზანტიაში და რატომ ვერ ახერხებს ის გავლენის შენარჩუნებას რეგიონში?

15. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ჯარებმა საქართველო ააოხრეს, ქართველი მემატიანე მალიქ-შაჰს აქებს და მას „სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთა უწოდებს“. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

16. იმსჯელე, რამდენად გულწრფელი იყო თურქ-სელჩუკთა სულთანი, როდესაც გიორგი II-ს კახეთ-ჰერეთი უწყალობა და რამდენად შედიოდა თურქების ინტერესებში საქართველოს გაერთიანება?

17. გამართეთ დისკუსია კითხვაზე: ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომაა სხვადასხვაგვარად ახსნილი ვეჯინის ციხის ალყის დროს გიორგი II-ის საქციელი? შენ რომელ მოსაზრებას უჭერ მხარს? რატომ?

18. დ) და ე) წყაროების გაანალიზებისა და განხილვის შემდეგ, შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 11.

19. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 12. გაიხსენე შესწავლილი მასალა და იმსჯელე, ერთიანი საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ როგორ იცვლებოდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური სტატუსი და მდგომარეობა.

Don't copy

5-6 რა შედეგები მოუტანა საქართველოს დავით IV აღმაშენებლის რეფორმებმა

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე 16 წლის დავით IV ავიდა. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გამეფებისთანავე დავით IV-მ თანამიმდევრულად დაიწყო ცვლილებები. თურქ-სელჩუკთა თარეშის აღსაკვეთად მან მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილური რაზმები შექმნა, რომლებიც მტერს თავს მოულოდნელად ესხმოდნენ. თურქთა თარეშის აღკვეთამ საშუალება მისცა მთაში გახიზნულ გლეხობას, მეურნეობას დაბრუნებოდა.


წყარო ა) უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს. (ტექსტი ადაპტირებული)

„დავითის გამეფებისას აოხრებული იყო ქართლი და ციხეების გარდა მოსახლეობა არსად იყო, არც რაიმე ნაგებობა იდგა... სამეფოს საზღვარი მაშინ ლიხის მცირე მთაზე გადიოდა... როდესაც მეფეს ქართლის ჭალებში ან ნაჭარმაგევში ნადირობა მოესურვებოდა, სადაც მრავლად იყო ირმები და ტახები, ცხენოსნებს ჩამოგზავნიდნენ და დაზვერავდნენ იქაურობას. მხოლოდ ამგვარად ჩამოდიოდნენ სანადიროდ ბარში“.

საერთაშორისო სარბიელზე მიმდინარე მოვლენების ქრონიკა

1092 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი გარდაიცვალა და სახელმწიფოში შინაარეულობა დაიწყო. თავდაპირველად უფლისწულთა შორის ტახტისთვის ბრძოლა ატყდა, შემდეგ ერთიან სასულთნოს დამოუკიდებელი სამთავროები გამოეყო. ასე შეიქმნა რუმის სასულთნო მცირე აზიაში, სელჩუკური სამთავროები ქერმანსა და სირიაში. ფეოდალური აშლილობის მიუხედავად, თურქ-სელჩუკებს მაინც ახლო აღმოსავლეთის უდიდესი ნაწილი ეკავათ.

1095 წელს თურქ-სელჩუკებისგან შევიწროებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა დასახმარებლად დასავლეთს მიმართა. იმავე წელს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში რომის პაპმა ურბან II-მ შეკრებილ საზოგადოებას აღმოსავლეთში სალაშქროდ და წმინდა ქალაქის – იერუსალიმის მუსლიმებისგან გასათავისუფლებლად მოუწოდა.



სურ. 1. ანტოქიის ალყა (I ჯვაროსნული ლაშქრობა). ჟან კოლომბას მინიატურა სებასტიენ მამროს წიგნიდან „ფრანგთა ლაშქრობა უტრემერში“ (1474 წ.)

1096 წელს ევროპელი რაინდები აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. ასე დაიწყო I ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც 1099 წლამდე გაგრძელდა. 1098 წელს ჯვაროსნებმა სირიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი, ანტიოქია, აიღეს, ხოლო მომდევნო წელს – იერუსალიმი. სწორედ ამ პერიოდში დავით IV აღმაშენებელმა თურქებს ხარკი შეუწყვიტა. ჯვაროსნებმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო თურქ-სელჩუკებისგან გაათავისუფლეს და საკუთარი სამეფო-სამთავროები შექმნეს.

Don't copy

1. **როგორ აღწერს დავითის ისტორიკოსი საქართველოში შექმნილ ვითარებას?**
2. **ა) წყაროს მიხედვით, გამეფების დროისთვის საქართველოს რომელ ტერიტორიას აკონტროლებდა დავით IV?**
3. **ისტორიიდან გაიხსენე ანალოგიები, როდესაც დიდი იმპერიები უფრო მცირე პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა.**
4. **ისტორიიდან გაიხსენე ანალოგია, როდესაც ომი რელიგიური მოწოდებით მიმდინარეობდა.**
5. **როგორ შეუწყო საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი დავითის გადაწყვეტილებას სელჩუკებისთვის ხარკის შეწყვეტის შესახებ?**
6. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 13. დროის ხაზზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დაიტანე XI საუკუნის ბოლოს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მომხდარი მოვლენები. იმსჯელე, როგორ გამოიწვია ერთმა მოვლენამ მეორე.**
7. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 14. კონტურულ რუკაზე დაიტანე I ჯვაროსნული ლაშქრობის მარშრუტი და სამეფო-სამთავროები (გამოიყენე რუკა 6 და 7). შეადარე თანამედროვე პოლიტიკურ რუკას და ჩამოწერე, რომელი ქვეყნების ტერიტორია გაიარეს მათ, რომელი ქვეყნები მდებარეობს ჯვაროსნული სამეფო-სამთავროების ადგილას.**



რუკა 6. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა 1096-1099 წწ.



Don't copy

რუკა 7. ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები

გამეფებისთანავე დავით IV-მ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებს. ურჩი ფეოდალი ლიპარიტ V ბაღვაში მეფემ ჯერ დაიმორჩილა და შეიწყალა, მაგრამ როდესაც ერისთავმა ღალატი არ მოიშალა, კვლავ შეიპყრო და ბიზანტიაში გააძევა. ბაღვაშთა მამული – თრიალეთი (კლდეკარის საერისთავო), უდიდესი სტრატეგიული მდებარეობის მქონე რეგიონი, რომელიც მთელი XI ს.-ის მანძილზე სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა მთავარი დასაყრდენი იყო, დავითმა გააუქმა და სამეფო საკუთრებად აქცია. მამისგან განსხვავებით, დავითმა მოღალატე და თავნება ფეოდალების შემწყნარებლობის პოლიტიკა უარყო და შეტევაზე გადავიდა. მან თანდათან გააუქმა ძველი, მემკვიდრეობითი საერისთავოები და ეს სამფლობელოები ერთგულ აზნაურებს გადასცა „საკარგავად“, სამსახურის სანაცვლოდ. დავითმა სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის შესაბამისად ჩამოაყალიბა „მონაპირე საერისთავოები“, რომელთა ფუნქცია სახელმწიფო საზღვრების დაცვა იყო.

დავითის საშინაო რეფორმების შემადგენელი ნაწილი იყო ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია. 1104 წელს რუისისა და ურბნისის საკათედრო ტაძრებში გაიმართა საეკლესიო კრება (კრება ჯერ რუისში დაიწყო, შემდეგ კი ურბნისში გადავიდა). ამ კრების გადაწყვეტილებების კრებული, რომელიც „ძეგლისწერის“ სახელითაა ცნობილი. გადმოგვცემს: „შეიკრიბა კრება ღვთისმოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკვანთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა...“. დავითის მეურვეობით ეკლესია გაიწმინდა უღირსი მღვდელმთავრებისგან, რომლებსაც თანამდებობები ფულით და გვარისშვილობით ჩაეგდოთ ხელში. საეკლესიო თანამდებობები იყიდებოდა. ამ მოვლენას ბიზანტიასა და ევროპაში **„სიმონია“** ეწოდებოდა. ახალი საეკლესიო პოლიტიკის განხორციელებაში დავითს მხარში ედგნენ მისი გამზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი, მამა – გიორგი II, მამიდა, ბიზანტიის ყოფილი დედოფალი, მართა-მარიამი, მოძღვარი არსენ ბერი, იოანე კათალიკოსი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ თანახმად: 1. სასულიერო მსახურებისგან განიკვეთა უღირსი პირები. მათ ნაცვლად კრებამ უფრო ღირსეული პირები შეარჩია, რომლებიც ასაკითაც და თავიანთი საქმიანობითაც უფრო შეეფერებოდნენ ასეთ თანამდებობებს. 2. დაკანონდა სასულიერო პირთა ხელდასხმის ასაკი, რომელზე ადრეც დაუშვებელი იყო კურთხევა. 35 წელი – ეპისკოპოსისათვის, 30 – მღვდლისთვის, 25 – დიაკონისთვის. 3. კრებამ აკრძალა ერთ დღეში ერთი საეკლესიო თანამდებობიდან მეორე და მესამე ხარისხზე აყვანა. კრებამ აუცილებლად მიიჩნია საეკლესიო იერარქიის სრულად გავლა დამსახურების მიხედვით. 4. მკაცრად დაისჯებოდა მექრთამეობაში შემჩნეული სასულიერო პირი. 5. აიკრძალა ეკლესიის გარეთ ნათლობა და ჯვრისწერა. 6. აიკრძალა არასრულწლოვანთა ჯვრისწერა. საქორწინო ასაკად დადგინდა ქალთათვის – 12 წელი. 7. კრებამ დაგმო მონასტრებში მოძღვართა სიმრავლე და დაადგინა მცირე მონასტერში ერთი მოძღვრის, ხოლო დიდში ორის ყოფნა. 8. აიკრძალა მონასტრებთან ვაჭრობის (ბაზრობის) გამართვა.



სიმონია – საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა. სახელი ეწოდა სიმონ მოგვის მიხედვით, რომელმაც იესო ქრისტეს მოციქულებს, პეტრესა და იოანეს სთხოვა მიეყიდათ მისთვის ხელდასხმით სულიწმინდის გადაცემის უნარი. IV, VI და VII მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებით სიმონია აიკრძალა. დადგინდა, რომ თანამდებობებით და სიწმინდეებით მოვაჭრე პირები ეკლესიიდან უნდა განდევნილიყვნენ.

წყარო ბ) უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„გაათავისუფლა არა მარტო მონასტრები და ლავრები, არამედ ბერებიც ბეგარისაგან, რათა ღმერთისთვის თავისუფლად ემსახურათ“.

ეკლესიაში ვითარების მოგვარების შემდეგ დავითმა დიდი ყურადღება მიაქცია სამოხელეო აპარატის რეფორმირებას. მან ძველი „უხუცესები“ ვეზირებად აქცია და ცალკეული სფეროები (სამხედრო – ამირსპასალარი, საპოლიციო – მანდატურთუხუცესი, საფინანსო – მეჭურჭლეთუხუცესი) ჩააბარა სამართავად. ასევე მეფის ინიციატივით გაერთიანდა ორი თანამდებობა – მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის. მწიგნობართუხუცესი მეფის მოხელე იყო. მას მეფის მოხელეთა შორის პირველი ადგილი ეჭირა. ჭყონდიდელი ჭყონდიდის ეპისკოპოსი იყო, რომელიც

Don't copy

კათალიკოსის შემდეგ ეკლესიაში ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა.

შეიქმნა სპეციალური საპოლიციო უწყება – „მსტოვართა“ სამსახური, რომელსაც ევალებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო დაზვერვა.

ცვლილებები შეეხო სასამართლო უწყებასაც. უმაღლეს სასამართლოს საქართველოში „სააჯო კარი“ ეწოდებოდა. დავით IV-მდე „სააჯო კარზე“ შესულ საქმეებს მეფე განიხილავდა. თუმცა მას ამ მოვალეობის შესასრულებლად ხშირად დრო არ ჰქონდა და მომჩივნებს დიდხანს ლოდინი რომ არ დასჭირვებოდათ, დავითმა სასამართლო საქმეების განხილვა სამ მოხელეს: მწიგნობართუხუცესს და ორ მწიგნობარს დაავალა. ამის შემდეგ უმაღლესი სასამართლოს წარმოება შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

წყარო გ) უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ბევრ სიკეთესთან ერთად შემდეგიც დაადგინა: რადგან მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთად მისი სწრაფი გადაადგილების გამო ადვილად ვერ მიდიოდნენ მასთან მოჩივარნი, გაჭირვებულნი და დაჩაგრულნი, ისინი, ვისაც განკითხვა და მეფობრივი შეწევნა სჭირდებოდა, გზის მახლობლად მდებარე რომელიმე ბორცვზე ან კლდეზე, გინდაც ხეზე უნდა ასულიყვნენ, როგორც ზაქნი. თუ ვინმე ამგვარს შენიშნავდა მეფე, გაგზავნიდა მასთან მის მიერვე დადგენილ სამართლიან კაცებს, რომელთაც უნდა გამოეძიებინათ მოჩივარის საქმე და დახმარება გაეწიათ მისთვის...

ამ ყოვლად ბრძენ მეფეზე კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას... სამეფოს თუნდაც მოშორებულ კუთხეში ან მის ლაშქარში არ მოიძევებოდა დიდი თუ მცირე, ვისი ჩადენილი საქმეც, კეთილი ან ბოროტი ნათქვამი, მეფისათვის დაფარული დარჩებოდა. არაფერი რჩებოდა გასაიდუმლოებული – ყველაფერი, ფარულად ქმნილი თუ თქმული, მისთვის გაცხადებული ხდებოდა; ისეთ შიშის ზარს სცემდა, რომ დამნაშავეთა ზრახვებსა და ფიქრებსაც კი მოახსენებდნენ მას... ნუ იძიებ, მკითხველო, როგორ ახერხებდა ამას: კარგად უწყოდა, რა სარგებლობა მოჰყვებოდა მისთვის ამგვარ სიმკაცრეს... დიდი და საშური საქმეები მოაგვარა ამ გზით მეფემ, რაც ბევრი სიკეთის მიზეზად იქცა: უწინდებური ორგულობის, მზაკვრობისა და ღალატის გულში გავლებასაც კი ვერავინ გაბედავდა, ვერც დიდი და ვერც პატარა, არათუ თქმას თუნდაც თავისი მეუღლისა და თანამეცხედრისათვის, ახლობლისათვის თუ შვილებისათვის, რადგან ყველამ დანამდვილებით უწყოდა, რომ სიტყვის პირიდან ამოსვლისთანავე ეს სიტყვა მეფისათვის ცნობილი გახდებოდა. მრავალი სწორედ ამის გამო იქნა დასჯილი და მხილებული. ამის გამო მისი მეფობის მანძილზე ვერავინ გაივლო გულში ღალატი – დავითი ყველასათვის მოსარიდებელი და პატივსაცემი იყო“.

წყარო დ) ნიზამ ალ-მულქი, „სიასეთ-ნამე“, XI ს.

„მეფემ უნდა იცოდეს თითოეული სახელმწიფო მოსამართლის საქმიანობის შესახებ. უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულს, ვინც განსაკუთრებით მცოდნეა, თავშეკავებული და პატიოსანია, ხოლო ვინც ასეთი არ არის, საჭიროა, გადავაყენოთ და მის ადგილას ღირსეული დავნიშნოთ. აუცილებელია, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილ იქნეს ყოველთვიური ანაზღაურებით, რათა დანაშაულის ჩადენის მიზეზი არ არსებობდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი განკარგავენ მუსლიმების სიცოცხლესა და ქონებას. თუ რომელიმე მათგანი უცოდინაროზით ან სიხარბის გამო არასწორ განაჩენს გამოიტანს, სხვა მოსამართლეებმა ეს ცუდი განაჩენი არ უნდა დაადასტურონ და ხელმწიფეს უნდა შეატყობინონ; ის მოსამართლე უნდა გაათავისუფლონ და დასაჯონ...

ხელმწიფემ ყველაფერი უნდა იცოდეს საკუთარი ხალხისა და ჯარის შესახებ, თავის სიახლოვესა და მოშორებითაც, უნდა გაიგოს მნიშვნელოვანი და შედარებით უმნიშვნელო ამბები. თუ ასე არ მოიქცევა, იტყვიან: მბრძანებელმა იცის თუ არა სახელმწიფოში გამეფებულ გაჭირვებასა და თვითნებობაზე? თუ იცის და არაფერს აკეთებს, ე. ი. ისიც არასამართლიანია და ხელს უწყობს უსამართლობას; ხოლო თუ არ იცის, მაშინ უგერგილო და უცოდინარია. არც ერთი ვარგა და არც მეორე... ქვეყნიერების ყველა მხარეს საჭიროა გაიგზავნოს მსტოვრები ვაჭრების, მოგზაურების, სუფიების, წამლების გამყიდველების, მათხოვრების სახით; რასაც ყურს

Don't copy

მოჰკრავენ, მათ ყველაფერი უნდა შეგვატყობინონ, რათა არაფერი დამალული არ იყოს; ხოლო თუ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდება, დროულად მივიღებთ შესაბამის ზომებს. ხშირად ხდება, რომ ადგილობრივი მმართველები, ემირები, მოხელეები ხელმწიფის წიანაღმდეგ ბოროტმოქმედებას, მტრობას გეგმავენ; თუ მბრძანებელს ეს ამბავი მსტოვარმა დროულად შეატყობინა, ის უეცრად დაესხმება თავს შფოთის დამთესს და დროულად აღკვეთს მათ უკანონო ქმედებას; ან თუ უცხო ქვეყნის მბრძანებელი თავისი ჯარით მოემართება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, დროული შეტყობინების შემთხვევაში ჩვენი ხელმწიფე მოასწრებს მომზადებას და უკუაგდებს მტერს. ასევე თუ მსტოვარი შეატყობინებს მეფეს ხალხის მძიმე მდგომარეობის შესახებ, ხელმწიფე მზრუნველობას გამოიჩენს საკუთარი ხალხის მიმართ“.



ნიზამ ალ-მულქი – ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის I ვეზირი. მან დაწერა ნაშრომი „სიასეთ ნამე“ – წიგნი სახელმწიფოს გამგებლობისთვის.



8. რატომ გადაწყვიტა მეფემ პირველ რიგში დიდებულთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლა?

9. დავითის ისტორიკოსი ბაღვაშთა საგვარეულოს შემდეგნაირად მოიხსენიებს: „სახლი გამამწარებელთა“. როგორ ფიქრობ, რატომ გაგრძელდა დავითის ეპოქამდე მათი დაუმორჩილებლობა?

10. შენი აზრით, რა უპირატესობა ჰქონდათ მონაპირე საერისთავოებს სხვა საერისთავოებთან შედარებით?

11. მოსწავლის რვეულში შეასრულე დავალება 15. გააანალიზე სახლმძღვანელოს ტექსტი და ბწყარო და ივარაუდე, რატომ ჩაერია მეფე ეკლესიის საქმეებში? სასარგებლო იქნებოდა თუ არა ეკლესიის რეფორმა ქვეყნის ძლიერებისათვის?

13. მოსწავლის რვეულში შეასრულე დავალება 16. შეადარე თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში და საქართველოში ჩატარებული სასამართლო და საპოლიციო უწყების რეფორმა (წყარო გ და დ). რა მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერი სასამართლო და საპოლიციო უწყების შექმნას ქვეყნის წარმატებისთვის?

14. იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლო წარმოების ქვეყნის მართვა-გამგეობიდან გამოყოფა?

15. როგორ იცვლება დავითის დროს სამეფო კარის პოლიტიკა დიდებულების მიმართ? როგორ ფიქრობ, რა გაითვალისწინა დავითმა გიორგი II-ისა და ბაგრატ IV-ის მოღვაწეობიდან?

16. როგორ ფიქრობ, რატომ წერს უცნობი ავტორი: „ნუ იძიებ, მკითხველო, როგორ ახერხებდა ამას“?

17. შენი აზრით, რა შეიძლება ეწოდოს დავით აღმაშენებლის მმართველობის სტილს და რამდენად მართებულად მიგაჩნია სახელმწიფოს მართვის პროცესში ამგვარი ხერხების გამოყენება? განაპირობებს თუ არა დრო და ეპოქა მმართველობის სტილს და რატომ?

18. შენი აზრით, რამდენად ობიექტურია დავითის ისტორიკოსი? რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი რეალობის ობიექტურად ასახვაში?

დავით IV-მ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა სამხედრო სფეროშიც. მან არმია სამ ნაწილად გაყო – „მონა-სპად“, მეციხოვნეებად და მოლაშქრეებად. „მონა-სპა“ 5 000 მოლაშქრისგან შედგებოდა და მეფის პირადი გვარდია იყო. მას სასწრაფო სამხედრო დავალებების შესრულება ევალებოდა. მეციხოვნეები ციხეებსა და ქალაქებს იცავდნენ. ჯარის დანარჩენ ნაწილს მოლაშქრეები შეადგენდნენ. ომის დროს მეფე იყენებდა „როქის-სპას“, დაქირავებულ მეომრებს (ძითადად ჩრდილოეთი კავკასიიდან).

Don't copy

1118 წელს დავითმა ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ მისი მეორე მეუღლე, გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანისძის ქალიშვილი იყო. ჩამოსახლებულ ოჯახებს მიწის ნაკვეთები დაურიგეს და დაევალათ, რომ თითოეულ ოჯახს საქართველოს მუდმივ ჯარში ერთი შეიარაღებული მოლაშქრე გამოეყვანა. ეს ჯარი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

დავითის გადაწყვეტილებით, სამხედრო ალაფს მოლაშქრეები აღარ ინაწილებდნენ და ის სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა. სამაგიეროდ, ჯარისკაცებს ჯამაგირი დაენიშნათ.

მეფემ ააგო და აღადგინა ციხე-ქალქები და ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები. დავით IV-ის მეფობის დროს აშენდა გელათის მონასტერი და აქ სასულიერო აკადემია დაარსდა. აქ მოიწვია მან საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი სწავლულები. აკადემიაში შვიდი ძირთადი დისციპლინა ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია. სავარაუდოდ, ისწავლებოდა მედიცინაც. ამისათვის გელათში აიგო „ქსენონი“ – საავადმყოფო.



სურ. 2. სვერდლოვსკის ოლქის სოფ. კვაშნიკოვკას სამარხში აღმოჩენილი ყივჩაყი მეომარი. 1959 წლის რეკონსტრუქცია (გ. ლებედინსკაია).

ყივჩაყები – XI საუკუნეში ჩრდილოეთ შავიზღვისპირთისა და კასპიისზღვისპირეთის სტეპებში მომთაბარე თურქულენოვანი ტომი. მისდევდნენ მომთაბარე მესაქონლეობას. ტომის სათავეში ხანი იდგა. ჰყავდათ ცხენოსანი ჯარი.

19. რატომ იყო ქართული ფეოდალური ლაშქრისთვის უცხო მოვლენა მუდმივი ჯარი? როგორ ფიქრობ, ვის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა მუდმივი ჯარის არსებობა?

20. შენი აზრით, როგორ შეუწყობდა ხელს ქვეყნის გაძლიერებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა?

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 17. მოსწავლის რვეულში შეავსე ცხრილი: შესაბამის გრაფაში ჩაწერე, რა მიზანს ემსახურებოდა დავითის მიერ ჩატარებული რეფორმები (შეეცადე, გააანალიზო კონკრეტული ღონისძიებები, მაგ., მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანება, ეკლესიის გადასახადისგან განთავისუფლება, ყივჩაყი მეომრების ჩამოყვანა და ა. შ.).

22. დავით აღმაშენებლის რომელი რეფორმა მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად? პასუხი დაასაბუთე.

1104-1105 წლებში დავითმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთი. კახეთ-ჰერეთის მეზობელი მუსლიმური სამთავროს მმართველი – განძის ათაბაგი კახელებთან ერთად დავითს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ დავითის ტიტული გახდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“.

ამის შემდეგ დავითმა დაიწყო ბრძოლა ქვემო ქართლისთვის, სადაც თურქების ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. 1110 წელს მან აიღო ციხე-ქალაქი სამშვილდე, რასაც თურქი სულთნის საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში. მაგრამ დავითმა თურქები თრიალეთში დაამარცხა და უკუაქცია.

1115 წელს დავითმა აიღო რუსთავი.

1116 წლიდან დავითი საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებისთვის იბრძვის. მან ტაოში დაბანაკებული თურქები განდევნა. შემდეგ ჰერეთის უკიდურესი ციხესიმაგრე გიში აიღო.

1118 წელს ქვემო ქართლში ლორესა და აგარანის აღებით დავითმა საბოლოოდ გაიმყარა პოზიციები ქვემო ქართლში. ქართველი მეფისგან დამოუკიდებელ ქალაქებად თბილისი და დმანისი რჩებოდა. **ლორეს** აღების შემდეგ საქართველოს მეფის წოდებაში გაჩნდა „სომეხთა მეფის“ ტიტული.

ლორე – XI საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან ტაშირ-ძორაკერტის სომხურ-ქართული სამეფოს პოლიტიკური ცენტრი.

Don't copy

23. რა ტერიტორიებს ფლობდნენ დავითის წინამორბედები და როგორ შეიცვალა ქვეყნის საზღვრები მისი მმართველობის დროს?

დავით IV-ს აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან – ბიზანტიასთან, იერუსალიმის სამეფოსთან. ამის შესახებ სხვადასხვა დროის წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ.

წყარო ე) რორგო ფრეტელუსი, იერუსალიმის სამეფოში მოღვაწე სახელმწიფო მოხელე და სასულიერო პირი, ნაწყვეტი იერუსალიმის მეფის, ბოლდუინ I-ის პანეგირიკიდან, 1137 წ.

„ის გოდფრი შეცვალა მისმა ძმამ **ბოლდუინმა,** ედესის პირველმა მთავარმა... ფრანგთა არმიის თრაკიაში გამოჩენისას ბერძენმა **ალექსიმ** მიიღო ის, როგორც შვილი და ხშირი სტუმრობისას მეფურ საჩუქრებს უძღვნიდა. დავით სომეხთა, აფხაზთა მეფე ხშირად უგზავნიდა მას **ინსიგნიებს**. ხოლო ხორასნელი და სპარსელი დიდებულები სტუმრობდნენ მას და ყველაზე ღირსეულ და კეთილშობილ მეფედ აღიარებდნენ...“

წყარო ვ) იოანე ბატონიშვილი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი, „კალმასობა“, XIX ს

„მოვიდა დაფარვით ხილვად მეფისა დავითისა, ბერძენთა მეფე **ალექსანდრე,** ხოლო ამავე რიცხვსა შინა იყო **ბალდვოინ,** იერუსალიმის მეფე, რომელმაც მრავალი ძღევა მიიღო არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა ცნეს ამათი იდუმალ მოსვლა და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა“.

პანეგირიკი – ვინმესადმი მიძღვნილი სახოტბო, საქებარი სიტყვა.
ბოლდუინ I – იერუსალიმის სამეფოს მეორე მეფე (1110-1118). შეცვალა ძმა, გოტფრიდ ბულონელი (1099-1110).
ალექსი – ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი (1081-1118).
ინსიგნიები – ხელისუფლების სიმბოლო, ნიშანი. ამ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს მტრისთვის წართმეული დროშები.
ბალდვოინ, იგივე ბოლდუინ II – იერუსალიმის სამეფოს მესამე მეფე (1118-1131).
ალექსანდრე, ბერძენთა მეფე – იგივე ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი.

24. შენი აზრით, პანეგირიკში რატომაა დასახელებული მხოლოდ ორი მონარქი – ბიზანტიის იმპერატორი და საქართველოს მეფე?
25. თუ ინსიგნიებში მოწინააღმდეგისთვის წართმეულ დროშებს ვიგულისხმებთ, შენი აზრით, რატომ უგზავნიდა დავით IV მათ იერუსალიმის მეფეს?
26. გააანალიზე ე) და ვ) წყაროები და იმსჯელე საქართველოსა და იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ურთიერთობის ხასიათზე.

1120-21 წლებში დავით IV თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ერთიან გაშლილ ბრძოლას აწარმოებდა. მან თბილისის გარშემო მდებარე ციხე-ქალაქები აიღო და განჯიდან დმანისისა და თბილისისკენ მიმავალი სავაჭრო გზა გააკონტროლა. საქართველოს მეფემ თბილისის მოსახლეობას ყოველწლიურად ათი ათასი დინარის გადახდა დააკისრა.

Don't copy

წყარო ზ) უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ამგვარად შევიწროებული თურქმენები, აგრეთვე განძელ-ტფილელ-დმანელი ვაჭრები, ეახლნენ სულთანს: სპარსეთში ჩასულებმა შავად შეიღება ზოგმა პირი, ზოგმა ხელები, ზოგმაც მთელი სხეული. უამბეს სულთანს მათზე მოწეული გასაჭირისა და უბედურების შესახებ – ამ გზით დახმარების მიღება სურდათ მისგან. იყო მათ შორის დიდი გლოვა.

იხმო მაშინ სულთანმა არაბეთის მეფე დურბეზი, სადაყას ძე, მისცა მას თავისი ძე მალიქი და მთელი ლაშქარი; მხედართმთავრად დაადგინა ილ-ღაზი, არდუხის ძე. უბრძანა სულთანმა მთელ თურქმენთა მოდგმას, სადაც კი ვინმე იყო ბრძოლის შემძლე დამასკიდან და ჰალაბიდან ამოღმა, თავი მოეყარათ სალაშქროდ; მათთან ერთად განძის ათაბაგს მხედრობითურთ და სომხითის ყველა ამირას. იყო ქორონიკონის 341“.

სულთნის განკარგულებით მუსლიმთა კოალიციური არმია შეიკრიბა, რომელსაც სათავეში მარდინის მმართველი ილ-ღაზი ჩაუდგა. 1121 წლის 10 აგვისტოს თურქ-სელჩუკთა ლაშქარი მანგლის-თრიალეთის გზით საქართველოში შემოვიდა. ბრძოლა დიდგორის ველზე მოხდა.

წყარო თ) მათე ურჰაელი, სომეხი ისტორიკოსი, „ქრონიკა“, XII ს.

„მან (სულთანმა) ბრძანა, შეკრებილიყო დიდი ჯარი ყოველი თურქთა ტომიდან, დაწყებული ბერძენთა ქვეყნიდან ვიდრე აღმოსავლეთამდე – მთელი კერმანიის ჩათვლით. მისი ჯარები რიცხვით 150000 გახდა...

როდესაც ამის შესახებ ქართველთა მეფე დავითმა შეიტყო, წავიდა საბრძოლველად თურქთა ჯარის წინააღმდეგ 40000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცადი მეომრით. ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარიც, ყივჩაყთა მეფისგან – 15000 მამაცი და რჩეული კაცი, ალანთა ტომისაგან – 500 კაცი, ხოლო **ფრანგი** – 100.

რვა დღის განმავლობაში ყივჩაყთა და ქართველთა ჯარები ქალაქ ანისის საზღვრებამდე მისდევდნენ მათ. ხოლო ილ-ღაზი დიდი სირცხვილით დაბრუნდა თავის ქვეყანაში“.

წყარო ი) გოტიე, ფრანგი მემატიანე, ანტიოქიის სამთავროს კანცლერი, XII

„ილ-ღაზმა თურქმანთა და არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიბა და ამ შეკრებილთა სიმრავლე რომ ნახა, უაღრესი ამპარტავნობით გათამამებულმა, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა; რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის, შემდეგ თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებასა და ქრისტიანთა ამოწყვეტას...

იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ილ-ღაზი ექვსასი ათასი მეომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, ესე მეფე დავით, წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი... მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა... დადგა და წარმოთქვა ესრეთ: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს, თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა უნდა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე მოვკვდებით, მაგრამ არ გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შევსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, და როცა მოგვიახლოვდებიან, მტრებს სასტიკად შევუტიოთ“. ასეთი მეფის, ამ ჭეშმარიტისა და სრული ქრისტიანის აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა. მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი რომ ჰყავდა, ისინი წინ დააყენა პირველი დარტყმის მისაყენებლად. ჯარისკაცთა ძლიერ ყიჟინას, ცხენთა და აბჯართა ხმაურს, ურჯულოთა ზარდამცემ ბაირაღებს, სხვადასხვა საკრავთა ხმაურს მთა და ბარი ბანს აძლევდა. მეფე დავითი კი მოთმინებით ანუგეშებდა თავისიანებს, რომ ურჯულოთა სიმრავლე, წმინდა ჯვრის ძალითა და შეწევნით მალე დაითრგუნებოდა. ...გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ილ-ღაზის ჯარის უმრავლესობა მოისრნა ქართველთა მეფის მახვილითა. თვით ილღაზმა თითქმის ყველაფერი დაკარგა და, თავში დაჭრილი, ღვთის ნებით მცირეოდენ ლტოლვილთა თანხლებით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი...“

Don't copy

ფრანგი – იგულისხმება ჯვაროსანი რაინდები

ბრძოლის წინ დავით IV-მ ჯარს მიმართა და უკან დასახევი გზა ხის მორებით ჩახერგა. შემდეგ 200 მეომარი გაგზავნა ილ-ღაზის ჯარისკენ. მოწინააღმდეგეს ეს რაზმი დასანებებლად წამოსული მოღალატეები ეგონა. როდესაც მტრის ბანაკში შევიდნენ, რაზმის წევრებმა ბრძოლა დაიწყეს და არეულობა შეიტანეს მათში. ამ დროს ქართველთა ჯარის ძირითადი ნაწილმა მეფის ხელმძღვანელობით მოწინააღმდეგის ცენტრს შეუტია, მთებში ჩასაფრებულმა მეორე ნაწილმა კი უფლისწულ დემეტრეს მეთაურობით მარცხენა ფლანგს დაარტყა. ამან საბოლოოდ არია ილ-ღაზის ჯარი და ისინი გაიქცნენ. დიდგორის ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს, დავითმა თბილისი აიღო.



სურ.3. XI-XIII სს. ქართველი მეომარი. თანამედროვე რეკონსტრუქცია. ავტ. გ. წიკლაური. https://intermedia.ge

27. როგორ ფიქრობ, მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობასთან დაკავშირებით რამდენად სანდოა წყაროების ინფორმაცია?

28. როგორ ფიქრობ, რატომ აარჩია დავითმა ბრძოლისთვის დიდგორი?


29. რით ჰგავს და რით განსხვავდება ერთმანეთისგან ზ), თ) და ი) წყაროებში მოცემული ინფორმაცია?

30. რამდენად მნიშვნელოვანია, ერთი ისტორიული ფაქტის შესწავლისას გამოვიყენოთ სხვადასხვა ავტორის წყარო? რატომ ფიქრობ ასე?

31. სურ. 3-ზე წარმოდგენილია იმ დროის ქართველი მეომრის თანამედროვე რეკონსტრუქცია. იმსჯელე მისი აღჭურვილობის შესახებ და გამოთქვი მოსაზრება, რამდენად საფუძვლიანია ამგვარი რეკონსტრუქცია. პასუხი დაასაბუთე.

32. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 18. წყაროების გაანალიზების შემდეგ დაწერე, შენი აზრით, რომელია ყველაზე მეტად სანდო და რამ განაპირობა შენი ეს არჩევანი (ცენტრში დაწერე ყველაზე ობიექტური).

33. რაზე მიუთითებს დავითის ლაშქარში ჯვაროსანი რაინდების მონაწილეობა?



სქემა 1. დიდგორის ბრძოლა

Don't copy

წყარო კ) ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი, „მაიაფარაკინის ისტორია“, XII ს.

„როდესაც დამარცხდა ილ-ღაზი და უკან გაბრუნდა იმათთან ერთად, ვინც გადარჩა, გაემართა მეფე აფხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰქონდა მოქცეული. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა. სამი დღის შემდეგ დაუზავდა მის მცხოვრებლებს და მოალბო მათი გულები. აღუთქვა მათ წყალობა და მოუხსნა იმ წლის ხარაჯა, დაუდო მუსლიმებს ყველა პირობა, რაც მათ მოისურვეს იმ პირობათაგან, რომლებიც ძალაშია ახლაც: რომ არ გამოვიდოდა იმ ქალაქის მუსლიმთა უბანში ღორი, არ დაიკვლებოდა იქ და არც ბაზარზე იქნებოდა გასაყიდად; მოუჭრა მათ დირჰემები, რომლის ერთ მხარეზე სულთნისა და ხალიფის სახელები იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეზე – სახელი ალაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა – მშვიდობა მას – და მისი (მეფის) სახელი კი დირჰემის კიდეზე. ქალაქში გამოცხადდა, რომ, ვინც მუსლიმს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, ნებას რთავდა, გაუსამართლებლად მოეკლათ. პირობა დაიდო, რომ აშკარად შეიძლებოდა აზანის... შესრულება და ყურანის კითხვა. რომ წარმოეთქვათ ხუტბა პარასკეობით, ელოცათ და მოეხსენიებინათ ხალიფა და სულთანი და მინბარიდან მათ გარდა არავინ არ მოეხსენიებინათ. დაუდო პირობა, რომ თბილისში ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი. და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური 5 დინარით, იუდეველისა (ებრაელების) – 4 დინარით, მუსლიმისა – 3 დინარით.

მეფემ მუსლიმებს უდიდესი პატივი მიაგო. მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ თვით მუსლიმებთანაც კი. მე ვნახე, რომ ყველა ეს პირობა ძალაში იყო მაშინაც, როცა ჩამოვედი თბილისში, 548 (1153-54) წელს“.

წყარო ლ) ალ-ჯაუზი, არაბი ისტორიკოსი, „ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიაში“, XII-XIII სს.

„შემდეგ დაეშვა დავითი თბილისში და დაიპყრო იგი მახვილით. მან გადაწვა და გაძარცვა იგი. შემდეგ მოალბო მცხოვრებთა გული და მათ სთხოვეს მას ზოგიერთი პრივილეგია... რომ იგი არ დაკლავდა თბილისში ღორს, ამოკვეთავდა დირჰემებსა და დინარებზე ალაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფის სახელებს, მუსლიმი მცხოვრებლები პარასკევ დღეს შეასრულებდნენ აზანსა და ხუტბას, ქრისტიანი არ შევიდოდა აბანოში მუსლიმებთან ერთად, არ შეავიწროებდა მუსლიმს. ყველა ეს პრივილეგია დღესაც აქვთ მათ“.

34. გამოთქვი ვარაუდი, რატომ მიმართეს თბილისელმა, დმანისელმა და განჯელმა ვაჭრებმა სულთანს დახმარებისთვის?

35 . ზ) თ) და ი) წყაროებისა და ბრძოლის სქემის მიხედვით აღადგინე დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობა.

36. რატომ იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თბილისის აღება?

37. გამოთქვი ვარაუდი, რატომ მისცა დავით IV-მ ასეთი პრივილეგიები თბილისში მცხოვრებ ებრაელებსა და მუსლიმებს? იმსჯელე, მისი ტოლერანტობის შესახებ.

მომდევნო წელს დავითმა ქალაქი დმანისიც აიღო. ამის შემდეგ მან არაქართული მიწებისთვის დაიწყო ბრძოლა. 1124 წელს აიღო ქალაქი ანისი (სომხეთი), შირვანი და დარუბანდი. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს საქართველოს მეფის წოდებას ემატება „შირვანშასა“ და „შაჰანშას“ (ანისის მმართველი) ტიტულები. 1125 წლის 24 იანვარს დავით IV გარდაიცვალა. იგი გელათის ტაძარში დაკრძალეს.



სურ. 4. ანისის გალავანი



სურ. 5. გელათი. შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში.

DoNotCopy



რუკა 8. საქართველო მეფე დავით IV აღმაშენებლის დროს 1089-1125 წწ.



სურ. 6. დავით აღმაშენებლის მონეტა.
მოჭრილია 1089-1099 წწ.
შუბლზე: ბერძნული წარწერა – დედა ღვთისა
ზურგზე: ასომთავრული წარწერა – ქრისტე ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი



სურ. 7. დავით აღმაშენებლის მონეტა.
შუბლზე: ასომთავრული წარწერა – დავით მეფეი
ზურგზე: ასომთავრული წარწერა – ქრისტე დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა

38. გააანალიზე რუკა 8 და იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის სომხეთის, შირვანისა და დარუბანდის შემოერთება.

39. რა სახის წყაროა წარმოდგენილი სურათი 6 და 7-ზე? რაზე მიუთითებს დავითამდე, ბაგრატ IV და გიორგი II-ის და დავითის დროს მოჭრილ მონეტებზე მოცემული ინფორმაცია?

40. შეადარე დავითის მონეტები და იმსჯელე, რატომ თქვა უარი დავითმა ბიზანტიურ ტიტულზე.

41. გამოთქვი ვარაუდი, რომელ წლებში შეიძლებოდა მოეჭრა დავითს სურ. 7-ზე წარმოდგენილი მონეტა.

42. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 19. შეავსე ცხრილი: რა მნიშვნელობა ჰქონდა დიდგორის ბრძოლას?

43. დავალება: წარმოიდგინე, რომ დიდგორის ბრძოლის მონაწილე ქართველი უფლისწული, დემეტრე ან მუსლიმთა ჯარის მეთაური, ილ-ღაზი ხარ. პარაგრაფის ტექსტის, ნაწყვეტებისა და წყაროების გამოყენებით შეადგინე „დიდგორის ბრძოლის“ შენეული ვარიანტი (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგი). შესრულებული დავალება წარმოადგინეთ კლასის წინაშე, მოაწყვეთ პრეზენტაცია და შეადარეთ ისინი. აირჩიეთ საუკეთესო. კრიტერიუმები: ფაქტების სიზუსტე, სანდოობა, სუბიექტურობა/ობიექტურობა.

Don't copy

7 როგორ აფასებდნენ დავით IV-ს მისი თანამედროვე მემატიანეები და XX საუკუნის ისტორიკოსები

სხვადასხვა მეფის მოღვაწეობის გაცნობისას თქვენ არაერთხელ იმსჯელეთ, როგორი თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული მეფე, რათა ქვეყნის გაერთიანებისა თუ განთავისუფლებისთვის წარმოებულ ბრძოლაში წარმატებებისთვის მიეღწია. მეფეს აფასებდით როგორც ქვეყნის მეთაურს, პოლიტიკოსს, მხედართმთავარს. მაგრამ პარაგრაფის ამ ნაწილში თქვენი მსჯელობის საგანი განსხვავებული იქნება. ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტების გაცნობის შემდეგ უნდა იმსჯელოთ, რამდენად ეკუთვნოდა მეფეს საკუთარი თავი, იყო თუ არა ის თავისუფალი თუნდაც პირად ცხოვრებაში.

წყარო ა) უცნობი ქართველი მემატიანე, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს.

„რამეთუ პირველ მოეყვანა... სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა, ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“.

წყარო ბ) მათე ურჰაელი, სომეხი მემატიანე, „ქრონიკა“, XII ს.

„იყო მეფე დავით წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსაობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი... ჰყავდა აგრეთვე მეფე დავითს ერთი ღვიძლი შვილი სომხის ქალისაგან, რომელსაც სახელად ერქვა დემეტრე“.

1. **ვინ არის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მეფის მეუღლე და შენი აზრით, რატომ დუმს ის პირველ ქორწინებაზე?**
2. **რა ცნობას გვაწვდის იმავე საკითხზე მათე ურჰაელი?**
3. **შენი აზრით, რით შეიძლება იყოს განპირობებული დავით IV-ის პირად ცხოვრებაზე სხვადასხვა ინფორმაციის არსებობა?**
4. **როგორ შეაფასებ დავით აღმაშენებლის ქორწინებას ყივჩაყთა მთავრის ასულთან?**
5. **იგრძნობა თუ არა ზემოთ მოყვანილ წყაროებში ავტორისეული პოზიცია? როგორ ახსნიდი ამ დამოკიდებულებებს?**

წყარო გ) ბერი ანსელუსი, იერუსალიმის სამეფოში მოღვაწე ფრანგი სასულიერო პირი, იერუსალიმიდან პარიზის ღვთისმშობლის საკრებულოსადმი გაგზავნილი წერილი, XII ს.

„ჯვარს, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარისშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზონებისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენი მხლებლებით იერუსალიმს მოვიდა ამ ჯვრითა და ბევრი ოქროთი, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთგან წმინდა ქალაქის მონასტრებს თავ-თავისი წილი დაურიგა, აგრეთვე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა უფალ პატრიარქ გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, იქ შესულა. მალე დებისა და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზონებისა მიიღო.

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ თავისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც თავისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა, იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარი ხორციელი საჭიროებისათვის არასგზით არ მოიქცეოდა.

ამრიგად, ის ძელი, არავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა, გამოგიგზავნეთ.

Don't copy

გევედრებით, გქონდეთ პატივი, როგორც გმართებთ, ხოლო სახსოვარი რომ იყოს შემდგომთა და მემკვიდრეთა თქვენთა, საითგან და როგორ გაქვთ, დაიწერეთ თქვენს წიგნთა შინა: „ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალიმით მოგვაწოდა“.

6. როგორ ხსნის წყაროს ავტორი დავით აღმაშენებლის მეუღლის იერუსალიმში გამგზავრებას?
7. როგორ გესმის ფრაზა: „უფრო სიწმინდის, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ“?
8. რატომ დაინტერესდა ფრანგი სასულიერო პირი ქართველი დედოფლის ბედით? რა მოვლენამ გააღვივა ევროპელების ცნობისმოყვარეობა ქართული სამეფოს ამბების მიმართ?
9. გამოთქვი ვარაუდი, იერუსალიმის დედათა მონასტერში მყოფი ქალი გურანდუხტ დედოფალია თუ მათე ურჰაელის მიერ მოხსენიებული დავითის პირველი მეუღლე?
10. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 20. გაეცანი ა) ბ) გ) წყაროებს, გააანალიზე მათში გადმოცემული ინფორმაცია და შეადარე ერთმანეთს ვენის დიაგრამის გამოყენებით.

ისტორიკოსები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ

წყარო დ) ზურაბ ავალიშვილი, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ჯვაროსანთა დროიდან“

„წერილებიდან ამოსაღებია სხვა ცნობაც, საყურადღებო, რადგანაც ამით ირკვევა ცოტაოდნად მაინც დავით აღმაშენებლის ცხოვრების ერთი საკითხი. მაგრამ ამასთანავე ცხადდება, რომ ფრანგი ხუცესი სიმართლეს არ სწერდა... ანუ სიმართლე არ იცოდა, როცა ჯვარი შეიძინა. იქ მოხსენებული ქართველთა მეფის, დავითის ქვრივი ნამდვილი ქვრივი არ იქნებოდა, რადგან ეს წერილი გაიგზავნა აღმოსავლეთიდან პარიზში 1108 წელს, ან 1107 წელს, ე. ი. როცა დავითი ჯანმრთელი და ჯერ შედარებით ჯეელი კაცი (38 წლის) იყო. ეს ის ქალი ხომ არ არის, რომელიც მეფეს ცოლად ჰყოლია (თანახმად მათე ედესელის მოწმობისა) და რომლის კვალი ქართულ წყაროებში არ ჩანს? ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მეფე ამ პირველ ცოლს იქნება გაეყარა და მეორე ცოლი, ყივჩაყთა მთავრის ასული შეირთო, იქნება ამნაირად მართლდებოდეს? არ შეიძლება ამას არ დავუმატოთ, რომ აღმაშენებლის მეორე დაქორწინება იქნება პოლიტიკურ მიზნებსაც მისდევდა (რაიც მეფეთა წესია)? ყივჩაყთა ბატონებთან დაახლოება, საქართველოს გავლენის განმტკიცება ჩრდილოეთ კავკასიაში, მუდმივი ჯარის ორგანიზაცია – მთელი ეს ხაზი დავითის მოქმედებისა გვიხსნის ყივჩაყეთიდან ცოლის მოყვანას, როგორც საშუალებას. ამ პოლიტიკური კავშირის მსხვერპლად მეფის პირველი ცოლი შეიქმნებოდა, რომელმაც მონაზნობა მიიღო, თვით მეფე კი ბოლომდე სინანულში იყო.

ანსელუსის თქმის დასამტკიცებლად – ქართველთა მეფისეული ჯვარი შევიძინეო და, აჰა, გიგზავნითო – საუკეთესო იყო იმ მანდილოსნის ქვრივობა. პარიზში იფიქრებდნენ: გაყრილ ცოლს ამ ჯვარს ხომ არ მისცემდნენ, და ეს მდგომარეობა საერთოდ ხომ შეუფერებელი იქნებოდა! ანსო (ე. ი. ბერი ანსელუსი) ასე სჯიდა: პარიზში ვინ გაიგებს ქართველთა მეფის სიკვდილს ან სიცოცხლის ამბავს. ეს ჰიპოთეზა უფრო დასაჯერებელია, ვიდრე ის მოსაზრება, რომ „ქვრივობა“ შეთხზეს იქვე იერუსალიმში და დააჯერეს ფრანგი ხუცესი“.

წყარო ე) შოთა მესხია, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ძლევაი საკვირველი“

„ანსელუსის წერილს მკვლევარები 1108-1109 წლებით ათარიღებენ, მაგრამ, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, იგი უფრო დავითის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

ანსელუსის წერილი მოგვითხრობს საქართველოს მეფის, დავითის მეუღლის (წყაროს მიხედვით, ქვრივის) მიერ იერუსალიმში ჩატანილი ჯვრის შეძენისა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაგზავნის შესახებ. წერილის მიხედვით, ანსელუსს ეს ჯვარი თვით დავითის ქვრივისაგან შეუძენია და სათანადო წერილითურთ დიდი პატივით გაუგზავნია პარიზში, ღვთისმშობლის ტაძრის საკრებულოსთვის.

ანსელუსის წერილი, როგორც ამ ჯვრის დიდი ღირსების მაუწყებელი დოკუმენტი, ჯვართან ერთად დღემდე დაცულია პარიზის ხსენებულ ტაძარში. იგი არაერთხელ გამოქვეყნებულა ევროპაში, როგორც ლათინურ, ფრანგულ, ისე ქართულ ენაზედაც.

Draft copy

ჩვენ ამჟამად ამ ჯვრის თავისთავად საინტერესო ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები არ გვაინტერესებს...

როგორც ვხედავთ, წერილში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მეუღლის, ყივჩაყთა მთავრის გურანდუხტის (ალბათ, მისი ყივჩაყური, მდაბიური წარმოშობა აქვს მხედველობაში ანსელუსს, როცა დავითის მეუღლის უფრო სულიერ სიწმიდეს უსვამს ხაზს, ვიდრე მის გვარიშვილობას) უკანასკნელი დღეების შესახებ“.

11. რა მოსაზრებას გამოთქვამს ზ. ავალიშვილი იერუსალიმში მყოფ დავით აღმაშენებლის მეუღლესთან დაკავშირებით? ვისთან აიგივებს?

12. რატომ აყენებს ზ. ავალიშვილი ეჭვქვეშ ანსელუსის წყაროში გადმოცემულ მოსაზრებას? მკვლევრების მიერ წერილის დათარიღების გათვალისწინებით, რა ქრონოლოგიურ უზუსტობას იწვევს ცნობა იმის შესახებ, რომ დედოფალი დავითის ქვრივი იყო?

13. რა არგუმენტაციით ამყარებს თავის მოსაზრებას ისტორიკოსი?

14. რა არგუმენტაციას ემყარება შოთა მესხიას მოსაზრება? როგორ ხსნის იგი ქრონოლოგიურ წინააღმდეგობას? საკმარისია თუ არა შენთვის წყაროსა და ტექსტში მოცემული ინფორმაცია ავტორის პოზიციის გასაზიარებლად?

15. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 21. გააანალიზე მკვლევრების ზ. ავალიშვილისა და შ. მესხიას (დ) და ე) წყაროები) მოსაზრებები ბერი ანსელუსის წერილთან დაკავშირებით და შეავსე ცხრილი.

16. რომელი ისტორიკოსის მოსაზრებას ეთანხმები: ზ. ავალიშვილისა თუ შ. მესხიასი? პასუხი დაასაბუთე.

17. როგორ ფიქრობ, რა არის ისტორიკოსებს (ზ. ავალიშვილი, შ. მესხია) შორის აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?



სურ. 1. დავით აღმაშენებელი. XVI კედლის მხატვრობა გელათის მთავარი ტაძრიდან. XII ს.-ის გამოსახულება. განახლდა XVIII ს.-ში.



სურ. 2. ალექსი I კომნენოსი. ბიზანტიის იმპერატორი (1081-1118). XIII-XIV საუკუნეების ბიზანტიური მინიატურა

Don't copy

18. დააკვირდი სურ. 1-ს და გამოთქვი ვარაუდი, დავით აღმაშენებელს ხელში რატომ უჭირავს ეკლესიის მაკეტი. შენი აზრით, რომელი ეკლესიის მოდელი უნდა იყოს ის?

19. შეადარე დავითის ჩაცმულობა ბიზანტიიის იმპერატორის ჩაცმულობას. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.

წყარო ვ) დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“, მეექვსე გალობის ნაწყვეტი

„ ბოროტად გარდავხედ
საზღუართა და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მივჰხუეჭე ნაწილი მათი,
და ვიღვწიდ უმეზობლობასა,
ვითარცა მარტოი ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა
წესთა სჯულისათა შენისათა
და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა,
და სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,
ვითარცა მეფეთა მისთა – ისრაელი“.

20. არის თუ არა დავითის ნაწარმოებში რამე მინიშნება მის პირად ცხოვრებაზე?

21. როგორ ფიქრობ, მეფის რომელი გადაწყვეტილებები, ღონისძიებანი შეიძლება ყოფილიყო ასეთი თვითკრიტიკის მიზეზი? დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდან რომელ ისტორიულ ფაქტებს დაუკავშირებდი მეფის თვითშეფასებას?

22. შენი აზრით, რა თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული მეფე?

23. კლასში მოაწყვეთ დისკუსია და იმსჯელეთ, რამდენად თავისუფალი იყო ფეოდალურ საქართველოში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი. როგორ ფიქრობ, ჰქონდა თუ არა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს პირად ცხოვრებაში თავისუფალი არჩევანის უფლება?

24. მოსწავლის რვეულში შეასრულე დავალება 22. გაეცანი ნაწყვეტს დავით აღმაშენებლის ნაწარმოებიდან „გალობანი სინანულისანი“, შეაჯერე სახელმძღვანელოში მოყვანილი ისტორიკოსთა შეხედულებანი და შეავსე ცხრილი.

დავით IV-ს „აღმაშენებელი“ მოგვიანებით უწოდეს. ამ ეპითეტს პირველად XV ს.-ის შუა ხანებით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვხვდებით. ოფიციალურ ისტორიულ მატიანეებში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერდა: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერ; ამან განავსნა და აღაშენნა“. მის ცხოვრებას და მოღვაწეობას კონსტანტინე გამსახურდიამ რომანი „დავით აღმაშენებელი“ მიუძღვნა.

Don't copy

8 რა ცვლილებები მოხდა დავითის მემკვიდრეების – დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის მმართველობის დროს

დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი დემეტრე I ავიდა (1125-1156). მას უკვე ჰქონდა სახელმწიფოს საქმეების გაძღოლის გამოცდილება. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე დავით IV-მ თავისი ხელით დაადგა გვირგვინი დემეტრე უფლისწულს და თანამოსაყდრედ დაისვა. საგარეო ასპარეზზე დემეტრე I-ის მთავარი საზრუნავი მამამისის დროს მოპოვებული ტერიტორიების შენარჩუნება იყო. დემეტრე I იძულებული გახდა, დავითის მიერ სამეფოსთვის უშუალოდ შეერთებული შირვანი და ანისი **ყმადნაფიცობის** პირობით დაეთმო მისი ძველი მფლობელებისათვის.

1139 წელს საქართველოს მეზობლად, განძასთან, მიწისძვრა მოხდა და ქალაქი საგრძნობლად დაზიანდა. დემეტრემ გამოიყენა ეს მოვლენა და განძაში ილაშქრა. მან ქალაქი აიღო, **მისი კარი** ჩამოხსნა და გამარჯვების აღსანიშნავად, მის ზედაპირზე წარწერა ამოატვიფრინა. თუმცა ქალაქის შენარჩუნება ვერ შეძლო და ისევ ძველ მმართველებს დაუბრუნა.

წყარო ა) ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი, „მაიაფარაკინის ისტორია“, XII ს.

„მე ვნახე ქართველთა მეფე დიმიტრი, რომლის სამსახურშიც ვიმყოფებოდი, როგორ ჩამოხდა თბილისში და დარჩა იქ რამდენიმე ხანს. ერთ პარასკევ დღეს იგი მივიდა საკრებულო მეჩეთში, დაჯდა ქვის საჯდომზე ხატიბის პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე არ ჩაათავეს ხუტბა **ხატიბმა** და ხალხმა. მთელი ხუტბა მოისმინა, შემდეგ გავიდა და შესწირა საკრებულო მეჩეთს 200 დინარი. მე ვნახე **ალიმები,** მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები და მლოცველები, რომელთაც პატივით იღებდა იგი და ასაჩუქრებდა. ისე კეთილად ექცეოდა, რის მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე იქ ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ...

მასთან ერთად გავემგზავრე თბილისიდან მის ლაშქარში მყოფი. მეფემ დაიწყო თავისი სამფლობელოების შემოვლა კიდით კიდემდე; ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. მეც მასთან ვიყავი. ერთ დღეს, როდესაც დარბანდის ვილაიეთში გავჩერდით... მეფემ დატოვა ლაშქარი კოშკში მთის ძირას. დარბანდის მეფე – იგია ამირა აბულ მუზაფარი – გამოვიდა ქართველთა მეფის სამსახურად და აახლა მას მსახურნი მისი იქ ყოფნისა და ლხინისათვის, რადგანაც იგი იყო სიძე ქართველთა მეფისა – ცოლად ჰყავდა მისი ასული... 549 (1154) წელზე საოცარი და ამბებით მდიდარი წელი არ მინახავს... ანისის მფლობელმა შადადმა გაუგზავნა მოციქული არზრუმის მფლობელს, სალდუხს და შეუთვალა: ანისზე ჩემი ძალაუფლება დასუსტდა, მოდი და იყიდე ის ჩემგან. ქართველთა წინააღმდეგ ძალა აღარ მაქვს და არ შემიძლია მათგან მისი დაცვა. მე შენს სამსახურში ვიქნები და ჩაგაბარებ მას. და როდესაც მოვიდა სალდუხი, გაუგზავნა მოციქული აფხაზთა და ქართველთა მეფეს დემეტრეს, რომელიც იმყოფებოდა ანისიდან ერთი დღის სავალზე და აცნობა სალდუხის მოსვლა. დემეტრე ქართველთა ჯარით დილით მივიდა ქალაქ ანისთან, დაეცა სალდუხის ჯარს, დაატყვევეს სალდუხი და მასთან ერთად დიდძალი ხალხი... შემდეგ **დიარ-ბაქრის, დიარ-რაბიას** და სირიის მეფეებმა მისწერეს მრავალგზის ქართველთა მეფეს და განისაზღვრა სალდუხის გამოსასყიდი 100 ათას დინარად. გაათავისუფლეს ის და დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ხოლო მისი ქვეყნიდან გავიდა ურიცხვი ფული მასთან ერთად დატყვევებულთა გასათავისუფლებლად“.

1. დაახასიათე დემეტრე I-ის დამოკიდებულება განსხვავებული რწმენის ადამიანებისადმი.
2. რატომ გახდა არაბი ისტორიკოსის განსაკუთრებული ყურადღების საგანი ქართველი მეფის ტოლერანტული საქციელი?
3. გაიხსენე წინა წლის მასალა და წინა პარაგრაფები: წელთაღრიცხვის რა სისტემას იყენებს ალ-ფარიკი? რატომ?
4. ქართველი მეფის რომელ თვისებებს გამოყოფდი ალ-ფარიკის მონათხრობის გაცნობის შემდეგ?
5. როგორ გესმის ისტორიკოსის ფრაზა: „სამფლობელოების შემოვლა კიდით კიდემდე“? იმსჯელე საქართველოს მეფისა და ახლო აღმოსავლეთის მმართველთა ურთიერთობებზე

Don't COPY

ყმადნაფიცობა – რომელიმე ძლიერი ქვეყნის ქვეშევრდომობა. ევროპულ სინამდვილეში მას ვასალური ქვეყანა შეესატყვისება.

განძის კარი – ამჟამად ჭიშკრის მხოლოდ ერთი ფრთაა გადარჩენილი, რომელიც გელათის მონასტრის კარიბჭეშია ჩამონტაჟებული. ჭიშკრის ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

ხატიბი – მუსლიმი სასულიერო პირი.

ალიმი – მცოდნე, სწავლული.

დიარ-ბაქრი, იგივე დიარბექირი – ქალაქი თანამედროვე სამხრეთ-აღმოავლეთ თურქეთში, ისტორიულ ჩრდილოეთ ქურთისტანში

დიარ-რაბია – ოლქი ჯაზირას ვილაეთში (ზემო მესოპოტამია). ჰოლქის მთავარი ქალაქია მოსული

დემეტრეს დროს საშინაო ვითარება გართულდა. 1130 წელს მის წინააღმდეგ მოეწყო დიდებულთა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო მისი ნახევარძმის, უფლისწულ ვახტანგის, გამეფება. შეთქმულება დროზე ადრე გამომჟღავნდა და დემეტრე I-მა დამნაშავეთა შეპყრობა მოახერხა.

დემეტრე I-ს ორი ვაჟი ჰყავდა – დავითი და გიორგი, მაგრამ მეფე უპირატესობას უმცროს ვაჟს, გიორგის, ანიჭებდა, რაც ტახტის მემკვიდრე დავითის უკმაყოფილებას იწვევდა. უთანხმოება ბოლოს სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დავით ბატონიშვილმა მამის ტახტიდან ჩამოგდება მოინდომა. შეთქმულება უშედეგოდ დასრულდა. დემეტრე I-მა აპატია ვაჟს ჩადენილი, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. 1155 წელს დავითმა თავის მომხრეებთან ერთად მამა ტახტიდან გადააყენა და დემეტრე ბერად აღიკვეცა. თუმცა დავით V-მ მხოლოდ 6 თვეს იმეფა. სავარაუდოდ, იგი გიორგის მომხრეებმა, სუმბატ და ივანე ორბელებმა, მოკლეს. ტახტზე კვლავ დემეტრე დაბრუნდა. მან თავისი მეორე ვაჟი გიორგი თანამეფედ გამოაცხადა, მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია და საქართველოს მეფე გიორგი III გახდა.



სურ 1. გელათის მონასტრის კარიბჭეზე ჩამოკიდებული განძის კარი

წყარო ბ) მხითარ გოშე, „ალბანეთის ქრონიკა“, სომეხი ისტორიკოსი, XII-XIII სს.

„ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი, განსაკუთრებით იმ სომეხი **იშხანების** მიმართ, რომლებიც მის ხელთ იმყოფებოდნენ. მან მეტად განა დიდა პატივით ქალაქ **ტფილისის სატრაპი** – ვასაკი, იშხან ვაჰრამის შვილი და მისი ძმები სახელად ქურდი და სარგისი. იმდენად კეთილგულოვნება გამოიჩინა, რომ გაგზავნა კაცი და იხმო მეფე კვირიკე, მეფე დავით ბაგრატუნის შვილი და დაპირდა მას, რომ დაუბრუნებდა **მის სამკვიდრებელს,** რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთვათ მისთვის... როდესაც ქართველმა დიდებულებმა შეიტყვეს მისი ამგვარი სურვილი, დიდმა შურმა მოიცვა ისინი, განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, დაალევინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი... გაამეფეს მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი“.

იშხანი – სომხეთში, მთავარი, დიდებული

ტფილისის სატრაპი – იგულისხმება ქ. თბილისის თავი

მისი სამკვიდრებელი – აქ იგულისხმება, რომ დავითს სურდა ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს აღდგენა

Don't copy

წყარო გ) სტეფანოზ ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“, სომეხი ისტორიკოსი, XIII-XIV სს.

„და შემდგომად მრავლისა განმარჯვებებისა დიმიტრი მეფე მოკვდა და მიიღო მეფობა მისი დავით, მსგავსმან მამისამან, კაცმან ძლიერმან და მალე მოკვდა. აღსასრულის ჟამს მოუწოდა კათალიკოსს და დიდ-დიდთა დიდებულთა და ძმასა თვისსა გიორგის და მცირესა ყრმასა თვისსა დიმიტრის და დაიდვა წინაშე თვისსა თავადი ხატი და მაცხოვრის ჯვარი და სახარება და თქვა: „...ვითარცა მამამან ჩემმან მიბოძა მე სამკვიდრებლად ტახტი ესე მეფობისა, ეგრეთვე ვუბოძებ მეცა ძესა ჩემსა დემნას, გიმოწმებ თქვენ ყოველსა და შენ, ძმაო ჩემო გიორგი, იყავ მოადგილედ ჩემდა და ჰყავ ძალთმთავრობა ქუეყნისა ამის და მიიღე ნაწილი სამკვიდრებლისა შენისა, რომელი მოგცა მამამან ჩემმან, ვიდრე აღიზარდოს ყრმა“. შემდგომად წინ წამოაყენა ივანე, ძე სუმბატ ორბელიანისა და შეჰფიცა ყრმასა მას ანდერძისა მისთვის, რათა დაეცვა აღთქმა ანდერძისა. იპყრა ხელი ყრმისა და მისცა ხელსა ივანესსა და შთააბარა მას და სხვათა დიდებულთა ყოველთა აფიცა, რათა არა ეზაკვათ ყრმისათვის, არამედ ოდეს მოწევნულ იყო ჰასაკად, ეცხოთ იგი მეფედ“.



სტეფანოზ ორბელიანი – სომეხი ისტორიკოსი, ორბელიანთა ქართული ფეოდალური გვარის გასომხებული შტოს წარმომადგენელი

6. რატომ და როგორ სცადა უფლისწულმა ვახტანგმა ტახტის დაუფლება?
7. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 23. შესწავლილი ტექსტსა და დავალებაში მოყვანილ წყაროზე დაყრდნობით უპასუხე კითხვებს.
8. როგორ შეაფასებ დემეტრე I-ის გადაწყვეტილებას შვილების მიმართ?
9. გამოთქვი შენი მოსაზრება დავით V-ის მამასთან დამოკიდებულების შესახებ.
10. შეადარე ბ) და გ) წყაროები და ივარაუდე, შეასრულებდა თუ არა გიორგი III ძმისთვის მიცემულ პირობას.
11. რამდენად მოდის თანხვედრაში, დავით V-ის ანდერძი, საქართველოს სამეფო კარზე საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ტახტის მემკვიდრეობის წესთან?
12. შენი აზრით, რატომ ჩააბარა მომაკვდავმა მეფემ მცირეწლოვანი ძე ივანე ორბელიანს? რამდენად სანდოდ მიგაჩნია ეს ინფორმაცია?
13. შენი აზრით, ბ) და გ) წყაროების ავტორები ვის პოზიციას უჭერს მხარს და რამდენად სანდოა მისი ინფორმაცია? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

გიორგი III საკმაოდ წარმატებული მმართველი გამოდგა. ის აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული ქალაქი ანისი ადგილობრივი მუსლიმი მმართველების, შედადიანების საგვარეულოს წარმომადგენლების, ხელში იყო. ისინი საქართველოს მეფეს ხარკს უხდიდნენ, თუმცა ასეთი დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად ხშირად ჯანყდებოდნენ. ამას გარდა, ანისის ქრისტიან სამღვდელოებასა და ქალაქის მმართველს შორის ხშირი იყო დაპირისპირება და პირველები დასახმარებლად საქართველოს მეფეს მიმართავდნენ. გიორგი III-მ რამდენჯერმე დალაშქრა ანისი და სხვადასხვა დროს ქალაქის სამართავად თავისი ნდობით აღჭურვილი პირები, ქართველი დიდაზნაურები, მათ შორის ამირსპასალარი ივანე ორბელი, მისი თანაშემწე სარგის მხარგრძელი დანიშნა. თუმცა ანისის დაკარგვას სხვა მეზობელი მუსლიმი მმართველები არ ეგუებოდნენ და იქ შედადიანების დაბრუნებას ცდილობდნენ. საბოლოოდ მათ გიორგი III-თან მოილაპარაკეს და შემდეგ პირობებზე შეთანხმდნენ: ქალაქს კვლავ შედადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი მართავდა, ოღონდ ის საქართველოს ყმადნაფიცი მმართველი იქნებოდა.

გიორგი III-ის დროს ქვეყნის შიგნით კარგა ხანს სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ 1177 წელს მეფის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მოეწყო.

ამ მოვლენის შესახებ ისტორიკოსები განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან.

გაეცანი ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებს და მომხდართან დაკავშირებით გამოხატე საკუთარი პოზიცია.

წყარო დ) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„მთელი ქვეყნისა და ამქვეყნიური ცხოვრების ამგვარ სრულყოფილებაში გაიზარდა მისი ძმისწული, მისი უხუცესი ძმის, დავითის შვილი, სახელად დემეტრე, გარეგნობით ლამაზი, ყოველ საქმიანობაში მარჯვე, ნასწავლი, მათი გვარიშვილობის მსგავსი, მაგრამ რაც ყოველგვარ სიკეთესა და სწავლულებას, გარეგნულ უზადობასა და ახალგაზრდობას ამაოს ხდის, ის გახდა მისი მომსპობი და ცხოვრების გამამწარებელი: ღვთის მიმართ შიშის არქონა და ქრისტეს რჯულის მცნებათა წინააღმდეგ მოქმედება, რაც იყო ამ სამეფოს გვარის წარმომადგენელთა თანდაყოლილი უბედურება. როგორც მამამისმა, დავითმა, უღალატა და განუდგა რა თავის მამას დემეტრეს, ამოწყვიტა ამ სამეფოს დიდებულები – ზოგი განდევნით, ზოგი სიკვდილით, ზოგი პატივაყრით, ახლაც მის მსგავსად, ეშმაკი შეუჩნდა ამის გულსა და გონებას. ამის გამო განურისხდა ღმერთი ორბელებსა და მათ მომხრე ყველა ტომს: სამცხელებს, ჰერებს, კახელებს და ყველას, სადაც კი მათი მოდგმა და ერთგული ვინმე იყო დარჩენილი. შეიქნა განდგომა, ბრძოლა, ხოცვა, სისხლი და რბევა... გიორგიმ, მძლეთა მძლემ, ლაშქარი შეკრიბა და ქალაქ თბილისიდან სომხეთის მთებში მყოფ მტრებს მიაშურა, დაიფრინა, გააქცია, ლორეს ციხეში შელალა და ყველა ციხე და სიმაგრე წაართვა. დემეტრეს ჩამოშორდა ორბელთა ძმა და ახლობელი სარგის მხარგრძელი შვილთან და ძმისწულთან ერთად. მეფემ ტკბილად და სიყვარულით მიიღო იგი და მისი გვარიშვილობის შესაფერისი ნდობა გამოუცხადა. მოარბია ტაშირი და ლორეს კარი და აგარებში დაიბანაკა. გაგზავნა ლაშქარი, რომელიც მისი ერთგული იყო და სხვა მხარის მეომრები: მესხები, თორელები, ქართლელები, სომხითარები და თვით თავისი გაზრდილი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი, და ჰერეთის ქვეყანაში მივიდნენ. იმ მხრიდან მოვიდნენ ჰერეთის ერისთავი და ყველა ჰერი სრულიად ლეკებითა და კავკასიელებით... მაშინ აგარაში მყოფი მეფე დაიძრა და ლორეს მოადგა. იქიდან სპარსეთში იყვნენ გაქცეულები ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნიც გიორგის მიერ იყვნენ ხელდასხმული, და ანანია დვინელი, ზოგი – **შაჰარმენთან**, ზოგი – **ელდიგუზის** ძეებთან. თუმცა უშველეს და გამოჰყვნენ, მაგრამ ქრისტეს მართლმსაჯულებამ უქმად უკან დააბრუნა. სანამ ისინი ჩამოვიდოდნენ, ლორეში მდგომებს ძალა გამოეცალათ. დემეტრემ თოკი გამოაბა, ციხიდან გამოიპარა და თავის ბიძას მიაშურა. ციხეში დარჩენილი ამირსპასალარი და სხვები მათი ბედისა და სვის შესაფერისად გამოიყვანეს. მეფემ ლორე აიღო და თავისთვის დაისაკუთრა. იმავე დროს კმაყოფილი და განდიდებული წამოვიდა თავისი ურჩებისა და მტრების წინააღმდეგ და მათი საქმეების შესაფერისი მისაგებელი მიაგო“.

წყარო ე) ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, XIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„დავით V-ს დარჩა შვილი დემეტრე, გიორგის ძმისწული. როდესაც ორბელნი განუდგნენ გიორგი მეფეს, დემეტრეც თან წაიყვანეს და ლორეში გამაგრდნენ. გამოდევნა მეფემ იქიდან ორბელნი, შეიპყრო და დახოცა. დემეტრე კლდეკარში დაატყვევეს და თვალები ამოშანთეს. მოკვდა და მცხეთაში დამარხეს“.

14. ჩანს თუ არა ლაშა-გიორგის მემატიანის თხზულებაში ავტორისეული პოზიცია? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

წყარო ვ) დავით ქობაირელი, სომეხი მემატიანე, „სამახსოვრო ჩანაწერი“, 1179 წ.

„ქართველთა ქვეყნის დიდებულებს, დიდი ხანია, განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტ ზრახვათა განსახორციელებლად. ორბელებმა – ივანე სპასალარმა, მისმა ძმამ ლიპარიტმა, მათმა შვილებმა და ნათესავებმა გადაიბირეს იმავე მეფის ძმისწული, მოიყვანეს აგარაკის სიმაგრეში და გაამეფეს, რათა ვერავის შესძლებოდა მათი საქმისათვის ხელის შეშლა...

მეფემ მრავალგზის გაგზავნა მოციქულები ივანესთან და დაყვავებით ეხვეწებოდა დაზავებას. მაგრამ პასუხი საწინააღმდეგო მიიღო... ამის შემდეგ მეფემ შეკრიბა ჯარი და მოადგა აჯანყებულებს ლორეში. შიგნით მოციქულები შეგზავნა, რათა ძმისშვილი მიეცათ და შეწყნარებასაც შეჰპირდა. ასე შეუთვალა მრავალჯერ, მაგრამ არ ერწმუნნენ. მხედართუფროსმა ჯერ კიდევ მეფის მოსვლამდე გაგზავნა თავისი ძმა ლიპარიტი სამი შვილით და თავისი უმცროსი შვილიც გააყოლა სპარსთა მხედართმთავართან, რათა ან ჯარით გაემართა ხელი, ანდა თვითონ მოსულიყო, განედევნა მეფე და მისი სამფლობელო დაეპყრო. მართლაც, იგი თხოვნისამებრ მრავალრიცხოვანი ჯარით წამოვიდა და მეფის საზღვრებს მოადგა. მაგრამ, როცა თვალით იხილა ის ლაშქარი, მისი სიმრავლისაგან თავგზააბნეული ჩუმად უკან გაბრუნდა.

როდესაც დახმარების იმედი ყოველი მხრიდან ამოიწურა, რადგან თვისტომნიც გადაუდგნენ ივანეს და მეფეს დამორჩილდნენ... შევიწროებულნი და ილაჯგაწყვეტილნი, პატიების ფიცით დაიმედებულნი, გარეთ გამოვიდნენ და თალხით შემოსილნი, განრთხმულნი წარუდგნენ მეფეს, მით უმეტეს, რომ მეფის ძმისწული ფარულად ჩამოვიდა ზღუდეზე გოდრით და მივიდა მეფესთან“.

15. როგორ ახსნი ისტორიკოსის ფრაზას: „გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტ ზრახვათა განსახორციელებლად“?

წყარო ზ) სტეფანოზ ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“, სომეხი ისტორიკოსი, XIII-XIV სს.

„მაშინ დემნა უგუნურებითა თვისითა შეშინდა, გამოვიდა ღამე, ზღუდედ გადმოეკიდა, მივიდა ბიძასა თვისსა თანა და ფეხქვეშ მოექნა და ევედრებოდა მხოლოდ სიცოცხლისთვის, რომლისა მხილველმან მეფემან ფრიად განიხარა და წარგზავნა დესპანი ივანესთან და შეუთვალა ესრეთ: „ვისთვისაც შენ იბრძოდი, ჩემთან მოვიდა და რისთვისღა ურჩობ? მოდი ჩემთან“. მან უპასუხა დესპანსა: „ჭეშმარიტი არს, რასაც იტყვი, გარნა შემომფიცოს მე, რათა არარა მავნოს და მივალ მისდა“. ხოლო მეფემან შეჰფიცა და შეიკრა მასთან აღთქმითა და დიდთა პირობითა, რომლისთვის იკადნიერა ივანემან და მივიდა მეფესთან. ხოლო მეფემან განიხარა დიდად და შეიწყნარა და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ იგდო ყოველნი ძენი და ნათესავი ტომნი მისნი. ხოლო უმტყუნა აღთქმას გიორგიმ და შეიპყრო ივანე და დასთხარა თვალები, ხოლო დიმიტრი, რომელიც დასიძებული იყო ივანესა, შეიპყრა და დასთხარა თვალები და დაასაჭურისა, ხოლო უმრწემესი ძმა ივანესი ქავთარ, ძე მისი სუმბატ და ძმისწული მისი დახოცა“.

მეფე გიორგიმ მამბოხეებს მამულები და თანამდებობები ჩამოართვა და თავის ერთგულ ადამიანებს, დიდებულებსა და უგვაროებს, ანუ არა დიდაზნაურთა ფენის წარმომადგენლებს, გადაუნაწილა. ამ დროს მიიღო ნაყივჩაყარმა ყუბასარმა ამირსპასალარობა, აზნაურის ნაყმევმა აფრიდონმა – მსახურთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთავობა.

16. გიორგი III-ის რა თვისებას უსვამს ხაზს წყაროს ავტორის შემდეგი ცნობა: „ივანე მივიდა მეფესთან. ხოლო მეფემან განიხარა დიდად და შეიწყნარა და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ იგდო ყოველნი ძენი და ნათესავი ტომნი მისნი... შეიპყრო ივანე და დასთხარა თვალები“? შენი აზრით, რამდენად გამართლებულია მეფის საქციელი?

17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 24. გაეცანი ტექსტსა და წყაროებს გ), დ), ე), ვ,) და ზ)-ს დემნა ბატონიშვილის შესახებ. დაწერე შენი მოსაზრება, სამართლიანი იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება. ჩამოაყალიბე ტახტის დასაუფლებლად უფლისწულის მიერ გადადგმული ნაბიჯების მხარდამჭერი არგუმენტები და კონტრარგუმენტები. გამოიტანე დასკვნა.

Don't copy

შაჰარმენი – სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მუსლიმური დინასტიის წარმომადგენლების ტიტული, რომლებიც ვანის ტბის აუზის გარშემო ტერიტორიაზე მმართველობდნენ. მათი ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქ ხლათში იყო.

ელდიგუზი – საერთოდ ასე იხსენიება შამსედინ ელდენიზი, XII საუკუნის II ნახევარში ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მმართველი დინასტიის დამაარსებელი. თუმცა 1177 წელს ის გარდაცვლილი იყო და ამ შემთხვევაში, მისი ვაჟი, მუჰამედ ჯაჰან ფეხლევანი უნდა ვიგულისხმოთ.

ბანის ტბა – ვანის ტბა.



სურ. 2. გიორგი III. ფრესკა ვარძიის მონასტრიდან

1178 წელს გიორგი III-მ, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, თანამეფედ ქალიშვილი თამარი გამოაცხადა. გიორგი 1184 წელს გარდაიცვალა და თამარი საქართველოს ერთპიროვნული მმართველი გახდა.

18. განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან წყაროს ავტორების დამოკიდებულება აღწერილ ფაქტებთან? რით ახსნი მათ ამ დამოკიდებულებას?

19. რამდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკა? შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

20. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 25. მიუხედავად უდიდესი წარმატებებისა საგარეო ასპარეზზე, რასაც კავკასიური სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა, საქართველოს საშინაო მდგომარეობა სტაბილურობით არ გამოირჩეოდა. XII ს.-ის მანძილზე სამეფო ხელისუფლების დამხობის 5-6 მცდელობა მაინც არის დამოწმებული ქართულ თუ არაქართულ წყაროებში. დროის ხაზზე დაიტანე თითოეული ასეთი მცდელობა და წერილობით შეასრულე დავალება, რომელშიც ასეთი არასტაბილურობის მიზეზებზე იმსჯელებ.

21. ჯგუფური დავალება. კლასში მოაწყვეთ დემნას სასამართლო პროცესი: კლასის ნაწილი პროკურორის ფუნქციას შეასრულებს და გიორგი III-ის მოსაზრებას დაიცავს; მეორე ჯგუფი დემნას დამცველების პოზიციას წარმოადგენს, ხოლო მესამე ჯგუფი მოსამართლის ფუნქციას შეასრულებს. მეოთხე ჯგუფი, კლასის დარჩენილი ნაწილი, განსაზღვრავს, რამდენად კარგად გაართვა თავი თითოეულმა ჯგუფმა მოვალეობას. მცირერიცხოვან კლასში ეს დავალება შეიძლება ინდივიდუალურად შესრულდეს.

Don't copy

9-10 რას მოგვითხრობს სხვადასხვა წყარო თამარ მეფის დროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებაზე

1184 წელს, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართველმა დიდებულებმა თამარის ხელმეორედ კურთხევა მოითხოვეს. მათ საზეიმო ცერემონია მოაწყვეს, რომელსაც თამარის მამიდა, რუსუდანი, ხელმძღვანელობდა. ამით ქართველ დიდგვაროვნებს საკუთარი პოზიციების გამყარება სურდათ. მეფედ ხელმეორედ კურთხევა ერთმნიშვნელოვანი მინიშნება იყო ახალგაზრდა ქალი მეფისთვის, რომ მან ტახტი დიდგვაროვნების ნებითა და მხარდაჭერით მიიღო. თუმცა დიდებულები ამით არ დაკმაყოფილდნენ. როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, მათ ნაწილს გიორგი III-ის ერთგული პირების თანამდებობებიდან გადაყენება მოუსურვებია.

წყარო ა) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XIII ს.

„ზოგიერთებმა დაიწყეს ძველებური, ადამიანთა დაუდგრომელობის შესაფერისი საქმეები. ზოგმა დიდებულმა ხელისუფალმა ასეთი ფიცი დადო: ვერ დავრჩებით ძველი ხელისუფლებისა და საქმის გამგებლების ფირმანის ქვეშ, ვინაიდან მათ მიერ გაძარცული ვართ და ბალიშზე ჯდომას მოკლებული, გვაროვანი და ნამსახური ოჯახები უპატიოდ და უსახელოდ გაძევებული ვართ უგვარო და უმაქნისების მიერ. თუმცა ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარი, პატრონების მიერ გაზრდილი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, მაგრამ დამბლად წოდებული სენისგან ენა, ხელი და ფეხი წართმეული ჰქონდა. თამარ მეფეს ურჩიეს, მისთვის წაერთმია მთელი ქონება და სიმდიდრე, მაგრამ განზრახვა გაუცუდდათ, რადგან თამარი მოწყალე იყო და კეთილი. გაიხსენა მისი ერთგულება, სამსახური და ზრდილობა და არაფერი არ ჩამოურთმევია, გარდა თანამდებობისა და ლორესი. გარდაცვალებამდე ასე დიდი სიყვარულითა და პატივით ეპყრობოდა. და კიდევ, აფრიდონი, რომელიც ღვთის მობაძაობით, აზნაურის ყმობიდან ადამიანი გახდა, მსახურთუხუცესობამდე ამაღლდა, თმოგვისა და სხვა ციხე-ქალაქთა პატრონობამდე აღზევდა, ლაშქრის ნებითა და სურვილით დააქვეითეს და დაამხეს“.

1. შენი აზრით, რატომ მოითხოვეს ქართველმა დიდაზნაურებმა „უგვარო“ ვეზირების გადაყენება?
2. წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე, რა ნიშნით არჩევდა გიორგი III თავისი გარემოცვის წევრებს.
3. რა არგუმენტი მოჰყავთ წარჩინებულებულს იმის დასტურად, რომ მათი გაძევება უპატიო საქმე იყო?
4. ივარაუდე, რატომ ჩამოართვა თამარმა ყუბასარს მხოლოდ ლორე?
5. შენი აზრით, რატომ დასთანხმდა თამარი დიდაზნაურების მოთხოვნებს?
6. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 26. თამარ მეფის მეორედ გამეფების ეპიზოდსა და წყარო ა)-ზე დაყრდნობით ერთმანეთს შეუპირისპირე სამეფო ხელისუფლებისა და დიდაზნაურთა ინტერესები.

თამარ მეფის გამოსახულებები – ცნობილია თამარის ოთხი გამოსახულება: ბეთანიიდან, ბერთუბნიდან, ვარძიიდან და ყინწვისიდან. ბეთანიის მონასტრის მთავარ ტაძარში დაცულია კედლის მხატვრობა, სადაც გამოსახული არიან გიორგი III, თამარი და ლაშა-გიორგი. მოხატულობა შესრულებულია დაახლოებით 1207 წელს.

დავით-გარეჯის კომპლექსში შემავალ ბერთუბნის მონასტერში შემორჩენილია XIII საუკუნის დასაწყისის კედლის მხატვრობა, რომელზეც თამარი და ლაშა-გიორგი არიან გამოსახული.

ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში გამოსახული არიან გიორგი III, თამარი და ამ კედლის მხატვრობის დამკვეთი რატი სურამელი.

ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, XIII ს.-ის დასაწყისში, მწიგნობართუხუცესის, ანტონ გნოლისთავისძის დაკვეთით მოუხატავთ. აქ გამოსახული არიან გიორგი III, თამარი და ლაშა-გიორგი, ასევე ცალკე, თავად ანტონ გნოლისთავისძე.



სურ.1. გიორგი III-ისა და თამარ მეფის გამოსახულება. კედლის მხატვრობა ვარძიიდან. 1184-1186 წწ.

Don't copy

თამარის წინააღმდეგ დიდებულების გამოსვლა ამით არ დასრულებულა. როგორც თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ამჯერად მეფეს მოთხოვნები მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა და მისმა „დასმა“ წარუდგინა.

წყარო ბ) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XIII ს.

„ერთიც უცხოდ მოსაგონარი: ყუთლუ-არსლანმა, ჯორის მსგავსად ორი ბუნების მქონე ცხვარმა, როგორც ამას მზაკვარი გონება ჩაადენინებს ბიჭებს, სპარსელების მიერ დაწესებული რაღაც წესი შემოიღო, ისნის ველზე, „საგოდებლის“ სანახებში, კარვის დადგმა ითხოვა და თქვა: „იქ შევიკრიბოთ, განვაგოთ, რა გავცეთ და რა მივიღოთ, ვინ შევიწყალოთ და ვინ შევრისხოთ, შემდეგ ეს შევკადროთ და ვაცნობოთ თამარს, მეფესა და დედოფალს, მაშინ შესრულდება ჩვენ მიერ განგებული“. როგორი საწყენიც ეს იყო – პატრონის ხელმწიფობის დასასრულის მომტანი – ისე იწყინა, გაიკვირვა და გაიგო გონებით აღსავსემ და სიბრძნის საუნჯემ. გადაწყვიტა მოქმედთა მეთაურის დაჭერა. ახლობლებისა და ერთგულთა თანამზრახველობით შეიპყრო ყუთლუ-არსლანი, მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც ამირსპასალარად და სომხეთში, ლორეში, სომეხთა მეფის ტახტზე დასაჯდომად ემზადებოდა.

როგორც კი ეს გაიგეს მასთან შეფიცულმა და მისი გამთიშველობისა და უკეთურების ხელისშემწყობებმა, შეიყარნენ და განუდგნენ თამარს. მტკიცედ დაადგინეს ახალი გეგმა ყუთლუ-არსლანის გასათავისუფლებლად და იქადდნენ, რომ არ დაუშვებდნენ მისთვის რამე ზიანის მიყენებას. მოემზადნენ ისანზე თავდასასხმელად... თამარმა მათთან ორი საპატიო მანდილოსანი გააგზავნა: ხვაშაქ ცოქალი, ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის, დედა და კრავაი ჯაყელი, იქ მყოფი სამძივარების დედა. უბრძანა, ფიცით დანებებოდნენ და არავის არ დასჯიდა. დიდებულები დაემორჩილნენ პატრონის ბრძანებას, მასთან მოსულებმა მუხლმოყრით თაყვანი სცეს, პატრონისგან ფიცი მიიღეს და თავიანთი ერთგულებისა და მორჩილების პირობა მისცეს“.

წყარო გ) ნიზამ ალ-მულქი, „სიასეთ-ნამე“, XI ს.

„ჭეშმარიტი ხელმწიფე ვალდებულია, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებამდე ეთათბირებოდეს მეცნიერებსა და ბრძენ ხალხს და არ არის კარგი არც ერთი საქმე დათათბირების გარეშე“.

7. ყუთლუ-არსლანის დასელების მოთხოვნით, რა უფლებები უნდა გადასცემოდა „კარავს“?
8. გამოთქვი ვარაუდი, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის ასეთი სახელმწიფო ორგანოს დაწესება.
9. შენი აზრით, რატომ აღიქვამს ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნას თამარის ხელმწიფობის დასასრულად?
10. შეადარე ერთმანეთს ბ) და გ) წყაროები და გამოთქვი ვარაუდი, არის თუ არა ქართულ წყაროში მინიშნება ნიზამ ალ-მულქის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. რამდენად ეხმიანება ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა ამ იდეას?
11. შენი აზრით, თამარისა და დასელების მოლაპარაკების დროს რა შეიძლებოდა დაეთმო მეფეს?
12. დაახლოებით იმავე პერიოდის მსოფლიოში განვითარებულ რომელ მოვლენასთან გაავლებდი პარალელს?
13. რატომ აფასებს ისტორიული წყაროს ავტორი ყუთლუ-არსლანს ცალსახად უარყოფითი კუთხით?
14. დააკვირდი სურ. 1-ს და გამოთქვი მოსაზრება, რატომ არის თამარი თითქმის ანალოგიურად ჩაცმული, როგორც მამამისი გიორგი III.
15. წყაროებზე დაყრდნობით, შეადარე თამარისა და მისი მამის გიორგი III-ის დამოკიდებულება ამბოხებულებთან. თამარის რა თვისებაზე მიუთითებს ამბოხებულთა შეწყალება?
16. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 27-27*. შეავსე ცხრილი და გააანალიზე ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები.

Don't copy

ყუთლუ-არსლანისა და მისი მომხრეების მოთხოვნებს ქართველი ისტორიკოსები განსხვავებულად აფასებენ. ქვემოთ წარმოგიდგენთ სამი მათგანის მოსაზრებას.

წყარო დ) ივანე ჯავახიშვილი, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II

„ყუთლუ-არსლანის ვინაობის გამოსარკვევად ჯერჯერობით თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობის გარდა, სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება. ამ ცნობაში-კი იგი „ბიჭად“ არის წოდებული, რომელმაც „ჯორის“ მსგავსად ორბუნებოვნება გამოიჩინა. „ბიჭი“ ძველ ქართულში უკანონო შვილს, ბუშს ნიშნავდა. უკვე ეს გარემოება ცხადყოფს, რომ შეუძლებელია ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანი აზნაური ყოფილიყო: თუნდაც რომ მას მამა დიდგვარიანი აზნაური ჰყოლოდა, კანონის თანახმად მას უეჭველად მამაზე დაბალი წოდებრიობა უნდა მიჰკუთვნებოდა და ყმად გამხდარიყო... აღსანიშნავია, რომ თამარის მეორე ისტორიკოსს მოხსენიებული ჰყავს „სიმდიდრით ალაღებულთა“ რაღაც ქმედება. შეუძლებელია ეს ცნობა დიდგვარიან აზნაურების გაფიცვას ეხებოდეს. საფიქრებელია, რომ აქ სწორედ ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა უნდა იგულისხმებოდეს... ამგვარად ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა ჯგუფი „სიმდიდრით აღზევებულთა წრის წარმომადგენლებად მოჩანან... თუ მათ პოლიტიკურ პროგრამას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით დავახასიათებთ, ეს დაახლოებით იმას უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წეს-წყობილება რესპუბლიკურად უნდა შეცვლილიყო“.

წყარო ე) შოთა მესხია, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“

„ამ მოძრაობას სათავეში უდგას მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, რომელიც ქალაქებთან და საქალაქო წრეებთან დაკავშირებული იყო არა მარტო თავისი თანამდებობით, არამედ წარმოშობითაც. „სიმდიდრით ალაღებულთა“ და „ამაღლებულთა“ შორის პირველ რიგში ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენა, მსხვილი ვაჭრები და ამ წრიდან გამოსულ-დაწინაურებული პირები იგულისხმებიან... მაგრამ ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის გამოსვლა თავისი ფართო გეგმით არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მოქალაქეთა ზედა ფენის აჯანყებად. მათი პროგრამა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ახალი, საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი დარბაზის (საბჭოს) დაარსების შესახებ არ შეიძლებოდა არ დამთხვეოდა აგრეთვე დიდგვარიანთა მისწრაფებებს, მათ ინტერესებს. ამ მოძრაობაში, დასში ერთიანდებოდნენ არა მარტო მოქალაქეთა წარმომადგენლები, არამედ ფეოდალური არისტოკრატიაც, დიდებულთა ის ნაწილი, რომელიც თავისი საქმიანობით ახლოს იდგა საქალაქო წრეებთან და რომელთა ინტერესებიც, ზოგ შემთხვევაში, ერთიანდებოდა მოქალაქეთა ზედა ფენის ინტერესებთან“.

წყარო ვ) შოთა ბადრიძე, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III

„ის ფაქტი, რომ 1184 წელს თავიანთი პირველი გაფიცვის დროს დიდგვარიანი ოპოზიციონერები, რომლებიც უგვაროების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, არსად არ მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანის გადაყენებას, უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ იგი არ იყო უგვარო და ამიტომაც ოპოზიციონერები არ იყენებდნენ მისი მოხსნის საკითხს. თანაც ყუთლუ-არსლანი იმ დროს გააქტიურდა და შეეცადა, ამირსპასალარი გამხდარიყო, როცა ოპოზიციონერების ბრძოლა უგვაროების წინააღმდეგ წარმატებით დასრულდა. ასეთ ვითარებაში ყუთლუ-არსლანის მხრივ, ის რომ მართლა უგვარო ყოფილიყო, წარმოუდგენელი იქნებოდა ამირსპასალარობაზე ფიქრი... ყუთლუ-არსლანის დასელთა მესამე წოდებისადმი მიკუთვნება არ ხერხდება მარტოოდენ მათი მეთაურის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვითაც, ვინაიდან მისი იდეოლოგიის ძირითადი ელემენტი – ხელისუფლების დანაწილების თეორია საკმაოდ ძველია... ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა სავსებით შესაძლებელი იყო წამოეყენებინათ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებსაც, როგორადაც ჩვენ მიგვაჩნია ყუთლუს დასელები... მართლაც, ერთადერთ ცნობაში, რომელიც მოგვითხრობს ყუთლუ-არსლანის გამოსვლაზე, პირდაპირ მითითებულია, რომ ყუთლუს თანაშეფიცულები იყვნენ „დიდებულები“ და, აგრეთვე „ლაშქარნი“... ისინი, ვინც ყუთლუს დასელებს მესამე წოდების წარმომადგენლებად მიიჩნევენ, თვლიან, რომ ეს მოძრაო-

Don't copy

ბა გზას უხსნიდა მესამე წოდების წარმომადგენლებს ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. მაგრამ რადგანაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეს იყო დიდგვარიანთა პოლიტიკური გაფიცვა მათი წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებისათვის, ეს მოძრაობა რეაქციულ ელფერს ატარებდა: ის ასუსტებდა და ზღუდავდა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც იმ ხანებში პროგრესული სახელმწიფოებრივი კურსის გატარებას ცდილობდა“.

17. შენთვის რომელი მოსაზრებაა უფრო დასაბუთებული და რატომ?

18. რომელი ავტორის მტკიცებას იზიარებ ყუთლუ-არსლანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით? შენი აზრით, არისტოკრატიას წარმოადგენს თუ მოქალაქეთა ფენას ეკუთვნის?

19. შენი აზრით, ისტორიულ წყაროში გადმოცემული ინფორმაცია საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ ქართული ფეოდალური მონარქიის რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხზე ვიმსჯელოთ?

20. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რამდენად მართებულად მიგაჩნია ერთპიროვნული ხელისუფლების დანაწილება მეფესა და „კარავს“ შორის? იმსჯელე ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაზე. შენი აზრით, იმ პერიოდის საქართველოსთვის პროგრესული მოვლენა იყო თუ არა?

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 28. ქართველი მეცნიერების (წყარო დ), ე) და ვ) მოსაზრებების გათვალისწინებით შეავსე ცხრილი.

ფეოდალთა გამოსვლის ჩაწყნარებისთანავე ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. მაღალი თანამდებობები გავლენიან საგვარეულოებს შორის განაწილდა. ამიერიდან მეფე თავის ბრძანებაში აღნიშნავდა, რომ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებებს **„დარბაზის** ერთა თანადგომითა და ერთნებაობით“, ანუ დარბაზთან მოთათბირების შემდეგ იღებდა. ეს კარგად ჩანს თამარის მეუღლის საკითხის გადაწყვეტის დროს. სამეფო კარმა თამარის გათხოვებაზე ზრუნვა დაიწყო. დარბაზმა არჩევანი რუს უფლისწულზე, ვლადიმირ-სუზდალის ყოფილი მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟზე, იურიზე შეაჩერა, რომელიც, ბიძისგან დევნილი, ყივჩაყებს აფარებდა თავს. 1185 წელს თამარმა და იური ანდრიას ძემ იქორწინეს. მალე თამარ მეფე იურის (მას საქართველოში გიორგი რუსად მოიხსენიებდნენ), მისი პიროვნული ნაკლოვანებების გამო (მემატიანის თქმით, ის ლოთი იყო), გაეყარა. ქვეყანას მემკვიდრე სჭირდებოდა, ჯარს – მთავარსარდალი. ამიტომ სამეფო კარზე მალე კვლავ დადგა თამარის ხელახლა გათხოვების საკითხი. 1189 წელს თამარი დაქორწინდა **დავით სოსლანზე,** ბაგრატიონთა ოსეთის შტოს წარმომადგენელზე. მისგან თამარს ორი შვილი – გიორგი-ლაშა და რუსუდანი – ეყოლა. გაძევებულმა გიორგი რუსმა 90-იანი წლების დასაწყისში ორჯერ სცადა საქართველოში დაბრუნება და გამეფება. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალთა ნაწილი მას მიემხრო კიდეც. თუმცა სამეფო ლაშქარმა შეძლო აჯანყებულთა დამარცხება. იური ანდრიას ძე ბიზანტიაში გააძევეს.



სურ. 2. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი

დარბაზი – XI საუკუნიდან მეფესთან არსებული დიდებულების სათათბირო ორგანო.
დავით სოსლანი – ისტორიკოსების დიდი ნაწილი თვლის, რომ ის იყო გიორგი I-ისა და ალდე დედოფლის ვაჟის, დემეტრეს შთამომავალი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ალდე შვილიშვილთან, დემეტრეს ძესთან ერთად ოსეთში გაიქცა. იქ ამ უფლისწულმა ოსთა მეფის ასულზე იქორწინა და დავითი მისი შთამომავალი იყო. დავითი ბაგრატიონადაა მოხსენიებული „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინის“ თხზულებაში.

22. შენი აზრით, რა განსხვავებაა „დარბაზსა“ და „კარავს“ შორის?

DonGoby

თამარ მეფის საგარეო პოლიტიკა

1187 წელს ეგვიპტის სულთანმა აიუბიანთა საგვარეულოდან, სალაჰ-ად-დინმა, იერუსალიმი აიღო და იერუსალიმის სამეფომ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. იერუსალიმის მეფე გი დე ლუზინიანი სალადინს (სალაჰ-ად-დინს) ტყვედ ჰყავდა, მისი მეუღლე, სიბილა კი სულ რამდენიმე ქალაქს და მათ შემოგარენს ფლობდა. ამის საპასუხოდ 1189 წელს მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. ლაშქრობის მიზანი დაკარგული ტერიტორიების, უპირველეს ყოვლისა კი „წმინდა ქალაქის“ – იერუსალიმის დაბრუნება იყო. მართალია, „წმინდა ქალაქის“ დაბრუნება ვერ მოხერხდა, მაგრამ ჯვაროსნებმა რამდენიმე ქალაქისა და მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაბრუნება მოახერხეს. საბოლოოდ, სალაჰ-ად-დინსა და ჯვაროსნების ერთ-ერთ მეთაურს, ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულს შორის შეთანხმება გაფორმდა და მშვიდობამ დაისადგურა. იერუსალიმის სამეფომ განაგრძო არსებობა, ოღონდ დედაქალაქი ქალაქ აკრაში იყო.

სწორედ III ჯვაროსნული ლაშქრობის წინ თამარს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულთანთან, სალაჰ ად-დინთან. ამაზე მეტყველებს „ფიცის წიგნი“, რომელიც საქართველოს მეფემ მას გაუგზავნა.

სალაჰ-ად-დინი – ეგვიპტის აიუბიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი. ამ საგვარეულომ ეგვიპტეში შეცვალა ფატიმიანთა დინასტია.

წყარო ზ) „ფიცის წიგნი“, მიწერილი სალაჰ-ად-დინისადმი

„სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა უფლისა ერთადერთისა! ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით.

მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პირით, იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმიდა: ვფიცავ იმ საათს, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა ადამიანობას დაუკავშირა; ვფიცავ იმ თვისებას, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ვფიცავ იმ ტანს, რომელიც თვისების მიმღები გახდა; ვფიცავ **მესიას** და მის სიტყვას აკვანში; ვფიცავ მარიამს და მის მარხულობას იმ აღთქმის შედეგად (მიხედვით); ვფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ვფიცავ „სახარებას“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნს“, რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათ!) გარდამოსული; ვფიცავ ქრისტიანთა მოციქულთა და რჩეულ კრებულს; ვფიცავ ჯვარცმას და ღვთაებრივისა და ადამიანურის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან, **მავან** მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასდროს მავანი ქალაქისა და **ველაიათის** და მისი ციხეების [აღებას] არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი. და თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი, ქრისტიანობა იუდეველთა რჯულზე გამეცვალოს, ქრისტიანთა სარწმუნოება დამეგმოს, მესიის მიმდევართა თემი დამეგმოს და „სახარებაზე“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნნზე“, რომელნიც უფლის სიტყვანია, მეთქვას, ზღაპარია და მოჭორილი-მეთქი! თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტეს ჯვარი ფეხით გამეთელოს! მაღალმა უფალმაც ინებოს!“

მავანი – იგულისხმება სალაჰ-ად-დინი ველაიეთი, იგივე
ვილაიეთი – მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ოლქი თურქეთსა და ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოში
მესია – ქრისტე ანუ „ცხებული“, „მხსნელი“

23. გააანალიზე წყარო ზ) და იმსჯელე თამარისა და სალაჰ-ად-დინის ურთიერთობის ხასიათზე.
24. წყაროს მიხედვით, რას იშველიებს ქართველი მეფე თავისი პირობის სიმტკიცის დასასაბუთებლად? რამდენად დამაჯერებელი იქნებოდა სალაჰ-ად-დინისთვის მსგავსი მიმართვა? რატომ?
25. გამოთქვი ვარაუდი, რატომ უნდა დაედოთ ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოს მეფესა და ეგვიპტის სულთანს.

Don't copy

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ორი საკმაოდ ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ელდეგიზიდების საათაბაგო ემეზობლებოდა. ეს სახელმწიფო ძირითადად თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიას მოიცავდა. ათაბაგ აბუ-ბექრს ძმა, ამირ-მირანი, დაუპირისპირდა, მაგრამ დამარცხდა და საქართველოს ყმადნაფიც შირვან-შაჰთან გაიქცა, რომელსაც მალე დაუნათესავდა (ამირ-მირანმა შირვან-შაჰის ქალიშვილი შეირთო ცოლად). აბუ ბექრმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრა და ერთ-ერთ ბრძოლაში სიძე-სიმამრი დაამარცხა. შირვან-შაჰმა დასახმარებლად საქართველოს მეფეს მიმართა. როგორც თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, „აბუ-ბექრი შირვან შაჰსა და ამირ-მირანს ბელაყნის კართან თავს დაესხა და გააქცია. მათ საქართველოს სამეფო კარს თავი „შეავედრეს“ და აბუ-ბექრის წინააღმდეგ გალაშქრება სთხოვეს, რადგანაც აბუ-ბექრის შემოტევისაგან თავის დასაცავად ძალა არ შესწევდათ“. თამარ მეფემ გადაწყვიტა, ჯარი გაეგზავნა აბუ-ბექრის წინააღმდეგ. 1195 წელს მოწინააღმდეგეები შამქორთან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქართველების, შირვან-შაჰისა და ამირ-მირანის გაერთიანებულმა ლაშქარმა აბუ-ბექრი დაამარცხა და გააქცია. შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ქართულმა ჯარმა ქალაქი განძაც აიღო, რომელიც ხარკის გადახდის პირობით ამირ-მირანს გადაეცა.



26. ა. სქემის მიხედვით აღწერე შამქორის ბრძოლის მიმდინარეობა

სქემა. 1. შამქორის ბრძოლა

1202 წელს სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოს ახალი საფრთხე გამოუჩნდა რუმის სელჩუკთა სასულთნოს სახით. ეს სახელმწიფო სელჩუკიანთა სამეფოებს შორის ყველაზე ძლიერი იყო და მის სულთანს, რუქნ ად-დინს, იმის იმედი გაუჩნდა, რომ საქართველოს სამეფოს დაიპყრობდა. როგორც თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს: „ვერაგულად იჩემებდა სულთანი სიყვარულს, ხშირად გზავნიდა მოციქულებს, ვითომ მშვიდობისათვის, მშვენიერი ძღვენითურთ. ასევე იქცეოდა თამარიც – ისიც პასუხად მოციქულებს უგზავნიდა ძღვენით. მაგრამ სულთანი ცბიერ განზრახვას მალავდა, ფიცის უკან იმალებოდა და სამეფოს სამტროდ იყო გამზადებული“. 1202 წელს რუქნ ად-დინის ლაშქარმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და ბასიანში დაბანაკდა. აქედან სულთანმა თამარს ელჩი გამოუგზავნა და დანებება მოსთხოვა.

წყარო თ) ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, XIII ს.

„მაშინ წარმოავლინა თამარის წინაშე მოციქული ამგვარი უსტარით: „მე, რუქნადინი, ცისქვეშეთის უმაღლესი სულთანი, ძლიერებით ანგელოსთა მსგავსი, უფლის სწორი, მოვლინებული დიდი მუჰამედისაგან, გამცნობ თამარს, ქართველთა მეფეს: ყველა დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველთათვის ხმლის აღება და დახოცვა მუსულმანთა, ისლამის ერისა; გარდა ამისა, თავისუფალი ხალხისათვის, როგორც ყმათათვის, ხარკი დაგიწესებია. ახლა მე მოვდივარ, რათა სპარსთა გვარს აღვუდგინო სამართალი, ჭკუა გასწავლო და შენმა ხალხმა ვეღარასოდეს გაბედოს ხელში აღება ხმლისა, რომელიც ღმერთმა ჩვენ გვიბოძა. მხოლოდ მას დავტოვებ ცოცხალს, ვინც მანდ მოსვლამდე ჩემი კარვის წინ მცემს თაყვანს, აღიარებს მუჰამედ მოციქულის მოძღვრებას, უარყოფს შენს სჯულს და ჩემ თვალწინ თავისი ხელით დაიწყებს იმ ჯვრის ლეწვას, რომლის იმედიც ტყუილად გაქვთ. მოლოდინში იყავი იმის სამაგიეროსი, რაც სპარსთ შეამთხვიე“.

Don't copy




სურ.3. კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსნების მიერ 1204 წელს. XV ს.-ის ევროპული მინიატურა.

ქართველთა ლაშქარი დავით სოსლანისა და ამირსპასალარ **ზაქარია მხარგრძელის** მეთაურობით მოწინააღმდეგისკენ გაემართა. ბასიანის ბრძოლაში ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1202-1204 წლებში ჯვაროსანთა IV ლაშქრობა მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობა თავიდან ეგვიპტის წინააღმდეგ იყო მიმართული, ჯვაროსნებმა ეგვიპტეზე თავდასხმა სამომავლოდ გადადეს, სამაგიეროდ, აიღეს და გაძარცვეს კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიამ დროებით არსებობა შეწყვიტა და მის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო შეიქმნა. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, საქართველოს ინიციატივით, ტრაპიზონის იმპერია დაარსდა. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კონსტანტინოპოლი დაეცემოდა, ბიზანტიის იმპერატორსა და თამარ მეფეს შორის მცირე დაპირისპირება დაიწყო.

ზაქარია მხარგრძელი – XII-XIII სს. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე, ამირსპასალარი. ზოგიერთი სომხური წყაროს ცნობით მხარგრძელების წინაპრები ქურთები იყვნენ; თავად მხარგრძელები, ზოგიერთ წარწერაში თავს სომეხი ბაგრატუნების, ზოგიერთში კი – ვასპურაკანის სომხური სამეფოს მმართველი, არწრუნების შთამომავლებად ასახელებენ. ზაქარია მხარგრძელი თამარის უერთგულესი ვეზირი იყო. მონაწილეობდა, (ძირითადად ჯარის ერთ-ერთი მეთაური იყო), საქართველოს სამეფოს ყველა მნიშვნელოვან ბრძოლასა და ლაშქრობაში.




რუკა 9. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა 1204 წელს

27. წყარო თ-ს მიხედვით, ვისი ინტერესების დამცველად გვევლინება რუქნ ად-დინი? რა არის მისი ლაშქრობის მოტივი?

28. დააკვირდი რუკა 9-ს და იმსჯელე რა ტერიტორია მოიცვა ტრაპიზონის იმპერიამ?

Don't copy


საქართველო XII – XIII სს. მიჯნაზე
მეფე თამარის დროს
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
ქალაქი
ციხესიმაგრე
ეკლესია-მონასტერი
ქართული ლაშქრის მოძრაობა შამქორისკენ
ქართული ლაშქრის მოძრაობა ბასიანისკენ
ბრძოლის ადგილი
საქართველო
ვასალური ქვეყანა
მოხარკე ქვეყანა
გავლენის სფერო
პონტოს (შავი) ზღვა
დარუბანდის ზღვა
ტრაპიზონი
ტრაპიზონის იმპერია
არზრუმის სასამთრო
არზრუმი (კარნუქალაქი)
ერზინკის სასულტნო
რუმის (იკონიის) სასულტნო
ხლათის სახელმწიფო
შამქორი 1195
ბასიანი 1202
განძა
შამახია
თბილისი
ნიკოფსია
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
ბიჭვინთა
ფოთი
ბათუმი
გონიო
ათინა
რიზე
ოშკი
ხანძთა
ბანა
ფანასკერტი
ოლთისი
თორთომი
ანისი
(ყარსი)
ამბერდი
ვალაშკერტი
მანასკერტი
არჭეში
ხლათი
ბაგრატის ტბა
ვანის ტბა
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
მოქვი
ბედია
ილორი
ციხეში
ორბელი
მინდა
ქუთაისი
შორაპანი
რუისი
გორი
ცხინვალი
კაცხი
ურბნისი
ჟინვანი
პანკისი
ნეკრესი
ველისციხე
ბელაქანი
კახი
გიში
ყაბალა
(საარიშიანო)
ხორანთა
არეში
ბარდავი
ბაილაყანი
ხოხანაბერდი
ტათევი
ნორავანი
სივნიეთი
ნახჭევანი
ბოლნისი
რუსთავი
გარეჯი
ბოდბე
დმანისი
გაგი
ლორე
ბენარი
ბანა
ფანასკერტი
ოლთისი
თორთომი
ანისი
(ყარსი)
ამბერდი
ბივჭვინისი
გელაქუნი
გარნისი
დვინი
გარდმანი
ათერკი
ბენარი
ბანა
ფანასკერტი
ოლთისი
თორთომი
ანისი
(ყარსი)
ამბერდი
ბივჭვინისი
გელაქუნი
გარნისი
დვინი
გარდმანი
ათერკი
ბარდავი
ბაილაყანი
ხოხანაბერდი
ტათევი
ნორავანი
სივნიეთი
ნახჭევანი
ბასიანი 1202
ვალაშკერტი
მანასკერტი
არჭეში
ხლათი
ბაგრატის ტბა
ვანის ტბა
ჭანეთი
აფხაზეთი
ოვსეთი
ეგრისი
დვალეთი
ხევი
ფშავ-თუშეთი
ხევსურეთი
ქართლი
ჯავახეთი
სამცხე
ტაოს-კლარჯეთი
არტაანი
კოლა
ქორაბეტი
ტაშირ-ძორაკეთი
შავშეთი
თრიალეთი
ჯავახეთი
ბაიბურთი
ბასიანი
კამბეჩანი
ქისტეთი
ჭარ-ბელაქანი
ალაზანი
ივრის ველი
ქართლის ველი
მტკვარი
არაქსი
ჭოროხი
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ყვირილა
ბზიფი
ყინწვისი
სამშვილდე
ჯაყი
ანჩა
ტბეთი
ოპიზა
არტანუჯი
წყაროსთავი
ჯავახეთი
ტაშირ-ძორაკეთი
ბასიანი
ალაზანი
მტკვარი
ივრის ველი
ქართლის ველი
ბაგრატის ტბა
ვანის ტბა
არაქსი
ჭოროხი
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ყვირილა
ბზიფი
ყინწვისი
სამშვილდე
ჯაყი
ანჩა
ტბეთი
ოპიზა
არტანუჯი
წყაროსთავი
ჯავახეთი
ტაშირ-ძორაკეთი
ბასიანი
ალაზანი
მტკვარი
ივრის ველი
ქართლის ველი
ბაგრატის ტბა
ვანის ტბა
არაქსი
ჭოროხი
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ყვირილა
ბზიფი

წყარო ი) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XIII ს.

„ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ეახლნენ მას თხოვნით მონაზონნი **შავი მთიდან**, ანტიოქიიდან, კუნძულ კვიპროსიდან, მთაწმიდიდან და კიდევ ბევრი სხვა ადგილიდან. თამარმა, როგორც ამას საერთოდ აკეთებდა, ისინი, როგორც ანგელოზნი, ისე მიიღო; მრავალი დღის მანძილზე არ გაუშვა, შემდეგ ყველა დიდად დაასაჩუქრა და ყოველივე საჭიროთი აავსო. ყველაზე შორიდან მოსულთ მისცა დიდძალი ოქრო თვით მათთვის და, აგრეთვე, მონასტრებისთვის. წავიდნენ მონაზონნი და როდესაც კონსტანტინოპოლს მიაღწიეს, შეიტყო ეს ბერძენთა ანგარებიანმა მეფემ, **ალექსიმ,** რომელმაც თავის ძმას, ისაკს, თვალები ამოშანთა და მეფობა წარსტაცა. იგი ყველანაირად ბოროტი კაცი იყო და მეფობისათვის შეუფერებელი, თავისი ანგარების გამო კი ყველასგან განსაკუთრებით შეძაგებული. იხილა რა დიდძალი ოქრო, რომელიც თამარმა მისცა მონაზვნებს, წაართვა მათ ბოძებული.

როდესაც ეს თამარ მეფემ შეიტყო, იმ წმიდა კაცთათვის კიდევ უფრო მეტი საბოძვარი გაგზავნა და ამით ეშმაკს სძლია. განრისხდა თამარი ბერძენთა მეფეზე, ლიხთ იქითა მხრიდან მცირე ლაშქარი წარგზავნა და წაართვა მას ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ფებლაღონიისა და პონტოს მთელი მიწები. ჩააბარა ეს ყველაფერი თავის ნათესავს, **ალექსი კომნენს,** ანდრონიკეს შვილს, რომელიც მაშინ თამარ მეფესთან აფარებდა თავს“.

29. შენი აზრით, როგორ შეძლო თამარმა „მცირე ლაშქრით“ ბიზანტიის ტერიტორიების დაუფლება? ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე რომელი პროცესებია ამის წინაპირობა?

წყარო კ) მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონელი ისტორიკოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, XIV ს.

„მოვიდა დიდი კომნენოსი, უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოიღაშქრა იბერიიდან თავისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით, და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი“.

ალექსი – ბიზანტიის იმპერატორი ალექსი III ანგელოსი (1195-1203) – 1195 წელს თავის ძმას, იმპერატორს ისააკს თვალები დასთხარა და დაატყვევა.

ალექსი კომნენი, იგივე ალექსი I კომნენოსი – ტრაპიზონის პირველი იმპერატორი (1204-1222). მისი პაპა, ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე I კომნენოსი (1183-1185) იყო, დედა კი თამარ მეფის და, რუსუდანი. ის და მისი ძმა, დავითი, სავარაუდოდ, თამარის კარზე გაიზარდნენ.

შავი მთა – საკვირველი მთა, ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელოვანი კერა ისტორიულ სირიაში (ახლანდელ თურქეთში). შუა საუკუნეებში ქართული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი საზღვარგარეთ.

თამარ მეფე, 1207 ან 1210 წელს (ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის) გარდაიცვალა. მისი თანამედროვე ქართველი მემატიანეები – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი, ბასილი ეზოსმოძღვარი და „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“ ერთხმად აღნიშნავენ, რომ თამარ მეფე გელათში, თავისი წინაპრების გვერდით, დაკრძალეს. ტახტზე მისი ვაჟი გიორგი IV ავიდა.

30. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 29. იქ წარმოდგენილი წყაროების საშუალებით, გამოთვალე თამარის გარდაცვალების თარიღი.

31. იმსჯელე, რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ერთიანი ქართულ-მუსლიმური ჯარის გამარჯვებას შამქორში?

32. რა მიზეზებით ასაბუთებს რუქნ ად-დინი საქართველოში გამოლაშქრების აუცილებლობას?

33. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 30. დროის ხაზზე დაიტანე თამარის დროს მომხდარი მოვლენები. ცხრილში შეიტანე შამქორისა და ბასიანის ბრძოლების, ასევე ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წყაროებში მოყვანილი მიზეზები და იმსჯელე – ეს მიზეზებია თუ საბაბი?

34. შეადარე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სამეფოს რუკები (რუკა 8 და რუკა 10) და იმსჯელე, საქართველოს სახელმწიფომ ერთი საუკუნის განმავლობაში რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა.

35. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 31. შეავსე კონტურული რუკა. სხვადასხვა ფერით გამოყავი საქართველოს სამეფოს მეზობელი სახელმწიფოები, მათ შორის ვასალური და ყმადნაფიცი.

Don't copy

11 რატომ აფასებენ წყაროები გიორგი IV ლაშას განსხვავებულად

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფე გახდა გიორგი IV ლაშა (1210-1223). მისი გამეფებისთანავე ქართველთა ლაშქარმა ქალაქ ხლათს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, ალყა შემოარტყა. ხლათის მმართველი ამ დროს ეგვიპტელი აიუბიანების სულთნის ალ-ადილის (სალაჰ ად-დინის ძმა) ძე, ალ-ავჰადი იყო. თუმცა ლაშქრობა წარუმატებლად დასრულდა. მხედართმთავარი ივანე მხარგრძელი ხლათელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ქართველებსა და აიუბიანებს შორის **30-წლიანი სამშვიდობო ხელშეკრულება** გაფორმდა. ამ შეთანხმების განსამტკიცებლად ალ-ავჰადმა ცოლად შეირთო ივანე მხარგრძელის ქალიშვილი თამთა. მართალია, ალ-ავჰადი მალე გარდაიცვალა, მაგრამ თამთა ალ-ავჰადის ძმამ და მემკვიდრემ, ხლათის ახალმა მმართველმა, ალ-მალიქ ალ-აშრაფმა, შეირთო ცოლად. ამის შემდეგ ქართველებსა და ხლათის აიუბიან მმართველებს შორის კარგა ხანს მშვიდობა სუფევდა.

წყარო ა) ჟაკ დე ვიტრი, აკრის ეპისკოპოსი, XIII ს. I მეოთხედი

„აღმოსავლეთის მხარეში ძალზე მეომარი ქრისტიანი ხალხი ცხოვრობს, ბრძოლაში გამობრძმედილი, მამაცი, ძლიერი, უზარმაზარი ლაშქრის პატრონი. სარკინოზებისთვის ძალიან საშიშნი არიან, სპარსელების, მიდიელებისა და ასირიელებისთვისაც, რომელთა შორის ცხოვრობენ; ყოველი მხრიდან ურწმუნოებით გარშემორტყმულნი, ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულან მათთან. ამ ხალხებს გეორგიანებს უწოდებენ იმიტომ, რომ წმინდა გიორგის, რომელიც მფარველად და დამცველად ჰყავთ ურწმუნო ტომებთან ბრძოლაში, სხვა წმინდანებს შორის გამორჩეულად სცემენ პატივს და ეთაყვანებიან... როცა უფლის საფლავის მოსანახულებლად მოეშურებიან, არავითარ ბაჟს არ იხდიან, წმინდა ქალაქს გაშლილი დროშებით უახლოვდებიან. სარკინოზებს ვერ წარმოუდგენიათ, დააბრკოლონ ისინი, თუ, ვთქვათ, სამშობლოში დაბრუნებისას ბაჟს არ გადაუხდიან“.



30-წლიანი სამშვიდობო ხელშეკრულება – ივანე მხარგრძელის თავისუფლების სანაცვლოდ ქართველებს უნდა შეესრულებინათ შემდეგი პირობები: ა. ამ ლაშქრობის დროს დატყვევებული 5 000-მდე კაცი უნდა გაეთავისუფლებინათ. ბ. პირველ ჯერზე 100 ათასი დინარი, შემდეგ კი ყოველწლიურად გარკვეული თანხა უნდა გადაეხადათ. გ. ალ-ავჰადისთვის უნდა დაეთმოთ 27 ციხე-სიმაგრე, რომლებიც სამხრეთ სომხეთში აიღეს. დ. ალ-ავჰადს ცოლად გააყოლებდნენ სილამაზით სახელგანთქმულ თამთას, ივანე მხარგრძელის ასულს.

აკრა – ქალაქი პალესტინაში. III ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, 1191-1291 წლებში, იერუსალიმის სამეფოს დედაქალაქი.

1. გააანალიზე თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის დროს აიუბიანებთან დამყარებული ურთიერთობის ხასიათი და იმსჯელე, ქართველები მხოლოდ ჟაკ დე ვიტრის მიერ დასახელებული მიზეზის გამო სარგებლობდნენ წმინდა ქალაქში პრივილეგიებით?

2. წყაროს მიხედვით, რა საფრთხის პირობებში უწევს არსებობა ქართულ სახელმწიფოს?

3. ქართველი ხალხის რომელ თვისებებს უსვამს ხაზს წყაროს ავტორი?

4. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 32. ტექსტსა და წყაროებზე (ა და ბ) დაყრდნობით გააკეთე საქართველოს სამეფოს Swot-ანალიზი თამარის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის გამეფების საწყის ეტაპზე.

თავისი მეფობის პირველ წლებში ლაშა-გიორგიმ განძისკენაც გაილაშქრა. განძა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო და ხარკს იხდიდა. მისმა მმართველმა თამარის გარდაცვალებისთანავე ასეთი დამოკიდებულებისგან თავის დახსნა მოინდომა. ქართულმა ჯარმა ქალაქს ალყა შემოარტყა.

Don't copy

წყარო ბ) ჟამთააღმწერელი, XIV ს. (ადაპტირებული ტექსტი)

„მაშინ მეფემ გადაწყვიტა მცირე ლაშქრით ქალაქის გარშემოვლა. შეიტყვეს ეს განძაში მყოფებმა, ყველანი აღიჭურვნენ. შეიარაღებული კაცი იყო ათი ათასი. მეფეს მხოლოდ ოთხი ათასი კაცი ჰყავდა... იმ დროს, როდესაც მეფემ ქვემოდან შემოუარა, იგი იცნეს, სწრაფად გააღეს ქალაქის კარები და ზედ მიესივნენ. მეფე ლაშა არ შეუშინდა მათ სიმრავლეს და თავის მოლაშქრეებს ამხნევებდა. მეფის სპანიც, თავიანთი თავის სასიკვდილოდ გამწირველნი, ეუბნებოდნენ: „სიკვდილამდის ვიბრძოლებთ, თავს სასიკვდილოდ დავდებთ და არ შევარცხვენთ შენი მეფობის პირველ ომს“. ელვის სისწრაფით მიესივნენ ერთმანეთს, შეიქმნა ძლიერი და ფრიად სასტიკი ბრძოლა. მახვილით დაეცა განძის მრავალი რჩეული. თვითონ მეფე ლაშა, სვიანი მკლავითა და გოლიათი ხელით, მხნედ და ძლიერად გაიჭრა წინ, მასთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ყვარყვარე ჯაყელის პირმშო შვილი ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რადგან ესენი წინ დაეყენებინათ. ხოლო როცა განძელებმა მათი მამაცობა იხილეს, სწრაფად იქციეს მათგან პირი; ქართველებმა სდიეს მათ ქალაქის კარამდე. მცირე ნაწილმა შეაღწია შიგნით, უმრავლესობა დაატყვევეს და ზოგიერთები დახოცეს. ღმრთის განგებით უვნებლად გადარჩნენ მეფე და მისი თანამებრძოლნი. სახელოვანი დიდაზნაურები წინ მოეგებნენ ლაშას. დიდებულმა მებრძოლებმა და მოლაშქრეებმა მოახსენეს მეფეს, რომ ამიერიდან უარს იტყოდნენ მის ჯარში და მეფის კარზე სამსახურზე. მეფე ცხენიდან ჩამოხტა და უმეცრებით ჩადენილისათვის შენდობა ითხოვა“.

5. როგორ ფიქრობ, გამართლებული იყო თუ არა ლაშა-გიორგის მოქმედება? პასუხი დაასაბუთე.
6. შენი აზრით, რამდენად ასახავს ქვეყანაში არსებულ შიდა ვითარებას, ერთი მხრივ, დიდაზნაურების მიერ მეფისთვის წაყენებული პირობა, რომ თუ იგი მათთან შეუთანხმებლად იმოქმედებდა, მის სამსახურზე უარს იტყოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მეფის მიერ შენდობის თხოვნა?
7. გამოთქვი ვარაუდი, როგორ მოიქცეოდნენ მსგავს ვითარებაში დავით IV აღმაშენებელი ან გიორგი III? პასუხი დაასაბუთე.
8. შენი აზრით, წინა პერიოდში მომხდარ რა მოვლენებს შეიძლებოდა გამოეწვია ეს ფაქტი?
9. როგორია წყაროს ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტთან დაკავშირებით?

ეს ლაშქრობა ქართველებისთვის წარმატებული აღმოჩნდა და შედეგად განძას ძველებურად დაეკისრა ხარკის გადახდა. 1218 წელს ლაშა-გიორგიმ **ნახჭევანსა და კარნუ-ქალაქში** ილაშქრა და ეს ქალაქები, მიმდებარე მიწებითურთ, კვლავ შემოიმტკიცა.

ლაშა-გიორგის მეფობის დროს დაიწყო და მიმდინარეობდა ჯვაროსანთა V ლაშქრობა (1217-1221). ჯვაროსანთა ერთ-ერთმა ლიდერმა, პელაგიუსმა, მოკავშირეების ძებნა დაიწყო. მან დახმარებისთვის ლაშა-გიორგისაც მიმართა. როგორც ჩანს, მეფემ თანხმობა განაცხადა და მზადება დაიწყო.

ნახჭევანი – XII საუკუნეში ილდეგიზითთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დედაქალაქი. მდებარეობდა ირანიდან სამხრეთ კავკასიაში შემომავალ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე.

კარნუ-ქალაქი – ქალაქ ერზრუმის ძველი ქართული სახელწოდება. მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ქალაქის ბერძნული სახელი თეოდოსიპოლი იყო (დაარქვეს ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსი II-ის საპატივსაცემოდ). კარნუ-ქალაქი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო – ცნობილი იყო სხვადასხვა ქსოვილის წარმოებით. აქ გადიოდა მცირე აზიიდან სამხრეთ კავკასიაში შემომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა.

Don't copy

წყარო გ) ფრანგი რაინდის, დე ბუას წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამედე დე ტრელესადმი, XIII ს-ის I ნახევარი

„აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე და საქმის ჭეშმარიტება სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობითა და ქვეითი ჯარით, ღვთის აღმაფრთოვანებელი დახმარების ძალით ფრიად აღჭურვილი, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, ძლიერნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს... მეფე მათი წარჩინებული თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისის, უძლიერესი დედოფლის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი გვამის წმიდა ქალაქში წამოღება ნებსით თუ უნებლიეთ“.

ჯვაროსანთა V ლაშქრობა – *დაიწყო 1217 წელს. თავიდან დაიწყო სირია-პალესტინის მიმართულებით, თუმცა შემდეგ ჯვაროსნებმა ეგვიპტეში, ნილოსის დელტაში მდებარე ქალაქ დამიეტის აღება გადაწყვიტეს და მას შეუტიეს. დამიეტა აიუბიანების ეგვიპტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტი იყო. თუ ჯვაროსნები მას აიღებდნენ, ცოცხალი ძალითა და სურსათით მოსამარაგებლად მნიშვნელოვან დასაყრდენს შეიქმნიდნენ; დამიეტა ასევე პლაცდარმი გახდებოდა აიუბიანების დედაქალაქ კაიროსკენ გასალაშქრებლად. 1219 წელს ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს, მაგრამ რამდენიმე წარუმატებლობის შემდეგ ეგვიპტის სულთანს შეუთანხმდნენ, რომ ისინი იერუსალიმის სამეფოში ან სამშობლოში უვნებლად დაბრუნდებოდნენ, სამაგიეროდ კი დამიეტას აიუბიანებს დაუბრუნებდნენ.*

Don't copy

სავარაუდოდ, ამ პერიოდში, 1219 წელს, საქართველოში ჩამოვიდა ხლათის მმართველის, ივანე მხარგრძელის სიძის ალ-აშრაფის ელჩი. ელჩობის მიზანი იყო იერუსალიმში ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული რეპრესიების ახსნა. ჯვაროსნული ლაშქრობის დროს იერუსალიმის დაცვა ძნელი იქნებოდა. მეტიც, ეგვიპტის სულთანი ჯვაროსნებს იერუსალიმს სთავაზობდა, ოღონდ დამიეტისთვის ალყა მოეხსნათ. ამაზე ევროპელი რაინდები არ დათანხმდნენ და დამიეტა აიღეს, ამან იერუსალიმში პანიკა გამოიწვია, რადგან ეგონათ, რომ ჯვაროსნები მალე მათი ქალაქისკენ გამოილაშქრებდნენ. ქალაქში დაწყებული არეულობის დროს შეილახა ქრისტიანთა, მათ შორის, ქართული ქრისტიანული თემის ინტერესები და უფლებები. გაიძარცვა ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობის სახლები, ქრისტიანული ტაძრები. უეჭველია ისიც, რომ იერუსალიმის ქართული ქრისტიანული თემის მესვეურები ამის თაობაზე ლაშა-გიორგისთან იჩივლებდნენ და დახმარებას მოითხოვდნენ. ლაშა-გიორგი V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისთვის ემზადებოდა და აიუბიანებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა. სავარაუდოა, ამ ელჩობის მიზანი იყო, დაერწმუნებინათ საქართველოს მეფე, რომ ქართველთა ინტერესები **წმინდა მიწაზე** არ შეილახებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ ლაშა-გიორგის ლაშქრობა წმინდა მიწაზე არ შედგა, რადგან საქართველოს ახალი საშიშროება დაემუქრა მონღოლების სახით.

მონღოლური ტომები ცენტრალური აზიის სტეპებში ბინადრობდნენ. 1211 წ. მონღოლებმა დიდი დაპყრობითი ომები დაიწყეს და პირველი შეტევა მეზობელ ჩინეთზე მიიტანეს. მონღოლები საქართველოში პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ. ეს სადაზვერვო სამხედრო ოპერაცია იყო. 1220-1221 წლებში მათ კიდევ ორჯერ დაამარცხეს საქართველოს ჯარი, მესამედ – თავად მეფე გიორგი IV. თუმცა ისინი ამჯერად დასაპყრობად არ ყოფილან მოსული. მაშინ მონღოლები საქართველოში არ დარჩენილან. გზა ჩრდილოეთისკენ გააგრძელეს და კავკასიონით სამხრეთ რუსეთში გადავიდნენ, 1223 წელს მდ. კალკასთან დაამარცხეს რუსებისა და ყივჩაყების გაერთიანებული არმია და სამშობლოში დაბრუნდნენ.

წმინდა მიწა – ტერიტორია მდ. იორდანედან ხმელთაშუა ზღვამდე. მიიჩნევა წმინდად ებრაელებისთვის, ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის. ეს ტერიტორია წმინდაა იერუსალიმის რელიგიური მნიშვნელობით. იგი არის ებრაელების უწმინდესი ქალაქი, ქრისტიანებისთვის იესოს მოღვაწეობის მთავარი არეალი და მუსლიმებისთვის – რადგან აქ მუჰამედმა იმოგზაურა და ამაღლდა.

რუკა 11. მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში 1220-1222 წწ.

Portion

10. წყარო გ)-ს მიხედვით, რას მიიჩნევს ავტორი ლაშა-გიორგის წმინდა მიწაზე ლაშქრობის მოტივად?
11. როგორ ახასიათებს დე ბუა ქართველ მონარქს? შენი აზრით, რას ასახავს მისი დახასიათება: ახალგაზრდა მეფის სახელგანთქმულობას თუ ქართული სამეფოს საერთაშორისო ავტორიტეტს?
12. წყაროს მიხედვით, სად მიაქვს ახალგაზრდა მეფეს დედის ნეშტი? შენი აზრით, შეძლო თუ არა მან თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა?
13. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 33. ისტორიის კურსში შესწავლილი ჯვაროსნული ლაშქრობები დააკავშირე საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებთან და შეავსე ცხრილი.
14. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 34. შეავსე კონტურული რუკა. დაიტანე მონღოლთა ჯარის მარშრუტები მათი საქართველოში პირველად გამოჩენის დროს.
15. შენი აზრით, რამდენად სანდოა წყარო გ-ს მონაცემი იმის შესახებ, რომ გიორგი IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას აპირებდა? შენი მოსაზრება გაამყარე სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემული სხვა ინფორმაციით.
16. ლაშა-გიორგის არმონაწილეობა V ჯვაროსნულ ლაშქრობაში განპირობებული იყო: ა) მონღოლების საქართველოში გამოჩენით; ბ) ალ-აშრაფის ელჩების წარმატებული მოღვაწეობით; გ) V ჯვაროსნული ლაშქრობის დასრულებით. მოიყვანე თითოეული მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტი.

გიორგი IV-ის დროს, როგორც ჩანს, დიდაზნაურების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა. როგორც ჩანს, საქართველოს მეფე ცდილობდა ამ გავლენისგან თავის დაღწევას, მაგრამ ვერ მოახერხა. ეს ყველაფერი მის პირად ცხოვრებაზეც აისახა. ლაშა-გიორგიმ კახეთის ერთ სოფელში, ველისციხეში, ნახა ერთი მშვენიერი ქალი, აზნაურის ცოლი, რომელიც შეუყვარდა. მან ქალი ქმარს წაართვა და თავისთან წაიყვანა. ქალი დაფეხმძიმდა და შვა ვაჟი, რომელსაც დავითი უწოდეს. შეიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები, ვეზირები და უთხრეს: არ შეიძლება, რომ მხევალი გესვას და არა ცოლი. მეფემ მათი ყურის დაგდება არ ისურვა. ამიტომ ეს ქალი, დავითის დედა, წაართვეს და ქმარს დაუბრუნეს. ლაშა-გიორგი სხვაზე აღარ დაქორწინდა.



სურ. 1. გიორგი III, თამარი, ლაშა-გიორგი. ბეთანიის კედლის მხატვრობა. შესრულებულია დაახ. 1207 წელს.

ლაშა-გიორგის პოლიტიკურ კურსსა და მის პიროვნებაზე იმთავითვე სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. რადგან მის მეფობას უშუალოდ მოჰყვა ქართველთა სახელმწიფოებრიობის დაცემა, მომდევნო თაობები ამ დაცემის მიზეზებს გამუდმებით ლაშას მეფობაში ეძებდნენ. ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტ ები ორი ისტორიკოსის, ლაშა-გიორგის მემატიანისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებიდან, რომლებიც ამ მეფეს განსხვავებულად აფასებდნენ. ლაშა-გიორგის მემატიანე, ბუნებრივია, მეფის თანამედროვეა, ჟამთააღმწერელი კი XIV ს.-ში მოღვაწეობდა. გაეცანი მათ და შეადარე ერთმანეთს ორი ისტორიკოსის მონათხრობი.

Don't copy

წყარო დ) ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, „ XIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდის. თორმეტი წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილ-მოზარდი და ყვავილი ყოველთა ივერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათთა პატივითა, მონაზონთა და მღდელთა მათთა პატივითა, მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი, მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიხადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპის პაპისა მისისანი, მეცნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა ნაყოფთა მოსლვისათვის, დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა“.

წყარო ე) ჟამთააღმწერელი, XIV ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„როდესაც თამარი გარდაიცვალა, ლაშა თვრამეტი წლის იყო. თამარმა თავის ძეს მეფობა დაუტოვა, ხოლო ქართველ ხალხს – გვემა, მწუხარება, ვაება და გლოვა, რადგან მისი სამეფოს მკვიდრნი ცოცხლად იყვნენ ჩასულნი ჯოჯოხეთში; თამარი იმსახურებდა ასეთ გლოვას. თამარის შემდეგ გამეფდა მისი ძე, ლაშა-გიორგი. იყო ძლიერი აღნაგობის, მამაცურად მოისარი, ნადიმების მოტრფიალე, ლაღი და თავნება. უფრო იმიტომ იყო გათამამებული, რომ ყველა მოწინააღმდეგე დაიმორჩილა მისმა კეთილად მოხსენებულმა და ღვთისმოყვარე დედამ და უშფოთველი და დაწყნარებული ჰქონდა დატოვებული თავისი სამეფო; ყველა მათი მეზობელი მოხარკედ გაეხადა, როგორც, მაგალითად, განძელები და მათ ახლოს მოსახლენი, ნახჭევანელები და კარნუქალაქელნი. მრავალი სხვაც ძღვენითა და ხარკით მოდიოდა მასთან. იმ დროს ლაშა იშვებდა, იხარებდა და ყველგან იყო განცხრომა და მხიარულება. თვითონ მეფე მივიდა თბილისში და საბოძვარით აავსო საქართველო, რადგან იყო ყველა მეფეზე უმეტესად უხვი და არავის მოშურნე, მლოცველი, მმარხველი, განმკითხველი და მოწყალე. მაგრამ ბოლოს, უწესო კაცთა მიბაძვით, ცუდ გზას დაადგა. როგორც სოლომონის შესახებ წერია, რომ აცთუნეს იგი ქალებმა, ისე ესეც აცთუნეს უწესო კაცებმა. ამას ცხადყოფს ქვემოთ მოთხრობილი. ერთობოდა ნადირობით და მოქეიფეებთან ერთად უკეთურ გზაზე შედგა ისე, როგორც წერია ისრაელის შესახებ: „დასხდა ერი ჭამად და სმად და აღდგეს სიმღერად“. ხოლო სმამ სიმღერასა და ღრეობაზე და უზომო ჭამაზე და სიბილწეზე უფრო მეტად გადარია. მოიშორა ის ვეზირები, ვინც სანატრელი დედოფლისა და მისი დედის მიერ დადგენილი წესების დაცვას ურჩევდნენ, შეიყვარა ქეიფობასა და უწესო ქალებთან დროსტარებას აყოლილი თანატოლები, ისეთი უმსგავსობა ჩაიდინა, რომ ერთხელაც, ტფილისში ყოფნისას, თაფლუჭის ღვინით სასტიკად მთვრალი **რინდებთან** წაიყვანეს, რომ იქ უფრო მეტად ჩაფლულიყო სიბილწეში. ღვინისგან უგონოდ მთვრალი რინდები, რომელთაც არ იცოდნენ, რომ მოსული მეფე იყო, მიესივნენ და სასტიკად სცემეს, ისე, რომ მარჯვენა თვალი დაუბრმავეს. ამის გამგონე საქართველოს თავადებმა, ფრიად შეწუხებულებმა, განსაკუთრებით ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა, ზაქარიას ძემ, დატოვეს სამეფო დარბაზი. „არ ვცნობთო, ეუბნებოდნენ, შენს მეფედ ყოფნას, თუ არ მოშორდები ბოროტ კაცებთან სიახლოვეს და ავ ჩვეულებას, რომელსაც მისდევ“. ხოლო მეფემ მოინანია და ფიცით აღუთქვა, რომ არაფერს გააკეთებდა მათი დასტურის გარეშე.

Don't copy

რინდი – (სპარს.) მოქეიფეს და შფოთისთავს ნიშნავს, თუმცა ასევე უწოდებდნენ აღმოსავლეთში გავრცელებულ ერთ-ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც ოფიციალურ მუსლიმურ რელიგიას უპირისპირდებოდა. აღმოსავლურ პოეზიაში რინდები დახასიათებული არიან, როგორც უსახლკარო, მოქეიფე, უდარდელი და ენამახვილი ადამიანები. რინდი არწივივით ლაღი, გულითა და გონებით მდიდარი, ერთგული მეგობარი და შმაგი მიჯნურია, რომელიც დასცინის საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს, თვალთმაქცურ ლოცვებს, მოსყიდულ მსაჯულებს, ფარისევლობას. ღვთის სიყვარულის ქადაგების ნაცვლად რინდები ადამიანურ სიყვარულს ადიდებენ.

17. დაახასიათე ლაშა-გიორგი თითოეული ნაწყვეტის მიხედვით და ივარაუდე, რატომ აქვთ ავტორებს ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება?
18. შენი აზრით, რომელი წყაროს ინფორმაციაა უფრო სანდო? რატომ?
19. ივარაუდე, რატომ უნდოდა მეფეს თავისი დედის ერთგული ვეზირების მოშორება.
20. როგორ გესმის ეს წინადადება: „არ ვცნობთო, ეუბნებოდნენ, შენს მეფედ ყოფნას, თუ არ მოშორდები ბოროტ კაცებთან სიახლოვეს და ავ ჩვეულებას, რომელსაც მისდევ“? შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფოსთვის ასეთი ვითარება?
21. როგორ ხსნის ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის ხასიათის ცვლილებას?
22. შენი აზრით, რამ უბიძგა მეფეს თვითნებობისკენ: პიროვნულმა თვისებებმა თუ თამარის მიერ დატოვებულმა „უშფოთველმა“ სამეფომ?
23. რატომ ერევიან სამეფო კარის საერო და სასულიერო დიდებულები ლაშა-გიორგის ქორწინების საკითხში? შეადარე დავით აღმაშენებლისა და თამარის ქორწინების საკითხს და იმსჯელე, რატომ არ ემთხვევა მეფის პირადი ცხოვრება ყოველთვის მის ნება-სურვილს.
24. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა სამომავლოდ ლაშა-გიორგის ძე დავითი ტახტის მემკვიდრეობის თვალსაზრისით? რატომ?
25. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 35. ვენის დიაგრამის გამოყენებით ერთმანეთს შეადარე ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანისა და ჟამთააღმწერლის ცნობები ლაშა-გიორგის შესახებ.
26. წარმოიდგინე, რომ საქართველოს სამეფო კარზე იმყოფები და მეფის ერთ-ერთი მრჩეველი ხარ. ამ დროს საქართველოში ერთდროულად ორი ელჩობა ჩამოვიდა: ერთი კარდინალ პელაგიუსის და მეორე ალ-აშრაფის გამოგზავნილი. ორივე ელჩი ცდილობს, საქართველოს მეფე დაარწმუნოს, რომ მან V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღოს ან არ მიიღოს. გააანალიზე მათი არგუმენტები და მეფეს ერთ-ერთი პოზიციის სასარგებლოდ მიეცი რჩევა.

წყარო ვ) ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. III, 1982

„ლაშა-გიორგი გულადი მებრძოლი, გულწრფელი და რაინდული სულიკვეთებით გამსჭვალული ჭაბუკი, განათლებული, ხელოვნებისა და სახიობა-გართობის მოყვარული ადამიანი და დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების მიმდევარი პიროვნება იყო... მაგრამ, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს და ნებიერად გაზრდილ უფლისწულს, ლაშა-გიორგის თანდათანობით თავისნათქვამი და თვითნება ადამიანისთვის დამახასიათებელი ნაკლი აღმოაჩნდა, თავის გარშემოც თანდათანობით თავისი თანამოაზრე თანამოასაკენი შემოიკრიბა, დედის ნაცადი ხელისუფლები კი ჩამოიცილა... ლაშა-გიორგის ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას, ვითარცა სამეფოს უზენაეს საჭეთმპყრობელსა და კეთილდღეობის მესვეურს, ეკისრებოდა და რომლის სიმძიმეც მას მკაფიოდ უნდა ჰქონოდა შეგნებული“.

წყარო ზ) თამაზ ბერაძე, მანანა სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, 2003

„გიორგი IV ენერგიული, აქტიური საგარეო პოლიტიკისკენ და ერთპიროვნული მმართველობისკენ მიისწრაფოდა. სამეფო დარბაზსა და დედის ძველ ვეზირებს ჭკუას ნაკლებად ეკითხებოდა. მათი შეხედულებები „ძველმოდურად“, ანუ დრომოჭმულად, მიაჩნდა. ახალგაზრდა მეფე ლაშქრობაში თუ ქვეყნის მმართველობაში თავის თანატოლთა და თანამოაზრე ახალგაზრდა დიდებულთა გუნდს ეყრდნობოდა. თამარის მმართველობის ხანაში უზომოდ აღზევებულ მოხელე-დიდებულებს კი სასახლის კარზე თავიანთი გავლენის დაკარგვა არ სურდათ. ამიტომ ისინი თვით მეფეს და მის ირგვლივ თავმოყრილ ახალგაზრდა თანამოაზრეებს მათთვის სახელის გატეხისა და ავტორიტეტის შელახვის მიზნით ლოთობაში, უპასუხისმგებლობასა და აღვირახსნილ, ფუქსავატ ცხოვრებაში სდებდნენ ბრალს“.

Don't copy

წყარო თ) გვანცა აბდალაძე, ლაშა-გიორგი, 2019

„მეფობის ბოლოს ახალგაზრდა მეფე უკვე აშკარად სამეფოს ბატონ-პატრონი **თვითმპყრობელია**. ლაშამ სამეფოს განმტკიცებისთვის დასაყრდენად დიდებულთა ერთი ნაწილი („ძირძველნი გვარნი“) გაიხადა. ამას თამარის დროს დაწინაურებულთა უკმაყოფილება მოჰყვა. მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ან დავითის (აღმაშენებლის) პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, ან თამარივით ვითარებას შეჰგუებოდა. მან პირველი აირჩია, მაგრამ შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ეს ურთულესი ამოცანა დინების საწინააღმდეგოდ სვლის ტოლფასი იყო“.

თვითმპყრობელი – შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვილი

1222 წელს ლაშა-გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მონღოლებთან ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობა გაუმიზეზდა, შესაძლოა სისხლი მოეწამლა. ტახტზე მისი და, რუსუდანი ავიდა (1223-1245)

27. როგორ ხსნის ივანე ჯავახიშვილი ლაშა-გიორგის ხასიათის ცვლილებას? რამდენად დამაჯერებელია შენთვის მისი არგუმენტები?
28. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნია მსჯელობა, რომ ლაშა-გიორგის დაპირისპირება დიდაზნაურებთან თაობათა შორის ბრძოლა იყო და ის, რომ თამარის დროს დაწინაურებულმა მოხელე-დიდებულებმა ამ ყველაფერში გავლენის დაკარგვის საფრთხე დაინახეს?
29. ხედავ თუ არა ლაშა-გიორგის პოლიტიკაში დინების საწინააღმდეგოდ სვლას? რატომ?
30. ვინ არის შენთვის ლაშა-გიორგი, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი?
31. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 36. გაეცანი თანამედროვე ისტორიკოსების მოსაზრებებს ლაშა-გიორგის მოღვაწეობაზე და შეავსე ცხრილი.

წარმოიდგინე, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსი ხარ, რომელიც იკვლევს საქართველოს ისტორიას მე-11 საუკუნის დამდეგიდან მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. გადაწყვიტე, რომ დაწერო მატიანე, რომელშიც ამ ეპოქის ისტორიულ რეალობას ასახავ.

მატიანეში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? (წყ. 1.2.)
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? (დრ. 1. წყ. 3,4)
- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? (დრ. 2)
- რა იყო ქორონიკონი და როგორ გამოიყენებოდა ის? (დრ. 3)

Don't copy

II ქვეთავი. საქართველო XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან XV ს.-ის 50-იან წლებამდე

12-13 როგორ მიმდინარეობდა საქართველოს სამეფოს დასუსტების პროცესი და რატომ გაიყო ქვეყანა ორ ნაწილად

წინა პარაგრაფიდან გაიგე, რომ ლაშა-გიორგის მეფობის ბოლოს წლებში საქართველოში მონღოლები გამოჩნდნენ; თუმცა მაშინ ისინი საქართველოში არ დარჩენილან. მათ გზა გააგრძელეს, კავკასიონით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ და 1223 წელს კალკასთან ბრძოლაში რუსებისა და ყივჩაყების დამარცხების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ. ვინ იყვნენ მონღოლები? ცენტრალური აზიის სტეპების მესაქონლე მონღოლური ტომები თავდაპირველად გვარებად მომთაბარეობდნენ. საქონელი მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა. შემდეგ საგვარეულოს ცალკეული ოჯახები გამოეყო, რომელთაც დაისაკუთრეს ეს საქონელი. ზოგიერთებმა უფრო მეტი ქონება დააგროვეს და მონღოლთა დიდგვაროვნებად – ნოინებად იქცნენ. ნოინები ჯოგებს და ვრცელ საძოვრებს ფლობდნენ. ისინი მცირე შეძლების მომთაბარე მესაქონლეებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდნენ. მათგან საკუთარ ცხენოსან ლაშქარს ქმნიდნენ. ამ ჯარით მონღოლი ნოინები თავს ესხმოდნენ მეზობელ ტომებს და იმორჩილებდნენ. 1206 წელს ტომებს შორის დაპირისპირება ერთ-ერთი მონღოლური ტომის ბელადმა, თემუჩინმა, აღკვეთა და ის ბელადთა საბჭოზე, ყურულთაიზე, ერთიანი სახელმწიფოს მმართველად, ყაენად გამოაცხადეს. მას ჩინგიზ-ყაენი უწოდეს, რაც „ჭეშმარიტ ხელისუფალს“ ნიშნავს. მან ახალი სახელმწიფო ძალიან გააძლიერა და მონღოლთა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი. ჩინგიზ-ყაენმა სახელმწიფო სამხედრო-ტერიტორიულ ოლქებად, დუმნებად, დაყო. თითოეულ დუმანს ათი ათასი მეომრის გამოყვანა ევალებოდა. ათიათასეულების მეთაურებად, ანუ დუმან-ნოინებად, ან უფლისწულები, ან მონღოლთა მომთაბარული არისტოკრატიის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. მონღოლებს დამწერლობა არ ჰქონდათ და ამიტომ ჩინგიზ-ყაენის ბრძანებით, მათ **უიღურების** ტომის წარმომადგენლებმა წერა-კითხვა ასწავლეს. XIII საუკუნის სპარსელი მემატიანე, ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი, გადმოგვცემს, რომ მისივე განკარგულებით, შეიქმნა კანონთა კრებული, რომელსაც „იასის დიდი წიგნი“ უწოდეს. მისივე ცნობით, „ჩინგიზ-ყაენი არც ერთ აღმსარებლობას არ მისდევდა, არც ერთ რელიგიას მეორეზე წინ არ აყენებდა. პირიქით, მეცნიერები და ყველა სახის განდეგილები უყვარდა და პატივს სცემდა, ღმერთთან შუამავლებად მიაჩნდა. როგორც მუსლიმებს უყურებდა პატივით, ისე ქრისტიანებსა და კერპთთაყვანისმცემლებსაც შეიწყნარებდა... მონღოლები სხვადასხვა სარწმუნოებას იღებდნენ, მაგრამ მტკიცედ იცავდნენ ჩინგიზ-ყაენის იასას, რომლის მიხედვით ყველა აღმსარებლობა ერთია და ისინი არ უნდა განარჩიონ“. მონღოლების ჯარი ცხენოსნებისგან შედგებოდა და მათ ქვეითები არ ჰყავდათ.



უიღურები – თურქმანული მოდგმის ხალხი. მათი შთამომავლები ამჟამად ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობენ.



1. **განვითარების რა საფეხურზე იყვნენ მონღოლები, სანამ ჩინგიზ-ყაენი სახელმწიფოს შექმნიდა?**
2. **ჩინგიზ-ყაენის მიერ გატარებულმა რა ღონისძიებებმა განსაზღვრა მონღოლთა სახელმწიფოს წარმატება და როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?**
3. **შენი აზრით, რატომ უსვამს ხაზს სპარსელი მემატიანე მონღოლების რელიგიურ ტოლერანტობას? ქვეყნის სიძლიერისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ყველა რელიგიის პატივისცემა? პასუხი დაასაბუთე.**
4. **კავკასიაში მონღოლთა პირველი ლაშქრობის შედეგებისა და მარშრუტის გათვალისწინებით, რა იყო მათი მიზანი?**
5. **გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების როლი ისტორიული პროცესის ან მოვლენის განვითარებაში? პასუხი დაასაბუთე.**
6. **ჩინგიზ-ყაენის რა პიროვნულ თვისებებს გამოყოფდი, რომლებიც მონღოლთა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დაეხმარა?**
7. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 37. ჩინგიზ-ყაენის რეფორმები და ღონისძიებანი დაახარისხე იქ მოცემული ცხრილის შესაბამისად.**

Don't copy

ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა მეზობელი ტერიტორიების მიერთება დაიწყო. პირველი იერიში ჩრდილოეთ ჩინეთზე მიიტანა და **ძინის სახელმწიფო** დაიპყრო. მონღოლებმა ჩინელებისგან ბევრი რამ გადაიღეს. მაგალითად, მათგან გაიცნეს ციხესიმაგრეების ასაღები ტექნიკა – **კატაპულტები, ტარანები** და სხვ. ჩინელი ინჟინრების მიერ შექმნილი კედლის სანგრევი მანქანები მონღოლებმა შემდგომი დაპყრობების დროს გამოიყენეს.

ჩინეთის შემდეგ მონღოლები შუა აზიისკენ დაიძრენ. აქ მათი მთავარი მეტოქე ხორეზმის სახელმწიფო გახდა, რომლის შემადგენლობაში შუა აზია (მდინარე სირდარიამდე), თითქმის მთელი ირანი (დასავლეთის მცირე ნაწილის გარდა) და ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი შედიოდა. თავიდან ჩინგიზ-ყაენმა ხორეზმშაჰ მუჰამედ II-ს მოკავშირეობა შესთავაზა, მაგრამ ხორეზმშაჰის ბრძანებით მისი ელჩები დახოცეს. 1219 წელს მონღოლების 200 000-იანი არმია შუა აზიისკენ დაიძრა და მომდევნო წლისთვის ხორეზმი დაიპყრეს. მუჰამედი გაიქცა და თავი კასპიის ზღვის ერთერთ კუნძულს შეაფარა, ხოლო მისი ვაჟი, ჯალალ ად-დინი ჯარის ნაწილთან ერთად 1224 წლამდე ინდოეთს აფარებდა თავს.

ძინის სახელმწიფო – XI-XIII საუკუნეებში სახელმწიფო ჩრდილოეთ ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში.

კატაპულტი – ხისგან დამზადებული ქვის ყუმბარების სასროლი, ციხესიმაგრის კედლის სანგრევი მოწყობილობა.

ტარანი – ხის მორი რკინის ან ბრინჯაოს პირით, რომელსაც ციხესიმაგრის კედელს ან ჭიშკარს ურტყამდნენ და ანგრევდნენ.

წყარო ა) მენდა ბეილუ, ჩინელი ავტორი, „მონღოლ-თათართა სრული აღწერილობა“, XIII ს.

„მონღოლებს მართვის არანაირი სისტემა არ გააჩნიათ. ამჟამად მათ მმართველი (ჩინგიზ-ყაენი) ჰყავთ, რომელმაც სახელმწიფო შექმნა და აღმოსავლეთითა თუ დასავლეთით დამსჯელ ლაშქრობებს აწყობს, ამიტომ მათი სახელმწიფო ძლიერდება და ფართოვდება. როცა მათი სახელმწიფო წარმოიქმნა, წერილობითი დოკუმენტები საერთოდ არ ჰქონდათ. ყველა შემთხვევაში ბრძანებებს ელჩების პირით გზავნიდნენ, მაგრამ ახლა, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ძინის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შედეგად ჩინური დამწერლობა გამოიყენება, რადგან ძინის სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც გაიქცნენ, თავის სახელმწიფოს უღალატეს და თათრებს ჩაბარდნენ და უნდოდათ მათ კარზე სამსახური ეშოვათ, დოკუმენტების შედგენა ასწავლეს. მონღოლები უნაგირზე იბადებიან და იზრდებიან. თვითონ სწავლობენ საბრძოლო საქმეს. გაზაფხულიდან ზამთრამდე ნადირობენ და ეს არის მათი საარსებო საშუალება. ამიტომ მათ არა ჰყავთ ქვეითები, ყველანი მხედრები არიან. როდესაც სალაშქროდ მიდიან, ჩვეულებისამებრ, თან მიჰყავთ ცოლები და ბავშვები“.

წყარო ბ) ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი, სპარსი ისტორიკოსი, „ქვეყნის დამპყრობლის ისტორია“, XIII ს.

„ჩინგიზ-ყაენის დავალებით, მისი უმცროსი ვაჟი თული ქალაქ მერვის ასაღებად წავიდა. თავდაპირველად თული 600-მდე მხედართან ერთად მიუახლოვდა ქალაქის ჭიშკარს. ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებდა იგი ციხესიმაგრეს, მის მოწინავე გამაგრებებს, კედლებს, თხრილებსა და კოშკებს. მეშვიდე დღეს დაიწყეს ომი. დაახლოებით 200 კაცი (მერველები) ჭიშკრიდან გამოვიდა და მონღოლებს შეებრძოლა. თული პირადად ჩამოქვეითდა და მათ გზა გადაუღობა. მონღოლები იერიშზე გადავიდნენ და ისინი ქალაქში შერეკეს. ქალაქის მეორე ჭიშკრიდანაც გამოვიდა რაზმი და მონღოლებმა ისინიც უკუაქციეს. ქალაქის კედლების გარშემო მონღოლებმა სადარაჯო ჯაჭვი დააყენეს და მთელი ღამე თვალმოუხუჭავად იცავდნენ. ალყაშემორტყმულთა გამოსვლები შეწყდა. ქალაქის მმართველმა, მუჯირ-ალ-მულქმა, გადარჩენის ვერავითარი საშუალება ვერ მოიფიქრა. დილით მან გაგზავნა ელჩი მონღოლებთან მოსალაპარაკებლად და მიიღო შეწყალების პირობა... თულიმ გამოჰკითხა მას ქალაქის მდგომარეობის შესახებ და დაავალა ყველა მდიდარი და ცნობილი პირის სიის შედგენა... მონღოლური ჯარი ქალაქში შევიდა. მთელი მოსახლეობა ქონებრივი მდგომარეობის განურჩევლად ქალაქგარეთ გაიყვანეს...

Don't copy

ქალები მამაკაცებისგან განაცალკევეს. 400-მდე ხელოსანი ტყვედ აიყვანეს, ქალები ბავშვებთან ერთად მოლაშქრეებს შორის გაანაწილეს, დანარჩენები კი დახოცეს... კედლები დაანგრიეს, სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს და მეჩეთი დაწვეს... მერვის მცხოვრებთა განადგურების შემდეგ თულიმ მერვის დიდებული, რომელიც მონღოლებმა დაინდეს, როგორც უწყინარი, დანიშნა დანგრეული ქალაქისა და იმ დარჩენილი მცხოვრებლების მმართველად, რომლებმაც დარბევის დროს ფარულ ადგილებში დამალვა შეძლეს. მათთვის თვალყურის სადევნებლად მონღოლი მხედართმთავარი, ბარმასი, დატოვეს“.



სურ 1. მონღოლი მეომრები. სპარსული მინიატურა XIV ს.

მერვი – შუა აზიის უძველესი ქალაქი. XII ს.-ის შუა ხანებში სელჩუკთა სახელმწიფოს დედაქალაქი. XII საუკუნის ბოლოს ხორეზმის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. 1221 წელს მონღოლებმა დაანგრიეს.

8. შენი აზრით, რატომ არ ჰქონდათ მონღოლებს ციხესიმაგრეების ასაღები ტექნოლოგიები?
9. როგორ გესმით ა) წყაროს ავტორის ფრაზა: მონღოლებს „მართვის არანაირი სისტემა არ გააჩნიათ“?
10. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მონღოლებს არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდათ?
11. ტექსტისა და წყარო ა)-ში გადმოცემული ინფორმაციის გამოყენებით იმსჯელე, რა ფაქტორებმა განაპირობა ჩინეთის მარცხი მონღოლურ არმიასთან.
12. როგორ ფიქრობ, რაზე მიუთითებს ის, რომ მონღოლებს ქვეითი მეომრები არ ჰყავთ (წყარო ა და სურ 1.) და მონღოლებს ლაშქრობაში ცოლ-შვილი თან მიჰყავთ?
13. შენი აზრით, რატომ აღმოჩდნენ ქალაქ მერვის აღების დროს ხელოსნები სხვა დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში?

1225 წელს ჯალალ ად-დინმა დატოვა ინდოეთი და ირანსა და აზერბაიჯანში (ადარბადაგანი) დაიწყო ლაშქრობა. მან თითქმის მთელი აზერბაჯანი ისე დაიკავა, სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია. იმავე წელს ჯალალ ად-დინი საქართველოს შემოესია. იმ დროს საქართველოს მეფე უკვე ლაშა-გიორგის და, რუსუდანი, იყო. რუსუდანმა ქართველთა ლაშქრის სარდლობა ამირსპასალარს, ივანე ათაბაგს, ჩააბარა. ბრძოლა გარნისთან გაიმართა. ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები გარნისის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს.

წყარო გ) ჟამთააღმწერელი, ქართველი ისტორიკოსი, XIV ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„დაიბანაკეს ხვარაზმელებმა სოფელში, რომელსაც ჰქვია გარნისი. გამოცხადდა მეფის ლაშქარი. ივანე ათაბაგმა გაშალა იმერ-ამერთა ჯარი. წინამბრძოლებად თორელები და ორი ძმა, შალვა და ივანე ახალციხელები დაადგინა, სახელოვანი მებრძოლები; მეთაურობა წესად ჰქონდათ მათ გვარში. როცა მოწინააღმდეგენი დაახლოვდნენ, შეყოვნდა ივანე ათაბაგი. ამბობენ, ასე შალვა და ივანე ახალციხელების შურით მოიქცაო. ჰოი, შური, ყოველგვარი უკეთურების დასაბამი, ადამიანთა მოდგმის ბოროტად მომსპობი! მან მოინდომა უბოროტესი და უსაძაგლესი რამ: საქართველოს სრული განადგურება, როგორც ქვემოთ ნათქვამიდან გახდება ცხადი. შურმა ივანე ათაბაგს შთააგონა, რომ ომისა და შფოთის ჟამს უკან მდგარიყო და მებრძოლებში არ გარეულიყო. მეწინავე მებრძოლებმა კაცი მიუგზავნეს და შეუთვალეს: „სულთანსა და მის ჯარს ვუახლოვდებით, ძალიან ცოტანი ვართ. წინ დიდი ომი გველის. იჩქარეთ შენ და მეფის მამაცმა მეომრებმა“. ეს ორჯერ და სამჯერ შეუთვალეს. ის კი არ პასუხობდა. რაკი მეწინავე მეომრები – თორელები და, კიდევ უფრო მეტად, შალვა და ივანე ახალციხელები შეუდრეკელები იყვნენ და ომებში სახელგანთქმულნი, აღარ მოერიდნენ სულთნის მეომართა სიმრავლეს, როგორც მხეცნი,

Don't copy

შეებრძოლნენ და დაიწყო დიდი ომი. ორივე მხარემ აურაცხელი მებრძოლი დაკარგა. საოცრად იბრძოდნენ შალვა და ივანე, მუსრს ავლებდნენ ახოვანსა და ძლიერ მეომრებს. და გრძელდებოდა სასტიკი ომი. ივანე ათაბაგი და ქართველთა ჯარი თვალს ადევნებდნენ ამ ხოცვა-ჟლეტას, მაგრამ არ შებრალებიათ თანამონათესავენი, არამედ შორს იდგნენ, არ მოიწადინა შველა ივანე ათაბაგმა. ამბობენ, რომ ამის მიზეზი იყო შური და არა შიში. და გრძელდებოდა ომი. ორივე ძმა ახალციხელს დაუხოცეს ცხენები, ქვეითნი მხნედ იბრძოდნენ და აურაცხელი მეომარი განადგურდა, უფრო მეტად, თორელები. გაცხარდა ომი. ახალციხელებს ხმლები გადაუტყდათ მუზარადზე. მაშინ გაიქცნენ ქართველები; შალვა იქვე შეიპყრო გარსმოხვეულმა ურიცხვმა მტერმა, ხოლო ივანე, გარნისის კლდისკენ გაქცეული, ზემოდან ჩამოვარდნილმა ქვამ მოკლა. შალვა, რომელიც იცნეს ნახჭევანელებმა და ადარბადაგანელებმა, წარუდგინეს სულთან ჯალალ ად-დინს, მოახსენეს მის სიმამაცესა და ომში გამოჩენილ სიქველეზე. ჯალალ ად-დინმა არ მოკლა, თავისთან დაიტოვა დიდი პატივით, უბოძა ადარბადაგანის ქალაქები, თავისი თავადების სწორი პატივი სცა“.

ჯალალ ად-დინის (ჯალალ-ად-დინი) შალვა ახალციხელი თავიდან პატივში ჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ის საქართველოს სამეფო კარს ფარულად მოწინააღმდეგის ჯარის გადაადგილების მარშრუტს ატყობინებდა, სიკვდილით დასაჯა. შალვა ახალციხელის ხსოვნას მიუძღვნა ქართველმა ხალხმა ცნობილი სიმღერა „შავლეგო“.

1226 წელს ჯალალ ად-დინმა თბილისისკენ გაილაშქრა. რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გაიქცა, დედაქალაქის დაცვა კი ძმებს, მემნა და ბოცო ჯაყელებს, დაავალა. რამდენიმეთვიანი ალყის შემდეგ თბილისი დაეცა. მემნა ჯაყელი ბრძოლაში დაიღუპა. მისმა ძმამ კი ისნის ციხეს შეაფარა თავი და დიდხანს იცავდა მას. თუმცა დამხმარე ჯარის მოუსვლელობის გამო მანაც დატოვა ციხე და ქალაქს გაეცალა. მემატიანის ცნობით, ჯალალ ად-დინმა ქალაქის 100 000-მდე მცხოვრები დახოცა. მომდევნო წელს საქართველოდან ჯალალ ად-დინი ადარბადაგანში აჯანყების ჩასახშობად წავიდა, რის შემდეგ ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს. სწორედ ამ დროს რუსუდანმა მოლაპარაკება გამართა რომის პაპთან, ჰონორიუს III-თან (1216-1227). ის მას ჰპირდებოდა, რომ ქართველები ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაერთვებოდნენ. თუმცა 1228 წელს ჯალალ ად-დინმა ქართველთა ჯარი ისევ დაამარცხა და თბილისი კვლავ მის ხელში გადავიდა. ეს წარმატებები დიდხანს არ გაგრძელებულა. სამი წლის შემდეგ ირანში მონღოლები გამოჩნდნენ და ჯალალ ად-დინი იძულებული გახდა, გაქცეულიყო. მან ქურთისტანის მთებს შეაფარა თავი, სადაც მარტოდ დარჩენილი, ადგილობრივმა მწყემსმა მოკლა.

14. როგორ ფიქრობ, რა იყო მონღოლთაგან დევნილი ჯალალ ად-დინის მიზანი კავკასიაში გამოჩენის დროს?

15. მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით აღადგინე გარნისის ბრძოლის მიმდინარეობა.

16. რა გახდა ქართველების მარცხის მიზეზი?

17. შენი აზრით, რა საშინაო პოლიტიკური პრობლემების წინაშე იდგა ქართული სამეფო კარი გარნისის ბრძოლის დროს? რატომ?

18. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 38. გაეცანი ტექსტსა და წყაროებს და გააანალიზე გარნისის ბრძოლაში ქართველთა მარცხის მიზეზები და შედეგები (მოკლევადიანი, გრძელვადიანი).

1227 წელს ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა. მისი იმპერია და ჯერ კიდევ დასაპყრობი ტერიტორიები შვილებმა და შვილიშვილებმა გაინაწილეს. თუმცა ყველა დიდ ყაენს, მესამე ვაჟს, უგედეის, ემორჩილებოდა. მონღოლებმა გააგრძელეს დაპყრობითი ომები. ძალიან მალე ირანი დაიპყრეს და ამიერკავკასიაში გამოჩნდნენ. ჯალალ ად-დინის ხუთწლიანი თარეშის შემდეგ საქართველოს ახლა მონღოლთა ჯარი მოადგა. რუსუდანმა თბილისი დასაცავად მუხას ძეს დაუტოვა, თვითონ კი კვლავ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. დიდებულები საკუთარ ციხესიმაგრეებში ჩაიკეტნენ და მათი უმრავლესობა მტერს უბრძოლველად დამორჩილდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა გაუწია წინააღმდეგობა. მესხი დიდებული ივანე ციხისჯვარელ-ჯაყელი, მხოლოდ მაშინ დამორჩილდა მონღოლებს, როცა ბრძოლა უიმედო გახდა, მეომრების უდიდესი ნაწილი დაეხოცა და რუსუდანისგან დანებებაზე თანხმობა მიიღო. ქართველ დიდებულებს, მხარეთა გამგებლებს, მონღოლებმა თავიანთი მამულები დაუტოვეს.

საქართველოს მეფე, რუსუდანი, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა, შეეცადა, მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთ ევროპის მმართველები ჩაერთო. მან რომის პაპს, გრიგოლ IX-ს (1227-1241), სთხოვა დახმარება, თუმცა მისგან ასეთი პასუხი მიიღო:

Don't copy

წყარო დ) რომის პაპ გრიგოლ IX-ის წერილი რუსუდანს

„თქვენს წერილში მოცემულმა ცნობამ, რომ მონღოლები, კათოლიკური ეკლესიის მტრები, თქვენს სამეფოს თავს დაესხნენ და თქვენ მძიმე ზარალი მოგაყენეს, ჩვენი სიხარული შეამცირა და დაგვანაღვლიანა... შვილნო ჩვენნო, ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოვა ხსენებული მონღოლების წინააღმდეგ თქვენს დასახმარებლად, ვინაიდან ამის საშუალება არ მოგვცეს ბიწიერმა **სარკინოზებმა**, რომლებიც ჩვენსა და თქვენ შორის იმყოფებიან და რომელთა განდევნასაც ვცდილობთ სირიიდან. ამასთანავე, ტერიტორიულმა სივრცემ, რომელიც ჩვენ შორისაა, ძლივს გამოატარა თქვენი ამბები, რაც საშუალებას არ გვაძლევს, თქვენს დასახმარებლად მოვიდეთ... ამიტომ არ გვაქვს საშუალება, გაგიწიოთ სხვა დახმარება. ჩვენ ვუგზავნით თქვენს ბრწყინვალებას წერილს, რათა იცოდეთ მაინც, რომ ჩვენი მხრიდან დახმარება შეუძლებელია და გაიგოთ ჩვენი წერილიდან ის სიყვარული, რომელიც ჩვენ თქვენ მიმართ გვაქვს“.

სარკინოზი – აქ იგულისხმებიან ეგვიპტის სასულთნოს და სირია-პალესტინის მუსლიმი მოსახლეობა.

1242 წელს იმედდაკარგულმა რუსუდანმა მონღოლთა ყაენთან მოლაპარაკება გადაწყვიტა. საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. მონღოლებმა საქართველო ცნეს, როგორც ამიერკავკასიის ქრისტიანული გაერთიანება და ჩამოაშორეს ვასალური მუსლიმური ქვეყნები რანი და შირვანი. მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა, როგორც ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. თუმცა განსხვავებული უფლებები მიანიჭეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. აღმოსავლეთში, როგორც ომით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართველ ხელისუფლებთან ერთად მონღოლი მოხელეები და სარდლები (ნოინები) უნდა მდგარიყვნენ ჯარით. საქართველოს ყოველწლიურად 50 000 პერპერის გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა დაეკისრა.

პერპერა – ოქროს ფული.



რუკა 12. მონღოლთა დაპყრობითი ომები

Don't copy

19. იმსჯელე, რამდენად შეესაბამებოდა რუსუდანის მოქმედება შექმნილ ვითარებას.
20. დაასახელე მონღოლებთან დამარცხების მიზეზები.
21. შენი აზრით, ადმინისტრაციული მოწყობისას რატომ დაანაწილეს მონღოლებმა კავკასია რელიგიური ნიშნით?
22. მონღოლებთან ზავის შემდეგ რა მსგავსება-განსხვავება იქნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას შორის?
23. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 39. გაიხსენე, რომელ ქვეყანასთან და როდის იმყოფებოდა საქართველო მსგავს დამოკიდებულებაში? შეგიძლია, დავალება წარმოადგინო ცხრილის სახით, სადაც I გრაფაში ჩაწერ იმ სახელმწიფოს სახელწოდებას, რომელთანაც საქართველო დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, II გრაფაში მიუთითებ საუკუნეს, III გრაფაში კი ჩამოთვლი ამ სახელმწიფოსადმი საქართველოს ვალდებულებებს.

მონღოლებთან დადებული ზავის თანახმად, რუსუდანის მემკვიდრე მისი ვაჟი, დავითი უნდა გამხდარიყო. ამიტომ 1243 წელს საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად ის ჯერ **„ოქროს ურდოში“** გაემგზავრა, იქიდან კი დიდ ყაენთან ყარაყორუმში. ორ წელიწადში რუსუდანი გარდაიცვალა და საქართველო უმეფოდ დარჩა. მისი ძისგან არაფერი ისმოდა. ასე გასტანა კიდევ ორმა წელმა. უმეფობის ხანაში ქართველებმა აჯანყება გადაწყვიტეს, მაგრამ მონღოლებმა გაიგეს, მოთავე დიდაზნაურები, სამის გარდა, დააპატიმრეს და ანისში წაიყვანეს. ქართველები აჯანყების მოწყობის სურვილს უარყოფდნენ და მონღოლებს არწმუნებდნენ, გადასახადის უკეთ ასაკრეფი გეგმის შესამუშავებლად შევიკრიბეთო. მონღოლებმა მათი წამებით გამოტეხვა გადაწყვიტეს. ქართველები ტანს ზემოთ გააშიშვლეს, თაფლი წაუსვეს და თაკარა მზეზე ხელ-ფეხშეკრული დასხეს. გადარჩენილთაგან ერთ-ერთი, ცოტნე დადიანი, საკუთარი ჯარით დათქმულ ადგილზე მივიდა და იქ შეიტყო თანამოძმეთა დაპატიმრების ამბავი. მან ჯარი უკან გააბრუნა და თავად ანისში წავიდა. მივიდა ქართველ დიდებულებთან, თვითონაც გაიხადა, თაფლი წაისვა და მათ მიუჯდა. მემატიანის ცნობით, გაკვირვებულმა მონღოლებმა ცოტნეს ჰკითხეს, ასე რატომ მოიქეციო. ცოტნემ უპასუხა, რომ მისი მეგობრები უდანაშაულოები იყვნენ და მხოლოდ გადასახადების სწორად და დროულად ასაკრეფი გეგმის შესამუშავებლად შეიკრიბნენ. მისი სიმამაცით აღფრთოვანებულმა მონღოლებმა ყველა გაათავისუფლეს.

ამასობაში უმეფობა საქართველოში გრძელდებოდა. არავინ იცოდა, რა ბედი ეწია რუსუდანის ვაჟს. ამიტომ ქართველმა დიდებულებმა ლაშა-გიორგის ძე, დავითი მოძებნეს და ახლა ის გაგზავნეს ყარაყორუმში. თუმცა იქ ჩასულ დავითს მეორე დავითი დახვდა. მეფობის ორივე პრეტენდენტის ამალას თავიანთი კანონიერების დასამტკიცებლად საკუთარი არგუმენტები ჰქონდა. მონღოლთა ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა მეფედ: პირველად ჩასულს – რუსუდანის ძეს, დავით VI-ს, ნარინი (უმცროსი) უწოდეს, ხოლო ლაშა-გიორგის ძეს, დავით VII-ს – ულუ (უფროსი).

Don't copy

ოქროს ურდო – ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრეობის გაყოფის შემდეგ შექმნილი მონღოლური სახელმწიფო. მოიცავდა მდინარეების ირტიშისა და ობის აუზებიდან დასავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ტერიტორიას. რუსეთის სამთავროები „ოქროს ურდოსთან“ ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ და ხარკს უხდიდნენ. საქართველოც თავდაპირველად „ოქროს ურდოს“ გავლენის ქვეშ იყო.

წყარო ე) ჟამთააღმწერელი, ქართველი ისტორიკოსი, XIV ს. (ადაპტირებული წყარო)

„ორივე დავითს უნდოდა მეფობა. სარგის თმოგველი ეწინააღმდეგებოდა დავით ნარინსა და მის მომხრეებს და ეუბნებოდა: წესი არ არის, რომ მეფობა დედაკაცის ნაშობმა დაიპყროს და არა თვითმპყრობელი მეფისამ. ისინი კი პასუხობდნენ: თუმცა დავით ნარინი დედაკაცის ნაშობია, მაგრამ გვირგვინოსანი რუსუდანიც მეფე იყო, თავისი ძმის, გიორგისგან დატოვებული და დავით ნარინიც მეფის ძეა. და რადგან ცილობა იყო მათ შორის და ვერ გადაწყდა, მეფობა რომელს ეკუთვნოდა, ამიტომ მრავალ წელს დარჩნენ ყარაყორუმს. მაშინ ინება ყუბილ ყაენმა და ორივეს მისცა მეფობა“.

წყარო ვ) პლანო კარპინი, იტალიელი მოგზაური, „ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“, XIII ს.

„გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟთაგან ერთი კანონიერი იყო, ხოლო მეორე, დავითი – გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. კანონიერი ვაჟი ითხოვდა, რომ მეორე მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო ქვეყნის ფლობა, მეორე კი პასუხობდა: მართალია, მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერი ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დაუმორჩილეს დავითს, როგორც წლოვანებით უფროსს“.

24. რა არგუმენტები მოჰყავდათ დავით გიორგის ძის მომხრეებს?
25. რას პასუხობდნენ დავით რუსუდანის ძის წარმომადგენლები?
26. შენ რომ მონღოლთა ყაენი ყოფილიყავი, ვის დაუჭერდი მხარს? რატომ?
27. გამოთქვი ვარაუდი, მხოლოდ მემკვიდრეობის საკუთარი წესის თანახმად დაამტკიცეს მონღოლებმა ორივე დავითი მეფედ თუ მათ სხვა გათვლაც ჰქონდათ?
28. შენი აზრით, ეს ქვეყნის შემდგომ განვითარებას შეუწყობდა ხელს თუ დაასუსტებდა? პასუხი დაასაბუთე.
29. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 40. გაიხსენე, შეადარე და შეაფასე ბაგრატიონთა სამეფო კარზე არსებული ტახტის მემკვიდრეობის პრობლემები.
30. შენი აზრით, რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ მონღოლები უზარმაზარი იმპერიის მართვისას კომუნიკაციის თვალსაზრისით?


ხასა – აქ, ქალი, რომელიც ქორწინების გარეშე ცხოვრობს მამაკაცთან.

XIII საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში მონღოლებმა დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, აღწერა ჩაატარეს. აღწერეს ყველაფერი: ადამიანების რაოდენობა, პირუტყვი, ხეები, მიწა, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათევზაო ადგილები – მდინარეები, ტბები, ზღვები. მონღოლებმა გადასახადი დაადეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს, მიწას, მიწის ნაყოფს, ვაჭრობას და ა. შ. გაათავისუფლეს მხოლოდ მოხუცები, ბავშვები, ქალები, ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი, ეკლესია და მათი მიწა-წყალი (ესენი დავთარში არ შეუტანიათ). რაკი მონღოლებს ლაშქარში წასაყვანი მამაკაცები აინტერესებდათ, ამიტომ დავთარში 15-იდან 60 წლამდე ასაკის მამაკაცები შეიყვანეს. მონღოლებმა მთელი საქართველო შვიდ დუმნად (ათიათასეულად) დაყვეს. დუმანი სამხედრო ერთეული იყო და თან სამოქალაქო ფუნქციაც ეკისრებოდა. ყველა სამოქალაქო ხელისუფალი დუმნის თავს – მხედართმთავარს ემორჩილებოდა. თითოეულ დუმანს ათი ათასი მოლაშქრე (9 ოჯახიდან ერთი მეომარი) უნდა გამოეყვანა.



სურ. 2. დავით VI-ისა და დავით VII-ის მონეტა
შუბლზე გამოსახულია ორი დავითი და ასომთავრულით წარწერა: დმფ და მმდ (დავით მეფე და მეფეთ მეფე დავითი)
ზურგზე გამოსახულია მარიამ ღვთისმშობელი და წარწერა: დედა ღვთისა

Don't copy


მონღოლთა მიერ დუმნებად დაყოფილი საქართველო
პირობითი აღნიშვნები
დუმანთა საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
ქალაქი
ციხესიმაგრე
ეკლესია
დუმანთა რიგითობა
დუმნისთავები
1. ეგარსლან ბაკურციხელი
2. შანშე მხარგრძელი
3. ვარამ გაგელი
4. გრიგოლ სურამელი
5. გამრეკელ-თორელი
6. ცოტნე დადიანი
7. რაჭის ერისთავი
პონტოს (შავი)(შავი) ზღვა
დარუბანდის ზღვა
ტრაპიზონი
ტრაპიზონის იმპერია
არზრუმის საამირო
კარნუ ქალაქი (არზრუმი)
ერზინკის სასულტნო
ერზინკა
რუმის (იკონიის) სასულთნო
ხლათი
ალათის საამიროს სახელმწიფო
ნიკოფსია
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
მოქვი
ბედია
მინდა
ფოთი
ქუთაისი
შორაპანი
სურამი
გორი
მცხეთა
ასკანა
ბათუმი
გონიო
ახალციხე
აწყვერი
თმოგვი
ათინა
რიზე
ანჩა
ჯაყი
არტანუჯი
ოლთისი
კარი
თორთომი
ახპატი
ლორე
ანისი
ამბერდი
ბივჯნისი
გელაქუნი
მანკაბერდი
ხუნანი
შამქორი
გარდმანი
გარნისი
დვინი
ვალაშკერტი
ნორავანი
მანასკერტი
არჭეში
ტათევი
ოროტნი
თბილისი
რუსთავი
გაგი
გარეჯი
ბაკურციხე
ხორნაბუჯი
უჯარმა
პანკისი
კახი
გიში
ყაბალა
არეში
განძა
ბარდავი
ბაილაყანი
ხოხანაბერდი
განძასარი
შამახია
ჭოროხი
არტაანი
კლარჯეთი
ტაო
ბასიანი
ტაშირი
ქართლი
ჰერეთი
კახეთი
ჭანეთი
აჭარა
სამცხე
ქართლის ტბა
ფარავნის ტბა
მელაქუნის ტბა
ალაზანი
მტკვარი
იორი
ბოქაული
ზღვა

31. შენი აზრით, მონეტის შუბლზე შესრულებული წარწერის ორი დავითიდან რომელი იგულისხმება მეფეთ მეფეში?

32. შენი აზრით, რატომ გაათავისუფლეს მონღოლებმა ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი გადასახადებისაგან?

მონღოლთა დიდმა ყაენმა მანგუ-ყაენმა თავისი ძმის, ჰულაგუს, სარდლობით ირანში არმია გაგზავნა. 1256 წელს მან ცნობილი ციხესიმაგრე ალამუთი აიღო, 1258 წელს კი – ბაღდადი. ამ მხარის მმართველობა მთლიანად ჰულაგუს ხელში მოექცა. ასე ჩაეყარა საფუძველი მონღოლთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს – ჰულაგუიდთა საყაენოს. ჰულაგუს მემკვიდრეები ილხანის ტიტულს ატარებდნენ, რაც „ტომის ყაენს“ ნიშნავდა. მონღოლთა ერთიანი საყაენოს ტერიტორიაზე რამდენიმე საყაენო შეიქმნა. ჰულაგუს მიერ ახლო აღმოსავლეთში დაარსებულმა ილხანთა საყაენომ საქართველოს ტერიტორიაც მოიცვა. XIII ს.-ის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იან წლებში საქართველოში მონღოლთა რამდენიმე ლაშქრობა მოეწყო, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. 1259 წელს მონღოლთა მიერ საქართველოს ტახტზე დამტკიცებული დავით ნარინი აჯანყდა. აჯანყების ჩასაქრობად ჰულაგუ-ყაენმა დიდი ჯარი გამოგზავნა. დავითმა ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ მიიჩნია და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის დიდებულებმა დასავლეთ საქართველოს მეფედ დაადგინეს. 1260-61 წლებში მონღოლთა ჯარის შემოსევის მიზეზი აღმოსავლეთ საქართველოს მეფის, დავით ულუს, აჯანყება გახდა. ისიც დამარცხდა და თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. აღმოსავლეთი საქართველო უმეფოდ დარჩა. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთის მართვა, ვინმე დიდვაჭარ შადინს შეიძლება ჩავარდნოდა ხელში. ამიტომ, დავით ულუმ, მონღოლებთან დაზავება გადაწყვიტა; მონღოლებმაც დაინახეს, რომ უმეფო ქვეყანაში, „დაიშალა ლაშქარი და მონღოლთა მსახურება“ და გადაწყვიტეს, დავით VII-ს შერიგებოდნენ, რომელიც თბილისში დაბრუნდა. საქართველო ორად გაიყო: აღმოსავლეთში დავით VII ულუ მეფობდა, ხოლო დასავლეთში – დავით VI ნარინი. მონღოლები დასავლეთ საქართველოში არ გადასულან. მონღოლური მმართველობის მთელი სიმძიმე აღმოსავლეთ საქართველოს დააწვა.



სურ. 3. ბაღდადის აღება. სპარსული მინიატიურა, XIV ს.

სამხრეთ კავკასიის ილხანთა სამეფოს დაქვემდებარებაში გადასვლამ ოქროს ურდოს ყაენების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ამ ტერიტორიას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდნენ. ორ მონღოლურ სახელმწიფოს შორის ომები დაიწყო. 1263 წელს ჰულაგუ-ყაენმა საქართველოში ახალი სამხედრო ვალდებულება – სიბაზე დგომა შემოიღო. სიბა მონღოლურად სანგარს ნიშნავს. ეს სანგრები საქართველო-შირვანის საზღვართან მდინარე თეთრი წყლის (მონღოლურად ჩაღანუსუნის) ნაპირებზე იყო აგებული. ყოველ წელიწადს მონღოლებთან ერთად ქართველთა ლაშქარი შემოდგომიდან გაზაფხულამდე სიბაზე უნდა მდგარიყო და საზღვარი ჩრდილოეთიდან წამოსული მტრისგან დაეცვა (იხილე რუკა 15, გვ. 77).

ჰულაგუ-ყაენის ერაყში ლაშქრობასა და ბაღდადის ალყაში ქართველთა ჯარიც მონაწილეობდა. ბაღდადის აღების შემდეგ ჰულაგუმ სიკვდილით დასაჯა ბაღდადის უკანასკნელი აბასიანი ხალიფა ალ-მუსთასიმი. ამის შემდეგ სახალიფომ არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა.

Don't copy



რუკა 14. მონღოლთა იმპერიის დაშლა

33. რა საფრთხის წინაშე დადგა ქვეყანა დავით ულუსა და დავით ნარინს შორის არსებული უთანხმოების გამო?
34. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა საქართველოსთვის ერთიანი მონღოლური იმპერიის დაშლას? რატომ?
35. დააკვირდი რუკას 13-ს და იმსჯელე, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ჩინგიზ-ყაენის იმპერიის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზღვრე მონღოლური სახელმწიფოებისათვის.
36. რატომ მონაწილეობდნენ ქართველები ბაღდადის აღებაში?
37. იმსჯელე მონღოლთა სახელმწიფოს შექმნისა და მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების პროცესზე. გაიხსენე, რა ტერიტორიაზე გავრცელდა არაბთა სახალიფო (იხ. მე-10 კლასის სახელმძღვანელო) და შეადარე მონღოლთა სახელმწიფოს (რუკა 12 და 14). რომელი თანამედროვე ქვეყნები მოიცვა არაბთა სახალიფომ და რომელი მონღოლების იმპერიამ?
38. წყაროების, რუკებისა და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით დაწერე ესე, რომელშიც წარმოადგენ XIII საუკუნეში საქართველოს სამეფოს დასუსტებისა და დაშლის პროცესს.

Don't copy

14 რომელმა ისტორიულმა მოვლენებმა გამოიწვია XIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს დასუსტება და რამდენიმე ნაწილად დაშლა

1270 წელს დავით VII ულუ (1247-1270) სიბაზე ქართული ჯარის მორიგეობის დროს მუცლის ტიფით გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე 11 წლის დემეტრე II (1270-1289) გახდა. სადუნმა ბევრი ენა იცოდა, მათ შორის მონღოლურიც, რითაც მონღოლთა ყაენის ნდობის მოპოვება შეძლო. დაპყრობილ ქვეყნებში, მონღოლები სწორედ ასეთ დაწინაურებულ მედროვეებს ეყრდნობოდნენ, რომლებიც ფაქტიურად მათი აგენტები ხდებოდნენ. სადუნ მანკაბერდელი თავის ყოფილ პატრონებზე, მხარგრძელებზე, გავლენიანი პირი გახდა. მან საქართველოს სამეფოს **ათაბაგის** და ამირსპასალარის თანამდებობები მიიღო და მეფე დემეტრე II მისი გავლენის ქვეშ მოექცა.

ათაბაგი – საქართველოს სამეფო კარზე ერთ-ერთი გავლენიანი ვეზირი, უფლისწულის აღმზრდელი. ეს თანამდებობა თამარის დროს გაჩნდა.

წყარო ა) ჟამთააღმწერელი, ქართველი ისტორიკოსი, „ქართლის ცხოვრება“, XIV ს.

„იმ ხანებში ყველა მთავართა შორის მეტად გაძლიერდა სადუნ მანკაბერდელი. იგი ძალიან შეიყვარა **აბაღა ყაენმა**. იგი განაგებდა საქართველოს საქმეებს... მეფე წავიდა ურდოში. მისი იქ ყოფნის დროს სადუნის რჩევით მეფეს დიდი რაოდენობით ფული მოსთხოვეს. სადუნმა უთხრა მეფეს: „თუ შენ დმანისს მომცემ, მე ყაენს ფულს გადავუხდი“. მეფე იძულებული იყო, მიეცა დმანისი და მისი შემოგარენი. სადუნი კიდევ უფრო გაძლიერდა. მან ბევრი სიკეთე გააკეთა მონასტრებისა და გლახაკთათვის. გარეჯის თორმეტი უდაბნო გაათავისუფლა ბეგარისაგან და მსახურებდა მეფე დიმიტრის. სადუნი გაძლიერდა როგორც ლაშქრით, ისე ოქროსა და ვერცხლის სიმდიდრით, მისი ჯოგები და საქონელი ხომ უთვალავი იყო, რადგან იგი იყო კაცი მხიარული, თავისი საქმის კარგი მცოდნე, ბრძენი... მან მრავალი მიწა იყიდა. ახლომდებარე მიწები ახალციხელთაგან მოტყუებით ხელში ჩაიგდო და ახალციხელის ასული ცოლად მოიყვანა. საქართველოს ლაშქრის საქმეები ყაენმა მას ჩააბარა“.

აბაღა ყაენი – ილხანთა სახელმწიფოს ყაენი 1265-1282 წლებში.

დემეტრე II მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილს აკონტროლებდა. ჯერ კიდევ 1266 წელს, მამამისის დავით VII-ის დროს, მონღოლებმა სამცხე, რომელსაც სარგის ჯაყელი მართავდა, ხასინჯუდ გამოაცხადეს. ხასინჯუ ილხანთა ყაენების პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიას ნიშნავდა. საქართველო, ფაქტობრივად, ორ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა. დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში კვლავ დავით VI ნარინი მეფობდა.

დემეტრეს, მამის მსგავსად, მონღოლთა ომებში მონაწილეობა ხშირად უწევდა. XIII ს.-ის 70-80-იან წლებში აღმოსავლეთში ილხანთა მთავარი მოწინააღმდეგე ეგვიპტის სასულთნო იყო. მათ ომებში ქართველებიც მონაწილეობდნენ. 1281 წელს მონღოლებთან ერთად 5000 ქართველი მეომრით თავად დემეტრე მეფეც იბრძოდა. მონღოლები დამარცხდნენ და ქართველთა უდიდესი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, დემეტრე ძლივს გადაურჩა სიკვდილს. დემეტრე II-ს ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპთან. 1288 წელს, პაპი ნიკოლოზ IV (1288-1292) შეეცადა, ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნულ ლაშქრობა მოეწყო და მასში საქართველოს მეფე, დემეტრე II, ჩაერთო, მაგრამ მისი მცდელობა, მარცხით დასრულდა.

Don't copy


რუკა 15. საქართველო მეფე დემეტრე მეორის დროს 1270-1289 წწ.

Proof copy

წყარო ბ) ნაწყვეტი რომის პაპის, ნიკოლოზ IV-ის წერილიდან საქართველოს მეფე დემეტრე II-ს, 1288-1289 წწ.

„იესო ქრისტეს სახელით და მისი პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილს, რათა მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენი სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენი ცდით და აგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანის სასიქადულოდ და თქვენს საუკუნო გასაბედნიერებლად“.

1. **წყარო ა)-სა და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით იმსჯელე საქართველოში შექმნილ ვითარებაზე. როგორ იმოქმედებდა ქვეყნის განვითარებაზე დიდგვაროვნების გაძლიერება?**
2. **როგორ აისახებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ეკონომიკაზე მონღოლთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობის ვალდებულება?**
3. **ჩანდა თუ არა საგარეო პოლიტიკურ არენაზე ძალა, რომელიც შეიძლებოდა საქართველოს რეალური მოკავშირე ყოფილიყო? რატომ ფიქრობ ასე?**
4. **წყარო ა)-ს ავტორი აღნიშნავს სადუნ მანკაბერდელის როგორც უარყოფით, ისე დადებით თვისებებს. გამოთქვი მოსაზრება ამ პიროვნების შესახებ. პასუხი დაასაბუთე.**
5. **იმსჯელე, როგორ იმოქმედა შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესმა ქვეყნის საზღვრებზე.**
6. **შენი აზრით, რამდენად რეალური იყო დემეტრე II-ის ჩართვა ჯვაროსნულ ლაშქრობაში?**
7. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 41. შეავსე კონტურული რუკა.**
8. **შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 42. . გააანალიზე რომის პაპსა და საქართველოს მეფეებს შორის ურთიერთობის პერსპექტივა.**



სურ. 1. მონღოლი მოისარი. XIV ს.-ის დასაწყისის ირანული მინიატურა.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, დემეტრე II-მ „ააშენა ისნის სასახლეში მონასტერი მეტეხის ღვთისმშობლის სამყოფელად და შეამკო დიდი მზრუნველობით, შესწირა სოფლები და ვენახები, მონაზვნებს საზრდელი და სამოსელი მისცა და განაგო მონასტერი კეთილად“. ამავე დროს, მეფე პირად ცხოვრებაში მონღოლურ წესს მისდევდა: ერთდროულად სამი ცოლი შეირთო. დემეტრეს პირველი ცოლი ტრაპიზონის იმპერატორის ასული იყო, რომლისგანაც შეეძინა ოთხი ვაჟი – დავითი, ვახტანგი, მანუელი, ლაშა და ერთი ქალიშვილი – რუსუდანი; მეორე ცოლის, მონღოლი სოლღარისგან ჰყავდა ორი ვაჟი – ბაადური და იადგარი და ერთი ქალიშვილი – ჯიგდახათუნი; მესამე ცოლად კი დემეტრემ სამცხის მმართველის, ბექა ჯაყელის, ასული ნათელა მოიყვანა, რომელთანაც ერთი ვაჟი – გიორგი – შეეძინა. დემეტრემ თავისი ქალიშვილი, რუსუდანი, ცოლად გააყოლა ილხანთა სახელმწიფოს პირველი ვეზირის, ბუღა ნოინის ვაჟს. ამ ყველაფრის წინააღმდეგ საქართველოს კათალიკოსმა ნიკოლოზმა გაილაშქრა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და გადადგა. 1281 წელს სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა. დემეტრემ სადუნის ვაჟს, ხუტლუ ბუღას მამამისის თანამდებობებიდან მხოლოდ ამირსპასალარობა მისცა, ათაბაგობა კი თავის გამზრდელს, ტარსაიჭ ორბელს, უბოძა.

9. **როგორ აისახა ქართველთა ცხოვრების წესზე მონღოლური გავლენა? სად უფრო ძლიერი იქნებოდა ის, აღმოსავლეთ საქართველოში თუ დასავლეთში? რატომ?**
10. **გამოთქვი მოსაზრება, რატომ ცხოვრობდა დემეტრე II „მონღოლური წესით“? როგორ იმოქმედებდა მისი ქორწინებები ქვეყნის კეთილდღეობაზე?**
11. **რატომ დაუნათესავდა დემეტრე ბუღა ნოინს?**

Don't copy

12. შენი აზრით, მამის თანამდებობებიდან ათაბაგობის სხვა პირისათვის გადაცემა ხუტლუ ბუღას გაანაწყენებდა თუ არა? მომავალში მოსალოდნელი იყო თუ არა მეფის წინააღმდეგ რაიმე ნაბიჯის გადადგმა?

13. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კათალიკოსთან უთანხმოების მიუხედავად, მეფე ეკლესიების აღმშენებლობაზე ზრუნავდა (სურ. 1) და ის, რომ მონღოლები ამის უფლებას აძლევდნენ?

1289 წელს ილხანთა ყაენმა ბუღა ნოინი შეთქმულების გამო სიკვდილით დასაჯა. მონღოლური წესის თანახმად, მთელი მისი სანათესაო გაანადგურეს. ყაენმა დემეტრეს დასჯაც გადაწყვიტა და თავისთან დაიბარა. საქართველოს მეფემ დარბაზი მოიწვია და თავის დიდებულებსა და კათალიკოსს რჩევა ჰკითხა: წასულიყო თუ არა საყაენოში? უმრავლესობა იმ აზრზე იდგა, რომ მეფე არ უნდა გამგზავრებულიყო და თავი მთიულეთისთვის შეეფარებინა. მეფემ მაინც გადაწყვიტა საყაენოში გამგზავრება. მისი სიტყვებით, რომ არ წასულიყო, მონღოლები ქვეყანას ააოხრებდნენ და უამრავი ადამიანი მოკვდებოდა. მასთან ერთად გაემგზავრნენ უფროსი ვაჟი, დავითი და აბრაამ კათალიკოსი. ჩასვლისთანავე დემეტრე დააპატიმრეს, თუმცა ყაენის წინაშე საქართველოს მეფემ თავის მართლება შეძლო და თითქმის დაარწმუნა, რომ ის შეთქმულებაში მონაწილეობას არ იღებდა. ყაენს დემეტრეს სიკვდილით დასჯა თითქმის გადაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ საქმეში ჩაერია ამირსპასალარი ხუტლუ ბუღა, რომელიც იქ იმყოფებოდა. მან მონღოლთა მმართველს ურჩია, დემეტრე მოეკლა და ტახტზე დავით VI ნარინის უფროსი ვაჟი, ვახტანგი, დაესვა. ამით ის დასავლეთ საქართველოს დამორჩილებასაც შეძლებდა. 1289 წლის 12 მარტს საქართველოს მეფეს თავი მოჰკვეთეს. მისი თავგანწირვის გამო შთამომავლობამ დემეტრე II-ს „თავდადებული“ უწოდა“.

14. რას მიიჩნევდი ძნელბედობაში მყოფი საქართველოს მთავარ პრობლემად: გარეშე მტერს თუ შიდა უთანხმოებას? რატომ?

15. შენი აზრით, „ოქროს ურდოს“ ყაენისთვის რომ ეთხოვა დახმარება, დაიღუპებოდა თუ არა დემეტრე II? ივარაუდე, როგორ განვითარდებოდა ამ შემთხვევაში ისტორიული პროცესი საქართველოში.

16. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 43. დემეტრე თავდადებულის მოღვაწეობასთან დაკავშირებით შეავსე ცხრილი.



სურ 2. მეტეხის ტაძარი თბილისში, XIII ს.

Don't copy

დემეტრეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ყაენმა საქართველოს ტახტზე ვახტანგ II, დავით ნარინის ძე, დაამტკიცა, მაგრამ ვახტანგს დიდხანს არ უმეფია. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და 1292 წელს მეფე დავით VIII, დემეტრეს ძე, გახდა. XIII საუკუნის ბოლოს ილხანთა საყაენოს სამეფო კარზე ტახტისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. სხვადასხვა პრეტენდენტი ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ერთ ყაენს მეორე ცვლიდა. საყაენოში არეულობის დროს დავით VIII ერთ-ერთ მათგანს მიემხრო, მაგრამ ის დამარცხდა და გამარჯვებულმა ყაზან-ყაენმა დავითი თავისთან დაიბარა. დიდებულებმა მეფეს წასვლა ურჩიეს, მაგრამ დავითს შეეშინდა, რომ სიკვდილით დასჯიდნენ და მთიულეთში გაიხიზნა. ის „ოქროს ურდოს“ ყაენს დაუკავშირდა და მოკავშირეობა შესთავაზა. ყაზან-ყაენი შეეცადა, დავითი გადაებირებინა, მაგრამ საქართველოს მეფემ „ოქროს ურდოს“ ყაენთან მოლაპარაკებები გააგრძელა და შესთავაზა, დარიალის ხეობის გავლით ილხანების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია მოეწყო. მაშინ ყაზან-ყაენმა დავითის წინააღმდეგ მისივე ძმების გამოყენება გადაწყვიტა: 1299 წელს საქართველოს მეფედ ჯერ მისი უმცროსი ძმა, გიორგი V, დაამტკიცა, რომელიც პაპასთან, ბექა ჯაყელთან, იზრდებოდა; თუმცა გიორგი მცირეწლოვანი იყო და რეალურ ძალაუფლებას არ ფლობდა. ამიტომ 1302 წელს საქართველოს მეფე დავითის ძმა, ვახტანგ III, გახდა. ამ არეულობის დროს ილხანთა ჯარებმა რამდენჯერმე ილაშქრეს და თითქმის მთელი ქართლი მოაოხრეს.

ვახტანგის ძალაუფლება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილზე – თბილისზე და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი აჯანყებულ დავით VIII-ს ემორჩილებოდა. მონღოლებმა ვახტანგს, ჩვეულებისამებრ, სამხედრო ვალდებულებების შესრულება მოსთხოვეს და საქართველოს ჯარიც შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად გაემართა. საქართველოს სამეფოს ჯარი ილხანების ომების დროს მათი არმიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. 1300 წელს ყაზან-ყაენი კვლავ ეგვიპტის სასულთნოს უტევდა, რომელიც ოქროს ურდოს მოკავშირე იყო. ბრძოლები დამასკოსთან მიმდინარეობდა. აქ ბევრი მონღოლი და ქართველი დაიღუპა. 1306 წელს ვახტანგ III და სამცხის მთავარი ბექა თავიანთი ჯარებით **გილანთან** ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. ქართველი მემატიანის ცნობით, მხოლოდ ამ ბრძოლაში ქართველი მეომრების 4/5 დაღუპულა.

გილანი – ირანის პროვინცია, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

ყაზან-ყაენი (1295-1304) თავისი მმართველობის დროს მუსლიმურ არისტოკრატიას დაეყრდნო და ილხანთა სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. პირველსავე დღეს ეს რელიგია 200 000-მა მონღოლმა მიიღო. ყაზანმა სახელიც შეიცვალა და მაჰმუდი დაირქვა. მან ბრძანა, რომ აღარ დაემორჩილებოდა მონღოლთა დიდ ყაენს, რომელიც ისევ ძველი მონღოლური რელიგიის მიმდევარი იყო. ამავე დროს, მაჰმუდ ყაზანი ქრისტიანების მიმართ შემწყნარებლობას იჩენდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ აკრძალა რელიგიური გადასახადი „ჯიზია“.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები XIII ს.-ის 40-იან – XIV ს.ის 40-იან წლებში

დავით VII ულუ (1247-1270), გიორგი IV-ის ძე. ერთიანი საქართველოს მეფე 1261 წლამდე

დემეტრე II თავდადებული (1270-1289), დავით VII ულუს ძე

ვახტანგ II (1289-1292), დავით VI ნარინის ძე

დავით VIII (1292-1311), დემეტრე II-ის ძე

ვახტანგ III (1298, 1302-1308), დემეტრე II-ის ძე

გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1346), დემეტრე II-ის ძე. 1329 წლიდან ერთიანი საქართველოს მეფე

გიორგი VI მცირე (1312-1318), დავით VIII-ის ძე

დასავლეთ საქართველოს მეფეები XIII ს.-ის 40-იან – XIV ს.ის 20-იან წლებში

დავით VI ნარინი (1245-1293), რუსუდანის ძე. ერთიანი საქართველოს მეფე 1261 წლამდე

კონსტანტინე I (1293-1327), დავით VI ნარინის ძე

მიქელი (1327-1329), დავით VI ნარინის ძე

Don't copy

17. შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა საქართველოს საზღვრები, ვახტანგ II ასე ადრე რომ არ გარდაცვლილიყო?
18. რა მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლური საყაენოების დაპირისპირების პროცესში დარიალის ხეობას? გაიხსენე ისტორიიდან მსგავსი მაგალითები.
19. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 44. შეავსე ცხრილი, რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას თითოეული მეფის მიმართ.
20. გამოთქვი მოსაზრება მეფისა და დარბაზის ურთიერთობის, ასევე დარბაზის გადაწყვეტილებების შესახებ დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის მეფობის დროს.
21. XIII საუკუნის ბოლოს, მძაფრი შიდა პოლიტიკური უთანხმოებისა და იმპერიებს შორის არსებული კონფლიქტების ფონზე, რა გამოსავალი ჰქონდა ქვეყანას? რატომ ფიქრობ ასე?
22. შენი აზრით, ყაზან-ყაენის დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ მისი პირადი ტოლერანტობის გამოვლინებაა თუ სახელმწიფოებრივი საჭიროებით იყო განპირობებული?
23. კლასში დაიყავით ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა შეავსოს ცხრილი. I გრაფაში ჩაწერეთ დემეტრეს მეფობის დადებითი, II გრაფაში – უარყოფითი მხარეები. ცხრილის შევსების შემდეგ შესრულებული დავალებები ერთმანეთს შეადარეთ. ნახეთ, რამდენად ემთხვევა ან განსხვავდება თქვენი დამოკიდებულება დემეტრეს მეფობის სხვადასხვა მომენტის მიმართ. განსხვავებული შეფასებების შემთხვევაში თითოეულმა ჯგუფმა აირჩიოს პრეზენტატორი, რომელიც კლასის წინაშე ჯგუფის შეფასებას ახსნის და დაასაბუთებს.

დემეტრეს მეფობის დადებითი მომენტები	დემეტრეს მეფობის უარყოფითი მომენტები

Don't copy

15 რა ისტორიულმა პროცესმა შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანებას

1308 წელს ვახტანგ III გარდაიცვალა და ილხანთა ყაენმა მეფედ დავით VIII-ის მცირეწლოვანი ვაჟი, გიორგი VI, დაამტკიცა, მეურვედ კი ბიძა, გიორგი V, დაუნიშნა, რომელიც ამ დროს, სავარაუდოდ, 20-21 წლის უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდში გიორგი V ილხანთა კარზე ერთ-ერთ გავლენიან პირთან, ჩობან ნოინთან, ერთად სირიაში ეგვიპტის სულთნის, მოგვიანებით კი რუმის სასულთნოს წინააღმდეგ ლაშქრობებში მონაწილეობდა. ჩობან ნოინი გიორგის პაპისა და გამზრდელის, ბექა ჯაყელის, მეგობარი იყო. ბექა ამ დროს გარდაცვლილი იყო, მაგრამ სამცხეს მისი ძე და გიორგის ბიძა, სარგისი განაგებდა. 1316 წელს ილხანთა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე 12 წლის აბუ-საიდი ავიდა, მისი პირველი ვეზირი კი ჩობან ნოინი გახდა. მისი ჩაგონებით, ყაენმა გიორგი V-ს საქართველოს მეფობა უბოძა. გიორგი V-ის შესახებ ქართველი მემატიანე, ჟამთააღმწერელი წერდა: „როგორც მარგალიტზეა ნათქვამი, რომ მხოლოდ ერთია საუკეთესო, ასევე გიორგი იყო თავისი დროის კაცთა შორის დიდებული, არა მხოლოდ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა შორის“.

წყარო ა) ალ-უმარი, არაბი ენციკლოპედისტი, „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება“, XIV ს.

„ჩობანი იყო მისთვის (გიორგისთვის) ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის. მეფე (გიორგი V) მოუხმობდა მას (ჩობანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას (ჩობანს) თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად. გიორგი, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, ყველაზე დიდებული ქრისტიან მეფეთა შორის და უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“.

გამეფებისთანავე გიორგი V-მ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეების მოგვარება დაიწყო. მან შიდა ქართლში მოთარეშე ოსების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლებიც ჰულაგუიანთა თანხმობით, XIII ს.ის მეორე ნახევრიდან თავს ესხმოდნენ შიდა ქართლს და თარეშობდნენ. მათ ქალაქი გორი ჰქონდათ დაკავებული. მეფემ გორს ალყა შემოარტყა, აიღო და ოსები განდევნა. გიორგი V-მ მისდამი ოპოზიციურად განწყობილი დიდგვაროვნების ჩამოცილებაც გადაწყვიტა. მან კახეთ-ჰერეთისა და სომხითის მთავრები კახეთში, ცივის მთაზე, მიიწვია და ამოწყვიტა.

1320 წელს გიორგიმ ეგვიპტის სულთნის კარზე ელჩობა გაგზავნა. მის ეპისტოლეში ნათქვამი იყო, რომ ქართველებისთვის უნდა დაებრუნებინათ მეჩეთად გადაქცეული ჯვრის მონასტერი. ჯერ კიდევ XIII საუკუნის 60-იან წლებში, დავით VII ულუს დროს, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ეგვიპტის სულთანმა ბაიბარსმა (1260-1277) ქართველებს ჩამოართვა და მეჩეთად გადააკეთა. ქართველებს აეკრძალათ ქრისტიანთა წმინდა ადგილებში ჩვეულებრივი წესით სიარული და ცხენ-სახედარზე ისე უნდა მსხდარიყვნენ, „ვითარცა დიაცნი“, ე. ი. ცალ მხარეს ფეხებჩამოშვებულნი. როგორც ჩანს, XIV საუკუნის პირველ ათწლეულში, ჯერ კიდევ დავით VIII და დავით VI ნარინის მემკვიდრე, დასავლეთ საქართველოს მეფე, კონსტანტინე (1293-1327), ჯვრის მონასტრის ქართველებისთვის დაბრუნების თაობაზე ეგვიპტის სულთნებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, რომელიც, სავარაუდოდ, წარმატებით დასრულდა. თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ დადებითად გიორგი V-ის დროს გადაწყდა. მან ორჯერ, ჯერ გიორგი VI-ის მეურვეობის, შემდეგ კი 1320 წელს, გაგზავნა ელჩობა ეგვიპტეში. ამ ელჩობების შედეგად ქართველებს დაუბრუნდათ როგორც ჯვრის მონასტერი, ისე ის პრივილეგიები, რომლებიც თამარ მეფის დროიდან ჰქონდათ (ქალაქში შესვლა ცხენზე ამხედრებულებს, გაშლილი დროშებით შეეძლოთ).



სურ. 1. ნახატი (ქალაქ იერუსალიმის ჭიშკარი) ფრანგი კარტოგრაფის, ნიკოლა დე ფერის, 1696 წელს გამოცემული რუკიდან.

Don't copy

1. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 45. გაიხსენე გიორგი V-ის მოღვაწეობის საწყის პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და შეავსე დიაგრამა.
2. რა მისცა ქვეყანას გიორგი V-ის მეგობრობამ ილხანთა საყაენოს პირველ ვეზირთან?
3. გაიხსენე, როგორ ჩამოყალიბდა ილხანთა საყაენო და რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის საქართველოს.
4. როგორ ფიქრობ, რატომ აწარმოებდა ილხანთა საყაენო ომებს ეგვიპტისა და რუმის სასულთნოების წინააღმდეგ? რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყნებს? (რუკა 12 და 16)
5. გაიხსენე, ვინ და როდის მიანიჭა იერუსალიმში პრივილეგიები ქართველებს?
6. შენი აზრით, რომელმა პოლიტიკურმა პროცესმა განაპირობა ქართველებისთვის ჯვრის მონასტრის ჩამორთმევა?
7. გამოთქვი მოსაზრება, ჯვრის მონასტრის დაბრუნების თაობაზე რატომ დაიწყო მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანმა კონკრეტულად დავით VIII-სა და კონსტანტინე დავითის ძესთან?
8. ნებისმიერი მოლაპარაკების დროს ორივე მხარე რაღაცას თმობს. სავარაუდოდ, რას მოელოდა ეგვიპტის სულთანი გიორგი V-ისგან?
9. როგორ დაასათაურებდი სურ. 1-ს?

წყარო ბ) ნაწყვეტი ეგვიპტის სულთანთან ოქროს ურდოს ყაენის, უზბეკის, მიწერილი წერილიდან, 1322-1323 წწ.

„აღშფოთებული ვარ, რომ ამიკრძალეთ, იერუსალიმში ამეგო მეჩეთი მაღალი ალაჰის თაყვანის საცემად, იმ დროს, როცა საქართველოს მეფეს ნება დართეს, იქ ეკლესია აეგო“.

წყარო გ) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპი, XIV ს.

„ჯვრის მონასტრის მეორედ აღმშენებლისა მეფისა გიორგისათვის გავაჩინეთ მათდა სამლოცველოდ აღაპი“.

წყარო დ) ალ-უმარი, არაბი ენციკლოპედისტი, „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება“, XIV ს.

„ჯვრის მონასტერი მდებარეობს ქალაქ იერუსალიმის გარეთ, მის დასავლეთით... მე შევედი ამ მონასტერში და მოვიხილე. აქ არის უაღრესად ლამაზი და თანაბარი ზომის ბერძნული ფრესკები. ავედი მის სახურავზე და ვნახე მისი ლამაზი ტერასა და გადაშლილი სივრცე. მონასტრის ბერები ქართველები არიან. ეს მონასტერი წაართვეს ქართველებს, გადაკეთდა მუსლიმთა მეჩეთად, გამოცხადდა **აზანი** და შესრულდა სალათი (ლოცვა). შემდეგ აღდგა ქრისტიანთა მონასტრად, ჰკრეს ზარსა და საჯარო გახდა მასში ურწმუნოების სიტყვა. ეს მოხერხდა იმ წერილით, რომელიც მოვიდა ქართველთა მეფისაგან... მონასტრის ბერებმა მიამბეს, რომ მათ სამშობლოში მონასტერი ფლობს სამონასტრო ქონებას, მათ შორის ცხენების რემასაც, რომლის ნამატის ფასს ისინი იღებენ, აქედან მონასტერს ყოველწლიურად დიდძალი თანხა შემოსდის, რომელიც მის საჭიროებასა და მოგზაურობაზე იხარჯება“.

ეგვიპტესთან კარგი ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ მოგვიანებით ეგვიპტის სულთანი გიორგი V-ს მოიხსენიებდა, როგორც „დიდებულს, გულადს, მამაცს, ლომგულს, თავის სარწმუნოებაში განსწავლულს, თავისი სამწყსოს მიმართ სამართლიანს, ქრისტიან მეფეთა შორის რჩეულს, რაინდთა სამეფოს დამცველს, ქრისტიანობის განმამტკიცებელს, ქრისტიანობის შემწეს, საქრისტიანოს გმირ მესიას, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმდიდებელს, რომის პაპის შემწეს, მუსლიმთა ერთგულ მეგობარს, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელს, მეფეთა და სულთანთა მეგობარს“.

აღაპი – წიგნი, სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელი.
აზანი – მოწოდება, მუსლიმური ლოცვის ძახილი, რომელიც ლოცვის დროის დადგომისთანავე წარმოითქმება.

Don't copy

10. **შეეცადე, ახსნა ის ეპითეტები, რომლებითაც ეგვიპტის სულთანი მოიხსენიებს გიორგი V-ს. შენი აზრით, ეს უბრალოდ დიპლომატიური ეტიკეტია თუ სხვა მიზეზებით არის განპირობებული?**
11. **რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იერუსალიმში ქართველი მეფე უფრო მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე „ოქროს ურდოს“ ყაენი?**
12. **შეადარე ერთმანეთს თამარისა და გიორგი ბრწყინვალის ურთიერთობა ეგვიპტის სულთნებთან. იმსჯელე ამ ურთიერთობის განმაპირობებელ პოლიტიკურ პროცესებზე.**
13. **რა შეიძლება ითქვას გიორგის V-ის დროს საქართველოს რეგიონულ სტატუსზე და როგორ აისახა ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა მის საერთაშორისო მდგომარეობაზე?**

ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ ჩობან ნოინმა გიორგის „მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი (იგულისხმება დავით VIII-ის შვილები) და მესხნი, შვილნი ბექასანი (სამცხის მთავრის ბექა ჯაყელის შვილები)“. გიორგი V-ის ერთიანი საქართველოს მეფედ დამტკიცება ნიშნავდა, რომ ილხანთა ყაენი მას ნებას რთავდა, შემოეერთებინა დასავლეთი საქართველო, სადაც დავით ნარინის ვაჟი, კონსტანტინე, მეფობდა და სამცხე, რომელიც ხასინჯუდ იყო გამოცხადებული. ჩობან ნოინმა, რომელიც ყაენის მცირეწლოვანობის დროს ილხანთა სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი იყო, გიორგი V-ს საქართველოში ხარკის აღების უფლება მიანიჭა. მანამდე ხარკს მონღოლი მოხელეები კრეფდნენ, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას ხშირად ავიწროებდნენ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ილხანთა სამეფოს მმართველებისთვის სასურველი აღარ იყო დანაწევრებული ქვეყანა, რათა საქართველოს მეფეს დროულად გადაეხადა გადასახადი და მონღოლთა განუწყვეტელ ომებში ჯარის აღჭურვა და გამოყვანა არ გასჭირვებოდა. როგორც XIV საუკუნის ერთ-ერთი არაბი მემატიანე წერდა, „ქართველები მამაცები იყვნენ და ილხანთა არმიის უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდნენ“. საქართველოს მეფე ჯარით თან ახლდა ჩობან ნოინს რუმის სასულთნოში ლაშქრობისას და ყაენის წინააღმდეგ ორი მონღოლი ნოინის მიერ დაწყებული აჯანყების ჩაქრობაშიც მიიღო მონაწილეობა.

14. **რატომ უწყობს ხელს ჩობან ნოინი გიორგი ბრწყინვალეს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე კონტროლის მოპოვებაში?**

1327 წელს აბუ-საიდ ყაენმა ჩობან ნოინი შეთქმულების მოწყობაში დაადანაშაულა და მოკლა, მისი ოჯახის ზოგიერთი წევრი და მომხრეები დაახოცვინა. თუმცა ჩობან ნოინის ვაჟები არ დაემორჩილნენ ყაენს და მის წინააღმდეგ აჯანყდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ 1335 წელს აბუ-საიდი გარდაიცვალა და ილხანთა საყაენომ დაშლა დაიწყო. გიორგიმ V-მ ისარგებლა ამ ვითარებით, საქართველოში მდგარი მონღოლური რაზმები განდევნა და ხარკის გადახდა შეწყვიტა. 1329 წელს, როდესაც დასავლეთ საქართველოს მეფე, მიქაელი, დავით ნარინის ძე (1327-1329), გარდაიცვალა, გიორგი V დასავლეთში გადავიდა, ქუთაისი დაიკავა და დასავლეთ საქართველოს მემკვიდრე მცირეწლოვან უფლისწულს შორაპნის ერისთავობა უბოძა. 1334 წელს გიორგი სამცხეშიც ჩავიდა და თავად დაადგინა სამცხის მთავრად სარგის ჯაყელის შვილი ყვარყვარე. ეს ნაბიჯი დამოუკიდებელი სამცხის სამთავროს საქართველოს მონარქიაში შემოსვლას ნიშნავდა.

პარალელურად გიორგი V-მ ქვეყნის აღდგენა დაიწყო. მეფის ჩატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა მონღოლთა მმართველობის შედეგად დამკვიდრებული წესების აღმოფხვრას, ქართული სახელმწიფო წეს-წყობილებისა და კანონმდებლობის აღდგენას. ამ დროისთვის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მძიმე ვითარება იყო შექმნილი. ხოცავდნენ მეფის მოხელეებს: ერისთავებს, ხევისბერებს. თავს არიდებდნენ სალაშქრო ვალდებულებას. მას სჩადიოდა არა ერთი კონკრეტული პიროვნება, არამედ „სოფელი“, „ხევი“. ასევე მასიურად ხდებოდა ერთმანეთზე თავდასხმა, საქონლის და ნივთების ქურდობა, ყაჩაღობა: თემი-თემს, სოფელი-სოფელს აწიოკებდა.

1335 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების შემოვლის შემდეგ გიორგი V-მ მოიწვია კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ კათალიკოსი, ერისთავები, ხევისბერები და მეფის მოხელეები. კრებაზე მიიღეს კანონები – „სამართალი მეფისა გიორგისა“, მოკლედ „ძეგლისდება“. ის შედგება შესავლისა და 46 მუხლისგან, რომელთაგან 4 მუხლი საოჯახო და სამოქალაქო სამარ-

Don't copy

თალს ეთმობა, დანარჩენი კი – სისხლის სამართალს (მკვლელობას, სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდებას, ყაჩაღობას, მეკობრეობას და ა. შ.). მის დროსვე შედგა სამეფო კარის წესდება – „ხელმწიფის კარის გარიგება“. ეს იყო სახელმწიფო წყობილების, მართვა-გამგეობისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის წესები. 30-იანი წლების ბოლოს გიორგი V-მ ჩაატარა საეკლესიო კრებაც, რომლის გადაწყვეტილებით უღირსი პირები ეკლესიიდან განდევნეს.

15. გიორგი V მამის, დემეტრე II თავდადებულის, მსგავსად მონღოლებთან მეგობრული ურთიერთობის გზას დაადგა. რამდენად მართებული იყო ამგვარი პოლიტიკა, მით უმეტეს მამის ტრაგიკული მაგალითის ფონზე?

16. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა გიორგი V-ის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა მონღოლებისთვის ხარკის მიცემა? რამდენად სარისკო იყო ქვეყნისთვის და მისთვისაც ამ ნაბიჯის გადადგმა?

17. გაიხსენე საქართველოს ისტორიაში ფაქტები, როდესაც ქართველი მეფეები ხელსაყრელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას იყენებდნენ. შეადარე გიორგი ბრწყინვალეს.

18. რატომ და როგორ შეიძლება, საერთაშორისო პოლიტიკურმა მოვლენებმა განსაზღვროს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური პროცესი?

19. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 46. შეავსე ცხრილი საქართველოში XIV საუკუნის 20-40-იან წლებში მიმდინარე ისტორიული მოვლენების შესახებ.

გიორგი V-ის დროს გააქტიურდა ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის. ჯერ კიდევ 1322 წელს რომის პაპმა იოანე XXII-მ (1316-1334) საქართველოს მეფეს წერილი გამოუგზავნა, რასაც შემდგომი ნაბიჯები მოჰყვა.

წყარო ე) რომის პაპის იოანე XXII-ის წერილიდან ქართველთა მეფე გიორგისადმი, 1322 წელი „გიორგის – ქართველთა უბრწყინვალეს მეფეს და მის დიდებულებს.

ვიმყოფებით რა სამოციქულო ტახტის სადარაჯო კოშკზე, ჩვენ უდიდეს ტკივილს განვიცდით, რაკი ვხედავთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი მოწყვეტილია მისი მეთაურისაგან... როგორც ჩვენ გვგონია, ყველა მართლმადიდებლისთვის ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი მეთაური, რომელიც მებრძოლი ეკლესიის მთელ სხეულს აერთიანებს... ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალი ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას... თუ თქვენ წამოგვიყენებთ საბაბს, ეს საყოველთაო კრების გარეშე შეუძლებელიაო, ჩვენ გიპასუხებთ: კეთილგანწყობით ვუყურებთ ასეთი კრების მოწვევას თქვენთვის და თქვენგან ახალ შეძენილთათვის... ამით ჩვენ მოგიწოდებთ კეთილგონიერებისაკენ და გთავაზობთ, რომ თქვენ კეთილგანწყობით მიიღოთ და ღირსეულად მოექცეთ **მარონიტების ორდენის** საყვარელ შვილებს, მორჩილ ძმებს, რომლებიც ამ წერილს მოგართმევენ“.

წყარო ვ) ნაწყვეტი რომის პაპის იოანე XXII-ის წერილიდან თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსოს შექმნის შესახებ, 1330 წ. ნოემბერი

„ამიერიდან ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, ღვთაებრივი კულტის საზღვრების გაფართოებისა და ასევე სხვა გონივრული მოსაზრებებით, ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით და ჩვენი სამოციქულო უფლებამოსილებით, საქართველოს სამეფოს დიდებულ ადგილს – თბილისს – ჩვენ ავამაღლებთ საეპისკოპოსო ქალაქის რანგამდე, აღვნიშნავთ მას სიტყვებით: „საეპისკოპოსო ქალაქი“ და ვუსურვებთ, რომ მომავალში იგი სამუდამოდ „საეპისკოპოსო ქალაქ თბილისად“ იწოდებოდეს“.

მარონიტების ორდენი – კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი ორდენი, ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას.

Don't COPY

პაპის ბრძანებით კათოლიკური საეპისკოპოსო ცენტრი, ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს, რომლის ეპისკოპოსი იოანე ფლორენციელი გახდა. ასევე ცხუმის (სოხუმის) ეპისკოპოსად პეტრე გერალდი დაინიშნა.

დაახლოებით იმავე ხანებში, როგორც ჩანს, გიორგის წერილი გამოუგზავნა საფრანგეთის მეფემ, ფილიპე VI-მ. მან მოუწოდა, ჩაბმულიყო წმინდა მიწის გასათავისუფლებელ სამხედრო ოპერაციაში, რომელიც ევროპაში იგეგმებოდა. ეს წამოწყება ჩაიშალა.

წყარო ზ) ნაწყვეტი პეტრე გერალდის კენტერბერის (ინგლისი) არქიეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილიდან, 1330 წ.

„თუ თქვენ სამეფოში გაბედული მორკინალები მოიძებნებიან და სურვილი აქვთ იომონ ღვთისა და სარწმუნოების სიყვარულისთვის, დატყვევებული ქრისტიანების გასათავისუფლებლად და ამასთანავე სურვილი გამოიჩინონ შეიძინონ კარგი მამული, პირველობა, სამეფო და სასახლეები, -სასურველი იქნება თუ თქვენ მას გააცნობთ იმ წერილს, სამოქმედოდ ის გამოგზავნეთ, ვინც ამ საქმის მცოდნეა. საქმე იმაშია, რომ ამ წერილის მომტანი იახია დე კრემონა, თავის დროზე, ასე ოცდაათი წლის წინათ, იყო აქ, მას ვავედრებ თქვენს მამობრივ მოწყალებას. პირადად მან სარწმუნოების ერთგულებისა და ტყვე ქრისტიანი ხალხის გათავისუფლებისთვის საქართველოდან ინგლისში ამ წერილის საკუთარი ხარჯით წამოღება ისურვა. მხოლოდ იმდენად ღარიბია, რომ მე მგონი მთელი მისი ქონება საკმარისი არ იქნება ნახევარი გზისთვის. თუმცა ერთ დროს იგი ძალიან მდიდარი, გემისა და ქონების პატრონი იყო, ამჟამად კი ღარიბია. ჩემის მხრივ არაფრის მიცემა არ შემეძლო, რადგან არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია თავის შესაფარებლად და არც ერთი დინარი არ მაქვს გასაცემი, მაგარამ ამის მიუხედავად, მუდმივად, დღე და ღამე ვუცდი მახვილს სარწმუნოებისთვის საბრძოლველად და ეკლესიის გაერთიანებისთვის. კვირაობით, რომელიმე ღარიბი ქართველისგან შეწირულობას ვიღებ. ასე ვატარებ ამ ცხოვრებას. მეორე მხრივ, **ამ ქვეყნის მბრძანებელი**, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზად არის, მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად გასალაშქრებლად. იგი ... კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკებს სასაფლაოც მისცა... ამის გამო, ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით, ზალიან განაწყენებული დარჩა **სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი** და **სამღვდელოება**, რადგან ამ სასაფლაოს გამო, ჰკარგავენ ლათინტა დასაფლავების უფლებას. ამის გამო, იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოგლიჯეს და აგრეთვე ლათინთა მიერ აღმართული 15 საფლავის ქვა დაამტვრიეს. ლათინელებმა ხელახლა აღმართეს ისინი, აქაურმა სქიზმატიკოსებმა, მღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზთა და **იუდეველთა** ხელის შეწყობით, მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სწიზმატიკოს ეპისკოპოსთან წაიღეს...“.

დაწერილია ქალაქ სებასტოპოლისში, ქვემო საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის წმ. ედუარდის სახელწოდების დღესასწაულზე, უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს.

Don't copy

ამ ქვეყნის მბრძანებელი – სავარაუდოდ იგულისხმება საქართველოს ჯარის მხედართმთავარი, ამირსპასალარი, მამია I დადიანი (1323-1345)

სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი და სამღვდელოება – აქ, მართლმადიდებელი ეპისკოპოსი და სამღვდელოება

სარკინოზი – იგულისხმება მუსლიმი

იუდეველი – ებრაელი

წყარო თ) ნაწყვეტი გიორგი V-ის საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი მიწერილი პასუხიდან, 1332-1333 წწ.

„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ის არის, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, ტოვებენ რა მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ, დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად 30 000 მეომრით“.

20. რა მიზნები ამოძრავებს რომის პაპს?
21. როგორ გესმის რომის პაპის სიტყვები: „ჩვენ უდიდეს ტკივილს განვიცდით, რაკი ვხედავთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი მოწყვეტილია მისი მეთაურისაგან“? რა საერთაშორისო ფაქტორებით შეიძლება აიხსნას რომის პაპის სიტყვები?
22. გაიხსენე, საქართველოს რომელ მეფეებს ჰქონდათ კონტაქტი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. რა მიზანს ემსახურებოდა და რა შედეგით დასრულდა ეს დიპლომატიური ურთიერთობა?
23. შენი აზრით, რატომ უწყობს ხელს გიორგი ბრწყინვალე თბილისში და სოხუმში კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებას და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ქვეყნისთვის?
24. რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს ევროპისთვის?
25. როგორ აღწერს წყარო ზ-ს ავტორი XIV საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეს – აფხაზეთს?
26. როგორ ფიქრობ, რა ისტორიულმა პროცესმა გამოიწვია ქვეყანაში ასეთი გაჭირვება?
27. შენი აზრით, რას გულისხმობდა პეტრე გერალდი სიტყვებში: „მუდმივად, დღე და ღამე ვუცდი მახვილს სარწმუნოებისთვის საბრძოლველად და ეკლესიის გაერთიანებისთვის“.
28. წყარო ზ-სა და სურ. 2-ის მიხედვით იმსჯელე აფხაზეთის ეთნიკურ შემადგენლობაზე.
29. წელთაღრიცხვის რომელ სისტემას იყენებს პეტრე გერალდი?
30. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს საქართველოს მეფის სიტყვები: „ევროპელები აღმოსავლეთის მეფეებს მტანჯველ ომში მარტო ტოვებენ“?
31. შენი აზრით, რამდენად რეალურია საფრანგეთის მეფისა და გიორგი ბრწყინვალის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი? რატომ?
32. რომელი ზღვის გადალახვას სთხოვს გიორგი ფილიპე VI ვალუას და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საზღვაო გზების კონტროლს?

გიორგი V-ს მხოლოდ ქართული მიწები არ გაუერთიანებია. მან წარმატებით ილაშქრა რანსა და შირვანში. მის დროსვე, 1337 წელს, **სულთან ორხანის** მეთაურობით საქართველოს საზღვრებში პირველად შემოიჭრენ **ოსმალები**, თუმცა ამ ლაშქრობას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ორხანი – ოსმალეთის სულთანი, 1326-1359 წწ., ოსმან I-ის ვაჟი.
ოსმალები – 1288 წელს ერთ-ერთი თურქულენოვანი ტომის ბელადის – ოსმან I ღაზის ხელმძღვანელობით თურქებმა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებთან შექმნეს გაერთიანება – ოსმანთა კავშირი.

წყარო ი) ვახუშტი ბატონიშვილი, ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, XVIII ს.

„შეკრებილი ჯარით მეფე შეებრძოლა სულთანს, მისცა ღმერთმა გამარჯვება და გაჟლიტა ურიცხვი მოწინააღმდეგე და ისინი გაიქცნენ სულთანთან ერთად. ხოლო მეფე დიდი ნადავლით გამარჯვებული დაბრუნდა ქალაქ თბილისში“.



სურ. 2. ქართული ხელნაწერი სახარება, გადაწერილია 1300 წელს მოქვის (აფხაზეთი) ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში

Don't copy



Portfolio

რუკა 16. საქართველო მეფე გიორგი V ბრწყინვალეს დროს 1314-1346 წწ.

მომდევნო წელს გიორგი V-მ დაამარცხა საქართველოში შემოჭრილი ჩობანიანთა სახელმწიფოს მმართველი ჰასან ქუჩუკი. საქართველო აქტიურად ერეოდა ტრაპიზონის იმპერიის საქმეებშიც. 1341 წელს ქართული ლაშქრის დახმარებით ტრაპიზონის საიმპერატორო ტახტი დაიკავა ანა-ხუტლუმ. ეს იყო ტრაპიზონში ქართული ორიენტაციის დასის გამარჯვება. მართალია, მომდევნო წელს ტრაპიზონში პრობიზანტიური ორიენტაციის იმპერატორი გამეფდა, მაგრამ საქართველოს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ამ სამეფოში გავლენისათვის.

გიორგი V-მ ჭკვიანური და თანამიმდევრული პოლიტიკის წყალობით შეძლო საქართველოს ერთიანობის აღდგენა. მან მონღოლთაგან განადგურებული ქვეყანა ეკონომიკურად და პოლიტიკურად გააძლიერა. საქართველო ახლო აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. გიორგი V 1346 წელს გარდაიცვალა. მას შთამომავლობამ ბრწყინვალე უწოდა, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იგი იყო „შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. ასევე, რადგან საქართველო იყო რამდენიმე სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, მან სიბრძნე-გონიერებით და ძლიერებით კვლავ გააერთიანა ვითარცა აღმაშენებელმან, განავსო და აღაშენა ქვეყანა, რჯული და სამოქალაქო წესი დააწესა, დარღვეული და მოოხრებული ეკლესიები აღაშენა, განაახლა და გაანათლა; ხოლო რანი და შარვანშა მოხარკედ ჰყვნა თავისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა საჭირო იყო, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა“.

28. რა ეკონომიკური და სტატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რანისა და შირვანის ფლობას საქართველოსთვის?

29. რა გეოგრაფიულ საზღვრებში ყალიბდება ოსმალეთის სახელმწიფო და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს რეგიონზე ახალი სახელმწიფოს გაჩენამ? როგორ შეიძლება ეს აისახოს საქართველოზე?

30. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქონდა საქართველოში ოსმალეთის შემოჭრას ეპიზოდური ხასიათი?

31. გაიხსენე, როდის და ვინ დააარსა ტრაპიზონის იმპერია და რა იყო ამის მიზეზი.

32. როგორ ფიქრობ, რატომ ცდილობენ ქართველები და ბიზანტიელები ტრაპიზონზე გავლენის მოპოვებას?

33. რა დამსახურებების გამო მიიღო გიორგიმ ზეწოდება „ბრწყინვალე“?

34. რა მეთოდებს მიმართავდა გიორგი V ქვეყნის გასაძლიერებლად? შენი აზრით, რამდენად გამართლებულია ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერებისთვის ნებისმიერი საშუალების გამოყენება?

35. შეადარე რუკა 16 რუკა 8-ს (საქართველო დავით აღმაშენებლის დროს) და იმსჯელე საქართველოს სამეფოს ტერიტორიის ცვლილებებზე.

36. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 47. პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ გიორგი V-მ საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანების დიპლომატიური გზა აირჩია. გაიხსენე, როგორ და რა პირობებში მოხდა საქართველოს განთავისუფლება სხვადასხვა დამპყრობლისგან და შეავსე ცხრილი.

37. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 48.

Don't copy

16-17 რა ცვლილებები მოუტანა საქართველოს თემურლენგის ლაშქრობებმა

გიორგი V ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი დავით IX (1346-1360) ავიდა. მისი მოღვაწეობის შესახებ ძალიან მცირე ცნობებია შემონახული. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ მის დროს საქართველოში ძირითადად მშვიდობა სუფევდა. თუმცა დავით IX, მამისგან განსხვავებით, დიდებულების დამორჩილებას ვერ ახერხებდა.

წყარო ა) ალ-მუჰიბი, სირიელი სწავლული, „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა“, XIV ს.

„ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიმანი – მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აფხაზეთს. ყოველ მათგანთა მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა. მაღალი ალაჰი დღეგრძელ ჰყოფს მის მეფურ უდიდებულესობას, დიადს, დიდებულს, მამაცს, რაინდს, წმინდანს, მორწმუნეს, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებას, ქრისტიანობის სიამაყეს, აფხაზთა და ქართველთა მეფეს, მეფეთა და სულთანთა მეგობარს“.

დადიმანი, იგივე გიორგი დადიანი (1346-1384), მეფედ იხსენიება, რაც მის გარკვეულ დამოუკიდებლობაზე მეტყველებს; თუმცა აქვე საქართველოს მეფე „აფხაზთა მეფედ“ იხსენიება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დადიანი, რომელიც აფხაზეთს განაგებს, მეფეს დაქვემდებარებული მთავარი იყო. დავით IX-მ 14 წელიწადს იმეფა და გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი შვილი ბაგრატ V (1360-1393) ავიდა. მისი მეფობის პირველი 26 წლის განმავლობაში ძირითადად მშვიდობა სუფევდა. თუმცა როგორც მამამისის მეფობის ხანაში, ბაგრატ V-ის მეფობის პერიოდშიც გაჩნდნენ სხვადასხვა ქართული „პროვინციის მეფეები“: ჯავახეთში, ალასტანში, დამკვიდრებული საქართველოს მეფის დავით VIII-ის, ხოლო დმანისსა და სამშვილდეში – ვახტანგ III-ის შთამომავლები თავს მეფეებად მოიხსენიებდნენ. მეფობის ტიტულს იჩემებდნენ დასავლეთ საქართველოს მეფეების, დავით ნარინის ვაჟების, მემკვიდრეებიც. თუმცა ყველა მათგანი მცირე პროვინციას მართავდა და სინამდვილეში საქართველოს მეფის ქვეშევრდომად ითვლებოდა.



სურ. 1. 1382 წელს თოხთამიშის მიერ მოსკოვის აღება. მინიატურა ლიცევოის მატიანედან (რუსეთი), XVI ს.

1386 წლიდან საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იწყება. ეს არის თემურლენგის ლაშქრობები. XIV საუკუნის II ნახევარში შუა აზიის ტერიტორიაზე ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა, რომლის სათავეში მონღოლური ტომის გათურქებული წარმომადგენელი თემურლენგი (1370-1405) იდგა. XIV საუკუნის შუა ხანებში შუა აზიის მონღოლური სახელმწიფო ჯერ ორ, შემდეგ კი რამდენიმე მცირე სამთავროდ დაიშალა. ახალგაზრდა თემურმა ერთ-ერთი ასეთი სამთავროს მმართველის, ჰუსეინის, და შეირთო ცოლად. ამ სამთავროებს შორის ერთ-ერთი დაპირისპირების დროს თემური ფეხში დაიჭრა, რისთვისაც მეტსახელი „ლენგი“ – კოჭლი – მიიღო. ის შემდეგ თავად ჰუსეინს დაუპირისპირდა, დაამარცხა და მცირე დროში მოახერხა მთელ შუა აზიაში გაბატონება. ახალი მბრძანებელი თავს ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრედ თვლიდა, ამიტომ მიზნად დაისახა, თავისი სახელმწიფოს საზღვრები განევრცო და მონღოლთა დიდი საყაენოსთვის გაეთანაბრებინა. ირანის დაპყრობა თემურლენგმა შედარებით ადვილად მოახერხა, შემდეგ კი „ოქროს ურდოს“ დაუპირისპირდა. 1385 წლიდან მისი მთავარი მოწინააღმდეგე „ოქროს ურდოს“ ყაენი **თოხთამიში** გახდა.

თოხთამიში – „ოქროს ურდოს“ ერთ-ერთი ყაენი, რომელიც ამ სახელმწიფოს მმართველი თემურლენგის დახმარებით გახდა და რომელმაც 1382 წელს რუსები დაამარცხა, მოსკოვი აიღო და გადაწვა. შემდეგ ის თემურლენგს დაუპირისპირდა.

DON COPY

1385 წელს თოხთამიშმა კავკასიონის გადმოსასვლელები (დარიალისა და დარუბანდის უღელტეხილები) გადმოლახა, დასავლეთ ირანში ილაშქრა და ქალაქი თავრიზი აიღო. ეს ლაშქრობა საქართველოს მეფესთან შეუთანხმებლად ვერ მოხერხდებოდა. სავარაუდოდ, საქართველოს მეფე თოხთამიშის მოკავშირე იყო. ამ ლაშქრობამ თემურლენგის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. 1386 წელს თემურლენგმა თავრიზი დაიბრუნა და საქართველოსკენ გამოილაშქრა. მან თბილისი აიღო და მეფე ბაგრატ V ცოლთან და უმცროს ვაჟთან, დავითთან, ერთად ტყვედ ჩაიგდო. საქართველოს აღმოსავლეთ რაიონების დარბევის შემდეგ თემურლენგი გამოსაზამთრებლად ყარაბაღში წავიდა და საქართველოს მეფეც თან წაიყვანა. აქ მასთან შირვანშაჰი გამოცხადდა და უბრძოლველად დანებდა. თემურს საქართველოს მეფის მოკავშირეობაზე დაყოლიება არ სჭირდებოდა. თუმცა ამის აუცილებელი პირობა ბაგრატის გამუსლიმება იყო. ბაგრატ V პირობას დათანხმდა. თემურმა ის საქართველოს მეფედ დაამტკიცა და საქართველოში 12 000-იანი ჯარიც გამოაყოლა, რომლის მთავარი ფუნქცია ჩრდილოეთიდან „ოქროს ურდოს“ ყაენის მოსალოდნელი თავდასხმებისგან თემურის მოკავშირეების დაცვა იყო.

1. როგორი შიდა პოლიტიკური სიტუაცია იყო საქართველოში თემურლენგის ლაშქრობებამდე?
2. შენი აზრით, დადიანის მეფისთვის დაქვემდებარება ფორმალური ხასიათისაა თუ არა? რატომ?
3. როგორ ფიქრობ, რა მიზეზებმა განაპირობა საქართველოში სეპარტიზმის გაჩენა? შენი აზრით, რა შეიძლება მოიმოქმედოს სამეფო ხელისუფლებამ სეპარატიზმის შესაჩერებლად?
4. გაიხსენე, რომელ ტერიტორიებს მოიცავს „ოქროს ურდო“ და რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან საქართველოს.
5. რა სტარტეგიული მნიშვნელობა ჰქონდა „ოქროს ურდოსა“ და თემურლენგის დაპირისპირების პროცესში საქართველოს და რა გამოწვევების წინაშე იდგა საქართველოს სამეფო ხელისუფლება?
6. შენი აზრით, 1385 წლისთვის შექმნილი საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად სწორი იყო საქართველოს მეფის გადაწყვეტილება, თოხთამიშისთვის გზა მიეცა ირანისკენ?
7. რატომ იყო მნიშვნელოვანი თემურლენგისთვის საქართველოსა და შირვანის მოკავშირეობა?
8. შენი აზრით, როგორ აისახება მეფის ტიტულატურაში სამფლობელოების საზღვრები?

წყარო ბ) თომა მეწოფელი, სომეხი ისტორიკოსი, „ისტორია თემურლენგისა“, XV ს.

„იმ ბაგრატმა საიდუმლოდ შეუთვალა თავის შვილებს – გიორგის, კონსტანტინესა და დავითს, რომ ფარულად შეგებებოდნენ და დახმარებოდნენ თავიანთ მშობელს, რათა მას მოეხერხებინა, როგორღაც ხელიდან გასხლტომოდა თემურს. ხოლო თავად მან თემურის ლაშქარი წაიყვანა და ვიწრო და უგზო ადგილზე მიიყვანა. უფლისწულებმა მათ გზა გადაუჭრეს, მახვილები იშიშვლეს და მრავალი მათგანი, როგორც ამბობენ, თორმეტ ათასზე მეტი, ამოწყვიტეს, შემდეგ მამა წაიყვანეს და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ“.

1387 წელს, ადრეულ გაზაფხულზე, თემურლენგმა საქართველოში ახალი ლაშქრობა მოაწყო, თუმცა დაპყრობა ვერ შეძლო. ამას თოხთამიშის ჯერ შირვანისკენ, შემდეგ კი შუა აზიისკენ გალაშქრებამ შეუშალა ხელი. შირვანში „ოქროს ურდოს“ ლაშქრის შემოტევა თემურის ვაჟმა, მირან-შაჰმა, მოიგერია, თავად თემურლენგი კი სასწრაფოდ შუა აზიაში გაბრუნდა. მან დაამარცხა თოხთამიში, რომელიც „ოქროს ურდოში“ გაიქცა, საქართველო კი აოხრებას გადაურჩა.

ამის შემდეგ თემურლენგი საქართველოში 1394 წლამდე არ გამოჩენილა. ამ წელს კი მან ორჯერ ილაშქრა: გაზაფხულსა და შემოდგომაზე. პირველად მისმა სარდლებმა სამცხე დაარბიეს, ხოლო მეორედ მისმა ჯარმა, თავად თემურის მეთაურობით, თრიალეთისა და ქვემო ქართლის გავლით არაგვის ხეობა დალაშქრა. ამ დროს საქართველოს მეფე უკვე გიორგი VII (1393-1407) იყო.



სურ. 2. თემურლენგი. XV ს.-ის მინიატიურა

Don't copy

თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში
პირობითი აღნიშვნები
საზღვარი
დედაქალაქი
ქალაქი
ციხესიმაგრე
ეკლესია-მონასტერი
1386 წ. თემურ ლენგის I ლაშქრობა
1394 წ. თემურ ლენგის III ლაშქრობა
1395 წ. თემურ ლენგის ლაშქრობა ჩრდ. კავკასიასა და ოქროს ურდოში
1403 წ. თემურ ლენგის VIII ლაშქრობა
საქართველო
ვასალური ქვეყანა
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
დარუბანდის (კასპიის) ზღვა
თბილისი
ტფილისი
ბათუმი
ქუთაისი
ახალციხე
ახალქალაქი
ტრაპიზონი
ერზინკა
ყარსი
ალექსანდროპოლი
ერევანი
განძა
ბარდავი
ბელაქანი
შაქი
შამქორი
ბაილაყანი
ბერდაა
განძასარი
ჰოვანაბერდი
ოროტნი
ნორაგანი
ბარნისი
დვინი
ბაიაზეთი
სურმარი
ყულფანი
ვალაშკერტი
არჭეში
მუში
ხლათი
ბიწვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
ოქუმი
ლიხნი
ბედია
ძველი
ნოქალაქევი
ფოთი
ზუგდიდი
ანაკლია
ხობი
ქობულეთი
ჩოხატაური
ოზურგეთი
ლანჩხუთი
ნასაკირალი
ჭიათურა
ქუთაისი
ბაღდათი
ცხენისწყალი
ვანი
სამტრედია
ზესტაფონი
ხონი
ტყიბული
მაკვანეთი
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ლენტეხი
მესტია
ცხინვალი
ჯავა
ყაზბეგი
სტეფანწმინდა
დუშეთი
მცხეთა
გორი
ქარელი
ხაშური
სურამი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბორჯომი
ბაკურიანი
ახალდაბა
ბაკურიანი
ბორჯომი
ვალე
ახალციხე
ადიგენი
ხრამის ხეობა
ალგეთის ხეობა
მტკვრის ხეობა
არაგვის ხეობა
ალაზნის ველი
მტკვარი
ალაზანი
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ყვირილა
ბზიფი
ღალიძგა
ოქროყანა
ბაბანეური
ბოლნისი
ხრამი
ლორე
ბორჩალო
ბაბანეური
ბაბანეური
ბაბანეური

1395 წელს თემურლენგმა კიდევ ერთხელ დაამარცხა თოხთამიში, აიღო „ოქროს ურდოს“ დედაქალაქი სარაი-ბერქე და იქ ყაენად სხვა დასვა. თოხთამიში ლიტვის მთავართან გაიქცა, მისი დახმარებით შეეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ კვლავ დამარცხდა და ამის შემდეგ ისტორიის ასპარეზიდან გაქრა.

1399 წელს თემურლენგმა მეხუთედ დაარბია საქართველო. მანამდე ერთი წლით ადრე მან ინდოეთში წარმატებით ილაშქრა. მისი მოუცლელობით ისარგებლეს ირანისა და სამხრეთ კავკასიის მმართველებმა, აჯანყდნენ და რამდენჯერმე დაამარცხეს თემურის ვაჟი, მირან-შაჰი, რომელიც ამ მხარეების მმართველად იყო დატოვებული. გამარჯვებულთა შორის იყო საქართველოს მეფეც. გიორგი VII დაეხმარა ერთ-ერთ ირანელ ბატონიშვილს, თაჰერს, რომელიც ალინჯის ციხეში მირან-შაჰის ჯარის მიერ ალყაში იყო მოქცეული. გიორგიმ დაამარცხა თემურის ვაჟის ჯარი და გამოიხსნა თაჰერი. ამის საპასუხოდ 100 000-იანი ჯარით საქართველოსკენ თავად თემურლენგი გამოემართა. ის კახეთ-ჰერეთში შემოიჭრა. V ლაშქრობა გამანადგურებელი იყო: განადგურდა ეკლესია-მონასტრები, გაიჩეხა ვენახები, ხეხილის ბაღები, თუთის ხეები, მოლაშქრეებმა დიდი რაოდენობით საქონელი და ცხვარი წაიყვანეს.

არანაკლებ გამანადგურებელი იყო მომდევნო წლის – VI შემოსევა. მანამდე თემურლენგმა გიორგი VII-ს წერილი გამოუგზავნა.

წყარო გ) ბერი ეგნატაშვილი , ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, XVIII ს. დასაწყისი (ტექსტი ადაპტრებულია)

„თემურლენგი გიორგის წერდა: „მე შენი მეფე ვარ და მოდი ჩემთან და შემირიგდი: პატივს გცემ და დიდ საბოძვარს მოგცემ. მაგრამ თუ არ დამემორჩილები, მოვალ და შენს ქვეყანას ავაოხრებ“. და როცა მოვიდა მისი ელჩი გიორგისთან, გიორგიმ ასე უპასუხა მას: „მე შენს მეფეზე ნაკლები მეფე არ ვარ, და მას ჩემი ქვეყნის აოხრება არ შეუძლია; და რადგან ასე იმუქრება, დიაცი იყოს და არა კაცი, თუ ეს არ შეასრულოსო!“

9. შენი აზრით, თემურლენგის II ლაშქრობის დროს საქართველოს მეფე და თოხთამიში შეთანხმებულად მოქმედებდნენ? პასუხი დაასაბუთე.

10. დააკვირდი რუკა 17-ს და გამოთქვი მოსაზრება, რატომ იყო თემურლენგისთვის მნიშვნელოვანი არაგვის ხეობის დაკავება?

11. რა შედეგები შეიძლებოდა მოეტანა თოხთამიშის საბოლოო დამარცხებას ირანისა და სამხრეთ კავკასიისთვის?

12. შენი აზრით, რატომ აჩეხა ვენახები, თუთის ხეები და ბაღები თემურლენგმა? როგორ იმოქმედებდა ეს ფაქტი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე? პასუხი დაასაბუთე.

13. რა მიზანი ამოძრავებდა თემურლენგს ეკლესია-მონასტრების განადგურებისას?

14. კლასში გამართეთ დისკუსია: რამდენად ადეკვატური იყო გიორგი VII-ის პასუხი (წყარო გ) და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას?

15. გაიხსენე, საქართველოს რომელი მეფეები აღწევენ დიპლომატიურ წარმატებას და შეადარე მათი მეფობა მეფე გიორგი VII-ის მეფობას.

16. ბ) და გ) წყაროების გაანალიზების შემდეგ როგორ შეაფასებდი ბაგრატისა და გიორგის პიროვნებას? როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა მათ გადაწყვეტილებებზე? რა შედეგის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს საქართველოსთვის?

1400 წელს თემურლენგი მეექვსედ შემოესია საქართველოს. გიორგი VII მტერს მომზადებული დახვდა. გადამწყვეტი ბრძოლა გოგჩის ტბასთან მოხდა. ქართველები დამარცხდნენ და მეფე დასავლეთ საქართველოში გაიქცა. თემურმა ქვემო ქართლი გამოიარა და თბილისი აიღო. შემდეგ მთელ ქართლსა და ქართლის მთიანეთს მოედო, ხეები და ყანები ძირიანად მოთხარა, აიღო ციხეები, რკონისა და ქვათახევის მონასტრები დააქცია, შემდეგ სამცხე და ტაო ააოხრა და 60 000 ტყვით სამშობლოში გაბრუნდა.

Don't copy

წყარო დ) თომა მეწოფელი, სომეხი ისტორიკოსი, „ისტორია თემურლენგისა“, XV ს.

„თემურის ჯარმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა ქართველთა ქვეყანა, გაანადგურეს ეკლესიები. მწყურვალე და მშიერი ტყვეები ჩვენს ქვეყანაში მოიყვანეს შიშვლები და ფეხშიშველები, თემურის თითოეულ მეომარს 20 ტყვე ჰყავდა; მათი უმეტესობა გზაში დაიღუპა. ყველაფერი ეს ჩვენი თვალით ვნახეთ და ჩვენი ყურით მოვისმინეთ“.

ამის შემდეგ თემურლენგმა ოსმალებთან შებრძოლება გადაწყვიტა და აღმოსავლეთ საქართველოდან წასული შამქორში დაბანაკდა. გიორგი VII აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა, აქედან თავისი ძმის, კონსტანტინეს, მეთაურობით მასთან ელჩობა გაგზავნა და დაზავება შესთავაზა. თემურმა ელჩობა კარგად მიიღო და 1401 წელს ხელშეკრულება შემდეგი პირობებით გაფორმდა: საქართველოს მეფე ხარკს გადაიხდიდა და თემურის ლაშქრობებში მოთხოვნისთანავე მიიღებდა მონაწილეობას, მუსლიმებს არ შეავიწროებდა. სამაგიეროდ, თემურლენგი საქართველოში არ ილაშქრებდა. თუმცა ეს პირობა თემურმა არ შეასრულა და თორთომის ციხე აიღო. მან 200 ქართველი მეციხოვნე გაჟლიტა იმ საბაბით, რომ ისინი თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ მუსლიმ ვაჭრებს. ეს თემურის VII ლაშქრობად ითვლება.

ამის შემდეგ თემურლენგი ოსმალეთის სულთნის, ბაიაზიდ I-ის წინააღმდეგ საომრად გაემართა. თემურმა მის წინააღმდეგ აჯანყებული და სულთანთან თავშეფარებული, ირანის ერთ-ერთი მმართველის, ყარა-იუსუფის, გადაცემა მოსთხოვა, რაზეც ბაიაზიდისგან უარი მიიღო. ბრძოლა 1402 წელს ანგორასთან (ანკარასთან) მოხდა. თემურლენგმა გაიმარჯვა და ბაიაზიდი ტყვედ ჩაიგდო, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. ოსმალეთის სახელმწიფო თემურმა ბაიაზიდის ოთხ ვაჟს გაუყო, ამის შემდეგ მცირე აზიაში ქრისტიანების უკანასკნელი დასაყრდენი, ჰოსპიტალიერების ორდენის ციხესიმაგრე, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მდებარე სმირნა (თანამედროვე იზმირი) აიღო. გადარჩენილი რაინდები გემებით კუნძულ როდოსზე გაიქცნენ.

უკან, სამშობლოში, მიმავალმა თემურლენგმა 1403 წელს საქართველოში უკანასკნელად, მერვედ, ილაშქრა. ამის მიზეზად ის გიორგის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობას ასახელებდა. სავარაუდოდ, საქართველოს მეფემ ბაიაზიდის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი თქვა. გიორგიმ კვლავ თავისი ძმა, კონსტანტინე, გაგზავნა დიდი ძღვენით თემურთან და ადრე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება აღუთქვა. მაგრამ თემურმა აღარ დაუჯერა და აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრა. ქვემო ქართლში მან მანამდე აუღებელი ბირთვისის ციხის აღება შეძლო. ამის შემდეგ გადაწყვიტა, დასავლეთ საქართველოში ელაშქრა, სადაც საქართველოს მეფე აფარებდა თავს. მისი ჯარი ქუთაისამდე მივიდა. მათ იმერეთში შვიდასამდე სოფელი, დაბა და მონასტერი დაანგრიეს. თუმცა გიორგი VII-ის შეპყრობა თემურმა ვერ მოახერხა და კვლავ დაზავება გადაწყვიტა.

წყარო ე) მოინ ად-დინ ნათანზი, ირანელი ისტორიკოსი, „რჩეული ისტორიანი“, XIV-XV სს.

„საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ გამუსლიმების შიშით შეუპოვარ წინააღმდეგობას სწევდა და ამ სიჯიუტეს ათეულ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა“.

წყარო ვ) ბერი ეგნატაშვილი, ქართველი მემატიანე, „ახალი ქართლის ცხოვრება“, XVIII ს.

„და შეუთვალა ლანგ-თემურმა 1403 წელს მეფე გიორგის: „უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქვეყნისა ამის, მოდი ჩემთან და გათათრდი, და თუ გათათრდები, არცა გთხოვ ხარკსა და მოგცემ ხელშეუვალად ქუეყანასა მაგას და სხვასაცა მრავალსა საბოძვარსა. და უკეთუ არა გათათრდები, დაიდევ ხარკი ჩემი და მოდი ჩემთანა და მოგცემ ქუეყანასა მაგას. და შენცა არას გავნებ და განგიტევებ მშვიდობით. და უკეთუ არა მოხვალ, დავასრულებ ჯავრსა ჩემსა შენ ზედა და ქუეყანასა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქუეყანაცა. და უკეთუ მოხვიდე, მიფიცავს თავსა მაჰმადისასა, რამეთუ დიდი პატივი მოგცე შენ და მშვიდობით გაგისტუმრო“.

Don't Copy

წყარო ზ) ფარსადან გორგიჯანიძე, ქართველი მემატიანე, „ისტორია“, XVII ს.

„მეფე გიორგიმ თემურის კარისკაცებს ფეშქაში და სახვეწარი წიგნები მისწერა – ხელმწიფესთან მომეხმარეთო, ხარკს და სამხედრო ბეგარას დავიდებო, მაგრამ მის კარზე მოსვლა არ შემიძლიაო, ხელმწიფის მეშინიაო. ადგნენ ვეზირები და ლაშქართუხუცესები, ერთგან შეიყარენ და მეფე გიორგის არზა და ძღვენი ხელმწიფეს მიართვეს და ასე მოახსენეს: ტყეში ერთი მოუხმარებელი ქვეყანა არისო. მიხვალ, გიორგი გაგექცევისო და როდესაც წახვალ, ისევ ჩამოვა და თავის ქვეყანას დაიჭერსო. რაც ქვეყნები დაგიპყრია, ამდენი არსად არ გარჯილხარ და არც ამდენი ლაშქარი ვისმე დაუხოციაო. ლიხს იქით ლაშქრობისას მოლაშქრეები ჩივიან: კიდევ ბევრი ქვეყანაა დასაპყრობი და ამ ურგებ ტყეში რისთვის გვხოცავს ხელმწიფეო... ამის გამგონე ხელმწიფემ შირვანის მეფეს ჰკითხა რჩევა. იმან ასრე მოახსენა: გიორგი მეფეს ჩვენთან სახვეწარი წიგნი მოუწერია. ღმერთმა ეს გამარჯვება საქართველოზე თქვენ მოგცათ, რაც არც ალექსანდრე მაკედონელს და არც სხვა ხელმწიფეთ არ მისცემიაო და ისინი აქამდე არც არავის შეხვეწნიანო. ამდენი ქვეყანა და ციხეები დაუქციეთ, ხარკიც იკისრესო, სახელი იქნება თქვენგან მშვიდობის ჩუქებაო“.

17. რა მოსაზრებებს ეყრდნობოდნენ გიორგი VII და თემურლენგი ზავის დადების დროს?
18. როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, საქართველოს გამოეყენებინა ოსმალეთთან თემურლენგის დაპირისპირება? რატომ?
19. როგორ ფიქრობ, გიორგი VII-ის გადაწყვეტილება დაზავებასთან დაკავშირებით დაგვიანებული იყო თუ არა? რატომ ფიქრობ ასე?
20. შენი აზრით, რატომ არ ჩაერთო გიორგი თემურლენგისა და ბაიაზიდის დაპირისპირებაში?
21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 49. შეავსე სქემა: რა ისტორიული პროცესები განვითარდა თემურლენგის გამოჩენის შემდეგ და როგორ აისახა ეს რეგიონზე, ოსმალეთზე, ბიზანტიასა და „ოქროს ურდოზე“, საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ რუკაზე?
22. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 50. შეავსე სქემა: საქართველოს მეფეების, ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის, მიზნები და მათი მოღვაწეობის შედეგები.

საბოლოოდ 1403 წელს დაიდო ზავი, რომლის თანახმად, საქართველოს მეფეს ყოველწლიური ხარკი უნდა გადაეხადა და საჭიროების შემთხვევაში ჯარი გამოეყვანა, სამაგიეროდ, თემური ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას.

1405 წელს თემურლენგი გარდაიცვალა და მისი შექმნილი იმპერია დაიშალა. მის მემკვიდრეებს შორის შინაომები დაიწყო. ამით ისარგებლა ირანში არსებული შავბატკნიანთა, იგივე ყარა-ყოინლუს, თურქმენული სახელმწიფოს მმართველმა ყარა-იუსუფმა, რომელმაც თემურის მემკვიდრეებსა და სხვა მეზობლებზე რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა. ამ სახელმწიფოს პოლიტიკა მეზობლების მიმართ აგრესიული იყო. ყარა-იუსუფთან ბრძოლის დროს დაიღუპა თემურლენგის შვილი და მემკვიდრე ირანში მირან-შაჰი. ტახტზე მისი ძმა, შაჰრუხი, ავიდა. ყარა-იუსუფთან ბრძოლებს შეეწირნენ ქართველი მეფეებიც გიორგი VII და მისი ძმა კონსტანტინე I (1407-1411). საქართველოში ალექსანდრე I (1412-1442) დიდი გამეფდა. მისი გამეფებისას მეფის ხელისუფლება შესუსტებული იყო. სხვადასხვა მხარის დიდებულები ზოგჯერ დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მეფეს ანგარიშს არ უწევდნენ. სამეგრელოს მთავარი მამია დადიანი თავს დაესხა აფხაზეთის მთავარს, მაგრამ დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. მეფე იძულებული გახდა, კონფლიქტში ჩარეულიყო. ალექსანდრე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და სამეგრელოს მთავრად მამიას ვაჟი, ლიპარიტი, დასვა. ლიპარიტმაც და შერვაშიძემაც (აფხაზეთის მთავარმა) მას მორჩილება აღუთქვეს. მალევე მეფეს სამცხის მთავარი ივანე ათაბაგი აუჯანყდა, მაგრამ ალექსანდრემ დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. სამცხის ერისთავების ნაწილი მეფემ გადააყენა და მათ ადგილზე თავისი ერთგული ხალხი დასვა. ამის შემდეგ ივანე ათაბაგმა ერთგულება შეჰფიცა და მეფემ ის შეიწყალა. ამ ამბოხების დროს მაწყვერელმა (აწყურის) ეპისკოპოსმა კათალიკოსის საკუთრებაში მქონე ვარძიის მონასტერი და საფარის მონასტერი მიისაკუთრა. ის თავის ლოცვებში საქართველოს მეფესა და საქართველოს კათალიკოსს აღარ იხსენიებდა, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფას ნიშნავდა. თუმცა ივანე ათაბაგის დამარცხების შემდეგ ის საქართველოს კათალიკოსს მიქაელს დამორჩილდა.

Don't copy

23. **რა პოლიტიკური პროცესები განვითარდა აზიაში თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ და როგორ შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე?**
24. **რა ვითარება სუფევდა საქართველოში ალექსანდრე I-ის გამეფების დროს?**
25. **შენი აზრით, რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ქვეყნისთვის დიდებულთა თვითნებობას (ზედა აბზაცში მოყვანილი ინფორმაცია შეადარე წყარო ა-ს)?**
26. **რა საგარეო და საშინაო პროცესებმა შეუწყო ხელი ქვეყანაში სეპარატიზმს? იმსჯელე, შესწავლილი მასალიდან გამომდინარე.**
27. **ივარაუდე, ამ კუთხით ალექსანდრე I-ის გამარჯვებები დროებითი წარმატება იქნებოდა თუ ქვეყანა კვლავ გაძლიერდებოდა? რა მეთოდებსა და რესურსებს იყენებდა ალექსანდრე წარმატების მისაღწევად?**

იმ პერიოდს სხვადასხვა ავტორი შემდეგნაირად გვიხასიათებს:

წყარო თ) უცნობი ქართველი მემატიანე, „ცხოვრება საქართველოისა“, („პარიზის ქრონიკა“), XVIII ს.

„იყო მაშინ ყოველი ესე საქართველო უსჯულო თემურისგან უნუგეშისცემოდ განსრული და სრულიად აოხრებული მცხეთა და დიდი წმინდა ეკლესია, და ეგრევე ყველა ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქვეყნისანი დედაწულიანად ტყვე ექმნა... ძალი ქართლისა შემცირებულ იყო მრავლის ტყვევნისა და რბევისგან. არსაიდან ჩანდა ნუგეშისმცემელი“.

წყარო ი) ალექსანდრე I-ის სიგელი, 1440 წ.

„ვითარ ჩვენგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამსა შემოსავალი ჩვენისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართველოსა კომლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და 1440 წლისთვის რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე ახლად აღვაშენე და შევამკე“.

წყარო კ) რუისის საყდრის წარწერა, XV ს.

„ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვლავ აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყავნ“.

წყარო ლ) ეგვიპტის სულთნის ჯაკმაკის წერილიდან ქართველთა მეფისადმი, 1440 წ.

„ეს წერილი გაეგზავნა მის უდიდებულესობას, რათა გამოვხატოთ მადლობა მისი მეგობრობის გამო და შევასრულოთ მისი სურვილი და თხოვნა ჩვენი სამეფო ღირსებისადმი. თქვენი წერილიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ მუსლიმებს თქვენს ქვეყანაში ეპყრობიან კარგად და ნებას აძლევენ უშიშრად იცხოვრონ; რომ ისლამი სარგებლობს თავისუფლებით მათ საკრებულო მეჩეთებში და სამლოცველოებში და რომ თქვენს ქვეყანაში მოგზაურები გამუდმებით მიდი-მოდიან საუკეთესო პირობებში რაიმე ზიანის მიყენების გარეშე და მათზე დაწესებულია მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადი; რომ მის ქვეყანაში ჩავიდა სპარსეთის ერაყის ქვეყნიდან ოთხი ათასზე მეტი მუსლიმი ოჯახი და რომ მისმა უდიდებულესობამ კარგად მიიღო ისინი, ნება მისცა თავის ქვეყანაში დასახლებისა, გულისყურით მოეპყრო მათ. გარდა ამისა, მან ითხოვა ჩვენი სამეფო წყალობა ისლამის ქვეყნებში ქრისტიანთა თემის, ქართველთა და მათი ბერების მიმართ მზრუნველობაზე და გამოცემა ჩვენი სამეფო ბრძანებისა, რათა საშუალება მიეცეს მესვეურებს დამასკის მარიამის ეკლესიისა, აღადგინონ ის ისე, როგორც ადრე იყო. ჩვენ შევისწავლეთ ეს მოთხოვნები და მივიღეთ ჩვენს მეფურ მხედველობაში. რაც შეეხება ქრისტიანებს, ქართველებს და ბერებს, მათ კარგად ექცევიან, ისე როგორც ეს შეეფერება ჩვენს სამეფო მართლმსაჯულებას უშიშრად ცხოვრებასთან და მფარველობასთან დაკავშირებით, მუდმივად სარგებლობენ ჩვენი სამეფო წყალობებით და გამუდმებით ამუშავებენ მიწის ნაკვეთს, რომელიც ჩვენ ვუბოძეთ გოლგოთის ეკლესიას“.

Don't copy

ალექსანდრე I-მა ქვეყანაში გამეფებული მშვიდობა გამოიყენა და თემურლენგის მიერ მიტაცებული ლორე დაიბრუნა. შემოიერთა **სივნიეთის** მხარეც. ალექსანდრე I ჩაერია შირვანის ტახტის ორი პრეტენდენტი ძმის ბრძოლაში, შირვანი დალაშქრა და თავის მომხრეს გაამარჯვებინა. თუმცა ეს წარმატებები დროებითი აღმოჩნდა. 1440 წელს საქართველოს შემოესია შავბატკნიანთა სულთანი ჯეჰან-შაჰი. მან თბილისი აიღო. მემატიანე ამ შემოსევას „საშინელ უბედურებას“ უწოდებს. ამის შემდეგ ალექსანდრე I-ს დიდხანს აღარ უმეფია. 1442 წელს ის ბერად აღიკვეცა და ტახტი თავის მემკვიდრეებს დაუთმო.

სივნიეთის მხარე – ისტორიული პროვინცია, რომელიც შედიოდა დიდი სომხეთის შემადგენლობაში. სივნიეთის დიდი ნაწილი ამჟამად შედის სომხეთში, თანამოსახელე მაზრაში.
ჯაკმაკი – ეგვიპტის სულთანი 1438-1453 წწ.

28. რა ღონისძიებას მიმართა ალექსანდრე I-მა ქვეყნის შიგნით და გარეთ კულტურული და რელიგიური ცენტრების ასაღორძინებლად?
29. იმსჯელე საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მისი მმართველის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე.
30. წყაროების გაანალიზების შემდეგ შეაფასე ალექსანდრეს მეფობა. რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ალექსანდრეს წარმატებულ მოღვაწეობას?
31. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 51. შეავსე სქემა ალექსანდრე დიდის გამეფების დროს არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.
32. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 52-52*. შეავსე ცხრილი: პირველ გრაფაში ჩაწერილია საქართველოს მეფის სახელი; მეორე გრაფაში ჩაწერე ამ მეფის დროს მომხდარი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა/პროცესი; მესამეში – საქართველოს სამეფოს (სამეფოების) საზღვრების ცვლილება, რაც ამ მოვლენის/პროცესის გამო მოხდა.

(ცნება: სივრცე, ისტორიული მოვლენა/პროცესი)

წარმოიდგინე, რომ დროში მოგზაურობის საშუალება მოგეცა და XV საუკუნის საქართველოს ეწვიე. გადაწყვიტე, მოინახულო მეფე ალექსანდრე I დიდი და ჩაწერო ინტერვიუ. ინტერვიუს დროს უნდა შეეხო ალექსანდრეს მეფობამდელ და მის დროს განვითარებულ მოვლენებს.

წარმოსახვითი ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათლივ უნდა წარმოაჩინო:

- რატომ იყო რთული პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში ალექსანდრე დიდის გამეფებისას და როგორ ცდილობდა ის ვითარების გამოსწორებას? (მ.წ 1; ისტორიული მოვლენა/პროცესი)
- როგორ იცვლებოდა მონღოლებისა და თემურლენგის იმპერიის საზღვრები, როგორ აისახა ეს ცვლილება საქართველოზე და რატომ იყო ის სტრატეგიულად და ეკონომიკურად საინტერესო სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული იმპერიებისთვის? (მ.წ 3; ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ.წ 2; 3: სივრცე)
- რა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობდა საქართველოში მონღოლების დაპყრობების პერიოდში და როგორ ხსნიდნენ და აფასებდნენ ამ პროცესს საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე და უცხოელი ისტორიკოსები? (მ.წ 4; ისტორიული მოვლენა/პროცესი).
- რატომ ცდილობენ საქართველოს მეფეები ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ შეიძლება, საქართველო ევროპული სივრცის ნაწილად მოვიაზროთ? (მ.წ1; სივრცე)

Don't copy

III ქვეთავი. მმართველობა და საზოგადოება განვითარებული საუკუნეების საქართველოში

18 როგორ მართავდნენ საქართველოს სამეფოს XI–XIV საუკუნეებში

მეფე და სამეფო ოჯახი

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგა. ქართველი მეფეები ხელისუფლებას მეფედ კურთხევის შემდეგ იღებდნენ. ტაძარში მათ გადაეცემოდათ სამეფო ნიშნები: გვირგვინი, **პორფირი** და **ბისონი** – ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებული მეფის სამოსელი და სამეფო ხმალი, რომელსაც მეფეს კურთხევისას წელზე არტყამდნენ. ამას გარდა, სამეფო ნიშნებად ითვლებოდა: კვერთხი, ანუ სკიპტრა, სამეფო დროშა, სახელმწიფო ბეჭედი და სამეფო ჯვარი. სასახლეში საგანგებოდ შემაღლებულ ადგილზე სამეფო ტახტი (საყდარი) იდგა.

1. შენი აზრით, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს სამეფო ნიშნებს?
2. როგორ ფიქრობ, მეფის ტაძარში კურთხევა აუცილებელი პირობა იყო თუ არა ხელისუფლების ლეგიტიმაციისათვის? პასუხი დაასაბუთე.

ერთიანი საქართველოს მეფეები ძირითადად უცხო ქვეყნის ქრისტიანული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებზე ქორწინდებოდნენ. შუა საუკუნეების საქართველოში ტახტი მამისგან უფროს ვაჟიშვილზე გადადიოდა. დანარჩენ უფლისწულებს საუფლისწულო მამულები ეძლეოდათ. ხშირი და მიღებული ფორმა იყო „თანამოსაყდრეობის“ პრინციპი, ანუ მეფე სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხებდა თავის მცირეწლოვან მემკვიდრეს, რითაც მას თავიდან აცილებდა ქვეშევრდომთაგან მოსალოდნელ გართულებებს, დაუმორჩილებლობას.

ტახტის მემკვიდრე სამეფო კარზე განსაკუთრებულ განათლებას იღებდა. ეს ცოდნა მრავალმხრივი იყო: სამხედრო ხელოვნება, მწიგნობრობა, სახელმწიფო საქმეების წარმოება, სახელმწიფოს ფინანსები. უცხო ენებიდან უფლისწულს ძირითადად ბერძნულს, სპარსულსა და არაბულს ასწავლიდნენ. არასრულწლოვანება ხელის შემშლელი გარემოება იყო ტახტზე ასვლისათვის. თუმცა ვითარების გამო მრავალი მეფე ფრიად მცირეწლოვანი ასულა ტახტზე. ამ შემთხვევაში მათ გარკვეულ დრომდე „მზრდელი“ (რეგენტი) ენიშნებოდათ. პოლიტიკური სრულწლოვანების ასაკი უფლისწულისთვის 16 წელი იყო.

ბაგრატ III-ის დროიდან 1122 წლამდე საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქად ითვლებოდა ქუთაისი, შემდეგ კი თბილისი. თბილისში სამეფო სასახლე მდებარეობდა ისანსა და დიდუბეში. ამას გარდა, მეფეს ჰქონდა სასახლე გეგუთში, დასასვენებელი (საზაფხულო) რეზიდენციები დიდგორსა და ტაბახმელაში.




სურ. 1. დემეტრე I-ის მეფედ კურთხევა. მაცხვარიშის ეკლესიის ფრესკა (მესტიის რ-ნი)

3. რა იდეას გამოხატავს ფრესკაზე ასახული სიუჟეტი? რატომ?

Don't copy





სურ. 2 გეგუთის სამეფო სასახლის ნანგრევები (ფოტო) და სასახლის რეკონსტრუქცია (ნახაზი)

მეფის მოვალეობებს სრულყოფილად გადმოგვცემს XII საუკუნის ქართული მატიანე:

წყარო ა) უცნობი ქართველი ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ვინ აღრაცხოს ის, რაც მეფეებს მოეთხოვებათ: მართვა-გამგებლობა, სამეფოს სხვადასხვა კუთხის დამორჩილება, ქვეყნის საზღვართა დაცვა, შიდა დაპირისპირებათა აღკვეთა, სამეფოს დასაწყნარებლად ზომების მიღება, ლაშქრობები, მთავართა ჩაფიქრებული მზაკვრობების ამოცნობა, მეომართა შორის წესრიგის დამყარება, საეროთა მორჩილებაში ყოლა, ხელისუფალთა და სასამართლო მოხელეთა შერჩევა, ქვეყნის სახაზინო შემოსავლისათვის თვალის მიდევნება, მოციქულებთან შეხვედრა და მათთვის პასუხის გაცემა, ძღვენის მომრთმევთა ღირსეულად გასტუმრება, შემცოდეების წყალობით გამოსწორება, ერთგულთა უხვად დასაჩუქრება, მომჩივანთა საქმეების სამართლიანი გამოძიება, მოსაკითხავთა შესატყვისი მოკითხვანი, მხედართა გაძღოლა და ძლიერი ბრძოლები – ვინ მოახერხებს იმ ამოუწურავ სამეფო საქმეთა ჩამოთვლას, რომელთა აღსრულებაში ვერავინ – ვერც ძველი და ვერც ახალი მეფე ვერ შეედრებოდა დავითს“.

4. შენი აზრით, როგორ ახერხებდა მეფე მთავართა ჩაფიქრებული მზაკვრობის ამოცნობას?
5. როგორ ფიქრობ, ვის შორის და რის გამო შეიძლებოდა დაწყებულიყო შიდა დაპირისპირებები და როგორ უნდა აღეკვეთა ისინი მეფეს?
6. მოხელეთა შერჩევისას რა მახასიათებლები შეიძლებოდა ყოფილიყო მეფისთვის განმსაზღვრელი? რატომ?
7. შენი აზრით, რომელი ფენა შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული მეფის ხელისუფლების გაძლიერებით ან დასუსტებით? რატომ?

წყარო ბ) ჯემალ სტეფნაძე, ქართველი ისტორიკოსი, საქართველო XII ს. და XIII ს.-ის პირველ მეოთხედში, 1985 წ.

„მეფე ნიშნავდა და ხსნიდა ყველა რანგის მოხელეს – ცენტრალურსაც და ადგილობრივსაც. ხელმძღვანელობდა ომებს, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობას, ხელი მიუწვდებოდა ყველას ქონებასა და სიცოცხლეზე. მისი შემზღუდველი პიროვნება ან ინსტიტუტი ქვეყანაში არ არსებობდა. მეფეს მრავალი საქმისთვის უნდა ედევნებინა თვალყური, რაც მისგან შესაფერის ჭკუა-გონებასა და ფიზიკურ ძალას ითხოვდა... მეფე ხელშეუხებელი პირი იყო. მისი სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ადამიანს ენას აჭრიდნენ“.

8. დააკვირდი ა) წყაროში ჩამოთვლილ მოვალეობებს და იმსჯელე, შენ მიერ შესწავლილ პერიოდში მოღვაწე ყველა მეფემ შეძლო მათი შესრულება?
9. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 53. წყარო ა)-ში გადმოცემული ჩამონათვალიდან დააჯგუფე მეფის მოვალეობები, შენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანიდან შედარებით უმნიშვნელოსკენ.

Don't copy

10. შენი აზრით, რატომ ქორწინდებოდა საქართველოს მეფე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე?
11. რატომ იყო აუცილებელი, რომ ტახტის მემკვიდრეს საფუძვლიანი განათლება მიეღო?
12. შენი აზრით, რატომ ასწავლიდნენ ტახტის მემკვიდრეს ბერძნულს, სპარსულსა და არაბულს?
13. გაიხსენე, რომელი მეფე ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი?
14. იმსჯელე, რა ჰქონდა დადებითი და რა უარყოფითი მეფის შეუზღუდავ ხელისუფლებას.
15. გაიხსენე წინა მასალა და იმსჯელე, რამდენად მართებულია წყარო ბ)-ს მოსაზრება, რომ მეფის „შემზღუდველი პიროვნება ან ინსტიტუტი ქვეყანაში არ არსებობდა“. თუ ასეთი მაინც იყო, როდიდან შეიქმნა ასეთი ვითარება და რატომ?
16. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 54. როგორ ფიქრობ, რამდენად აუცილებელი იყო, მეფეს სიცოცხლეშივე დაესვა „თანამოსაყდრე“? „თანამოსაყდრეობის“ პრინციპი ხომ არ შეიცავდა საფრთხეს თავად მეფისთვის? როდის და რა ვითარებაში აიძულეს მეფე ხელმეორედ კურთხეულიყო?
17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 55. გააანალიზე ა) და ბ) წყაროები. შეავსე ცხრილი: შენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მეფემ თავისი მოვალეობის კარგად შესასრულებლად და როგორ უნდა განიმტკიცოს მან ძალაუფლება?

პორფირი – წითელი ფერის გრძელი მანტია.
ბისონი – მეფის ან ეპისკოპოსის გრძელი ზედა სამოსი, რომელსაც მოძრაობის გასაადვილებლად წინა კალთა მუხლამდე ჰქონდა შეჭრილი, ხოლო ყელთან სამკუთხედად ღრმად იყო ამოჭრილი.

სამეფო კარი

ერთიანი საქართველოს მეფე ქვეყანას სამეფო კარის მოხელეთა მეშვეობით მართავდა. სასახლეში არსებობდა ცალკეული უწყებები, რომელთაც „უხუცესები“ ხელმძღვანელობდნენ. უხუცესები ერთიანდებოდნენ მეფესთან არსებულ სავაზიროში. ამიტომ მათ მეორენაირად ვაზირებსაც უწოდებდნენ. სიტყვა „ვაზირი“ ქართულ წყაროებში პირველად გიორგი III-ის დროს გვხვდება. თამარ მეფის დროს სავაზირო 5 ვაზირისაგან შედგებოდა. რუსუდანის მეფობისას მსახურთუხუცესიც შეიყვანეს სავაზიროში და საბოლოო სახით საქართველოს სამეფოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო 6 ვაზირისაგან შედგებოდა. სამეფო კარზე პირველ ვაზირად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა. იერარქიულად ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი თანაბარი თანამდებობები იყო, რომლებიც სამთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ. მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი ორთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ და პირველ სამზე ნაკლები გავლენით სარგებლობდნენ. „სავაზიროს“ თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია-მოვალეობები ჰქონდა: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი მეფის მოადგილედ ითვლებოდა და სავაზიროს განაგებდა; ამირსპასალარი ქვეყნის სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობდა; ამირსპასალარის დიდ გავლენაზე ისიც მიუთითებს, რომ თუ მეფე ვინმეს საგამგეოდ რომელიმე ტერიტორიას გადასცემდა, ან მამულს უწყალობებდა, ამ გადაწყვეტილების მიღებაში, ეს ვეზირი აუცილებლად მონაწილეობდა. მანდატურთუხუცესის მოვალეობაში ქვეყნაში წესრიგზე ზრუნვა იყო. ათაბაგი ტახტის მემკვიდრის აღზრდაზე იყო პასუხისმგებელი. მეჭურჭლეთუხუცესის უწყება სახელმწიფოს ფინანსებს განაგებდა. სასახლისა და უშუალოდ მეფის ქონებას მსახურთუხუცესი განაგებდა.

18. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 56-56*. სქემის სახით წარმოადგინე „სავაზიროს“ იერარქიული მოდელი
19. როგორ ფიქრობ, რატომ იყო ძალაუფლება იერარქიულად განაწილებული ვაზირებს შორის? რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა სამეფო ხელისუფლებისთვის ვაზირთა იერარქიას?
20. როგორ ფიქრობ, ვაზირთა იერარქიული დაყოფა განსაზღვრავს თუ არა მათ რეალურ გავლენას? შენი აზრით, ამირსპასალარი რატომ მონაწილეობდა საგამგებლო მიწების გადაცემის პროცესში? პასუხი დაასაბუთე.
21. შენი აზრით, მოვალეობის მიხედვით, სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის რომელი უწყებაა/უწყებებია ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?

Don't copy

მწიგნობართუხუცესს მართვაში სხვადასხვა თანაშემწე ეხმარებოდა: საწოლის, ზარდახნის, საჭურჭლისა და სალაროს მწიგნობრები. ამირსპასალარის მოადგილე იყო ამილახორი, რომელიც თავისი უფროსის არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებდა. ამ უწყების დიდმოხელეები იყვნენ მეაბჯრეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, მერემეთუხუცესი და ა. შ. მანდატურთუხუცესის თანაშემწე ამირეჯიბი იყო, რომელსაც კარისკაცები, ეჯიბები ემორჩილებოდნენ. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: ყველა ქალაქის ამირა (ქალაქის თავი), ვაჭრები, ქვეყანაში ვაჭრობის საკითხი, სავაჭრო და საბაჟო გადასახადები, თავად მეფის საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი. თითოეულ უწყებაში სხვადასხვა რაოდენობის ადამიანი მსახურობდა და ყველას თავისი კონკრეტული ფუნქცია ჰქონდა.

მსახურთუხუცესი სამეფო კარის შინასამეურნეო საქმეებისა და მეფის ადგილ-მამულების გამგებელი იყო. საწოლი – მეფის საძინებელი ოთახი ახლო სათავსებითა და ოთახებით მეფის ერთგვარ მცირე კანცელარიასაც წარმოადგენდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მეფეს 700 მესაწოლე-შუბოსანი ჰყავდა – 8 გლეხი, დანარჩენი კი აზნაურები. მესაწოლეთა განსაზღვრული რაოდენობა მუდმივად მეფის კარზე იმყოფებოდა. მათ მეფის დაცვის გარდა, მისი მომსახურება ევალებოდათ – მეფის ხელ-პირის დაბანა, ჩაცმა, საუზმე, ღამისთვის წყლისა და ღვინის მომზადება, მეფის ოთახების დალაგება-მორთვა. მეფის საწოლში ყოფნის დროს მასთან საქმის მოსახსენებლად მხოლოდ მსახურთუხუცესი და მისი მოხელეები შედიოდნენ (გამონაკლისი იყო ამირეჯიბი, რომელსაც ასევე შეეძლო სასწრაფო მოხსენებისთვის მეფესთან შესვლა).

22. როგორ ფიქრობ, მეფის საწოლში ყოფნის დროს რატომ ჰქონდათ მხოლოდ მსახურთუხუცესს, მისი მოხელეებსა და ამირეჯიბს შესვლის უფლება?

წყარო გ) მამისა ბერძნიშვილი, „სახელმწიფო წყობილება“, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III

„სავაზირო დარბაზი ცალკეა, სადაც დიდი მაგიდა დგას. სუფრის თავში მეფე დაჯდება. შემდეგ მსახურთუხუცესი დარბაზობის დაწყებას გამოაცხადებს, თითოეულ ვაზირთან მიდის და მაგიდასთან დაჯდომას სთხოვს. ვაზირებს ოქროქსოვილი აცვიათ და ოქროჭედილ **სელის** სკამებზე სხდებიან. ჯერ მწიგნობართუხუცესი დაჯდება მაღალ ადგილას, მის ქვემოთ ათაბაგი და ამირსპასალარი, შემდეგ მანდატურთუხუცესი და ბოლოს, გვერდიგვერდ მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. კედელთან შემაღლებულ ადგილას ამირახორი დგას, უფრო დაბლა დანარჩენები – საწოლის მწიგნობარი „თავის საწერელით“, ამირეჯიბი **„არგნით“**. დარბაზიდან სალაროში გამავალ კართან დგას **მესაწოლეთუხუცესი**, გამავალი კარის გარეთ კი **მოლარეთუხუცესი**. სავაზიროს დარბაზის გარეთ დგას სამი უწყების თითო-თითო წარმომადგენელი: ამირსპასალარის უწყებიდან – **მეაბჯრეთუხუცესი**, მეჭურჭლეთუხუცესის უწყებიდან – საჭურჭლისნაცვალი, მანდატურთუხუცესის უწყებიდან – მესტუმრე და მწიგნობართუხუცესის ხელქვეითები – **ზარადხანის მწიგნობარნი** და მწიგნობარნი. ისინი დარბაზში გამოძახებას ელოდებიან. დარბაზის დახშულ კართან ზურგშექცევით საწოლის მეკარე ზის და ხელში არგანი უჭირავს. იგი დარბაზში მხოლოდ იმას შეუშვებს, ვისაც გამოუძახებენ. მოშორებით მერიგე დგას, რომელიც შეშვებას აწესრიგებს. დარბაზის გარშემო მანდატურები დგანან და დარბაზს იცავენ. ისინი, ვისაც არ უბრძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოვეს“.

23. შენი აზრით, რაზე მიუთითებს სამეფო კარზე დამკვიდრებული ეტიკეტი? რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას?

24. ივარაუდე, „სავაზიროს“ გარეთ მხოლოდ სამი უწყების თითო-თითო წარმომადგენელი რატომ ელოდებოდა გამოძახებას?

25. როგორ არის მონარქის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი სამეფო კარზე?

26. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 57. წყაროებისა და მასალის გაცნობის შემდეგ განსაზღვრე, რა ფუნქცია-მოვალეობები ჰქონდა თითოეულ დიდმოხელეს.

Don't copy

წყარო დ) „ხელმწიფის კარის გარიგება“, XIV ს.

„ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ არის. ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა და ამის ხელისაა მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრენი, მესარტყლენი და საჯინობოში შემავალნი, ყველანი ამილახორის ხელისანი არიან... ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახნისუხუცესი და მწიგნობარი წელიწადში ერთხელ ზარადხანაში შევლენ, ზარდახნის მწიგნობარი ყველაფერს აღწერს და შემდეგ ამ ანგარიშს საანგარიშო გოდორში ჩადებს. ყველა აბჯარი, რომელიც აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდკაპარჭი, ლახტი, შუბი, უნაგირი მოჭედილი და უნაგირი ხამი, აღკაზმულობა, რაც ზედ აბია და რაც საცხენე ჯავშანია, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, დიდი დროშა, შუბი სამეფო ალმით, რომლის ყველა მნათობი ვერცხლითა და სპილენძითაა მოჭედილი – ეს ყველაფერი ზარადხანაში დევს“.

27. შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი და საჭირო სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის ყოველწლიურად აღწერის ჩატარება?

სელი – ძვირფასი სკამი, სავარძელი.
მწიგნობარი – მეფის კარის მოხელე, მწიგნობრობაში გაწვრთნილი, საქმეების მწარმოებელი.
ზარადხანა – სამხედრო იარაღის, საჭურვლის საწყობი.
არგანი – ჯოხი, სახელისუფლებო ნიშანი, რომელსაც მანდატურთუხუცესი და მისი უწყების წარმომადგენლები თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ატარებდნენ.
მესაწოლეთუხუცესი – მსახურთუხუცესის ხელქვეითი.
მოლარეთუხუცესი – მსახურთუხუცესის ხელქვეითი, მეფის სალაროს (ფულისა და განძის ხელუხლებელი ფონდის) უშუალო გამგე.
მეაბჯრენი – არსებობდნენ სეფე, ანუ სამეფო, მეაბჯრეები და აბჯრის მტვირთველები, რომლებსაც აბჯრები დაჰქონდათ.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს მეფის თანდასწრებით გამართულ უფრო ფართო შეკრებაზე, „დარბაზობაზე“, განიხილავდნენ. მას „სავაზიროების“ დიდმოხელეების გარდა, ესწრებოდნენ: უმაღლესი სამღვდელოება (კათალიკოსები, ეპისკოპოსები), „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელენი (ერისთავები), გელათის აკადემიის რექტორი, „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ (იურისტი აზნაურნი). დარბაზს თავმჯდომარეობდა მეფე. დამსწრეთაგან ზოგს ჯდომის უფლება ჰქონდა, ზოგიც ფეხზე იდგა. ჯდომის უფლების მქონეთა შორისაც არსებობდა განსხვავება. ვაზირები ოქროჭედილ სელებზე (სკამები) ისხდნენ, დანარჩენი დიდებულები – ჩვეულებრივ სკამებზე.

თუ შევადარებთ, საქართველოს და ბიზანტიის სახელმწიფო მმართველობის სისტემას, ბევრი განსხვავების გარდა, მსგავსებასაც დავინახავთ. ალექსი I კომნენოსიდან (1081-1118) დაწყებული, ამ საგვარეულოს მმართველობის პერიოდში (XII ს.-ის 80-იან წლებამდე), ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ბევრი რამ შეიცვალა. იმპერატორი მემკვიდრის საკითხს უკვე ერთპიროვნულად, **სინკლიტისა** და ეკლესიის თანხმობის გარეშე წყვეტდა. სახელმწიფო კანცელარიას ამ პერიოდში მხოლოდ ერთი მოხელე – დიდი ლოგოფეტი მართავდა. სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირები, მინისტრები მას ემორჩილებოდნენ. თუმცა სახელმწიფოს მასშტაბიდან გამომდინარე, ბიზანტიაში მაინც ბევრი რამ განსხვავებული იყო – ბიუროკრატიის მრავალრიცხოვნება, მესაწოლის, მსახურთუფროსის, სამეფო კანცელარიის, იმპერატორის ხაზინის და მეჯინებათა უფროსების და სამეფო კარის სხვა თანამდებობის პირების გავლენის ზრდა და ა.შ.

28. გაიხსენე, როდის გაიზარდა „დარბაზის“ უფლებები და რატომ? რის უფლება მიიღო „დარბაზის ერმა“?
29. რომელ თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურას შეადარებდი „სავაზიროს“ და „დარბაზს“?

დარბაზის ერი – პირები, რომლებსაც „დარბაზობაზე“ დასწრების უფლება ჰქონდათ. სავარაუდოდ, აქედან მოდის სიტყვა „დარბაისელი“.
სინკლიტი – ბიზანტიაში კონსტანტინოპოლის სენატის დასახელება

Don't copy

ადგილობრივი მმართველობა

საქართველოს სახელმწიფოში გარკვეული ტერიტორია (მაგალითად, გურია, არგვეთი და სამოქალაქო) უშუალოდ მეფის საკუთრებას, ანუ სამეფო დომენს, წარმოადგენდა. დანარჩენი ნაწილი დაყოფილი იყო საერისთავოებად, რომლებსაც ერისთავები მართავდნენ. ერისთავი იყო როგორც ადმინისტრაციული, ისე სამხედრო მოხელე. პროვინციის ლაშქარი უშუალოდ მისი მეთაურობით გადიოდა ბრძოლაში. თამარ მეფის დროს საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მსხვილი საერისთავო არსებობდა, რომელთა სათავეში ერისთავთერისთავები იდგნენ: 1. სვანეთის (ვარდანისძეთა გვარი); 2. რაჭისა და თაკვერის (კახაბერისძე), 3. ცხუმის (შარვაშიძე), 4. ოდიშის (ბედიანი), 5. ქართლის (სურამელი), 6. კახეთის (ძაგანისძე), 7. ჰერეთის (გრიგოლის ძე), 8. სამცხის (ჯაყელი). საერისთავოები ხევებად იყოფოდა, რომლებსაც ხევისუფლები ედგნენ სათავეში. სოფლებს მამასახლისები განაგებდნენ, რომლებსაც მოსამართლის ფუნქციაც ჰქონდათ დაკისრებული. საზღვრისპირა ადმინისტრაციული ერთეულები მონაპირე საერისთავოთა თავისებურ სისტემას ქმნიდა. მათი მთავარი მოვალეობა ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოება იყო. მონაპირეებს საზღვრისპირა ვითარებაზე ინფორმაციის შეგროვება ევალებოდათ. ინფორმაციას მეფე დარბაზთან ერთად განიხილავდა და თუ საჭირო შეიქმნებოდა, ლაშქარწვევას ბრძანებდა. ხშირად მონაპირე ერისთავები თვითონ იჩენდნენ ინიციატივას, აქტიურობდნენ და დამოუკიდებლად იპყრობდნენ ციხე-ქალაქებს. მონაპირეობა ფეოდალურ სისტემაში ფრიად საპატიო და სასურველი მდგომარეობა იყო, ამიტომ ბევრი ერისთავი თხოულობდა ამ პატივის ბოძებას.

ყმადნაფიცობა და მოხარკეობა

XII-XIII საუკუნეებში საქართველოსთვის შემოერთებულ უცხო ტერიტორიების მიმართ სამეფო კარმა მართვის ორი მოდელი დააკანონა: 1. უშუალოდ შეერთება – მაგალითად, ჩრდილოეთი სომხეთი და დასავლეთი შირვანი. ამ შემთხვევაში შემოერთებული ქვეყანა სანაპირო საერისთავოდ გადაიქცეოდა და მმართველად ადგილობრივი ფეოდალი ინიშნებოდა, სანაპირო საერისთავოები საქართველოს სამხრეთის საზღვრებზე მდებარეობდა, რადგან ამ პერიოდში მთავარი საფრთხე აქედან მომდინარეობდა. 2. დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაყენება (ყმადნაფიცობა ან მოხარკეობა) – როგორც წესი, ეხებოდა მუსლიმურ სამფლობელოებს – შირვანს, დარუბანდს და არანს (განძის საამიროს), ზოგჯერ ერზრუმს; თუმცა იყო გამონაკლისიც – მაგ. ჩრდილოეთ კავკასიელები. საქართველოს ხელისუფლება ხელს არ ახლებდა ადგილობრივ მმართველობას. ყმადნაფიცი ვალდებული იყო, საქართველოს მეფისთვის ძღვენი გაეგზავნა და სამხედრო ძალით დახმარებოდა. ხარკის ასაკრეფად მეფე ყოველწლიურად ეწვეოდა რამდენიმე რეზიდენციას, სადაც დაბანაკებისას მას ეახლებოდნენ მიმდებარე მოხარკე ქვეყნების მმართველები. ხარკი საქართველოს სახელმწიფოს სერიოზული შემოსავლის წყარო იყო. სახელმწიფო ხაზინა, გარდა ხარკისა, სამხედრო ნაალაფარითა და საშინაო გადასახადებით ივსებოდა

30. როგორ ფიქრობ, რატომ იყვნენ ყმადნაფიცები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო მოხარკენი სამხრეთის ისლამური ქვეყნები?

31. შენი აზრით, სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის რამდენად მიზანშეწონილია შემოერთებულ ახალ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხელისუფლების დატოვება? რატომ?

32. შენი აზრით, დროდადრო მეფე რატომ მონაწილეობდა უშუალოდ ხარკის აკრეფის პროცესში?

33. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 58. T დიაგრამის გამოყენებით შეადარე ერთმანეთს საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნების მოვალეობები.

34. შეეცადე, შეუფარდო შუა საუკუნეების ქართველ მოხელეებს თანამედროვე სამოხელეო თანამდებობები.

35. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) წარწერაში ასე მოიხსენიება: „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“; თამარი „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფლის, შარვანშას და შაჰანშას და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობლის“ ტიტულს ატარებდა. იმსჯელე: რას ნიშნავს ქართველ მეფეთა ეს ტიტულები და როგორ აისახა ქართული ფეოდალური მონარქიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები მეფეთა ტიტულატურაზე.

Don't copy

19 როგორ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში

ქვეყანაში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს საერო და საეკლესიო სამართალი აწესრიგებდა. X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის დროს, შეუდგენიათ სამართლის წიგნი, რომელიც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხების გადაწყვეტის დროს გამოიყენებოდა. მეფე ბაგრატ IV-ის დროინდელი მნიშვნელოვანი წყაროა „სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სასამართლოს დავის შესახებ“. სიგელში აღწერილია სასამართლო პროცესი, რომელიც ორ მონასტერს შორის დავას ეხება. დავა მამულების გამო წარმოიშვა. ერთმანეთს ოპიზისა და მიჯნაძორის (კლარჯეთი, ჭოროხის ხეობაში) მონასტრები დაუპირისპირდნენ. სიგელის შინაარსი ასეთია: მეფესთან ქუთაისში გამოცხადდნენ ორი მონასტრის წარმომადგენლები: მიჯნაძორელები და ოპიზელი მამები. მათ სთხოვეს მეფეს, მონასტრების მამულებისა და საზღვრების საქმე გაერჩია. სადავო მიწების თაობაზე მიჯნაძორელებმა წარმოადგინეს **ერისთავთ-ერისთავ გურგენის**, **გურგენ მეფეთა მეფის**, მისი შვილის, ბაგრატ III კურაპალატისა და ბაგრატ III-ის შვილის, გიორგი I-ის სიგელები. ამ დოკუმენტების მიხედვით, სადავო მიწა მიჯნაძორელებს ეკუთვნოდათ, რადგან სიგელის გამცემ მეფეებს ეს მიწები ამ მონასტრისთვის ჰქონდათ დამტკიცებული. მიჯნაძორის მონასტრის წარმომადგენლებმა თავისი საბუთიანობის დასამტკიცებლად ასევე „მოიყვანეს... ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესა და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი“. ოპიზის მონასტერმა წარმოადგინა **გუარამ მამფალის** მიერ გაცემული სიგელი, რომელიც მათ „ტყესა და ზღვარისა“ მიწებს ოპიზის მონასტერს აკუთვნებდა. მიჯნაძორელთა მიერ წარდგენილ საბუთებში, გუარამ მამფალის ოპიზრებისადმი გაცემული სიგელი არ იხსენიებოდა. ბაგრატ IV სიგელში ამბობს, რომ მონასტრები „მშვიდობისა და დაწყნარებისა და მეფეთა ლოცვისთვის აშენებულ არიან“ და რადგან მონასტრებს შორის „შფოთი უმძიმდა“, ამ სადავო საკითხის გადაწყვეტას მოჰკიდა ხელი. მეფემ მოიწვია მღვდელთმოძღვარნი, ერისთავთ-ერისთავნი, აზნაურნი და „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. მათთან ერთად გაარჩია საქმე, წარმოდგენილი სიგელები წაიკითხეს, მხარეთა განმარტებანი მოისმინეს და დაასკვნეს: „მიჯნაძორელთა სიგელნი უფრო მტკიცენი იყვნეს და ჩვენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო, ამიტომ ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე: მათი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძორელთა, როგორც მათ სიგელში იყო პირველთა მეფეთა დაწერილი“, ისე უნდა დარჩენილიყო. შემდეგ სიგელში ჩამოთვლილია მონასტრებს შორის საზღვრები და დამოწმებული, რომ „ეს ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძორელთა ზედა“, ხოლო „ამისდა ნაცვლად რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ, სალოცავად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩვენგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა და... მომავალთა მეფეთა, ერისთავთერისთავთა, ერისთავთა, ტაოსა და კლარჯეთისა და ყოველთა ხელისუფალთა და საქმის მოქმედთა“ არ მოშალონ ეს გადაწყვეტილება.



სურ. 1. ოპიზა 1888 წ.

Don't copy

1. ბაგრატ IV-ის სიგელის მიხედვით, ვინ განაგებს ქვეყანაში მართლმსაჯულებას?
2. როგორ გესმის გამოთქმა: „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“?
3. სასამართლო პროცესზე რა წარმოადგენს ძირითად დამამტკიცებელ საბუთს?
4. რომელმა მხარემ წარმოადგინა ქრონოლოგიურად უფრო ადრე გაცემული დოკუმენტი?
5. ქრონოლოგიურად უფრო ადრე გაცემული დოკუმენტი აღმოჩნდა თუ არა საკმარისი დავის გადასაწყვეტად?
6. შენი აზრით, რის საფუძველზე გადაწყვიტა სასამართლომ დავა მიჯნაძორელთა სასარგებლოდ?
7. ეთანხმები თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას? გამოხატე შენი პოზიცია.

8. დაახასიათე შუა საუკუნეების მართლმსაჯულება და იმსჯელე, რამდენად იყო განვითარებული საქართველოში სამართლებრივი კულტურა.

9. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 59. მასალის გაცნობის შემდეგ ცხრილის მიხედვით აღადგინე განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სასამართლო პროცესი და იმსჯელე, რა ფაქტორი განსაზღვრავდა სასამართლო დავებისას გადაწყვეტილებების მიღებას.

გურგენ ერისთავთერისთავი – X ს.-ის I ნახევრის სახელმწიფო მოღვაწე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოდან.

გურგენ მეფეთა მეფე – ბაგრატ II-ის, ქართველთა მეფის, ძე (მოღვაწეობდა X ს.-ის მეორე ნახევარში და XI ს.-ის დასაწყისში).

გუარამ მამფალი – აშოტ I კურაპალატის უმცროსი ვაჟი, IX ს.-ის სახელმწიფო მოღვაწე.

დავით IV აღმაშენებლამდე სახელმწიფოს უზენაესი მოსამართლე მეფე იყო; თუმცა მან მოუცლელობის გამო ეს ვალდებულება სამი კაცისგან შემდგარ სასამართლო ორგანოს, „სააჯო კარს“, გადააბარა. „სააჯო კარში“ მომჩივანთა საქმეებს მწიგნობართუხუცესი (თავმჯდომარე), საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრები განიხილავდნენ. მეფე მათ საქმიანობას თვალყურს ადევნებდა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ერეოდა. ამავე დროს, მეფე კვლავ რჩებოდა სახელმწიფოს მთავარ კანონმდებლად და მის მიერ გამოცემული კანონების საფუძველზე ხდებოდა სასამართლო წარმოება და დამნაშავეთა დასჯა.

წყარო ა) გიორგი III-ის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი, 1170 წელი

„თუ მრავალჯერ მოეპაროს მას კაცსა, მაშინ ჩვენმა მოხელეებმა უნდა ჩამოახრჩონ ან გააძევონ. და თუ გადაიხვეწება სხვაგან, ჩვენმა მოხელეებმა უნდა სდევნონ მას“.

წყარო ბ) ვარდან არეველეცი, სომეხი ისტორიკოსი, „მსოფლიო ისტორია“, XIII ს.

„1180 წელს გიორგიმ პირისაგან მიწისა აღგავა ქურდი და ყაჩაღი, მთელ ჯარს დაუწესა კანონმდებლობა, რომლითაც დიდი და მცირე დანაშაულისათვის ყველა შეუწყნარებლად უნდა ჩამოეხრჩოთ ხეებზე. ჩამოახრჩვეს მრავალი წარჩინებული. სამსჯავროს ხის ბოძზე დამნაშავეებთან ერთად აკრავდნენ მათთან ნაპოვნ საგნებს, თვით პირუტყვებს, ძაღლებს და თაგვებს. შიში დაეუფლა ყველას. დაისადგურა დიდმა სიმშვიდემ“.

10. შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია და რატომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და სასამართლოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა?

11. როგორ ფიქრობ, რა არის დოკუმენტის (წყარო ა) მთავარი აზრი და პრობლემა?

12. რა საერთო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ა) და ბ) წყაროებზე დაყრდნობით?

13. რომელ პრობლემაზე ლაპარაკობს დოკუმენტში ვარდან არეველეცი?

14. შენი ვარაუდით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოჩენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზები?

XIII საუკუნის 10-იან წლებში ქალაქ დვინში ივანე ათაბაგის ბრძანებით სასამართლოს სხდომა იქნა მოწვეული. სასამართლოს განხილვის საგანი იყო ორ სომხურ მონასტერს – ნორავანქსა და ტათევს – შორის ჩამოვარდნილი დავა. ეს მონასტრები ერთმანეთს საკვირველმოქმედი ჯვრის გამო ეცილებოდნენ. საბოლოოდ საკვირველმოქმედი ჯვარი ნორავანქის მონასტერს დარჩა. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ წარიმართა სასამართლო სხდომა.



სურ 2. ნორავანქის მონასტერი

Don't copy

ორივე მხარე, სივნიეთის მთავართან, ლიპარიტ ორბელიანთან და მის ვაჟთან, ელიგუმთან ერთად გამოცხადდა (ნორავანქიც და ტათევიც მათ სამფლობელოში მდებარეობდნენ). ნორავანქის მონასტერს წარმოადგენდა ეპისკოპოსი სარგის ნორავანქელი, ტათევის მონასტერს კი – ეპისკოპოსი იოვანე ტათეველი. იმის გასარკვევად, თუ ვისი საკუთრება უნდა ყოფილიყო საკვირველმოქმედი ჯვარი, ივანე ათაბაგმა სამსჯავრო მოიწვია.

წყარო გ) სტეფანოს ორბელიანი, სომეხი ისტორიკოსი, „ისტორია“, XIII ს.

„ივანე ათაბაგმა ქალაქ დვინში დასხა თავისი დიდებულები – ბუბაგი და მარწვანი, ივანე ტბელი და მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელიც სამეფოდან მოსულიყო, ვარძიის წინამძღვარი და **პგლნძაჰანქის** წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარეჯისა, გაგელი და მაწნბერდელი, სხვა აგრეთვე მრავალი დიდებული, ტფილისის **ყადი**, ანისის ყადი და დვინის ყადი, სურმარიის სახელოვანი **შეიხი**, რომლებთან ერთად იყვნენ ანისის დიდი ეპისკოპოსი და ახპატის ეპისკოპოსი და უბრძანა გამოეძიებინათ. ამათ გამოიძიეს სამართალი და განსაჯეს“.

XIII-XIV საუკუნეებში ცალკეული პროვინციებისთვის სპეციალური კანონმდებლობა შეიქმნა: ბექა-აღბუღას სამართალი – „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“ (XIII-XIV სს. სამცხე-საათაბაგო) და გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლისდება“ (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის). ორივე დოკუმენტი სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საკითხებს აწესრიგებდა.

პგლნძაჰანქი – იგივე ახტალის მონასტერი თან. სომხეთში.
ყადი – მუსლიმი სასულიერო მოსამართლე.
შეიხი – მუსლიმი სასულიერო პირი, სამართალმცოდნე.
ბექა, აღბუღა – ბექა ჯაყელი, სამცხის მთავარი, გიორგი V-ის პაპა; აღბუღა – მისი შვილიშვილი, საქართველოს სამეფოს ათაბაგი და ამირსპასალარი.

15. რაზე უნდა მიუთითებდეს სასამართლო პროცესში ჭყონდიდელის მონაწილეობა?
16. რომელი ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ სასამართლო პროცესს?
17. გამოთქვი მოსაზრება, რატომ ესწრებოდნენ მონასტერთა შორის დავის გადაწყვეტის პროცესს მუსლიმი ყადი და შეიხი?
18. შენი აზრით, რატომ შეიქმნა სამართლებრივი დოკუმენტი სამცხე-საათაბაგოსთვის? რა ტენდენციაზე უნდა მიუთითებდეს ეს ფაქტი?
19. იმსჯელე, ასახავს თუ არა საკანონმდებლო დოკუმენტი საზოგადოების განვითარების დონეს და როგორ?

Don't copy

20-21 როგორი საზოგადოებრივ-სოციალური და კულტურული ვითარება იყო XI–XV საუკუნეების საქართველოში

XI-XV საუკუნეებში საქართველოს საზოგადოებრივ-სოციალური ვითარება ძირითადად ერთგვაროვანი იყო. XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან XIV საუკუნის შუა ხანებამდე გარკვეული ცვლილებები მოხდა, თუმცა ფენებს შორის ურთიერდამოკიდებულების ფორმა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. როგორ იყო მოწყობილი ქართული საზოგადოება? ის ორ ძირითად სოციალურ ფენად: აზნაურებად და გლეხებად იყოფოდა. გარდა ამისა, არსებობდა სამღვდელოება, რომელიც ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში ცალკე ფენად ჩამოყალიბდა და თავისი ადგილი დაიკავა აზნაურებსა და გლეხების გვერდით.

„აზნაურთა“ ფენაში გამოყოფილი იყო „დიდაზნაურები“ და „აზნაურები“. ამ უკანასკნელებს, რომლებიც ხშირად „დიდაზნაურების“ ვასალები იყვნენ, საკუთარი ვასალები ჰყავდათ. ურთიერთობის ფორმა გაბატონებულ ფენაში, რომელსაც საქართველოში „პატრონყმობას“ ეძახდნენ, X-XIII სს.-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ასეთი სახე მიიღო: მეფე – ერისთავთერისთავი, ერისთავი – მემამულე აზნაური – მოსაკარგავე აზნაური. ერისთავთერისთავების და ერისთავების საგამგეო მსხვილი ტერიტორიული გაერთიანება იყო, რომელიც მეფისგან გადაეცემოდათ. მართალია, ეს თანამდებობები და, შესაბამისად, მიწები მეფისგან სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ, მაგრამ ხშირად ერთი და იმავე საგვარეულოს ხელში ხვდებოდა, ანუ მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მაგ., რაჭისა და არგვეთის ერისთავთერისთავები XI ს.-იდან კახაბერისძეები იყვნენ, ქართლის ერისთავთერისთავები – სურამელები, სამცხისა – ჯაყელები და ა. შ. აზნაურს, რომელიც ყმა-მამულს მემკვიდრეობით ფლობდა, მემამულე აზნაური ერქვა, ხოლო ვისაც სოფლები თავისი ყმა-გლეხებით დროებით, სამსახურის სანაცვლოდ ჰქონდა ჩაბარებული – მოსაკარგავე აზნაური. აზნაურის ძირითადი მოვალეობა პატრონის სამსახური (ძირითადად ლაშქრობებში მონაწილეობა და ძღვენის მირთმევა) იყო. პატრონი სამნაირი შეიძლებოდა ჰყოლოდა: მეფე, ეკლესია-მონასტრები და დიდებულები (ერისთავთერისთავები, ზოგჯერ ერისთავები). აზნაურის სიძლიერე მამულის სიდიდესა და გლეხების სიმრავლეზე იყო დამოკიდებული. ფეოდალის მამული ორი ნაწილისგან შედგებოდა: 1. მთლიანი მიწის ნაკვეთები, „სასეფო მიწები“, რომლებსაც მისი გლეხები ერთობლივად უვლიდნენ და მოსავალი სრულად აზნაურისა იყო; 2. მისი მიწების დანარჩენი ნაწილი ცალკეულ ნაკვეთებად იყო დაყოფილი და თითოეულ ნაკვეთზე გლეხის მეურნეობა იყო გაშენებული. გლეხი ამ მიწას ამუშავებდა და ფეოდალს მოყვანილი მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევდა, ხოლო დანარჩენს თავად მოიხმარდა.

აზნაურის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ჯარში სამსახური იყო. ფაქტობრივად, ის პროფესიონალი ჯარისკაცი იყო. იმის მიხედვით, თუ რა ქონებას ფლობდნენ, აზნაურები მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებულ მეომრებად იყოფოდნენ. „დიდაზნაურები“ ჯარს ან ჯარის ნაწილებს მეთაურობდნენ. მაგალითად, ერისთავთერისთავები საკუთარი სამფლობელოებიდან გამოყვანილ ლაშქარს მეთაურობდნენ. ჯარის ეს ერთეული კიდევ უფრო მცირე ნაწილებად იყოფოდა, რომლებსაც ციხისთავები მეთაურობდნენ. საერთო ხელმძღვანელი ამირსპასალარი იყო, ხოლო ლაშქრობის დროს მასზე მაღლა მხოლოდ მეფე იდგა. თავად ქართული ჯარი ძირითად და მეწინავე ლაშქრად იყოფოდა. მეწინავე ლაშქარს ზემო ქართლის, ანუ სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის, ყოფილი „ქართველთა სამეფოს“, ჯარი შეადგენდა. მეწინავეობა მოვალეობასთან ერთად გარკვეულ პრივილეგიასაც შეიცავდა: ნადავლის უფრო დიდი ნაწილი მას ხვდებოდა. არმიის ძირითადი ნაწილი უმეტესწილად ორად იყოფოდა: ერთ ფლანგზე დასავლეთ საქართველოს ჯარები იდგნენ, ხოლო მეორეზე – აღმოსავლეთ საქართველოსი (ძირითადად კახეთის). ერთ მათგანს მეფე მეთაურობდა, მეორეს კი – ამირსპასალარი ან უფლისწული (დიდგორის ბრძოლაში მარცხენა ფლანგს უფლისწული დემეტრე მიუძღოდა წინ). ცენტრში, ცალკე იდგა რეზერვი (ქართლის ჯარი). დავით აღმაშენებელმა საქართველოს ჯარში უმკაცრესი წესები შემოიღო.

წყარო ა) უცნობი ქართველი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, XII ს.

„მაცდური სიმღერები, სანახაობები და დროსტარებანი, ღვთის საძულველი გმობა და ყველანაირი უწესობა აღმოფხვრილი იყო მისი ლაშქრიდან“.

Don't copy

1. წინა პარაგრაფებიდან გამომდინარე, იმსჯელე, XIII ს.-ის 50-იანი წლებიდან XIV ს.-ის შუა ხანებამდე რატომ უნდა მომხდარიყო გარკვეული ცვლილები საზოგადოებრივ ურთიერთობებში?
2. რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა სამეფო ხელისუფლებას სამოხელეო მიწების დიდაზნაურებისათვის მემკვიდრეობით დაკანონებით?
3. როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აზნაურები თავიანთი სოციალური მდგომარეობითა და უფლება-მოვალეობებით?
4. შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა იმ ფაქტს, რომ დიდაზნაურებს (ერისთავთერისთავებს, ერისთავებს) თავიანთ საგანმგებლო სამფლობელოში სამხედრო მეთაურის ფუნქციაც ებარათ?
5. გაიხსენე „ვეფხისტყაოსანი“. რა შეგიძლია თქვა პატრონყმური ურთიერთობების შესახებ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში.
6. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 60. ერთმანეთს შეადარე ქართული პატრონყმობა და ევროპული ვასალიტეტი.
7. ნასწავლი მასალიდან გაიხსენე ის ბრძოლები, რომლებშიც საქართველოს ჯარის სტრუქტურამ გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კუთხით.
8. შენი აზრით, რატომ გახდა აუცილებელი ჯარში სანახაობებისა თუ დროსტარების აკრძალვა?
9. იმსჯელე რელიგიის იდეოლოგიურ დანიშნულებაზე ქართულ ჯარში.

ამ პერიოდში, ფეოდალური მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, ანუ სამამულო სისტემა, ფართოდაა გავრცელებული. ამავე დროს, მსხვილ მიწათმფლობელად ჩამოყალიბდა ქრისტიანული ეკლესიაც. საერო ფეოდალების მსგავსად, ეკლესია-მონასტრები დიდძალ ყმა-მამულს ფლობდნენ. მათ საკუთარი სოფლები ჰქონდათ, რომელთა მცხოვრებლების ჭირნახულის ნაწილი ეკლესია-მონასტრებს გადაეცემოდა.

მამული, კუთვნილების მიხედვით იყო: მეფის, მსხვილი და წვრილი ფეოდალების, ეკლესიის, საგლეხო. ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო და სამეფო მოხელეებისგან შეუვალობით სარგებლობდა, ბეგარისგან, გადასახადისგან გათავისუფლებული იყო. შეუვალობა არ ეხებოდა ლაშქარ-ნადირობას და სამხედრო ვალდებულებას. შეუვალობით, დიდი და ნაწილობრივ საშუალო სისიდის მამულები სარგებლობდნენ. ამას კი, მემამულის სახელმწიფოს წინაშე დამსახურება ან მამულის კატეგორია განსაზღვრავდა. შეუვალობა შეიძლება მიეღო ნასყიდს, ნამზითვს, ზოგჯერ შეწირულ და ნაწყალობევ მამულებს. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მეფე ზოგჯერ ზოგიერთ მამულს უუქმებდა შეუვალობას, თუმცა ფეოდალები ცდილობდნენ დაებრუნებინათ ეს პრივილეგია და ხანდახან კიდეც ახერხებდნენ.

წყარო ბ) სიგელი გიორგი მეფისა (გიორგი II-ის) მღვიმის უდაბნოსადმი, 1073 წ.

„მე, გიორგი ბაგრატიონმა, ნებითა ღმრთისა აფხაზთა და ქართველთა მეფემ, სულკურთხეული მეფის, ბაგრატის ძემ, დავწერე და მოვახსენე ეს სიგელი მღვიმის უდაბნოს. მოვიდნენ ჩვენ წინაშე წმიდა მამა მიქაელ და ყოველნი მამანი მკვიდრნი მღუიმისანი, და მოიტანონ ჩემთა მამათა და პაპათა დაწერილი სიგელნი მათი ქონებისათვის, რომელიც ჰქონდა მღვიმის ლავრას თრიალეთსა და მანგლისის-ხევში, რათა ეს სიგელნი განვუახლოთ და დაწერილი დავუმტკიცოთ. და ეს ამისთვის გვიქმნია, რათა ღმერთმა მადლითა მეოხებითა წმიდისა მამისა შიოსითა საწუთროსა ამის ცხოვრებასა კეთილად წარმართოს მეფობა ჩემი და საუკუნესა მას მალხინებელ მექმნეს სულისა ჩემისა, დღესა მას საშინელსა განკითხვისასა. აწ ვინცა ნახოთ, ეს ბრძანება და სიგელი ჩვენი: შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ხევისუფალთა, მანდატურთა, **შურტათა**, **ჩინებულთა** და ყოველთა საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ. და ნუ ვინ უმალავთ ბრძანებასა ამას და გაგებულსა ჩვენსა და ნუცა რას დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თვინიერ შეწევნისა და თანადგომასა“.

შურტა – პოლიციის მოხელე, წესრიგის დამცველი.
ჩინებული – გარკვეული ჩინის მქონე მოხელე, რომლის ძირითადი ფუნქცია დარბაზის მოწვევის ბრძანების გავრცელება იყო.

Don't copy

10. რა მიზნით არის შექმნილი ეს დოკუმენტი და რა შეიტყვე წყაროდან? იმსჯელე ამის შესახებ.
11. ბ) წყაროს მიხედვით შეადგინე XI საუკუნის საქართველოს სამეფო-სამოხელეო აპარატის იერარქიული სქემა.
12. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს გიორგი მეფის სიგელს ისტორიული კვლევისთვის?
13. რას გეუბნება ისტორიული დოკუმენტი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაზე?
14. გაიხსენე წინა პარაგრაფი. რა დოკუმენტები წარმოადგინეს ქართული მონასტრების წარმომადგენლებმა ბაგრატ IV-ის დროს გამართულ სასამართლოზე? შეადარე ეს დოკუმენტები წყარო ბ)-ს, გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა წარმოადგენდა. გლეხი როგორც საკუთარ, ისე სხვის – მეფის, აზნაურის ან ეკლესიის – მამულს ამუშავებდა. საგლეხო მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი სახლ-კარი იყო, რომელიც 5-6 ნაგებობისგან შედგებოდა: საცხოვრებელი სახლი (საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ტიპის), შინაური ცხოველებისა და ფრინველის სადგომები, საბძელები, მარნები, თონეები. აღმოსავლეთ საქართველოში სამშენებლო მასალად ძირითადად ქვა და აგური გამოიყენებოდა, ხოლო დასავლეთში – ხე. საქართველოში გლეხები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ, რაზეც არქეოლოგიური მონაპოვრები მეტყველებს. თუმცა ისინი მაინც აზნაურის „ყმები“ იყვნენ. ყმობა ურთიერთვალდებულებას გულისხმობდა: გლეხი თავისი ნაშრომის ნაწილს პატრონს აძლევდა; სამაგიეროდ, პატრონი მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. თუ გლეხი ან სოფელი გაიყიდებოდა, ან გაჩუქდებოდა, ის თავის მიწიანად ახალი პატრონის საკუთრებაში გადადიოდა. XI საუკუნის საბუთში, „ნიკორწმინდელის დაწერილში“ ჩამოთვლილია გლეხის გაყიდვის ან შეწირვის რამდენიმე შემთხვევა. ასევე, ისინი საკუთარი კი არა, პატრონის სახელით იხსენიებიან: „ვახტანგის გლეხი“, „ღვთისმშობლის გლეხი“ და ა. შ. XI-XII საუკუნეების ოციოდე შემორჩენილ საბუთში, გლეხი ყოველთვის ვიღაცის საკუთრებად იხსენიება, რაც მისი პირადი თავისფლების შეზღუდვაზე მიუთითებს.

15. რატომ გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოში სამშენებლო მასალად ძირითადად ხე?
16. შენი აზრით, პატრონსა და გლეხს შორის დამოკიდებულების ის ფორმა, რომელიც XI-XV საუკუნეების საქართველოში არსებობდა, რამდენად მისაღები იქნებოდა ორივე მხარისთვის?
17. შეიქმნებოდა იმის საშიშროება, რომ ასეთ ურთიერთობას ხშირი სოციალური აფეთქება გამოეწვია? პასუხი დაასაბუთე
18. შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა გლეხის შრომის ნაყოფიერებაზე ის ფაქტი, რომ თავისი ნაშრომის მნიშვნელოვანი წილი პატრონისათვის უნდა მიეცა?

ცალკე უნდა გამოიყოს ქალაქის მოსახლეობა. აქ მოსახლეობის ძირითად ნაწილს ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ XI საუკუნიდან საქალაქო ცხოვრება ახლო აღმოსავლეთში აღორძინდა. მაგალითად, ბიზანტიაში ქალაქები კონსტანტინოპოლი, თესალონიკი, ტრაპეზუნტი აბრეშუმით, სანელებლებით, ბეწვეულითა და მონებით ვაჭრობის უდიდესი ცენტრები გახდა. ეს პროცესი საქართველოსაც შეეხო: თბილისი, რუსთავი, დმანისი, თელავი, ახალქალაქი, ქუთაისი და სხვა ქალაქები კავკასიის მნიშვნელოვანი ურბანისტული ცენტრები გახდა. აქ აყვავებული იყო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ვაჭრობა. ქალაქების სპეციალურ გამოყოფილ უბნებში იყიდებოდა ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული სხვადასხვა ნაწარმი: სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღი, თიხისა და მინის ნაკეთობები; ქალაქებში თავმოყრილი იყო ქარვასლები – სავაჭრო ქარავნებისთვის განკუთვნილი სპეციალური შენობები, სასტუმროები, დუქნები; თბილისში მდინარე მტკვარზე მოწყობილი იყო წისქვილები, ხოლო აბანოთუბანი განთქმული იყო გოგირდის აბანოებით.

წყარო გ) იბნ-ჰაუკალი, არაბი გეოგრაფი, „წიგნი ქალაქებსა და გზებზე“, X ს.

X საუკუნის ცნობილი არაბი გეოგრაფის იბნ-ჰაუკალის თხზულებაში აღწერილია ქალაქი თბილისი, თუმცა ზოგიერთი ჩანართი აშკარად მიუთითებს, რომ მოგვიანებით, XII საუკუნეში სხვა ავტორს/ავტორებს დაუმატებიათ ინფორმაცია.

Don't copy

„ქალაქი თბილისი სიდიდით დარუბანდზე ნაკლებია. მას თიხის ორი კედელი აკრავს და სამი კარი აქვს. იგი ნაყოფიერია, გამაგრებული, მრავალსიკეთიანი. ფასები აქ იაფია და თავისი სიმდიდრით აღემატება სხვა მდიდარ ქალაქებსა და აყვავებულ, ნაყოფიერ მხარეებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდია, მითხრა, რომ ოც **რატლზე** მეტი შეუძენია **დირჰემად**. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს, ყოველის მხრიდან მტრებით გარემოცულს. აქ არის აბანოები მსგავსი ტიბერიისა, სადაც წყალი უცეცხლოდ ცხელია. ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე და მასზე მცურავი წისქვილებია, სადაც ფქვავენ ხორბალს ისევე, როგორც ფქვავენ წისქვილები **მოსულში, რაკასაში** და სხვაგან, მათ გარდა ტიგროსსა და ევფრატზე. ახლა იგი ქართველების ხელშია. მათ იგი დაიპყრეს... და ქართველთა მეფე, მიუხედავად თავისი ურწმუნოებისა, მწყემსავს თავის მოსახლეობას და იცავს მათ მხარეს ყოველგვარი ზიანისგან. ისლამის წესები იქ ისევე სრულდება, როგორც წინათ. საკრებულო მეჩეთი დაცულია ყოველგვარი უკეთურებისგან. მეფე ანთებს იქ სანთელსა და კანდელს, ასრულებს, რაც საჭიროა. **აზანი** მის ყველა მეჩეთში წარმოითქმის...

ახლა ერთმანეთშია არეული მუსლიმი და ქართველი. მისი მცხოვრებლები ისეთი ხალხია, რომელთა შორისაც არის უშიშროება და კეთილი მიღება უცხოელისა, კეთილგანწყობილება მათთან შემთხვევით მოხვედრილისადმი და სიყვარული იმათდამი, ვინც ოდნავ მაინც გონიერია და რაიმე კავშირი აქვს **ადაბთან**... არ შეიძლება გაათიოს ღამე უცხოელმა მოგზაურმა, თუ იგი მარტოდმარტოა და არა ჰყავს მსახური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ისე ბევრნი არიან, რომ შეუძლიათ გაართონ ერთმანეთი და მაშინაც კი იშვიათად ტოვებენ მათ მარტო. ისე რომ, ხშირად სახლის პატრონი ახერხებს მიაქციოს მათ ყურადღება არა მარტო იმ ადგილას, სადაც ისინი მასთან ერთად არიან, არამედ იქაც, სადაც იგი არაა, მათ ართობენ და მეგობრულად ექცევიან“.

მოსული, რაკასა – ქალაქები არაბთა სახალიფოში.
რატლი – წონის ერთეული, საშუალოდ ნახევარ კილოგრამამდე.
დირჰემი – ვერცხლის მონეტა.
აზანი – მუსლიმთა ლოცვა.
ადაბი – მუსლიმური ცოდნის დარგი – ლიტერატურა, ფილოსოფია.

19. წყარო გ)-ს რომელი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ეს ნაწყვეტი XII საუკუნეში უნდა შექმნილიყო?
20. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი კავკასიაში მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქების განვითარებას?
21. ტექსტსა და წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე, რომელი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები მკვიდრობენ ქალაქებში და როგორია მათი ცხოვრების წესი.
22. დაახასიათე თბილისი მოყვანილი ნაწყვეტების მიხედვით. ქალაქის რა ნიშან-თვისებებს გამოყოფს წყაროს ავტორი?
23. რას გეუბნება ის ფაქტი, რომ თბილისის მცხოვრებნი ყოველთვის ცდილობდნენ, უცხო სტუმარს მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეგრძნო?
24. დაახასიათე ქალაქის არქიტექტურული ნაგებობები.
25. იმსჯელე ქალაქის როლსა და მნიშვნელობაზე; როგორ წარმოგვიდგება თბილისი როგორც: ა) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი; ბ) სასულიერო ცენტრი; გ) სავაჭრო-სახელოსნო ქალაქი?

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIII ს.-ის 50-იანი წლებიდან სოციალური და საზოგადოებრივი ვითარება საქართველოში შეიცვალა. მონღოლთა გამოჩენამდე საქართველოზე არაერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გადიოდა. საქართველო აღმოსავლეთით ვაჭრობას აწარმოებდა ირანთან, შუა აზიასთან, სახალიფოს ქვეყნებთან. აღმოსავლეთიდან სავაჭრო გზა ბარდავის გავლით თბილისისკენ მოემართებოდა. ბარდავ-თბილისის გზაზე მდებარეობდა აყვავებული ქალაქები: განძა, შამქორი, ხუნანი. თბილისიდან სავაჭრო გზა დასავლეთისკენ მიემართებოდა შემდეგი მარშრუტით: თბილისი – დმანისი – ანისი –კარნუ-ქალაქი (ერზერუმი). ბიზანტიისკენ სავაჭრო გზა დასავლეთ საქართველოდანაც მიემართებოდა ჯავახეთისა და მესხეთის გავლით. ამ გზის გაყოლებაზე მდიდარი სავაჭრო ქალაქები იყო არტაანი და არტანუჯი. დასავლეთიდან საქართველოში ბიზანტიური და იტალიური ნაწარმი შემოდიოდა. 1258 წელს, როდესაც მონღოლებმა სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი აიღეს,

Don't copy

ის მიწასთან გაასწორეს. იგივე ბედი ეწია აღმოსავლეთის მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქებს ნიშაპურსა და ყაზვინს. შემდეგ, როდესაც „ოქროს ურდოსა“ და ილხანებს შორის ომები დაიწყო, „ოქროს ურდომ“ ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება განიზრახა. ილხანებმა ეს სავაჭრო გზები საერთოდ ჩაკეტეს და აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალი სამხრეთში, თავრიზზე გავლით გადაიტანეს. XIII საუკუნის დასასრულს ილხანთა საყაენოს სათავეში მდგომმა ყაზან-ყაენმა რეფორმების გატარება დაიწყო. მოსახლეობისა და ქონების აღწერის შემდეგ მკაცრად განისაზღვრა გადასახადის ოდენობა, რაც მოსახლეობას წელიწადში ორჯერ უნდა გადაეხადა. ამასთანავე ეს გადაწყვეტილება გადასახადის რაოდენობის თაობაზე სპილენძის ფირფიტებზე ამოჭრეს და მოსახლეობაში დაარიგეს, ასევე საჯარო ადგილებში – მეჩეთებისა და ეკლესიების კედლებზე და ბოძებზე ჩამოკიდეს. ის გადასახადის ამკრეფი, რომელიც მოსახლეობას დაწესებულზე მეტს გადაახდევინებდა, დაისჯებოდა. მას სცემდნენ ან სიკვდილით დასჯიდნენ.

წყარო დ) ქ. ანისის მეჩეთის კედელზე ამოკვეთილი წარწერა, 1330 წ.

„ვერავინ გაბედოს და **ტამღისა** და სამართლიანი ბაჟის გარდა, სხვა აღარაფერი გამოართვან და არავის **ყალანის, ნემარის, თარხისა** და სხვა რამის მომიზეზებით არ სთხოვონ არაფერი, როგორც ამის წინ ქალაქ ანისში და საქართველოს სხვა ვილაიეთებში ყალანს, ნემარს, უკანონო გამოსაღებლებსა და თარხს კრეფდნენ და ავიწროებდნენ მოსახლეობას, და ამის გამო ქვეყანა აოხრდა, მდაბიო ხალხი გაიფანტა, ამ ქვეყნის ქალაქის მამასახლისებმა ყალანის გამო თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და სახლ-კარი მიატოვეს და გაიქცნენ“.

ტამღა – სავაჭრო გადასახადი 3 პროცენტის რაოდენობით. ტამღას ვაჭრები და ხელოსნები იხდიდნენ.

ყალანი – ლაშქრის სარჩენად აკრეფილი მონღოლური გადასახადი ან ზოგჯერ მიწაზე დაწესებულ გადასახადს აღნიშნავდა.

ნემარი – გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო კრეფდა მაშინ, როდესაც დამატებითი ხარჯი მოსდიოდა ან ფული სჭირდებოდა.

თარხი – მოუსავლიანობის პერიოდში მოსახლეობის მიერ ხაზინისთვის საკვები პროდუქტების დაბალ ფასებში მიყიდვა, ან პირიქით, თუ სახელმწიფოს ფული სჭირდებოდა – ხაზინიდან საქონლის მაღალ ფასებში შესყიდვა.

26. იმსჯელე, ამ პერიოდში რა ბედი ეწეოდა საქართველოს სავაჭრო ქალაქებს?

27. დაასახელე ფაქტორები, რომლებიც მონღოლების მმართველობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებას გამოიწვევდა.

28. რა მიზანს ემსახურებოდა ყაზან-ყაენის ჩატარებული ღონისძიება?

29. შენი აზრით, რა გახდა იმის მიზეზი, რომ ყაენმა გადასახადები შეამცირა და გადასახადის ოდენობა მკაცრად განსაზღვრა?

30. წყარო დ)-ზე დაყრდნობით იმსჯელე, რა სირთულეებს აწყდებიან მონღოლები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ძალაუფლების შენარჩუნების პროცესში.

31. როგორ და რატომ გართულდა ევროპისა და აზიის სავაჭრო ურთიერთობები მონღოლთა საყაენოს დაშლის შემდეგ?

32. მოყვანილი წარწერის მიხედვით იმსჯელე მონღოლთა მმართველობის ეკონომიკურ შედეგებზე.

ქალაქებში ცხოვრობდნენ ე. წ. „რინდებიც“. „რინდ“ სპარსული სიტყვაა და მოქეიფეს, მსმელს, თავზე ხელაღებულს ნიშნავს. აღმოსავლურ სამყაროში მათ დაცინვითა და ზიზღით ეძახდნენ ასე, მაგრამ თვით რინდები ამაყად ატარებდნენ შერქმეულ სახელს და სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რინდი, მათი გაგებით, ნიშნავდა ვაჟკაცსა და დარდიმანდს, კეთილშობილსა და პატიოსან ადამიანს. ეს მშვენივრად ჩანს აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებიდან. XIV საუკუნის სახელოვანი სპარსელი პოეტი ჰაფეზი წერდა: „როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე. მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად“.

Don't copy

წყარო ე) ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი, „მაიაფარაკინის ისტორია“, XII ს.

„დავით IV-მ მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ თვით მუსლიმებთანაც კი“.

წყარო ვ) ალ-ჯაუზი, არაბი ისტორიკოსი, „ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიის მიხედვით“, XII-XIII ს.

„დავით IV მუსლიმთა საუფლო დღეს, პარასკეობით ზოგჯერ თვითონ და ზოგჯერ შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სალოცავში ჯამეში შედიოდა, ლოცვას, ყურანის კითხვასა და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას მრავალ ოქროს უწყალობებდა ხოლმე. მას სუფიებისა და პოეტებისთვისაც აუგია თავშესაფარი, ხშირად ქონებრივადაც დახმარებია და სადღესასწაულო მეჯლისებიც გაუმართავს“.

დერვიში – მუსლიმი მომლოცველი, ბერი.
მუტრიბნი – არაბულად მესაკრავე, მომღერალი.
ვალერიან გაბაშვილი – XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე.
სუფიური დაჯგუფებები – მათი ერთ-ერთი მთავარი დოქტრინაა: „იყო ამ ქვეყანაზე, მაგრამ არა ამ ქვეყნისა“, რაც მარხვის, ლოცვისა და თვითჩაღრმავების საშუალებით მიიღწევა. მათი ფილოსოფია, რომელმაც ჰუმანიზმის იდეებიც შეითვისა, ხშირად ორთოდოქსალურ ისლამს უპირისპირდებოდა და ამიტომ სუფიები ხშირად დევნას განიცდიდნენ.

33. რა ადგილი ეჭირათ რინდებს შუა საუკუნეების აღმოსავლურ საზოგადოებაში?
34. რა მოსაზრებები არსებობს რინდების სოციალურ როლთან დაკავშირებით? შენ რომელ მოსაზრებას იზიარებ?
35. მისაღებია თუ არა შენთვის გაბატონებული იდეოლოგიის წინააღმდეგ მსგავსი ფორმით (იგულისხმება რინდები) პროტესტის გამოხატვა? რატომ?
36. წინა მასალიდან გაიხსენე, რომელი ქართველი მეფე ურთიერთობდა რინდებთან?
37. რატომ აფარებდნენ თავს თბილისს, ქრისტიანულ ქალაქს, რინდები, სუფიები, მუსლიმი ღვთისმეტყველები?
38. შენი აზრით, დავით IV აღმაშენებლის მიერ მუსლიმი სასულიერო პირების, მეცნიერების, სუფიების პატივისცემა, მისი ტოლერანტული პოლიტიკა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო თუ უმნიშვნელო, ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა? სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ხელს შეუწყობდა თუ დაასუსტებდა? პასუხი დაასაბუთე.
39. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 61. გაეცანი ტექსტს და წყარო ე)-ს, შეავსე ცხრილი და რინდებთან დაკავშირებით წარმოადგინე არგუმენტირებული მოსაზრება.

სწავლა-განათლება

საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ოჯახში სწავლების ტრადიცია. სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა შვილები დაწყებით განათლებას ოჯახებში იღებდნენ. შუა საუკუნეებში სწავლა-განათლების კერა საეკლესიო-სამონასტრო სკოლა იყო. განათლების ეს სისტემა საქართველოში ბიზანტიიდან შემოვიდა. სამონასტრო ცხოვრება კიდევ უფრო გაფართოვდა. ეს პროცესი ბიზანტიაში ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა და საქართველოშიც იგივე ხდებოდა. ამას თავად ამ სახელმწიფოთა მმართველები უწყობდნენ ხელს, მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორები თავად ზრუნავდნენ სამეცნიერო-სამონასტრო ცენტრების აგებაზე: ნიკიფორე II და მისი ძმა ლეონი ათონის ლავრის საფუძვლებთან იდგნენ, ალექსი I და მისი დედა პატმოსის იოანე ღვთისმეტყველის მონასტერზე ზრუნავდნენ. საქართველოს მეფეებიც და დედოფლებიც პატრონობდნენ უკვე არსებულ მონასტრებს, აგებდნენ ახლებსაც. მათ გარდა, ასეთ ცენტრებს დიდაზნაურებიც აარსებდნენ: ბიზანტიაში მოღვაწე ქართველმა მთავარსარდალმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ 1083 წელს ბულგარეთში, ბაჩკოვოში, პეტრიწონის ქართული მონასტერი დააარსა.

Don't copy

სამონასტრო სკოლა განათლების სისტემაში საშუალო საფეხურს წარმოადგენდა და იქ 10-12-იდან 16 წლამდე მოზარდები სწავლობდნენ. მოსწავლეებს თეოლოგიას, გალობასა და „სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთას“, ანუ ლიტურგიკას, ასწავლიდნენ. დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში დაარსდა უმაღლესი სკოლებიც – გელათისა და იყალთოს აკადემიები. უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში ის შვიდი დისციპლინა შედიოდა, რომლებიც საერთოდ ბიზანტიასა და იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში საყოველთაოდ იყო მიღებული. აკადემიაში ისწავლებოდა გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია. ჩამოთვლილი დისციპლინების გარდა, გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინაც. დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიასთან დააარსა „ქსენონი“, ანუ საავადმყოფო. XIII საუკუნის დასაწყისში ითარგმნა სამედიცინო ხასიათის წიგნი „წიგნი სააქიმოი“, რომელზეც მეცნიერები ფიქრობენ, რომ სასწავლო დანიშნულების ნაშრომი უნდა ყოფილიყო. შუა საუკუნეების მუსლიმურ სამყაროში სწავლა-განათლების კერას მეჩეთთან არსებული მაქთაბები და მედრესეები წარმოადგენდა. „მაქთაბა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს ადგილს, სადაც წერენ, სწავლობენ. მაქთაბებში მოსწავლეები დაწყებით სასულიერო განათლებას იღებდნენ და იქ ძირითადად არაბულ დამწერლობასა და ყურანს შეისწავლიდნენ. სწავლების მიზანი კეთილშობილი მუსლიმის ჩამოყალიბება იყო. მედრესეში მოსწავლეები იღებდნენ როგორც საშუალო, ისე უმაღლეს განათლებას. მედრესეს სასწავლო გეგმაში შემავალი დისციპლინები ორ ნაწილად იყოფოდა. ერთ ნაწილს შეადგენდა ტრადიციული, რელიგიური დისციპლინები, რიტორიკა და არაბული ფილოსოფია, მეორეს კი – კალიგრაფია, ლოგიკა, მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, სამართლისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები ან სასულიერო პირები ხდებოდნენ, ან სახელმწიფო მოხელეები. როგორც საეკლესიო-სამონასტრო სკოლებში, ისე მედრესეებში ძირითადად ვაჟები დადიოდნენ.

გელათის აკადემიაში ასწავლდნენი ცნობილი ქართველი მოღვაწეები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, რომლებმაც კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში მიიღეს განათლება. ქართული საგანმანათლებლო ცენტრები დაარსდა საზღვარგარეთაც: მაგ., გიორგი პროხორე შავთელის მიერ XI ს.-ის I ნახევარში დაარსებული იერუსალიმის, ჯვრის მონასტერი, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში (XI .ს. II ნახევარი) და სხვა.

Don't copy

40. რატომ აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის მისაღები ბიზანტიური განათლების სისტემა?

41. წინა პარაგრაფებიდან გაიხსენე საქართველოს მეფეები და დედოფლები, რომლებიც ზრუნავდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების აღორძინებზე ან ახლების მშენებლობაზე.

42. შენი აზრით, ძირითადად რომელი სოციალური ფენის წარმოამდგენლებისათვის იყო შუა საუკუნეებში განათლება ხელმისაწვდომი?


43. გამოთქვი მოსაზრება, იარსებებდა თუ არა შუა საუკუნეების საქართველოში მუსლიმური სასწავლო დაწესებულებებიც.

44. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 62. რა მსგავსება-განსხვავებებია შუა საუკუნეების ქრისტიანულ და მუსლიმურ განათლების სისტემებს შორის?

45. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 63. ერთმანეთს შეადარე შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სკოლა.



სურ.1. გელათის აკადემია



სურ. 2. პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთი)



სურ. 3. ვარძია

შუა საუკუნეების სამონასტრო სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება იმავდროულად სამეცნიერო და შემოქმედებითი ცენტრიც იყო. იქ მოღვაწეობდნენ მწერლები, ფილოლოგები, ფილოსოფოსები, მთარგმნელები, რომლებიც მნიშვნელოვან ნაშრომებს თარგმნიდნენ ქართულ ენაზე. ასეთი ქართული კულტურული ცენტრები არსებობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქართული მონასტრები იყო სინას მთაზე, პალესტინაში, იერუსალიმში, კვიპროსზე, ანტიოქიის მახლობლად, სირიაში, შავ მთაზე, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, ათონის მთაზე, ბულგარეთში. სწორედ XI-XV საუკუნეებში აიგო უდიდესი არქიტექტურული ძეგლები და ეკლესია-მონასტრები: ალავერდი (XI ს), ბაგრატის ტაძარი (XI ს.), ბედია (XI ს.), ნიკორწმინდა (XI ს.), სვეტიცხოველი (XI ს.), გელათის კომპლექსი (XII ს.), ვარძიის კომპლექსი (XII ს.), საფარის წმ. საბას სახ. ტაძარი (XIII-XIV სს.), ზარზმა (XIV ს) და სხვა. მიმდინარეობდა საკომუნიკაციო საშუალებების, გზებისა და ხიდების მშენებლობა, სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო გასავითარებლად გაიყვანეს ახალი არხები (მაგ. XII საუკუნეში გათხარეს 199 კმ. სიგრძის ალაზნის არხი, რომელიც 53 000 ჰექტარს რწყავდა). ამ პერიოდში აღდგა და აიგო ახალი ციხესიმაგრეები და ციხე-ქალაქები. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის გვირგვინი, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ამ დროს მოღვაწეობდნენ სხვა ქართველი პოეტები სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, მოსე ხონელი. ამ დროს თავის შედევრებს ქმნიდნენ ძმები ბეშქენ და ბექა ოპიზრები, რომელთა მიერ შესრულებული ოქრომჭედლობის ნიმუშები, ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის საგანძურია.




სურ. 4. ბესლეთის ხიდი ასომთავრული წარწერით (XI-XII სს.). აფხაზეთი



სურ. 5 ხიდი რკონის ხეობაში, კასპის რაიონი (XII-XIII სს.)



სურ. 6. შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან XIII ს.-ის I ნახევარი



სურ. 7. ხახულის ხატი, XII ს.

46. მოიძიე ინფორმაცია ერთ-ერთი საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის შესახებ და დავალება წარმოადგინე წერილობით.
47. რა გავლენა იქონია საზოგადოების კულტურულ წინსვლაზე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ? რატომ ფიქრობ ასე?

22 როგორ მონაწილეობდნენ ქალები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში

თამარის სამეფო ტახტზე ასვლამდე საქართველოში ქალის გამეფების ტრადიცია არ არსებობდა, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ?

გაიხსენე ქალები, რომლებსაც წინა პარაგრაფებში გაეცანი და უპასუხე კითხვებს:

1. ვინ იყვნენ ისინი, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ?
2. მონაწილეობდნენ თუ არა პოლიტიკაში?
3. გათანაბრებული იყვნენ თუ არა ისინი თავიანთი უფლებებით მამაკაცებთან?
4. როგორ გესმის ფრაზა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

მართა-მარიამ დედოფალი

პარაგრაფის ამ ნაწილში ბიზანტიელ დედოფალს, მარიამს გაეცნობი. მართალია, ეს საკითხი უშუალოდ საქართველოს ისტორიას არ უკავშირდება, მაგრამ ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და დედოფლის გაცნობა საშუალებას მოგცემს, ერთმანეთს შეადარო საქართველოსა და ბიზანტიის სამეფო კარის ამბები, გარდა ამისა, იმსჯელო დედოფლის როლსა და უფლებებზე ორივე სახელმწიფოში.

„მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს: „ხოლო დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა“.

მართა, საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.) მეუღლე გახდა და ბიზანტიაში მარიამი ეწოდა. მიხეილსა და მარიამს გაუჩნდათ ვაჟი კონსტანტინე. მართას გათხოვების შემდეგ მის შესახებ უკვე ბიზანტიელი ავტორები მოგვითხრობენ.

წყარო ა) მიქაელ ფსელოსი, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ქრონოგრაფია“, XI ს.

„მიხეილს ტრფობა ჰქონდა ცოლისადმი, რომლისგანაც ვაჟი შეეძინა. დედოფალი თავისი გვარიშვილობით, სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატებოდა. მის ქებას ეყოფოდა მისი ხასიათიც, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე – მისი სახის მშვენიერებაზე. თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი ყოველგვარ სამკაულზე უფრო უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, სიტყვას არ გააცნობდა, და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

იმპერატორის მეუღლე მართა-მარიამი მფარველობდა ათონის ივერთა მონასტერს, დედასთან, საქართველოს ყოფილ დედოფალ ბორენასთან ერთად აფინანსებდა იერუსალიმში, სიონის მთაზე, ეკლესიის მშენებლობას.

მიხეილ VII-ის იმპერატორობის დროს იმპერიის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა სავალალო იყო. 1077 წელს იმპერატორს აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალი, ნიკიფორე ბოტანიატისი, აუჯანყდა და დედაქალაქისკენ დაიძრა. ერთ-ერთი ახალგაზრდა მხედართმთავარი, ალექსი კომნენოსი იმპერატორს არწმუნებდა, აჯანყებულების წინააღმდეგ გვარდია გაეგზავნა, მაგრამ მიხეილმა უპასუხა: „მე დიდი ხანია, ვფიქრობ ტახტიდან გადადგომაზე, ამიტომ სიხარულით მივიღებ იმას, რასაც ველოდი“. მიხეილ დუკა ბერად აღიკვეცა. ნიკიფორე ბოტანიატისი ტახტზე ავიდა (1078-1081). ნიკიფორეს მისი თანამზრახველი იოანე ურჩევდა, ცოლად მიხეილის ყოფილი მეუღლე, მართა-მარიამი შეერთო.

Don't copy

წყარო ბ) ანა კომნენოსი, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ალექსიადა“, XII ს.

„ამას ის, იოანე, იმით უსაბუთებდა, რომ მარიამი უცხოელია და გარს არ ახვევია ნათესავების ხროვა, რომელთა გამო მეფეს შეიძლება სხვადასხვა უსიამოვნება ჰქონდეს; ამავე დროს უქებდა გვარიშვილობას და დიდ ქებას ასხამდა მის ხორციელ სილამაზეს. მართლაც, მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი... დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა – ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას, არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელიმე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი რამ ქანდაკება“.

5. შენი აზრით, რატომ სურდა ბაგრატ IV-ს ბიზანტიის საიმპერატორო კართან დანათესავება?
6. როგორ ფიქრობ, ტენდენციურია თუ არა მიქაელ ფსელოსი თხრობისას?
7. რა კრიტერიუმით აფასებდნენ ბიზანტიელები დედოფალს?
8. რა არგუმენტები მოჰყავს იოანეს ნიკიფორეს მიერ მართა-მარიამის ცოლად შერთვის სასარგებლოდ?
9. შენი აზრით, რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტები და რამდენად ასახავს იმ დროის ბიზანტიური საზოგადოების სახეს?
10. როგორ ფიქრობ, ეს ქორწინება შედგებოდა ქართულ სამეფო კართან შეუთანხმებლად?
11. როგორ ცდილობდა ბიზანტიაში გათხოვილი ქართველი მეფის ასული ქართული კულტურის მფარველობას?

ნიკიფორემ დედოფალი მარიამი ცოლად შეირთო, თუმცა მასთან შვილი არ ეყოლა. მან უარი განაცხადა, მართა-მარიამისა და მიხეილ დუკას ვაჟი, კონსტანტინე, თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ამიტომ დედოფალი იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ალექსი კომნენოსს და მის ძმას, იოანეს, მიემხრო იმ პირობით, რომ გაიმპერატორების შემთხვევაში, ალექსი მარიამის ვაჟს, კონსტანტინეს, თანამმართველად გამოაცხადებდა.



სურ.1 იმპერატორი ნიკიფორე III ბოტანიატისი და დედოფალი მარიამი. ბიზანტიური მინიატურა XI ს.-ის ხელნაწერიდან. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა.

წყარო გ) ანა კომნენოსი, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ალექსიადა“, XII ს.

„ალექსი ჯერ კიდევ პირტიტველი იყო, ბოტანიატისმა მისი წარმატებების გამო სტრატეგოსად რომ დანიშნა... მაგრამ ეს არ მოსწონდათ მის მოძულეებს... და ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, ოღონდ კი დაებრკოლებინათ ალექსი და მისი ძმა. ასეთ პირობებში კომნენოსებმა საჭიროდ დაინახეს, თავის მხარეზე გადაებირებინათ სასახლის ქალები, რათა მათი შემწეობით დედოფლის ყურადღება მოეპოვებინათ“.

ძმებმა კომნენოსებმა სასახლე აიღეს. ბოტანიატისი აიძულეს, ბერად შემდგარიყო, დედოფალი მარიამი კი თავის ვაჟ კონსტანტინესთან ერთად კვლავ სასახლეში რჩებოდა. როდესაც იმპერატორ ალექსი I კომნენოსს (1081-1118) ქალიშვილი, ანა, შეეძინა, ის და კონსტანტინე დანიშნეს, რათა მომავალში, მათი სრულწლოვანებისას, დაქორწინებულიყვნენ და ამით ორი საგვარეულო, დუკებისა და კომნენოსების, გაერთიანდებოდა. თუმცა მალე იმპერატორს ვაჟიც ეყოლა და კონსტანტინემ მისი მემკვიდრის სტატუსი დაკარგა. ამას დაერთო ისიც, რომ იმპერატორის წინააღმდეგ ერთ-ერთი შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ მართა-მარიამს დაბრალდა, რომ მართალია, არ მონაწილეობდა, მაგრამ იცოდა ამის თაობაზე. მოგვიანებით ალექსის ქალიშვილი, ანა, წერდა, რომ „იმპერატორმა მოინდომა დედოფალ მარიამის საქმეები გაუმჟღავნებელი დაეტოვებინა. აცხადებდა, არაფერი ვიციო, რადგან მარიამის მიმართ დიდი რწმენა და ნდობა ჰქონდაო“. შედეგად

Don't copy

ის მხოლოდ მონაზვნად აღკვეცეს და კონსტანტინოპოლის ახლოს ერთ-ერთ კუნძულზე გადაასახლეს. მისი ვაჟი კონსტანტინე ანას საქმროდ დატოვეს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ის მალე გარდაიცვალა. არსებობს სხვა ცნობაც, რომ მართა-მარიამს იმპერატორის ქალიშვილის, ანას, აღზრდა დაევალა.

მოგვიანებით, როგორც ჩანს, მართა-მარიამი თავისი ძმისშვილის, საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებლის, მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა და მას მხარს უჭერდა.

12. გააანალიზე წყარო გ) და იმსჯელე ქალების როლზე ბიზანტიის სამეფო კარზე.
13. რამდენად მონაწილეობდა დედოფალი სამეფო კარის ინტრიგებში?
14. დაახასიათე მარიამ დედოფალი და შენი დახასიათება შეადარე ბიზანტიელ ავტორთა დახასიათებას. დავალება წარმოადგინე წერილობით.

თამარის პორტრეტისთვის

თამარის ტახტზე ასვლის შემდეგ სამეფო კარზე განსჯის მნიშვნელოვანი საგანი მეფის დაქორწინება გახდა. თამარს მრავალი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ მეჭურჭლეთუხუცესმა აბულასანმა სამეფო კარს ვლადიმირ-სუზდალის ყოფილი მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის ძის იურის, ანუ გიორგის, კანდიდატურა შესთავაზა.

წყარო დ) თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„აბულასანმა თქვა: მე ვიცი რუსეთის დიდი მთავრის, ანდრიას შვილი. ანდრიას სამასი რუსი მთავარი ემორჩილებოდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე ბიძამ განდევნა და, ბიძისგან დევნილმა, ყივჩაყთა მეფეს შეაფარა თავი“.

იური ყივჩაყეთიდან ჩამოიყვანეს და თამარზე დააქორწინეს. ეს ქორწინება 1185 წელს შედგა. თამარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ერთი სააუგო ამბავი გამოაშკარავდა, რამაც ყველა აღაშფოთა. თამარის ქმარს, გიორგის, ცუდი ზნე აღმოაჩნდა. იური საქართველოდან გააძევეს. იგი კონსტანტინოპოლში წავიდა.

იურის საქართველოდან გაძევების შემდეგ სამეფო კარზე კვლავ გამოჩნდნენ მახლობელ თუ შორეულ ხელმწიფეთა შვილები, ქრისტიანი და მუსლიმი უფლისწულები. მათ თამარზე დაქორწინება სურდათ. სამეფო კარმა დავით სოსლანი აირჩია. დავით სოსლანი ოსი უფლისწული იყო, ამავე დროს ის ბაგრატიონებსაც ენათესავებოდა. დავითი თამარის მამიდასთან, რუსუდანთან, იზრდებოდა. დიდებულებმა და ვაზირებმა რუსუდანის პირით შეუთვალეს თამარს, თუ დავით სოსლანი მოსწონდა, ქორწინებაზე თანხმობა განეცხადებინა. თამარიც დათანხმდა. 1188 წელს თამარი და დავით სოსლანი დაქორწინდნენ. თამარს ორი შვილი შეეძინა – ლაშა-გიორგი და რუსუდანი.

15. გაიხსენე თამარის მეფობის დასაწყისი ხანა და დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხებიდან შეარჩიე მართებული პასუხი. თამარი იურიზე დააქორწინეს, რადგან ა) ქალს არ ჰქონდა საკუთარი არჩევანის უფლება; ბ) რადგან აქამდე ქალის მეფობის ტრადიცია არ არსებობდა, სამეფო კარმა თავი ვალდებულად ჩათვალა, თვითონ ეზრუნა მეფის ქორწინებაზე; გ) მეფის ცენტრალიზებული ძალაუფლების მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა მოახერხა თამარის ქმრად თავისი სასურველი კანდიდატის მოყვანა.
16. იმსჯელე, იყო თუ არა თამარისა და იურის ქორწინება პოლიტიკური ქორწინება? პასუხი დაასაბუთე.
17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 64. ტექსტისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით შეავსე ცხრილი.

Don't copy

1191 წელს იურიმ, გიორგი რუსმა, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. მას მიემხრნენ ყოფილი მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთერისთავი გუზანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, სხვა მესხი დიდებულები, ასევე დასავლეთ საქართველოს ნაწილი. აჯანყებულებმა გეგუთს მიაღწიეს და გიორგი მეფედ გამოაცხადეს. თამარმა სწრაფად შეკრიბა თავისი მომხრეები და ერთგულების ფიცი დაადებინა. მეფის მხედრობამ გაიმარჯვა. აჯანყებულებმა იარაღი დაყარეს და იმ პირობით, რომ გიორგი უვნებელი დარჩებოდა, იგი მეფეს გადასცეს. თამარმა პირობა შეასრულა, გიორგი ცოცხალი დატოვა და კვლავ გააძევა საქართველოდან. 1193 წელს გიორგი ისევ გამოჩნდა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებთან, მაგრამ იგი ამჯერადაც დაამარცხეს. ამის შემდეგ ისტორიულ ნაწარმოებებში თამარის პირველი მეუღლე აღარ იხსენიება.

წყარო ე) ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართველი ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, XIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„იმის თქმაც საჭიროა, რომ მრავალმა სხვა ქალმაც იღვაწა ძლიერებით, მაგრამ ვერავინ შეედრება თამარს: არა ცბიერებით ანიჭებდა თამარი თავის ერს ხსნას, არამედ დავითიანთა სიბრძნით, სიმართლითა და უმანკოებით, იაკობის მსგავსი სიმშვიდით, აბრაამისებრი სიუხვით, იესო ღვთის მსგავსი მოწყალებით და სამართლით. თამარის მეფობისას არავისზე უხმარიათ ძალა მისი ბრძანებით და არც არავინ დასჯილა, თუ არ ჩავთვლით ძველი კანონის გამოყენებას, რომლითაც ავაზაკებს ჩამოხრჩობას უსჯიდნენ. იმათთვისაც კი, ვინც სიკვდილისა და დასჯის ღირსი იყო, არ გადაუხდიათ სამაგიერო, თამარის ბრძანებით არავისთვის მოუკვეთიათ სხეულის რომელიმე ნაწილი, არც თვალები დაუთხრიათ, გარდა გუზანისა, რომელიც ღალატით განუდგა და სადღაც კოლის მთებში ფარულად ავაზაკობდა. თივის მთიბავებმა შეიპყრეს ის და მიიყვანეს დავით მეფის (დავით სოსლანის) წინაშე. იცოდა რა დავითმა თამარის მოწყალების შესახებ, მის უკითხავად ამოშანთა თვალები გუზანს მის მიერ დაღვრილი მრავალი ქრისტიანის სისხლის სანაცვლოდ.

თამარ მეფის გულმოწყალებას და ქველმოქმედებას ყველა საისტორიო წყარო აღნიშნავს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობით – „იყო ღატაკთა და მომჩივართა განმკითხავი. საბერძნეთის მთაწმიდა, იერუსალიმისა და შავი მთის საყდრები და ეკლესიანი, რომლებიც დანგრეული იყო, განაახლა; ზოგიერთი გამოისყიდა უცხოტომელთა ხარკისაგან. საკუთარი ხელით დართული ძაფისგან, რაც საჭირო იყო ღვთის სამსხვერპლოდ და სიწმიდეთა მსახურებისათვის აკერვინებდა, რაც საჭირო იყო და იქაც და აქაც, აღმოსავლეთის ეკლესიებშიც, ადებინებდა“. თამარის ბრძანებით, ღარიბ-ღატაკებს, სამეფოს შემოსავლის მეათედი გადაეცემოდათ. თავისუფალ დროს, თამარი საქსოვსა თუ საკერავს მიუჯდებოდა და თავისი ხელით გაკეთებულს, ხუცესებსა და ღატაკებს, თვითონვე უნაწილებდა.





სურ.2 თამარის ხიდი ქედის რაიონში, აჭარა

სურ.3 თამარ მეფის ფრესკა ბეთანიიდან

Don't copy

18. რა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობდნენ ქალები შუა საუკუნეებში?. იყვნენ თუ არა ისინი მამაკაცების თანასწორნი?

19. როგორ ფიქრობ, ადამიანის უფლებები შუა საუკუნეების საქართველოში მისი ეროვნული, სარწმუნოებრივი, სოციალური თუ სქესობრივი კუთვნილების გამო იყო შეზღუდული?

20. შუა საუკუნეებიდან დღემდე საზოგადოება დიდად შეიცვალა. დღეს ერთხმად მიღებულია, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად თავისუფალია ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილების მიუხედავად. დაასახელე ყველა ის ნიშანი, რაც თანამედროვე ქართულ საზოგადოებას განასხვავებს ფეოდალური საზოგადოებისაგან.

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 65. იქვე მოცემულ ცხრილში უნდა დაახასიათო მარიამი – ბიზანტიის დედოფალი და თამარი. მათი შედარების შედეგად კი ჩამოთვალე მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.


22. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 65*. განიხილეთ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

XIV საუკუნის 30-იან წლებში მონღოლებისგან საბოლოოდ გათავისუფლების შემდეგ საქართველოში დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ნორმების აღდგენა. მონღოლთა ასწლიანმა ბატონობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ცენტრალიზაციაზე და დაამძიმა სოციალური ფენების მდგომარეობა. ქვეყანაში დარღვეული წესრიგის აღსადგენად სამეფო ხელისუფლებამ სამართლებრივი ღონისძიების გატარება დაიწყო. წარმოიდგინე, რომ სამეფო კარის მოხელე ხარ, რომელსაც დაავალეს, მოემზადებინა ანგარიში ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაეხმარებოდა მეფის ხელისუფლებას ვითარების შეფასებასა და მართებული ნაბიჯების გადადგმაში.

ანგარიშის მომზადებისას თვალნათლივ უნდა წარმოადგინო:

- როგორი იყო XI-XIV საუკუნეში საქართველოში მმართველობის ფორმა და როგორ ახერხებდა მეფე ძალაუფლების შენარჩუნებას მსხვილ ფეოდალებთან დაპირისპირების პირობებში? (მ.წ 1 და 2: ძალაუფლება)
- რა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს ემყარებოდა სამეფო ხელისუფლება და როგორ ხდებოდა ხელისუფლების გადაცემა? (მ.წ 3 და 5)
- რომელი სოციალური ფენები არსებობდა საქართველოში, როგორი იყო მათი ქცევის წესები, ეტიკეტის ნორმები, ინტერესი და საზრუნავი? (მ.წ 1: საზოგადოება)
- რომელ სოციალურ ფენებს ეყრდნობოდა ქვეყნის სამოხელეო აპარატი და როგორ იყო უფლება-მოვალეობანი განაწილებული სამეფო კარის მოხელეებს შორის? (მ.წ 4: ძალაუფლება და 2: საზოგადოება)
- როგორ თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები საქართველოში და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ განსხვავებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მიმართ? (მ.წ 3 და 4: საზოგადოება)

Don't copy



Do not copy

თავი II

საქართველო XV–XVIII საუკუნეებში

შუა საუკუნეების დასასრულსა და ახალი დროის დაწყებას მეცნიერები სამ თარიღს: 1453 წელს – ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას, 1492 წელს – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისისსა და 1517 წელს – გერმანიაში რეფორმაციის დაწყებას უკავშირებენ. თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საზოგადოებრის განვითარებაზე. ახალ დროში კიდევ უფრო გაიზარდა ადამიანის ინტერესი გარემომცველი სამყაროს მიმართ. XVII საუკუნეს სამეცნიერო აღმოჩენების ხანას ეძახიან. მეცნიერების განვითარებასთან ერთად მატულობდა კრიტიკული აზროვნებაც. გაჩნდნენ მოაზროვნეები – განმანათლებლები, რომლებიც ბევრს ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ საზოგადოების უკეთ მოწყობის შესახებ. ადამიანებმა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

ბუნებრივია, კითხვაც გაგიჩნდება: აისახა თუ არა ეს პროცესები საქართველოზე? რა ხდებოდა ამ დროს შენს ქვეყანაში? XV საუკუნიდან მოყოლებული საქართველო ახალი დიდი იმპერიების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. XV-XVIII საუკუნებში ქართული სამეფო-სამთავროების ბედი ირან-ოსმალეთის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. XVIII საუკუნეში სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლაში ახალი – რუსეთის იმპერია ჩაერთო. Aამ პროცესებმა, საქართველოში ახალი დროის საზოგადეოების ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა როგორ განვითარდა მოვლენები? – ამ კითხვაზე პასუხს წინამდებარე თავში გაიგებ.

Don't copy

ქვეთავი I. რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველომ XV–XVII საუკუნეებში

23 რატომ დაიშალა საქართველო XV ს.-ის II ნახევარში სამეფო-სამთავროებად

ალექსანდრე I დიდის ბერად აღკვეცის შემდეგ (1442 წელი) საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი ვახტანგ IV, რომელმაც ცოტა ხანს იმეფა. 1446 წელს გამეფდა მისი ძმა გიორგი VIII. გიორგი VIII-ის მეფობის დროს ხელახლა იჩინა თავი ფეოდალთა სეპარატიზმმა. საბედიანოს (სამეგრელო და აფხაზეთი), გურიისა და სამცხის მთავრები მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე, რომელმაც ადგილობრივ ფეოდალებთან ერთად სასულიერო პირებიც დაუპირისპირა სამეფო ხელისუფლებას. გიორგი VIII, ფაქტობრივად, მხოლოდ ქართლ-კახეთსა და იმერეთს განაგებდა.

1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ევროპის ქვეყნებმა (პოლონეთმა, უნგრეთმა, ბურგუნდიამ, ვენეციამ და ნეაპოლმა) დაიწყეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, რომლის მიზანიც კონსტანტინიპოლის გათავისუფლება იყო. ამ კოალიციას რომის პაპი პიუს II ჩაუდგა სათავეში. მისი გეგმით მორიგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში აღმოსავლეთის სახელმწიფოებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ქართველმა მეფე-მთავრებმა რომის პაპის იდეას მხარი დაუჭირეს და საერთო ძალით გამოსვლა გადაწყვიტეს.

1459 წელს ამ მიზნის განსახორციელებლად საქართველოში რომის პაპის წარმომადგენელი ლუდოვიკო ბოლონიელი ჩამოვიდა. მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ ქართველი მეფე-მთავრები, სომხეთის მეფე, ირანის შაჰი **უზუნ-ჰასანი** და ტრაპიზონის სამეფო. ირანის გარდა, დანარჩენ სამ სახელმწიფოს 120-ათასიანი ლაშქარი უნდა გამოეყვანა, მათგან 70 ათასი ქართველი.



სურ. 1 რომის პაპი პიუს II (1458-1464). ფრაგმენტი სიენის საკათედრო ტაძრის ფრესკიდან (1503-1508)

წყარო ა) საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის წერილიდან ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე III კეთილისადმი , (1419–1467)

„ყველა ამ მხარის ქრისტიანმა მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევფიცეთ, რომ ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, ვინც კონსტანტინოპოლშია, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყოველმა ჩვენგანმა ჯარი მოამზადა“.

წყარო ბ) სამცხის მთავრის ყვარყვარე II ათაბაგის წერილიდან ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე III კეთილისადმი , (1419–1467)

„წინათაც ჩემი წინაპრების მსგავსად უსჯულოებს ვებრძოდი და უკანასკნელ წლებში რომ ჩემსა და სხვა ჩემს მეზობელ ქრისტიან მთავართა შორის ომი არ ამტყდარიყო, უფრო მეტის ძლევამოსილებით ვაწარმოებდით ბრძოლას ურწმუნოების წინააღმდეგ. ახლა კი ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაგონებით ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიანს ზავით შევეკარი და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ძალ-ღონე და შეძლება თურქთა საწინააღმდეგო ბრძოლას მოვახმარო... გევედრებით, ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა... უწყოდეთ კარგად, რომ, თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდგომში, კიდეც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გახდებით, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამდღე ძლიერდება და ვეღარ შევძლებთ შემდგომში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ“.

Don't copy

1. რა ტიპის წყაროებიდან ვიღებთ ინფორმაციას ანტიოსმალურ კოალიციაში ქართველთა მონაწილეობის სურვილის შესახებ?
2. ა) და ბ) წყაროების გაცნობის შემდეგ იმსჯელე, რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მეფესა და სამცხის მთავარს ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობისადმი? რა განაპირობებს მათ დამოკიდებულებას?
3. წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, მოახდინა თუ არა გავლენა ლუდოვიკო ბოლონიელის ჩამოსვლამ ქართველი მეფე-მთავრების ურთიერთობაზე.
4. რატომ სურდათ ევროპის სახელმწიფოებს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა?
5. რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპელი მეფე-მთავრებისთვის აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვა „ჯვაროსნულ“ ლაშქრობებში?
6. შენი აზრით, რატომ იყო ჩართული ამ კოალიციაში ქალაქ-სახელმწიფო – ვენეცია?
7. რა შედეგებს მოუტანდა ამ კოალიციაში გაერთიანება ქართველ მეფე-მთავრებს?
8. როგორ ფიქრობ, რატომ ჩაერთო ანტიოსმალურ კოალიციაში უზუნ-ჰასანი?
9. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 66. შეავსე ცხრილი. შეადარე ერთმანეთს ა) და ბ) წყაროები და იმსჯელე საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

უზუნ-ჰასანი – ირანის აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიანთა – მათ დროში თეთრი ბატკანი ეხატა) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰი 1453-1478 წლებში.

1459 წელს აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩები რომის პაპს შეხვდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ვერ მოახერხა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველების დარწმუნება ანტიოსმალურ კოალიციაში გასაერთიანებლად. შედეგად ეს გეგმა ჩაიშალა. შემდეგ წლებში კიდევ იყო კოალიციის შექმნის რამდენიმე მცდელობა, განსაკუთრებით ვენეციის რესპუბლიკა აქტიურობდა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ანტიოსმალური კოალიციის იდეის ჩაშლის შემდეგ ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა.

მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონიკა:

1462 – სამცხის მთავარმა ყვარყვარემ უზუნ-ჰასანის დახმარებით დაამარცხა გიორგი VIII და სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა; ქუთაისის ერისთავი ბაგრატი (შემდგომში – ბაგრატ VI) განუდგა გიორგი VIII-ს და აჯანყდა;

1463 – გიორგი VIII-სა და ბაგრატს შორის მოხდა ბრძოლა სოფ. ჩიხორთან (იმერეთში), გიორგი დამარცხდა;

1465 – ყვარყვარემ მეფე გიორგი დაატყვევა და სამცხეში წაიყვანა;

1466 – ბაგრატი ქართლში გადავიდა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა; ყვარყვარემ გაათავისუფლა მეფე გიორგი და ქართლში გაუშვა ჯართან ერთად, თუმცა ქართლის ერისთავები მას არ დაეხმარნენ და ის იძულებული გახდა, კახეთში გადასულიყო. გიორგიმ საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონების დინასტიას და იწოდება, როგორც გიორგი I კახთა მეფე.

1466-1478 – მეფობდა ბაგრატ VI. მას ექვემდებარება იმერეთი და ქართლი;

1478 – ქართლი და იმერეთი დაიკავა გიორგი VIII-ის ძმისშვილიმა კონსტანტინე II-მ. თუმცა მალევე დაკარგა გავლენა იმერეთზე და იმერეთის მეფე ბაგრატის ვაჟი ალექსანდრე გახდა.

საქართველო 4 ნაწილად გაიყო: კახეთი, ქართლი, სამცხე და იმერეთი. იმერეთის მეფე ვერ ახერხებდა სამეგრელოსა და გურიის სრულად დამორჩილებას.

ცენტრალური, სამეფო ხელისუფლების დასუსტების გამო ნელ-ნელა დაწინაურდა სხვადასხვა სათავადო. ალექსანდრე დიდის დროს ჩამოყალიბებული საუფლისწულოები და სხვა დიდებულების მამულები დროთა განმავლობაში სათავადოებად იქცა, მათი მმრთველები კი თავადებად იწოდებოდნენ. თავადები მეფეს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად მათი მეფეზე დამოკიდებულება ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თავადებს ჰქონდათ საგვარეულო ციხესიმაგრეები, მამულები, სოფლები. მათ მორჩილებაში იყვნენ გლეხები და აზნაურები.

Don't copy


საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად
XV საუკუნის ბოლოს
პირობითი აღნიშვნები
საზღვარი ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის
სამეფოსა და სამთავროს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
ეკლესია-მონასტერი
ბრძოლის ადგილი
ქართლის სამეფო
კახეთის სამეფო
იმერეთის სამეფო
სამცხე-საათაბაგო
პონტოს (შავი) ზღვა
აფხაზეთის საერისთავო
სვანეთის საერისთავო
ლეჩხუმი
რაჭა
ზემო იმერეთი
ქვემო იმერეთი
სამეგრელო
გურიის საერისთავო
ზემო გურია
ქვემო გურია
სამაკო
ჯავახეთი
არტაანი
კლარჯეთი
სპერი
ოსმალეთი
ქართლი
ქსნის ხეობა
ტაშისკარი
ბორჯომის ხეობა
ფერსათი
ქიზიყი
ალაზნის ველი
თრიალეთი
ლორე
დმანისი
ბოლნისი
ფარავნის ტბა
ჯავახეთის ტბა
თრიალეთის ტბა
გოგჩის ტბა
ერევანი
ანისი
ყარი
ბასიანი
არზრუმი
ტრაპიზონი
რიზე
ბათომი
ფოთი
ანაკლია
ილორი
ცხუმი
ანაკოფია
ბიჭვინთა
გაგარი
ქუთათისი 1463
ნიკორწმინდა
ხობი
ზუგდიდი
ნაჩალნჯიხა
ცაიში
ბედია
მოქვი
დრანდა
ცაგერი
გელათი
ჭყონდიდი
მინდაცხიე
გლოლა
სეტი
უშგული
ლაშა
ლატალი
ლენტეხი
ჭრუჭი
ჯუმათი
ასკანა
შემოქმედი
ახალციხე
ასპინძა
ზარზმა
საფარა
ხერთვისი
ფარავანი 1465
ჯაყი
ტბეთი
ანჩა
ერუშეთი
ართანუჯი
ფანასკერტი
ბანა
ოშკი
კალმახი
ხახული
ისპირი
თორთომი
თუხარისი
იშხანი
ბასიანი
ასპარეზი
ბაშქოი
ბაშქოი
ბაშქო

შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები – **სადროშოები.** ერთი სადროშოდან გამოყვანილი ჯარი სხვა სადროშოების ჯარებთან ერთად სამხედრო-ტაქტიკურ შენაერთს ქმნიდა. ერთიანი საქართველოს პირობებში ოთხი ასეთი სადროშო არსებობდა:

მეწინავე – სამხრეთი საქართველო; მემარჯვენე – დასავლეთი საქართველო; მემარცხენე – ქართლის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციები, ძირითადად – კახეთ-ჰერეთი; მეფის სადროშო – შიდა ქართლი.

სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აუცილებელი გახდა სადროშოების სისტემის რეფორმირება. პირველი რეფორმა ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი VIII-მ, იგივე კახეთის პირველმა მეფემ გიორგი I-მა, ჩაატარა კახეთში და შექმნა 4 სადროშო, რომლებსაც ნეკრესელი, ბოდბელი რუსთველი და ალავერდელი ეპისკოპოსები ჩაუყენა სათავეში.

ქართლსა და იმერეთში კი სადროშოები მსხვილი სათავადოების მიხედვით შეიქმნა. სადროშოს სარდლები შესაბამისი მხარის თავადები იყვნენ. სადროშოს სარდლობა მემკვიდრეობითი იყო.

ამრიგად საქართველო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ დაიყო. თავის მხრივ გურია, ოდიში და მოგვიანებით აფხაზეთი სამთავროებად ჩამოყალიბდნენ. მათი მთავრები იმერეთის მეფის ძალაუფლებას მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ.



რუკა 19. ქართლის სამეფოს სადროშოები და სათავადოები

Don't copy



რუკა 20. კახეთის სამეფოს სადროშოები

საქართველოში ამტყდარ შიდა დაპირისპირებას კიდევ უფრო ართულებდა მტრის შემოსევები. 1473 და 1477 წლებში საქართველოში 40-ათასიანი ჯარით უზუნ-ჰასანი შემოიჭრა, მან დაიკავა ლორე და თბილისი, მოაოხრა ქართლი და სამცხე, ხარკი დაადო ბაგრატ VI-სა და ყვარყვარეს და დიდი ნადავლით გაბრუნდა უკან. 1486-1487 წლებში საქართველოში ორჯერ ილაშქრა უზუნ-ჰასანის მემკვიდრემ იაყუბ-ხანმა. მან ახალციხე და თბილისი აიღო და დიდი ნადავლით გაბრუნდა უკან. ამ მეოთხე სადროშოს ალავერდელი ეპისკოპოსი განაგებდა.

წყარო გ) ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, XVIII ს.

„აღარ იცვლებოდნენ ერისთავები და არც თავადები. ყველანი ხევების, სანახების, თემებისა და ადგილის მკვიდრნი გამხდარიყვნენ. მამულს მხოლოდ მკვიდრად იღებდნენ და ყველანი გაძლიერდნენ. ხოლო ალექსანდრესა და კონსტანტინეს დროს კი განდგნენ იმერლები, მეგრელები და გურიელნი, აღარ მორჩილებდა ათაბაგი და განდგა კახეთიც“.


1490 წელს მეფე კონსტანტინე II-მ კათალიკოსთან, ეპისკოპოსებთან და დიდებულებთან თათბირი გამართა და ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო: „იმერლები და კახელები თავიანთ მეფეებს ერთგულებენ ისევე, როგორც მესხები – ათაბაგს. არ გირჩევთ ბრძოლას, რადგან შეიძლება ერთს ვძლიოთ, მაგრამ მეორეს – ვერა. უნდა დაველოდოთ უკეთეს დროებას“. კონსტანტინემ დაუჯერა დიდებულებს და კახეთის, იმერეთისა და სამცხის მეფე-მთავრებთან დაზავება ამჯობინა.

კონსტანტინე II მაინც ცდილობდა ქვეყნის მოძლიერებას და ამისთვის საერთაშორისო მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა.

Don't copy

წყარო დ) ნაწყვეტი პაპ ალექსანდრე V-ის წერილიდან ქართველთა მეფე კონსტანტინე II-ს, 1496 წ.

„ღვთის მონათა მონა ეპისკოპოსი ალექსანდრე, ქრისტეს მიერ ჩვენს ყოვლად მადლიან შვილს, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს კონსტანტინეს მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. შენი მოძღვრისა და ელჩის, საყვარელი შვილის ბერი ნილისგან მივიღეთ შენი წერილი, რომელშიც გამოხატავ უდიდეს პატივისცემასა და ერთგულებას ჩვენდამი და სამოციქულო ტახტისადმი... სრული აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგ ამბოხებულებზე ლაშქრობის შესახებ და რომ ამ ლაშქრობისთვის გვთავაზობ ჯარს შენი შვილის მეთაურობით, რათა პატივახდილი საფლავები გავწმინდოთ და ქრისტესთვის ჩაგრული ხალხი გავათავისუფლოთ. ძნელია გამოითქვას, როგორ აღგვაფრთოვანა ამ ცნობამ... ჩვენ დღედაღამ ვფიქრობთ, როგორ შევადგინოთ გეგმა, რომ ქრისტიან მეფეთა შორის მშვიდობიანობა დავამყაროთ. ვუნერგავთ მათ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და სხვა საპატრიარქო ტახტების დახსნის იმედს, მაგრამ ერთი რამ უშლის ხელს ჩვენს მისწრაფებას და ყველა კეთილ განზრახვას: ეს არის ჩვენი ძველი მტერი და მოწინააღმდეგე – უთანხმოების მარცვალი“.



ბაგრატიონთა ქართლის, კახეთისა და იმერეთის შტოების ჩამოყალიბება

Don't copy

10. სქემის მიხედვით, ბაგრატიონთა რომელი შტოდან ჩამოყალიბდა კახეთისა და ქართლის სამეფოები?
11. განსაზღვრე, რას ემყარებოდა ბაგრატ VI-ის ხელისუფლება და როგორ შეეძლო მას, თავისი მეფობა კანონიერად დაესაბუთებინა.
12. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 67. პარაგრაფში მოცემულ წყაროებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, ერთიანი სამეფო ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში ბაგრატიონთა რომელი საგვარეულო შტოს დაუჭერდი მხარს და რატომ?
13. გაიხსნე, რა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება იყო XV საუკუნის შუა ხანების ევროპაში და იმსჯელე, რატომ ვერ მოხერხდა ევროპელი მთავრების ჩართვა ანტიოსმალურ კოალიციაში.
14. როგორ ფიქრობ, რატომ გაუშვა ყვარყვარემ მეფე გიორგი 1466 წელს?
15. შენი აზრით, რამ გამოიწვია მოვლენების ასე დაჩქარება? რა იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის მთავარი მიზეზი?

16. რუკა 20-ის მიხედვით იმსჯელე, დაშლილი სამეფო-სამთავროებიდან რომელს დარჩა ყველაზე მეტი ტერიტორია? რომელი სამეფო-სამთავრო იყო ყველაზე სტრატეგიულ ადგილას სავაჭრო, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით? პასუხები დაასაბუთე.
17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 68-68*-68**. იმსჯელე, როგორ შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური რუკა საქართველოს სამეფო-სამთვაროებად დაშლის შემდეგ,შეადარეთ სამეფო სამთავროების სამხედრო ადმინისტრაციული მოწყობა და შეავსე სქემა.
18. რამდენად სწორი რჩევა მისცეს დიდებულებმა კონსტანტინე II-ს?
19. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება დიდებულთა პასუხის გაანალიზების შემდეგ: „იმერლები და კახელები თავიანთ მეფეებს ერთგულებენ ისევე, როგორც მესხები – ათაბაგს“?
20. როგორ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს სამეფო-სამთავროების კვლავ ერთიან სივრცეში დაბრუნების წინაპირობა? პასუხი დაასაბუთე
21. წყარო დ-ს მიხედვით იმსჯელე, დაახლოებით რა შინაარსის წერილი მისწერა კონსტანტინე II-მ რომის პაპს.
22. წყარო დ)-ს მიხედვით, კონსტანტინე ახალი ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებას სთავაზობს რომის პაპს. შენი აზრით, 1459 წელს ჩაშლილი პირველი მცდელობის შემდეგ 1496 წლისთვის რამდენად შესაძლებელი იყო ხელახალი კოალიციის შექმნა იმავე შემადგენლობით – ქართველი მეფე-მთავრები, სომხეთის მეფე, ირანის შაჰი და ტრაპიზონის სამეფო? პასუხი დაასაბუთე.
23. იმსჯელე, რა საერთო აქვს ბ) და დ) წყაროების ავტორთა შეფასებებს.

Don't copy

1490 წელს საქართველოს ერთიანი სამეფო საბოლოოდ დაიშალა სამეფო-სამთავროებად. საქართველოს სამეფოს დაშლას მრავალი მიზეზი ჰქონდა. თემურლენგის შემოსევებმა ქართული ქალაქები და სოფლები მიწასთან გაასწორა. საქალაქო ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, მანამდე ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებში ვაჭრობა და ხელოსნობა შემცირდა. ამგვარად, სამეფო ხაზინის შემოსავალმა იკლო. გარდა ამისა, ბიზანტიის განადგურების გამო საქართველოს სამხრეთით გამავალმა სავაჭრო გზამ აზრი დაკარგა და შესაბამისად, სამეფო შემოსავალმაც იკლო. საქართველოში ნამყოფი იტალიელი მოგზაურები თბილისზე წერდნენ: „ქალაქი კარგია, მაგრამ მცხოვრებლები ნაკლებად არიან“, „თბილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით, ამჟამად კი გაღატაკებულია“. იტალიელი მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ იმდროინდელი საქართველო კულტურულად და ეკონომიკურად მეტად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მეურნეობაც განადგურებული ჰქონდა და მოსახლეობის რიცხვიც არ იყო დიდი. სამეფო სახსრების შემცირებამ ძალზე იმოქმედა სამეფოს კარის ძალაუფლებაზეც, სწორედ ამიტომ ერისთავები ნაკლებად ემორჩილებოდნენ სამეფო კარს.

24. შენი აზრით, თემურლენგის ლაშქრობებისა და ბიზანტიის დაცემის შემდეგ კიდევ რა ფაქტორებმა განაპირობა ვაჭრობა-ხელოსნობისა და ზოგადად ეკონომიკის დასუსტება?
25. რატომ იმოქმედებდა უარყოფითად სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად? პასუხი დაასაბუთე.
26. შენი აზრით, შესაძლებელი იყო საქართველოს ერთიანი სამეფოს შენარჩუნება, თუ დაშლა კანონზომიერი ისტორიული მოვლენა იყო? პასუხი დაასაბუთე.
27. როგორ ფიქრობ, მაშინ, როცა XV საუკუნის 50-იან წლებში ანტიოსმალური კამპანიისათვის საქართველოს მეფე-მთავრებს 70 ათასი ჯარისკაცის შეკრება შეეძლოთ, რატომ ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა შემოსევებს ამავე საუკუნის 40-70-80-იან წლებში?
28. შენი აზრით, რა პოლიტიკურ და კულტურულ შედეგებს მოუტანდა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა?

24 როგორ იმოქმედა საქართველოზე XVI ს-ის I ნახევარში ირან-ოსმალურმა დაპირისპირებამ და ამასიის ზავმა

XVI საუკუნის დასაწყისში სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე და სხვა მცირე სამთავროები ვერ ახერხებდნენ მშვიდობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ წინსვლას. ამას ხელს უშლიდა შიდაფეოდალური დაპირისპირებები, ერთმანეთთან გაჩაღებული ბრძოლები და გარეშე მტერი, რომელსაც ხშირად ქართველი მეფე-მთავრები ერთმანეთის წინააღმდეგაც იყენებდნენ.

წყარო ა) ვიქტორ გუჩუა, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV

„ფეოდალური დაშლილობის პროცესი აღნიშნული სამეფოებისა და სამთავროს ჩამოყალიბებით არ შეჩერებულა. ისტორიული განვითარების ყველა პირობა ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდა და შემდეგში ეს პროცესი უფრო ღრმავდებოდა, რაც ცალკეული სამთავროებისა და სათავადოების ჩამოყალიბებაში გამოიხატა. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართლის სამეფოში უკვე არსებობდნენ მსხვილი სათავადოები – ქსნისა და არაგვის საერისთავოები, საამილახორო, საციციანო და საბარათიანო. კახეთში ყველაზე ძლიერი თავადები ჩოლოყაშვილები იყვნენ, სამცხე-საათაბაგოში – შალიკაშვილები. იმერეთის სამეფოში, სამეგრელოსა და გურიის მმართველებს ნახევრად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი, ხოლო XVI საუკუნის შუა წლებში თითქმის სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს“.

1. შენი აზრით, რატომ მოჰყვა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას ცალკე სათავადოების გამოყოფაც?
2. როგორ გესმის ფრაზა: „ისტორიული განვითარების ყველა პირობა ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდა“?

ასეთი ვითარება იყო საქართველოში, როდესაც მას სამხრეთიდან ორი უძლიერესი სახელმწიფო – ოსმალეთი და სეფიანთა ირანი – გაუმეზობლდა.

ოსმალეთი განსაკუთრებით XVI საუკუნეში, სულთან სულეიმან I-ის ზეობის წლებში (1520-1566), გაძლიერდა. მის დროს იმპერია სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული. ამ პერიოდს უკავშირდება ოსმალთა მიერ კავკასიის ნაწილის დაპყრობაც. ამ რეგიონში თურქების გაბატონებას წინააღმდეგობას უწევდა ახლო აღმოსავლეთის ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო – სეფიანთა ირანი, რომელიც თავიდანვე ცდილობდა სამხრეთ კავკასიის სრულად დამორჩილებას და თავიდანვე ცდილობდა სამხრეთ კავკასიის სრულად დამორჩილებას.

წყარო ბ) ვალერიან გაბაშვილი, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხები – ტ.II“:

„XIV საუკუნის დასაწყისში ირანში სეფევიეს (სეფიანთა) ორდენი ჩამოყალიბდა, რომლის დამაარსებელი იყო სეფი ად-დინი. XV საუკუნიდან ამ ორდენის მიმდევრებმა პოლიტიკური პრეტენზიები წამოაყენეს და თეთრბატკნიანთა შაჰებს დაუპირისპირდნენ. სეფიანთა ძირითად სამხედრო ძალას მცირე და შუა აზიის 7 თურქმანული ტომი წარმოადგენდა, რომლებიც წითელ თავსაბურავებს ატარებდნენ, რის გამოც მათ ყიზილბაშებს (წითელთავიანებს) უწოდებდნენ. სეფიანებმა ყიზილბაშებზე დაყრდნობით დაამარცხეს თეთრბატკნიანი თურქმანები. XVI საუკუნის დასაწყისში სეფიანებმა ირანის დაპყრობა მოახერხეს და ახალ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი, რომლის პირველი შაჰი გახდა ისმაილ I (1502-1524), მან ირანის სახელმწიფო რელიგიად შიიზმი გამოაცხადა. სეფიანთა სახელმწიფოს ისტორია ორ მთავარ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში (1502-1590 წლები) ძლიერი იყო ყიზილბაშთა მომთაბარული ტრადიციები, მეორე პერიოდში (1590-1722 წლები) ერთგვარი გასაქანი მიეცა ირანულ ელემენტს, რომლის დაწინაურება პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე შაჰ აბასის მოღვაწეობის ხანას განეკუთვნება“.

Don't copy

3. შენი აზრით, რა იქნებოდა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის დაპირისპირების მთავარი მიზეზი?
4. ექნებოდა თუ არა ამ დაპირისპირებაში რამე მნიშვნელობა ოსმალეთისა და ირანის რელიგიურ განსხვავებას (სუნიზმი/შიიზმი)?
5. ისტორიიდან გაიხსენე ცნობები ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის შესახებ. ზოგადად, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდა ამ ორ სახელმწიფოს რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით?
6. შენი აზრით, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში?

ისმაილ I თავისი ზეობის დასაწყისში ქართველ მეფე-მთავრებთან მოკავშირეობასაც თანხმდებოდა, რადგან მრავალი ბრძოლის გამართვა უწევდა მეზობელ სახელმწიფოებთან, ლაშქარი კი დიდი არ ჰყავდა. ამიტომაც სამოკავშირეო შეთანხმებით ისმაილის ლაშქარში 3-3 ათასი ცხენოსანი ქართველი მონაწილეობდა ქართლიდან, კახეთიდან და სამცხიდან. მალე ისმაილი უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და ქართლ-კახეთის დამორჩილება გადაწყვიტა. ქართული სახელმწიფოები დამპყრობლებთან სხვადასხვა პოლიტიკას ატარებდენ. კახეთი მთელი XVI საუკუნე ერთ საგარეო კურსს მისდევდა და მშვიდობის შენარჩუნებისთვის მორჩილება-ვასალობაზეც თანახმა იყო. ქართლის მეფეები კი არ ეგუებოდნენ სეფიანთა ბატონობას და სრული დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

იმავდროულად დასავლეთ საქართველოსა და სამცხის დასავლეთი ნაწილის დამორჩილებას ოსმალები ცდილობენ. სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო I ძღვენითა და მორჩილებით ცდილობდა მტრის აგრესიის შეკავებას. 1500 წლიდან სამცხეს მზეჭაბუკი განაგებდა, რომელმაც ოსმალების მხარდაჭერით გურიაში ილაშქრა და ჭანეთი და აჭარა სამცხე-საათაბაგოს შეუერთა. დანარჩენი ქართველი მეფე-მთავრებიც ერთმანეთთან იყვნენ დაპირისპირებული და თავიანთი სამფლობელოების გაზრდას სხვა ქართული სახელმწიფოების ხარჯზე ლამობდნენ. მაგალითად, კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის შვილმა გიორგიმ ქართლის სამეფოს რბევა დაიწყო. რადგან მამამ და ძმამ, დიმიტრიმ, წინააღმდეგობა გაუწიეს, გიორგიმ მამა ღალატით მოკლა, ძმას კი თვალები დასთხარა და თავი მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ ის მუდმივად აწიოკებდა ქართლის ტერიტორიებს. გიორგი ისტორიაში ავგიორგის სახელით შევიდა.

ამასობაში ოსმალეთი და ირანი კიდევ უფრო გაძლიერდა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისთვის იბრძოდა. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო ხანგრძლივი ომი ორ დიდ სახელმწიფოს შორის 1514 წელს და მცირე პაუზებით 1555 წლამდე გაგრძელდა. ამ ომის დროს საქართველოს მხარეები ირანისა და ოსმალეთის მუდმივი თავდასხმების ადგილი იყო. ორივე სახელმწიფო ცდილობდა კავკასიაში ფეხის მოკიდებას და ამისთვის ცალკე ერთმანეთთან, ცალკე კი ადგილობრივ მეფე-მთავრებთან და მოსახლეობასთან უწევდათ ბრძოლა. ქართველი მეფე-მთავრები დაზავებით, ხარკის გადახდით ან ბრძოლით ცდილობდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ირანის შაჰები გამუდმებით ითხოვდნენ ქართველი მეფეებისგან ქრისტიანობის უარყოფასა და ისლამის მიღებას, რასაც დამატებითი წინააღმდეგობა და უთანხმოება მოჰყვებოდა ხოლმე.

7. შეაფასე კახეთის მეფეების საგარეო პოლიტიკური კურსი და იმსჯელე მის მართებულობაზე.
8. შენი აზრით, რატომ უჭერდა ოსმალეთი მხარს სამცხე-საათაბაგოს გურიის, ჭანეთისა და აჭარის შემოერთების პროცესში? რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ტერიტორიებს ათაბაგისთვის? სულთნისთვის?
9. შენი აზრით, რატომ უწევდნენ წინააღმდეგობას ალექსანდრე I და დიმიტრი გიორგის მიერ ქართლის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას?
10. რა შედეგი მოუტანა ქვეყანას ქართველი მეფე-მთავრების გადაწყვეტილებამ ირანთან მოკავშირეობის შესახებ? როგორ ფიქრობ, ჰქონდათ თუ არა მათ სხვა არჩევანი? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

წყარო გ) რუმის (ანატოლიის) პროვინციის მმართველის ბეგლარბეგ შადი-ფაშას წერილი თურქეთის სულთნის კარზე, ჰიჯრით 922 (1516 წ.)

„თუ საქართველოს ამბავს გამოიკითხავენ, გასულ წელს მისი უზენაესობის, ღვთის ჩრდილისა და ქვეყნის საფარველის **ფადიშაჰის** მიერ ტრაპიზონიდან გაიგზავნა იაკუბ-შაჰი აღაჯუკის ძე **დადიანთან** და **გურიელთან** ხარაჯის მოსათხოვნად. ახლა უკან დაბრუნდა და მისი ელჩი დადიანისგან ხარაჯით დატვირთული მაღალ სამეფო კარზე მიდის...

თუ **ყვარყვარეს** ამბავს იკითხავენ, **მანუჩართან** ბრძოლაშია. საქართველოში ზოგი, მაგალითად მეფე **დავითი**, მანუჩარის მხარეზეა, ზოგი კი – იმერეთის მეფესთან ერთად, ყვარყვარეს მხარეზე. ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტაში არიან გამუდმებით...

თუ საქართველოს მდგომარეობას იკითხავთ, საქმე ასეა: ყვარყვარეს ხელქვეით აზნაურთაგან რამდენიმე მანუჩარის მხარეზე გადავიდა და ყვარყვარეს უღალატა. ჩვენი დესპანი დივ-ალი ერევნიდან აიყარა, რადგან ყვარყვარემ ხალხში ხმა გაავრცელა – დღეს ან ხვალ საქართველოში 3000 ყიზილბაში შემოიჭრება, სახელმწიფოს შაჰის ლაშქრისთვის ძღვენი სჭირდებაო. მან ცხვარსა და საქონელს, თაფლსა და ერბოს გადასახადი დაადო და შეგროვებას შეუდგა. ის აზნაურები შეშინდნენ და კვლავ ყვარყვარესთან დაბრუნდნენ“.

ფადიშაჰი – მონარქის ტიტული აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ შემთხვევაში ასე მოიხსენიებს წერილის ავტორი ოსმალეთის სულთანს.
დადიანი – მამია დადიანი, სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი 1512-1533 წლებში.
გურიელი – მამია გურიელი, გურიის მთავარი 1512-1534 წლებში.
ყვარყვარე – სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1518-1535 წლებში.
მანუჩარი – სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1516-1518 წწ. მან ათაბაგობა თავის ძმისშვილს ყვარყვარეს წაართვა. 1518 წელს ყვარყვარემ სპარსელების დახმარებით ათაბაგობა დაიბრუნა. 1518 წელს მანუჩარი ოსმალების დახმარებით კვლავ შეეცადა ტახტის დაუფლებას, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა.
დავითი – დავით X, ქართლის მეფე 1505-1525 წლებში.

11. რა ტიპის წყაროა წყარო გ)-ში მოცემული?
12. წყაროს გაანალიზების შემდეგ იმსჯელე, რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხარკის ასაკრეფად სულთანი გურიელთან და დადიანთან აგზავნის თავის წარმომადგენლებს. როგორ ფიქრობ, რა ურთიერთობაა იმერეთის მეფესა და დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის?
13. შენი აზრით, რატომ არიან ქართველი მეფე-მთავრები დაინტერესებული ყვარყვარესა და მანუჩარის დაპირისპირებით?
14. შენი აზრით, რატომ ახსენებს წერილის ავტორი, რომ ქართველები „ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტაში არიან გამუდმებით“?
15. წყაროს თანახმად, რომელ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევენ ქართველი მეფე-მთავრები? შენი აზრით, რატომ?
16. წყაროს მიხედვით, როგორ იყენებდნენ ქართველი მეფე-მთავრები სპარსულ და ოსმალურ გავლენებს ერთმანეთთან დაპირისპირებისას?
17. ჩამოთვალე ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც ქართველი მეფე-მთავრები განუწყვეტლივ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

სეფიანთა ირანის აგრესიული პოლიტიკა განსაკუთრებით გამძაფრდა შაჰ-თამაზის ზეობის დროს, რომელმაც 1541-1554 წლებში ოთხჯერ ილაშქრა საქართველოში. ამ ლაშქრობების დროს მან აიღო და დაარბია თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ჯავახეთი და სამცხე. მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556) არ შეეძლო სპარსელთა ლაშქრისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებს მიმართავდა – მტრის მცირე რაზმებს პირდაპირ ებრძოდა და ამარცხებდა, დიდი ჯარის წინააღმდეგ კი ჩასაფრებებსა და ღამის თავდასხმებს ირჩევდა.

Don't copy

შაჰ-თამაზის შემოსევებმა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს. მისი ლაშქარი წვავდა და ანადგურებდა მეფე ლუარსაბისა და მისი მოკავშირეების მამულებს, ხოცავდა ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა. ბავშვები და ქალები ტყვეებად მიჰყავდა. მხოლოდ ბოლო, 1554 წლის, ლაშქრობის დროს მან 30 ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანა, მათ შორის ლუარსაბ მეფის დედა ნესტან-დარეჯანი, რომელმაც ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და თავი მოიკლა.



სურ 1. შაჰ-თამაზი I, დაემატოს – ფრაგმენტი უცნობი მხატვრის მინიატურიდან. XVI საუკუნე

18. შეაფასე ლუარსაბ I გადაწყვეტილება პარტიზანული ომის დაწყების შესახებ. რა უპირატესობას აძლევდა მეფეს ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურება?

ლუარსაბ მეფეს შაჰ-თამაზის (1520-1574) წინააღმდეგ ბრძოლებში მოკავშირედ იმერეთის მეფე ბაგრატ III ჰყავდა. 1545 წელს ოსმალთა ჯარები სამცხე-საათაბაგოს შეესივნენ. ბაგრატმა დახმარებისთვის ლუარსაბს მიმართა. კახეთის მეფე ლევანი და სამცხის ათაბაგები ყიზილბაშებთან და ოსმალებთან მორიგებას ამჯობინებდნენ. ქართლ-იმერეთის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანის სიახლოვეს, სოხოისტის ველზე დაუხვდა მტერს. მათ მესხების ნაწილიც შეურთდა. ამ ბრძოლის დროსაც უთანხმოებამ იჩინა თავი. მესხებმა ბრძოლაში მეწინავეობა მოითხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი ბრძოლის ველი დატოვეს. ქართველთა შემცირებულმა ლაშქარმა მძიმე ბრძოლა გაუმართა ოსმალებს, რომელიც დილიდან შებინდებამდე გაგრძელდა და საბოლოოდ ოსმალების გამარჯვებით დასრულდა.

მალევე ოსმალებისგან წაქეზებულმა გურიისა და სამეგრელოს მთავრებმაც იმერეთის მეფეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და თავი დამოუკიდებელ სამთავროებად გამოაცხადეს.

19. შენი აზრით, რატომ არიან დაინტერესებული ლუარსაბი და ბაგრატი ოსმალების განდევნით სამცხე-საათაბაგოდან?

20. რატომ არის სამცხე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დაპირისპირებული მხარეებისთვის?

21. როგორ ფიქრობ, ქართლისა და იმერეთის გაერთიანებული ლაშქრის წარმატების შემთხვევაში რა საფრთხე შეიძლებოდა შექმნოდა სამცხის მთავარს? კახეთის მეფეს?

22. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მესხების ნაწილი არ იზიარებს სამცხის მთავრის პოზიციას ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ?

23. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 69. სახელმძღვანელოს ტექსტის, წყარო ბ)-სა და პარაგრაფში არსებული რუკა 22-ის გამოყენებით იმსჯელე, როგორ შეიცვალა პოლიტიკური საზღვრები ახლო აღმოსავლეთში სეფიანთა ირანის შექმნის შემდეგ და რა გავლენა მოახდინა ამ პროცესმა საქართველოზე.

ამასიის ზავი

1554 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებები დაიწყო, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოსაგვარებელი თემა ქართული მიწების განაწილება იყო. ამიტომ ლუარსაბი და ბაგრატი ცდილობდნენ, როგორმე ჩაეშალათ ეს მოლაპარაკებები. მათი მცდელობის მიუხედავად, 1555 წელს ქალაქ ამასიაში მაინც დაიდო საზავო შეთანხმება ირან-ოსმალეთს შორის.

შეთანხმების მიხედვით, ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა მთელი დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო-კლარჯეთი და შავშეთი. ირანის გამგებლობაში გადავიდა ქართლ-კახეთი და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი.

Don't copy

რუკა 21. ირანელთა ლაშქრობები საქართველოში 1541-54 წწ. შაჰ-თამაზის სარდლობით

Don't copy

ამასთანავე ირანმა შეინარჩუნა შირვანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი. დასავლეთი ტერიტორიები (ვანის ტბის მიმდებარედ) კი ოსმალეთს დარჩა. შეთანხმების თანახმად, ყარსის ოლქი სრულიად უნდა დაცლილიყო მოსახლეობისგან და მათ ირანში გადაასახლებდნენ. ყარსის ციხე კი მთლიანად დაანგრიეს.

საინტერესოა, რომ ირანსა და ოსმალეთს „განაწილებული“ ტერიტორიები 1555 წელს დაპყრობილი არც ჰქონიათ. ფაქტობრივად, მათ მომავალში დასაპყრობი მიწები გაინაწილეს. საქართველოს მეფე-მთავრების ნაწილი შეეგუა ზავის პირობებს, რადგან წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ ჰქონდათ. თუმცა ლუარსაბ მეფემ სიცოცხლის ბოლომდე განაგრძო ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ.



რუკა 22. ირანი და ოსმალეთი 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით

Don't copy

წყარო დ) ისქანდერ მუნში, ირანელი ისტორიკოსი, „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“, XVI-XVII სს.

„ჰიჯრით ცხრაასსამოცდაერთი (1554/1555) წლის თვეებში, როცა მისი უდიდებულესობის, სამოთხეში დამკვიდრებული შაჰსა და რუმის, მისრისა და შამის ქვეყნების მბრძანებლის სულტან სოლეიმანს შორის ზავი მოხდა, სახელმწიფო საზღვრები გამორკვეული და დადგენილ იქნა. საქართველოს ველაიეთებიდან, რომელიც ორივე მხარის (ე.ი. როგორც ირანის, ისე ოსმალეთის) მიერ განიცდიდა ხოცვისა და რბევის უბედურებას, მესხეთი, ქართლი და კახეთი ამ მხარეს (ე.ი. ირანს) მიეკუთვნა. ბაში-აჩუკის ველაიეთი (იმერეთი), „დადიანის“ (სამეგრელო) და „გურიელის“ (გურია) ქვეყნები, ტრაპეზუნდისა და ტრიპოლისის საზღვრებამდე რუმის მბრძანებელს მიეცა“

სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი – იგულისხმება ირანის შაჰი, თამაზ I
რუმის, მისრისა და შამის ქვეყნები – იგულისხმება ოსმალეთი
ტრიპოლისი – მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, თანამედროვე გირასუნის (თურქეთი) პროვინციაში

წყარო ე) ფარსადან გორგიჯანიძე, ქართველი ისტორიკოსი, „ისტორია“, XVII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ხონთქარმა (ოსმალეთის სულთანმა) და ყაენმა (ირანის შაჰმა) საქართველო შუაში გაიყვეს. სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზთა ქვეყანა ხონთქარს ერგო. ამ გაყოფას საქართველოს ყველა მეფე-მთავარი დასჯერდა, მეფე ლუარსაბის გარდა. ის ამ გაყოფას თაკილობდა, ურჩობდა და აქეთ ირანს, იქით კი ოსმალეთის ქვეყნებს არბევდა“.

წყარო ვ) ბერი ეგნატაშვილი, ქართველი ისტორიკოსი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, XVIII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„მაშინ გაუგზავნა კაცი შაჰმა ოსმალეთის სულთანს და მისწერა: „ვყოთ მშვიდობა ერთმანეთთან, რამეთუ სჯულითა ვართ მაჰმადის მიმდევარნი“. მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულთანმა და შერიგდნენ. მაშინ განყვეს ქუეყანანი და დარჩა სულთანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა... ხოლო შაჰ-თამაზმა მიიღო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანს აქეთი. და მშვიდობა ჰყვეს ურთიერთას და მიერითგან იყო შაჰ-თამაზ მოსვენებით, აღარავინ მტერობდა მას, და იყო ხანსა რაოდენსამე განსუენებით“.

24. რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები ირან-ოსმალეთის მოლაპარაკებების ჩაშლას? რატომ აძლევდათ ხელს ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირების შენარჩუნება?

25. როგორ ფიქრობ, რა შედეგებს მოუტანდა ამასიის ზავის დადება ირან-ოსმალეთსა და ქართულ სახელმწიფოებს?

26. როგორ ფიქრობ, არსებულ ვითარებაში ჰქონდა თუ არა აზრი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას? პასუხი დაასაბუთე.

27. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 70. წყარო დ)-ს, ე)-ს, ვ)-ს და პარაგრაფში მოცემული მასალის გამოყენებით იმსჯელე ამასიის ზავის შედეგებზე.

28. პუნქტებად ჩამოწერე ის მოქმედებები და გადაწყვეტილებები, რომლებსაც ქართველი მეფე-მთავრების ადგილზე განახორციელებდი დამოუკიდებლობის მისაღწევად.

29. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 129. შეავსე კონტურული რუკა, „საქართველო ირანსა და ოსმალეთს შორის XVI ს.

Don't copy

25 რა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში XVI ს.–ის II ნახევარში

ამასიის ზავის პირობები განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ლუარსაბ მეფისთვის და ის ირანის შაჰის გავლენის აღიარებას არ აპირებდა. მეტიც, ის მუდმივად ავიწროებდა ქართლის ქალაქებში ჩაყენებულ სპარსულ ჯარებს. ამის გამო თბილისის გარნიზონებმა დახმარება ყარაბაღის მმართველს სთხოვეს, რომელსაც ირანის შაჰისგან თბილისის დაცვა ჰქონდა დავალებული. 1556 წელს ყარაბაღის მმართველი დიდი ჯარით შემოვიდა ქართლში. ქართველებმა მოსულ მტერს ბრძოლა ქვემო ქართლში, გარისთან, გაუმართეს. ქართველებს ახალგაზრდა უფლისწული სიმონი სარდლობდა. მან მტერი უკუაქცია, მაგრამ ირანელთა ერთი რაზმი სწორედ იქ აღმოჩნდა, სადაც ლუარსაბ I და მისი თანმხლები პირები იდგნენ. ხანში შესული მეფე ირანელებს ეკვეთა, მაგრამ ბრძოლისას ცხენი წაექცა. ყიზილბაშებმა ლუარსაბ I სასიკვდილოდ დაჭრეს, იგი ბრძოლის ველზევე გარდაიცვალა.



სურ 1. სიმონ I, ავტორი: ევროპელი მხატვარი დომინიციუს კუსტო (1601-1604)

ლუარსაბ I-ის სიკვდილის შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა სიმონ I-მა (1556-1569; 1578-1600), რომელმაც მამის მსგავსად ირანელებთან დაუმორჩილებლობის პოლიტიკა აირჩია. ის მუდმივად ავიწროებდა ქართლის ციხე-ქალაქებში მდგარ სპარსულ (ირანულ) გარნიზონებს. სიმონ I-მა რამდენჯერმე სცადა, თბილისი ირანელთა ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ უშედეგოდ. 1562 წელს სიმონ მეფეს უღალატა ძმამ, დავითმა და ზოგიერთ თავადთან ერთად შაჰს ეახლა. შაჰ-თამაზმა დავითი დიდი პატივით მიიღო, იგი გაამაჰმადიანეს, დაუთ-ხანი უწოდეს და ქვემო ქართლი უბოძეს. ქართლისგან განსხვავებული მდგომარეობა იყო კახეთში. ლევან კახთა მეფე (1518/1520 – 1574) კვლავ ფრთხილ პოლიტიკას ადგა და ირანთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. სწორედ ამ პერიოდში ასტრახანის სახანოს აღების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიას გაუმეზობლდა რუსეთი. ეს მომენტი გამოიყენა კახეთის მეფემ, რომელმაც რუსეთის მეფე ივანე IV-ს 1563 წელს ელჩობა გაუგზავნა და მოკავშირეობა შესთავაზა. ლევანის მეფობის დროს კახეთში მშვიდობა სუფევდა, საქართველოს სხვა მხარეებიდან გამოქცეული მოსახლეობა კახეთს აფარებდა თავს. მემატიანის სიტყვებით ლევან კახთა მეფე „მდიდარი, ხოლო ქვეყანა აღვსილი იყო“. გაშენდა ახალი ქალაქები, მონასტრები, ახალი სასახლეები, სავაჭრო სახლები, ციხესიმაგრეები, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალაქები გრემი და ბაზარი, იგივე ზაგემი (ამჟამად მდებარეობს აზერბაიჯანში, ქალაქ ბელაქნიდან 16 კმ. დაშორებით). გრემი სამეფო ქალაქი გახდა, ზაგემი კი – მთავარი სავაჭრო ცენტრი.

სიმონი კი არ ეპუებოდა ირანელებს და კვლავაც განაგრძობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

1. შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო კავკასიაში პოლიტიკური ვითარება რუსეთის გამოჩენის შემდეგ?

2. შენი აზრით, როგორ აისახებოდა კახეთის სამეფოსა და ირანის ურთიერთობაზე რუსეთთან ურთიერთობის მცდელობა? რატომ?

წყარო ა) ისქანდერ მუნში, ირანელი ისტორიკოსი, „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“, XVI-XVII სს.

„ჰიჯრით ცხრაას სამოცდათხუთმეტ (1567/68) წელს მან (სვიმონ მეფემ) შეაგროვა ურწმუნოთა (ქართველთა) მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და თბილისისკენ გაემართა. დაუდ-ხანიც თავისი ქვეშევრდომი აზნაურების რაზმითა და მუსლიმების ჯარით ქალაქიდან გამოვიდა და ძმასთან საომრად გაეშურა. როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ, მტრის სიმრავლის გამო ყიზილბაშებმა და აზნაურებმა დაინახეს, რომ ძალა არ შესწევდათ, შებრძოლება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და უკან დაბრუნება და ციხეში გამაგრება გადაწყვიტეს... ყიზილბაშთა სარდალი ბრძოლის ველზე დაეცა, დაუდის მხლებლებმა ძალაუნებურად გაქცევის გზა აირჩიეს და თბილისში მოვიდნენ. სიმონ-ხანმა ორჯერ გაიმარჯვა ძმასა და მის ხელქვეითებზე და შფოთი და ჯანყი გაამრავლა“.

DRAFT COPY

3. რამდენად სწორად მოიქცა სიმონ I, როდესაც მამის, ლუარსაბ მეფის, პოლიტიკის გაგრძელება გადაწყვიტა? პასუხი დაასაბუთე.

4. ერთმანეთს შეადარე ქართლისა და კახეთის მეფეების საგარეო პოლიტიკა და იმსჯელე თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებზე

5. შენი აზრით, რატომ ეძახის ა) წყაროს ავტორი ქართველებს ურწმუნოებს?

6. რატომ იხსენიებს ა) წყაროს ავტორი სიმონს, როგორც ხანს?

7. როგორ გესმის ფრაზა: „შფოთი და ჯანყი გაამრავლა“?

8. ჩამოთვალე, რა პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თბილისს დაპირისპირებული მხარეებისთვის.

სიმონის ბრძოლის შესაჩერებლად 1569 წელს შაჰ-თამაზმა ქართლში მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნა. ბრძოლა სოფელ ფარცხისთან გაიმართა. შუა ბრძოლის დროს სიმონი მცირე რაზმით მტრის განლაგებაში შეიჭრა, მაგრამ დაუთ-ხანის მომხრე ყორღანაშვილმა ირანელებს მიანიშნა, რომ მეფე ძირითად ჯარს მოწყვეტილი იყო. ირანელებმა და მათმა მომხრე ქართველებმა ალყაში მოაქციეს სიმონი და დაატყვევეს. სიმონის მომხრე ქართველები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ, ცოტა მოგვიანებით მოღალატე ყორღანაშვილი კოჯორთან მხედართმთავარმა საჩინო ბარათაშვილმა შეიპყრო და კლდიდან გადააგდო. ქართლში დაუთ-ხანი, იგივე დავით XI, გამეფდა. ტყვედ ჩავარდნილი სიმონ მეფე შაჰთან გაგზავნეს. შაჰმა სიმონს გამაჰმადიანება მოსთხოვა. მეფემ უარი განაცხადა და იგი ალამუთის ციხეში გამოკეტეს. 1569-1578 წლებში ქართლის მეფედ დაუთ-ხანი ითვლებოდა, თუმცა მისი ძალაუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. მოსახლეობა რჯულშეცვლილ მეფეს არ აღიარებდა და მხარს არ უჭერდა.



სურ. 2. მუსტაფა ლალა ფაშასა და ალექსანდრე კახთა მეფის შეხვედრა. – მინიატურა ოსმალური წიგნიდან “გამარჯვებათა წიგნი”. 1582 წელი


XVI საკუნის 70-იან წლებში, შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ, ირანში დაიწყო ბრძოლა შაჰის ტახტისათვის. ეს თურქ-ოსმალებს მთელ კავკასიაზე თავიანთი გავლენის გავრცელების შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომაც ისინი ომისთვის სამზადისს შეუდგნენ და 1578 წელს ირანელთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს შეუტიეს. მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით თურქებმა ჩილდირის ტბასთან სპარსელები დაამარცხეს, მთელი სამცხე-საათაბაგო დაიკავეს და თბილისიც კი აიღეს. კახეთის მეფე ალექსანდრე II მიხვდა, რომ მალე ოსმალები მის სამფლობელოსაც ჩაიგდებდნენ ხელში და მათთან მოლაპარაკება გადაწყვიტა. ის სოფელ სართიჭალასთან შეეგება მუსტაფა ლალა-ფაშას, ძღვენი მიართვა და მორჩილება აღუთქვა. ოსმალები ამით დაკმაყოფილდნენ და კახეთში აღარ გაულაშქრიათ.

ალამუთის ციხე – მდებარეობს ირანში, დღევანდელი თეირანიდან დაახლოებით 200 კილომეტრში. სახელი ნიშნავს „არწივის ბუდეს“. ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა X-XIII საუკუნეებში. მომდევნო პერიოდში კი მხოლოდ რეგიონული დანიშნულების იყო.

წყარო ბ) XVII ს.-ის ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მუსტაფა ლალა-ფაშასთან შეხვედრისა და მისი შედეგების შესახებ, 1578 წ.

„ისლამის ლაშქარი ტფილისიდან დაიძრა, გადავიდა მდინარე მტკვარზე და ყაფურწყლის (მდ. იორი) ნაპირას მესამე სადგურზე დაბანაკდა. ამ დროს ზაგემ და გრემად წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვანმა ემირმა, საქართველოს მეფეებში სახელგანთქმულმა და რჩეულმა ალექსანდრე მეფემ ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის წარჩინებულები მოიხმო და სახელოვანი აზნაურებისაგან შეადგინა ამალა და სამეფო

Don't copy



რუკა 23. ოსმალთა ლაშქრობა კავკასიაში 1578 წელს მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით

ბანაკში წასასვლელად მოემზადა... ძლევამოსილი სარდლის ბანაკში რომ მოვიდნენ, თვით მას (ალექსანდრეს) რამდენიმე ხელი საპატიო ტანისამოსი ებოძა და მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით მის ამალაში მყოფ პირებსაც პატივი აღმოეჩინათ. შემდეგ მას (ალექსანდრეს) ებოძა უზენაესი სიგელი, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯა (ხარკი): 30 იუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა შავარდენი და 10 ფრთა მიმინო და (აგრეთვე), რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარბეგის სახელწოდებით“.

9. შენი აზრით, რამდენად მძიმედ დააწვებოდა ნაკისრი ხარაჯა კახეთის სამეფოს? პასუხი დაასაბუთე.
10. ეთანხმები თუ არა ალექსანდრე კახთა მეფის გადაწყვეტილებას, წინააღმდეგობის გარეშე ეკისრა ხარკი ოსმალთა წინაშე? პასუხი დაასაბუთე.
11. როგორ ფიქრობ, ხარაჯის რომელი პუნქტი იქნებოდა ყველაზე ძნელი და რომელი – ადვილი გადასახდელი კახეთის მოსახლეობისთვის?
12. მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობის შემდეგ რომელი ტერიტორიები გადავიდა ოსმალთა ხელში და რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ?
13. შენი აზრით, რატომ იყო მისაღები ოსმალებისთვის კახთა მეფის დიპლომატიური ნაბიჯი?

ოსმალების კავკასიაში გააქტიურებით შეშფოთებულმა ირანმა სიმონ I საპყრობილიდან გამოიყვანა და ქართლში დააბრუნა.

წყარო გ) ადამ ოლეარიუსი, XVII ს.-ის გერმანელი სწავლული და დიპლომატი, „მოგზაურობის წიგნი“.

„სვიმონი იყო მამაცი მებრძოლი, ამავე დროს განათლებული ბატონი. იყო ასევე კარგი პოეტი და ფილოსოფოსი. მან შეძლო, ურთიერთობა დაემყარებინა შაჰის ვაჟთან, **ისმაილთან**...

სვიმონმა მოიპოვა მისი სრული ნდობა და თვითონ იმდენად დაუახლოვდა, რომ მუდმივი პატიმრობისგან თავის დახსნისა და სამშობლოში დაბრუნების მიზნით ისმაილს აღუთქვა, რომ მიიღებდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად, რისთვისაც ისმაილი მას ღირსეულ საჩუქრებსა და ბრწყინვალე მომავალს – გათავისუფლებასა და სამეფოს დაბრუნებას დაჰპირდა. ისმაილი ამ დაპირებას აღასრულებდა, მის უდროო სიკვდილს ხელი რომ არ შეეშალა. მაგრამ მან ის მაინც მოასწრო, რომ სვიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლა და შემდგომში, **შაჰ-ხუდაბენდეს** მეფობისას, ის თურქების წინააღმდეგ მხედართმთავრად დანიშნეს“.

ისმაილი – ირანის შაჰი ისმაილ II (1576-1577), შაჰ თამაზ I-ის მეორე ვაჟი.
შაჰ-ხუდაბენდე – ირანის შაჰი მოჰამედ I ხოდაბენდა (1578-1587), შაჰ ისმაილ II-ის უფროსი ძმა

1578 წელს ქართლში დაბრუნებულმა სიმონ I-მა (მას შაჰმა ირანელთა 5000-იანი მხედრობა და არტილერია გამოაყოლა) ოსმალების წინააღმდეგ ახალი ძალით დაიწყო ბრძოლა. თავს ესხმოდა მათ რაზმებს, მუდმივად ავიწროებდა და ციხე-ქალაქებში მდგარი გარნიზონების სურსათ-სანოვაგით მომარაგებას აფერხებდა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში თბილისსა და გორში მყოფი ოსმალო ჯარისკაცები იყვნენ. ამიტომ თითქმის ყოველ წელს ქართლში მათი ჯარი შემოდიოდა. სიმონ მეფე სისტემატურად ამარცხებდა მათ და მოსვენებას არ აძლევდა. 1588 წელს სიმონ მეფემ ზავი დადო ოსმალებთან და დასავლეთ საქართველოს შემოერთება გადაწყვიტა (ოსმალების ქართლში ლაშქრობებისას იმერეთის მეფე და გურია-სამეგრელოს მთავრები ხშირად მათ ეხმარებოდნენ), მაგრამ ეს გეგმაც ჩაიშალა.

კახეთის მეფე ალექსანდრე II სიმონისგან განსხვავებულ პოლიტიკას ეწეოდა. ის მოხერხებული დიპლომატიით ცდილობდა, კახეთისთვის ომი აეცილებინა. სპარსელებთან და თურქებთან დამთმობი პოლიტიკის პარალელურად რუსეთთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ალექსანდრემ რუსეთში ელჩობა გაგზავნა. 1586 წ. ალექსანდრე II-ის ელჩები – იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი – უკვე თევდორე ივანეს ძესთან იყვნენ. ალექსანდრემ რუსეთის მეფეს სთხოვა, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგზე ციხესიმაგრე აეგო, რათა მომავალში კახეთისკენ გზა

Don't copy

გაეჭრა. ეს ელჩობები ურთიერთშეთანხმებით დასრულდა. 1587 წელს ალექსანდრემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რომლის თანახმად, კახეთი რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში შედიოდა, ანუ მისი ვასალი ხდებოდა და ყოველწლიურ მოსაკითხს, იმავე ხარკს, კისრულობდა. სამაგიეროდ, რუსეთი კახეთის მტერს თავის მტრად მიიჩნევდა.

წყარო დ) ისქანდერ მუნში, ირანელი ისტორიკოსი, „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“, XVI-XVII სს.

ალიყული ჯაბადარი (ევროპულ სამოსში), შაჰი სულეიმან I და მისი კარისკაცები. ჯაბადარის ნახატი, 1670

„სიმონ-ხანს ირანის მორჩილებაზე ფეხი მტკიცედ ედგა და ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწია, გზაჯვარედინებსა და მთის გადასასვლელებზე მტრის ჯარს წინ ხვდებოდა სხვა ქართველებთან ერთად და საგრძნობ ზარალსაც აყენებდა. ალექსანდრე-ხანი კი ცბიერი და წინდახედული კაცი იყო, თავისი საქმის სიკეთეს ჩაუკვირდა და ოსმალებისთვის მეგობრულად თავის მოჩვენება ამჯობინა, ლალა-ფაშას მორჩილება გამოუცხადა... ალექსანდრე-ხანი თავისის სწორი მსჯელობითა და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობის და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო... თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე ისტუმრებდა, ერთგულებას უცხადებდა მას, ძღვენსა და საჩუქარს უგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა“.

14. ალექსანდრე კახთა მეფე სპარსელებთან და ოსმალებთან დამთმობი პოლიტიკის პარალელურად რუსეთის სამთავროსთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას. იმსჯელე მეფის დიპლომატიის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

15. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის ჩრდილო კავკასიის კონტროლს?

16. შენი აზრით, შეეძლო თუ არა რუსეთს „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება?

17. რა წინააღმდეგობები შეხვდებოდა სიმონ მეფეს დასავლეთ საქართველოს შემოერთების პროცესში? პასუხი დაასაბუთე.

18. წყაროს მიხედვით, როგორ იყენებდა სიმონ მეფე ტერიტორიულ უპირატესობას მტრისათვის ზარალის მისაყენებლად?

19. როგორ ახასიათებს ისქანდერ მუნში ალექსანდრე კახთა მეფეს? როგორ აფასებს ის ქართლის მეფის პოლიტიკას?

20. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 71. ტექსტსა და წყაროებზე (ბ), დ) დაყრდნობით შეავსე ცხრილი კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 72. 1-დან 5 ქულამდე შეაფასე ქართლისა და კახეთის მეფეების მოღვაწეობა ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებების მიხედვით

Don't copy

ოსმალები აგრძელებდნენ თავის დამპყრობლურ პოლიტიკას. მათ ჯერ 1579 წელს ახალციხის საფაშო შექმნეს და ამ გადაწყვეტილებით სამცხე-საათაბაგო დანარჩენ საქართველოს მოსწყვიტეს, მოგვიანებით კი მთელი ეს დაპყრობილი ტერიტორია (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, შავშეთი და სხვა ქართული ტერიტორიები – ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულში – გურჯისტანის ვილაიეთში გააერთიანეს. შედეგად ეს ტერიტორია ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა და მის მმართველობას დაექვემდებარა. ამ რეფორმის მიხედვით, მიწის მფლობელი აუცილებლად მუსლიმი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ქართველ ფეოდალებს ან ისლამი უნდა მიეღოთ, ან საკუთარი მამულების



სურ 4. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (ჯაბა ლაბაძის ფოტო)

განკარგვა აეკრძალებოდათ. ქრისტიანთაგან ოსმალები ყველაზე მეტად მართლმადიდებლებს ავიწროვებდნენ, რადგანაც მათ ქართველებთან აიგივებდნენ. ნაკლებად დევნიდნენ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ჯერ კიდევ 1536 წელს ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ“. სწორედ ამიტომ ბევრი ქართველი მართლმადიდებელი, თავის გადასარჩენად კათოლიკური ეკლესიის წევრი ხდებოდა.

ჩვენემდე მოაღწია ოსმალების მიერ ახლად დაპყრობილი მიწების – გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორიების აღწერის დოკუმენტმა (1574 წ.): “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი,” რომელშიც მოცემულია ოსმალეთის მეირ დაპყრობილი ქართული მიწების დეტალური აღწერილობა. ოსმალები ამ დავთარს საკომლო, სულადი და სამიწათმოქმედო გადასახადების ასაკრებად იყენებდნენ. კიდევ უფრო ვრცელი დავთარი შეიქმნა 1595 წელს.

წყარო ე) ფარსადან გორგიჯანიძე, ქართველი ისტორიკოსი, „ისტორია“, XVII ს. (ტექსტი ადაპტირებულია)

„ხონთქარმა (ოსმალეთის სულთანმა) და ყაენმა (ირანის შაჰმა) საქართველო შუაში გაიყვეს. სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზთა ქვეყანა ხონთქარს ერგო. ამ გაყოფას საქართველოს ყველა მეფე-მთავარი დასჯერდა, მეფე ლუარსაბის გარდა. ის ამ გაყოფას თაკილობდა, ურჩობდა და აქეთ ირანს, იქით კი ოსმალეთის ქვეყნებს არბევდა“.



რუკა 24. ახალციხის საფაშოს შექმნა XVI ს. ბოლოს

Do not copy

წყარო ვ) გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. 1595 წ.

თავი 1. ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა (იქ) მცირეა, ამიტომ, ძველი დავთრის თანახმად, თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც ის ძველი დროიდანვე ჰფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩა.

თავი 3. აკრძალულია დამუშავება და შემოღობვა იმ საძოვართა, რომელზედაც ძველი დროიდანვე იმყოფებოდა შემოღობილი ადგილები ქალაქის მცხოვრებთა ანდა ციხეების და სოფლების მოსახლეობის საქონელთათვის. გადასახადის აღება ვენახებიდან და ბაღებიდან იმ სახით, როგორც ეს ჩაწერილია, შეესაბამება კანონს ძველსა და ახალ დავთარში იჯარის სახით ჩაწერილი ვენახებიდან და ბაღებიდან აიღება მხოლოდ საიჯარო ქირა: მეტი არაფერი არ უნდა იქნეს აღებული.

თავი 8. გამოსაღები ცხვარზე. ორ ცხვარზე – 1 ახჩა, დაკანონებულია, რომ ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლებოდეს ერთ (მთელ)ად. დაკანონებულია (აგრეთვე), რომ ცხვრის გამოსაღები აღებულ იქნას აპრილის თვეში.

თავი 10. გამოსაღები ფუტკარზე. თითო სკის თაფლზე აიღება ორ-ორი ახჩა.

თავი 11. საქორწინო გამოსაღები აიღება სამოც-სამოცი ახჩა ქალწულისაგან და ოცდაათ-ოცდაათი ახჩა ქვრივისაგან.

თავი 14. ცხენის ბაზარზე ცხენი რომ გაიყიდოს, თორმეტი ახჩა უნდა აიღონ. სასაკლაოზე რომ ცხვარი გაიყიდოს, ორ ცხვარზე ერთი ახჩა უნდა აიღონ, თუ კამეჩი გაიყიდება – 4 ახჩა, თუ ხარი გაიყიდება – 2 ახჩა. და თუ სხვა ვილაიეთიდან საპალნით ტილო და ბამბა შემოვიდა, უნდა იქნეს 2 ახჩა გადახდევინებული. ქიშმიშის, ლეღვისა და სხვა ხმელი ხილის საპალნეზე (უნდა აიღონ): ცხენის საპალნეზე – 2 ახჩა, აქლემის საპალნეზე – 4 ახჩა, და ვირის საპალნეზე – 1 ახჩა, ხოლო თუ ხილი არ გაიყიდა, არაფერი არ გადახდებათ. ნედლი ხილის 2 საპალნეზე ერთი ახჩა უნდა აიღონ.

თავი 16. საბაზრო ბაჟი ქალაქში შემოსულ მარცვლეულზე: თუ ხორბალი ან ქერი გაიყიდება, ნახევარი ქილა უნდა აიღონ.

თავი 18. თუ ვინმე სისხლს დააქცევს, მისი დასჯის (შესახებ): თუ ის მდიდარია (მას უნდა) გადახდეს ჯარიმა – 400 ახჩა. თუ ის საშუალო შეძლებისაა – 200 ახჩა, თუ ღარიბია – 100 ახჩა.

თავი 19. თავის გაპობისათვის, ძვლის გატეხისათვის, კბილის ჩაგდებინებისათვის, აგრეთვე თუ ვინმე მახვილით ან გურზით და სხვა საომარი იარაღით დაჭრის შედეგად ლოგინში ჩაწვება მაშინ ცნობილი ჩვეულებას მიხედვით უნდა აიღონ 100 ახჩა, უფრო მცირე დანაშაულისათვის, როდესაც საჭიროა (დამნაშავის, გამოსწორება და დასჯა), უნდა აიღონ 30 ახჩა.

Don't copy

ახჩა – თურქული ვერცხლის ფულის ძირითადი ერთეული (XIV საუკუნიდან)
საპალნე – საზომი ერთეული. საპალნის ოდენობა 8-10 ფუთი იყო (დაახლ. 147 კგ). სხვადასხვა საპალნე განსხვავებული ზომის იყო. ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნე თითქმის ერთი სიდიდის იყო, ვირის საპალნე კი მათზე 2-2,5-ჯერ ნაკლები.

ახალციხის მეჩეთი აიგო 1747–1752 წლებში იტალიიდან მოწვეული არქიტექტორების მიერ აია-სოფიას ტაძრის გეგმის მიხედვით, (აია-სოფია მდებარეობს დღევანდელ სტამბულში. ააშენე რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, როგორც ქრისტანული ტაძარი. ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453) გადაკეთდა მეჩეთად). მეჩეთის გვერდი იდგა მედრესე (მაჰმადიანთა საშუალო ან უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი) სადაც განთავსებული იყო უმდიდრესი წიგნთსაცავი, რომელიც რუსებმა გაძარცვეს და პეტერბურგში წაიღეს ახალციხის აღების შემდეგ (1828).



სურ. 3 ახალციხის მეჩეთი და ჯაყელების ციხე

22. შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა ქართული მოსახლეობის სოციალური და კულტურული ყოფა გურჯისტანის ვილაიეთის ჩამოყალიბების შემდეგ?
23. რატომ გახდა ოსმალეთის ვილაიეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა იძულებული, რომ თავის რელიგიაზე უარი ეთქვა?
24. რა საფრთხეს უქმნიდა ქართულ სამეფოებს სამცხე-საათაბაგოსა და აჭარაზე ოსმალთა უშუალო კონტროლის დამყარება?
25. შენია აზრით, რა ტიპის დოკუმენტია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი და კანონთა წიგნი?
26. მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური აქტივობების რა მიმართულებებს აწესრიგებს გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი?
27. შენი აზრით, რამდენად სა,მართლიანია გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნით გაწერილი დებულებები? პასუხი დაასაბუთე.
28. რამდენად რთული იქნებოდა კანონთა წიგნით დაწესებული გადასახადების გადახდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის? პასუხი დაასაბუთე.
29. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 73. გაიხსენე განვლილი მასალა, გაეცანი ტექსტს, ფოტომასალას და შეავსე ცხრილი.
30. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 130. შეავსე კონტურული რუკა, „ახალციხის საფაშოს შექმნა XVI ს. ბოლოს“

Draft copy

26 რა გავლენა იქონია საქართველოზე თურქეთ-ირანის დაპირისპირებამ XVI ს.-ის ბოლოსა და XVII ს.-ის დასაწყისში (შაჰ აბას I-ის ლაშქრობები საქართველოში)

1587 წლიდან ირანის ახალმა მმართველმა შაჰ აბას I-მა (1587-1629) და ქართველმა მეფეებმა ანტიოსმალური კოალიციის შექმნისთვის კიდევ ერთი მზადება დაიწყეს და ევროპის მმართველებთან მოლაპარაკებები წამოიწყეს. სიმონ I-მა ევროპაში სხვადასხვა მმართველთან რამდენიმე წერილი გააგზავნა.

წყარო ა) სიმონ I-ის წერილიდან ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს, 1596 წ.

„ჩვენ, ქართველთა ბატონი სიმეონი და ალექსანდრე (კახეთის მეფე) აღმოსავლეთის ბატონი, აგრეთვე აბასი სპარსთა შაჰი – სამნი გაერთიანდით ერთი სურვილითა და აზრით, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, მომავალში შევებრძოლოთ თურქს, დავუმსხვრიოთ მას რქები წმინდა ქალაქის იერუსალიმის, ქრისტეს მორწმუნე ხალხის ურჯულოს მტრული ხელიდან განთავისუფლებისათვის. ამიტომ მავედრებელნი მივმართავთ შენს მეფურ ძალაუფლებას, რომ **კეისარმა** ინებოს მოკავშირეობა და არ დაუზავდეს თურქს, რათა დაზავების შემდეგ ის ურწმუნო არ წამოვიდეს ჩვენ წინააღმდეგ. ყველა ჩემი გმირითა და მმართველით მოსურნე და მზადა ვართ, ვეწამოთ და დავიხოცოთ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, სარწმუნოებისათვის, რათა ჩვენსავე დროში წმინდა ქალაქი იერუსალიმი უფლის საფლავითურთ გადავიდეს ქრისტიან მეფეთა ხელში... აგრეთვე გთხოვ, მხარი დამიჭირე წერილის საშუალებით სპარსელთა მეუფესთან, რომ ერთსულოვნად უკეთ შევძლოთ დავასრულოთ ჩვენი საქმე და კეთილი განზრახვა ქრისტიანთა მიმართ“.

კეისარი (გერმ. კაიზერი) – იგულისხმება გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერატორი რუდოლფ II (1556-1598 წწ.)

წყარო ბ) სიმონ I-ის ელჩის, მამა იაკობის, პასუხიდან ვენეციის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანს მარკო ოტობონოს, 1597 წ.

„სვიმონი არის მამაცი ჯარისკაცი. იგი 65 წლისაა, ხოლო მისი ვაჟი – 25 წლისა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული. ქართველებს დაახლოებით ორმოცი ათასი ქვეითი და ბევრი მეისრე ჰყავთ. მათ არ გააჩნიათ კავალერია. მათი ქვეყანა მთაგორიანია და იქ კავალერიას ვერ იყენებენ. ქართველების დახმარების გარეშე სპარსეთის შაჰი დიდ სიძნელეებში აღმოჩნდებოდა“.

წყარო გ) რომის პაპ კლემენტ VIII-ის წერილი სიმონ I-ისადმი, 1598 წ.

„შენმა წერილმა, რომელიც გამოგვიგზავნე საყვარელი შვილის იაკობის ხელით, აღგვავსო ჩვენ არაჩვეულებრივი სიხარულით... ჩვენ ჩვენი მწყემსური ზრუნვით და მოციქულებრივი ხედვით არ შევწყვეტთ თხოვნას, რომ შევაგულიანოთ ქრისტიანი მეფეები და ხელმწიფეები, გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ თავად, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ძალა უკუვაქციოთ თურქების შემოტევა და რისხვა, ვაგზავნით უნგრეთში დახმარებასა და ჯარს. ეს შენთვის იმის მანიშნებელია, რომ უკან არ დაიხიო არავითარი სიძნელეებისა და საშიშროების წინაშე, არამედ გამხნევდე და უძლეველად იბრძოლო სასტიკ ოსმალებთან, მზად იყო, აუცილებლობის შემთხვევაში შენი სისხლიც კი დაღვარო საკურთხეველისთვის, თუ საქმე ამას მოითხოვს“.

Don't copy

1. გაიხსენე, კიდევ როდის გაერთიანდნენ ქართველი და ირანელი მმართველები ოსმალთა წინააღმდეგ?
2. ჩამოთვალე ის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც სიმონ მეფე სწერს ფილიპე II-ს წერილში.
3. იმსჯელე, გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ქართველი მეფეების სამხედრო კავშირი ესპანეთის მონარქთან.
4. რატომ იყო საინტერესო სპარსეთის მეფისათვის იერუსალიმის გათავისუფლების მიზნით ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობა? პასუხი დაასაბუთე.
5. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 74. წაიკითხე წყარო ა) და ერთმანეთს შეადარე ქართველი მეფეების (კახეთი, ქართლი), სპარსეთის, ესპანეთის ინტერესები ანტიოსმალურ კოალიციაში.
6. რა საფრთხეს შეუქმნის, სიმონის აზრით, ოსმალეთის აღმოსავლეთ მეზობლებს მისი მოკავშირეობა გერმანიის იმპერატორთან?
7. მამა იაკობის პასუხის მიხედვით, რა როლს თამაშობდა საქართველოს გეოგრაფიული თავისებურება ქართველების შეარაღებასა და თავდაცვისუნარიანობაში?
8. შენი აზრით, რამდენად ადეკვატური და პრაგმატული იქნებოდა ქართველი მეფეებისთვის იერუსალიმის გასათავისუფლებლად ბრძოლა მაშინ, როდესაც საქართველო მუდმივად განიცდიდა ოსმალურ თავდასხმებს? პასუხი დაასაბუთე.
9. რა საკითხზეა მთავარი აქცენტი გაკეთებული წყარო ბ)-ში?
10. შენი აზრით, რამდენად შეამსუბუქებდა ქართული სამეფოების მდგომარეობას რომის პაპის ორგანიზებით აღმოსავლეთ ევროპაში გაგზავნილი ჯარი?
11. რა განწყობა და სულისკვეთება იკითხება რომის პაპ კლემენტ VIII-ის წერილში?

საბოლოოდ, ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ისევ არ მოხერხდა. 1598 წლიდან სიმონ მეფემ სპარსელებთან შეთანხმებით კვლავ გააგრძელა ოსმალების წინააღდეგ ბრძოლა. გორის ციხეც კი აიღო და გაათავისუფლა თურქებისგან, მაგრამ 1600 წელს ფარცხისთან ბრძოლაში სამოც წელს გადაცილებული მეფე ტყვედ ჩავარდა. თურქებმა ის სტამბოლში წაიყვანეს და იედიყულეს ციხეში გამოკეტეს, სადაც ის 1611 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა.

შაჰ აბას I ტახტზე ასვლის პირველ ხანებში ქართლ-კახეთის მეფეებს ეფექტიანად იყენებდა ოსმალთა წინააღმდეგ. ამავე დროს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც ეძებდა მოკავშირეებს. შაჰ აბასი კარგად ხედავდა, რომ არსებული რესურსებით ოსმალეთს სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ამიტომ გამეფებიდან მალევე (1590 წ.) ოსმალებთან საზავო ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმად, აღმოსავლეთი საქართველო, სომხეთი და ადარბადაგანის (აზერბაიჯანის) დიდი ნაწილი მოწინააღმდეგეს დაუთმო.

მშვიდობიანი პერიოდი შაჰ აბასმა როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების მოსაგვარებლად გამოიყენა. განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება, განახორციელა მნიშვნელოვანი რეფორმები: შეზღუდა ფეოდალების უფლებები, შექმნა ახალი სამხედრო რაზმები (მეთოფეთა და მეზარბაზნეთა ნაწილები), ჩამოაყალიბა დაქირავებულ მეომართა (ე. წ. ყულის) ჯარი. მის დროს ირანში მნიშვნელოვნად გაიზარდა კავკასიელთა გავლენა. ყულის ჯარში ძირითადად ქართველები, სომხები, ჩერქეზები მსახურობდნენ. შაჰის კარზე ქართული და სომხური წარმოშობის არაერთი ცნობილი სარდალი მოღვაწეობდა (მაგ., ქართველი ალავერდი-ხან უნდილაძე, სომეხი ყარჩიხა-ხანი...). 150 წლის განმავლობაში ირანის დედაქალაქ ისპაჰანის ტარუღა (ქალაქის თავი) უცვლელად ქართველი იყო.


სურ. 1 იედიყულეს ციხე


1599 წელს შაჰ აბასს ინგლისელ მოგზაურთა ჯგუფი ეწვია, რომელსაც ანტონი შერლი ხელმძღვანელობდა. მათი მიზანი იყო შაჰის ანტიოსმალურ კოალიციაში ჩართვაზე დათანხმება.

Don't copy

წყარო დ) XVII ს-ის ინგლისელი დიპლომატი ანტონი შერლი ირანის შაჰის კარზე არსებულ მდგომარეობაზე:

„მე გარკვეული დრო მოვანდომე იმაზე ფიქრს, თუ რა გზას უნდა დავდგომოდი და გამეგო მისი (მეფის) მოქმედების მიზანი, მის ბუნებასა (ხასიათზე) და მიდრეკილებებზე დაკვირვებით; გარდა ამისა, არა მხოლოდ უნდა მიმეღწია იმისთვის, რომ მას (მეფეს) შინაგანად მოვწონებოდი, არამედ ყველა მისი დიდი თანამდებობის ადამიანს – განსაკუთრებით იმათ, რომლებიც, ჩემი წარმოდგენით, ყველაზე უკეთესი და ძლიერი დამხმარეები იქნებოდნენ ჩემი მიზნის მიღწევაში. ასეთებად მივიჩნიე ალავერდი ხანი – მისი გენერალი და შაჰთამას ყული ბეგი – ორივე ქართველი. და თუმცა ისინი მაჰმადიანებად აქცია მეფის მამამ, რომელსაც მიუყვანეს ახალგაზრდობაში, მაინც მათ მუდამ ქრისტიანული გულები ჰქონდათ და უსაზღვროდ კეთილად იყვნენ განწყობილნი ყველაფრისადმი, რასაც შეეძლო ქრისტიანთა წამოწყებისათვის ხელის შეწყობა და საჯაროდ უსურვებდნენ კარგს მათ (ქრისტიანებს) საქმიანობაში და ყველა შემთხვევას იყენებდნენ, რომ მათთვის სახელი და პატივი მიეგოთ“.

1601 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს აუჯანყდა თავისი ვაჟი დავითი და მამას სამეფო რეგალიების გაგზავნა მოსთხოვა. ალექსანდრემ დავითს დაუთმო მეფობა, თავად კი ბერად აღიკვეცა. თუმცა მალევე, 1602 წელს, დავითი უკურნებელი სენით გარდაიცვალა და კახეთის მეფედ ისევ ალექსანდრე II დადგა.



სურ. 2 შაჰ აბასი და ალავერდი-ხან უნდილაძე დეტალი ჩეჰელ სოტოუნის სასახლის (ისპაჰანი) კედლის მხატვრობიდან

შაჰ აბასის რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ირანის სამხედრო სიძლიერე. სეფიანებმა კავკასიაში დაკარგული უფლებების აღდგენა გადაწყვიტეს და 1603 წელს ოსმალეთს ომი გამოუცხადეს, რომელიც მცირეოდენი შესვენებებით თითქმის 35 წელიწადს გაგრძელდა. შაჰ აბასმა ერევნის ციხე აიღო. მას მხარი დაუჭირეს კახეთისა და ქართლის მეფეებმა ალექსანდრე II-მ და გიორგი X-მ, რისთვისაც შაჰმა მათ საჩუქრები უბოძა. ალექსანდრეს ყოველწლიურად 700 თუმანი დაუნიშნა, გიორგის კი – 300 თუმანი და დამატებით 3 სოფელი უბოძა ირანში. სამაგიეროდ, შაჰმა კახეთის მეფეს კაკ-ენისელის მხარე მოსთხოვა, იქ მმართველად ადგილობრივი დიდებული დანიშნა. ამის შემდეგ, კაკ-ენისელში გაძლიერდა დაღესტნელების ჩასახლება. ქართლის მეფისგან კი ლორეს მხარე მოითხოვა, იქაც ქართველი გამაჰმადიანებული თავადი დანიშნა ხანად და დებედის ხეობაში თურქმანული ტომი ბორჩალუ ჩაასახლა.

ლორე – ქართული ისტორიული მხარე თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე.
კაკ-ენისელის მხარე – ისტორიული კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთი პროვინცია, დღევანდელი საინგილოს ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

1605 წელს შაჰმა ალექსანდრე II-ს შირვანზე გალაშქრება დაავალა და კახეთში ყიზილბაშთა ჯარი გამოგზავნა ალექსანდრეს გამაჰმადიანებულ შვილ კონსტანტინე-მირზასთან ერთად, რომელიც შაჰის კარზე იყო გაზრდილი. კონსტანტინე მოსალაპარაკებლად ალექსანდრე მეფეს ქალაქ ძეგამში ეწვია. თუმცა მას შემდეგ, რაც მას და გიორგი ბატონიშვილს შირვანზე გალაშქრების თაობაზე ყოყმანი შეატყო, მამა, ძმა და კახელი თავადები ყიზილბაშებს დაახოცვინა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მოღალატე კონსტანტინესა და ირანის წინააღმდეგ კახეთში აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გარდაცვლილი დავით მეფის ქვრივი ქეთევან დედოფალი. აჯანყებულმა კახელებმა გაიმარჯვეს და კონსტანტინე მოკლეს. შაჰ აბასმა კახეთის მმართველად ქეთევან დედოფლის მცირეწლოვანი შვილი თეიმურაზი დანიშნა. ქვეყანას კი რეალურად მისი დედა მართავდა.

Draft

1605 წელს ირანელებმა ურმიის ტბასთან სასტიკად დაამარცხეს ოსმალთა არმია. სამცხე-საათაბაგო კი სრულად ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა არ ეგუებოდა ოსმალთა ბატონობას. მათ ბრძოლას სათავეში ედგა სამცხის ათაბაგის ქვრივი ელენე, სიმონ მეფის ასული, რომელმაც თავისი მცირეწლოვანი შვილი მანუჩარი ირანში დახმარების სათხოვნელად გაგზავნა. შაჰმა მართლაც აღუთქვა დახმარება, თუმცა მხოლოდ უკან დასაბრუნებელი ფული და მცირე საჩუქრები უბოძა. მიუხედავად ამისა, სამცხეს გვერდში დაუდგა ქართლი. 1608-1609 წლებში ქართლის ჯარის დახმარებით ელენემ ახალციხე გაათავისუფლა და ციხესიმაგრეც აიღო. ოსმალებმა ამის საპასუხოდ დიდი ლაშქრობა მოაწყვეს, ახალციხე ისევ დაიბრუნეს და 1609 წლის ივნისში ქართლში შეიჭრნენ. ამ დროს ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615 წწ.) საზაფხულო რეზიდენცია ცხირეთში იმყოფებოდა. ეს გაიგეს ოსმალებმა და მოკლე გზით მანგლისიდან ცხირეთში გაჭრა გადაწყვიტეს. გზად რამდენიმე სოფელიც გადაწვეს და ერთ-ერთ მათგანში მღვდელი თევდორე შეიპყრეს, რათა ოსმალებისთვის გზა ეჩვენებინა. გაკოჭილი ხუცესი ორ ჯარისკაცს ცემით მიჰყავდა და ცხირეთისკენ მიმავალი გზის ჩვენებას აიძულებდა. თევდორე მღვდელმა განგებ სხვა გზით წაიყვანა ოსმალთა ჯარი და ამით ქართველებს ჯარის შეკრებისა და მომზადების დრო მისცა. როდესაც ოსმალებმა შეიტყვეს, რომ თევდორე მღვდელი მათ განგებ სხვა გზით ატარებდა, სასტიკად აწამეს და თავი მოჰკვეთეს. მისმა გმირობამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ამასობაში ქართლის მეფემ და დიდებულებმა ჯარიც შეკრიბეს და საბრძოლო გეგმაც დაისახეს. სამხედრო თათბირს ლუარსაბ მეფე მეთაურობდა, მას ესწრებოდნენ ქართველი სარდლები – თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და თავადი ზაზა ციციშვილი. ბრძოლა სოფელ ტაშისკართან მოხდა და მთელ დღეს გაგრძელდა. ქართველები სწრაფად დაესხნენ თავს მოწინააღმდეგს და მათი ლაშქარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გიორგი სააკაძემ. ქართველებმა დიდძალი ქონება და მრავალი ტყვე იგდეს ხელთ.

ტაშისკარის ბრძოლაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ქართველებში ისევ იჩინა თავი ქიშპობამ. გიორგი სააკაძის და მეფე ლუარსაბის მეუღლე იყო. მათი ნათესაობა და გიორგი სააკაძის წარმატებები ბევრ მოწინააღმდეგე დიდებულში შურს ბადებდა. მათგან გამორჩეული იყო შადიმან ბარათაშვილი. სააკაძეს ღალატსა და ორგულობას აბრალებდნენ. მათ მოახერხეს და მეფე ლუარსაბიც დაიყოლიეს სააკაძის დასჯაზე. 1612 წელს შეთქმულებმა გიორგი სააკაძე მეფის საზაფხულო რეზიდენციაში მიიწვიეს ნადირობის საბაბით, სინამდვილეში კი მის მოკვლას აპირებდნენ. გიორგი სააკაძე მართლაც ჩავიდა წავკისში სანადიროდ, მაგრამ ღამით ერთ-ერთმა თავადმა და სააკაძის მხარდამჭერმა ბააკა ხერხეულიძემ მას მეფისა და მისი დიდებულების ნამდვილი განზრახვა შეატყობინა. სააკაძემ სწრაფად დატოვა წავკისის სამეფო რეზიდენცია, მერე კი ირანში გაიქცა შაჰ აბასთან. შეთქმულთა გაცემის გამო ბააკა ხერხეულიძე სასტიკად დასაჯეს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მას „ცხვირ-პირი დააჭრეს“.

მრავალი ცდის მიუხედავად, ოსმალეთმა ვერ შეძლო აღმოსავლეთ კავკასიაში ფეხის მოკიდება და იძულებული გახდა, იქ ირანის ბატონობა ეცნო. 1612 წლის სტამბოლის ზავით, ირან-ოსმალეთმა კიდევ ერთხელ გაიყო კავკასია. მათ ძირითადად ამასიის ზავის პირობები მიიღეს, მხოლოდ ერთი შესწორებით – სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის ხელში გადავიდა.

12. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ოსმალებისათვის სიმონ I-ის დატყვევება?
13. როგორ ფიქრობ, რა მიზანი ჰქონდა ირანის შაჰს აბას I-ს, როდესაც გამეფებიდან მალევე ოსმალებთან მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებზე წავიდა?
14. რა საერთო ინტერესი ჰქონდა ირანის შაჰს დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც დიპლომატიური კავშირის დამყარებას ცდილობდა?
15. წყარო დ-ს მიხედვით, რა მიზანს ისახავდა ინგლისელი დიპლომატი ანტონი შერლი შაჰის კარზე სტუმრობისას?
16. რატომ ჩათვალა ინგლისელმა დიპლომატმა, რომ მიზნის მიღწევაში ირანის კარზე მოღვაწე ქართველი დიდმოხელეები დაეხმარებოდნენ?
17. რით ხსნის ინგლისელი დიპლომატი ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველების კეთილგანწყობას?
18. რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ლორესა და კაკ-ენისელის მხარეებს, რომლებიც შაჰმა ქართულ სამეფოებს ჩამოაცილა და თავის ერთგულ ხანებს ჩააბარა?
19. რატომ იყო მნიშვნელოვანი ტაშისკარის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება? როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები საპირისპირო შემთხვევაში?

Don't copy

20. რა შეიცვალა 1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით?
21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 75. გაკვეთილის ტექსტსა და განვლილ მასალაზე დაყრდნობით აღწერე 1612 წლის მდგომარეობით მეზობელი იმპერიების გავლენა საქართველოზე.
22. შენი აზრით, რატომ დააწინაურა შაჰ აბასმა ირანის ჯარში და თავის კარზე კავკასიელები?
23. იმსჯელე, რა იყო შაჰ აბასის პოლიტიკა, როდესაც ქართველ მეფეებს ჯამაგირს უნიშნავდა, სოფლებს ჩუქნიდა ირანში და იმავდროულად მათ სამფლობელოებში მუსლიმ მმართველებს ნიშნავდა და თურქმანულ ტომებს ასახლებდა.

1612 წელს ოსმალეთთან დადებული ზავის შემდეგ შაჰ აბასმა გადაწყვიტა, მთლიანად დაემორჩილებინა აღმოსავლეთი საქართველო. მან თავისთან დაიბარა ქართლის მეფე ლუარსაბ II და კახეთის მეფე თეიმურაზ I, თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ მასთან. მაშინ შაჰმა ჯარი შეკრიბა და საქართველოსკენ დაიძრა. განჯაში მისულმა თეიმურაზს შეუთვალა, ერთგულების ნიშნად მძევლები გაეგზავნა მასთან. ბევრი თათბირის შემდეგ შაჰთან თეიმურაზის დედა ქეთევანი და მეფის ვაჟები ალექსანდრე და ლევანი გააგზავნეს. შაჰმა თეიმურაზის მისვლაც მოითხოვა, მაგრამ კახეთის მეფე განჯაში არ გამოცხადდა. შაჰ აბასმა მძევლები სპარსეთში გააგზავნა, თვითონ კი 1614 წელს კახეთში შეიჭრა. სულ კი 1614-1617 წლებში ოთხი ლაშქრობა მოაწყო:

I ლაშქრობა (1614 წელი) – ირანელებმა დაიკავეს ქალაქი გრემი და ალავერდი, სადაც ირანული ჯარი ჩააყენეს. ქართლ-კახეთის მეფეებმა იმერეთში გადასვლა ამჯობინეს. შაჰმა კახეთის მმართველად თეიმურაზის ბიძაშვილი, გიორგის ვაჟი, გამუსლიმებული იესე (ისა-ხანი) დანიშნა. შაჰი კახეთიდან ქართლში გადავიდა, თბილისსა და სურამშიც თავისი გარნიზონი ჩააყენა და ქართლ-კახეთის მეფეებს შეუთვალა, რომ დანაშაულს აპატიებდა, თუ მას ეახლებოდნენ. ქართლის მოღალატე თავადის შადიმან ბარათაშვილის შუამავლობით ლუარსაბ მეფე იმერეთიდან დაბრუნდა და შაჰს ეახლა, მან კი ის ირანში გაიყოლა.

II ლაშქრობა (1615 წელი) – კახეთში ანტიირანული აჯანყება დაიწყო თეიმურაზის ხელმძღვანელობით. შაჰმა აჯანყების ჩასახშობად კახეთში 15-ათასიანი ლაშქარი გამოაგზავნა ალი ყული-ხანის მეთაურობით, მაგრამ ქართველებმა ირანელთა დამარცხება მოახერხეს.

III ლაშქრობა (1616 წელი) – შაჰ აბასი თავად გამოემართა კახელებზე შურის საძიებლად. ჯერ ქართლში შევიდა და იქ მმართველად დაუთ-ხანის გამაჰმადიანებული შვილი ბაგრატ-ხანი დანიშნა. შემდეგ კი კახეთში შეიჭრა და სამი თვე არბევდა ქვეყანას – დაანგრია და გადაწვა ციხე-ქალაქები და ეკლესია-მონასტრები, აჩეხა ვენახები და ბაღები.

IV ლაშქრობა (1617 წელი) – შაჰ აბასის წინააღმდეგ კახეთში ახალი აჯანყება დაიწყო. შაჰმა ჯერ ისა-ხან ყორჩიბაში გამოგზავნა კახელების დასასჯელად, შემდეგ კი იმავე წელს თავადაც ილაშქრა კახეთში და იქაურობა კიდევ ერთხელ დაარბია.

1614-1617 წლების ლაშქრობების შედეგად კახეთიდან 200 ათასი კაცი გადაასახლეს ირანის ხრიოკ რეგიონში – ფერეიდანში. 100 ათასი ადამიანი კი შემოსევების დროს დაიღუპა. შემოსევების შედეგად მოსახლეობისგან დაცარიელებულ ივრისა და ალაზნის ნაყოფიერ ველებზე თურქმანების ჩამოსახლება დაიწყო. ამ ლაშქრობების მიუხედავად, შაჰ აბასმა მაინც ვერ მოახერხა აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება. ქართველების დაუმორჩილებლობით გამწარებულმა შაჰმა თეიმურაზის ტყვედ მყოფი შვილები დაასაჭურისებინა (1620 წ.). ერთი ფსიქიკურად დაავადდა, მეორე კი მოკვდა. შაჰ აბასმა წამებით მოაკვლევინა თეიმურაზ მეფის დედაც, ქეთევან დედოფალი (1624 წ.), რომელსაც შაჰი გამაჰმადიანებას და ცოლობას სთხოვდა.1622 წელს შაჰმა ტყვედ მყოფი ლუარსაბ მეფეც სიკვდილით დასაჯა. ლუარსაბ მეფე და ქეთევან დედოფალი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, რადგან მათ ქრისტიანობაზე უარის თქმას და სამშობლოს გაყიდვას წამება და სიკვდილი ამჯობინეს.

წყარო ე) იტალიელი მოგზაურისა და დიპლომატის პიეტრო დელა ვალეს ცნობა ქეთევან დედოფლის წამების შესახებ:

„თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი, როგორც ვსთქვი, წაყვანილი იყო თავის პატარა შვილის-შვილებით შირაზში, სადაც ჩემს დროს მას კარგად ეპყრობოდნენ. მთელის თავის სახლით (მას ჰყავდა მრავალი მოსამსახურე ქალი თუ კაცი) დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას, რომელსაც ასრულებდა, რამდენადაც იცოდა და შეეძლო, დიდის გულ-მოდგინებით; ძვირფასს საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდის თაყვანის-ცემით ინახავდა.

Don't copy

მე გავიგონე აგრეთვე, რომ დედოფალს, არასოდეს, ვიდრე ცოცხალი იყო, არ დაუკლია მათთვის უხვი საწირავები და სხვა გვარი შემწეობაც. მე ვამბობ, ვიდრე ცოცხალი იყო-მეთქი, იმიტომ, რომ რამდენიმე თვის წინ ინდოეთიდგან დაბრუნებული ბაზორაში რომ ჩაველ, იქ მე შევიტყე შემდეგი ამბავი. 22[1] სექტემბერს 1624 წელსა ქეთევან დედოფალი სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებისამებრ დიდის წვალებით მოუკლავსთ, ქრისტეს რჯულზე სიმტკიცით დგომისათვის, იმავე ქალაქს შირაზში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო. არ ვიცი, რა მოქმედებას თხოულობდნენ მისგან. სიკვდილს შეხვდა იგი მხნედ, ვითარცა უდიდებულესი მოწამე“.

ქეთევან დედოფლის ნეშტი იმ დროს ირანში მყოფმა პორტუგალიელმა ბერმა მოიძია და იქვე კათოლიკე მისიონერების მონასტერში გადაასვენა. მოგვიანებით მათ ნეშტის ნაწილები საქართველოშიც ჩამოაბრძანეს – 1723 წლამდე ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში ესვენა, თუმცა მოგვიანებით დაიკარგა. დედოფლის წმინდა ნაწილები მთელ მსოფლიოში გაიფანტა ინდოეთიდან პორტუგალიამდე.



სურ. 3. ქეთევან დედოფლის მარტვილობის სცენა ლისაბონის (პორტუგალია) დეგრასის საკათედრო ტაძარში

Don't copy

24. შენი აზრით, რა იყო შაჰ აბასის ასეთი სისასტიკის მთავარი მიზეზი და ზოგადად, რა იყო მისი მიზანი საქართველოსთან მიმართებით?

25. როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა თუ არა შაჰ აბასის დამანგრეველი ლაშქრობების თავიდან აცილება? პასუხი დაასაბუთე.

26. შენი აზრით, რატომ ფიქრობენ ისტორიკოსები, რომ შაჰ აბასმა მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს?

27. რა შედეგებს მოუტანდა საქართველოს ლუარსაბ მეფისა და ქეთევან დედოფლის გადაწყვეტილება, არ მიეღოთ ისლამი და ქრისტიანობისთვის თავი გაეწირათ?

28. როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე შეძლებდა ეკონომიკურად და დემოგრაფიულად განადგურებული ქართლ-კახეთი შემდგომში ირანისთვის წინააღმდეგობის გაწევას?

29. რატომ დაიწყო შაჰ აბას I-მა კახეთში ეთნიკური მოსახლეობის აყრა-განადგურება და იქ თურქმანული ტომების ჩასახლება?

30. რა ხერხებს მიმართავდა შაჰ აბას I ურჩი ქართველი მეფეების დასამორჩილებლად? რა გარემოებები უწყობდა ხელს შაჰის ზრახვებს?

31. წყაროს მიხედვით, როგორ ახასიათებს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე კახეთის დედოფალ ქეთევანს?

32. რატომ მიიქცია ევროპელი მოგზაურის განსაკუთრებული ყურადღება ქართველი დედოფლის მოწამებრივმა სიკვდილმა?

33. რას გეუბნება ის ფაქტი, რომ ქეთევანის წამების სცენა პორტუგალიაში ერთ-ერთი ტაძრის კედელზე გამოსახეს?

34. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 76. გაეცანი ტექსტსა და წყარო ე-ს და წერილობით იმსჯელე ქეთევან დედოფლის გადაწყვეტილებაზე.

კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა და კახეთის სამეფოს ისტორიის შესახებ XX საუკუნის ცნობილ ქართველ მწერალს ლევან გოთუას დაწერილი აქვს მხატვრული ნაწარმოები “გმირთა ვარამი”.

27 რა შედეგები მოუტანა შაჰ აბასის ლაშქრობებმა საქართველოს (მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები. გიორგი სააკაძე)

შაჰ აბასის ლაშქრობებმა საქართველოს უდიდესი ზიანი მიაყენა. განადგურდა ქალაქები, გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა, მთლიანად მოიშალა ეკონომიკა. უამრავი ადამიანი ირანელებთან ბრძოლას შეეწირა, უფრო მეტი კი ირანის შორეულ პროვინციებში გადაასახლეს.

წყარო ა) ნ. ბერძენიშვილი, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი VI:

„კახეთის განადგურებით შაჰ აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო, კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანში გადასახლებული კახელები კულტურული სოფლის მეურნეები და შაჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები იქნებოდნენ – ასე ფიქრობდა შაჰი. მართლაც, ყულის ჯარში, რომელშიც იმ დროიდან 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა, დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ“.

წყარო ბ) არაქელ თავრიზელი, XVII ს.-ის სომეხი ისტორიკოსი, „წიგნი ისტორიისა“

„როდესაც აყრა დამთავრდა, იმავე სიებითა და ნუსხებით წაიყვანეს ხალხი იქიდან (საქართველოდან), წაასხეს და მიიყვანეს სპარსთა ქვეყანაში, მიიყვანეს ყაზვინში, ხოლო იქიდან ქალაქ ფაჰრაბადს მიაღწიეს. ზოგი მათგანი ქალაქ ფაჰრაბადში დაასახლეს – როგორც ქართველები, ისე სომხები, მაჰმადიანები და ებრაელებიც“.

1. როგორ გესმის ფრაზა „შაჰის ხელის შემყურე“?
2. წყარო ა)-ს მიხედვით რატომ ასახლებდა შაჰ აბასი ქართველებს ირანში?
3. როგორ შეიცვლებოდა კახეთის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ყოფა შაჰ აბას I-ის პოლიტიკის შედეგად?
4. რა ტიპის წყაროა ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება: პირველადი თუ მეორადი?!
5. რას ფიქრობ ირანის შაჰის პოლიტიკაზე, როდესაც ის საცხოვრებელ ადგილს უცვლიდა იმპერიაში შემავალ ხალხებს? გახსენდება თუ არა მსგავსი მაგალითები ისტორიიდან?

ჯერ კიდევ 1616 წელს, მეორე ლაშქრობისას, შაჰ-აბასმა ქართლის მმართველად ბაგრატ-ხანი (დაუთ-ხანის შვილი) დანიშნა, თუმცა ის სინამდვილეში მხოლოდ ქვემო ქართლს ფლობდა. 1619 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლის მმართველად შაჰმა ბაგრატის ვაჟი, მცირეწლოვანი სიმონ-ხანი დანიშნა, მისი მეურვეობა და ქვეყნის რეალური მართვა კი გიორგი სააკაძეს ჩააბარა.



სურ. 1 გიორგი სააკაძე იტალიელი მისიონერის დონ ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი ალბომიდან, რომლიც მან საქართველოში ყოფნისას (1632-1654) შექმნა

ვინ იყო გიორგი სააკაძე

“სააკაძეები სამეფო აზნაურები იყვნენ და შიდა ქართლი ცხოვრობდნენ. გიორგი ჯერ კიდევ სიმონ I-ის დროიდან გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მოგვიანებით მან გადამწყვეტი როლი ითამაშა 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში, სადაც ოსმალები დაამარცხეს. მისი და ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ შეირთო ცოლად და გიორგი სააკაძის გავლენაც უფრო გაიზარდა. 1608 წლიდან ის თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი ანუ მმართველი. სააკაძეებს რეზიდენციები შიდა ქართლში – ნოსტესა და ერთაწმინდაში ჰქონდათ”

Don't copy

ქართლის გამგებლად დანიშნულმა გიორგი სააკაძემ ქაოსით მოცული ქვეყნის ფეხზე დაყენება განიზრახა. ის შეურიგდა იმ თავადებს, რომლებსაც 1612 წელს მისი მოკვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი, ამასთანავე დაუკავშირდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს (1604-1639) და ირანის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში ჩართვა შესთავაზა, სანაცვლოდ კი ქართლის ტახტს დაჰპირდა. იმ დროს კახეთს შაჰის მიერ დანიშნული ყიზილბაში – ფეიქარ-ხანი მართავდა, რომელსაც რეზიდენცია ხორნაბუჯის ციხეში ჰქონდა.



სურ. 2. ხორნაბუჯის ციხე

6. რატომ ნიშნავდა შაჰ აბას I, ქართლ-კახეთის სათავეში გამუსლიმებულ უფლისწულებს ან ეთნიკურად არაქართველ მმართველებს?


7. რამდენად გონივრული იყო გიორგი სააკაძის განზრახვა, როდესაც იმერთის მეფეს გიორგი III-ს დახმარების სანაცვლოდ ქართლის ტახტს დაჰპირდა? პასუხი დაასაბუთე.

წყარო გ) მუსტაფა ნაიმა, XVII ს.-ის თურქი ისტორიკოსი, „ისტორია“

„შაჰ აბასმა საქართველოს ერთ-ერთი ბეგი (მთავარი) – მოურავ-ბეგი (გიორგი სააკაძე) – გაიერთგულა და მისი საშუალებით თეიმურაზ-ხანზე შურის საძიებლად საქართველოსკენ ლაშქარი დაძრა. თეიმურაზი იმერეთში გაიქცა... შაჰ აბასმა თავისი ერთ-ერთი ხელქვეითი – ფეიქარ სულთანი საქართველოში ხანად დანიშნა და ქვეყნის აღდგენა და სამართლიანობის დამყარება დაავალა. ფეიქარ-ხანმა გამოაცხადა, შაჰის სურვილია, ყველამ თავისი სახლი აღადგინოს, ყანა დაამუშაოს და თავის საქმეს შეუდგეს, ვისაც თესლი არა აქვს, ხაზინიდან მიეცეს სესხად და ყველა სახელმწიფო გადასახადისგან სამი წლით გათავისუფლდესო. ამ პირობამ მიიზიდა მთასა და ბარში გაბნეული ქართველი გლეხობა და დაიწყო მოშენება. მაგრამ ფეიქარ სულთანი ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩააგდო. მან შაჰს აცნობა, ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრის შემთხვევაში შეიძლება ათი ათასი ხმლიანი ქართველი მოგროვდესო“.

ფეიქარ-ხანის რამდენიმე წერილის შემდეგ შაჰ აბასმა საქართველოში მორიგი ლაშქრობა გადაწყვიტა, რომელსაც სათავეში გამოცდილი სარდალი ყარჩიხა-ხანი ჩაუყენა, თან გიორგი სააკაძე გამოაყოლა და დაავალა, გარეგნულად გიორგი სააკაძესთან შეთანხმებით იმოქმედე, ისე კი ჩემს წერილს დაელოდეო. ირანელთა ჯარი მუხრანთან დაბანაკდა და ვითომ იმერეთში ლაშქრობის მიზეზით კახეთიდან ჯარი გამოიძახა და უთხრა: რახან თქვენც და იმერლებიც ქართველები ხართ, ამ ბრძოლაში მონაწილეობას ნუ მიიღებთ, იარაღი ჩაგვაბარეთ და წადითო. სინამდვილეში კი ყარჩიხა-ხანს კახეთის მთელი ლაშქრის ამოხოცვა ჰქონდა დავალებული. განიარაღებული კახელები სპეციალურ კარავში უნდა შესულიყვნენ „საჩუქრებისთვის“, იქ კი სათითაოდ დახოცავდნენ. კახელები მიუხვდნენ ყარჩიხას განზრახვას, გზა ხმლით გაიკაფეს და კახეთში დაბრუნდნენ.

ირანელები მიხვდნენ, რომ გიორგი სააკაძემ გასცა მათი ჩანაფიქრი. ეს რომ შაჰ აბასმა გაიგო, ფარული წერილი გამოუგზავნა ყარჩიხა-ხანს, რადაც უნდა დაგიჯდეს, მთელი



სურ. 3 XVII საუკუნის ქართველი მებრძოლი – საბახტარ ავალიშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსის ძმა. ავტორი – კრისტოფორო დე კასტელი

Don't copy

კახეთის ჯარი ამოხოცე და თავად სააკაძეც გამოასალმე სიცოცხლესო. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა გიორგი სააკაძეს, რამაც სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყების დაწყება დააჩქარა.


ბრძოლა მოხდა 1625 წლის 25 მარტს, ხარება დღეს. ყარჩიხა-ხანის მოკვლასთან ერთად ქართველები თავს დაესხნენ მარტყოფში დაბანაკებულ მტერს და უმეტესობა ადგილზე დახოცეს. თურქი ისტორიკოსის ცნობით, ბანაკში 30 ათასი ირანელი ჯარისკაცი იყო და მხოლოდ 3 ათასმა გააღწია ბრძოლის ველიდან. ქართველებს დიდძალი შეიარაღება და ალაფი დარჩათ.

წყარო დ) მუსტაფა ნაიმა, XVII ს.-ის თურქი ისტორიკოსი, „ისტორია“

„შაჰმაც ყარჩიხა-ხანი და რამდენიმე ათასი ყიზილბაში მოურავ-ბეგის თანხლებით საქართველოში გაგზავნა, ვითომდა ჯარების შესამოწმებლად. სხვების დასანახად ყარჩიხა-ხანს უბრძანა, რომ მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო და გააფრთხილა, რომ დალოდებოდა მისგან (შაჰ აბასისგან) საიდუმლო წერილსა და ბრძანებას და იმის შესაბამისად ემოქმედა. ყარჩიხა-ხანი და მოურავ-ბეგი საქართველოში ჩამოვიდნენ და გამოსცეს ბრძანება, რომ მოქალაქეები ამა და ამ ადგილას გამოცხადდნენ, რათა შემოწმება ჩატარდესო. თორმეტი ათასი ქართველი შეგროვდა და დანიშნული ადგილისკენ გაემართა. შაჰმა საიდუმლო წერილი ყარჩიხა-ხანთან შიკრიკს გაატანა, თან გააფრთხილა, მოურავისთვის არ ეჩვენებინა. საიდუმლო ბარათში შაჰი წერდა, დათვალიერების მიზნით შეკრებილი ქართველები მთლად ამოხოცე, მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი, რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლაო. მოხდა გაუგებრობა და შიკრიკმა წერილი ყარჩიხა-ხანის მაგივრად მოურავ-ბეგს გადასცა. მოურავმა ეს წერილი წაიკითხა და თორმეტი ათას ქართველს ყველაფერი შეატყობინა... ქართველი მეომრები მოემზადნენ და მოურავთან შეგროვდნენ. მოურავიც ამხედრდა, აიღო შუბი, მივარდა ყარჩიხა-ხანის კარავს, გულში შუბი აძგერა და მოკლა... ქართველებმა ბევრი ხანი და ათასობით ყიზილბაში ამოხოცეს. ამის შემდეგ მოურავმა დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა“.

წყარო ე) ფარსადან გორგიჯანიძე, XVII ს.-ის ქართველი ისტორიკოსი „ისტორია“

„მოურავს გაუწყრა ღმერთი, ყაენის (შაჰის) წყალობა დაივიწყა, თეიმურაზ მეფეს შეჰფიცა და ასე დაარიგა: ამა და ამ დროს შენ ლაშქრით მოდი, მე ყარჩიხა ხანს შუბით მოვკლავ და მერე რაც გინდა, ის გააკეთეო. ეს მისწერა თეიმურაზს. მეორე დღეს სპარსელების ყარაულმა განგაში ატეხა – მტრის ლაშქარი გამოჩნდაო. ყარჩიხა ხანმა ბრძანა – ცხენი შემიკაზმეთ და მოურავს დამიძახეთო. მოურავი ხანის კარავთან თავის რაზმთან ერთად ცხენზე ამხედრებული გამოცხადდა... როდესაც ყარჩიხა ხანმა ამხედრება დაიწყო, გაუწყრა ღმერთი მოურავს, თავის ხელით შუბი გვერდში აძგერა და მიწას დასცა. ყარჩიხა ხანი და მისი შვილი ქართველებმა მოკლეს. მათმა ლაშქარმა სპარსელებს შეუტია – მათი ნაწილი დახოცეს, ნაწილმა კი გაქცევა შეძლო. ქართველებს დარჩათ აურაცხელი სიმდიდრე, მათ შორის ცხენები, ჯორები, აქლემები. ქართლი თეიმურაზ ბატონმა დაიჭირა“.



ქართველებმა ისარგებლეს მარტოფის ბრძოლაში მიღებული წარმატებით და გიორგი სააკაძის მეთაურობით თითქმის მთლიანად გაწმინდეს ქართლ-კახეთი ირანული ჯარისგან. სპარსელების ხელში მხოლოდ თბილისი რჩებოდა, რომელსაც ქართველებმა ალყა შემოარტყეს. იმხნად გონიოს ციხეში მყოფი თეიმურაზ I მოიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფობა ჩააბარეს.

სურ. 4 თეიმურაზ I მეუღლესთან ერთად
ავტორი – კრისტოფორო დე კასტელი

Don't copy

8. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 77. შეადარე ერთმანეთს მუსტაფა ნაიმასა და ფარსადან გორგიჯანიძის (წყარო დ) და ე) წყაროები ვენის დიაგრამის გამოყენებით:
9. როგორ გესმის ფრაზა წყარო ე)-დან: „მოურავს გაუწყრა ღმერთი, ყაენის (შაჰის) წყალობა დაივიწყა“? შენი აზრით, რა წყალობაზეა ლაპარაკი?
10. როგორ ფიქრობ, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ამ ამბის მოყოლას ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ასეთი შეფასებით იწყებს?
11. რამდენად სანდოდ გეჩვენება წყარო გ)-ში გადმოცემული ცნობა, რომლის მიხედვით ფეიქარხანის შელავათიანმა პოლიტიკამ კახეთში გლეხობის დაბრუნებასა და მომრავლებას შეუწყო ხელი?
12. რა იყო ყარჩიხა-ხანის მეთაურობით საქართველოში ირანელთა ჯარის გამოგზავნის მიზეზი?
13. რას გეუბნება ირანის შაჰის მიერ ყარჩიხა-ხანისთვის ფარულად მიცემული დავალება აბას I-ისა და გიორგი სააკაძის ურთიერთობის შესახებ?
14. როგორ შეძლო გიორგი სააკაძემ მარტყოფის ბრძოლის წინ ქართლ-კახეთის თავადებთან საერთო ენის გამონახვა?
15. როგორ შეაფასებ მარტყოფის ბრძოლაში გიორგი სააკაძის როლს?
16. რას გეუბნება თეიმურაზ I-ისა და მისი მეუღლის ჩაცმულობა მმართველი ფენის სოციალურ-კულტურულ ყოფაში მომხდარი ცვლილებაზე?



რუკა 25. ირანელთა ლაშქრობები საქართველოში XVII ს. I-ის პირველ ნახევარში, შაჰ აბას I-ის დროს

Don't copy

მარტყოფის ბრძოლაში ირანელების სასტიკმა მარცხმა შაჰ აბასი ძალიან გააბრაზა. მან ირანში ტყვედ მყოფი გიორგი სააკაძის ვაჟი პაატა სიკვდილით დასაჯა და მოკვეთილი თავი მამას გამოუგზავნა. ივნისში შაჰმა ახალი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოსკენ გამოუშვა, რომელიც ალგეთის ხეობაში მარაბდის ველზე დაბანაკდა. ქართველებმა მომზადება მოასწრეს და დაახლოებით 20 ათასი მებრძოლი კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში გაამაგრეს.



სურ. 5 მარაბდის ბრძოლის მემორიალი სოფ. მარაბდაში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

ბრძოლის წინა თათბირზე გიორგი სააკაძემ მეფე თეიმურაზს და დიდებულებს შესთავაზა, ირანელთა შეტევას დალოდებოდნენ და ვიწრობებში გაემართათ ბრძოლა, რადგან დიდი სიცხის გამო ქართველ ქვეითებს გაუჭირდებოდათ მარაბდის გაშლილ ველზე დიდხანს ბრძოლა. მაგრამ თათბირზე უმრავლესობამ მეფე თეიმურაზის თაოსნობით გადაწყვიტა, მეორე დღესვე თვითონ დასხმოდნენ თავს მარაბდაში დაბანაკებულ მტერს. ასეც მოხდა. ზარბაზნებითა და თოფებით შეიარაღებული ირანელები მზად დახვდნენ ქართველთა შეტევებს. თავიდან ქართველებმა უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ირანელებს დამხმარე რაზმმა მოუსწრო და საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ. ბრძოლაში 10 ათასი ქართველი და 14 ათასი ირანელი დაიღუპა. ქართველთა რიგებში მხარდამხარ იბრძოდნენ გლეხები, აზნაურები, თავადები და ეკლესიის მსახურნიც კი. მათგან ბრძოლაში დაიღუპნენ დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, რუსთაველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები. ამავე ბრძოლაში გმირულად იბრძოლეს და დაიღუპნენ ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი.

ქართველებთან ბრძოლებისას სპარსელებს და ზოგადად ორ მთავარ დამპრობელს (სპარსეთს და ოსმალეთს) ჯარის რიცხობრივი უპირატესობის გარდა, უკეთესი შეიარაღებაც ჰქონდათ. XVIII საუკუნის შუა ხანებამდე საქართველოში არ არსებობდა ცეცხლსასროლი იარაღის – თოფების, დამბაჩებისა და ზარბაზნების დამამზადებელი ქარხნები. ქართველები ბევრად ჩამორჩებოდნენ საბრძოლო-ტექნიკური აღჭურვილობით ოსმალეთს, სპარსეთს და იმდროინდელ ევროპულ სახელმწიფოებს. შესაბამისად, მათ ძალიან მცირე რაოდენობის ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ძირითადად ტრადიციული საბრძოლო იარაღებით (ხმალი, ხანჯალი, შუბი, მშვილდ-ისარი და სხვა) უწევდათ მტერთან შებრძოლება, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ჯარის პირობებში, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა მოწინააღმდეგის გამარჯვებაში.

წყარო ვ) ფარსადან გორგიჯანიძე, XVII ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ისტორია“ (ტექსტი ადაპტირებულია)

„დასაწყისში ქართველებმა გაიმარჯვეს და სპარსელები გაიქცნენ. შემდეგ ქართველები სიხარბის გამო დამარცხდნენ... ზურაბ ერისთავი და ავთანდილ მოურავის შვილი ნაშოვარს (ალაფს) დახარბდნენ, ომის დასრულებასა და მტერზე გამარჯვებას აღარ დაუცადეს, სხვაზე მეტი ნადავლი სურდათ დარჩენოდათ. ქართველთა ლაშქარი აირია. ამ დროს ადარბადაგანის ბეგლარბეგი შაჰბანდა ხანი თავისი ლაშქრით გაშლილი დროშით და ძახილით: შაჰი მოვიდა, შაჰი მოვიდაო, ბრძოლის ველს მოადგა... არეული ქართველები დამარცხდნენ და კოჯრის ციხისკენ გაიქცნენ, შემდეგ კი იმერეთში გადავიდნენ“.

Don't copy

წყარო ზ) ბერი ეგნატაშვილი, XVIII ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ახალი ქართლის ცხოვრება“. (ტექსტი ადაპტირებულია)

„შაჰბანდა ხანი თავის ჯარით ნაომარზე მოვიდა. დაინახა, რომ ქართველები მცირერიცხოვანნი იყვნენ და ერთ ადგილას შეყრილიყვნენ. მან ქართველებს შეუტია და ბრძოლა დაიწყო. ქართველები ფიცხად იბრძოდნენ. იმ დღეს თეიმურაზს ყველა საბრძოლო იარაღი დაემტვრა, ხოლო მოურავ სააკაძის ბრძოლას ვერც ერთი გმირის ბრძოლა ვერ შეედრებოდა და დიდი სახელიც მოიხვეჭა. თავდაუზოგავად იბრძოდნენ აღათანგ ხერხეულიძე და დავით ასლანიშვილი. ორივე დაიღუპა. მტერს მამაცურად შეება თეიმურაზ მუხრანბატონი, მაგრამ ისიც დაიღუპა. ამ დროს დაიძახეს, თეიმურაზი მოკლესო. ქართველებს ეგონათ, რომ მეფე თეიმურაზი მოკლეს, აირივნენ და გაიქცნენ“.

17. შენი აზრით, მართალი იყო თუ არა გიორგი სააკაძე, როდესაც ქართველებს მტერთან ბრძოლას ვიწრობებში ურჩევდა? პასუხი დაასაბუთე.

18. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე ქართველების გადახდილი ბრძოლები, სადაც მტერთან დაპირისპირებისას უპირატესობა ვიწრო ხეობებში ან გაშლილ ველებზე ენიჭებოდა.

19. რას გეუბნება ის ფაქტი, რომ მარაბდის ბრძოლაში ორი ეპისკოპოსი დაიღუპა: რუსთაველი და ხარჭაშნელი?

20. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 78. ტექსტისა და წყაროების (ვ) და ზ) ანალიზის საფუძველზე შეავსე სქემა.

21. შენი აზრით, რატომ ასახელებენ ვ) და ზ) წყაროების ავტორები ბრძოლაში ქართველთა დამარცხების განსხვავებულ ვერსიებს?

22. რამდენად ობიექტურად მიიჩნევ ვ) და ზ) წყაროების ავტორთა მიერ აღწერილ მარაბდის ბრძოლის ამბებს? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

მარაბდის ბრძოლაში დამარცხების მიუხედავად, ქართველებმა გიორგი სააკაძის თაოსნობით პარტიზანული ბრძოლა გააგრძელეს და მტრის დარჩენილი რაზმები გაანადგურეს ან ქვეყნიდან გააქციეს. ირანელებმა კვლავაც ვერ შეძლეს ქართლ-კახეთში ფეხის მოკიდება. მეტიც, შაჰ აბასმა აღიარა თეიმურაზის მეფობა ქართლ-კახეთში იმ პირობით, რომ ის შაჰის ვასალი იქნებოდა.

გიორგი სააკაძის გმირულმა და გონივრულმა მოქმედებებმა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში დიდად გაუთქვა მას სახელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რა თქმა უნდა, ეს კვლავაც არ მოსწონდათ ქართველ დიდებულებს და მას მოღალატეობას აბრალებდნენ. სააკაძის პოპულარულობით არც მეფე იყო კმაყოფილი. ამას ისიც დაემატა, რომ გიორგი სააკაძემ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში იმერეთის მეფეც ჩართო, სურდა, მისი ვაჟი ქართლ-კახეთის მეფედ დაესვა და ამით ქვეყნის სამი მთავარი სამეფო ერთი ხელმწიფის ხელში მოექცია, რადგან ხედავდა, რომ თეიმურაზი ქვეყანას სათანადოდ ვერ მართავდა.

საბოლოოდ ეს დაპირისპირება 1626 წელს ბაზალეთში მომხდარი ბრძოლით დასრულდა. ერთმანეთს შეებნენ, ერთი მხრივ, თეიმურაზ მეფისა და ზურაბ არაგვის ერისთავის და, მეორე მხრივ, გიორგი სააკაძის, სამცხისა და იმერეთის მეფის ჯარები. ბრძოლაში ორივე მხრიდან ბევრი ადამიანი დაიღუპა. გიორგი სააკაძე დამარცხდა და იძულებული გახდა, ჯერ სამცხეში, იქიდან კი ოსმალეთში გადასულიყო, სადაც სულთნის სამსახურში ჩადგა. ის ერთ-ერთი ოლქის მმართველად დაინიშნა და ირანელთა წინააღმდეგ ოსმალებს არაერთი გამარჯვება მოაპოვებინა. მათ შორის არზრუმის ციხის აღებაც მოახერხა. სააკაძის პოპულარულობა არ მოსწონდა ოსმალეთის პირველ ვეზირს ხუსრევ-ფაშას და მტრობდა მას. გიორგი სააკაძე გააფრთხილეს, რომ პირველი ვეზირი არ დაინდობდა და საქართველოში დაბრუნება ურჩიეს. სამშობლოსკენ მომავალი სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი და 50-მდე მხლებელი 1629 წელს გზაში ჩახოცეს.

პაპის კურია – პაპის ხელისუფლების ცენტრალურ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც იგი მართავს კათოლიკურ ეკლესიას

Don't copy

საქართველოში დღემდე არ არსებობს ერთი აზრი გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ. ზოგი მას ეროვნულ გმირად მიიჩნევს, ზოგი – ავანტიურისტად, მოღალატედ და კარიერისტად. ქვემოთ მოცემულია რუბრიკა სახელწოდებით "დისკუსია", რომელშიც ჟურნალ ისტორიანში (№3, 2011 წელი) დაიბეჭდა. მასში წარმოდგენილია ერთი პიროვნების ორი სახე, ორი მოსაზრება სააკაძის მოღვაწეობაზე. „დისკუსიის" სტუმრები არიან ერთი მხრივ – გივი ჯამბურია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ავტორი წიგნისა „გიორგი სააკაძე", მეორე მხრივ – როსტომ ჩხეიძე, მწერალი და პუბლიცისტი, რომელმაც ამ თემას არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა



Don't copy

გივი ჯამბურია დიდი მოურავი	როსტომ ჩხეიძე ამაო შარავანდედი
გიორგი სააკაძე – „დიდი მოურავი", გვიანი შუა საუკუნეების გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი. ოცდაათი წლის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენისა და საქართველოს გაერთიანებისთვის. სწორედ ამ ღვაწლის გამო, ქართველმა ხალხმა მას „დიდი მოურავი" უწოდა. ეს დიდი, ისეთივე ეპითეტია, როგორიც ქართველმა ხალხმა თავის გამოჩენილ შვილთაგან მხოლოდ რამდენიმეს შეარქვა, მათ შორის დავით აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს, სიმონ დიდს. ამით იმ მოღვაწეთა რიგს მიაკუთვნა, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სამშობლოს წინაშე... ქართული და უცხოური წყაროებიც ერთხმად აღნიშნავენ გიორგი სააკაძის დიდ ნიჭიერებასა და განსწავლულობას. მან კარგად იცოდა სპარსულიცა და თურქულიც. სასიამოვნო მოსაუბრე და მჭევრმეტყველი ორატორი ყოფილა, გამორჩეული სამხედრო საქმის ღრმა ცოდნითა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით...	ერთი რაკურსიდან გიორგი სააკაძე მართლაც შეიძლება იწვევდეს აღტაცებასაც კი: ვისაც ხიბლავს ძლიერი პიროვნება, ბუნებრივია, რომ სააკაძითაც მოიხიბლოს, თვით მეფეებსაც რომ არ ეპუებოდა და პირველობისკენ ლტოლვისას ლამის ყველა და ყველაფერი წალეკა. არამცთუ ქართლ-კახეთის მეფეებს არ ემორჩილებოდა, თვით შაჰ აბასს, მთელს აღმოსავლეთს რომ აზანზარებდა და ევროპის ქვეყნები მასთან მორიგებას ცდილობდნენ, არ შეეპუა და თავბედი აწყევლინა. ცხადია, არსად მიწერია, თითქოს შაჰ აბასი სააკაძის დაუხმარებლად ვერც საქართველოს დალაშქრავდა და არც ლუარსაბ მეფეს მოკლავდა. მოურავის დანაშაული ის არის, რომ ამ ორივე მოვლენის თავგამოდებული მონაწილე სწორედ იგია და არა სხვა. თუ სააკაძე არ დაიბადებოდა, შაჰი, რასაკვირველია, სხვა **რენეგატს** ანუ სხვა სააკაძეს გამოძებნიდა, რათა გაადვილებოდა კახეთის აოხრებაც და მოსახლეობის გადასახლებაც ფერეიდანში. მაგრამ თუკი სააკაძეს მოეხსნება ბრალეულობა 1614 წლის კახეთის აოხრებაში, მაშინ **ორჯონიკიძეც** უცოდველად მოგვევლინება...

სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაშიც...

გიორგი სააკაძეს როგორც მისი მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი ერთხმად ახასიათებენ, როგორც დიდ მოღვაწეს, გამოჩენილ სარდალსა და განსაკუთრებული პირადი სიმამაცით დაჯილდოებულ პიროვნებას...

გიორგი სააკაძე საქართველოს გადარჩენისთვის იბრძოდა. ის მეფე სიმონ I-ის ჯერ უახლოესი თანამებრძოლი, შემდეგ მისი გზის გამგრძელებელი გახლდათ. ენერგიულად ცდილობდა საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებასა და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას.

1625 წელს, როდესაც შაჰ აბას პირველმა დიდი სამხედრო ექსპედიცია გამოგზავნა საქართველოში, სააკაძეს შაჰის კარზე მძევლად დაატოვებინეს უმცროსი ვაჟი პაატა, ზურაბ არაგვის ერისთავს კი მეუღლე...

საქართველო ამ დამანგრეველ შემოსევას (1625 წ.) ისევ და ისევ გიორგი სააკაძის წყალობით გადაურჩა. ამ აჯანყებისთვის დიდი მოურავი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროიდან. გეგმა მეტად გაბედული იყო და სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ის ქართლის თავადებს გააცნეს. აჯანყების დაგეგმვით, გიორგი სააკაძემ არა მარტო თავისი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე, არამედ საკუთარი შვილებისაც.

თუ ერთხელ კიდევ გადაავლებთ თვალს ცნობებს კახეთის 1614 წლის აოხრების თაობაზე, დარწმუნდებით... თუ როგორ აქეზებს შაჰს სააკაძე და ურჩევს ყველაზე მარჯვე დროს სალაშქროდ. ეს ის აოხრებაა, სომეხ მემატიანეს ისიც რომ ათქმევინა: *„ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერსო“.*

განა შეიძლება ეროვნულმა გმირმა თავის სამშობლოს ბევრი სისხლი დაუქციოს?.. ვითომ დიდი დაკვირვება და განჭვრეტა სჭირდება იმას, დამპყრობლის ლაშქარს რომ შემოუძღვები ყველაზე მარჯვე ჟამს (ზამთარში სჯობსო, შაჰ აბასს რომ ურჩევდა) და მხოლოდ შენი შემწეობით გაარღვევენ ყიზილბაშები ქართველთაგან საიმედოდ დაცულ ხეობას, რა საზარლობა შეიძლება დატრიალდეს. ხოლო თუ ამდენიც ვერ განჭვრიტა და ვერაფრის დიდებით ვერ წარმოედგინა, დამპყრობელი რას ჩაიდენდა, მაშ ჭკუანაკლული ყოფილა და თუ მომხდარა სადმე ან ოდესმე, რომ ჭკუანაკლული ეროვნულ გმირად შეერაცხოთ! ნუთუ ეს ეროვნული გმირის თვისებებია?

მარტყოფის აჯანყების მიზეზიც იმით აიხსნება, რომ სააკაძეს ხელთ ჩაუვარდა შაჰის საიდუმლო ბარათი, ყარჩიღა-ხანს რომ ავალებდა მოურავისათვის თავის მოკვეთას: „ყველაფერი გარკვეული იყო. ერთადერთი გზა მოურავის წინაშე – ეს აჯანყება იყო“.

Don't copy

რენეგატი — ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას, სამშობლოს და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა; მოღალატე, განდგომილი.

სერგო ორჯონიკიძე (1886-1937) — ქართველი ბოლშევიკი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, კომპარტიის წევრი. 1921 წელს მან უხელმძღვანელა საბჭოთა რუსეთის არმიის შემოჭრას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას.

23. **შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ? პასუხი დაასაბუთე.**
24. **ჩამოთვალე, რა ხელშემწყობი და ხელის შემშლელი პირობები არსებობდა ამ მიზნის განსახორციელებლად.**
25. **გიორგი სააკაძის იდეა იყო ქართლ-კახეთში იმერეთის მეფის ვაჟის გამეფება. რამდენად სამართლიანი იყო ეს აზრი თეიმურაზ მეფესა და მის მემკვიდრეებთან მიმართებით?**
26. **შენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა ქართველ მეფე-დიდებულებს შორის დაწყებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა? როგორ?**

დავალება: ზემოთ მოცემული წყაროების, ინფორმაციისა და დისკუსიის მიხედვით დაწერე თემა: გიორგი სააკაძის პიროვნება.

წარმოიდგინე, რომ იტალიელი მოგზაური და ვაჭარი ხარ, 1620-იანი წლების ბოლოს სამხრეთ კავკასიაში ჩახვედი და საქართველოში იმოგზაურე. ქვეყანაში ყოფნისას სხვადასხვა სამეფო-სამთავროს მონახულება და იქ გარკვეული პერიოდის გატარება მოგიხდა; ამ დროის განმავლობაში გაეცანი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას; გადაწყვიტე, დაწერო წერილი, რომლითაც რომის **პაპის კურიას** შენ მიერ ნანახ და შეგროვებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეატყობინებ.

წერილში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რომელი პოლიტიკური ერთეულები ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად, რა ეკონომიკური, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს და რა მოსაზრებები არსებობს სახელმწიფოს დაშლის ხელშემწყობ ფაქტორებთან დაკავშირებით. (მ.წ. სივრ. 3. წყ.4.)
- რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. (მ.წ. წყარო 1, 2, 3)
- როგორ აისახა ირან-ოსმალეთის ზავებში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურება და რა გავლენა იქონია მან ადგილობრივი საზოგადოების ბედზე. (მ.წ. სივრ. 1)
- როგორ და რატომ შეიცვალა სამხრეთ საქართველოში სოციალურ-კულტურული ვითარება ოსმალური მმართველობის დამყარების შემდეგ. (მ.წ. სივრ. 2)

Don't copy

ქვეთავი II. XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული პროცესები

28 რა ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის 30–50-იან წლებში (როსტომ-ხანის მმართველობა, ბახტრიონის აჯანყება)

ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ ქართლში თეიმურაზმა მოიკიდა ფეხი. მას მხოლოდ თბილისი არ ემორჩილებოდა, სადაც ყიზილბაშები იდგნენ.

თეიმურაზმა ვერ მოახერხა ქართლში დანგრეული ქალაქებისა და განადგურებული მეურნეობის აღდგენა. ამის მაგივრად, ცდილობდა, ირანში შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ დაწყებული არეულობით ესარგებლა, სადაც ორი დაჯგუფება ესწრაფოდა ირანზე სრული გავლენის მოპოვებას. ერთერთ მათგანს ხოსრო მირზა, იგივე როსტომ-ხანი, ანუ ქაიხოსრო ბატონიშვილი, ედგა სათავეში.

1. როგორ ფიქრობ, რატომ იყო მნიშვნელოვანი თეიმურაზისთვის ბაზალეთის ბრძოლის შედეგი?
2. იმსჯელე, რა პოლიტიკური პროცესები განვითარდებოდა რეგიონში შაჰ აბას I-ის სიკვდილის შემდეგ. რატომ?

როსტომ-ხანი (ხოსრო მირზა) სიმონ I-ის ძმის, დაუთ-ხანის, ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილი იყო. ირანში დაბადებული, ირანული წესით აღიზარდა და სარწმუნოებით მუსლიმი იყო. როსტომს შაჰის კარზე დაწინაურებაში გიორგი სააკაძე დახმარებია. მანაც გონიერებითა და სიმამაცით გამოიჩინა თავი და მალე შაჰის გვარდიის სარდალი გახდა. ხოსრო მირზა ისპაჰანის მოურავიც იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა ირანში. შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ, ის ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა და სწორედ მისი დახმარებით დასვეს შაჰის ტახტზე აბასის შვილიშვილი შაჰ სეფი.



სურ. 1 როსტომ-ხანი
ავტორი – კრისტოფორო დე კასტელი

მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა როსტომ-ხანისა და შაჰ სეფის მოწინააღმდეგეებთან შეკრა კავშირი, 1632 წელს შაჰის დავალებით როსტომ-ხანი ქართლში გამოგზავნეს მმართველად. იმ დროისათვის როსტომი უკვე 67 წლის ყოფილა. თეიმურაზმა, რომელიც გორში იდგა, ჯარის შეკრება დაიწყო, მაგრამ ვერ მოახერხა და იმერეთს შეაფარა თავი. როსტომმა ქართლში ციხესიმაგრეების გამაგრება და ადგილობრივ დიდებულებთან ურთიერთობის მოგვარება დაიწყო. ის თავს „მეფეთ მეფესა და პატრონს“ უწოდებდა, როგორც ჩვეულებრივ ქართველი მეფეები, ხოლო ირანის შაჰი მას მოიხსენიებდა, როგორც „ჩემი ძმა, ქართლის ვალი როსტომ-ხანი“. ანუ როსტომი თავს მეფედ მიიჩნევდა, მაგრამ არც ირანის ვასალობაზე ამბობდა უარს და თავისი გადაწყვეტილებების დიდ ნაწილს შაჰს უთანხმებდა.

წყარო ა) გივი ჯამბურია, XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV:

„ქართლში შემოსვლის უმალ როსტომმა, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ქართლის ციხეების გამაგრებას მიაქცია ყურადღება. თბილისში მანამდეც ყიზილბაშური გარნიზონები იდგა. ახლა საჭირო იყო ქართლის გულში მდებარე გორის ციხისა და სურამის ციხის გამაგრება. გორის ციხე იმ ხანებში დანგრეული იყო (ის ქართველებმა დაანგრიეს, მტერს შიგ შესვლისა და გამაგრების საშუალება რომ არ ჰქონოდა)“.

DO NOT COPY

წყარო ბ) ივანე ჯავახიშვილი, XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, "ქართველი ერის ისტორია", ტომი IV:

„თუმცა როსტომ მეფე თავისი აღზრდითა და ზნე-ჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც სპარსეთის ყმა და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი იყო, მაგრამ ქართლში მოსვლისთანავე სახელმწიფოს ბატონ-პატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველობას შეუდგა".

3. შენი აზრით, რამდენად მოახერხებდა უცხოეთში გაზრდილი როსტომ მეფე ქართლში ფეხის მოკიდებას?

4. შენი აზრით, რა ჩანაფიქრი ჰქონდა როსტომს, როდესაც მოღვაწეობა ციხეების გამაგრებითა და ადგილობრივ თავადებთან შეთანხმებით დაიწყო?

5. რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ა) და ბ) წყაროებში მოცემული როსტომ მეფის გადაწყვეტილებებისა და პიროვნების შეფასებები?

6. რისთვის სჭირდებოდა ირანში დაბადებულ-გაზრდილ როსტომს ქართლის კეთილდღეობაზე ზრუნვა?

7. იმსჯელე, როგორ და რატომ შეიცვალა როსტომ-ხანის მმართველობის პერიოდში ირანის პოლიტიკა ქართლში.

როსტომ მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა. ქართლში ჩამოსვლისას მან ცოლი შეირთო, მაგრამ ის მალევე გარდაიცვალა და მეფემ ცოლად ლევან დადიანის და მარიამი მოიყვანა. ეს პოლიტიკური ქორწინება იყო. იმერეთში გაქცეულ თეიმურაზს იმერეთის მეფე გიორგი III უმაგრებდა ზურგს, თავად მას კი ლევან დადიანი ავიწროებდა. ამ ქორწინებით, ფაქტობრივად, როსტომ მეფისა და ლევან დადიანის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეიქმნა თეიმურაზისა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ. როსტომმა ძლიერი მოკავშირე გაიჩინა დასავლეთ საქართველოში, დადიანმა კი როსტომის შუამავლობით სპარსელებთან დაამყარა ურთიერთობა. ამ ქორწინებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთში, რადგან მათი ვასალი მთავარ მტერთან – ირანთან – ამყარებდა ურთიერთობებს.



სურ. 2 მარიამ დედოფალი ავტორი – კრისტოფორო დე კასტელი

მარიამ დედოფალი – ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. როგორც ცნობილია, თავიდან ის მუსლიმ როსტომთან ქორწინების წინააღმდეგი იყო. ამის გამო როსტომი ფორმალურად მოინათლა კიდეც.

მარიამ დედოფალი როსტომთან შეუღლების შემდეგ აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში. როსტომის მიერ გაცემულ ბევრ საბუთზე დედოფალ მარიამის ხელმოწერაა დასმული, ანუ ის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში, იქნებოდა ეს ქვეშევრდომთათვის მიწების გადაცემა, ეკლესიების დახმარება თუ სასამართლო პროცესები.

მარიამი ახლოს იყო ქართლის ეპისკოპოსებთან, იცოდა მათი საჭიროებები და მუდმივად ეხმარებოდა მათ. მისი ინიციატივითა და დახმარებით აღადგინეს და განაახლეს თბილისის სიონი, კვირაცხოვლის ეკლესია, სვეტიცხოვლის გუმბათი, ბოლნისის ეკლესია, რუისისა და ურბნისის ეკლესიები, ალავერდის ტაძარი.

მარიამ დედოფლის თაოსნობით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც „მარიამისეული" ეწოდება და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერია საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ბერი ეგნატაშვილის შეფასებით, მარიამ დედოფალს „ედვა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველსა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან. იყო ყოვლითა შემკული კეთილით, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ ყოფილა".

Don't copy

8. შენი აზრით, როსტომისა და ლევან II დადიანის კავშირი რა პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული? რატომ?

9. რატომ არის ოსმალეთი უკმაყოფილო ლევან II დადიანის გადაწყვეტილებით?

10. შენი აზრით, რატომ აძლევდა მუსლიმი როსტომ მეფე თავის მეუღლეს ეკლესიების აღდგენის უფლებას?

11. დანართის მიხედვით იმსჯელე მარიამ დედოფლის მოღვაწეობაზე. რა იყო მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება?

12. იმსჯელე, როგორ აისახება ქვეყნის განვითარებაზე პოლიტიკური სტაბილურობა?

13. შენი აზრით, როგორ ახერხებს როსტომი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას?

14. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 79. გაიხსენე განვლილი მასალა, განიხილე მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია და იმსჯელე, რა საშინაო და საგარეო ისტორიულმა მოვლენებმა შეუწყო ხელი როსტომის გამეფებას. შეაფასე როსტომის მოღვაწეობა და იმსჯელე, რა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შედეგი მოჰყვა მის მეფობას.

როსტომი, ქართლის სამეფოს გაძლიერებასთან ერთად, ურჩ თავადებსაც ავიწროებდა და დევნიდა. თავადებმა თეიმურაზიც კი მოიწვიეს ქართლში გასამეფებლად, მაგრამ მას კახეთში მოუწია გადასვლა. როსტომი ყიზილბაშების ჯარის დახმარებით კახეთს მიადგა, თუმცა თეიმურაზმა შერიგება და შაჰის ერთგულება შესთავაზა და როსტომიც დათანხმდა.

თეიმურაზი მაინც ცდილობდა როსტომისა და ყიზილბაშების ქართლიდან გაძევებას და სურდა, ანტიირანულ ბრძოლაში რუსეთი ჩაერთო. ამ მიზნით მან რამდენიმე ელჩობაც გაგზავნა რუსეთში, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროისათვის რუსეთის საკმარისი ძალა არ გააჩნდა სამხრეთ კავკასიაში თავისი პოლიტიკის გასატარებლად და თან ამით ირანთანაც გაიფუჭებდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

რუსეთთან ურთიერთობების დაწყებამდე, ჯერ კიდევ 1626 წელს, თეიმურაზმა ევროპაში რომის პაპთან და ევროპის მეფეებთან გააგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი, ირანის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. თუმცა ეს იდეა ევროპის ქვეყნების ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ, მან ესპანეთის მეფეს, ფილიპე IV-ს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა შესთავაზა, სამაგიეროდ კონსტანტინოპოლის ტახტს სთავაზობდა. ნიკიფორე ირბახი დიდი პატივით მიიღო პაპმა ურბან VIII-მ, ასევე იტალიური სამთავროებისა და ქალაქების მმართველებმა. ის 1629 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დახმარების ნაცვლად რომის პაპის წერილი და ლოცვა-კურთხევა ჩამოუტანა თეიმურაზს. ანუ ეს ელჩობა უშედეგოდ დასრულდა.



სურ. 3. ნიკიფორე ირბახი

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე (ნიკიფორე ირბახი) (1585-1658) – ქართველი თავადი. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში მიაბარეს რომის კათოლიკეთა სასწავლებელში, სადაც კარგი განათლება მიიღო, შეისწავლა უცხო ენები. ქართულისა და მეგრულის გარდა, იცოდა ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. რომში ყოფნისას კათოლიკურ მონასტერში ბერად აღიკვეცა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორე ირბახი ქართლის მეფე თეიმურაზ I-ის მოძღვარი და ელჩი იყო. თეიმურაზ I-ის დავალებით იგი ევროპაში გაემგზავრა და 1626-29 წლებში როგორც თეიმურაზის ელჩი, ეწვია პაპ ურბან VIII-სა და ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ს. რომში ყოფნისას ჩოლოყაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემაში. 1629 წელს გამოიცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. წიგნის სათაურში აღნიშნულია, რომ ლექსიკონი შედგენილია „სტეფანო პაოლინის მიერ ქართველის, წმიდა ბასილის წესის ბერის ნიკიფორე ირბახის დახმარებით“.

იგი მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებს, რადგან მათში საქართველოს დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას ხედავდა. მეგობრობდა ჯუზეპე ჯუდიჩისთან, არქანჯელო ლამბერტისთან და კრისტოფორო დე კასტელთან. მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდა მათ.

მისიონერების, პაპისა და თეიმურაზ მეფის მაშინდელი მიმოწერა ადასტურებს, რომ ნიკიფორე ირბახი ქართული ეკლესიის რომთან შეერთებას შუამავლობდა.

Don't copy

წყარო გ) იერუსალიმის პატრიარქის მიერ ნიკიფორე ირბახისთვის დაწერილი სარეკომანდაციო წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან:

„...უწყოდე, უძლიერესო მეფეო, რომ შენი სამეფო ყველგან სახელგანთქმული და ძლიერია ქრისტიანთა შორის და რამეთუ შეიყვარა ხალხთა ღვთისმოსაობა და თავისუფლება; ამიტომ იბერთა მეფემ თეიმურაზ ხანმა გამოგზავნა, ამჟამად აქ მყოფი, ეს მღვდელ-მონაზონი (ნიკიფორე ირბახი), რომელსაც აქვს მისგან თქვენი უდიდებულესობისადმი გაგზავნილი წერილები, გთხოვს რა დახმარებას, რადგანაც იგი სპარსელისაგან მრავალმხრივ შევიწროებულია. ამიტომ ითხოვს, რომ დაეხმარო მას (რამდენადაც იგიც კეთილი და ღვთისმოსავი ქრისტიანია) ან სპარსელისათვის შიშის მომგვრელი სიტყვებით, ან ძალით ორზრუმის მხრიდან... ვევედრები შენს ხელმწიფობას არ უგულებელჰყო ეს თხოვნა...“

წყარო დ) ელდარ მამისთვალაშვილი, XX-XXI ს.-ის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II:

„ამგვარად, თეიმურაზ I-ისა და მისი პოლიტიკური თანამოღვაწეების გაგებით, ირანსა და ესპანეთს შორის სერიოზული წინააღმდეგობა არსებობდა, როგორც სტრატეგიული (შაჰ აბასის მიერ ესპანეთის დაქვემდებარებაში მყოფი პორტუგალიისათვის ორმუზის წართმევა) და ეკონომიკური (ესპანეთის სავაჭრო ინტერესების შელახვა – სავაჭრო-სატრანზიტო გზის ჩრდილოეთისკენ გადატანის მცდელობა). მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ, როგორც მრავალჯერ ითქვა, ესპანეთის მთავრობა დიდად აფასებდა ირანს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და ანგარიშსაც უწევდა მის ინტერესებს. მისთვის ირანთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პორტუგალიელების ორმუზის გამო ახლო აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყანასთან – ირანთან დაპირისპირება, რომელიც შეიძლებოდა ოსმალეთთან ომის შემთხვევაში მოკავშირეც ყოფილიყო“...

ამიტომ, ნიკიფორე ირბახისა და ესპანეთის მეფის კარისკაცების მიერ, თეიმურაზ I-ის ანტიირანული გეგმის ნაცვლად, შეიქმნა ანტიოსმალური კოალიციის გეგმა. ესპანეთის მთავრობისათვის როდესაც ცნობილი გახდა, რომ თეიმურაზის გეგმა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მადრიდში მიღებულ გადაწყვეტილებებს, ქართლ-კახეთ-ესპანეთის დიპლომატიური ურთიერთობა აღარ გაგრძელდა.

15. შენი აზრით, რამდენად სწორად იქცეოდა მეფე თეიმურაზი, როდესაც ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეებს რუსეთსა და ევროპაში ეძებდა? პასუხი დაასაბუთე.

16. როგორ ფიქრობ, ქართული ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებით მოახერხებდა თუ არა საქართველო ისლამური იზოლაციიდან თავის დაღწევას? პასუხი დაასაბუთე.

17. შენი აზრით, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ქართული ეკლესია, ფეოდალები და გლეხები კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლას?

18. მხარდაჭერის რა ვარიანტებს სთავაზობს იერუსალიმის პატრიარქი ფილიპე IV-ს?

19. წყარო დ)-ს მიხედვით, ძირითადად რა მიზეზების გამო ჩაიშალა მოლაპარაკებები?

20. გაიხსენე, რა პოლიტიკურ-რელიგიური ვითარება იყო იმ დროს ევროპაში და იმსჯელე:

ა) რატომ უშუამდგომლა რომის პაპმა ნიკიფორე ირბახს ესპანეთის მეფესთან და არა რომელიმე სხვა მონარქთან?

ბ) რატომ სჭირდებოდა კათოლიკურ სამყაროს თავისი გავლენის გავრცელება საქართველოში?

გ) შეძლებდა თუ არა რომის პაპი ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დარწმუნებას ანტიირანულ/ანტიოსმალურ კამპანიაში ჩასართავად?

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 80. წყარო დ)-ზე დაყრდნობით დააჯგუფე წყაროში არსებული ინფორმაცია ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ნიშნით. იმსჯელე, როგორ აფასებს მამისთვალაშვილის ელჩობას და რა ინფორმაციას ეყრდნობა საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად. შენ როგორ შეაფასებ ელჩობას და რატომ?

XVII საუკუნის 30-40-იან წლებში თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა რამდენჯერმე მოაწყვეს გამოსვლა როსტომის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ ქართლისა და ყიზილბაშების ჯარით როსტომმა დაამარცხა თეიმურაზი, თუმცა სასიკვდილოდ არ გაიმეტა და ოჯახიანად ქართლ-კახეთიდან გასვლა აცადა. თეიმურაზი იმერეთში გადაიხვეწა. შაჰმა კახეთის მმართველობაც როსტომ მეფეს ჩააბარა.

Don't copy

წყარო ე) ნიკო ბერძენიშვილი, XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი VI:

„როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია... არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას“.

იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზი კვლავაც აგრძელებდა რუსეთის სახით მოკავშირის ძებნას. თუმცა ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და ის ჯერ ბერად აღიკვეცა, შემდეგ კი შაჰს მორჩილება გამოუცხადა და ირანში ჩავიდა. თავიდან ის პატივით მიიღეს, მაგრამ მერე საპყრობილეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1663 წელს.

თავის მხრივ, როსტომი კვლავაც თავისი მემკვიდრის ძებნაში იყო. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ მან არჩევანი ბაგრატიონების გვერდითი შტოს წარმომადგენელზე, ვახტანგ მუხტრანბატონზე, შეაჩერა. ის ირანში გაგზავნეს, გაამუსლიმეს და ქართლის მმართველად დააბრუნეს. 1658 წელს, როსტომის სიკვდილის შემდეგ, ვახტანგი (შაჰნავაზი) ქართლის მეფე გახდა.

22. შენი აზრით, რატომ მისცა როსტომმა თეიმურაზს იმერეთში გადასვლის საშუალება? როგორ ფიქრობ, შეეძლო თუ არა იმერეთში გადასულ თეიმურაზს როსტომისთვის წინააღმდეგობის გაწევა?
23. რა შედეგით დასრულდა როსტომისა და თეიმურაზის დაპირისპირება?
24. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი შაჰის მიერ კახეთის როსტომისთვის გადაცემა?
25. გაიხსენე ბაგრატიონთა გენეალოგია. ვინ ჩაუყარა საფუძველი მუხრანბატონების შტოს?
26. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 81. იმსჯელე, რა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ თეიმურაზი და როსტომი და რა საერთაშორისო და საშინაო მიზეზებით შეიძლება იყოს განპირობებული ისინი. შეაფასე დაპირისპირებული მხარეების გადაწყვეტილებები და იმსჯელე მათ მართებულობაზე.

ბახტრიონის აჯანყება

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე როსტომის ნაცვლად კახეთი განჯის ხანს სელიმს ჩააბარეს. იმ დროს ირანს შაჰ აბას II (1642-1666) მართავდა. მისი დავალებით კახეთში თურქმანების 150 ათასი ოჯახის ჩასახლება გადაწყდა. ამ საქმის მოსაგვარებლად და თურქმანების დასაცავად კახეთში სამი ახალი ციხე აიგო, მათ შორის იყო ბახტრიონის ციხე, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელ ახმეტის მუნიციპალიტეტში. ცოტა ხანში კახეთის ნაყოფიერ მიწებზე დაახლოებით 80 ათასი თურქმანი ჩამოასახლეს, რომლებიც საძოვრებით სარგებლობდნენ და მიწათმოქმედებას ანადგურებდნენ. ბართან ერთად დაზარალდა კახეთის მთიანეთიც, რომელიც სწორედ ბარიდან მარაგდებოდა პურითა და სხვა პროდუქტებით, თანაც თავისი საქონლისთვის ბარის საზამთრო საძოვრები სჭირდებოდა.

თურქმანების ჩამოსახლების შემდეგ კახეთში საზოგადოების ყველა ფენისთვის აუტანელი ვითარება შეიქმნა. დაიწყო მღელვარება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თუში ზეზვა გაფრინდაული. მალე მთიელთა სახალხო მღელვარებას ქართლ-კახეთის თავადაზნაურობაც შეურთდა. აჯანყების ორგანიზატორობა თავის თავზე აიღო ზაალ არაგვის ერისთავმა, რომელიც აჯანყებას კი ხელმძღვანელობდა, მაგრამ აშკარად არ



სურ. 4 ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები
ავტორი: ქართველი ბერი, ხატმწერი და ისტორიკოსი მიხეილ საბინინი (საბინაშვილი), 1882 წელი

Don't copy

მონაწილეობდა მასში, რათა შაჰს მის ერთგულებაში ეჭვი არ შეეტანა. აჯანყებაში ჩაერთვნენ შალვა ქსნის ერისთავი და მისი ბიძა ელიზბარი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვები. ზეზვა გაფრინდაულთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობდნენ ნადირა ხოშარაული, ფშავი გოგოლაური და სხვა გმირები. 1659 წელს ბახტრიონის მიდამოებში შეკრებილ თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარს შეურთდნენ ქსნისა და არაგვის საერისთავოების ჯარებიც. კახეთის ლაშქარი კი ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ალავერდს მიადგა, სადაც ყიზილბაშები იყვნენ გამაგრებული. აჯანყებულებმა ერთდროული შეტევა დაიწყეს და მალე ბახტრიონის ციხეც და ალავერდის გალავანიც ხელში ჩაიგდეს. ბრძოლაში მოწინააღმდეგის მეციხოვნეების დიდი ნაწილი დაიღუპა, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს. გამარჯვებულმა ქართველებმა სხვა ადგილებში ჩასახლებულ თურქმანებსაც შეუტიეს და კახეთი თითქმის მთლიანად გაწმინდეს მომთაბარეებისგან.

ბახტრიონის აჯანყების შედეგად ქართლ-კახეთი ირანელთა ბატონობისგან ვერ გათავისუფლდა, მაგრამ თურქმანული ტომებისაგან გაიწმინდა და ადგილობრივი მოსახლეობა გადაშენებას გადაურჩა. შაჰმა ზაალ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა, დანარჩენი მოთავეები კი თავისთან დაიბარა. ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ერისთავებმა შაჰს პატიება სთხოვეს, თუმცა მან ისინი თურქმანთა იმ ტომს გადასცა, რომელიც კახელებმა გაჟლიტეს. თურქმანებმა ქართველი გმირები სასტიკი წამებით დახოცეს.

27. შენი აზრით, რატომ ჩამოართვეს როსტომს კახეთი?

28. როგორ და რატომ შეიცვალა შაჰ აბას II-ის დროს შაჰის კარის პოლიტიკა ქართლისა და კახეთის მიმართ?

29. როგორ ფიქრობ, რატომ იყო ბახტრიონის აჯანყებაში საზოგადოების ყველა ფენა ჩართული?

30. დაფიქრდი, რით იყო გამორჩეული ბახტრიონის აჯანყება ქართველთა მიერ ირან-ოსმალთა წინააღმდეგ მანამდე გამართული ბრძოლებისგან?

31. გამარჯვებით დასრულების გარდა, კიდევ რა საერთო აქვს ბახტრიონის აჯანყებას ტაშისკარის ბრძოლასთან?

32. შენი აზრით, რამდენად სწორად მოიქცნენ აჯანყების მოთავეები, როდესაც შაჰს ეახლნენ? პასუხი დაასაბუთე.

33. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე შემთხვევები, როდესაც მტრის (არაბების, თურქების, მონღოლების, ოსმალების, ყიზილბაშების) მიერ გამოძახების შემდეგ ქართველი მეფე-მთავრები მათთან წასვლას ან სამშობლოში დარჩენას/ბრძოლას/გახიზვნას ამჯობინებდნენ. განიხილე თითოეული ეს შემთხვევა და იმსჯელე, რა შედეგები მოჰქონდა მათ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის.

34. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 82. განვლილ მასალასა და პარაგრაფზე დაყრდნობით იმსჯელე, როგორ და რატომ იცვლებოდა ირანის შაჰების პოლიტიკა საქართველოს მიმართ და როგორ აისახებოდა ეს იმდროინდელ საქართველოზე.

Don't copy

ქართველთა ამ წარმატებას მიუძღვნა ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონი“, ხოლო აკაკი წერეთელმა – რომანი „ბაში-აჩუკი“.

ბახტრიონის აჯანყებამ დიდი ასახვა ჰპოვა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში – პოეზიასა და მუსიკაში.

„ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო;
ახმეტას გავჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ **ელსაო**;
შეიტყეს თუშის შვილებმა,
მაღლ შემოირტყმენ ხმლებსაო.
ჯერ შუაღამე არ ქმნილა,
ნაქერალს გროვდებიანო“.

ელი – თურქმნული წარმომავლობის მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობა კახეთში.

29 როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი დასავლეთი და სამხრეთი საქართველოში XVII საუკუნეებში

ამასიის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოს დამორჩილება დაიწყო და მუდმივად არბევდა მის ტერიტორიას. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შავ ზღვაზე გასასვლელი დაეხშოთ, რამაც ქვეყანაში დიდი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ამას დაერთო იმერეთის მეფეებისა და სამეგრელო-გურიის მთავრების მუდმივი დაპირისპირება. გურიელი და დადიანი ხან იმერეთის მეფესთან კრავდნენ კავშირს ერთმანეთის წინააღმდეგ, ხანაც ორივე ერთად მეფეს უცხადებდა დაუმორჩილებლობას. ისინი ამ დაპირისპირებაში არც ოსმალთა ჯარის დახმარებაზე ამბობდნენ უარს. ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი სუფევდა.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ, თუმცა ამ ურთიერთობას უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ ხარკის გადახდას გულისხმობდა.

იმერეთის მეფეც, ფაქტობრივად, აღიარებდა სამთავროების დამოუკიდებლობას და მხოლოდ იურიდიულად მიიჩნევდა მათ ვასალებად. იმერეთის სამეფოსა და ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს შორის საზღვარი მდინარე ცხენისწყალზე გადიოდა, ოდიშსა და გურიას ერთმანეთისგან მდინარე რიონი ყოფდა. გურია იმერეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა, ხოლო გურიის სამხრეთი საზღვარი მდინარე ჭოროხზე გადიოდა. სამეგრელოს სამთავროს ჩრდილოეთიდან აფხაზეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. მათ შორის საზღვარი ჯერ მდ. კოდორზე, XVII ს-ის 90-იანი წლებიდან კი მდ. ენგურზე გადიოდა.



რუკა. 26. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XVII ს. I ნახევარში

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის არსებულ დაპირისპირებაში უპირატესობა სამეგრელოს სამთავრომ მოიპოვა, რომელიც საერთოდ აღარ ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს. დაწინაურდა აფხაზეთიც, რომელსაც შარვაშიძეები მართავდნენ. XVI საუკუნეში აფხაზეთის დიდი ნაწილი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, XVII საუკუნიდან კი გამოეყო მას და დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა.

Don't copy



სურ. 1 წმინდა გიორგის ხატი ილორიდან (აფხაზეთი). XVII ს-ის II ნახევარი. ხატის ლუსკუმაზე მოთავსებულია 15 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა.

ლუსკუმა – აქ, ხატის ჩასასვენებელი

1611 წელს ოდიშის მთავარი გახდა ლევან II დადიანი (1611-1657). ტახტზე ასვლისას ლევანი 14 წლის იყო. რეალურად ოდიშს ბიძა – გიორგი ლიპარტიანი – მართავდა. 1620 წელს ლევანმა დამოუკიდებლად დაიწყო სამთავროს მართვა. თავიდან ლევან დადიანი სამთავროს შიგნით სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მის წინააღმდეგ რამდენჯერმე მოეწყო შეთქმულება. ერთ-ერთი შეთქმულების მონაწილეები იმერთა მეფე გიორგი, გურიელი და აფხაზთა მთავარი შარვაშიძე იყვნენ. ლევანი ცალ-ცალკე დაუპირისპირდა თითოეულ მათგანს. 1628 წელს მან ორჯერ ილაშქრა აფხაზეთში. შემდეგ გურია დალაშქრა და იქ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია გურიელი დასვა მთავრად. 1633 წელს ლევან დადიანის და მარიამი ცოლად გაჰყვა ქართლის მეფე როსტომს. ამით ოდიშის მეფის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. იმერეთის სამეფო, რომელსაც ლევანი ერთ-ერთ უმთავრეს მოწინააღმდეგედ თვლიდა, იზოლირებული აღმოჩნდა.



სურ. 2 ლევან II-ის ფრესკა მეუღლე ნესტან-დარეჯანთან და თავიანთ ვაჟთან ერთად წალენჯიხის საკათედრო ტაძარში

XVII ს.-ის 20-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, ლევან II-მ იმერეთში რამდენჯერმე ილაშქრა. 1635 წელს მან მეფე გიორგი III (1604-1639) ტყვედაც კი ჩაიგდო. მამის ტყვეობიდან გამოსასყიდად, იმერეთის უფლისწული ალექსანდრე იძულებული გახდა, ჩიხორსა და ჩხარში მცხოვრები სომეხი და ებრაელი ვაჭრები საცხოვრებელი ადგილებიდან აეყარა და ლევანისთვის გადაეცა. სამეგრელოს მთავარმა ისინი რუხში ჩაასახლა და ეს ციხე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად აქცია. ლევან დადიანმა ამის შემდეგაც რამდენჯერმე ილაშქრა იმერეთში. 1646 წელს მან ქუთაისის მიდამოები და არგვეთი მოარბია და უკან გაბრუნდა. მის გარდაცვალებამდე (1657 წ.) იმერეთის სამეფოსა და ოდიშის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო.

წყარო ა) იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის წერილი რუსეთის ხელმწიფისადმი. 1649 წ. ადაპტირებული

„დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიდგა და სტამბოლის თურქთა სულთანს მიემხრო. ჯარები შეკრიბა და ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა... ყოველ წელს ჩემ წინააღმდგ ლაშქრობს და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად გზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა, ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისთვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქეთს კი მიემხრო, რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა. ახლა უნდა ამ ჩვენი ქვეყნის დამორჩილება თურქეთის სულთანისადმი, მართლმადიდებლობისა და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს“.

Don

1. შენი აზრით, რით იყო გამოწვეული დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის არსებული დაპირისპირება?
2. ამართლებ თუ არა გურიისა და ოდიშის მთავრების პოლიტიკას? პასუხი დაასაბუთე.
3. რა პოლიტიკური ინტერესები აქვთ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს და რატომ კრავენ ისინი კავშირს ერთმანეთის წინააღმდეგ?
4. რატომ აუჯანყდნენ ლევან II დადიანს? რა გზებით მოახერხა დადიანმა შეთქმულთა დამარცხება და ძალაუფლების განმტკიცება?
5. რატომ სჭირდებოდა ლევან II დადიანს როსტომთან ურთიერთობა? როგორ აისახებოდა ეს მის ძალაუფლებაზე?
6. შენი აზრით, რატომ გადაასახლა დადიანმა ებრაელები და სომხები ქალაქ რუხში?
7. შეაფასე ლევან II დადიანის პოლიტიკა სხვა ქართული სამეფო-სამთავროებთან მიმართებით? პასუხი დაასაბუთე.



სურ. 3 იმერეთის მეფე ალექსანდრე III
ავტორი – კრისტოფორო დე კასტელი

წყარო ბ) ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.-ის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

„ხოლო დადიანი ლევანი განდიდდა ფრიად და... ესხმოდა იმერეთს დღესასწაულებზე. და იმერნი მრავალგზის დასდევნებიან მათ. მაგრამ, როდესაც ისინი დაამარცხებდნენ იმერთ, დიდძალ ტყვეებს წაიყვანდნენ, რომელთაც დაახსნევინებდნენ თავს ფულით. ამის შემდეგ დამკვიდრდა დაუფარავად ტყვის სყიდვა, რამეთუ დადიანის მეომრებმა ფარულად იწყეს ტყვეების თათრებისთვის მიყიდვა. და გამრავლდა იმერეთზე თავდასხმები“.

წყარო გ) XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“

„ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან რომ სწავლა-განათლება მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნებით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულებები...

უსაქმურად მისი ნახვა შეუძლებელია. პირიქით, მუდამ დაუღალავად შრომობს და ყოველთვის მზად არის ყოველგვარის ვარჯიშობისათვის. ლაშქრობაში მარდია, ჩუმი და მხნე. ამიტომ ყოველ ომში იგი იმარჯვებს... ისე უყვარს თავისი ქვეშევრდომები, რომ, როდესაც კი მათ რაიმე მწუხარება შეემთხვევათ, ან ანუგეშებს მათ მამობრივი სიყვარულით, ანდა აღმოუჩენს კიდეც შესაფერის შემწეობას მათ გაჭირვებაში... მეხსიერება ისეთი ძლიერი აქვს, რომ დავიწყება რა არის, არც იცის. ხომ მრავალი მოლაპარაკება აქვს სხვადასხვა საქმის გამო, მაგრამ ყოველის მოლაპარაკების და ხელშეკრულების უმცირესი სიტყვაც კი გაახსენდება ექვსის და შვიდის წლის შემდეგაც“.

8. შენი აზრით, რატომ არის ლევან II დადიანი სხვადასხვა კუთხით წარმოჩენილი ა), ბ) და გ) წყაროებში?
9. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 83. შეადარე წყაროები ა), ბ), გ) და გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
10. შენი აზრით, რომელ წყაროში მოთხრობილი ამბები და შეფასებებია უფრო დამაჯერებელი და რატომ?

Don't copy

ლევან დადიანი დიდ მფარველობას და დახმარებას უწევდა იმ დროს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს. მათი დახმარებით ლევანს სურდა, ერთი მხრივ, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და, მეორე მხრივ, ოსმალეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა და ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება. კათოლიკე მისიონერებმა ოდიშში დიდი პოპულარულობა მოიპოვეს, რადგან მათ მოჰქონდათ იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ცოდნა, ნერგავდნენ სამკურნალო, სამეურნეო, საინჟინრო და სხვა სიახლეებს, ასწავლიდნენ უცხო ენებს. ლევან დადიანმა მისიონერებთან ერთად შეიმუშავა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის გეგმა. მას სურდა, ოდიშის სამთავროზე გავლით ევროპელებისათვის შეეთავაზებინა სპარსეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი სავაჭრო გზა, რაც მისაღები უნდა ყოფილიყო ირანისთვისაც და ევროპული ქალაქებისთვისაც, ხოლო თავად ოდიშს დიდ ეკონომიკურ მოგებასა და კულტურულ წინსვლას მოუტანდა.

ლევან დადიანს საკმაოდ შორსმჭვრეტელი და მოქნილი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა. ერთდროულად სასტიკად ებრძოდა სხვა ქართველ მეფე-მთავრებს და თან ცდილობდა, კარგი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები დაემყარებინა ოსმალეთთან, ირანთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

წყარო დ) XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“

„დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქეთის მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მოიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს, მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა... ამიტომ... ყოველ წელიწადს სულთნის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს. დადიანი თავისი ნებით გახდა თურქეთის მოხარკე. ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს. სულთან მურადმა, როცა იგი ომობდა ირანის წინააღმდეგ და ერევნის ქალაქს მიადგა ასაღებად, შეუთვალა დადიანს, შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია, მოხვიდე და დამეხმაროო. ამაზე დადიანმა უპასუხა, არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახური და ამიტომაც არც ახლა გეახლებითო. სულთანმა არავითარი პასუხი არ გასცა დადიანს არც წერილით და არც საქმით, რადგან დარწმუნებული იყო, რომ კიდეც გადავწყვიტო სამეგრელოს დაპყრობა, ამისთვის იმდენი ჯარი უნდა ვიხმარო და ხარჯი გავწიო, რომ ამ ხარჯად დაპყრობილი სამთავრო არ ეღირებაო. სულთანმა ისიც კი იცოდა, რომ მეგრელები არაფრად აგდებდნენ თურქების ძალას, რადგან, როცა კი თურქეთის ჯარი ან ზღვით, ან ხმელეთით მიადგებოდა სამეგრელოს, მეგრელები ყოველთვის მზად იყვნენ, თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, აბარგებულიყვნენ თავიანთი საქონლით და ავეჯით და მთებში გახიზნულიყვნენ. მერე იქიდან ხშირად ჩამოვიდოდნენ და, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩასაფრებულნი სროლას დაუწყებდნენ თურქების ჯარს, და ამ გზით ჩქარა დაამარცხებდნენ მათ. მეორე პოლიტიკური ხერხი, რომელსაც ხმარობს დადიანი თურქეთის მიმართ, ის არის, რომ ცდილობს, მტკიცედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, დადიანი თავის კაცებს საზღვარზე დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუარონ კარგსა და პირდაპირს გზებს, მშვენიერს და გამოატარონ ციცაბო კლდეებზე. მთავარი ელჩებს ღარიბულად ჩაცმული იღებდა. გარშემო მრავალი მხლებელი ჰყავდა, მაგრამ ყველანი ცუდად ჩაცმულნი... საჭმელად ყოველ დღეს მიართმევდნენ თხის ხორცს, რაც შეიძლებოდა უარესს. პური საზოგადოდ ცოტაა ამ ქვეყანაში და ელჩებსაც ისე გამოზოგვით მიართმევდნენ ხოლმე, რომ ისინი შიმშილსაც ვერ იკლავდნენ.. ამიტომაც ელჩები სწყევლიდნენ იმ წამს, როდესაც მოვედით ამ დაწყევლილს და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო“.

11. შენი აზრით, ვისთვის იყო ლევან დადიანის მოღვაწეობა უფრო მისაღები და ვისთვის – არა?
12. რა შედეგებს მოუტანდა მისი რეფორმები და მოქმედებები ოდიშის სამთავროს, დასავლეთ საქართველოს, მთელ საქართველოს?
13. შენი აზრით, რატომ ამბობს უარს ლევან II დადიანი ოსმალეთის ომებში მონაწილეობაზე?
14. რატომ არჩევს სულთანი სამეგრელოს მთავართან დიპლომატიურ ურთიერთობას და არა ომის გზით მის დამორჩილებას?

Don't copy


15. რა გზებით ცდილობს ლევან II დადიანი ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ?
16. რა ხერხს მიმართავდა ლევან დადიანი თურქეთის ელჩების დახვედრისას და რატომ?
17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 84. პარაგრაფში მოცემული წყაროებისა და მასალის გაცნობის შემდეგ შეაფასე ლევან II დადიანი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. შენი შეფასება გაამყარე არგუმენტებით.

„ტყვის სყიდვა“

XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ტყვეების ყიდვა-გაყიდვა. ტყვეთა გაყიდვას განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ირან-ოსმალეთის ბატონობამ და ფეოდალურმა ანარქიამ საქართველო შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური მონათა ვაჭრობის მნიშვნელოვან რეგიონად აქცია.

დაპყრობილი ქვეყნებიდან წაყვანილ ტყვეებს ოსმალები და ირანელები სხვადასხვა დანიშნულებით ყიდდნენ. ახალგაზრდა ქალებს შინამოსამსახურეებად იყენებდნენ, ბიჭებს კი მებრძოლებად ზრდიდნენ და იანიჩართა კორპუსში აწვრიანებდნენ. თურქებთან ერთად, ტყვის სყიდვაში ადგილობრივებიც იყვნენ ჩართული. დასავლეთ საქართველოს თავადებიც კი, ფარულად თუ აშკარად, მასობრივად ყიდდნენ თავიანთ თუ მეზობლის ყმებს. ამ საშინელებისაგან თავის დასაღწევად მოსახლეობის ნაწილი უკიდურეს ზომას მიმართავდა. კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ზოგი თვალს ითხრიდა, ზოგიც ცხვირს იჭრიდა, რომ აღარ ეყიდათ და გამაჰმადიანება აეცილებინათ თავიდან.





სურ. 4-5 ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში. იტალიელი მისიონერის ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები

წყარო ე) XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“

„გურიელის სამთავროში, ზღვის პირას, კერძოდ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან – რიზე, გონია და ტრაპიზონიდან, მოდის მრავალი თურქი ვაჭარი. მათ მოაქვთ ფული და ბლომად ტანისამოსი, რაც ფრიად სჭირდება აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოჰყავთ თურქებზე ტყვედ გასაყიდად ქართველები და აფხაზები. ყველანი ისე არიან დახელოვნებული ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ, ვისაც კი შინ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ. ზოგჯერ კი მიიტყუებენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებენ და შესაფერის დროს ქობულეთშივე წაიყვანენ თურქებზე გასაყიდად. თურქები, რასაკვირველია, ფულს აძლევენ და მაშინვე გადაიყვანენ თავის ქვეყანაში, რომელიც ძალიან ახლოა“.

XVII საუკუნეში „ტყვის სყიდვის“ მასშტაბები კატასტროფული იყო. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, ამის შედეგად მოსახლეობა თითქმის განახევრდა. საქართველოში „ტყვის სყიდვის“ არაერთი ცენტრი არსებობდა: გონიოს, ანაკლიის, ფოთის, ყულევის ციხეები. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქ. ახალციხე, სადაც არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან, არამედ ლეკების მიერ ქართლ-კახეთიდან გატაცებული ადამიანებიც მიჰყავდათ. ქართული ეკლესია და ზოგიერთი ქართველი მეფე ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ტყვეებით ვაჭრობისთვის. დაახლოებით 1560 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ საეკლესიო კრება მოიწვია და მიაღებინა საგანგებო კანონი

Don't copy

„სამართალი კათალიკოზთა“, რომლითაც მკაცრი სასჯელი დააწესა „ტყვის სყიდვაში“ მონაწილეობისთვის. ქართველი ისტორიკოსები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში ამ ისტორიულ პროცესს ასე აფასებდნენ: „ტყვის სყიდვა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა: ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა მიედინებოდა უცხოეთში და საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა. არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ტყვის სყიდვამ მიაყენა მას.“

სამხრეთი საქართველო

მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნის ბოლოს, სამცხის ტერიტორიის დიდი ნაწილი. ოსმალების ხელში გადავიდა, XVII საუკუნის 20-30-იან წლებში ირანი ცდილობდა, სამცხეში გაბატონებას. აბას I-ის დროს, ირანის აგრესია სამცხის მიმართ მიზნად ისახავდა ვეყნის ისეთივე საშუალებებით „გაყიზილბაშებას“, როგორსაც ოსმალები ახორციელებდნენ. 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი მთავარი, მანუჩარ III-ც მონაწილეობდა. ამის შემდეგ ის სტამბოლში წავიდა სულთნისაგან შეწყნარებისა და წყალობის სათხოვნელად. ირანელების წინააღმდეგ ბრძოლა, ოსმალებმა სამცხის მთავარს თითქოს დაუფასეს და ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, სულთანმა მანუჩარს „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა“. თუმცა სამშობლოში დაბრუნებულ ათაბაგს, გზაში ბიძა ბექა, იგივე საფარ-ფაშა შეხვდა, რომელმაც მანუცარი მოწამლა. 1628 წელს საფარ-ფაშა ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს გამგებლად დაინიშნა. სამცხეში ოსმალები საბოლოო გაბატონება, 1639 წელს გაფორმდა, როდესაც ირან-ოსმალეთის ზავის საფუძველზე, ირანმა ცნო ოსმალეთის უფლება სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე.

წყარო ვ) ევლია ჩელები, ოსმალო ისტორიკოსი და მოგზაური, „წიგნი მოგზაურობათა“, XVII ს.

ქვემო ციხეში ხალილ-აღას ჯამე ძველი აშენებული, მრავალრიცხოვანი მრევლის პატრონი, ლამაზი და გულისგამამხიარულებელია. ვინაიდან ვილაიეთის მცხოვრებნი **სუნას** მიმდევარი, მორწმუნე და ერთი ღმერთის მაღიარებელი ხალხია, ამიტომ, გარდა ხუთი ლოცვისა, ყველა ჯამეში ყურანი და სხვა ცოდნის წყარო იკითხება. საგანგებო სასწავლებელი, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხავი სახლი არა აქვთ, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ბევრია.

ციხის გარეუბანიც დიდად კეთილმოწყობილი და გაშენებულია. ცნობილია დელი მეჰმედის ფუნდუკი და ექმექჯი ისა-აღა-ოღლუს ფუნდუკი. ბევრი წნულით შეღობილი ბოსტანია. დიდია ქველმოქმედება და სიუხვე... ამ ციხიდან გარეუბანში გასვლა თხრილზე გადებული ხიდით შეიძლება. გარეუბანს გალავანი არ აქვს. ამ უბანში სამასი პატარა დუქანია. დახურული ბაზარი არ აქვს. რადგანაც მისი ჰავა რამდენადმე მკაცრია, ხალხი ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია. განსაკუთრებით – ვილაიეთის ვალი ვეზირი საფარ-ფაშა; წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო და ასევე, მისი **ქეთხუდა** დერვიშ-აღაც ქართველის ჩამომავალი, კეთილშობილი ვაჟკაცი იყო.

სუნას მიმდევარი – სუნიტი
ქეთხუდა – ოსმალეთში ქალაქის, სოფლის, თემის წინამძღოლი

18. რა ეკონომიკურ-სოციალურ შედეგებს მოუტანდა „ტყვის სყიდვა“ საქართველოს?
19. რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ „ტყვის სყიდვაში“ თავადაზნაურობაც იყო ჩართული?
20. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 85. იმსჯელე, რა იყო ამ მოვლენის ხელის შემწყობი ფაქტორები, რომელი სოციალური ფენა იყო დაინტრესებული ტყვის სყიდვით და რატომ? რა ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები მოჰყვა ტყვის სყიდვას და როგორ ცდილობდნენ ამ პრობლემის გადაჭრას.
21. სახელმძღვანელოს ტექსტისა და წყარო ვ-ს მიხედვით, იმსჯელე, რა ცვლილება განიცადა სამცხე-საათაბაგომ XVII საუკუნის I ნახევარში.
22. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 131. შეავსე კონტურული რუკა, „დას. საქართველოს ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ხრესილის ბრძოლა 1757 წ.“

DOI Copy

30-31 რა ისტორიული პროცესები მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში

1658 წელს ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) გამეფებით დასაბამი დაედო ბაგრატიონების უმცროსი შტოს – მუხრანბატონების – მეფობას. შაჰნავაზი გარეგნულად მუსლიმი იყო, თუმცა ხელს უწყობდა ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას. შაჰნავაზი ცდილობდა ირანის ქვეშევრდომობა ქვეყნის სასიკეთოდ გამოეყენებინა. ცოტა ხნით მან კახეთისა და იმერეთის დამორჩილებაც მოახერხა. მის გარშემო საკმაოდ ნიჭიერი და პატრიოტი საზოგადოება იყო თავმოყრილი, რომელიც ქვეყნის გაძლიერებას ცდილობდა.

წყარო ა) ნიკო ბერძენიშვილი, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI

„თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის [ვახტანგ V-ის გარშემო გაერთიანებული ნიჭიერი და პატრიოტი საზოგადოება] საშინაო სამოქალაქო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელთან“ და სხვა მთავრებთან კავშირი ქართლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო“.

ვახტანგ V ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების დამოუკიდებლად დამყარებასაც ცდილობდა. მან გამოიყენა ფრანგი ვაჭრის, ჟან შარდენის საქართველოში ყოფნა და მას საინტერესო წინადადებით მიმართა:

წყარო ბ) ჟან შარდენი, XVII ს.-ის ფრანგი მოგზაური, „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“

„მას პატრებისათვის უთქვამს ჩემთვის გადმოეცათ, რომ თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მათ ყოველგვარ თავისუფლებასა და პრივილეგიებს მივანიჭებ, რასაც კი მოისურვებენო; ჩემი საბრძანებელი შავ ზღვამდეა გადაჭიმული, და რადგანაც სპარსეთში დიდი პატივით ვსარგებლობ, ხოლო თურქეთშიც მეტად დაფასებული ვარ, ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყნებზე უკეთეს გზას ვერსად იპოვნიანო; დარწმუნებული ვარ, თუ ერთხელ გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ აირჩევენო. პატრებს ვუთხარი, დიდი მადლობა გადაეხადათ მთავრისთვის იმ კეთილი განწყობილების გამო, რაც მას ჩვენი ქვეყნის ხალხის მიმართ ჰქონია და ვთხოვე გადაეცათ მისთვის, რომ მის სურვილს აუცილებლად შევატყობინებ ჩვენი ინდოეთის კომპანიას-მეთქი...ოთხი დღის შემდეგ თბილელი (*ასე უწოდებდნენ თბილისის ეპისკოპოსს*) მობრძანდა ჩემს სანახავად. მას მთავრისგან ჰქონდა დავალებული ჩემთვის გადმოეცა შემდეგი: მთავარს დიდხანს უფიქრია ჩემს წინადადებაზე, ბარათი მიეწერა ფრანგული კომპანიისთვის საქართველოში ვაჭრობის განვითარებისა და ამ ქვეყნის გასასვლელ გზად გამოყენების თაობაზე; მთავარი მზად არისო იმისათვის, რათა დაარწმუნოს კომპანია, თუ რა დიდი სარგებლობა შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყანაში ვაჭრობას, მაგრამ მაინც თავს იკავებსო, რადგან სპარსეთის ხელმწიფის ვასალია და ეშინია, მისმა უდიდებულესობამ დანაშაულად არ ჩაუთვალოს მისი ნებართვის გარეშე საქმიანი წერილის მიწერა უცხოელებისათვისო; მაგრამ თქვენ სრული დარწმუნებით შეგიძლიათ გადასცეთო მათ, რომ თუ კომპანია რწმუნებულების გამოგზავნას მოისურვებს ამ ქვეყნებში, ისინი აქ იაფად იშოვნიან ევროპისთვის გამოსადეგ ბევრ საქონელს და მათაც, რამდენადაც შეიძლება, კარგად მიიღებენო“

1. რატომ უწოდებს შარდენი ვახტანგ V-ს მთავარს?
2. რატომ შეიკავა თავის ამ პროექტის განხორციელებაზე ქართლის მეფემ?

ვახტანგ V-ის რეფორმების შემდეგ ქართლი საგრძნობლად მოძლიერდა, ეს კი ირანის შაჰს არ მოსწონდა და შაჰნავაზი თავისთან დაიბარა. 1675 წელს ირანისკენ მიმავალი მეფე გზაში ავად გახდა და გარდაიცვალა.

Don't copy

ორი წლის შემდეგ შაჰმა ქართლის მმართველად ვახტანგის მეორე ვაჟი გიორგი XI დანიშნა. მამისგან განსხვავებით, ის უფრო მეტად უპირისპირდებოდა ირანს. 1688 წელს შაჰს აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა და იმერეთს შეაფარა თავი. მოგვიანებით ირანის შაჰმა ის შემოირიგა და როგორც გამოცდილი მებრძოლი, ქართულ ჯართან ერთად ადგილობრივების წინააღმდეგ ავღანეთში გააგზავნა საბრძოლველად. გიორგი XI-მ დაამარცხა ავღანელი აჯანყებულები, რის გამოც ავღანეთის მმართველად დატოვეს. თუმცა 1709 წელს ის ღალატით მოკლეს ავღანეთში. აღსანიშნავია, რომ ღალატით მოკლულ გიორგი XI-ეს მკვლელებმა ახსნეს ჯვარი და ხატები, რომელსაც მეფე საიდუმლოდ ატარებდა და ირანის შაჰს გაუგზავნეს, თითქოს იმის მისანიშნებლად, რომ გიორგი შაჰის მოღალატე იყო.

3. რა იყო ვახტანგ V-ის რეფორმების ძირითადი მიმართულებები?
4. რომელ წინამორბედ ქართველ მეფეებს გახსენებს ყველაზე მეტად ვახტანგ V თავისი მოღვაწეობით? პასუხი დაასაბუთე.
5. შენი აზრით, რამდენად ხელსაყრელი იქნებოდა ირანისთვის ვახტანგის მიერ იმერეთზე გავლენის მოპოვება? რა რეაქცია ექნებოდა ოსმალეთს?
6. როგორ ფიქრობ, რატომ იყო დაინტერესებული შაჰი გიორგი XI-ის შემორიგებით?
7. როგორ ფიქრობ, რატომ არ დააბრუნა შაჰმა საქართველოში გიორგი XI?
8. შენი აზრით, რა შედეგებს მოუტანდა ქართლს ირანის შაჰის მიერ გიორგი XI-ისა და ქართული ჯარის ავღანეთში გაგზავნა?

რადგან გიორგი XI ავღანეთში იყო, 1703 წელს მის მოადგილედ (ჯანიშინად) შაჰმა გიორგის ძმისშვილი ვახტანგი დანიშნა, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ყურადღება ნიჭიერებითა და მმართველობის უნარით.


ჯანიშინობის პერიოდში ვახტანგი ქვეყნის შიგნით არსებული არეულობის დალაგებას შეუდგა. 1705 წელს მოიწვია საეკლესიო კრება. მშვიდობის დასამყარებლად შექმნა მცველთა ჯარი, ანუ სამეფო გვარდია და ურჩ ფეოდალებს დაუპირისპირდა. ვახტანგმა მეურნეობის აღდგენასაც მიაქცია ყურადღება – გაუკაცრიელებულ მიწებზე მოსახლეობა დაასახლა, განაახლა და გაიყვანა სარწყავი არხები, მოაწესრიგა გზები, აღადგინა ხიდები და ქარვასლები, რაც ვაჭრობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო.

ვახტანგ VI-მ დიდი დრო დაუთმო ქვეყნის სამართლის მოწესრიგებას და ამისთვის შექმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა სამართლის წიგნი. მასში თავი მოუყარეს ებრაულ, ბერძნულ და სომხურ კანონმდებლობას. კრებული მოიცავდა კათალიკოსთა, მეფე გიორგი ბრწყინვალის, აღბუღას და თავად ვახტანგის სამართალსაც.

ცალკე შექმნა ვახტანგ მეფემ სახელმწიფოს ძირითადი (საკონსტიტუციო) კანონმდებლობა – დასტურლამალი. მასში გაწერილი იყო სახელმწიფოს მართვის, სამეფო კარის ეტიკეტისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმები.




სურ. 1 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული



სურ. 2 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი

Don't copy

ვახტანგ VI-მ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საგამომცემლო საქმეს, რაშიც რუმინეთში მოღვაწე ქართველი ანთიმოზ ივერიელი დაეხმარა. მისი მხარდაჭერით 1709 წელს საქართველოში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, ასევე სახარება, სასწავლო და სასულიერო დანიშნულების წიგნები. ვახტანგის მიერ შექმნილმა „სწავლულ კაცთა“ კომიასიამ დაამუშავა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები. ვახტანგი ერთდროულად გატაცებული იყო ასტრონომიით, მთარგმნელობით, პოეზიით, მათემატიკით, ქიმიით, გეოგრაფიით და ა. შ.



სურ. 3 ვახტანგ VI-ის გამოცემული ქიმიის სახელმძღვანელო

9. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ VI-ის მიერ გატარებულ რეფორმებს?
10. რომელი მათგანი მიგაჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ქვეყნის განვითარებისთვის და რატომ?

1712 წელს ვახტანგი ირანში გაემგზავრა მეფობის მისაღებად, რისთვისაც მას ისლამის მიღება მოსთხოვეს. ვახტანგმა იუარა და ის დააპატიმრეს. ქართლის მმართველად ირანის შაჰმა ვახტანგის გამუსლიმებული ძმა, იესე დანიშნა.

ვახტანგის გამოსახსნელად და ახალი კავშირების დასამყარებლად ქართლიდან ევროპაში ელჩობა გაემგზავრა, კერძოდ კი ვახტანგის მოძღვარი და აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი.

წყარო გ) სულხან-საბა ორბელიანის სამახსოვრო ბარათიდან საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრ გრაფ დე პონშატრენისადმი, 1714 წ.

„თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, ისპაჰანში დარჩება, საქართველო მთლიანად გამუსლიმების აშკარა საფრთხეში იქნება. თუ ის დაბრუნდება თავის სამფლობელოებში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ შეუერთდებიან კათოლიკურს თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც განწყობილია, ეს გააკეთოს და რომელიც მიაწერს რა თავის უბედურებას ამ საქმეში დაყოვნებას, სურვილს გამოთქვამს, მეტად აღარ დააყოვნოს, როგორც კი ის დაბრუნდება თავის სამეფოში. ამ მეფის განზრახვა უფრო მეტიცაა: მას სურს, მისიონერებს მისცეს ქმედითი საშუალებები, მიაღებინოს ეს სარწმუნოება ჩერქეზეთს, რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ასული მან ცოლად შეირთო... ეს დიდი მოგზაურობა მე წამოვიწყე მხოლოდ ამ ხალხების ხსნისთვის და მოვედი, რათა დავემხო ეკლესიის უფროსი შვილის ფეხქვეშ.“

წყარო დ) პიერ დ’არნუ, მემორანდუმი, შედგენილი ლუი XIV-ისთვის, 1714 წ.

„მემორანდუმი იმის შესახებ, თუ რის გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური სარწმუნოებისა და ვაჭრობის დამყარებისათვის საქართველოსთან და იმ ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად არიან... მართალია, როგორც ჩანს, სულხან-საბამ საფრანგეთში თავისი მოგზაურობა მხოლოდ საკუთარი გულისწადილით წამოიწყო, ჩვენ მაინც გვგონია, რომ მის წინადადებებსა და ზრახვებს და ყველაფერ იმას, რაც შეიძლება ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს, ადგილი უნდა დაეთმოს ერთ-ერთ უდიდეს პროექტში, რომელიც შეიძლებოდა შედგენილიყო თანამედროვე ვითარებაში, იმისათვის, რომ გავრცელებულიყო რომის კათოლიკური სარწმუნოება... ეს დაეხმარებოდა უბედურებაში ჩაცვენილ მთავრებს, გაეძლიერებინათ მეფე ლუი XIV-ის ქვეშევრდომთა ვაჭრობა, ძირს დაეცათ ჰოლანდიელთა ვაჭრობა და ამით მათი ძლიერება შეემცირებინათ, გაეწიათ მათთვის კონკურენცია ინდოეთში, საიდანაც გამოაქვთ მთელი სიმდიდრე, მოწინეებაში ჰყოლოდათ პორტუგალიელები, ეიძულებინათ იქ ინგლისელები, რომ შიში ჰქონოდათ და პატივი ეცათ ჩვენთვის და ასევე ჰყოლოდათ თურქები და სპარსელები ერთგვარ დამოკიდებულებაში. სულხან-საბას, როგორც ჩანს, გავლენა აქვს საქართველოში: ხალხზე და

Don't copy

სამეფო ოჯახზე... ახლა რაც შეეხება სხვა გეგმებს, რომლებიც შეიძლება გვქონდეს საქართველოს მიმართ. მე მგონია, რომ სულხან-საბას მიზნად აქვს ვაჭრობის შესახებ სხვა წინადადების შემოთავაზება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოზე გატარდეს აბრეშუმი, რომელსაც გილანისა და შემახიის პროვინციებში აწარმოებენ. ისინი აბრეშუმის ერთადერთი მწარმოებლები არიან სპარსეთში... მე დავავალე მას, შეედგინა რუკა, რომელიც ამას წინათ გამოგიგზავნეთ. მართლაც, ამ რუკიდან და ახსნა-გამარტებებიდანაც, რომლებიც ამის შესახებ მივიღე, გავიგე, რომ სომხები იძულებული არიან, რომ ხმელეთით იაროონ, თურქეთის გავლით, რათა ქარავნებით მიიტანონ აბრეშუმი სპარსეთის ამ ორი პროვინციიდან სმირნამდე, სადაც ის თითქმის მთლიანად იყიდება. საქართველოს გავლით გზა სამი მეოთხედით შემცირდებოდა... სულხან-საბა ამბობს, ვახტანგი თვითონ წამოიწყებდა ამ ვაჭრობას და ჩაიტანდა აბრეშუმს კონსტანტინოპოლში, თუკი შეძლებდა თავისი სამფლობელოების დაბრუნებასო. მისი თქმით, ძნელი არ იქნებოდა, თუ საფრანგეთის მეფე მოწყალებას მოიღებდა და დაადასტურებდა, რომ დაინტერესებულია საქართველოს მეფით. იმ ღრმა პატივისცემის გამო, რომლითაც სპარსეთის შაჰი განმსჭვალულია მისი უდიდებულესობის მიმართ, ადვილად შეიძლებოდა შაჰისთვის იმის ახსნა, რომ ის თვითონ იქნებოდა დაინტერესებული ამ საქმით, რომ უფრო მეტი აბრეშუმი გაესაღებინა... ყველა საფუძველი გვაქვს, იმედი ვიქონიოთ, რომ ამ პროექტს წარმატება ექნებოდა... გარდა ამისა, ჰოლანდიელთა მრეწველობა თუ არ ჩავარდებოდა, მკვეთრად მაინც შემცირდებოდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა წარმოებას საფრანგეთში და ისინი თვითონ გახდებოდნენ იძულებული, რომ ჰოლანდიაში აბრეშუმი მარსელიდან მიეღოთ ტრანზიტით, რაც მოგებას მოუტანდა საფრანგეთის მეფის ქვეშევრდომებს. ამას შეიძლება დაემატოს ვაჭრობა ცვილით, მატყლით, ტყვიით ან ენდროს ფესვით, რომელიც წითელ საღებავს იძლევა და ის, როგორც ამბობენ, უხვად მოიპოვება საქართველოს ბაზრებზე, სადაც საფრანგეთისთვის ასევე ხელსაყრელი იქნებოდა გაესაღებინა თავისი მაუდის ნაწილი სხვა საქონელთან ერთად“.



პიერ დ’არნუ – ვაჭრობისა და გალერების ინდენდანტი, მმართველი ქალაქ მარსელში. რეალურად ქალაქ მარსელის ვიცე-მერი.



11. რას ელოდა ევროპაში ელჩად წასული სულხან-საბა ორბელიანი?

12. რას ჰპირდება სულხან-საბა საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრს, გრაფ დე პონშატრენს, ვახტანგის გათავისუფლებაში დახმარების სანაცვლოდ? შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ეს დაპირება?

13. წყარო გ)-ს მიხედვით, რატომ იყო აუცილებელი ვახტანგ მეფის საქართველოში დაბრუნება?

14. გაარკვიე, რას ნიშნავს სიტყვა „მემორანდუმი“ და განმარტე, რა ტიპის წერილობითი წყაროებია ზემოთ მოცემული.

15. პიერ დ’არნუს მემორანდუმის მიხედვით, რა საკითხმა გამოიწვია საფრანგეთის სამეფო კარის განსაკუთრებული დაინტერესება? იმსჯელე, რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდათ ფრანგებს აღმოსავლეთში.

16. რატომ თანხმდებოდა ვახტანგ VI კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებას? გაიხსენე, კიდევ რომელი მეფე თანხმდებოდა კათოლიკობის მიღებას?

17. შენი აზრით, მხოლოდ ნათესაური ურთიერთობით იყო გამოწვეული. ჩრდილოეთ კავკასიის, კონკრეტულად ჩერქეზეთის ჩართვა ამ პროექტში, თუ ეს ფაქტი სხვა პროცესებზეც მიუთითებს? პასუხი დაასაბუთე.

18. რა გეგმების განხორციელებას გეგმავდნენ ფრანგები საქართველოსთან ერთად? რა იყო მათი გეგმების ძირითადი ნაწილი?

19. წყაროების მიხედვით, რამდენად შეესაბამებოდა ერთმანეთს ქართლისა და დასავლეთ ევროპის გეგმები? პასუხი დაასაბუთე

20. პიერ დ’არნუს მტკიცებით, იმდროინდელ კავკასიას რა სავაჭრო პოტენციალი ჰქონდა?

21. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 86. გ) და დ) წყაროების საფუძველზე შეავსე სქემა, რას ელოდა საფრანგეთში ელჩად ჩასული სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის ხელისუფლებისგან და პირიქით.

Don't copy

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის მთავარი მიზანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება იყო. ის შეხვდა რომი პაპ კლემენტ XI-სა და საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს. უნდა დაწყებულიყო ახალი პროექტი, რომელიც საქართველოში ფრანგული წარმომადგენლობის გაფართოებასა და ქართველების დახმარებით ჩრდილოეთკავკასიელების გაქრისტიანებას ისახავდა მიზნად. თუმცა სულხან-საბამ ჯერ კიდევ გზაში შეიტყო, რომ ოსმალეთმა გამოგზავნილი მისიონერები თავის სამფლობელოებში არ გაატარა. იმავდროულად გარდაიცვალა ლუი XIV და პროექტიც ჩაიშალა. ამიტომაც სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობას კონკრეტული შედეგები არ მოუტანია. ამის გამო 1716 წელს ვახტანგ VI იძულებული გახდა, ფორმალურად მიეღო ისლამი. ირანის შაჰმა ის მეფედ დანიშნა, თუმცა ქართლში მხოლოდ 1719 წელს დააბრუნა.



რუკა 27. სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში 1713-1716 წწ.

Don't copy

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) – დაიბადა სოფელ ტანძიაში, დიდგვაროვნების ოჯახში. აღიზარდა შაჰნავაზის სამეფო კარზე და კარგი განათლება მიიღო. მოგვიანებით მას მეფის ძმისშვილის, მომავალი მეფის, ვახტანგ VI-ის, აღზრდა დაევალა. იყო ვახტანგ VI-ის აღმზრდელი, მოძღვარი და თანამებრძოლი. მეფესთან ერთად სულხან-საბა ორბელიანის სახელს უკავშირდება ის კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები, რომლებიც იმ ხანად ქართლში გატარდა. ამასთანავე სულხან-საბას შედგენილია „სიტყვის კონა“ – ქართული ლექსიკონი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის გაწმენდას სპარსული და თურქული გავლენისაგან. მისივე შემოქმედებაა „სიბრძნე-სიცრუისა“– იგავ-არაკთა კრებული.

ევროპიდან დახმარების იმედის გადაწურვის შემდეგ ვახტანგ VI-მ რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება სცადა. ამ პერიოდში რუსეთის იმპერატორი პეტრე I განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა კავკასიისა და ირანის მიმართ როგორც სავაჭრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მან ირანში სამშვიდობო მისია გაგზავნა რუსი ვაჭრებისთვის პრივილეგიების მისანიჭებლად და ვითარების დასაზვერად. პეტრეს განსაკუთრებით კასპიის ზღვის ხელში ჩაგდება აინტერესებდა, რათა იქ გამავალი აბრეშუმის სავაჭრო გზები გაეკონტროლებინა.

რუსებმა ვახტანგ VI-სთანაც დაიწყეს მოლაპარაკება სამომავლოდ ირანში ლაშქრობაში მონაწ-

ილეობის მისაღებად. თათბირის შემდეგ ვახტანგი დასთანხმდა ამ წინადადებას და უკვე 1722 წლისთვის ლაშქარი ჰყავდა გამზადებული რუსეთის ჯარებთან ერთად ირანში შესაჭრელად. იმავე წელს პეტრემ აცნობა ვახტანგს, რომ კასპიის ზღვის სანაპიროზე სამხედრო მოქმედებები დაიწყო. იმავდროულად ირანში შესაჭრელად ოსმალური ჯარიც ემზადებოდა და სულთნის დავალებით არზრუმის ფაშამ ვახტანგს მოკავშირეობისკენ მოუწოდა. ვახტანგმა უარი უთხრა და ეს ამბავი პეტრე I-ს აცნობა. შედეგად ვახტანგზე ერთდროულად განრისხდა როგორც ირანის შაჰი, ისე ოსმალეთის სულთანი – არზრუმის ფაშა ოსმალური ჯარით ქართლის საზღვრებთან იდგა, ირანის შაჰიც ლაშქარს ამზადებდა ურჩი ვახტანგის დასასჯელად. მან ქართლის გამგებლობა კახეთის გამაჰმადიანებულ მეფეს კონსტანტინე II-ს, იგივე მაჰმად ყული-ხანს, გადასცა.




სურ. 4 ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. XVIII საუკუნის მინიატიურა

წყარო ე) ესაია ჰასან ჯალალიანცი, XVIII ს.-ის სომეხი მემატიანე, „ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“

„ქართველთა მეფე ვახტანგი მოვიდა მრავალრიცხოვანი ლაშქრით და დადგა ქალაქ განძაკის (განჯა) სამხრეთით. ვახტანგი განჯისაკენ დაიძრა შემდეგი მიზეზების გამო: სპარსელთა სახელმწიფო ძალზე დასუსტდა... სამაგიეროდ უფრო გაძლიერდნენ მისი მტრები – დიდი თვითმპყრობელი კეისრები: რუსების ხელმწიფე პეტრე და კონსტანტინოპოლის მფლობელი ოსმალთა სულთანი. მათ დაიწყეს თავიანთი ჯარების გაგზავნა სპარსელთა ქვეყანაში. რუსებს უნდოდათ, დახმარებოდნენ სპარსეთის ხელმწიფეს, ხოლო ოსმალები ისწრაფოდნენ, ხელთ ეგდოთ სპარსეთი და ამბობდნენ: სხვებს სურთ, დაეპატრონონ ამ ქვეყანას, მაგრამ იგი ჩვენ გვეკუთვნისო. ამ მიზეზებით დაიწყო ორივე მხარემ შიკრიკების გზავნა ქართველთა მეფე ვახტანგთან. ერთი მოითხოვდა, მე დამიჭირე მხარი და დამემორჩილეო, მეორე არწმუნებდა, ერთი რჯულისა ვართ და ამიტომ ვალად გადევს ჩემი დაჯერება და ჩემთან მოსვლაო. რადგანაც ხელმწიფე პეტრეს ვახტანგთან დადებული ჰქონდა პირობა და ლაშქრობის დროც დანიშნული იყო, ამიტომ ამ შემოდგომაზე თვითონ ქალაქ შემახას მივიდა, ხოლო მას დაავალა, თადარიგი დაეჭირა. მაშინ სპარსელთა ხელმწიფემ გაუგზავნა ვახტანგს ფირმანი: „შენ გაძლევ განჯის ოლქს და გნიშნავ იმ მხარეთა ყველა მფლობელის უფროსად და მთავარსარდლად, ამიტომ დაუყოვნებლივ შეყარე ლაშქარი, წამოდი განჯაში და მოუარე და დაიცავი ხსენებული ქვეყნები ჩვენი მტრებისაგან“. როდესაც ვახტანგმა შაჰის ბრძანება მიიღო, ღრმა საგონებელს მიეცა: ორი თვითმპყრობელი მაიძულებს, რომ მათ მივემხრო, მე კი მევალება მესამის ბრძანების შესრულება, ოსმალები სხვა სარწმუნოებისა და უცხონი არიან ჩვენთვის და ამიტომ სურთ ჩვენი ქვეყნის ძალით დაპყრობა, აქეთა მხარე, ე. ი. სპარსების ხელმწიფე, ჩვენი ძველი პატრონია, ხოლო მესამე ჩვენი თანამორწმუნე და ქრისტიანი ხელმწიფეა და ძალზე ძლიერია, ავდგები და წავალ მათი მოთხოვნის თანახმად და ვინც გაიმარჯვებს, იმის ბრძანებას შევასრულებო... ვახტანგს სჯეროდა და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის დიდი კეისარი მოვიდოდა. მაგრამ პეტრეს ლოდინში რომ ვიყავით, შევიტყვეთ, რომ იგი მიადგა „რკინის კარს“, ე. ი. დარუბანდს, რომლის მოსახლეობამ თავისი სურვილით ჩააბარა მას ციხესიმაგრე. მაგრამ არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა: ზოგმა თქვა, რომ ავადმყოფობისა და სხვა უბედურებისგან დიდი ზარალი მოუვიდა რუსთა ხელმწიფის ჯარს და დაეხოცათ ცხენები, რადგანაც ამ ქვეყნის ჰავა მათთვის უჩვეულო იყოო, ზოგმა კი გემების ჩაძირვა თქვა, რაც იარაღის, ე. ი. არსენალისა და ჯარის ჯამაგირის დაღუპვას ნიშნავდა, ზოგი სხვა მიზეზებს ასახელებდა. რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, რუსთა ხელმწიფე იქიდან უკან დაბრუნდა, ჯარის ნაწილი დატოვა დარუბანდში და დაჰპირდა, რომ მომავალ წელს კვლავ მოვიდოდა და თავისი ქვეყნისკენ გაემართა. ვახტანგს შიკრიკები მიუვიდნენ და აცნობეს, შენს ძველ მტრებს სურთ შენი ქალაქის დაპატრონება, ამიტომ სასწრაფოდ უკან უნდა დაბრუნდეო. ამის გამო ვახტანგი საჩქაროდ აიყარა და თავის ქვეყანაში, თბილისში წავიდა“.

Don't copy



რუკა 28. რუსეთის არმიის ლაშქრობები კასპიისპირეთში 1722-23 წწ., პეტრე I-ის დროს

Don't copy

22. რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რამდენად სწორი იყო ვახტანგ VI, რომ რუსეთთან კავშირის დამყარებას ესწრაფოდა? პასუხი დაასაბუთე.

23. შენი აზრით, რა საფრთხეს შეუქმნიდა ირანისა და ოსმალეთის კავკასიურ პოლიტიკას რუსეთის იმპერიის გააქტიურება?

24. რას გეუბნება ლაშქრობების რუკა 28 რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების შესახებ?

მომდევნო წელს, კონსტანტინე II ირანის ჯარითა და ლეკების რაზმით, ასევე ერევნისა და განჯის ხანები თბილისს მოადგნენ და სამთვიანი ბრძოლის შემდეგ ვახტანგ მეფე იძულებული გახდა, ცხინვალში გადასულიყო. არზრუმის ფაშა მას სულთნის ძალაუფლების აღიარებას სთხოვდა ქართლის ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ. ვახტანგი ოსმალებთან მოლაპარაკებებს აჭიანურებდა იმ იმედით, რომ რუსეთის ჯარი მალე მოვიდოდა. ოსმალები ქართლში შემოიჭრნენ და თბილისი უბრძოლველად დაიკავეს. ოსმალეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება შედგა. ოსმალეთი აღიარებდა რუსეთის უფლებას კასპიის ზღვაზე იმ პირობით, რომ პეტრე ირანში ლაშქრობაზე უარს იტყოდა. რუსეთი კი ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობას აღიარებდა.

ვახტანგ VI იძულებული გახდა, 1200-კაციანი ამალით რუსეთში წასულიყო. როგორც მისი ვაჟი, ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, ეს მომხდარა, ქრისტეს აქეთ ჩღკდ ანუ ქართული წელთაღრიცხვის (ქორონიკონით) უიბ წელს. ამალაში მისი

ოჯახის წევრები და ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა შედიოდნენ. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ პეტრე I-ს შეხვდებოდა, მოელაპარაკებოდა და მალე საქართველოში დაბრუნდებოდა, მაგრამ მომდევნო წელს პეტრე ისე გარდაიცვალა, რომ არც შეხვდა ვახტანგ მეფეს და არც ქართველების სათანადო დაფასებაზე და დაბინავებაზე უზრუნია. საბოლოოდ, პეტრეს გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვში ჩასულ ქართველებს სარჩო დაუნიშნეს და მოსკოვის მახლობლად დაასახლეს.

წყარო ვ) ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. IV

„ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელისუფლების მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა. ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩართვით და მტრისათვის გაცემით, პეტრე პირველმა ისეთი უმადურობა გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისთვის შესაფერისი თავშესაფრისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ჰნებავდა“.

25. წყარო ე)-ს მიხედვით, რატომ არ შეურთდა ქართველთა ლაშქარს რუსეთის ჯარი?
26. რატომ აიღო ვახტანგ მეფემ რუსული ორიენტაცია? რამდენად სწორი იყო მისი გადაწყვეტილება?
27. რა არჩევანის გაკეთება უწევდა ვახტანგ VI-ს განჯაში დგომისას?
28. შენი აზრით, რამდენად რეალურია, წყაროში დასახელებული რუსთა ჯარის ირანში არშეჭრის მიზეზები?
29. რუკა 28-ის მიხედვით იმსჯელე: რამდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა ვახტანგს მობილიზებული; რა პოზიცია ჰქონდა შერჩეული და სად ელოდებოდა რუსთა ჯარს მეფის ლაშქარი.
30. შენი აზრით, რატომ არ მიიღო ვახტანგმა სულთნის წინადადება?
31. მოსწავლის რვეულის დასაწყისში, მოცემული ქართული ანბანის, რიცხვების სქემისა და მასალის საშუალებით, გამოთვალე, რომელ წელს გაემგზავრა რუსეთში ვახტანგ VI?
32. შენი აზრით, რატომ არ იყენებს ვახუშტი ბატონიშვილი დათარიღების მხოლოდ ქართულ ვერსიას (ქორონიკონს)?
33. როგორ ფიქრობ, რატომ გადაწყვიტა ვახტანგმა რუსეთში გახიზვნა და რატომ გაიყოლა ასეთი მრავალრიცხოვანი ამალა?
34. ეთანხმები თუ არა ვახტანგ VI-ის მიერ ქართლის დატოვებას და რუსეთში გადასახლებას? პასუხი დაასაბუთე.
35. რომელი ორი პერიოდი გამოიყოფა ვახტანგ VI-ის მმართველობაში? რომელი უფრო მნიშვნელოვანია? რატომ?
36. შენი აზრით, ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მარცხი მისი გადაწყვეტილებების შედეგია თუ არსებული საშინაო და საერთაშორისო ვითარების? პასუხი დაასაბუთე
37. ეთანხმები თუ არა ივანე ჯავახიშვილის შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.
38. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 87. ტექსტსა და წყარო ე)-ზე დაყრდნობით შეაფასე ვახტანგ VI-ის პოლიტიკური არჩევანი.
39. 31. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 133. შეავსე კონტურული რუკა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები“

Don't copy

32 როგორ განვითარდა პროცესები XVIII საუკუნის შუა ხანების საქართველოში

ოსმალობა და ყიზილბაშობა

1723 წელს ქართლში ოსმალთა ბატონობა დამყარდა, რაც თურქული მმართველობისა და საგადასახადო სისტემის შემოღებას ნიშნავდა. ქვეყნის მმართველად, ვახტანგ VI-ის ძმა, იესე დაინიშნა, თუმცა მას, ფაქტობრივად, ახალციხის ფაშა მართავდა. ქვეყანაში ოსმალური საგადასახადო სისტემა და კანონები ამოქმედდა.

1727-1747 წლების ქრონიკა

1727 წელი – იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს;

1730 წელი – დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი; ქართველი დიდებულები ირანს მიემხრნენ;

1732 წელი – კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა კონსტანტინე კახთა მეფის ძმა თეიმურაზი;

1735 წელი – ქართლში დიდი აჯანყება დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ. ირანელთა დახმარებით ქართველებმა ოსმალების ქვეყნიდან განდევნა მოახერხეს. ოსმალობა ყიზილბაშობამ ჩაანაცვლა;

1736 წელი – ირანის მმართველი გახდა ნადირ-შაჰი, რომელმაც ქართლ-კახეთს მძიმე გადასახადები დააკისრა. ქართლში ირანის საწინააღმდეგო აჯანყებები დაიწყო. ნადირ-შაჰი დათმობებზე წავიდა;

1744 წელი – ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ, კახეთის მმართველი და ვახტანგ VI-ის სიძე (ქალიშვილის ქმარი) თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ მისი ვაჟი, – ერეკლე II დანიშნა.

1745 წელი – სვეტიცხოველში თეიმურაზი და ერეკლე ქრისტიანული წესით აკურთხეს მეფეებად. ქართლში ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე არ მომხდარა.

1747 წელი – შეთქმულებმა მოკლეს ნადირ-შაჰი. ირანში ხანგრძლივი შინაფეოდალური ომი დაიწყო და ქართლ-კახეთმა, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობას მიაღწია.

?

1. **როგორ იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება ქართლში 1727-1747 წლებში?**
2. **რომელი ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა ვახტანგ VI-ის შემდგომი პერიოდის ქართლის ისტორიაში?**
3. **რა პრობლემების წინაშე დგას ქართლი და კახეთი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მმართველობის დაწყების წინ?**
4. **შენი აზრით, რას გულისხმობდა თურქული საგადასახადო სისტემის შემოღება ქართლის მოსახლეობისთვის?**
5. **როგორ ფიქრობ, რატომ იყო მნიშვნელოვანი მამა-შვილის გამეფება ქართლ-კახეთში?**
6. **რა მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზისა და ერეკლეს ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევას?**

Don't copy

ირანში დაწყებული შიდა არეულობით კარგად ისარგებლეს თეიმურაზმა და ერეკლემ და ქვეყნის განმტკიცებას შეუდგნენ. ერეკლემ თბილისი და მთელი ქართლი გაწმინდა ირანული გარნიზონისგან. ერევნისა და განჯის ხანებმაც გამოუგზავნეს ერეკლეს საჩუქრები და მისი მფარველობა აღიარეს.

ერეკლემ ჯერ ნადირ-შაჰის მკვლელობის მონაწილე მაჰმად ხანი დაამარცხა. შემდეგ ყარაბაღის მფლობელის, ფანა ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ის განჯის სახანოს დაუფლებას ცდილობდა.



სურ. 1 თეიმურაზ II
ავტორი რუსი მხატვარი ალექსეი ანტროპოვი (1716-1795)

წყარო ა) პაპუნა ორბელიანი, ქართველი ისტორიკოსი, „ამბავნი ქართლისანი“, XVIII ს.

„გამოგზავნა განჯის ხანმა თავისი ძმა რიზა ყული ბეგ ქართლში და შემოეხვეწა მეფეს თეიმურაზსა და ძესა მისსა მეფეს ერეკლეს: „დამიხსენით ამ კაცისაგანო, მე და ჩემი ქვეყანა თქვენი მონა შევიქმნებითო, ჯარსაც ჯამაგირს მივცემთო... ბატონებმა თავს შეიდვეს და ჯარის თადარიგი დაიჭირეს... უბრძანეს მეფეთა ქართლისა და კახეთის ჯარებს და დაეშურნენ მიშველებასა განჯასა... მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისსა, ქართველნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი, აგრეთვე კახს-ბატონს შემოეყარა კახნი სრულად, თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და ლეკნი, რომელნი მონებდეს კახს-ბატონს. ღა ეს ჯარები შეიკრიბნენ ქალაქ თბილისს, გავიდა თოფხანა და გაბრძანდა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე ქალაქით თვესა თებერვალსა 8, ქორონიკონს 438 (1750). გატეხილ ხიდზე რომ ჩაბრძანდნენ, ბორჩალუს ჯარი შემოეყარათ, ყაზახის ჯარი ყაზახში და მიბრძანდნენ შამსადილოში, ერევნის ჯარებიც დაბარებულიყო და მოელონენ, მოვიდნენ შამშადილოელნი და მოართვეს **ფეშქაში** ორსავ ბატონს“.

განჯასთან ქართველ მეფეებს განჯის ხანის, სომეხი **მელიქების** და კათალიკოსის ლაშქარი შეუერთდა. ფანა-ხანს შეეშინდა და ყარაბარში გაიქცა. თუმცა თეიმურაზმა და ერეკლემ მასზე გაილაშქრეს, დაამარცხეს და საქართველოში დიდი ნადავლით დაბრუნდნენ.

ერეკლემ დაამარცხა აზატ-ხანიც, რომელიც ირანის შაჰის ტახტის პრეტენდენტი იყო. 1751 წელს ის ერეკლეს ვასალს, ერევნის ხანს თავს დაესხა. ერევნის ხანმა დახმარება ითხოვა. ერეკლე ქართველების, ბორჩალოელი მუსლიმების და დაქირავებული ოსების ლაშქრით ერევნისკენ გაემართა. აზატ-ხანმა თავდაპირველად ბრძოლას თავი აარიდა და ერევანს ალყა მოხსნა. თუმცა 18 000 მეომარი შეკრიბა და ერეკლეს ყირბულახთან შეებრძოლა.

წყარო ბ) ომან ხერხეულიძე, ქართველი ისტორიკოსი, „მეფობა ირაკლი მეორისა“, XVIII ს.

ერეკლემ უბრძანა თავის ჯარს: „სანამ მე ცხენზე არ შევჯდები, თქვენც ნურავინ შესხდებით და ვიდრე ჩემი თოფი არ გავარდება, თქვენც თოფს ნურავინ ისვრითო“. მაშინ გაუძღვა მეფე ირაკლი ათას ხუთას დაქვეითებულ კაცს წყნარად და გაემართა იქით, სადაც აზატ-ხანის ჯარი იყო თავმოყრილი. აზატ-ხანმა თავისი ჯარი გარს შემოახვია ისე ახლოს, რომ შუბი აღარ გაიმართებოდა, ქართველების ცოცხლად შეპყრობა უნდოდა. ერთმა ხანმა გადაწყვიტა ერეკლეს შეპყრობა, ცხენდაცხენ მიეჭრა ქართველებს და დაიძახა: „სად არის ირაკლი მეფე“. მაშინ შესძახა ირაკლიმ, „მე ვარ ირაკლი მეფეო“ და თოფი ესროლა. ხანი გადმოვარდა ცხენიდან და მეფის წინ დაეცა. ქართველებმა ეს რომ დაინახეს, ესროლეს ახლოს მოსულ მოწინააღმდეგეს. შემდეგ ამხედრდნენ მეფე და მისი ჯარი, იშიშვლეს ხმლები, მტერს შეუტიეს და ყიზილბაშები გააქციეს. გამარჯვებულ ირაკლი მეფეს დარჩა 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავის ასი აქლემით და მრავალი დროშა და ორი ათას ხუთასი კარავი, ხოლო ტყვე და საქონელი ვერ დაითვლებოდა.“

Don't copy

ფეშქაში – ძღვენი, საჩუქარი
მელიქი – XIII-XVIII საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ფეოდალთა ტიტული და თანამდებობა. აზერბაიჯანსა და სომხეთში ნახევრად დამოუკიდებელი მფლობელები.

7. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართველებთან ერთად თეიმურაზის და ერეკლეს არმიაში ერთად იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიელი ჩერქეზები, ოსები, ლეკები, ბორჩალუს, ყაზახის და შამსადილოს ჯარები (ეხლანდელი აზერბაიჯანელები), ერევნის სახანოს სომხები და მუსლიმები?

8. დათარიღების რომელ სისტემას იყენებს პაპუნა ორბელიანი?

9. ყირბულახთან ერეკლეს მიერ გამოყენებული ბრძოლის სტრატეგია, ხომ არ გაგონებს წინა საუკუნეებში გამართული რომელიმე ბრძოლის მიმდინარეობას? რატომ? პასუხი დაასაბუთე.

ამრიგად ერეკლე II სამხრეთ კავკასიაში ყველაზე გავლენიან და ძლიერ მეფედ იქცა. 1750-იან წლებში ერეკლემ არაერთხელ ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში ლეკების წინააღმდეგ და რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. ლეკების შემოსევების ასალაგმად მის მიერ ჩატარებული ბრძოლებიდან განსაკუთრებით გამოსარჩევია მჭადიჯვრისა (1754) და ყვარლის (1755) ბრძოლები, სადაც ერეკლემ წარმატებით მოიგერია ავარიის (ხუნძახის) ხანის ნურსალ-ბეგის შემოსევები. მიღწეული წარმატების მიუხედავად, თეიმურაზი და ერეკლე ძლიერი მოკავშირეების პოვნას ცდილობდნენ. ამ მიზნით თეიმურაზი რუსეთში გაემგზავრა, თუმცა 1762 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა. ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა.

ერეკლე კვლავ განაგრძობდა ახალი მოკავშირეების მოძიებას. ამ მიზნით მას არაერთი წერილით მიუმართავს ვენეციის დოჟებისთვის, ავსტრიის იმპერატორისა და პრუსიის მეფისათვის. იმავდროულად ის ცდილობდა ქვეყნის ეკონომიკა და ჯარი ევროპულ ყაიდაზე მოეწყო. როგორც რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ბურნაშოვი წერდა „ერეკლე მეფე ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“. თავადების შევიწროება (ზოგი სათავადოს გაუქმება, ზოგის შემცირება), საგლეხო რეფორმები, მოქალაქის საკუთრების უფლებების დადგენა, სახელმწიფო წყობილების რეფორმირება (მმართველობის დანაწილება: სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, სასწავლო-განათლების მიმართულებით), პროფესიონალური ჯარის შექმნის მცდელობა, მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი, საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვა, სამთამადნო (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის) წარმოების დაწყება, ზარაფხანა, სემინარიები, განათლებულ მოღვაწეთა ხელშეწყობა, სამეცნიერო-პოლიტიკური თუ მხატვრული ლიტერატურის თარგმნა – ყველაფერი ეს, ფეოდალურ-თავადური წყობილებიდან თანამედროვე, ევროპული ყაიდის ქვეყნის შექმნას ისახავდა მიზნად.

წყარო გ) მამია დუმბაძე, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV ტომი, თავი II, § 2. “ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის”:

„დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდშიაც ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა უაღრესად ფრთხილი და თავშეკავებული იყო; იგი კონკრეტული ვითარების სწორ ანალიზს ემყარებოდა, თეიმურაზ-ერეკლეს სახელმწიფო მაშინ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა, თუ იგი კიდევ უფრო არ გაძლიერდებოდა და აქტიურად არ ჩაებმებოდა შაჰის ტახტისათვის მიმდინარე ბრძოლაში. ამიტომ ირანისაგან სრული „გამიჯვნის“ კურსი მაშინ ნამდვილად არ იქნებოდა ხელსაყრელი მზარდი სახელმწიფოსათვის. „გურჯისტანის ვალის“, თუ ამ ტიტულის ნამდვილი შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც შეეძლო გულდამშვიდებით ეცქირა ირანის ამბებისათვის და ხელი აეღო იქ ცენტრალური ხელისუფლების ხელსაყრელი „აღდგენის“ ცდებზე. ამ შემთხვევაში „ვალის“ ტიტულის ფორმალური მხარე თეიმურაზისათვის თითქოს მომგებიანი ჩანდა, რადგან ირანთან სამშვიდობო ურთიერთობა ქართლის წარმატებისათვის გადამწყვეტი პირობა იყო“.

10. **წყარო გ-ს მიხედვით, რას ემყარებოდა თეიმურაზისა და ერეკლეს საგარეო პოლიტიკა? შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო ასეთი საგარეო კურსი ქვეყნისათვის?**
11. **იმავე წყაროს მიხედვით, რატომ იყო შეუძლებელი ქართლ-კახეთისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ირანის შიდა საქმეებში ჩარევის გარეშე?**
12. **დააკვირდი თეიმურაზ II-ის თავსაბურავს (სურ. 1). შეადარე განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს (დავით აღმაშენებელი, გიორგი III, გიორგი IV...) და XVII-XVIII სს. ქართლისა და კახეთის მეფეების (თეიმურაზ I, როსტომ-ხანი, ვახტანგ VI...) გამოსახულებებს და იმსჯელე, იმ ცვლილებების მიზეზების შესახებ, რაც განიცადა ყოფის ისეთმა ელემენტმა, როგორიცაა – ტანსაცმელი.**

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ერეკლე ნადირ-შაჰმა ინდოეთის ლაშქრობაში წაიყვანა, სადაც მომავალმა მეფემ დიდი სამხედრო წვრთნა მიიღო. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება დაიწყო ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისთვის.

პირველ რიგში, მან ქართლ-კახეთის მეამბოხე და მოღალატე თავადები შეავიწროვა, აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, გაატარა ადმინისტაციული რეფორმა და მმართველობა ცალკეული უწყებების მიხედვით დაანაწილა – სამხედრო, საგარეო, საშემოსავლო და სხვა მიმართულებების შესაბამისად.

Don't copy

განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას. აამუშავა მინის, სარკის, თიხის, ჭურჭლის, აგურის ფაბრიკები და ქარხნები; დაიწყო სხვადასხვა ლითონის მოპოვება – აამუშავა რკინის, ვერცხლის, ოქროს, სპილენძისა და თუჯის სამთამადნო წარმოება. მოპოვებული ლითონებით ერეკლე ვერცხლისა და სპილენძის ფულს ჭრიდა. ამზადებდა ზარბაზნებს და სხვა საბრძოლო მასალებს – დენთს, იარაღს და ა. შ. დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის თავდაცვისთვის ძველი სიმაგრეების აღდგენას და ახლების აშენებას. ქვეყანაში მიწათმოქმედების, ვაჭრობა-ხელოსნობისა და სამთამადნო წარმოების გავითარებისთვის ერეკლე მეფე გაუკაცრიელებულ მიწებზე ინტენსიურად ასახლებდა სხვადასხვა ტომის ხალხს: ელს, სომხებს, ბერძნებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.



სურ. 2. ერეკლე II

უცნობი ავტორი, XIX საუკუნე

ეკონომიკის განვითარებისა და მშვიდობიანობის შენარჩუნების შედეგად გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრებაც. განსაკუთრებით დაწინაურდა თბილისი, სადაც მეზობელი ქვეყნებიდან ბევრი ვაჭარ-ხელოსანი მოდიოდა სტაბილური და მშვიდი გარემოს გამო. თბილისი ისევ გახდა კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

მეფე ერეკლე დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და განთლების განვითარებასაც. აღდგა ანთიმოზ ივერიელის დახმარებით თბილისში ჩამოტანილი სტამბა, გაიხსნა სასულიერო სემინარიები (თბილისში, გორსა და თელავში) და სკოლები. სამეფო კარზე დაარსდა თეატრალური დასი. ერეკლე მეფის ინიციატივით დიდი ყურადღება დაეთმო იმდროინდელი თანამედროვე სამედიცინო მიღწევების ქვეყანაში დანერგვასაც. 1772 წელს ქვეყანაში ყვავილის ეპიდემია იყო მოდებული. ჩვენამდე მოაღწია ერეკლე მეორის წერილმა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ მისი შვილი იულონი აუცრიათ – „ჩვენს შვილ იულონს ყვავილი აუჭერით და გაცხელებული არის. ქალაქში დიაღ მრავალი ყვავილი გაჩნდა და გახიზვნას ვაპირობთ“.

ჩვენამდე მეფე ერეკლეს მრავალმა წერილმა მოაღწია. საქმიანი და სახელმწიფოებრივი შინაარსის წერილებთან ერთად გვხვდება მისი პირადი მიმოწერა ქალიშვილთან – თეკლა ბატონიშვილთან. წერილებში მეფე ქალიშვილს მოფერებით „თეკლა ბიჭის“ სახელით მოიხსენიებს, მოიკითხავს მას და ებოდიშება კიდეც, რომ ამჯერად ვერ მოახერხა ტკბილეულის გაგზავნა. სხვა წერილში წუხს მისი ავადმყოფობის გამო და მალე ნახვას ჰპირდება.





სურ. 3-4. თეკლა ბატონიშვილთან გაგზავნილი ერეკლე II-ის წერილები და ხელრთვები (ხელმოწერები) საქართველოს ეროვნული არქივიდან

Don't copy

ქვეყნის მთავარ პრობლემად ლეკიანობა რჩებოდა. დაღესტნელი ფეოდალები გამუდმებით ესხმოდნენ თავს სოფლებსა და ქალაქებს, მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავდნენ და მიჰქონდათ მოსავალი, საქონელი, მიჰყავდათ ტყვეებიც.

ლეკიანობის აღმოსაფხვრელად ერეკლე მეფემ შექმნა „მორიგე ჯარი“.

წყარო დ) მამია დუმბაძე, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV ტომი, თავი XIII, § 7. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე:

„განჩინებაში მორიგე ჯარის შესახებ“ შესანიშნავად იყო დასაბუთებული „მორიგეს“ შექმნის მიზეზები და სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესები, საიდანაც მთელი სიცხადით მოჩანდა ამ დიდი ღონისძიების სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მისი მიღება და დამტკიცება უდავოდ ცენტრალური ხელისუფლების დიდი გამარჯვება იყო და აშკარად გამოხატავდა ერეკლეს აბსოლუტისტურ ტენდენციებს. სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის ყველას – როგორც გლეხებს, ისე ფეოდალებს – მეფის რისხვა მოელოდა. „განჩინების“ საფუძველზე, აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო, ერთი თვით ლაშქარში გამოსულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა“. ამისათვის მეფემ გლეხები სასურსათო გადასახადისაგან გაათავისუფლა. მორიგე გლეხი ჯარში საკუთარი იარაღით გამოდიოდა, რისთვისაც ფეოდალები აგებდნენ პასუხს. ხელმოკლე გლეხები მებატონეს უნდა მოემარაგებინა. შეიმუშავეს აგრეთვე მოლაშქრეთა სამხედრო წვრთნისა და ორგანიზაციის ფორმები. ამრიგად, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს უკვე 1774 წლიდან 5000 საომრად გამზადებული ჯარისკაცი ჰყავდა, ამ ლაშქარმა უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის შემდგომი გაძლიერების საქმეში. ამ დროიდან ერეკლეს შედარებით უფრო ადვილად შეეძლო ამიერკავკასიაში უფრო აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლა“.

„მორიგე ჯარის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და საერთო ხელმძღვანელი ერეკლე მეფის ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო. 1781 წელს მისმა გარდაცვალებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა „მორიგე ჯარის“ ორგანიზების საკითხი. ამას დაემატა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგობრივი განწყობები და საბოლოოდ, 1787 წლისთვის „მორიგე ჯარი“ ძალიან დასუსტდა და გაუქმდა.

13. როგორ ცდილობდა ერეკლე II ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას? რა შედეგი მოჰყვა სამრეწველო სფეროში გატარებულ ღონისძიებებს?

14. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი თბილისს კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაქცევაში?

15. რა საფრთხეს უქმნიდა ლეკიანობა ქვეყანას და რატომ იყო ის ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა?

16. რა მიზნით სჭირდებოდა მეფეს „მორიგე ჯარი“? სხვა რა ტერმინს გამოიყენებდი მის აღსანიშნავად?

17. შენი აზრით, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ „მორიგე ჯარის“ ორგანიზატორები? რატომ?

18. რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ურჩი ფეოდალები „მორიგე ჯარის“ არსებობას?

19. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 88. გაეცანი ერეკლე მეორის რეფორმებს და შეავსე ცხრილი.

20. როგორ ფიქრობ, რამდენად დროული იყო მუდმივად ბრძოლებში ჩართული სამეფოსთვის კულტურისა და განათლების რეფორმების დაწყება (თეატრი, სტამბა, სემინარიები)? პასუხი დაასაბუთე.

21. გაიხსენე სხვა ქართველი მეფეები, რომლებმაც დიდი სამხედრო რეფორმები გაატარეს ქვეყანაში.

22. შენი აზრით, რატომ ვერ მოხერხდა „მორიგე ჯარის“ ტიპის სამხედრო სტრუქტურის (ყველა მამაკაცი ჯარში, გლეხების ჩართულობა, სამხედრო წვრთნები და ა. შ.) შექმნა საქართველოში წინა საუკუნეებში? რა იყო ამ რეფორმის წარმატების მთავარი საფუძველი?

Don't copy

23. როგორ გესმის წყაროში მოყვანილი ფრაზა: „აშკარად გამოხატავდა ერეკლეს აბსოლუტისტურ ტენდენციებს“?
24. გაიხსენე, რა არის აბსოლუტიზმი და რომელი ევროპული ქვეყნის მმართველობის ფორმა იყო ის.
25. საქართველოში მიმდინარე პროცესები შეადარე იმავე პერიოდის ევროპას და იმსჯელე, რატომ ჩამორჩა საქართველო და მთლიანად აღმოსავლეთი, XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ევროპაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს?

დასავლეთი საქართველო



სურ. 5. სოლომონ I
უცნობი ავტორი, XVIII საუკუნის II ნახევარი

XVII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში ქაოსი სუფევდა. ოსმალთა ლაშქრობები, მათ მიერ დაწესებული გადასახადები, თავადაზნაურობის დაუმორჩილებლობა, ტყვის სყიდვა და ცენტრალიზებული ხელისუფლების სისუსტე ქვეყანას მძიმე ვითარებაში აგდებდა. ასეთ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც 1752 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე 17 წლის სოლომონ I ავიდა. მეფობის პირველი წლები სოლომონმა ურჩი ფეოდალების დამორჩილებასა და დასჯას მოანდომა. მას გურიელი, აბაშიძეთა ძლიერი საგვარეულო, როსტომ რაჭის ერისთავი, დედა, ბიძები და ბაბუა, ლევან აბაშიძეც კი უპირისპირდებოდნენ.

თავდაპირველად სოლომონმა გურიელი და დადიანი მიიმხრო და მათი დახმარებით დანარჩენი თავადებიც მეტ-ნაკლებად დაიმორჩილა. ამის შემდეგ მან ოსმალთა ქვეყნიდან გაძევება გადაწყვიტა, რომლებიც ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდათისა და შორაპნის ციხეებში იყვნენ გამაგრებული. ამ ბრძოლაში სოლომონ მეფეს მხარს გლეხები უფრო უჭერდნენ, ვიდრე თავადები. საქმე ისაა, რომ მეფე ცდილობდა ქვეყანაში ტყვის სყიდვა აეკრძალა, რომელშიც თავადაზნაურობა იყო ჩართული და ამ საქმით დიდ სარგებელს ნახულობდა, გლეხებს კი ყველაზე მეტად აზარალებდა. ტყვის სყიდვაში მთავარ სარგებელს თურქები ნახულობდნენ, ამიტომაც სოლომონ მეფის მოქმედება მათ წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა.

მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სოლომონმა შექმნა ინსტიტუტი, „ფიცის კაცები“, რომელსაც თავადი ლორთქიფანიძეები მეთაურობდნენ და მასში აზნაურები და გლეხები ერთიანდებოდნენ. მათ ომის დროს 1000 კაცი გამოჰყავდათ და ფაქტობრივად მეფის გვარდია, მისი უერთგულესი ადამიანები იყვნენ. მათ გარკვეული პრივილეგიაც ჰქონდათ. თუ ვინმე, მეფის შერისხული ადამიანი (ქვეყნის ან მეფის მოღალატის გარდა), „ფიცის კაცთან“ შეაფარებდა თავს, მას ვერავინ შეეხებოდა. მასპინძელი „ფიცის კაცი“ კი, ამ ადამიანს მეფესთან შეარიგებდა. თუ რომელიმე „ფიცის კაცი“ ბრძოლაში სიმხდალეს გამოიჩენდა, მას „ფიცის კაცობიდან“ გარიცხავდნენ. ასევე თავის სამკვიდროდან აყრიდნენ და სხვაგან გადაასახლებდნენ.

27. რა პრობლემების წინაშე იდგა იმერეთის სამეფო სოლომონ I-ის გამეფებისას?
28. რომელი ფენები იყო მეფის ხელისუფლების დასაყრდენი? რატომ?
29. რატომ იყო მნიშვნელოვანი ოსმალებისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ გაუქმებულიყო ტყვეებით ვაჭრობა?
30. შენი აზრით, როგორ შეუწყობდა ხელს სახელმწიფოს გაძლიერებას „ფიცის კაცების“ ინსტიტუტის შექმნა?

Don't co

Don't copy

რუკა 29. დას. საქართველოს ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ხრესილის ბრძოლა 1757 წ.

სოლომონის მიერ ტყვის სყიდვასთან ბრძოლამ, ახალციხის ფაშის უკმაყოფილება გამოიწვია. ის იმერეთში ჯარით შემოვიდა და ხრესილის მინდორზე დაბანაკდა. სოლომონმა მათზე გადაწყვიტა მთავარი იერიშის მიტანა. მეფემ ჯარის მომზადება დაიწყო და დახმარება გურიელსა და დადიანს სთხოვა. მზადების შესახებ შეიტყვეს მოღალატე ლევან აბაშიძემ და როსტომ რაჭის ერისთავმა და თურქების ბანაკს მიაშურეს თავიანთი რაზმებით.

წყარო გ) ქველი ჩხატარაიშვილი, XX ს-ის ქართველი სამხედრო ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV ტომი, თავი XIII, § 6. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70--80-იან წლებში:

„თურქებზე თავდასხმის წინ სოლომონმა ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, საიდანაც თურქთა დამხმარე ჯარის შემოსვლა იყო მოსალოდნელი. დანიშნულ დროზე მეფის ჯარების ერთი ნაწილი თურქთა ხელში მყოფ ციხეებს შემოადგა, ძირითადი ნაწილი კი, თვით მეფის სარდლობით, ხრესილისაკენ დაიძრა. მეფის ლაშქარში მის ერთგულ თავად-აზნაურებთან ერთად მასობრივად გამოვიდნენ გლეხები – კომლზე თითო მოლაშქრე. მეფეს მოუვიდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროთა რაზმებიც. სამეგრელოს ლაშქარს ახლდა სამურზაყანოელთა რაზმიც. ხრესილზე მეფის წინააღმდეგ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა: მასში შედიოდნენ ახალციხისა და აჭარის **სანჯაყთა** ჯარები, რომელთაც ახალციხის ფაშა ქეჰაია სარდლობდა. მასთან იყვნენ აგრეთვე ლევან აბაშიძე და ერთ-ერთი წულუკიძე (როგორც ჩანს, რაჭის საერისთავოდან) თავიანთი რაზმებითურთ“.

სანჯაყი – ისტორიულ ოსმალეთში (თურქეთში) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; ვილაიეთის ნაწილი.

1757 წლის 14 დეკემბერს, გამთენიისას, მეფის ლაშქარი თავს დაესხა ხრესილში დაბანაკებულ ოსმალთა ჯარს, რომელიც მზად იყო თავდასხმის მოსაგერიებლად. თავდაპირველად ბრძოლა თურქთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 22 წლის მეფე სოლომონმა მტრის სარდალი ხმლით მოკლა, ქართველებმა შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. მტრის ჯარიდან ბევრი ბრძოლის ველზე დაეცა, ბევრიც ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. ქართველთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამურზაყანოს რაზმის მეთაურმა ხუტუნია შერვაშიძემ, რომელმაც 16 თურქი გამოასალმა სიცოცხლეს, თუმცა თვითონაც გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

ბრძოლაში მოკლეს მოღალატე ლევან აბაშიძე. გედევან აბაშიძე და წულუკიძე კი ტყვედ ჩაუვარდნენ მეფის ჯარს.

31. შენი აზრით, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სამურზაყანოს სამხედრო ძალების გაერთიანებას ოსმალთა წინააღმდეგ ხრესილის ბრძოლაში?

32. რუკა 29-ის და წყაროს მიხედვით აღწერე მეფე სოლომონის სამხედრო ტაქტიკა, რომელიც მან ხრესილის ბრძოლაში გამოიყენა.

33. შენი აზრით, რა იყო ხრესილში მიღწეული გამარჯვების ძირითადი მიზეზი?

34. გარდა სამხედრო-პოლიტიკური მიღწევებისა, კიდევ რა დადებით შედეგებს მოუტანდა ხრესილის ბრძოლაში გამარჯვება სოლომონ მეფეს და მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას?

ხრესილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფე საშინაო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. 1759 წელს სოლომონმა მოიწვია კრება, რომელსაც მთელი დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა ესწრებოდა. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებით მეფემ განამტკიცა ეკლესიის პოზიციები, დაუბრუნა მიწები, გლეხები საეკლესიო გადასახადისგან გაათავისუფლა და რაც მთავარია, აკრძალა ტყვისა სყიდვა – ტყვეებით მოვაჭრეს ეკლესიისგან შეჩვენება და სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა.

Don't copy

წყარო დ) დასავლეთ საქართველოს მთავართა და თავადთა „პირობის წიგნი“, მიცემული 1759 წ. იმერეთის მეფე სოლომონ პირველისადმი ტყვის სყიდვაზე ხელის აღების შესახებ

„ესე მტკიცე, შეუცვალებელი... ხელით წერილი მოგართვით თქვენ, მეფეს სოლომონს, მე დადიანმა კაციამ, მე გურიელმა მამიამ... ერისთავმან როსტომ, წულუკიძემ, ერთობით წერეთელმან, ერთობით მიქელაძემ, ერთობით აბაშიძემ, ერთობით ნიჟარაძემ, იასშვილმან, ლორთქიფანიძემ... და ერთობით იმერმან დიდმან და მცირემან ოდიშარ-ლეჩხუმთა... ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან... გურულმან, დიდმან და მცირემან... ასე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო... ახლა ამაზე ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩუენგან არ იქნეს. არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მივუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშურვოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუენგან იქნების. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღვთისა და კაცისათვის“...

სოლომონი ხვდებოდა, რომ მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ოსმალეთს. ამიტომ ჯერ კიდევ 1758 წელს თეიმურაზთან და ერეკლესთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო. სოლომონმა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად ციხესიმაგრეები სამეფო მმართველობაში დააბრუნა. ზოგი თავადებისგან შეიძინა, ზოგი ურჩ ფეოდალებს ჩამოართვა, ზოგიც თავისი ნებით გადასცეს.

სოლომონ მეფის რეფორმებმა ოსმალთა ფაშების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. XVIII საუკუნის 60-იან წლებში მათ არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს დასავლეთ საქართველოში, რამაც ქვეყანა საგრძნობლად დაასუსტა, მაგრამ ოსმალებმა მაინც ვერ მოახერხეს დასავლეთ საქართველოს დამორჩილება.

35. შენი აზრით, რატომ განამტკიცა სოლომონ მეფემ ეკლესიის პოზიციები და იმავდროულად რატომ გაათავისუფლა გლეხები საეკლესიო გადასახადისგან?

36. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტყვის სყიდვის შესახებ მიღებულ შეთანხმებას აბაშიძეებმა, წულუკიძეებმა და რაჭის ერისთავმაც მოაწერეს ხელი?

37. როგორ გესმის ფრაზა: „ეს საქმე ჩუენგან არ იქნეს. არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მივუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ...“?

38. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 89. ტყვის სყიდვა საქართველოში.

39. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებულ ურთიერთმოკავშირეობის ხელშეკრულებას? შენი აზრით, რა პოლიტიკური პერსპექტივა გაჩნდა 1758 წლის შეთანხმებით?

40. დავალება: იმ დროისათვის ქართლ-კახეთი ერთიანი სამეფო იყო, სოლომონმაც თითქმის სრულად მოახერხა დასავლეთ საქართველოს სამთავროების დამორჩილება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეებსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. იმსჯელე, როგორ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო საქართველოს ისტორია XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

Don't copy


33 როგორი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი)

საქართველო სამ იმპერიას შორის

ერეკლე II და სოლომონ I ხვდებოდნენ, რომ აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა, რომელიც მეზობლებთან ურთიერთობაში მათ პოზიციებს გაამყარდებდა. იმ დროისათვის საქართველოს სამი ძლიერი და ერთმანეთთან დაპირისპირებული იმპერია – ოსმალეთი, ირანი და რუსეთი – ჰყავდა მეზობლად. სამივე სახელმწიფო ცდილობდა პოლიტიკური გავლენის მოპოვებას სამხრეთ კავკასიაში. ასეთ მძიმე საგარეო ვითარებაში სოლომონმა და ერეკლემ მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთისთვის დაეჭირათ მხარი. ამისათვის მათ რამდენიმე მიზეზი ჰქონდათ:

1. რუსეთი ერთმორწმუნე სახელმწიფო იყო;
2. ოსმალობითა და ყიზილბაშობით გაწამებული ქართველები ამ ორ ისტორიულ მტერთან მოკავშირეობით სასიკეთოს არაფერს ელოდნენ;
3. რუსეთი ევროპასთან იყო დაკავშირებული და შედარებით პროგრესულ ძალას წარმოადგენდა;
4. ქართველები ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ რუსეთის იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას.

ამ მიზეზების გამო ორივე მეფემ უპირატესობა რუსეთს მიანიჭა. 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართველ მეფეებს კავკასიის ფრონტზე დახმარება სთხოვა. ერეკლე და სოლომონი ამ ომში ჩაებნენ.



რუკა 30. რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წწ. ომი

1. შენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიზეზის გამო რამდენად ლოგიკური იყო რუსეთთან მოკავშირეობა? პასუხი დაასაბუთე.
2. რუკა 30-ის მიხედვით, რა როლი შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოს რუსეთ-ოსმალეთის ომში გეოგრაფიული და სტარტეგიული თვალსაზრისით?
3. რა სარგებელს მოუტანდა რუსეთს ქართველი მეფეების მხარდაჭერა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში?
4. გაიხსენე კახეთის სამეფოსთან გაფორმებული „ფიცის წიგნი“. შეძლო თუ არა რუსეთმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება?

Do not copy

1769 წელს რუსებმა საქართველოში მცირე რაზმი გამოგზავნეს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. 1770 წელს ქართულ-რუსული ჯარი ახალციხისკენ დაიძრა. ერეკლე II-ს უნდოდა, თურქებისთვის სამცხე ჩამოეშორებინა და აღმოსავლეთ საქართველოსთვის შეერთებინა. ტოტლებენს კი თურქთა ყურადღების გაფანტვა სურდა. შუა გზაში ტოტლებენმა ქართველები მიატოვა და უკან გაბრუნდა. ერეკლეს მხოლოდ ქართული ჯარით მოუწია გაცილებით მრავალრიცხოვან მტერთან შებმა. ბრძოლა გაიმართა ასპინძასთან, მტკვრის სანაპიროებზე. ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს და მტერი უკუაქციეს.

წყარო ა) ტოტლებენის ადიუტანტი დე გრაი დე ფუა ტოტლებენის გადაწყვეტილების შესახებ

„თურქები ახალციხიდან 7 000 კაცით დაიძრნენ. როდესაც ტოტლებენმა დაინახა, რომ ისინი ახლოვდებოდნენ, მან თავისი არტილერია აჰყარა, სურამში შებრუნდა და ერეკლეს აცნობა, თითქოს პური გაუთავდა და მის საშოვნელად საქართველოში ბრუნდებოდა. ამ დავალების შესრულება დამეკისრა მე. ერეკლემ ძალიან ცუდად მიმიღო: „კარგად ვხედავ მიზეზს, რის გამოც გრაფი მღალატობს, მას იმედი აქვს, რომ ამ ბრძოლაში დავიღუპები და როდესაც მე აღარ ვიქნები, თვითონ იქნება საქართველოში ბატონ-პატრონი. მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ იგი ცდება“. მართლაც, ერეკლემ ასპინძის ბრძოლაში თურქებისა და ლეკების გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ერეკლე ბრწყინვალე სარდალი იყო. მან ისე გაითქვა სახელი, რომ ზოგი გერმანელი მხედარი საქართველოში წამოსვლას და ერეკლეს წინამძღოლობით თურქების წინააღმდეგ ბრძოლასაც კი აპირებდა“.

ადიუტანტი (ლათინური adjutant – დამხმარე) – ოფიცრის თანამდებობა, რომელიც უფროსის უშუალო დაქვემდებარებაშია. მისი მოვალეობაა სამსახურებრივი და სხვა დავალებების ან საშტაბო სამუშაოების შესრულება.

ერეკლემ, ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების მიუხედავად, ვერ მოახერხა სამცხის დამორჩილება, უკან გაბრუნებული ტოტლებენი ქართლის თავადებს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა და ერეკლეს ტახტიდან გადაგდების გზებს ეძებდა. უკან დაბრუნებულმა მეფემ სასწრაფოდ აღკვეთა ტოტლებენის ქმედებები და ის იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. იმავე წელს სოლომონმა ოსმალები განდევნა შორაპნისა და ცუცხვათის ციხეებიდან, გარდა ამისა, ტოტლებენის დახმარებით აიღო ქუთაისისა და ბაღდათის ციხეები. თუმცა რუსმა გენერალმა აქაც მეფის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება და საბოლოოდ, ის საქართველოდან გაიწვიეს.

5. რატომ გამოაგზავნა რუსეთის იმპერატორმა ჯარი საქართველოში? შედიოდა თუ არა ტოტლებენისა და რუსეთის იმპერიის ინტერესებში, რომ მხარი დაეჭირა ერეკლე II-ისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც იყო სამცხის დაბრუნება?

6. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტოტლებენი ქართული სამეფოების საშინაო საქმეებში ერევა?

7. რა მნიშვნელობა ჰქონდა ასპინძის ომში გამარჯვებას?

8. რას ასახელებს დე გრაი დე ფუა ტოტლებენის გადაწყვეტილების მიზეზად?

9. წყაროს მიხედვით, როგორ შეაფასა ერეკლე მეფემ ტოტლებენის გადაწყვეტილება?

10. როგორ ფიქრობ, რამდენად სწორად შეაფასა ერეკლემ ტოტლებენის გადაწყვეტილების მიზეზი და მიზანი? პასუხი დაასაბუთე.

11. რუკა 30-ის მიხედვით, ტოტლებენის დახმარების შემთხვევაში, კიდევ რა წარმატების მიღწევა შეეძლებოდა ერეკლე II-ს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ?

რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, რომლის 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. ზავის მიხედვით, რუსეთის იმპერიას გადაეცა: ტერიტორია მდინარეებს დნეპრსა და ბუგს შორის; სიმაგრეები შავ ზღვაზე; რუსეთის სავაჭრო ფლოტმა მიიღო შავ ზღვაში თავისუფალი ნაოსნობისა და სრუტეებში გავლის ნება; ყირიმის სახანომ მიიღო ოსმალეთისგან დამოუკიდებლობა და მიწების ნაწილი დაკარგა.

Don't copy

წყარო ბ) ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი:

„ბრწყინვალე პორტა (ოსმალეთი) საზეიმოდ და სამუდამოდ უარს ამბობს იმერეთიდან ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე და ყოველგვარ სხვა გადასახადზე. პორტა კისრულობს ვალდებულებას, დასავლეთ საქართველოს არც ერთი მმართველი თავის ქვეშევრდომად არ მიიჩნიოს. ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს მათსავე გამგებლობაში დატოვებს. ასევე არავითარი სახით არ შეავიწროებს ქართველთა სარწმუნოებას... მაგრამ, რადგან დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდგომ სრულებით არ უნდა ჩაერიოს მათ საქმეებში და არც უნდა შეავიწროოს ისინი“.

ბრწყინვალე პორტა – თურქი მოხელეები ასე უწოდებდნენ სულთნის რეზიდენციას და თავად სახელმწიფოსაც.

12. ჩამოთვალე ის პუნქტები, რომელიც დადებითად აისახებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე.

13. როგორ ფიქრობ, რა შედეგების მომტანი იყო დადებული ზავი რუსეთისათვის?

14. ზავის მიხედვით, ვის გავლენაში მოექცეოდა დასავლეთი საქართველო? თუ ის რეალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეძლებდა?

15. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ერთი მუხლი დასავლეთ საქართველოს საკითხს ეხება, რომელიც ოსმალეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა?

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან მდგომარეობა კავკასიის სამხრეთით კვლავ გაუარესდა. ირანში სამოქალაქო ომი დასრულდა. ირანმა თანდათან ძველი გავლენის აღდგენა დაიწყო. ერეკლე II-ის სამეფო კარზე მომრავლდნენ რუსეთის მოხელეები, რომლებიც არწმუნებდნენ მეფეს რუსეთთან კავშირის აუცილებლობაში. ერეკლე II-ის შვილებს შორის დაპირისპირება იყო ტახტის გამო.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში დაიდო ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის.

წყარო გ) ნაწყვეტები გეორგიევსკის ტრაქტატიდან:

1. ქართლ-კახეთის მეფე აცხადებს, რომ იგი უარს ამბობს, დაემორჩილოს ირანს და რომელიმე სხვა სახელმწიფოს და არ ცნობს არავის უმაღლეს უფლებას, გარდა რუსეთის იმპერატორისა, შედის მის მფარველობაში და აღუთქვამს მას სამუდამო ერთგულებას.
2. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის მეფეს სამუდამო მფარველობას, მისი სამფლობელოს მთლიანობას, როგორც არსებულის, ისე მომავალში შეძენილის გათვალისწინებით.
3. ქართლ-კახეთის ტახტზე ასული მეფეები სამეფო ნიშნებს მიიღებენ რუსეთის იმპერატორისგან და დადებენ ერთგულების ფიცს ტრაქტატზე თანდართული ტექსტის მიხედვით.
4. ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დიპლომატიურ ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან წინასწარ შეუთანხმებს რუსეთს.
6. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის ტახტზე მეფობის სამუდამო უფლებას ერეკლეს და მის შთამომავლობას; ქართლ-კახეთის მტრებს ჩათვლის საკუთარ მტრებად; ირანთან და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს გაითვალისწინებს ქართლ-კახეთის ინტერესებს, ხოლო ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში იგი არ ჩაერევა.
7. ქართლ-კახეთის მეფე მზადაა, ემსახუროს რუსეთს თავისი სამხედრო ძალებით, არ შეავიწროოს რუსეთის ქვეშევრდომები თავის სამეფოში, რომელიმე პირის თანამდებობაზე დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ამ პირის დამსახურება რუსეთის წინაშე.
8. ქართული ეკლესიის მმართველობა რჩება უცვლელი, მისი პატრიარქის ღირსება უტოლდება რუსეთის საეკლესიო იერარქიის მე-8 ხარისხს. საქართველოს პატრიარქს ენიჭება რუსეთის წმინდა სინოდის წევრის ტიტული. საქართველოს ეკლესიისა და რუსეთის სინოდის ურთიერთობები განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება მომავალში.

Don't copy

12. ტრაქტატი იდება სამუდამოდ.

I საიდუმლო მუხლი. ერეკლემ და სოლომონ I-მა უნდა დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში შუამავალ მხარედ რუსეთი გამოდის.

II საიდუმლო მუხლი. ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთი თავისი ხარჯით აგზავნის 2 ბატალიონს 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში იგი შეივსება საჭირო რაოდენობის ძალებით.

III საიდუმლო მუხლი. თუ რუსეთის იმპერატორს დასჭირდება ქართლ-კახეთის სამხედრო ძალების დახმარება სამეფოს ფარგლებს გარეთ, ხარჯებს აანაზღაურებს რუსეთი.

IV. რუსეთის იმპერატორი პირობას დებს, რომ მტრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების განთავისუფლების შემთხვევაში მას ქართლ-კახეთის სამეფოს გადასცემს.



სურ. 1 ერეკლე II-ის ხელმოწერა გეორგიევსკის ტრაქტატზე

Don't copy

16. ჩამოთვალე ის მუხლები, რომლებშიც ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებია გათვალისწინებული.

17. ტრაქტატის რომელი მუხლებია და რატომ ყველაზე ხელსაყრელი რუსეთისთვის?

18. რას გულისხმობს მე-2 მუხლის ბოლო წინადადება და შენი აზრით, რატომ ჩათვალა ერეკლე II-მ აუცილებლად ტრაქტატში ამ დებულების შეტანა?

19. ტრაქტატის რომელი მუხლები კვეცდა ქართლ-კახეთის მეფეების უფლებამოსილებას და რა ფორმით?

20. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 90. გაეცანი გეორგიევსკის ტრაქტატს (წყარო გ), ცხრილში შეიტანე მუხლის ნომერი, მონიშნე „მისაღები“ ან „საფრთხის შემცველი“. პასუხი დაასაბუთე.

21. შენი აზრით, რატომ სურდათ რუს მოხელეებს, რომ ერეკლე II თავად ყოფილიყო ტრაქტატის ინიციატორი?

22. როგორ ფიქრობ, რატომ არის ტრაქტატში შეტანილი იმერეთის მეფესთან დიპლომატიური კავშირის დამყარების საკითხი?

23. როგორ და რატომ განისაზღვრა, ტრაქტატის მიხედვით, ქართული ეკლესიის სტატუსი?

24. რა საგარეო პოლიტიკური რეაქცია მოჰყვებოდა რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ირანისა და ოსმალეთისგან? რატომ?

წყარო დ) ივანე ჯავახიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თხზ. 12 ტომად, ტ. XII

„რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვითონ რუსეთის მთავრობას აქვს სრული გულახდილობით გამოთქმული გრაფ **ნ. პანინის** პირით ერთ საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართულიო“

ნ. პანინი – გრაფი ნიკიტა პანინი, რუსი დიპლომატი, ეკატერინე II-ის იმპერატორობის პირველ ნახევარში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პირველი პირი.

25. ეთანხმები თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ივანე ჯავახიშვილისეულ შეფასებას? კონკრეტულად რას ეთანხმები და რას არა?

26. რამდენად ადეკვატურად ასახავს ამ ურთიერთობის ხასიათს ნ. პანინის საიდუმლო წერილი?

27. XX საუკუნის ქართველი მეცნიერი გ. ქიქოძე წერდა, რომ „ერეკლე მეფე, რასაკვირველია, კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მოქცევა მის სამეფოს საფრთხეს უქადდა, მაგრამ ეს მაინც ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე ხელახლა ისლამური თურქეთის ან ირანის გავლენის სფეროში ან, მით უმეტეს, მათ მფლობელობაში ჩავარდნა“. რას ფიქრობ ფორმულირებაზე: „ნაკლები ბოროტება“? იმ ეპოქისთვის არსებულ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელე ერეკლე II-ის პოლიტიკურ არჩევანზე.

1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. მას პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. სოლომონ I-ის გადაწყვეტილებითა და ერეკლე მეფესთან შეთანხმებით, მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, სოლომონის ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე. თუმცა ტახტზე სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე ავიდა. 1789 წელს დავით არჩილის ძემ ხუნწი-მათხოჯის ჭალაში დაამარცხა იმერეთის მეფე, და ტახტზე ავიდა. მას, გამეფების შემდეგ, ბიძის საპატივსაცემოთ, სოლომონ II ეწოდა. დავით გიორგის ძემ დაიხმარა ახალციხის ფაშის ჯარი და დაქირავებული ლეკები და ტახტი დაიბრუნა. სწორედ ამ დროს, 1790 წელს მეფე ერეკლესთან ჩამოვიდნენ იმერელი თავადები და მას იმერეთის სამეფოს შეერთების იდეა გააცნეს. ერეკლე მეფემ ამ საკითხის განსახილველად საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელსაც ქართლ-კახეთის წარჩინებული დიდებულები და ანტონ კათალიკოსი ესწრებოდნენ.

წყარო ე) პლატონ იოსელიანი, ქართველი ისტორიკოსი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, XIX ს.

„პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის ჭაბუა ორბელიანისა. მას შეუდგნენ კათოლიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი ქიზიყისა, ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა; აკურთხევდა ჰაზრთა ამათ, ზეგარდმო, შთაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. „ნუ ჰყოვნი, მეფეო! – იტყოდა ჭაბუა, – მეფე ერისთვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა“...შემდეგ დუმილისა მეფისაგან, მუხრანის-ბატონმან იოანე მოახსენა კრებას: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ჩვენთვის ვერ მოგვივლია, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანას, რომელსაცა ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?“ – სარდალმან დავით, განრისხებულმან წარმოთქვა სიტყვა... სიტყვამან ამან დაბადა ამბოხი, აწყინა მეფესა და წყინებული მეფე წამოდგა და შევიდა სხვასა ოთახსა. დაიშალა შეკრებილება პირევლი.

შცნო დედოფალმან დარეჯან საუბარი ესე ყოველი, განრისხნა და მიაწერა ჰაზრი ესე მეფის ძეს გიორგის, რადგანაც სარდალი დავით იყო დისწული მისი საყვარელი და მეტოქი მუხრანის-ბატონისა..

Don't copy

მეფის ძე გიორგი, მორიდებული მამისა და დედინაცვლისა, არ ინახვინებდა არცა დესპანთა და არცა კარისკაცთა, რათა არა წარმოსთქვან რაიმე სიტყვა და არ მივიდეს ჰაზრი რაიმე ახალი მეფისადმი მასზედ გაიჭვიანებულისა... დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილიშვილისა ხელიდან...

დღესა მესამესა, შემდეგ პირველისა, იყო შეკრებილება მეორე...მაშინ მეფემან უბრძანა მეფის ძეს გიორგის: „რას იტყვი, გიორგი, შენ? – ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა: თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა“... სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა... მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისთვის განმზადებული“.

ამის შემდეგ, ერეკლემ, ქართლ-კახეთის ჯარი იმერეთში გაგზავნა და შვილიშვილს, სოლომონ II-ს (1789-1810) ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა.

მეცნიერები დღედე ვერ თანხმდებიან, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ერეკლე მეფემ, როდესაც უარი თქვა იმერეთის შეერთებაზე.

მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ წამოწყებას მხარს არ უჭერდნენ გურიელი და დადიანი. ასევე, იმერეთის შეერთებით ერეკლე ოსმალეთს გადაიმტერებდა და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს შეეწინააღმდეგებოდა.

ამ აზრის საპირისპიროდ, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანება სამომავლოდ საქართველოს გაერთიანების წინაპირობა იქნებოდა. ამასთანავე, ქვეყანა ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკურ მმართველობაში მოექცეოდა და უკეთ მოახერხებდა არსებულ სიძნელეებთან გამკლავებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

როგორც ცნობილია ერეკლეს ბევრი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა და მათ შორის ქიშპობის შესაჩერებლად მეფეს 1791 წელს შეუდგენია სპეციალური განჩინება “განწესებანი”, რომელსაც ის ანდერძის მნიშვნელობას ანიჭებდა. განწესების მიხედვით, სამეფო ტახტზე ერეკლეს შემდეგ მისი უფროსი ვაჟი უნდა ასულიყო, ხოლო მის შემდეგ მოდევნო ძმა, თუკი ის ღირსეული იქნებოდა. ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლის მიზეზს ერეკლე მეფე განწესების შესავალში ასე ხსნის: „თავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეცა და არ გამეჩინა, ან ერთმანეთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი და ან დაკარგვისა სულით და ხორცით“. ამასთანავე მეფე შიშობდა, რომ „ერთის ძმის სახლში“ მეფობის შენარჩუნების შედეგად „ის სხვანი მას უკან ყმანი შეიქმნებიან და ეს დიდი უსამართლობა არის“.

Do not copy

28. რატომ დადგა დღის წესრიგში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხი?

29. რა როლი ითამაშა საკითხის გადაწყვეტაში დედოფალმა დარეჯანმა? რატომ?

30. გაერთიანების საკითხიდან გამომდინარე, რა შიდა პოლიტიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დადგა ქართლ-კახეთის სამეფო?

31. მკვლევართა რა მოსაზრებები არსებობს ქართლ-კახეთისა და იმერეთის არშემდგარი გაერთიანების საკითხზე?

32. შენი აზრით, კიდევ რა მიზეზით შეიძლებოდა შეწინააღმდეგებოდა იოანე მუხრანბატონი იმერეთის შეერთების იდეას?

33. როგორ გესმის წყაროს ბოლო წინადადება: „ტრაქტატს ჰქონდა სერიოზული ზნეობრივი მნიშვნელობა, ნაკლებად პრაქტიკული“?

34. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 91. ტექსტისა და წყარო ე)-ს საფუძველზე შეავსე ცხრილი. იმსჯელე ერეკლე II-ის გადაწყვეტილებაზე. გამოკვეთე ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

35. რა იყო მეფე ერეკლეს მიერ ახალი განჩინების “განწესებანი”-ის შედგენის მიზეზი?

36. რამდენად სამართლიანად მიგაჩნია მეფე ერეკლეს გადაწყვეტილება სამეფო ტახტის მემკვიდრის წესის ცვლილების შესახებ? პასუხი დაასაბუთე.

37. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე, კიდევ რომელმა მეფემ შეიტანა ცვლილებები სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესში და რატომ? შეადარე ეს ორი მოვლენა ერთმანეთს და იმსჯელე, რამდენად გონივრული შეიძლება ყოფილიყო ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოსთვის.

გეორგიევსკის ტრაქტატმა ირან-ოსმალეთის გაღიზიანება გამოიწვია. ოსმალეთის წაქეზებით განახლდა დაღესტნელი ფეოდალების მუდმივი თავდასხმები ქართლ-კახეთზე. აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა ირანიც. სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა და იქ რუსული ჯარის გამოჩენა მათთვის დიდი სტრატეგიული მარცხი იყო. ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა კატეგორიულად მოსთხოვა ერეკლეს რუსეთთან კავშირის შეწყვეტა და ირანის მორჩილება.



სურ. 2 აღა-მაჰმად-ხანი
უცნობი ავტორი, 1820 წელი

წყარო ვ) აღა-მაჰმად-ხანის ერეკლე II-ისადმი გაგზავნილი ფირმანი (წერილი)

„მადლობა უფალს, რამეთუ უსაზღვროა დიდება მისი. ბრძანება ესე გაგვიცხადებია მისი უმაღლესობის, ქართველთა მეფისათვის... თქვენმა უმაღლესობამაც კარგად იცის, რომ ამ ასი თაობის განმავლობაში თქვენ ირანის ქვეშევრდომები იყავით, ახლა კი გაოცებით შევნიშნავთ, რომ თქვენ მიემხარით რუსებს, რომელთაც სხვა ამოცანა არა აქვთ რა, იმის გარდა, რომ როგორმე ივაჭრონ ირანში და რომელთა საქმე მხოლოდ ვაჭრობაა. შენ ოთხმოცდაათი წლის კაცი ხარ და ასეთ შეცდომას როგორ უშვებ: მოიყვანე ურჯულოები, შეუერთდი მათ და უფლებებსაც ანიჭებ! მიუხედავად იმისა, რომ თქვენი რწმენა ჩვენისაგან განსხვავებულია, თქვენ ყოველთვის ირანთან გქონდათ კავშირი. ირანში ბევრია თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და სხვა სარწუნოების მიმდევარიც, ამიტომ თქვენ ყველასი უნდა მოგერიდოთ და ეს საქმე არ უნდა დაუშვათ... ამჟამად ჩვენი უმაღლესი ნებაა, რომ თქვენ, როგორც ჭკვიანმა, მიატოვოთ ამგვარი სახის საქმე, მით უმეტეს, რომ ქვეყნის ნებაც ასეთია, და გაწყვიტოთ კავშირი რუსებთან. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებ, მაშინ მალე მოვაწყობთ ლაშქრობას საქართველოში, ერთად დავღვრით რუსულ და ქართულ სისხლს და მტკვარივით ვადენთ. საჭიროდ ჩავთვალეთ შენთვის ამის შეტყობინება და ამიტომ მოგწერეთ ეს ფირმანი, რომ შენ ყურად იღო ჩვენი ბრძანება და შეიგნო შენი მდგომარეობა“.

ერეკლემ შაჰის ამ მოთხოვნას უარით უპასუხა. 1795 წელს ერეკლე II-ის უარით განრისხებული ირანის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი 35 000-იანი ჯარით თბილისისკენ დაიძრა. ქართველთა ლაშქარი მოუმზადებელი დახვდა მტერს. ერეკლე მეფემ მხოლოდ 5 000 მოლაშქრის შეკრება მოახერხა. იმპერატორ ეკატერინე II-ემ დაპირებული დამხმარე ჯარი და ზარბაზნები დროულად არ მიაწოდა ერეკლეს. ჯარის ნაწილი, გიორგი ბატონიშვილის და ვახტანგ ორბელიანის (ერეკლეს სიძე, თეკლა ბატონიშვილის მეუღლე) მეთაურობით, მეფის ბრძანებით, კახეთში იდგა, რადგან არსებობდა ცრუ ინფორმაცია, რომ ირანელები კახეთიდან აპირებდნენ შემოჭრას.

უთანასწორო ბრძოლაში თბილისის მისადგომებთან, კრწანისის ველზე, ქართველებმა შეძლეს მომხდურის დამარცხება. აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, როდესაც ქართველთა ჯარის სიმცირის ამბავი შეატყობინეს. 11 სექტემბერს აღა მაჰმად-ხანმა შეუტია თბილისს. თბილისის დამცველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ქალაქის დაცვაში ჩართულები იყვნენ უბრალო მოქალაქეებიც, სხვადასხვა წარმომავლობის, რელიგიისა და პროფესიის ადამიანები. მათ სათავეში ედგათ სამეფო კარის სამსახიობო დასის უფროსი, ვინმე მაჩაბელა (აჩაბეთელი), რომელიც გადმოცემის თანახმად ბრძოლისას მღეროდა და ისე ამხნევებდა თავისიანებს. მაჩაბელა ბრძოლის ველზე დაიღუპა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა მაინც აიღო თბილისი და ის სასტიკად ააოხრა. დამპყრობელი ქართლს 9 დღის მანძილზე აოხრებდა. დაანგრია თოფხანა, ზარაფხანა, სემინარია, სტამბა, ავლაბრის ხიდი. განადგურდა მეფის წიგნსაცავიც.

კრწანისის ბრძოლის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა არაგვის ხეობას 4000-კაციანი ლაშქარი შეუსია. მათ იქ გახიზნული ერეკლე II-ის შეპყრობა ევალებოდათ. ჟინვალთან ირანელებს თბილისისკენ ერეკლეს დასახმარებლად დაგვიანებით წამოსული სამასი ხევსური შემოხვდათ. იქვე შამშადილოელებს ჰყავდათ საქონელი საძოვრად გადმორეკილი. ხევსურები ირანელებს ეკვეთნენ. მათ შამშადილოელებიც მიეხმარნენ და მტერი ერთობლივად გააქციეს.

1795 წლის 4 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის საშველად 2 ბატალიონი გაეგზავნა, მაგრამ ამის შესახებ განკარგულება გენერალმა გუდოვიჩმა 1 ოქტომბერს მიიღო, როცა თბილისი უკვე დანგრეული იყო

Don't copy

რუკა 31. საქართველო XVIII ს. II ნახევარში, მეფე ერეკლეს დროს

Borjomi

1798 წლის 11 იანვარს 78 წლის ასაკში ერეკლე II გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის მეფე მისი ვაჟი გიორგი XII გახდა. გიორგი ტახტზე მყარად ვერ გრძნობდა თავს. მისი წინააღმდეგი იყვნენ დედინაცვალი – დედოფალი დარეჯანი და ძმები. ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად, გიორგი XII-ის შემდეგ ტახტი არა მის ძეს (მემკვიდრეობითი წესის თანახმად), არამედ მის ძმას, იულონს (დარეჯანის შვილს) უნდა გადასცემოდა. გიორგის ძმები ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრენი იყვნენ და განსვენებული მამის საგარეო პოლიტიკას არ ეთანხმებოდნენ. გიორგი XII-მ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა სცადა და რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს (1796-1801) ხელშეკრულების ახალი პროექტი გაუგზავნა.

38. წყარო ვ)-ს მიხედვით, რა იყო ირანის შაჰის განრისხების მიზეზი?
39. რატომ არ შეასრულა რუსეთმა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები? 40. რატომ ვერ მოახერხა ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის შიდა სამხედრო რესურსის მობილიზება?
40. როგორ შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებულმა ვითარებამ რუსეთის იმპერიას თავისი პოლიტიკური ზრახვების შესრულებაში?
41. შეადარე ერთმანეთს „სათხოვარი პუნქტები“ და „გეორგიევსკის ტრაქტატი“. გამოყავი მათ შორის მსგავსება-განსხვავებები.
42. რომელი პუნქტებია მათ შორის ქართლ-კახეთის სამეფოსთვის რისკის შემცველი? პასუხი დაასაბუთე
43. ივარაუდე, როგორ შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები „სათხოვარი პუნქტების“ ხელმოწერის შემთხვევაში?
44. გამოთქვი მოსაზრება, რა შედეგები მოუტანა ქართველი მეფეების რუსეთთან კავშირმა საქართველოს.
46. იმსჯელე, სხვა რა გამოსავალი შეეძლოთ ეპოვათ არსებულ ვითარებაში ქართველ მეფეებს.
47. დაფიქრდი, ძირითადად რით განსხვავდებოდა რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა მანამდე არსებული ოსმალური და ირანული პოლიტიკისგან?

წარმოიდგინე, რომ ხარ ისტორიის მკვლევარი, რომელიც იკვლევს XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას. ერთ-ერთმა სამეცნიერო-პოპულარულმა ჟურნალმა დაგიკვეთა ისტორიული სტატია, რომელშიც წარმოაჩენ ქართველი მეფე-მთავრების საშინაო და საგარეო პოლიტიკას როსტომ ხანის მმართველობიდან რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიამდე.

სტატიაში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთოქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? (მკ. წ. ისტორიული მოვლენა 1,)
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთი, ირანი, რუსეთი) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? (მკ. წ. დრო 1)
- რომელი პერიოდები შეიძლება გამოვყოთ ქართლ-კახეთის მმართველების რელიგიური იდენტობის თვალსაზრისით და რა მახასიათებლები აქვს ამ ეპოქებს? (მკ.წ. დრო 2)
- რატომ გახდა „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური მოწესრიგება საჭირო და როგორ განხორციელდა ის? (მკ. წ. დრო 3)
- რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და რა შედეგები მოჰყვა მათ დიპლომატიურ ნაბიჯებს? (მკ. წ. ისტორიული მოვლენა 3, 4)

თანამედროვე ქართველმა მწერალმა ნოდარ მაჭარაშვილმა 2018 წელს გამოაქვეყნა მხატვრულ-ისტორიული რომანი „ავი მუსაიფი“, რომელიც ერეკლე II-ის ცხოვრებასა და პოლიტიკურად რთულ ეპოქაზე მოგვითხრობს.

Don't copy

ქვეთავი III. როგორ შეიცვალა საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში

34 რატომ მოღვაწეობდნენ ქართველები უცხოეთში XVII–XVIII საუკუნეებში

XVI საუკუნიდან ოსმალეთისა და ირანის მიერ საქართველოს ტერიტორიის განაწილების შემდეგ ბევრი ქართველი სხვადასხვა გზით ამ ქვეყნებში აღმოჩნდა.

ქართველები ირანში

შაჰ-თამაზ I-ის დროიდან მოყოლებული ქართველები რამდენჯერმე გადაასახლეს მასობრივად ირანში, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა დამცრობილი საგვარეულოს წარმომადგენლები საკუთარი სურვილითაც ტოვებდნენ სამშობლოს და ირანში მიდიოდნენ კარიერის გასაკეთებლად. ზოგმა ირანში საკმაოდ მაღალ თანამდებობასაც მიაღწია.

წყარო ა) „თაზქირათ ალ-მულუქი“ („ხელმწიფეთა სამახსოვრო“), სპარსულ კანონთა კრებული, რომელშიც მოცემულია ირანის სამეფო კარის მოხელეთა და პროვინციის გამგებელთა უფლება-მოვალეობანი, 1725 წ.

„ირანელი ამირები ძირითადად ორ თანრიგად იყოფიან. პირველი თანრიგია გარეშე ამირები, რომელთაც „მონაპირე ამირებს“ უწოდებენ. ეს კატეგორია ოთხი ჯგუფისგან შედგება: პირველი – ვალები, მეორე – ბეგლარბეგები, მესამე – ხანები, მეოთხე – სულთნები.

ვალები გავლენით ბეგლარბეგზე მაღლა დგანან, ხოლო ბეგლარბეგთა თანამდებობა მეტია ხანების თანამდებობაზე.

ბეგლარბეგის საჯდომ სანაპირო ოლქებში ყველა, ვინც მისი საგამგებლოს მეზობელ და მახლობელ ადგილებს მართავს, იმავე ბეგლარბეგის ხელქვეითია. ბეგლარბეგის შუამდგომლობით ხდება მათი თანამდებობიდან გადაყენება და დანიშვნაც.

ამის მსგავსად, სანაპირო ოლქების სულთნები იმავე ოლქების ხანების ხელქვეითნი არიან. ირანის სახელმწიფოში ოთხი ვალია.

პირველია არაბისტანის ვალი, რომელიც სეიდთა გვარიდან წარმომავლობის, ღირსებისა და ტომის მრავალრიცხოვნების გამო სხვა ვალებზე აღმატებული და წარჩინებულია. მის შემდეგ ლურისტან-ფაილის ვალია, რომელიც თავისი მუსლიმობის გამო გურჯისტანის ვალიზე უფრო პატივცემულია. გურჯისტანის ვალია ირანის კუთვნილი საქართველოს ნაწილების ქართლის, კახეთისა და თბილისის მმართველი. გურჯისტანის ვალის შემდეგ მოდის ქურთისტანის ვალი“.

საქართველოში ვალის წოდება პირველად როსტომ-ხანს მიენიჭა, რომელიც თავადაც ირანის ვასალად თვლიდა თავს. ამის შემდეგ ქართლ-კახეთი უკვე ირანის პროვინციად ითვლებოდა და მას შაჰის დანიშნული გამუსლიმებული ვალები მართავდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის „გურჯისტანის ვალს“ ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ირანში. ამ დროს „ვალი“, ანუ ქართლის მეფე, იმავე დროს ირანის მთავარსარდალი, შაჰის კარის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავღანეთის მბრძანებელი იყო.

ირანში გადასახლებულ და შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველების შესახებ ბევრი ირანელი და ევროპელი ავტორი მოგვითხრობს.

Don't copy

1. წყაროს მიხედვით, ირანის მმართველობის იერარქიაში ვინ იყო ყველაზე წარჩინებული შაჰის შემდეგ?
2. წყაროს თანახმად, რის მიხედვით იყო დადგენილი ვალების უპირატესობა?
3. შენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ XVIII საუკუნეში გურჯისტანის ვალი ირანის ჯარის მთავარსარდალიც იყო?
4. როგორ ფიქრობ, რატომ ამჯობინებდა ზოგიერთი ქართველი, საკუთარი ქვეყნის სამსახურის ნაცვლად ირანის შაჰის სამსახურში ჩამდგარიყო?

წყარო ბ) ადამ ოლეარიუსი, XVII ს.-ის გერმანელი მოგზაური, „მოგზაურობის წიგნი“

„ისპაჰანში არიან ვაჭრები და მეწარმეები ყველა ხალხიდან, რომლებიც ვაჭრობენ ბითუმად და ცალობით; სახელდობრ, სპარსელთა გარდა, თურქები, ებრაელები, სომხები, ქართველები და, მათ გარდა, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები და ესპანელები... ჰასანაბადი (ისპაჰანის გარეუბანი) ჯურჯების, ანუ ქართველი ქრისტიანების, გარეუბანია. ისინი აქ საქართველოდან გადმოასახლეს. არიან აგრეთვე წარჩინებული ვაჭრები, რომლებიც თავიანთი სავაჭრო საქმეების გამო, ისევე, როგორც სომხები, შორს მოგზაურობენ და სხვა ქვეყნებსაც ეწვევიან ხოლმე“.

წყარო გ) აბრაამ ვიკფორის, XVII ს.-ის ფრანგი დიპლომატის, ჩანაწერებიდან

„ჰასანაბადი მუდმივი საცხოვრებელი ადგილია ქართველებისა, რომლებიც ქრისტიანები არიან, მომეტებულად ვაჭრები და ყველანი მდიდარნი. ისინი, როგორც სომხები, გამდიდრებულნი არიან მსხვილი ვაჭრობის წყალობით, რომელსაც ეწევიან როგორც სამეფოს შიგნით, ისე ყველა სხვა ადგილას. მათ ძალიან უყვართ მოგზაურობა, განსაკუთრებით ინდოეთსა და ევროპაში და მომეტებულ ნაწილს იმ ვაჭრებისა... ვხვდებით ვენეციაში, ჰოლანდიასა და სხვა ადგილებში. ქრისტიან სომხებსა და ქართველებს... ურჩევნიათ, ჰქონდეთ განსაკუთრებული ადგილი, სადაც შეუძლიათ დამშვიდებული ცხოვრება და რწმენით თავისუფლად სარგებლობა; ვინაიდან სპარსელები არამცთუ უშლიან მათ ხელს, იცხოვრონ ყველგან, არამედ ქალაქ ისპაჰანში მათ აქვთ განსაკუთრებული უბანი... სპარსელებს უყვართ კიდეც ისინი. უყვართ არა მარტო იმიტომ, რომ ხედავენ მათთან სარგებლობას ვაჭრობაში, და რომ ისინი იხდიან გადასახადს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ რგავენ და აშენებენ ვაზს და ღვინოს აყენებენ“.

5. როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ირანში გადასახლებული ქართველები და რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი ძირითადად?
6. როგორი იყო სპარსელების დამოკიდებულება იქ მცხოვრები ქართველების მიმართ? დაახასიათე ამ დამოკიდებულების შინაარსი და მიზეზები.
7. შენი აზრით, როგორ და რატომ შეძლეს ჰასანაბადში მცხოვრებმა ქართველებმა რელიგიის შენარჩუნება?
8. რას გეუბნება წყარო ირანის ეკონომიკურ პოლიტიკაზე

სპარსეთის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველ მოხელეთა შორის განსაკუთრებულ ძალაუფლებას ფლობდნენ ალავერდი-ხანი და მისი ვაჟები იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი (უნდილაძეები). მათ ირანში ჰქონდათ ბაზრები, ქარვასლები, ფუნდუკები და აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში, ისე ირანის ქალაქების, გზებისა და ხიდების მშენებლობის საქმეში.

ერთი ვერსიით, ალავერდი-ხან უნდილაძე ბავშვობაში ტყვედ ჩავარდა და ისე მოხვდა ირანში. სხვა ვერსიით კი უნდილაძეთა გვარის დასუსტების გამო თავად გადაუწყვეტია სპარსეთში გამგზავრება. კარიერის დასაწყისში ალავერდი-ხან უნდილაძეს ოქრომჭედელთა უფროსის – ზარგარბაშის თანამდებობა ეკავა, შემდეგ კი მისი დაწინაურება დაიწყო და ირანის პროვინციის – ფარსის – ბეგლარბეგი გახდა, ბოლოს ყულის ჯარს ხელმძღვანელობდა. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა უზბეკებთან ბრძოლასა და ჰერათის გათავისუფლებაში, 1603-12 წლების ოსმალეთთან ომში, ბაჰრეინისა და ბაღდადისთვის ბრძოლაში.

Don't copy

ალავერდი-ხანი მონაწილეობდა ისპაჰანის აღმშენებლობაშიც. მის სახელს უკავშირდება მდინარე ზაიადე-რუდზე ოცადაცამეტთაღიანი ხიდის აგება, რომელიც დღესაც ალავერდი-ხანის სახელს ატარებს; ქალაქ შირაზში სკოლისა და ქარვასლის მშენებლობა; ქალაქ ლარში სამეფო ბაზრის მშენებლობა (ამ ბაზრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ესპანეთის ელჩზე გარსია დე სილვა ფიგეროაზე), გზების გაყვანა.

წყარო დ) ანტონიო დე გოვეა, XVII ს.-ის პორტუგალიელი ელჩი, ალავერდი-ხანის შესახებ

„იმ დროს, როცა ხსენებულ ქალაქში, შირაზში, ჩავედით, მისი მმართველი იყო ალავერდი-ხანი (უნდილაძე)... ის მეფის მონაა, ისევე, როგორც საქართველოდან ჩამოყვანილი ზოგიერთი სხვა... სანამ ახალგაზრდები არიან, მეფე მათ აძლევს საომარ განათლებას, ავარჯიშებს და შემდეგ მიანდობს საკუთარ თავს და ძირითადი ძალების განმგებლობას... ისინი ისევე არიან მასთან, როგორც იანიჩარები სულთანთან: ჰყავს თხუთმეტი თუ თექვსმეტი ათასი; ერთი მათგანი, რომელსაც შაჰი ენდობა, სწორედ ეს ალავერდი-ხანია, რომელიც მან ბეგლარბეგად გახადა, რაც ბატონთა ბატონს ან დიდი ბატონების უფროსს ნიშნავს: ერთხელ, როდესაც შაჰი მასზე მელაპარაკებოდა, მითხრა, მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო“.

9. შენი აზრით, გარდა ნიჭიერებისა, რა იყო ქართველების შაჰის კარზე დაწინაურების მიზეზი?
10. როგორ ფიქრობ, შეძლებდნენ თუ არა ირანის შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველები საქართველოშიც წარმატებულ მოღვაწეობას? პასუხი დაასაბუთე.
11. როგორ ფიქრობ, რამდენად მოახერხებდნენ ირანში მოღვაწე ქართველები საკუთარი მდგომარეობის გამოყენებას საქართველოს მხარდასაჭერად?
12. რა საფრთხის წინაშე აყენებდა ქართულ სამეფო-სამთავროებს ფიზიკურად, გონებრივად გამორჩეული და უნარიანი ადამიანების იძულებით თუ ნებაყოფლობით ირანში გადინება?

1614 წელს შაჰ აბასმა ალავერდი-ხანი საქართველოში სალაშქროდ იხმო. უნდილაძემ კი ავადმყოფობა მოიმიზეზა და შაჰს არ ეახლა. ამის შემდეგ ის მალევე გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ უნდილაძე საქართველოში ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო შაჰმა მოაკვლევინა. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი უფროსი ძე – იმამყული-ხანი ფარსის, უმცროსი – დაუდ-ხანი – კი ყარაბაღის ბეგლარბეგი გახდნენ. დაუდ-ხანს ცოლად ჰყავდა თეიმურაზ I-ის და – ელენე.


თავდაპირველად იმამყული-ხანი იხსენიება 1610 წელს, როგორც ქალაქ ლარის მმართველი. ამის შემდეგ ის ფარსის პროვინციის გენერალ-გუბერნატორი გახდა. 1621 წელს მისი შუამავლობით ბრიტანეთის ოსტინდოეთის კომპანიამ თანამშრომლობა დაიწყო სეფიანებთან და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპარსეთის ყურის ირანისთვის დაბრუნებაში.

ალავერდი-ხანის ხიდი

ხიდი 1602 წელს ააგეს. ის ქალაქის ცენტრს სავაჭრო კვარტალთან – ახალ ჯულფასთან – აკავშირებდა. თავდაპირველად ხიდს ალავერდი-ხანის სახელით მოიხსენიებდნენ, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში უკვე „სიო-სე-ფოლს“ („ოცდაცამეტ თაღს“) ეძახდნენ.



სურ. 1. ალავერდი-ხანის ხიდი ისპაჰანში



სურ. 2. ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის მიერ ჩახატული ალავერდი-ხანის ხიდი.

Don't copy

შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ უნდილაძეების გვარმა შაჰის კარზე თავისი მდგომარეობა და გავლენა დაკარგა. ახალი შაჰი – სეფი ეჭვის თვალით უყურებდა შაჰ აბასის ფავორიტებს. მან რეპრესიები დაიწყო და ბევრი მათგანი თავიდან მოიშორა. მათ რიცხვში აღმოჩნდა იმამყული-ხანიც. თუმცა უნდილაძეების განადგურებაში თავისი წვლილი მიუძღვით ახალი შაჰის ნდობით აღჭურვილ პირებს, რომელთა შორის იყო ხოსრო მირზა, იგივე როსტომ-ხანი. 1632 წლის ბოლოს იმამყული-ხანი და მისი ორი ვაჟი სიკვდილით დასაჯეს და მათი მამულები შაჰს დაუბრუნდა. თუმცა ამით უნდილაძეების წინააღმდეგ კამპანია არ დასრულებულა. 1633 წელს დაუდ-ხან უნდილაძე მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გადააყენეს, თეიმურაზ I-ის მხარეზე გადავიდა და სეფიანთა წინააღდეგ აჯანყებას შეუერთდა. დაუდ-ხანის შვილები ტყვედ ჩაცვივდნენ, თავად კი იძულებული გახდა, ოსმალეთის იმპერიისთვის შეეფარებინა თავი.

სამხედრო და ადმინისტრაციული სამსახურის გარდა, ქართველები, როგორც ჩანს, სხვა სფეროებშიც მოღვაწეობდნენ. მართალია, საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება ირანში მოღვაწე ქართველი მხატვრების/კალიგრაფების შესახებ, მაგრამ მათ შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ირანულ ხელოვნებაში. ერთ-ერთი მათგანია სიაუში. კვლევა-ძიების შედეგად ისტორიკოსებმა მისი ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები შემდეგნაირად აღადგინეს: ის წარმოშობით საქართველოდან იყო. XVI საუკუნის 50-იან წლებში, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ირანში, შაჰ-თამაზ პირველის კარზე აღმოჩნდა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ყმაწვილის მომავალი მისმა ნიჭმა და შესაძლებლობებმა განსაზღვრა. როგორც ჩანს, შაჰ-თამაზს შეუმჩნეველი არ დარჩენია ყმაწვილის ხატვით გატაცება და საკუთარ კარზე არსებულ სამხატვრო სახელონოში მიაბარა.




სურ. 3. სიაუში, „ისფანდიარის ბრძოლა დრაკონთან“ ფრაგმენტი შაჰნამედან, 1676-1677

სიაუში აღიარებული და ცნობილი მხატვარი გახდა. ის მომდევნო შაჰების კარზეც მოღვაწეობდა. ისმაილ II-ის დროს სიაუში იმ ოსტატთა შორის იყო, რომლებიც შაჰის აღდგენილ ბიბლიოთეკის სახელოსნოში მუშაობდნენ. ისმაილ II-ის ბრძანებით, 1576-77 წლებში ხუთმა მხატვარმა (სიაუში, სადიქ ბეი, ნაქდი, მურად დაილამი და მიჰრაბი) „შაჰ-ნამეს“ ხელნაწერი ნახატებით (მინიატიურებით) გააფორმეს. სიაუშმა ამ ხელნაწერისთვის 22 მინიატიურა შექმნა.

სიაუში, მხატვრობის გარდა, სახელმწიფო სამსახურითაც იყო დაკავებული. შაჰ აბას I-ის კარზე მას გარკვეული თანამდებობა ეკავა.

სიაუშის მინიატიურების ორიგინალებმა დღემდე ძალზე მცირე რაოდენობით მოაღწია. მკვლევრები მხატვრის კუთვნილებად მიიჩნევენ ლუვრში დაცულ მინიატიურას – „ისფანდიარის ბრძოლა დრაკონთან“, რომელსაც ხელმოწერა აქვს. კიდევ ერთ გამოცემაში შემდგენელს სიაუშის მინიატიურად შეტანილი აქვს „სამეფო შევარდენი“, ორიგინალი დაცულია სანქტ-პეტერბურგში, ასლი კი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

კიდევ უფრო მწირი ცნობებია შემონახული მეორე მხატვარზე – ალი-ყული ჯაბადარზე, რომელიც 1660-1717 წლებში მოღვაწეობდა.



სურ. 4. ალიყული ჯაბადარი (ევროპულ სამოსში), შაჰი სულეიმან I და მისი კარისკაცები. ჯაბადარის ნახატი, 1670

მისი სახელი ერთგან იხსენიება ზედწოდებით „ფარანგი“, რაც მომდინარეობს სიტყვა „ფრანკიდან“ და აღნიშნავს „დასავლურს“, „ევროპულს“. ასე უწოდებდნენ იმ მხატვრებს, რომლებიც მხატვრობაში დასავლურ სტილს მისდევდნენ და მათ რიცხვს ეკუთვნის ალი-ყული ჯაბადარიც.

მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის დაიბადა ისპაჰანში, ქრისტიანულ კვარტალში, იყო ქრისტიანი და მიიღო ისლამი; მოღვაწეობდა შაჰ-თამაზ II-ს (1723-1732) და ნადირ-შაჰის (1736–1747) დროს და ეჭირა ნაკაშ-ბაშის (მხატვართუხუცესის) თანამდებობა. თუმცა, როგორც ჩანს, ალი-ყული ჯაბადარმა შაჰის კარზე სამსახური უფრო ადრე დაიწყო, შაჰ-სულეიმან

Don't copy

I-ის (1666-1696) დროს, რადგან სულეიმანის სამეფო კარი აქვს დახატული.

ალი-ყული ჯაბადარის მინიატიურები დაცულია ერმიტაჟში, სანქტ-პეტერბურგში, გიმეს მუზეუმში პარიზში.

ფარსადან გორგიჯანიძე, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, 40 წლის მანძილზე მსახურობდა ირანში. ის აღიზარდა როსტომ მეფის კარზე, კარგად დაეუფლა სპარსულ ენას და 1656 წელს მსახურებისთვის ირანში გაიგზავნა, სადაც სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ ისპაჰანის მოურავად დაინიშნა. შემდეგ კი ის საპოლიციო სამსახურის უფროსი გახდა. გორგიჯანიძემ მონაწილეობა მიიღო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიის დამუშავებაში. შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი. ასევე, დაწერა „საქართველოს ცხოვრება“, რომელშიც საქართველოს ისტორია მოთხრობილია გაქრისტიანებიდან XVII საუკუნის ბოლომდე. ეს ნაშრომი XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება.

13. შეიძლება თუ არა ირანში მოღვაწე ქართველები ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებად ჩავთვალოთ, თუ ისინი ირანელ მოღვაწეებად უფრო ითვლებიან? პასუხი დაასაბუთე.

14. გაიხსენე §27-ში მოყვანილი წყარო ე) და იმსჯელე, როგორი იყო ფარსადან გორგიჯანიძის ეროვნული და სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა? რამდენად ობიექტურად შეიძლება ჩაითვალოს მისი წყარო? პასუხი დაასაბუთე.

15. შენი აზრით, რატომ ანდობდა ირანის შაჰი უცხო ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს სიმდიდრესა და ძალაუფლებას?

16. რა გავლენას ახდენდა ირანში დაწინაურებული ქართველების მდგომარეობაზე ირანის შაჰებისა და მათი პოლიტიკის ცვლილება?

17. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 92. გაეცანი ტექსტსა და წყაროებს (ა), დ) და შეავსე ცხრილი ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ.

ფერეიდნელი ქართველები



1614 წელს კახეთში ლაშქრობის შემდეგ შაჰ აბასმა ირანში 200 ათასი ქართველი გადაასახლა და ცენტრალურ ირანში, მთიან რეგიონ ფერეიდანში, ჩაასახლა. თავიდან ქართველები ქრისტიანობისა და ქართული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას ცდილობდნენ, მაგრამ თანდათანობით მაინც შეუცვალეს სარწმუნოება. თუმცა ფერეიდანში ჩასახლებულმა ქართველებმა დღემდე მოახერხეს ქართული ენისა და ზოგიერთი ქართული ტრადიციის შენარჩუნება. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა – ფერეიდანში ჩასახლების შემდეგ ქართველები კომპაქტურად დაასახლეს ერთ რეგიონში, რამდენიმე სოფლად, ამასთანავე, დიდი ხნის განმავლობაში ისინი მტკიცედ იცავდნენ ეთნიკური ენდოგამიის წესს – კაცები და ქალები მხოლოდ ქართველებზე ქორწინდებოდნენ. დღეს ფერეიდანში დაახლოებით 12-14 ათასი ქართველი ცხოვრობს.

სურ. 5. ირანელ ჯარისკაცებს მიჰყავთ ქართველი ტყვეები. სპარსული მინიატიურა ქსოვილზე

ენდოგამია – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება დასაშვები იყო მხოლოდ ერთი და იმავე საზოგადოებრივი ჯგუფის (ტომის, გვარის და მისთ.) წევრებს შორის.

18. სახელმძღვანელოს ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, საზოგადოების რომელ ფენებს განეკუთვნებოდნენ ირანში მცხოვრები ქართველები?

19. მოიძიე ინფორმაცია დღეს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებზე, მათ საქმიანობასა და წეს-ჩვეულებებზე. იმსჯელე, რამდენად მოახერხეს მათ ქართული ენისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნება. რა კავშირები აქვთ მათ დღევანდელ საქართველოსა და ირანის ხელისუფლებასთან.

Don't copy

ქართველი მამლუქები

ტყვის სყიდვის შედეგად დასავლეთ საქართველოდან და ახალციხის საფაშოდან ოსმალეთში მრავალი ქართველი ხვდებოდა. ტყვედ წაყვანილ და სტამბოლის ბაზარში გაყიდულ ბიჭებს თავიდანვე ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს – ცხენით ჯირითს, იარაღის ხმარებას და მებრძოლებად, ანუ მამლუქებად, ზრდიდნენ. მამლუქი არამუსლიმ თეთრკანიან მონა მებრძოლს ნიშნავდა.

საქართველოდან ტყვე ბიჭების ოსმალეთში გაყვანა განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეებში გახშირდა. ამ დროისათვის ეგვიპტე ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი და მას ოსმალო ფაშა მართავდა. თუმცა ადგილობრივ მამლუქებსაც დიდი ძალაუფლება ჰქონდათ. იმ პერიოდის ეგვიპტურ ჯარში ქართული წარმოშობის ბევრი მამლუქი ირიცხებოდა.

წყარო ე) გოჩა ჯაფარიძე, XX-XXI სს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“

„ეგვიპტეში გაყიდულ ყმაწვილს იძენდა რომელიმე მამლუქი დიდებული, რომელიც მისთვის ხდებოდა ყველაზე ახლობელი ადამიანი, პატრონი, მამა, ხოლო მასთან ერთად შეძენილი სხვა მონები – მისი ძმები. მონას ამუსლიმებდნენ, ასწავლიდნენ ისლამის ნორმებს, არაბულსა და თურქულს და, რაც მთავარია, სამხედრო საქმეს. ის ყალიბდებოდა უბადლო მხედრად და შესანიშნავ მეომარად. უკვე მოწიფულს, წვერ-ულვაში რომ ამოუვიდოდა, პატრონი მონობიდან ათავისუფლებდა და იწყებოდა ფათერაკებით აღსავსე მისი ცხოვრება.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველ მამლუქთა რაოდენობა, მათი როლი და მნიშვნელობა ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. ისინი ხშირად ამხობდნენ და ქვეყნიდან აძევებდნენ ხოლმე ოსმალო ფაშას. აღარ უხდიდნენ სულთანს დაკისრებულ გადასახადებს, ეურჩებოდნენ ოსმალეთის სულთანს და იბრძოდნენ იმისთვის, რომ ოსმალეთისგან ჩამოეშორებინათ ეგვიპტე. ამ საუკუნეში 6 ქართველი მამლუქი ბეგი განაგებდა ამ ქვეყანას“.




სურ. 6. ალი ბეგ ალ-ქაბირის ვერცხლის მონეტა.

ალი ბეგი (ალი ბეი ალ ქაბირი) – დაიბადა აფხაზეთში, ქართველი მღვდლის დავითის ოჯახში. მას იოსები ერქვა. ის 14 წლის ასაკში ებრაელ სავაჭრო აგენტს შეუძენია და და საჩუქრად მიართმევია ეგვიპტის კიდევ ერთი ქართველი მამლუქი გამგებლის იბრაჰიმ ქათხუდასთვი, რომლის კარზეც ალი ბეგი მალე დაწინაურდა და ეგვიპტეს ორჯერ მართავდა: 1757-1767 წლებში, როგორც ოსმალეთის ვასალი და 1767-1773 წლებში, როგორც დამოუკიდებელი მმართველი. მისი ზედმეტსახელები იყო “ალი ეშმაკი” და “ღრუბლების მჭერი”. მართველობის წლებში ალი ბეგმა დიდი ტერიტორიები დაიპყრო, ზემო და ქვემო ეგვიპტე გააერთიანა და მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა. ალი ბეი ალ ქაბირი სახელმწიფო გადატრიალების გზით ტახტიდან ჩამოაგდო მისმა შვილობილმა, კავკასიური წარმომავლობის მამლუქმა მუჰამედ ბეი აბუ დაჰაბმა. სწორედ, ამ მუჰამედ ბეის კარზე აღიზარდა კიდევ ერთი ქართველი მამლუქი მმართველი იბრაჰიმ ბეი, რომელიც მარტყოფელი მღვდლის შვილი იყო და ეგვიპტეს 1775-1798 წლებში მართავდა.

ქართველ მამლუქებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან, თავის მშობლიურ მხარეებთან და ხშირი მიმომწერაც ჰქონიათ. მაგალითად, ალი ბეი ალ-ქაბირმა თავის ერთგულ ქართველ მამლუქს დაავალა აფხაზეთში მოეძებნა და ეგვიპტეში ჩაეყვანა თავისი მამა, მღვდელი დავითი, რომელმაც თან ალის დაც და მეორე დისშვილი წაიყვანა; 1778 წელს იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილს ძმა და სიძე მიუპატიჟია ეგვიპტეში. მარტოფში, შინჯიკაშვილების უბანში დღემდე დგას კოშკი, რომელიც სოფელს ლეკებისგან იცავდა. ეს კოშკი იბრაჰიმ ბეის გამოგზავნილი ფულით აშენებულა. ასევე, მას ფული გამოუგზავნია სოფელში ეკლესიის ასაშენებლად.

აღსანიშნავია, რომ იბრაჰიმ ბეი, მურად ბეისთან ერთად მეთაურობდა მამლუქთა ჯარს 1798 წელს გამართულ ცნობილ პირამიდების ბრძოლაში ნაპოლეონ ბონაპარტის არმიის წინააღმდეგ.

Don't copy



სურ.7. იბრაჰიმ ბეგ ალ-ქაბირის სასახლე კაიროს სიახლოვეს. ის მარტყოფელი მღვდლის შინჯიკაშვილის შვილი იყო და ეგვიპტეს მართავდა 1775-1798 წლებში.


20. შენი აზრით, რამ განაპირობა მამლუქების დაწინაურება ეგვიპტეში?
21. დაფიქრდი, რა გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყო კახეთის სოფელ მარტყოფში დაბადებული ბიჭი ჯერ ოსმალეთში, შემდეგ კი ეგვიპტეში?
22. როგორ შეიცვლებოდა ქართველი ბავშვის ყოველდღიური ყოფა კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან ეგვიპტეში აღმოჩენის შემდეგ?
23. შენი აზრით, რატომ ჰქონდა დაბალი სოციალური წარმოშობის ქართველს ეგვიპტეში მაღალი თანამდებობის მიღწევის შესაძლებლობა, ქართულ სამეფო-სამთავროებში კი არა?
24. შეადარე ერთმანეთს ქართველი მეფე-მთავრებისა და ეგვიპტელი მამლუქების მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების მიზეზები და მიზნები. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ მათ?

ქართველები რუსეთსა და უკრაინაში

1724 წელს რუსეთში გახიზნულ ვახტანგ VI-ს საქართველოდან 1200-კაციანი ამალა გაჰყვა: სამეფო ოჯახის წევრები, სარდლები, სახლთუხუცესი, დიდებულები, მათი მსახურები, სასულიერო პირები, მეცნიერები და მწერლები. მათ ჩრდილო კავკასიაში შეურთდნენ მანამდე საქართველოდან გახიზნული ქართველები, ასე რომ ვახტანგ მეფე მოსკოვში 1885-კაციანი ამალით ჩავიდა.

რუსეთში გადასახლებულთაგან ბევრი იქ მოეწყო და იმპერატორის კარზე საჯარო და სამხედრო სამსახურში ჩადგა. მათგან განსაკუთრებით გამოსარჩევია ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟი – ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757). თავისი დროისთვის ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ერთ-ერთ უგანათლებულეს ადამიანად ითვლებოდა. ქართულის გარდა, იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული, თურქული, რუსული და სომხური. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, 1721 წელს, მას ჩაუტარებია ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერა.

რუსეთში გადასახლების შემდეგ მან სამეცნიერო მოღვაწეობა მოსკოვში გააგრძელა. მისი უმთავრესი ნაშრომია „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე. ამავე ნაშრომში მოცემულია საქართველოს დეტალური გეოგრაფიული აღწერა – მხარეების ბუნება, ფლორა და ფაუნა, ტბები, მდინარეები, მთები, ქედები და დასახლებული პუნქტები, ხალხის ზნე-ჩვეულებები და ა. შ. მასვე ეკუთვნის თბილისის, საქართველოსა და ევროპის დეტალური რუკებისგან შემდგარი გეოგრაფიული ატლასი.



სურ.8. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ევროპისა და საქართველოს რუკები.

Don't copy

ამავე პერიოდში უცხოეთში მოღვაწე ქართველებიდან განსაკუთრებით გამოსარჩევია დიდი ქართველი პოეტი **დავით გურამიშვილი** (1705-1792). ის საგურამოში თავადის ოჯახში გაიზარდა. დახლოებით 1727-1728 წლებში დავით გურამიშვილი ლეკებმა გაიტაცეს და დაღესტანში გადაიყვანეს. დავითმა ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და საბოლოოდ მოსკოვამდე ჩააღწია, სადაც ვახტანგ VI-ის სამსახურში ჩადგა. გურამიშვილმა რუსეთში მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად აქტიური კულტურული საქმიანობა დაიწყო. მოგვიანებით დავით გურამიშვილი მსახურობდა 1738 წელს ჩამოყალიბებულ ქართველ ჰუსართა პოლკში. ჰუსარებს რუსეთის იმპერატორისგან მამულები გადაეცათ, ძირითადად უკრაინის ტერიტორიაზე.

გურამიშვილი 1738-1760 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის იმპერიის საბრძოლო მოქმედებებში ოსმალეთის, შვედეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. 1760 წლიდან მან თავი დაანება სამხედრო სამსახურს და უკრაინაში დამკვიდრდა. სწორედ იქ დაწერა გურამიშვილმა „დავითიანი“, რომლის ნაწილებია პოემა „ქართლის ჭირი“ და ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს, რომ ადამიანისა და ქვეყნისათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უსწავლელობაა.



სურ. 9. „დავითიანის“ ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი, რომელზეც გამოსახულია დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი

წყარო ვ) ნაწყვეტი დავით გურამიშვილის პოემიდან „ქართლის ჭირი“

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!
მერე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ვით მამალი სხვის მამალსა დამტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, –
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

1787 წელს დავით გურამიშვილმა საკუთარი ხელით გადაწერილი „დავითიანი“, რომელშიც მთელი თავისი შემოქმედება გააერთიანა, რუსეთში მყოფ მირიან ბატონიშვილს (ერეკლე II-ის ძეს) გამოატანა საქართველოში.

ქართველთა განსასვენებელი დონის მონასტერში – 1705 წელს მოსკოვში არსებული დონის მონასტრის წინამძღვარი ანუ არქიმანდრიტი გახდა ქართველი ლავრენტი გაბაშვილი გახდა. 1711 წელს მან მონასტერში საფუძველი ჩაუყარა ქართველ მოღვაწეთა განსასვენებელს – პანთეონს. პანთეონში არაერთი ცნობილი ქართველი მოღვაწეა დაკრძალული. ძირითადად, ვახტანგ VI-ის ოჯახისა და გარემოცვის წევრები. 1983-1984 წლებში ქართველმა მეცნიერებმა გივი ღამბაშიძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურად შეისწავლეს ქართველთა განსასვენებლი დონის მონასტერში. სწორედ ამ ექსპედიციამ მოახერხა ვახტანგ VI -ისა და არჩილ II-ის ოჯახის წევრების აკლდამების იდენტიფიკაცია.

25. როგორ ფიქრობ, რამდენად სწორად მოიქცა ვახტანგ VI, როდესაც რუსეთში გაიყოლა დიდებულები, მეცნიერები და მწერლები? პასუხი დაასაბუთე.
26. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 93. გაიხსენე შესწავლილი მასალა ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდის შესახებ, გაეცანი ტექსტს და შეავსე ცხრილი.
27. შენი აზრით, რა მიზნებისთვის შეიძლებოდა გამოეყენებინა რუსეთის იმპერატორს მისი ქვეყნის სამხედრო და საჯარო სამსახურში ჩამდგარი ქართველობა? პასუხი დაასაბუთე.
28. რას მიიჩნევდა დავით გურამიშვილი საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში დატრიალებული უბედურების მთავარ მიზეზად? ეთანხმები თუ არა მას ამ შეფასებაში?
29. როგორ ფიქრობ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ძნელბედობის ჟამს ქართველები უფრო ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და იშვიათად ერთიანდებოდნენ მტრის წინააღმდეგ?

Don't copy

35-36 როგორ ახასიათებდნენ კათოლიკე მისიონერები და ევროპელი მოგზაურები საქართველოს

პირველი მისიონერები

XIII საუკუნიდან კავკასიაში პირველი კათოლიკე მისიონერები შემოვიდნენ. 1329 წელს კი რომის პაპის ბრძანებით ოსმალების მიერ შევიწროებულ ქ. სმირნაში (ქ. იზმირი თურქეთში) მდებარე კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი თბილისში გადმოიტანეს.

XIV საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში **ფრანცისკელთა** და **დომინიკელთა** ორდენის კათოლიკე მისიონერები გამოაგზავნეს, რომლებმაც თბილისში მონასტერიც დააფუძნეს, თუმცა მოგვიანებით, XVI საუკუნის დასაწყისში, ოსმალეთმა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები ჩაკეტა და შედეგად თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო გაუქმდა.



სურ. 1 „ხუთჯვრიანი“ დროშით აღნიშნული თბილისი ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების 1367 წლის რუკაზე

ფრანცისკელთა ორდენი – კათოლიკური ბერ-მონაზვნური ორდენი, რომელიც XIII საუკუნეში დააარსა ფრანცისკ ასიზელმა. ორდენი შემოწირულობების ხარჯზე არსებობდა. მის წევრებს სიღარიბისა და უპოვრობის აღთქმა ჰქონდათ დადებული. ფრანცისკელები პირველი ქრისტიანების მსგავსად ცხოვრობდნენ, ლოცულობდნენ და მათ მოღვაწეობაში უმთავრესი ადგილი საღვთო ქადაგებას ეჭირა.

დომინიკელთა ორდენი – კათოლიკური ბერ-მონაზვნური ორდენი. დააარსა დომინიკ გუსმანმა XIII საუკუნეში. დომინიკელთა ოფიციალური სახელწოდება იყო „ძმანი მქადაგებელნი“. ისინი კათოლიკობის პროპაგანდას ეწეოდნენ.

ოსმალეთთან დაპირისპირებაში განსაკუთრებით დაზარალებული ვენეცია იყო, რომელმაც ეგეოსის ზღვაში თავისი სამფლობელოები დაკარგა. ამიტომ ვენეციამ ოსმალების წინააღმდეგ სეფიანთა ირანთან კავშირის შეკვრა გადაწყვიტა და 1538 წელს ირანში საიდუმლო დესპანი, მიკელე მემბრე, გაგზავნეს, ჩვენთვის ეს ელჩობა იმითაა საინტერესო, რომ ელჩმა საქართველოშიც იმოგზაურა და ქართული სამეფო-სამთავროების შესახებ რამდენიმე მეტად საყურადღებო ინფორმაცია დაგვიტოვა.

წყარო ა) მიკელე მემბრე, ვენეციის რესპუბლიკის დესპანი სეფიანთა ირანში, ნაწყვეტი 1539 წლის მოხსენებითი ბარათიდან

სამეგრელო

„მივაღწიეთ ადგილს, სახელად ანაკლიას, რომელიც წარმოადგენს სამეგრელოს მეფის, დადიანის ტერიტორიას. აქ არის დიდი მდინარე, რომელშიც შედიან გემები, როცა არ არიან დატვირთულები. გემი ჩერდება სანაპიროსთან და სხვა გემთან აწარმოებს ვაჭრობას, ოღონდ ყველაფერი ბარტერზეა (გაცვლა-გამოცვლითაა) – ისინი იღებენ ქსოვილებს და ყიდიან ასევე ქსოვილებს. მეგრელები გემთან თავიანთი ნავებით მოდიან და თითოეულს მოაქვს თავისი ქსოვილის ბოლჩა. ამგვარად წარმართავენ ისინი ვაჭრობას. სამეგრელოში მარილი არ მოიპოვება. ტყავი, ცხვრის ბეწვი და სხვა საქონელიც საკმაოდ ძვირადღირებულია. სამეგრელოში მოიპოვება დიდი რაოდენობით ყვითელი ცვილი, სელის (ტილოს) ძაფი და ზაგემიდან მოტანილი აბრეშუმი. ასევე, ისინი ყიდიან ბევრ მონას. მომდევნო დღეს დაიწყო აღნიშნული გემიდან მარილის ჩამოტვირთვა და ნავებზე დატვირთვა, რომ გაეგზავნათ ბაზრობაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა გამართულიყო ფაზისთან მდებარე ადგილზე, სახელად კულაუროპაში. მე წავყევი ამ

Don't copy



სურ. 2 ბაზრობა ეკლესიასთან.
ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი


ნავებს იმ ადგილამდე, სადაც ბაზრობა იმართებოდა. ეს ადგილი მდინარე ფაზისის ნაპირას, მის სამხრეთ აღმოსავლეთითაა, დაბლობზე, ტყიანში, სადაც 50-მდე ხის სახლია. ამ ადგილზე სახლების მფლობელთა უმრავლესობა ებრაელები არიან. ეს ებრაელები ყიდულობენ მეგრული წარმოშობის მონებს და აქცევენ ებრაელებად. ამ საქმეში მეგრელები მათ უარს არ ეუბნებიან. მოედნის შუაგულში, სადაც ბაზრობაა გამართული, დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სპილენძის თაღითა და ორი პატარა სამრეკლოთი. იბერები ატარებენ წირვას“.



სურ. 3 იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის შეხვედრა ქუთაისში.
ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

ქუთაისი და იმერელი აზნაურები

„ჩვენ გადავკვეთეთ მდინარე ფაზისი ნავით და მივედით იბერიელთა ქალაქ ქუთაისში, რაც მეფე ბაში-აჩუკის (იმერეთის) სამფლობელოა... მდინარის გასწვრივ ის აშენებს ქვის სახლებს საცავებით/სარდაფებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, თავად მეფისთვისაა განკუთვნილი. თუმცაღა ქალაქში უმეტესობა სახლებისა უბნებში ხისაა და აქ ასევე ბევრი ბაღია... მეფეს, როგორც ამბობენ, უნდა ჰყავდეს 7000 მხედარი, რომელთაც აზნაურები ეწოდებათ. ეს აზნაურები ტანად ბევრად დიდები არიან, ვიდრე ჩვენ, დანარჩენი ვართ, და აქვთ გრძელი, შავი ულვაშები, წვერს კი იპარსავენ... მათ საბრძოლო იარაღს წარმოადგენს: ხმლები, შუბები, ფარები, მშვილდ-ისარი, რკინის კვერთხები, მუზარადი, რომელიც სანახევროდ ფარავს თავს, ლითონის დამცავი სამკლავურები, კარგი ცხენები კარგი აბრეშუმის საფარებით, რომელშიც ისარი ვერ ატანს...“



სურ. 4 გორის ციხე.
ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

გორი და თბილისი

„7 თუ 8 დღის შემდეგ ჩვენ გზა სხვა ქალაქის, სახელად გორის, მიმართულებით გავაგრძელეთ, სადამდეც 4 დღე დაგვჭირდა გზაში... ქალაქის სახლების ნაწილი ხისაა, ნაწილი – მიწური და ნაწილიც ქვისგან ნაშენია. ეს ქალაქი პატარაა... ამ ადგილის მეფე არის ლუარსაბი... იქიდან ქალაქ თბილისისკენ წავედი... ეს ქალაქიც ლუარსაბის სამფლობელოშია და იქამდე მიღწევას დღე-ნახევარი მოვანდომეთ. თბილისი ძალიან დიდი ქალაქია, თუმცა უმეტესი ნაწილი დანგრეულია იმ ბევრი ომის შედეგად, რასაც ქართველები ერთმანეთში აწარმოებდნენ... ზემონახსენები მეფე ლუარსაბი 1000 დუკატს უხდის ხარკის სახით სეფიანს ყოველ წელს“.

DonGoy

1. წყაროს მიხედვით, რით ვაჭრობდნენ სამეგრელოში?
2. რა ადგილობრივი ნედლეულია ნახსენები წყაროში?
3. ძირითადად როგორი არქიტექტურა ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში?
4. როგორი იყო იმდროინდელი იმერელი მხედრის აღჭურვილობა?
5. რომელ ლუარსაბზეა ლაპარაკი წყაროში?
6. როგორ ახასიათებს ავტორი გორსა და თბილისს? რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია ამ ორ ქალაქს შორის?
7. რა შთაბეჭდილებას გიქმნის წყარო ა) ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე XVI ს.-ის შუა ხანებში?
8. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 94. წყარო ა)-ს მონაცემების საფუძველზე შეავსე ცხრილი.

მისიონერული მოძრაობის განვითარება საქართველოში

XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან ოსმალეთისა და ევროპის ურთიერთობა შედარებით გამოცოცხლდა და საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობაც განახლდა. რომის კათოლიკური ეკლესიის მიზანი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში თავისი გავლენის გაძლიერება და იმავდროულად სპარსეთთან სავაჭრო გზების მოძიება.

წყარო ბ) პიეტრო დელა ვალე, XVII ს.-ის იტალიელი მოგზაური და დიპლომატი, ნაწყვეტი მოხსენებიდან, რომელიც მან რომის პაპ ურბან VIII-ს გაუგზავნა

„მე, ნეტარი რომის პაპის წარმომადგენელი ელჩი... ვიყავი საქართველოში 1616 წლის ივნისისა და ივლისის თვეებში, იქ რაც შევნიშნე ქვეყნის შესახებ, მცხოვრებთა ბუნებისა, მათი სარწმუნოებისა და მათი კეთილი მომზადებისა მწყემსის (პაპის) უფროსობის აღსაღიარებლად, აქ მოვიხსენიებ ძლიერ მარტივად... კაცები თეთრები არიან და მშვენიერი სახისა, საკმაოდ პატიოსანი ზნეობა აქვთ; თათრულად აცვიათ, თითქმის ყველას ტანისამოსი აბრეშუმისა აქვს, რადგან აბრეშუმი ბლომად იშოვება იქ; მკვირცხლი ნიჭი აქვთ და გულ-ფიცხელნი არიან; დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან; ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდ-ისარი... ქართველები ყველა ქრისტიანები არიან ბერძნის **ტიპიკონისა**, აქვთ მშვენიერი ეკლესიები, ჩვენებურის მსგავსი, აქვთ საშუალო ზომის სამრეკლო და ზარები. მარტო მღვდლებმა და განათლებულმა პირებმა იციან ბერძნული წერა-კითხვა და ენა, თათრულს თითქმის ყველანი ლაპარაკობენ, მაგრამ მათი საკუთარი და ბუნებითი ენა ქართულია, რომელიც, ვგონებ, ძლიერ ადვილად შეისწავლოს კაცმა. რამდენიმე ასო აქვთ ჩვენებური ასოების მსგავსი, მათი გამოთქმა, მგონი, ცოტათი განსხვავდება ჩვენებური გამოთქმისაგან...



სურ. 5 ქართველი ქალები. ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

ქართველი ქალები ძალიან ლამაზები არიან,...ტანმაღალნი, თმა ყველას შავი აქვს და თვალებიც შავი – დიდრონი და მომხიბლავი, პირისახე – თეთრი ფერისა, ხოლო ლოყები ვარდისფერი. მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზესად მსოფლიოში... რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, დიდებული იერი, საუცხოო სახითა და ტანით, გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი

Don't copy

გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფობას ითხოვენ, აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება, არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი, მაგრამ ამავე დროს ამაყნი, ქედმაღალნი, დაუნდობელნი და ულმობელნი... ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი. ცდილობენ, შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ. საერთოდ, წყნარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან; მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება“.

ტიპიკონი – ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესების წიგნი.

9. რა ხასიათის დოკუმენტია წყარო ბ)?
10. ქართველების რა დადებით თვისებებს ჩამოთვლის პიეტრო დელე ვალე და რატომ თვლის საჭიროდ მოხსენებაში ამ თვისებების აღნიშვნას?
11. ქართველების თვისებების გარდა, კიდევ რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი მოხსენებაში და რატომ?
12. რას გულისხმობს ავტორი „თათრულ“ ენაში? რამ განაპირობა ქართულ სამეფო-სამთავროებში მისი ფართოდ გავრცელება?
13. წყაროს მიხედვით, რა არის პიეტრო დელა ვალეს საქართველოში მოგაზურობის ერთ-ერთი მიზანი?
14. როგორ ფიქრობ, რომელ ქართულ ასოებს გულისხმობს პეტრო დელა ვალე, როდესაც „ჩვენებური ასოების“ მსგავსებაზე მიანიშნებს?
15. სილამაზის გარდა, ქართველი ქალების რა დადებით თვისებებს ასახელებს პეტრო დელა ვალე?
16. ქართველების რომელ უარყოფით თვისებებს ჩამოთვლის წყაროს ავტორი? შენი აზრით, განსაკუთრებით რომელი მათგანი იყო დამღუპველი საქართველოსთვის?



სურ. 6 მისიონერების კარ-მიდამო სამეგრელოში. 1654 წ. ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

პიეტრო დელა ვალეს მოხსენების მიღების შემდეგ რომის პაპმა საქართველოში მისიონერები გამოაგზავნა – არქანჯელო ლამბერტი, ავიტაბილე, ჯუდიჩე მილანელი, ქრისტოფორო დე კასტელი და სხვები. ისინი მთელ საქართველოში მოღვაწეობდნენ, განსაკუთრებით კი სამეგრელოსა და ქართლში. კათოლიკური მისიები გახსნეს თბილისში, გორში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

მისიონერებმა თავდაპირველად ქართლში, ქალაქ გორში, დაიდეს ბინა, სადაც მათ პატრონობას მეფე თეიმურაზ I უწევდა. ის მისიონერების დახმარებით ცდილობდა ევროპელ მეფე-მთავრებთან და რომის პაპთან ურთიერთობების გამყარებას და ამის მისაღწევად იტალიასა და ესპანეთში ელჩობაც გაგზავნა. მაგრამ ქართლში ირანის ინტერესების გამტარებელი როსტომის გამეფების შემდეგ (1633 წ.) თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა. როსტომი არ ავიწროებდა მისიონერებს, თუმცა დიდ ყურადღებასაც არ იჩენდა მათ მიმართ. ამის გამო მისიონერებმა მალევე სამეგრელოში (ოდიშში) გადაინაცვლეს, სადაც ლევან II (1611-1657) დადიანი მათ საუკეთესო პირობებს ჰპირდებოდა.

Do not copy

წყარო გ) არქანჯელო ლამბერტი, XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი, „სამეგრელოს აღწერა“

„კოლხიდაში ზღვის ნაწილი თითქმის სულ დაცულია ტყეებითა და გაუვალი ჭაობებით. ეს ტყეები და ჭაობები კედლების და თხრილების მაგივრობას ასრულებს და ამრიგად უშიშრად ხდის ამ კუთხეს გარეშე მტრების თავდასხმისგან. კოლხიდა მდიდარია აგრეთვე ღვინით, მაგრამ ღარიბია პურით. უმეტესი ნაწილი კოლხიდისა შედგება მშვენივრად შემოსილ გორებისაგან, თუმცა ნაყოფიერი ვაკეები აკლია. ნადირობა, როგორც ფრინველზე, ისე ოთხფეხზე, ძლიერ გავრცელებულია. ჰაერი ზომიერია, თუმცა მაინცდამაინც საღი არ არის... მეგრელები, როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომს იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდს, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას“.

XVII საუკუნის საქართველოს შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც XVII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

წყარო დ) ჟან შარდენი, XVII ს.-ის ფრანგი ვაჭარი, „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“

სამეგრელოს შესახებ

„კოლხთა ძველ სამეფოს ასეთი მცირე ტერიტორია როდი ეჭირა, როგორც დღეს... ქვეყანა მთლიანად ხშირი და მაღალი ტყით არის დაფარული, გარდა დამუშავებული მიწებისა, რასაც მცირე ფართობი უჭირავს. ჰაერი ძალზე ნოტიოა. წვიმს თითქმის გადაუღებლად. კოლხიდა მდიდარია მდინარეებით. კოლხიდაში ნიადაგი ცუდია. მოჰყავთ ზოგიერთი ჯიშის მარცვლეული და ბოსტნეული. ხეხილი აქ ველურია, უგემური. კოლხიდაში ხილის თითქმის ყველა ის ჯიშია, რაც საფრანგეთში. ნესვი აქ დიდი იზრდება, მაგრამ არაფრად არ ვარგა. ყურძენი კარგი მოჰყავთ და იგი ყველგან დიდი რაოდენობითაა. ხის ძირში დარგული ვაზი შემოეხვევა ხეს და ხის კენწეროს აღწევს. სამეგრელოს ღვინო საუცხოოა. იგი მაგარი და სასიამოვნოა სასმელად. მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევ. აქაურებმა რომ ღვინის ისეთი დაყენება იცოდნენ, როგორც ჩვენ, სამეგრელოს ღვინო საუკეთესო იქნებოდა მსოფლიოში, მაგრამ ისინი ამ საქმისთვის აუცილებელ წესებს არ იყენებენ. ამოღარავენ დიდ ხეებს, ყრიან მასში ყურძენს და წურავენ. დაწურვის შემდეგ ყურძნის წვენს ასხამენ ქვევრებში, რომლებიც ან სახლში, ან სახლის ახლოს მიწაშია ჩაფლული. სამეგრელოში ნიადაგი ისეთი სველია, რომ ხორბლისა და ქერის თესვისას მიწას სრულიად არ ამუშავებენ. მუშაობის დროს თავის გასამხნევებლად და გასართობად ისე ხმამაღლა მღერიან, რომ ერთმანეთს აყრუებენ. აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელ აღმოსავლეთში ჩვეულებად აქვთ მუშაობის დროს წასახალისებლად სიმღერა, რომ ეს ჩვევა არის შედეგი როგორც გონების სიზარმაცისა, ისე სხეულის დაუძლურებისა. მეგრელების ჩვეულებრივ საკვებ მარცვლეულს წარმოადგენს ღომი, რომელიც რამდენადმე წააგავს ფეტვს. ღომის მარცვლებს კიდებენ მაღალ მესერზე გასაშრობად. ხარშავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭამის დრო დადგება. ეს ფაფა ძალიან თეთრია.

სუფრაზე შემოაქვთ საგანგებოდ გაკეთებული ხის პატარა ნიჩბებით. მას ადვილად იღებენ თითებით. ეს არის მათი პური. მათ სხვა არა გააჩნიათ რა, ისე არიან შეჩვეული ღომს, რომ ხორბლის პურსაც კი ურჩევნიათ. სამეგრელოში ასევე მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი და ხორბალი, ქერი – ძალზე მცირე რაოდენობით. ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჭამენ. ჩვეულებრივი ხორცეული ამ ქვეყანაში არის ძროხისა და ღორის ხორცი, რომელიც დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოოა. არის აგრეთვე თხის ხორცი, მაგრამ



სურ. 7 სუფრა სამეგრელოში. ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

Don't copy



სურ. 8 თავადის სახლი სამეგრელოში.
ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი

ძალიან მჭლე და უგემურია. შინაური ფრინველი ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა, რაც ომიანობის შედეგია, რამაც ქვეყანა გააჩანაგა. თევზი მხოლოდ დამარილებული იშოვება, ისიც თურქეთიდან შემოაქვთ. სამეგრელოს დიდებულები მხოლოდ ნადირობას მისდევენ. ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ ნადირობენ. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც შეიძლება იყოს ამდენი მტაცებელი ფრინველი: შევარდენი, მიმინო, მარჯანი და სხვ. მეგრელებს მონადირე ძაღლები მრავლად ჰყავთ, მაგრამ ამჯობინებენ ნადირის ცხენის ჭენებით დაჭერას. ნანადირევის მარჯვენა ბეჭი ბატონისაა, მარცხენა – ქალბატონის, დანარჩენს კი მონადირეები ჭამენ. სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ. სამეგრელოში ზღვის პირას არ არის არც ქალაქები, არც დაბები. სახლები მიმოფანტულია აქა-იქ. სამეგრელოში ყველა სახლი ხისაა, რადგან ტყე ყველგან ძალიან ახლოსაა და მშენებლობა იაფი ჯდება. ღარიბების სახლები ერთსართულიანია, დიდებულებისა კი ორსართულიანი. ძირს ყოველთვის ფიცარნაგია გაკეთებული დასაწოლად და დასაჯდომად მიწის დიდი სინოტივის გამო. დიდებულები ნოხებზე სხდებიან, სხვები კი ჯორკოზე. სახლები მეტად მოუწყობელია, ცეცხლი შუაგულში ანთია. მეგრელი ქალების ტანსაცმელი სპარსელი ქალების ტანსაცმელს ჩამოჰგავს. თმის დავარცხნა და დახვევა ევროპელი ქალების მსგავსად იციან. ატარებენ ხილაბანდს, რომელიც თავის ზევითა და უკანა ნაწილს ფარავს. ბატონებს აქ თავის ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლებები აქვთ – როგორც უნდათ, ისე ექცევიან მათ. თითოეული გლეხი აძლევს თავის ბატონს მარცვლეულს, საქონელს, ღვინოს და სხვა სურსათ-სანოვაგეს თავისი შეძლების მიხედვით. ამრიგად, მათი სიმდიდრე დამოკიდებულია გლეხების რაოდენობაზე. მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, სწორი ხმალი, კომბალი, ფარი. ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი 20 000 ეკიუს აღწევს. ამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბაჟი სამეგრელოში შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე, ადამიანების გაყიდვა და თვითნებურად შეწერილი გადასახადები“.

ქართლ-კახეთის შესახებ

„კახეთის სამეფო და ქართლი სპარსეთის იმპერიაში შედიან. საქართველოში ქალაქები ცოტაა. უწინ კახეთის სამეფოში რამდენიმე ქალაქი ყოფილა, ახლა ყველა ისინი ნანგრევებად არის ქცეული. გამონაკლისია მხოლოდ ერთი ქალაქი, რომელსაც ასევე კახეთი ჰქვია. ეს ქალაქები თურმე დიდი და ჩინებულად ნაშენი ყოფილა, ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის, რაც ჯერ მთლიანად არ არის დანგრეული, არამედ ნანგრევებიც. ქართლის პროვინციაში მხოლოდ ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და თბილისი. საქართველოში ჰავა ჯანსაღი და მშრალია, მიწები აქ მორწყვას მოითხოვს, მორწყული მიწები კი უხვად იძლევა სხვადასხვა სახის მარცვლეულის, მწვანილისა და ხილის მოსავალს. საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორიც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი, აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული. საქონელი დიდი რაოდენობითაა და ძალიან კარგი ჯიშისა. ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია. დიდი რაოდენობითაა გარეული ღორი, რომლის ხორცი ისეთივე გემრიელია, როგორიც კოლხეთში. უმრავლესობა ღორის ხორცით იკვებება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს

DonTCopy

ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ. ვაზები ხეებზეა გაშენებული. მეფეთა სასმელად ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთსა და ისპაჰანში. დიდი რაოდენობით აწარმოებენ აბრეშუმს, მაგრამ რასაც მოგზაურთა უმრავლესობა წერს ამის შესახებ, აქ იმის ნახევარიც კი არ მზადდება. ადგილობრივმა მოსახლეობამ მისი კარგად გამოყვანა არ იცის. მათ აბრეშუმი ოსმალეთში, ერზერუმსა და ახლომახლო ადგილებში გააქვთ. ქართველები მთელ აღმოსავლეთში საუცხოო ჯიშის ხალხია... ქართველები თავაზიანები და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილები არიან. მათი ადათ-წესები გარშემო მცხოვრები ხალხების უმეტესობის ზნე-ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენს. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს შედეგი მათი სავაჭრო ურთიერთობისა სხვა ხალხებთან და იმ თავისუფლებისა, რომელიც საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული: აქ უფლება გაქვს, იცხოვრო შენი სარწმუნოებითა და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებსა და ევროპელებს. ქართველები ატარებენ ქურთუკებს, რომლებიც გულმკერდთან შეხსნილია, იკვრება ღილებით. ფეხსაცმელები ისეთივეა, როგორიც სპარსელებისა, ქალების ტანსაცმელი სპარსულისგან არაფრით განსხვავდება. დიდებულების სახლები და საზოგადოებრივი შენობები სპარსული ნაგებობების მსგავსად არის ნაშენი. მშენებლობა იაფი ჯდება, რადგანაც ხის მასალა, ქვა, თაბაშირი და კირი ბევრი აქვთ. სპარსელებს ბაძავენ აგრეთვე ჯდომაში, წოლასა და სმა-ჭამაში. დიდებულები თავიანთი ყმების მიმართ ტირანულზე უმკაცრეს ძალმომრეობას იჩენენ. თავიანთ ყმა გლეხებს მთელი თვეების განმავლობაში საკუთარი სურვილისამებრ ამუშავებენ ისე, რომ არ აძლევენ საფასურს და არც საზრდოს, უფლება აქვთ თავიანთი ვასალების ქონებაზე, თავისუფლებასა და სიცოცხლეზე“.

წყარო ე) პაულ ობერლინგი, გერმანელი დიპლომატი, ნაწყვეტი თხზულებიდან „ქართველები და ჩერქეზები ირანში“, XVII ს.

„ქართველები... ასევე ებრაელებიც, მიჩვეული არიან აბრეშუმის ჭიის მოვლას და ეწევიან აბრეშუმის წარმოებას და გაყიდვას. მის ხელშესაწყობად ურიცხვი რაოდენობის თუთის ხეები დარგეს. იქაური ნიადაგი მათი გაზრდისთვის საუკეთესოა მთელ მსოფლიოში... ქართველები – მეომარი და მამაცი ხალხია. ისინი ძლიერი აღნაგობის, გულადი მეომრები და რწმენაში მტკიცენი არიან. მათი მრავალრიცხოვანი არმია შიშის ზარს სცემს სარკინოზებს. ბევრჯერ დიდი ზარალი მიაყენეს მათ საზღვრებთან მცხოვრებ ურწმუნოებს, სპარსეთს, მიდიას და ასურეთს“.

წყარო ვ) ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, ფრანგი ბოტანიკოსი, “მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში”, 1701“

„საქართველოს მეფე, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციას ასრულებს, სარწმუნოებით აუცილებლად მაჰმადიანი უნდა იყოს, რადგან სპარსეთის ხელმწიფე მმართველად ისე არავის დანიშნავს, თუ იგი არ გამაჰმადიანდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს თბილისის მეფეს ერეკლე ერქვა. იგი ბერძნული სარწმუნოების ყოფილა, მაგარმ მისთვის რწმენა შუცვლებინებიათ. ამბობდნენ, ეს ხელმოცარული მეფე ორივე რელიგიას ერთდროულად აღიარებსო; დადის მეჩეთშიც, ხოლო, როცა კაპუცინებთან სალოცავად მოდის, მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამსო



სარკინოზები – აქ იგულისხმებიან მუსლიმები
ერეკლე – ნაზარალი ხანი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ქართლის (1688-1703) და კახეთის (1703-1709) მეფე

Don't copy

17. შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული სამეგრელოს მთავარი თავის სამთავროში კათოლიკე მისიონერების მიწვევით?
18. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია ლამბერტისა და შარდენის აღწერილობებში სამეგრელოს შესახებ?
19. რას გულისხმობს შარდენი ფრაზაში: „ამოღარავენ დიდ ხეებს, ყრიან მასში ყურძენს და წურავენ“?
20. ლამბერტისა და შარდენის მიხედვით, რატომ იყო დაუსახლებელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი?
21. შეადარე ერთმანეთს მემბერესა და შარდენის მიერ აღწერილი იმერლისა და მეგრელის შეიარაღება. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია მათ შორის?
22. რა ტიპის არქიტექტურა იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და რატომ?
23. რა იყო სამეგრელოს მოსახლეობის ძირითადი საკვები?
24. რა პროდუქტები მოჰყავდათ ქართლ-კახეთში შარდენის მიხედვით?
25. რა პროდუქტები გაჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოდან საექსპორტოდ?
26. როგორი იყო ქართველი კაცისა და ქალის ჩაცმულობა XVII საუკუნეში?
27. შარდენის მიხედვით, საქართველოში „ყველას აქვს მინიჭებული უფლება, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებსა და ევროპელებს“. გაიხსენე, კიდევ რომელი უცხოელი გეოგრაფი აღწერს მსგავსად თბილისის მოსახლეობას.
28. ჟან შარდენის მიხედვით, როგორ დამოკიდებულება აქვთ სამეგრელოსა და ქართლ-კახეთში ბატონებს ქვეშევრდომების მიმართ?
29. შენი აზრით, რატომ ცხოვრობდა თბილისში განსხვავებული ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი?
30. რაში ეთანხმება წყარო ე) და ვ) ავტორების აღწერილობა სხვა წყაროების მონაცემებს და რაში არა? გამოყავი მსგავსება-განსხვავებები. იმსჯელე, რამდენად მოქმედებს წყაროების ავტორების სოციალური სტატუსი (მისიონერი, ვაჭარი, სწავლული-მოგზაური, დიპლომატი), მათ მიერ აღწერილი ამბების ხასიათზე.
31. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 95. არქანჯელო ლამბერტისა და ჟან შარდენის მონაცემებსა (წყარო გ) და დ) და კასტელის ნახატებზე დაყრდნობით ერთმანეთს შეადარე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, სამეგრელოსა და ქართლ-კახეთის ბუნება, მოსახლეობა, ტრადიციები, სოფლის მეურნეობა, არქიტექტურა და იმსჯელე მათ შორის არსებულ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე.

Don't copy

37 როგორი იყო საქალაქო ცხოვრება XVI–XVIII საუკუნეების საქართველოში

XVI საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა ქალაქების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ჯერ მონღოლების ბატონობამ, შემდეგ კი თემურლენგის ლაშქრობებმა საქალაქო ცენტრები მიწასთან გაასწორა. მათი უმეტესობა დაინგრა და განადგურდა. ზოგიერთმა ქალაქმა ვეღარ შეძლო აღდგენა და საბოლოოდ დაეცა.

ქვეყნის შიდა აშლილობამ, გაუთავებელმა ომებმა და უცხო ძალების დაპყრობებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა სავაჭრო ურთიერთობები. საქართველოზე გამავალი გზები კეთილმოწყობილი და უსაფრთხო აღარ იყო, რის გამოც საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქარავნები სხვა გზებს ეძებდნენ საქონლის გადასაზიდად.



სურ. 1 რუხის ციხე

ვაჭრობის დასუსტებამ უარყოფითად იმოქმედა ქალაქების განვითარებაზე. თუ მანამდე ვაჭრობით მიღებული დოვლათი და შემოსავალი საქალაქო ცენტრებში იყრიდა თავს და მის განვითარებას ხმარდებოდა, ახლა ვაჭრობის დაცემამ ქალაქების გაღარიბება გამოიწვია.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გაჩნდა ახალი ციხე-ქალაქები, რომლებიც ახლად ჩამოყალიბებული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრები იყო. მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო თბილისი კვლავაც რჩება ქვეყნის მთავარ ცენტრად. ასევე აგრძელებდა არსებობას ქუთაისი. ჩნდება და ვითარდება სხვა ციხე-ქალაქებიც – გრემი და თელავი კახეთში, ჩხარი – იმერეთში, რუხი – სამეგრელოში, ახალციხე – სამცხეში. მაგალითად, ციხე-ქალაქ რუხის დაარსება სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს უკავშირდება. ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებისთვის მან ენგურის ნაპირზე ახალი ციხე ააშენა, იმერეთის ქალაქ ჩხარიდან მოსახლეობა აყარა და რუხში ჩაასახლა.

XVII საუკუნის 60-იან წლებში, ანტოქიის პატრიარქის, მაკარიოსის შვილმა პავლე ალეპოელმა შეადგინა საქართველოს აღწერილობა, სადაც მოგვითხრობს დასავლეთ საქართველოში სამდინარო ვაჭრობის შესახებ. „არის ექვსი მდინარე, რომელზედაც დაცურავენ ხომალდები. პირველია მდინარე კოდორი, მეორე – ღალიძგა, მესამე – ენგური, მეოთხე ხობი, მეხუთე – ტეხური, მეექვსე — ცხენისწყალი“. მდინარეებზე ნაოსნობას ორი დანიშნულება ჰქონდა: წყლის ტრანსპორტი (ნავი, ბორანი) ორ ნაპირს აკავშირებდა ერთმანეთთან, ან კიდევ – დასავლეთ საქართველოს ზღვიდან დაშორებულ კუთხეებს შავი ზღვის ნავსადგურებთან.

ისტორიკოსი თამაზ ბერაძე თავის ნაშრომში, „ზღვაოსნობა საქართველოში,” წერს: „კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოჩამჩირის მიდამოებში, ზღვას ერთვის მდინარე მოქვი. დღეს ეს მდინარე იმდენად მეჩხერია, რომ მასზე ნაოსნობა კი არა, დიდი ხის მორის ცურვაც კი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ რამდენიმე საუკუნის წინათ ეს მდინარე თურმე ბერვად წყალხუვი ყოფილა და მასში ზღვიდან დიდი საზღვაო ნავები შემოდიოდა. ამაში გვარწმუნებს ჩვენი მიერ უკვე მოხსენიერბული რატიანთა სიგელის ის ნაწილი, რომელიც სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) ეკუთვნის: „გვიბოძებია პაპია რატიანისათვის, – ვკითხულობთ ამ სიგელში, – ხომალდები, სადაც დადგეს ტყაყურს და მორკჯლას, ანაკლიას და ხორგას მდივნობაი და მებაჟეობაი“. „მორკჯლა“, ანუ „მერკულა“ მდინარე მოქვის ნაპირზეა, შესართავიდან 10 კმ-ის დაშორებით. თუ ამ სოფელში ხომალდსადგომი და საბაჟო არსებობდა, ეჭვგარეშეა, მდინარე მოქვი, აქამდე მაინც, საკმაოდ დიდი ზომის საზღვაო ნავებისათვის სანაოსნოდ გამოიყენებოდა“.

Don't

წყარო ა) ჯუდიჩე მილანელი, XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი, რელაცია საქართველოზე

„მთავარ დადიანს ყოველთვის სურვილი ჰქონდა, ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა, შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრო საქონელი მოეზიდა. ერთ დროს ომში დაიმორჩილა იმერეთის მეფე... გარდა ამისა, ბრძოლაში დაამარცხა მთავარი გურიელი და მოხარკედ გაიხადა. შემდეგ იძულებული გახდა, საცხოვრებლად გადმოეყვანა სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი. ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია ამავე პირობაზე. ისე, რომ ეს მხარე მის ხელში თითქმის ორჯერ გაიზარდა“.

რელაცია – აქ, მოხსენებითი ბარათი.

1. **შენი აზრით, რატომ გახდა ლევან დადიანი იძულებული, რუხში სომხები და ებრაელები ჩაესახლებინა?**
2. **რა შედეგებს მოუტანდა ლევან დადიანს რუხის ციხე-ქალაქის დაარსება და იქ სხვადასხვა ხალხის ჩასახლება?**
3. **რა ეკონომიკურ შედეგს მოუტანდა დადიანის პოლიტიკა იმერეთს?**
4. **შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 96. ცხრილის საშუალებით ჩამოთვალე და დაახარისხე ფაქტორები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზების საერთაშორისო გამოყენებაზე.**

წყარო ბ) ვიქტორ გუჩუა, XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსი, „საქართველოს ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა XVI-XVII საუკუნეებში“. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV:

„XVI-XVII სს. საქართველოს ქალაქების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ვაჭრები, ხელოსნები და საქონლის წვრილი მწარმოებლები შეადგენდნენ. ვაჭარ-ხელოსნების ძირითადი მასა ყმურ დამოკიდებულებაში იყო მეფესთან, ეკლესია-მონასტრებთან და საერო ფეოდალებთან. ქალაქებში ყმათა ყველაზე უფრო მსხვილი მფლობელი მეფე და მისი სახლეულობა იყო, მათ შემდეგ კი ეკლესია-მონასტრები... XVI-XVII სს. საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო. მუდმივმა ომიანობამ და მისმა თანამგზავრმა ეპიდემიამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურა და ბუნებრივი ზრდა შეფერხდა. ომიანობის დროს მოსახლეობა ქალაქებიდან სოფლებში გარბოდა, ან კიდევ საზღვარგარეთ გადიოდა. იმის ნათელსაყოფად, თუ რა სწრაფად მცირდებოდა ქალაქების მოსახლეობა, საკმარისია მოვიყვანოთ ქ. ქუთაისის მაგალითი. 1650 წლისათვის ქუთაისში 1 000 კომლი იყო, ხოლო იმავე საუკუნის 70-იან წლებში, 23 წლის შემდეგ – 200 კომლზე დავიდა. საერთოდ, ქალაქების რიცხვში სჭარბობდნენ ისეთები, რომლებშიაც 1 000-ზე ნაკლები სული ცხოვრობდა. მხოლოდ ზოგიერთში იყო 2000-3000 სული. როგორც ითქვა, განსახილველი პერიოდის ქალაქები კვლავაც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათი მრეწველობა მაშინ არსებითად ხელოსნობაში გამოიხატებოდა...

საქართველოს სამეფო-სამთავროებს საგარეო ვაჭრობა უმთავრესად ირანთან და თურქეთთან ჰქონდათ. საშინაო თუ საგარეო ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. განსაკუთრებული გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა თბილისში XVII ს. 30-40-იანი წლებიდან, სადაც თავს იყრიდნენ ვაჭრები ყოველი მხრიდან – ირანის ქალაქებიდან, ალეპოდან, კონსტანტინოპოლიდან, საქართველოს ყველა კუთხიდან... თბილისში ექსპორტისა და იმპორტის საგნებს წარმოადგენდა: აბრეშუმი, მარილი, ბრინჯი, ერბო, ნალ-ლურსმანი, რკინეულობა, მატყლი, თევზი, ყველი, ცხვარი და სხვ. თბილისიდან სომხეთში ბლომად გაჰქონდათ ღვინო; აბრეშუმი გაჰქონდათ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც ის კარგ ფასად იყიდებოდა. XVI-XVII სს. მიჯნაზე თბილისში, „დასტურლამალის“ მიხედვით, 200 სავაჭრო დუქანი ყოფილა...“

სამეფო ქალაქებს მართავდნენ მოურავები. მოურავი განაგებდა ქალაქის ყველა საქმეს: ეკონომიკურ საქმიანობას, ფინანსებს, გადასახადებს, სასამართლო და საპოლიციო საქმეებს, უცხოელი სტუმრების მიღება-გამასპინძლებას. მოურავს ჰყავდა თავისი მოხელეები და რაზმი. მაგალითად, ყველაზე ცნობილი და გამორჩეული მოურავი იყო გიორგი სააკაძე, მეფე ლუარსაბ I-ის ცოლისძმა, რომელიც თბილისის მოურავი იყო და ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდა.

Don't copy


5. რამ გამოიწვია საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის შემცირება?
6. წყაროს მიხედვით, ძირითადად რომელი ფენის ხალხისგან შედგებოდა თბილისის მოსახლეობა?
7. რა იყო თბილისის საზოგადების ძირითადი საქმიანობა?
8. ძირითადად რა საქონლით ვაჭრობდნენ თბილისში?
9. რა მიზეზები აფერხებდა ქვეყანაში საქალაქო ცხოვრების სტაბილურ განვითარებას?
10. რა უფლება-მოვალეობები ჰქონდა მოურავს?

თბილისი

თემურლენგის ლაშქრობებიდან (1386-1403) აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე (1795) თბილისი რამდენჯერმე დაანგრია და გადაწვა სხვადასხვა დამპყრობმა. სხვადასხვა დროს თბილისში იდგა ყიზილბაშთა და ოსმალთა გარნიზონები და ქალაქსაც ისინი მართავდნენ.

წყარო გ) ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.-ის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

„ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი... კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი... კალას არს ციხე, ნაშენი მაღალსა კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ხევი მტკურამდე... მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდის ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი“.



სურ. 2 თბილისის რუკა, შედგენილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. 1735 წ.

წყარო დ) ჟან შარდენი, XVII ს.-ის ფრანგი მოგზაური, „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“

„თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მუსლიმურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მაჰმადიანი მთავარი განაგებს. სპარსელები არაფერს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერასოდეს მიუყვანიათ. ხალხი მაშინვე აღდგებოდა ხოლმე იარაღით ხელში, ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს. საქართველოს მთავრები გულის სიღრმეში მეტად კმაყოფილნი იყვნენ ხალხის ამბოხებებით, თუმცა გარეგნულად საწინააღმდეგოს გამოხატავდნენ. ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენ, იმისათვის, რომ მეფისნაცვლობა მიეღოთ და თავიანთი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, როცა მაჰმადიანობის გავრცელებას ხელს უწყობდნენ. სხვა ხორცეულთან ერთად საჯაროდ და დაუფარავად ყოველდღე იყიდება ღორის ხორციც, ხოლო ღვინოს ყოველ გზაჯვარედინზე შეხვდებით. სპარსელები ალბათ დიდი უკმაყოფილებით უყურებენ ყოველივე ამას, მაგრამ ვერაფერს გამხდარან. ამ რამდენიმე წლის წინ სპარსელებს ციხეში აუშენებიათ ერთი პატარა მეჩეთი იმ კედელთან, რომელიც ციხეს თბილისის დიდი მოედნისგან გამოყოფს. ეს მეჩეთი ამ ადგილას იმიტომ აუშენებიათ, რომ ხალხი შესჩვეოდა მეჩეთებისა და მოლების ყურებას. ავიდა თუ არა მოლა ზევით სარწმუნოებრივი აღსარების შესასრულებლად, მათი ჩვეულების მიხედვით ხალხის მოსახმობად, ხალხი მოედანზე მოგროვდა, ქვები დაუშინეს მეჩეთს და მოლა იძულებული გახდა, ძირს ჩამოსულიყო. ამ ჯანყის შემდეგ მოლა აღარ აუშვიათ ზევით. თბილისში რამდენიმე ლამაზი საკრებულო შენობაა. ბაზრები, ე. ი. სავაჭრო ადგილები, არის დიდი ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი, ასეთივეა

Don't copy


ქარვასლებიც – უცხოელების საცხოვრებელი ადგილები. ქალაქში აბანოები ცოტაა, რადგანაც ყველა ციხეში არსებულ ცხელი წყლის აბანოებში დადის... თბილისში მისიონერ კაპუცინებს თავიანთი საცხოვრებელი აქვთ. 13 წელია, რაც ისინი რომიდან გამოუგზავნიათ. ქართლის მეფეს სახლი უბოძებია მათთვის, თანაც ნება მიუცია, თავიანთი სარწმუნოება თავისუფლად ექადაგათ. მკურნალობა ამ მისიონერების საარსებო საშუალებაა. ჩვეულებრივად მათ გასამრჯელოს უხდიან ღვინით, ფქვილით, პირუტყვითა და ახალგაზრდა ტყვეებით, ზოგჯერ ცხენებსაც აძლევენ... თავდაპირველად მათ ეკლესიაში თბილისში ბევრი ხალხი დადიოდა. მათ იზიდავდა წირვის ორიგინალურობა და გუნდი. ახლა კი აქ აღარავინ დადის, გარდა ხუთი თუ ექვსი გლახაკისა, რომელთაც ეს მისიონერები რაღაც გასამრჯელოს აძლევენ ხოლმე. კაპუცინებმა სკოლაც კი დააარსეს, მაგრამ აქ ღარიბთა ოჯახიდან 7 თუ 8 პატარა ბიჭი დადის, რომლებიც მოდიან არა იმდენად სასწავლებლად, რამდენადაც გამოსაკვებად...

მას აქეთ, რაც ქართველები სპარსეთს დაემორჩილნენ, აქაურ ქალებს მამაკაცებთან ყოფნა ეკრძალებათ, მაგრამ ეს აკრძალვა მხოლოდ ქალაქებში მოქმედებს, რადგანაც სოფლებში და იმ ადგილებში, სადაც არ არიან მაჰმადიანები, ქალები ჩადრის გარეშე დადიან, სრულიად თავისუფლად ხვდებიან და ელაპარაკებიან მამაკაცებს...“

თანამედროვე ქართველმა ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა XVIII საუკუნის თბილისის მოსახლეობის რაოდენობას. მეცნიერმა წერილობითი წყაროების, გეოგრაფიული მონაცემებისა და ერთ ჰექტარზე საცხოვრებლის სიმჭიდროვის გამოთვლით დაასკვნა, რომ თბილისში XVIII საუკუნის ბოლოს საშუალო სიმჭიდროვე ყოფილა დაახლოებით 291 ადამიანი/ჰექტარზე, ანუ 58 კომლი/ოჯახი ჰექტარზე და შესაბამისად, იმ დროისათვის ქალაქში სულ 19-20 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

შაჰ ისმაილის მეჩეთი – გადმოცემის თანახმად ეს შიიტური მეჩეთი 1522-1524 წლებში აუგიათ ირანის შაჰის ისმაილ I-ის ბრძანებით, მისივე დანგრეული ეკლესიის ადგილას. მოგვიანებით შაჰ აბას I-ის დროს მეჩეთი გაუფართოებიათ და ლამაზი მინარეთი მიუშენებიათ, რომელსაც ციფერი გადახურვა ჰქონდა. ამის გამო მას ცისფერ მეჩეთს და შაჰის მეჩეთასაც უწოდებდნენ. მეჩეთი მტკვრის პირას, მეიდანის სამხრეთით მდგარა. 1951 წელს მეტეხის ხიდის გზის გაფართოების დროს იმდროინდელი მეცნიერების პროტესტის მიუხედავად, მეჩეთი დაანგრიეს. ნანგრევების გატანისას მეჩეთში აღმოჩნდა განძი, სადაც 400-ზე მეტი მონეტა იყო გადანახული.

დღეისათვის თბილისში, ნარიყალას ძირში, ბოტანიკური ბაღის ქუჩაზე დგას XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალების მიერ აგებული სუნიტური მეჩეთი, რომელიც მრავალჯერაა დაანგრეული და აღდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ მეჩეთში დგას მიმბარი (სალოცავი კათედრა), რომელიც შაჰ ისმაილის შიიტური მეჩეთიდანაა მოტანილი. დღეისათვის თბილისის სუნიტურ მეჩეთში სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ.



სურ. 3 თბილისის ჩანახატი. ავტორი ჟან შარდენი. 1672 წელი

Don't copy

11. ჟან შარდენის მიხედვით, რა ეროვნების/რჯულის ხალხი ცხოვრობდა თბილისში?
12. შენი აზრით, რატომ ვერ მოიკიდა ფეხი ისლამმა თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ მას სპარსელები განაგებდნენ?
13. წყაროს მიხედვით, რა მიზნით დადიოდა კაპუცინების ეკლესიაში ხალხი? რა იზიდავდა მათ იქ?
14. შენი აზრით, რატომ ვერ მოახერხეს მისიონერებმა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი აღმსარებლობის გავრცელება?
15. შარდენის თანახმად, რა სხვაობა იყო ქალთა უფლებებში ქალაქსა და მის გარეთ და რატომ?
16. როგორ შეაფასებ ქართველი მმართველების პოლიტიკას, რომელთაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ფორმალურად მიიღეს ისლამი?

ქუთაისი



სურ. 4 ყაბახი ქუთაისში. უკან მოჩანს ქუთაისის ციხე-ქალაქი და ეკლესიები. ქრისტოფორო დონ კასტელის ჩანახატი

XV-XVIII საუკუნეებში ქუთაისი იმერეთის სამეფოს და მთლიანად დასავლეთ საქართველოს მთავარ ქალაქად მოიაზრებოდა. იქ იჯდა იმერეთის მეფე, ხოლო 1660 წლიდან ქალაქში ნელ-ნელა ფეხი მოიკიდეს ოსმალურმა გარნიზონებმა, რომლებმაც ჯერ მხოლოდ ციტადელი დაიკავეს, მოგვიანებით კი მთელი ქალაქი და იქ ეტაპობრივად გააჩინეს თურქული ეთნოსი, მოხელეები და ინფრასტრუქტურა. ასე გაგრძელდა 1770 წლამდე, როდესაც სოლომონ I-მა ქუთაისი მთლიანად გაწმინდა ოსმალური გარნიზონებისგან.

ქუთაისის გარეგნული მხარე და გეგმარება, ფაქტობრივად, იმეორებდა წინა ეპოქების ტენდენციას – ქალაქი მთიან რელიეფზე იყო გაშენებული და სამი ნაწილისგან შედგებოდა: 1. ციტადელი, ანუ ქუთაისის ციხე, რომელიც მთის წვერზე მდებარეობდა და ჯერ კიდევ IV საუკუნეში აშენდა, 2. „შიდა ქალაქი“, რომელიც ციტადელს დასავლეთის მხრიდან ემიჯნებოდა და 3. ქვედა, ანუ პატარა, ქუთაისი, რომელიც მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჟან შარდენის მიხედვით, ქალაქის ამ ნაწილში ორასამდე სახლი, თავადთა საცხოვრებლები და თვით მეფის სასახლე იყო განთავსებული.

წყარო ე) არქანჯელო ლამბერტი, XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი, „სამეგრელოს აღწერა“, 1630-1649 წლები:

„ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველმხრივ ადვილად მიდიან ვაჭრები თავისი საქონლით. მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებსა და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი. თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო, მაგალითად, უნაგირები და ცხენის საკაზმავები, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანსა და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი“.

Don't Copy

წყარო ვ) ჟან შარდენი, XVII ს.-ის ფრანგი მოგზაური, „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, 1672 წელი

„ქუთაისი მდინარე ფაზისის ნაპირზე, მთის ძირას გაშენებული ქალაქია... ამჟამად იქ მხოლოდ ორასი სახლია. ირგვლივ დიდებულთა სახლები და მეფის სასახლეა, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამ ქალაქს არც ციხესიმაგრე აქვს და არც გალავანი. იგი ყოველი მხრიდან ღიაა, გარდა იმ მხარისა, რომელსაც მდინარე და მთა აკრავს. ქალაქის პირდაპირ, მდინარის გაღმა, უფრო მაღალ მთაზე, ვიდრე თვით ეს ქალაქია გაშენებული, დგას ქუთაისის ციხესიმაგრე... მას აქვს კოშკები, ერთი **დონჟონი** და ორმაგი კედელი, რომელიც მაღალია და მტკიცე უნდა იყოს“.

წყარო ზ) იოჰან გიულდენშტედტი, XVIII ს.-ის გერმანელი მოგზაური და მეცნიერი, „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის ქვეყნებში“, 1772 წელი

„კედლებით გარშემორტყმული ქალაქი (ქუთაისი) მდებარეობს რიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე, მაღლობზე და მის დაქანებულ ვაკეზე... ქალაქი გარშემორტყმული იყო გალავან-ზღუდით, რომელიც შედგება 3 მხრისაგან, რომელთაგან ერთი ძევს მაღლობზე... მისი (ამ კედლის) ბოლოები უერთდება იმ კედლებს, რომლებიც რიონისკენ ეშვებიან... თითოეული (კედელი) არის 500 ნაბიჯი სიგრძისა, ასევე მათში მოქცეულია რიონის ნაპირიც... ამ კედლის შეგნით არის ქვიტკირის სახლთა ნანგრევები, ხოლო მის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში იყო ციხე-კოშკი (ციტადელი)... ციხის შუაში ძველად იდგა ქართული ქრისტიანული ეკლესია; მის მაგივრად თურქებმა ააშენეს მეჩეთი... ნაპირზე არის 20 ნაბიჯის განივკვეთის აბანო. ამას ქვემოთ რიონზე არის 80 ნაბიჯის სიგრძისა და 8 ნაბიჯის სიგანის ხიდი... დაბლობში, მდინარის მარცხენა ნაპირზედ ყოფილა წინაქალაქი, სადაც 6 პატარა ქვიტკირის ეკლესია დგას... ამ კედლის შიგნით დგას კიდევ ქვიტკირის 2 დიდი საცხოვრებელი შენობა. აქ ააშენეს ქოხები სომხებმა, რომლებიც მცირე ვაჭრობას ეწევიან. საერთოდ, ქუთაისს შიგნით და გარეთ... ცხოვრობს 50-მდე ნაწილობრივ სომხების, ნაწილობრივ ქართული, ოჯახი“.



დონჟონი – შუასაუკუნეების ციხესიმაგრის ცალკემდგომი კოშკი



17. შენი აზრით, რატომ იყო მეფის სასახლე ქალაქის ქვედა ნაწილში განთავსებული და არა ციტადელში ან შიდა ქალაქში?
18. რა ტიპის ნაგებობები იდგა ქუთაისში XVII-XVIII საუკუნეებში?
19. რით ვაჭრობდნენ ქუთაისში, ლამბერტის მიხედვით?
20. რას გეუბნება კასტელის სურათი XVII საუკუნის ქუთაისის ყოფა-ცხოვრების შესახებ?
21. შეადარე ერთმანეთს ე), ვ) და ზ) წყაროებში მოცემული ქუთაისის აღწერილობა. რა საერთო და განმასხვავებელი ინფორმაციაა მათში მოცემული? როგორ იცვლებოდა ქუთაისის გარეგნული სახე და მოსახლეობის საქმიანობა XVII-XVIII საუკუნეებში?

გრემი

გრემი კახეთის სამეფოს დამაარსებლისა და პირველი მეფის გიორგი VIII-ის ინიციატივით გახდა ახლად შექმნილი სამეფოს დედაქალაქი და მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი. მანამდე კახეთის ცენტრად თელავი ითვლებოდა, თუმცა გიორგი VIII-მ უპირატესობა გრემს მიანიჭა. გრემი მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და იმავდროულად იქიდან უფრო ადვილი გასაკონტროლებელი იქნებოდა სამეფოს მთიანი ნაწილი. გრემი განსაკუთრებით დაწინაურდა კახეთის მეფე ლევანის დროს 1520-1578 წლებში.

ქალაქი დაახლოებით 50 ჰექტარ ფართობზე იყო გავრცელებული და სამი ნაწილისგან შედგებოდა: 1. მაღალ ბორცვზე აშენებული ციტადელი და მთავარანგელოზის ტაძრის კომპლექსი, 2.

Don't copy

მეფე-დიდებულთა უბანი და 3. სავაჭრო უბანი. კონცხზე განთავსებულ ციტადელში დგას მთავარანგელოზის გუმბათიანი ტაძარი, პალატი-სამრეკლო და გალავანი კოშკებით; სამეფო უბანში მდებარეობდა სამეფო სასახლეები, შადრევნიანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აბანო და სხვა ნაგებობები; სავაჭრო უბნის ცენტრში განლაგებული იყო დახურული ბაზარი (ქულბაქები) და სასტუმრო (ქარვასლა).



სურ. 5 გრემის ციტადელის საერთო ხედი

ბაზარს ოთხივე მხრიდან შემოუყვებოდა ქვით ნაგები დუქნები. ყოველი დუქანი შედგებოდა ერთი ოთახისა და ეზოსკენ გახსნილი აივნისაგან (ალბათ, საქონლის გამოსაფენად). ზოგ დუქანს სარდაფიც ჰქონდა. ქულბაქებს აღმოსავლეთიდან ეკვროდა მოგრძო, 80 მეტრი სიგრძის სასტუმრო, რომელშიც დერეფნის ორივე მხარეს განლაგებული იყო 16-16 პატარა ოთახი.

შაჰ აბასის ლაშქრობების დროს გრემი სრულიად დაინგრა და განადგურდა. კახეთის მეფეების რეზიდენცია თელავში გადავიდა.


22. გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რამ გამოიწვია გრემის ეკონომიკური განვითარება?
23. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გრემში ბაზარი, ქარვასლა და დუქნები იყო?
24. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 97. ტექსტისა და წყაროების (გ), დ), ე), ვ), ზ) ანალიზის საფუძველზე შეავსე ცხრილი.
25. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 97*. ანიხილეთ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

წარმოიდგინე, რომ ხარ ქართველი სწავლული, რომელიც რუსეთში გაემგზავრა ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად და იქ გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა. თანამოაზრეებმა გადაწყვიტეთ, შექმნათ ნაშრომი, რომელშიც აღწერთ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ქართველების როლს თავიანთი სამშობლოსა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. შენ გთხოვეს, ნაშრომისთვის დაწერო წინასიტყვაობა, რომელშიც მიმოიხილავ და გააანალიზებ ნაშრომში წარმოდგენილ ძირითად თემებს და გააკეთებ შენეულ ინტერპრეტაციას.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორი იყო ირანის ხელისუფლების მიერ იმპერიის სამართავად შექმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა და როგორ იბრძოდნენ ქართველები ამ იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად? (ძალ. 2, 4,)
- როგორ გახდნენ ქართველები ეგვიპტისა და ირანის საზოგადოების ნაწილი, როგორ იბრძოდნენ და რა საშუალებებს იყენებდნენ ისინი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მის შესანარჩუნებლად? (ძალ. 1, 3, საზ. 3)
- რომელი სოციალური ფენებით იყო წარმოდგენილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება და როგორი იყო მათი ცხოვრების წესი და საზრუნავი საქართველოში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ? (საზ. 1. 2)
- როგორ იმართებოდა გვიან შუა საუკუნეებში ქართული ქალაქები და რა დამოკიდებულება ჰქონდა ქალაქის მოსახლეობას მრავალფეროვნების მიმართ? (საზ. 4, ძალ. 5)

Don't copy



თავი III.

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

XIX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში დიდი ცვლილებების ხანა აღმოჩნდა არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისითაც. ამ ცვლილებების შედეგია თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბება, ახალი კულტურა, მსოფლმხედველობა, აზროვნება, პოლიტიკა, მოდა და ყოველდღიურობა. „ხანგრძლივი XIX საუკუნე", – ასე უწოდა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰობსბაუმმა ამ ეპოქას, რომლის ათვლა საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან დაიწყო და 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებით დაასრულა. საინტერესოა, რა ხდებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩენილ და რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცეულ საქართველოში იმ დროს, როდესაც ევროპაში დიდი ცვლილებების ხანა, ხანგრძლივი XIX საუკუნე დაიწყო? რა საფრთხეები და გამოწვევები დაემუქრა ქართველი ერის არსებობას, როგორ, რა გზით და რის ფასად შეძლო მან საკუთარი იდენტობის დაცვა და შენარჩუნება?

Don't copy

ქვეთავი I. როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი და მმართველობის როგორი სისტემა დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ

38 რატომ დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო

ქართლ-კახეთში ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი გიორგი XII გამეფდა (1798-1800). გიორგი ტახტზე თავს მყარად ვერ გრძნობდა. მას ერეკლეს ქვრივი დარეჯანი და, განსაკუთრებით, ნახევარძმა ალექსანდრე დაუპირისპირდნენ, რომლებიც არ იზიარებდნენ სამეფოს რუსეთზე ორიენტაციის კურსს. არც საგარეო საფრთხე იკლებდა, რუსეთი კი ქართლ-კახეთის დაცვის ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა. პრობლემების გადაჭრის გზად გიორგიმ ჩრდილოელ მეზობელთან უფრო მეტად დაახლოება განიზრახა და პავლე I-ს ე. წ. „სათხოვარი პუნქტები“ გაუგზავნა. 1800 წლის 17 ნოემბერს პავლე დათანხმდა ქართული მხარის შეთავაზებას, მაგრამ იმავდროულად გენერალ კნორიგს საიდუმლოდ დაავალა, რომ გიორგის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც მისი ავადმყოფობის გამო მალე ელოდნენ, არავინ გაემეფებინათ.



სურ 1. გიორგი XII

წყარო ა) ნაწყვეტი გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტებიდან“, 1799 წ.

1. ქართლ-კახეთის მეფე იღებს ვალდებულებას, რომ პირნათლად შეასრულოს ყველაფერი, რასაც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები ასრულებენ. ის აღიარებს ყველა კანონსა და ბრძანებას, რომლებსაც რუსეთის იმპერატორი გამოსცემს, ცნობს რუსეთის იმპერატორს საკუთარ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად.
2. გიორგი XII ითხოვს, რომ ის დარჩეს ქართლ-კახეთის მეფედ, ხოლო მის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებად დამტკიცდნენ მისი მემკვიდრეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან.
4. თავის მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეებს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულების გარეშე უფლება არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი კანონების გამოცემისა.
6. ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი შემოსავალი უნდა გადაეცეს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საჭიროების მიხედვით მოხმარებისათვის.
8. გიორგი XII ქართლ-კახეთის ციხესიმაგრეებში ექვსი ათასი ჯარისკაცის დაყენებას ითხოვს.

1. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 98-98*. შეადარე „სათხოვარი პუნქტები“ „გეორგიევსკის ტრაქტატს“ და გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
2. შენი აზრით, რატომ დათმო გიორგი XII-მ უფრო მეტი და რაში გამოიხატებოდა ეს?
3. როგორ ფიქრობ, რეალურად რას ნიშნავს „სათხოვარი პუნქტების“ მე-4 და მე-6 პუნქტები?
4. რამდენად ხელსაყრელი იყო ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტები ქართლ-კახეთისთვის?
5. შენი აზრით, 1783 წლიდან 1800 წლამდე მიმდინარე რა ისტორიულმა პროცესებმა გამოიწვია ასეთი დოკუმენტის შექმნა?
6. როგორ ფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო გადამწყვეტი: ისტორიული პროცესის კანონზომიერი განვითარება თუ პიროვნული ფაქტორი? პასუხი დაასაბუთე.

სათხოვარი პუნქტების ხელმოწერა და რატიფიცირება ვერ მოესწრო, თუმცა ამას იმპერატორ პავლე I-სათვის ხელი არ შეუშლია, 1800 წლის 18 დეკემბერს, გიორგი XII-ის სიცოცხლეშივე, გა-

Don't co

მოეცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. გიორგი იმავე წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, მისი სამეფოს გაუქმების დოკუმენტი კი რუსეთის მმართველ წრეებს თითქმის ორი თვის განმავლობაში საიდუმლოდ ჰქონდათ შენახული.

წყარო ბ) გენერალ კნორინგის წერილი პავლე I-ს, 1801 წ. 5 იანვარი

„ვერ გავბედავთ მანიფესტის გამოქვეყნებას ამჟამად, რადგან ქართველი ხალხი არ არის მზად თქვენი უდიდებულესობის ბრძანებით რუსეთის იმპერიის კანონმორჩილებაში შესვლისათვის. გარდაცვლილი მეფის განზრახვაზე არავინ, ძმებმა და თვით უფლისწულმა დავითმაც, არაფერი იცოდნენ. ამასთან, ზამთარში შეუძლებელია დარიალის გზით ჯარების გადაყვანა „საქართველოს დასაკავებლად“, ამიტომ გაზაფხულს უნდა დაველოდოთ“.



გენერალი კნორინგი – კარლ კნორინგი, გენერალი, საქართველოს პირველი მთავარმართებელი, საქართველოში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი 1801-1802 წლებში.

რატიფიკაცია – სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმა. ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორისა და ქართლ-კახეთის მეფის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერით დადასტურება.

7. როგორ ფიქრობ, „სათხოვარი პუნქტების“ ორივე მხარის უმაღლესი პირის მიერ ხელმოწერას რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა? როგორ დაგვეხმარება ეს ფაქტი შემდგომი ისტორიული მოვლენების გააზრებაში?

8. „ქართველი ხალხი არ არის მზად თქვენი უდიდებულესობის ბრძანებით რუსეთის იმპერიის კანონმორჩილებაში შესვლისათვის“ – შენი აზრით, რაზე მიუთითებს ეს გზავნილი? რა განწყობები არსებობს მოსახლეობაში?

9. რომც მომხდარიყო ამ დოკუმენტის რატიფიცირება, რომელი პუნქტი დაირღვა პავლე I-ის მანიფესტით?

10. შენი აზრით, რატომ არ შეათანხმა გიორგი XII-მ ეს გადაწყვეტილება სამეფო სახლის წარმომადგენლებთან?

11. დოკუმენტის გამოსაქვეყნებლად რატომ ელოდებოდა რუსეთის ხელისუფლება გაზაფხულს?

მანიფესტის შინაარსი ქართველ ხალხს კიდევ უფრო მოგვიანებით, 1801 წლის 16-17 თებერვალს, გააცნეს. იგი ჯერ თბილისში, სიონისა და ვანქის ეკლესიებში წაიკითხეს, შემდეგ კი ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი მოსახლეობაში გაავრცელეს. 1801 წლის მარტის დასაწყისში პეტერბურგში ქართლ-კახეთის ახალი, საგუბერნიო მმართველობის დებულებაც დაამტკიცეს, თუმცა მის ამოქმედებას პავლე I ვერ მოესწრო – იგი შეთქმულებმა მოკლეს. საქმე დასასრულამდე მომდევნო იმპერატორმა მიიყვანა, რომელმაც ფორმალურად საკითხი სახელმწიფო საბჭოში განიხილა და თავისი გადაწყვეტილება ამ განხილვას დააყრდნო. 1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა ალექსანდრე I-ის (1801-1825) მანიფესტი, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობას სამუდამოდ მოეღო ბოლო.

წყარო გ) ნაწყვეტი ალექსანდრე I-ის მანიფესტიდან

„როდესაც რუსეთის იმპერატორი გავხდი, ვიხილე საქართველო რუსეთთან შეერთებული 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით. ამან და ერთმორწმუნე ხალხის განსაცდელში მხარდაჭერის ვალდებულებამ გვაიძულა თქვენი მფარველობაში მიღება. ისედაც ვრცელი იმპერიის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებისათვის კი არ ვიტვირთეთ საქართველოს მმართველობის სიმძიმე, არამედ თქვენი შეჭირვების და მტერთაგან დასაცავად... მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი ნაღვლის განსაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას“.

Don't copy

12. რას ასახელებს ალექსანდრე I თავის მანიფესტში „სრულიად საქართველოს სამეფოს“ რუსეთთან შეერთების მიზეზად?
13. შენი აზრით, რამდენად რეალურია ეს მიზეზი? პასუხი დაასაბუთე.
14. როგორ ფიქრობ, რატომ კეთდება აქცენტი ალექსანდრე I-ის მანიფესტში ერთმორწმუნეობაზე?

რუსეთის მმართველმა ელიტამ იმთავითვე დაამკვიდრა თვალსაზრისი, რომ საკუთარი სამეფო რუსეთს გიორგიმ გადასცა და რომ ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას ნებაყოფლობით შეუერთდა.



სურ. 2. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I

წყარო დ) წარწერა გიორგი XII-ის საფლავზე დადგმულ სპილენძის ფილაზე, 1812 წ.

„მეფე გიორგიმ... თავის ქვეშევრდომთა სიკეთისათვის, სურდა რა სამუდამო კეთილდღეობა მიენიჭებინა მათთვის, 1799 წ. საქართველო რუსეთის იმპერატორს დაუთმო“.

15. შენი აზრით, რატომ სჭირდებოდა რუსეთის მმართველ წრეებს მეფის საფლავზე ასეთი წარწერის გაკეთება?
16. რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული ნარატივი ქვეყნებს შორის ურთიერთობის შესწავლის პროცესში? რა ინტერპრეტაციები შეიძლება გამოიწვიოს მან?
17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 99. გაეცანი პარაგრაფში წარმოდგენილ ინფორმაციას და ბ), გ), დ) ისტორიულ წყაროებს და იმსჯელე, რის მოლოდინი ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებას და როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი.

ეს თვალსაზრისი გაბატონებული იყო და არის რუსულ ისტორიოგრაფიაში. ქართველი მეფე რუსეთის ხელისუფლებას მართლაც სთხოვდა თავისი ქვეყნის მიღებას სამუდამო მფარველობაში, ოღონდ ისე, რომ მეფობა არ მოეშალათ და ტახტი, ასევე სამუდამოდ, გიორგის შთამომავალთა ხელში დარჩენილიყო. გიორგი XII-ს არც მეფობის დათმობა და არც ბაგრატიონთა დინასტიის შეწყვეტა არ სურდა, მაგრამ რუსეთის იმპერიამ ისარგებლა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებით, ასევე ქართლ-კახეთში შექმნილი რთული შინა მდგომარეობით და თავისი ჩანაფიქრი მოხერხებულად განახორციელა, მომხდარის ნამდვილი არსი კი საგანგებოდ დამალა.

18. შენი აზრით, სამუდამო მფარველობაში მიღების შემდეგ რა პოლიტიკური სტატუსი ექნებოდა საქართველოს? რის მოლოდინი ჰქონდათ ქართულ და რუსულ მხარეს?
19. შენი აზრით, ევროპას შეეძლო წინ აღდგომოდა რუსეთის კავკასიურ ინტერესებს? რატომ?

წყარო ე) იმპერატორ ალექსანდრე I-ის საიდუმლო რესკრიპტი, 1801 წ.

„იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების დაცვა თურქების მხრივ თუ მთიელთა თავდასხმებისაგან და ყველა სხვა სარგებლობა რუსეთისათვის დიდი ხნიდან აიძულებდა მთავრობას, ეფიქრა ამ ამბებზე და მიეღო ეს გადაწყვეტილება“.

წყარო ვ) ოლღა მარკოვა, XX ს.-ის რუსი ისტორიკოსი, „საქართველოს შეერთება რუსეთთან 1801 წელს“

„საქართველოს რუსეთთან შეერთება, არსებითად, ანექსია იყო, თუმცა „ნებაყოფლობითობად“ გარდასახული“.

Don't copy

ასე შეინიღბა რუსული თვითმპყრობელობის ნამდვილი მიზანი და ანექსიის ნაცვლად, ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიაში შესვლა საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ხალხის მიმართ ზრუნვად წარმოჩინდა.

20. რა ინტერესი ჰქონდა ოსმალეთს და შეიძლებოდა თუ არა, გამოეყენებინა ეს ქართლ-კახეთს? რატომ?

21. შენი ვარაუდით, რას გულისხმობს ალექსანდრე I ფრაზაში: „ყველა სხვა სარგებლობა“? რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რუსეთისთვის ქართლ-კახეთს?

22. შენი აზრით, რატომ სურს რუსეთს, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ქმედება ზრუნვად წარმოჩნდეს?

ახალი მანიფესტი თბილისში მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს გამოაცხადეს. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებსა და ქართველ დიდებულებს იგი სიონის საკათედრო ტაძარში გააცნეს, რის შემდეგაც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება უბრძანეს. სიონი გარშემორტყმული იყო საბრძოლოდ გამზადებული რუსეთის ჯარის ნაწილებით. რამდენიმე ქართველი თავადი, რომლებმაც პროტესტის ნიშნად ტაძარი მიატოვეს, უმალ დააპატიმრეს.

მანიფესტმა განსაზღვრა ქართლ-კახეთის რუსული მმართველობა, რომელიც 1802 წლის 8 მაისს საზეიმოდ გაიხსნა. ოფიციალურად მას „საქართველოს მმართველობა“ უწოდეს. ახალ ხელისუფლებას მთავარმართებლის სტატუსით სათავეში ედგა გენერალი კ. კნორინგი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მდგარი რუსთა ჯარის მთავარსარდალიც იყო. მთავარმართებლის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეებში „საქართველოს მმართველი“ ითვლებოდა.

მთავარმართებელს ექვემდებარებოდა საქართველოს უზენაესი მთავრობა, რომელიც აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სახაზინო ექსპედიციებად იყოფოდა. ყველა მათგანს რუსი მოხელეები მეთაურობდნენ. ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები ექსპედიციებში მხოლოდ მრჩევლის როლს ასრულებდნენ.



რუკა 32. საქართველოს გუბერნიის შექმნა 1801 წ. და რუსული მმართველობის დასაწყისი კავკასიაში

Don't copy

ქვეყანა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად – ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად – დაიყო. ქართლში სამი მაზრა ჩამოყალიბდა – გორის, დუშეთის, ლორის (სამაზრო ცენტრით თბილისში); კახეთში ორი – თელავისა და სიღნაღის. საუბნო ერთეულები – დისტანციები – აღმოსავლეთ საქართველოს არაქართველ მკვიდრთა დასახლებებისათვის შეიქმნა.

მაზრების უფროსებად რუსი ოფიცრები – კაპიტან-ისპრავნიკები ინიშნებოდნენ. ქალაქების გამგებლობა ეკისრებოდათ რუს კომენდანტებს, რომლებსაც თანაშემწეებად ქართველი ნაცვლები ან პოლიცმაისტერები ჰყავდათ. მუსლიმებით დასახლებული დისტანციებისა და თუშ-ფშავ-ხევსურთა მმართველობისათვის ქართული მოურაობის ინსტიტუტი დატოვეს, ოღონდ მოურავებს ზედამხედველობისათვის ყველგან რუსი თანაშემწეები მიუჩინეს.

სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო, სამოქალაქო საქმე შეიძლებოდა ქართული სამართლის მიხედვითაც გაერჩიათ. ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობისა და სასამართლოს წარმოების ენად რუსული დამკვიდრდა.

რუსული მმართველობა თავისი არსით სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი იყო, რომელიც საფუძველს უყრიდა რუსეთის იმპერიის წიაღში საქართველოს სრულ ინკორპორაციას.

ვანქი – სომხურ-გრიგორიანული საკათედრო ტაძარი თბილისში. იდგა ახლანდელ ათონელის ქუჩაზე. დაანგრიეს საბჭოთა პერიოდში.

რესკრიპტი – სამართლებრივი აქტი რუსეთის იმპერიაში, იმპერატორის პირადი წერილი მაღალი რანგის მოხელისადმი მადლობის ან დავალების გამოცხადებით.

ანექსია – ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის მიწა-წყლის ძალით შეერთება, დაპყრობა.

სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვისი ტერიტორიის დროებით დაკავება და მასზე განხორციელებული მმართველობა.

ინკორპორაცია – ჩარიცხვა, მიღება რისამე შემადგენლობაში (რაიმე კავშირში, საზოგადოებაში). აქ: შემოერთება, თავის შემადგენლობაში შეყვანა.

23. შეადარე ერთმანეთს გ), დ), ე) და ვ) წყაროები და იმსჯელე იმ რეალურ ისტორიულ პროცესებზე, რომლებმაც რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსია გამოიწვია.

24. როგორ ფიქრობ, რატომ აწესებს ალექსანდრე I მმართველად გენერალ კნორინგს და არა სამოქალაქო ხელისუფალს?

25. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის ქართლ-კახეთში დამკვიდრებას?

26. როგორ ფიქრობ, რა წინაპირობას ქმნიდა ის ფაქტი, რომ პროტესტის გამომხატველი თავადები რუსეთის იმპერიამ დააპატიმრა?

27. როგორ ფიქრობ, რატომ ასრულებდა ქართველი თავადაზნაურობა მხოლოდ მრჩევლის როლს მმართველობის პროცესში?

28. რატომ და როგორ დაყვეს ადმინისტრაციულად ქართლ-კახეთი?

29. შენი აზრით, რატომ დამკვიდრდა ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობისა და სასამართლოს წარმოების ენად რუსული?

30. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 100. გაეცანი პარაგრაფში წარმოდგენილ ინფორმაციას და შეავსე სქემა: რა ცვლილებები მოხდა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და შეერთების შემდეგ მმართველობაში, სამოხელეო აპარატში, ადმინისტრაციულ მოწყობასა და სასამართლოს წარმოებაში.

დებატები: დაიყავით სამ ჯგუფად: I ჯგუფში გაერთიანდებიან რუსული ორიენტაციის, II-ში – სპარსულის, ხოლო III-ში – საქართველოს დამოუკიდებლად განვითარების მომხრეები. თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს არგუმენტები თავის პოზიციის გასამყარებლად, ასევე, თითოეულ შემთხვევაში მოსალოდნელი ისტორიული პროცესის განვითარების საკუთარი პროგნოზი.

Don't copy

39-40 როგორ განვითარდა მოვლენები იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებში რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ

ქართლ-კახეთის დაუფლების შემდეგ რუსეთის იმპერია ესწრაფოდა, გზა გაეკაფა შავი ზღვის სანაპიროებისკენაც, რომლის ქართულ ციხე-ქალაქებში ჯერ კიდევ ოსმალური გარნიზონები იდგა. ამ დროს დასავლეთი საქართველო ერთიან პოლიტიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენდა. იმერეთის მეფე ნომინალურად მთელი რეგიონის მფლობელად ითვლებოდა, რეალურად კი მას მხოლოდ იმერეთი და რაჭის საერისთავო ემორჩილებოდა. სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები მის უზენაესობას აღარ ცნობდნენ. მეფე-მთავართა დაპირისპირება საქართველოს რუსულმა მმართველობამ კიდევ უფრო წაახალისა და თავის სასარგებლოდ გამოიყენა. 1803 წლის დეკემბერში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი ქვეშევრდომად გაიხადა. მართალია, დადიანი სამთავროს მემკვიდრეობით მფლობელად რჩებოდა, მაგრამ ზუგდიდში რუსების ჯარის დგომა ამ კუთხეს და მის მთავარსაც, არსებითად, იმპერიის მორჩილ მსახურად ხდიდა.

წყარო ა) რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის სიგელი გრიგოლ დადიანისადმი

„გრიცხავთ რა თქვენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა შორის, ჩვენ გვსურს ეს არა ისედაც ვრცელი იმპერიის გასაფართოებლად, არამედ თანავუგრძნობთ სამეგრელოს სამთავროს მკვიდრთა გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელთაც მეზობელი ქვეყნები ყოველი მხრით ავიწროებენ. მოვიღეთ რა მოწყალება, გადავწყვიტეთ, ეს ჩვენი ერთმორწმუნე ხალხი მივიღოთ რუსეთის იმპერიის მფარველობა-დაცვის ქვეშ, რომლის ფრთებქვეშაც, დაე, მიეცეს სამეგრელოს მშვიდობიანობა და იგემოს მან დიდი ხნის მოწყურებული მყუდროება და უშიშროება, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ოლქების თანაბრად“.

1. **როგორ ფიქრობ, რატომ შეუნარჩუნა რუსეთის იმპარატორმა მთავრის ტიტული გრიგოლ დადიანს?**
2. **შეადარე ერთმანეთს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ და ალექსანდრე I-ის სიგელი გრიგოლ დადიანისადმი. რა მსგავსება-განსხვავებაა ამ დოკუმენტებს შორის?**
3. **როგორ ხსნის რუსეთის იმპერატორი ქართული პოლიტიკური ერთეულების მფარველობის ქვეშ მიღების აუცილებლობას?**
4. **რატომ არის სამეგრელო „მოწყურებული მყუდროებას“ და ვინ „ავიწროებს“ მას?**
5. **შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა დადიანის გადაწყვეტილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობაზე? მეფე-მთავრების გადაწყვეტილებაზე?**

რუსეთის თანადგომით დაინტერესებული იყო სოლომონ II-ც, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მას იმპერიის ხელისუფალთა დაპირების აღარ სჯეროდა. ქუთაისის სამეფო კარმა თავშესაფარი მისცა საკუთარი კერიდან დევნილ ერეკლე II-ის შვილებს, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს.

სამეგრელოში ფეხის მოკიდების შემდეგ რუსეთის დამოკიდებულება იმერეთისადმი უფრო აგრესიული გახდა. ალექსანდრე I-ის ბრძანებით, რუსეთის სამხედრო შენაერთები იმერეთში შეიჭრნენ. 1804 წლის აპრილში მთავარმართებელმა ციციანოვმა აიძულა სოლომონ II, ხელი მოეწერა ტრაქტატზე და იმპერატორის ერთგულებაზეც დაეფიცა. ხელშეკრულება სოფელ ელაზნაურში (დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) გაფორმდა. იმერეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, თუმცა ქვეყნის მართვის ფუნქციები შეინარჩუნა და ხელუხლებელი დარჩა სამეფო დინასტიაც. მიუხედავად ამისა, ტრაქტატი სოლომონის ხელისუფლებას ძალიან ზღუდავდა. მეფე საქართველოს მთავარმართებელს უნდა დამორჩილებოდა.

Don't COPY



რუკა 33. დასავლეთი საქართველო XIX ს. დამდეგს

Don't copy

წყარო ბ) ელაზნაურის ტრაქტატის პირობები, 1804 წ.

1. იმერეთის მეფე სოლომონ II ხდებოდა რუსეთის იმპერატორის სამუდამო ქვეშევრდომი;
2. სოლომონ II-ს საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა იმერეთის მეფობა;
3. ტახტის მემკვიდრე, თუ სოლომონს შვილი არ ეყოლებოდა, მისი ძმისშვილი კონსტანტინე გახდებოდა;
4. იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა მტკიცდებოდა რუსეთის იმპერატორის სიგელით;
5. ქვეყნის მართვა-გამგეობა და სამართალი იმერეთის მეფის ხელთ რჩებოდა, სისხლის სამართლის საქმეებში კი მას რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელა;
6. იმერეთის სამეფოში რუსთა ჯარი უნდა შესულიყო, რომელიც ბინით, გათბობითა და სურსათ-სანოვაგით იმერეთის მეფეს უნდა უზრუნველეყო.

იმერეთთან ერთად, როგორც მისი ნაწილი, რუსეთის ქვეშევრდომად გამოცხადდა გურიის სამთავროც. მოგვიანებით, 1810 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ გურიელს მფარველობაში მიღების ცალკე ხელშეკრულება გაუფორმა.

6. როგორ ფიქრობ, რატომ არ იყო მისაღები სოლომონ II-ისთვის შექმნილი მდგომარეობა?
7. შენი აზრით, ეს ტრაქტატი იმერეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტი გახდებოდა? იძლეოდა ამის საშუალებას საქართველოსა და მის სამეზობლოში მიმდინარე ისტორიული პროცესი?
8. როგორ ფიქრობ, რატომ დაავალდებულეს იმერეთის მეფე სისხლის სამართლის საქმეებში რუსული კანონებით ეხელმძღვანელა?
9. როგორ ფიქრობ, რატომ სურდა საიმპერატორო კარს იმერეთში ჯარის შეყვანა?
10. რა გავლენას მოახდენდა რუსეთის ჯარის ყოფნა იმერეთში სამეფოს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე?
11. რა წინაპირობას ქმნის ის ფაქტი, რომ იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორის სიგელით დასტურდებოდა?

12. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 101. წყარო ბ)-ს გაცნობის შემდეგ იმსჯელე და შეაფასე იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობა. აღნიშნე პუნქტები, რომლებიც შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო იმერეთის მეფისთვის და შენი მოსაზრება დაასაბუთე.

13. შენი აზრით, რატომ მიიღო რუსეთის იმპერიამ მფარველობაში იმერეთის სამეფოსთან ერთად გურიის სამთავრო, როგორც მისი ნაწილი?

14. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა, რომ 1810 წელს რუსეთის იმპერიამ გურიის მთავარს მფარველობაში მიღების შესახებ ხელშეკრულება ცალკე გაუფორმა?

ელაზნაურის ტრაქტატის თანახმად, მალე ქუთაისში რუსეთის ჯარის ნაწილები ჩააყენეს. როდესაც 1806 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, სოლომონმა იძულებითი ქვეშევრდომობისაგან თავის დაღწევა და ოსმალეთის სულთნის შემწეობით იმერეთის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა დააპირა, მაგრამ მოვლენები მისთვის საზიანოდ წარიმართა.

წყარო გ) ნაწყვეტი სოლომონ II-ის მთავარმართებელ ტორმასოვისადმი მიწერილი ბრალდების წერილიდან, 1810 წ.

„თქვენს დაბალ მოხელეებს ხასებად ჰყავთ ჩემი წართმეულნი მოახლენი... დგანან მხედრობანი რუსეთისანი ჩემს სამეფოში, როგორც საკუთარ სახლში, და ჩემს მიერ უზრუნველყოფილი არიან სახლით, შეშით, პროდუქტით, ხარებით, ცხენებით, მათი საკვებით, ურმებით, სასმელით, და ზამთარ-ზაფხულ მშვიდად გრძნობენ თავს, და მადლობის ნაცვლად, გვაგინებენ და შეურაცხჰყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა“.

15. წყაროს გ-ს მიხედვით, როგორ იქცეოდნენ რუსი მოხელეები და ჯარისკაცები იმერეთის სამეფო კარზე? სრულდებოდა თუ არა „ელაზნაურის შეთანხმება“?

16. როგორ ფიქრობ, სოლომონ II-ის წერილი მოაგვარებდა თუ არა პრობლემას? რატომ?

17. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 102. წყარო გ)-ს გაცნობის შემდეგ იმსჯელე, რა პრობლების წინაშე აღმოჩნდა იმერეთის სამეფო რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ და როგორ აისახებოდა ეს იმერეთის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ყოფაზე.

ომის მსვლელობისას რუსეთის შენაერთებმა ოსმალებს ფოთის ციხე დაათმობინეს. 1809 წელს რუსთა ჯარმა ქუთაისი დაიკავა.

1810 წლის თებერვალში მთავარმართებელმა ტორმასოვმა იმერეთის მეფე ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. სოლომონი მცირე ლაშქრით ერთი თვის განმავლობაში ებრძოდა რუსთა რეგულარულ პოლკებს, ბოლოს კი იძულებული გახდა, მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. მოლაპარაკებისას მეფე შეიპყრეს. იგი თბილისში ჩაიყვანეს, როგორც „საპატიო ტყვე“, საიდანაც რუსეთში უნდა გადაესახლებინათ.

სოლომონმა ერთგულ თავად-აზნაურთა ხელშეწყობით მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა, ახალციხის საფაშოში გადავიდა და იმერეთის მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა. მეფის მოწოდებაზე ხალხმა იარაღი აისხა და ათასკაციანი რაზმით იმერეთში გადმოსულ სოლომონს შეუერთდა. აჯანყებულებმა მოწინააღმდეგის გარნიზონები ალყაში მოაქციეს. საქართველოს რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა, ირანის ფრონტიდან (ამ დროს რუსეთ-ირანის ომიც მიმდინარეობდა) რამდენიმე ნაწილი მოეხსნა და იმერეთში გადმოესროლა. რუსებთან ერთად სოლომონს სამეგრელოსა და გურიის მთავრებიც ებრძოდნენ.



სურ. 1. სოლომონ II

Don't copy

მთავარმართებელმა სოლომონის მოკვლისათვის საგანგებო ჯილდო დააწესა, მაგრამ იგი არავის გაუცია: საკუთარი მეფე არავინ გაიმეტა.

ბრძოლა ოთხ თვეს გაგრძელდა. რუსებმა 20 ოფიცერი და 400-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. მსხვერპლი უფრო დიდი იყო ქართველთა შორის. იმერეთის მეფემ ირან-ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი დახმარება ვეღარ მიიღო, საკუთარი ძალებით ბრძოლის გაგრძელება კი უპერსპექტივო გახდა. დევნილმა სოლომონმა ამჯერადაც ახალციხეს მიაშურა. აჯანყება დამარცხდა. მოსახლეობა კვლავ დააფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. აჯანყების მრავალი აქტიური მონაწილე ციმბირში გადაასახლეს.

სოლომონი არ აპირებდა, შეგუებოდა მარცხს და საგარეო ძალების თანადგომას ეძებდა. თავისი ქვეყნის გამოსარჩლება მან ნაპოლეონ ბონაპარტსაც კი სთხოვა, მაგრამ მეფის მიმართვა უპასუხოდ დარჩა.

წყარო დ) სოლომონ II-ის წერილი საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ I-ს. 1810 წ. 20 ოქტომბერი.

„მის საიმპერატორო უდიდებულესობას, უძლიერეს და დიდ მმართველს, დიდი რომის იმპერატორს, საფრანგეთის კეისარს – ნაპოლეონს, დიდ დომინატორსა და დასავლეთის ქვეყნების მოწყალე იმპერატორს. მის უავგუსტოესობას, მოწყალე იმპერატორს, უფლის შემდეგ მეფეთა მეფეს.

...ხელმწიფევ, განგებამ მოგავლინათ თქვენ ამქვეყნად, რათა გაუადვილოთ, დაეხმაროთ და მფარველობა გაუწიოთ კაცობრიობას, ყველაზე უფრო შორეულ ხალხებს იგივე უფლება აქვთ, რაც მათ, რომლებსაც აქვთ ბედნიერება, იყვნენ თქვენი მეზობლები, იგრძნონ თქვენი სიდიადისა და თქვენი ძლიერების ზემოქმედება.

ჩემი ოჯახი 1200 წელია მეფობს ხალხებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ. მე ჯერ კიდევ შემეძლო აქ მშვიდობიანად სიამოვნება, რუსეთის ამ ბარბაროსული სახელმწიფოს სიხარბეს რომ მასში არ გაეღვიძებინა წადილი ჩემი სიმშვიდის დარღვევისა და გამოეწვია უცხო ომები, რათა უფრო იოლად დაუფლებოდა ჩემს სამფლობელოებს, დამუქრებოდა ჩემს არსებობასაც კი. ეს ომები დიდ სისხლისღვრას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ უმალ ამ სისხლისღვრას ვარჩევთ, ვიდრე რუსეთს დავემორჩილოთ.

ვბედავ, ვიქონიო იმედი, რომ თქვენი უდიდებულესობა მიიღებს მხედველობაში ჩემს თხოვნას და არ უკუაგდებს სურვილებს ხალხისას, რომელსაც სურს თქვენი მძლავრი მკლავის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ელოდება, შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისუფლება და მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის წყალობით დააღწიოს თავი მჩაგვრელ ტირანიას.

მე ვევედრები თქვენს უდიდებულესობას, პატივი დამდოს და პასუხით მანუგეშოს, რომ მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა და ჩემი იმედები განხორციელდება“.

18. შენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს რუსეთის იმპერიის საიმპერატორო კარზე სოლომონის იმერეთიდან გასახლება?

19. გაიხსენე, რომელი იმპერია აკონტროლებდა სამცხეს და შეეძლო თუ არა მათთან მოკავშირეობა სოლომონ II-ს?

20. რა საგარეო ფაქტორებს იყენებს სოლომონ II ძალაუფლების დაბრუნებისა და განმტკიცებისთვის?

21. შეაფასე სამეგრელოსა და გურიის მთავრების მოქმედება. როგორ ფიქრობ, რა არის მათი პოლიტიკური მიზნები?

22. შენი აზრით, რატომ ვერ მიიღო სოლომონ II-მ დახმარება ირან-ოსმალეთისგან?

23. რატომ შეიძლებოდა დაინტერესებულიყო საფრანგეთი კავკასიის რეგიონით?

24. მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენე 1810 წლისთვის ევროპაში შექმნილი ვითარება და გამოთქვი ვარაუდი, გამოეხმაურებოდა თუ არა ნაპოლეონ ბონაპარტი სოლომონ II-ის თხოვნას.

25. საფრანგეთის იმპერატორის კავკასიით დაინტერესების შემთხვევაში, ივარაუდე, როგორ შეიცვლებოდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. რატომ?

26. წერილის შინაარსის მიხედვით შეაფასე იმერეთის მეფე სოლომონ II, როგორც დიპლომატი.

27. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 103. პარაგრაფში წარმოდგენილი მასალისა და წყარო დ-ს მიხედვით ჩამოწერე, როგორ ცდილობს სოლომონი ძალაუფლების შენარჩუნებას და შეფასე მეფის გადადგმული ნაბიჯები.

Don't copy

იმერეთის დაპყრობის შემდეგ ყოფილი სამეფო იმერეთის ოლქად გარდაიქმნა და რუსულ ადმინისტრაციას დაექვემდებარა.

ოსმალეთთან წარმატებული ომის შედეგად იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა (ფოთი, ახალქალაქი და სოხუმი ჯერ კიდევ ოსმალეთს რჩებოდა).

28. როგორ ფიქრობ, რა პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ფოთის, ახალქალაქისა და სოხუმის ფლობას რუსეთისა და ოსმალეთისთვის?

წყარო ე) საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვის მოხსენება რუსეთის იმპერატორისადმი, 1810 წ.

„ამ საკმაოდ ვრცელი მხარის გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორებიცაა, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, რომელთაგან სამ უკანასკნელს მართავენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილი იქნება მისი შენარჩუნება... იმ ჯარების რაოდენობით, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან – მით უფრო მაშინ, როცა საშუალება გვექნება, აუცილებელ შემთხვევებში ერთი მთავრის ძალა მეორეს უნდა დავუპირისპიროთ“.

სოლომონ II-ს სამშობლოში დაბრუნება აღარ ეღირსა. იგი 1815 წლის 7 თებერვალს ქალაქ ტრაპიზონში გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე, ბერძნული ეკლესიის გალავანში.

1990 წელს გმირი მეფის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და გელათში, მეფეთა საძვალეში, მიაბარეს მიწას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ სოლომონ II წმინდანად შერაცხა.

29. რუსული პოლიტიკის რა პრიორიტეტები ჩანს წყარო ე)-ში? რომელ იმპერიასთან გაავლებდი პარალელს და რატომ?



სურ. 2. ნიკო დადიანი

ოსმალეთის წინააღმდეგ 1806-1812 წწ. ომისას რუსეთის მეფის მთავრობამ ისარგებლა აფხაზეთის მთავრის საგვარეულოში არსებული დაპირისპირებით, მოხერხებულად ჩაერია ამ დავაში და გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად დაადგინა. ამავე წლის ოქტომბერში ქრისტიან მთავარს რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი მიაღებინეს. აფხაზეთის მთავარი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. სოხუმის ციხის აღების შემდეგ მასში რუსეთის სამხედრო ნაწილი ჩადგა.

ქვემო სვანეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში სამეგრელოს სამთავროსთან ერთად შევიდა. რუსეთის მეფის მთავრობა ცდილობდა, თავისი გავლენა დაემყარებინა ზემო სავანეთშიც, რომელიც ბალსზემო და ბალსქვემო ნაწილებად იყოფოდა. ბალის მთის ზემო მიწა-წყალი „თავისუფალ“, „უბატონო“ სვანეთად იწოდებოდა, ბალსქვემო თემები („საბატონო სვანეთი“) კი მთავარ დადიშქელიანს ემორჩილებოდა. მთავრის ფეოდალურ სახლში ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლამ რუსეთს თავისი მიზნის განხორციელება გაუადვილა. ცარიზმმა მოქიშპე ციოყ და თათარყან დადიშქელიანები სვანეთის მთავრებად ცნო, 1833 წელს ორივე რუსეთის მფარველობაში მიიღო და დაიქვემდებარა.

რუსეთის მეფის მთავრობამ გარკვეული დროით სამთავროებს ავტონომიური მართვა-გამგებლობა შეუნარჩუნა, მაგრამ როდესაც ეს ფორმალური მმართველობაც თვითმპყრობელობის კავკასიურ ინტერესებთან შეუსაბამო აღმოჩნდა, სამთავროების არსებობას ბოლო მოეღო.

1826 წელს გურიის მთავარი მამია გურიელი გარდაიცვალა. მემკვიდრის სრულწლოვანებამდე სამთავროს მისი ქვრივი – დედოფალი სოფიო განაგებდა, თუმცა საქართველოს რუსული ადმინისტრაცია თვითნებურად ერეოდა მის საქმიანობაში. უკმაყოფილო გურიელი პროტესტის ნიშნად ოსმალეთში გაიხიზნა.

Don't copy

1829 წლის დეკემბერში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855) ბრძანებით გურიელის ხელისუფლება გაუქმდა, ჩამოყალიბდა გურიის დროებითი მმართველობა, რომლის სათავეში რუსი სამხედრო მოხელე იდგა. მოგვიანებით, 1840 წელს, ყოფილი სამთავრო გურიის მაზრად გამოაცხადეს და „საქართველო-იმერეთის გუბერნიაში“ გააერთიანეს, 1846 წელს განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ გურია ოზურგეთის მაზრის სახელწოდებით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საბაბად რუსეთის მეფის მთავრობამ 1856 წელს აქ დაწყებული გლეხთა აჯანყება გამოიყენა. გარდაცვლილი მთავრის დავით დადიანის მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელიც სამთავროს მართავდა, პეტერბურგს გაიწვიეს. იგი დაარწმუნეს, რომ მის მემკვიდრეს ნიკო დადიანს სრულწლოვანების მიღწევისას მთავრად დასვამდნენ. 1857 წლის სექტემბერში სამეგრელოში დროებითი მმართველობა შემოიღეს, რაც სამთავროს ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა. 1867 წელს ნიკო დადიანს მთავრის უფლებებზე ხელი საბოლოოდ ააღებინეს. მას სანაცვლოდ ერთი მილიონი მანეთი გადაუხადეს და უგანათლებულესი თავადის – მინგრელსკის ტიტული მიანიჭეს. უწინდელი სამთავრო ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებად დანაწევრდა და ქუთაისის გუბერნიის გამგებლობაში მოექცა.

სვანეთის სამთავროში ხელისუფლებას ერთმანეთს დადიშქელიანთა ორი შტო ეცილებოდა. ამ ჭიდილში კონსტანტინემ სძლია მოწინააღმდეგეს და მისი მამული შეიერთა. რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო კონსტანტინეს ხელისუფლების გაძლიერება.

წყარო ვ) მეფისნცვალი ბარიატინსკი სვანეთიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, XIX ს.-ის შუა ხანები.

„სვანეთში ყოველგვარი მღელვარება შეიძლებოდა ჩვენთვის საშიში ყოფილიყო. სვანეთი, თავისი ცუდი მისადგომების გამო, ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო ყველა მეზობელი ყაჩაღის თავშესაყარი, რითაც სავსებით შეიცვლებოდა ჩვენი მდგომარეობა ამიერკავკასიის მთელ დასავლეთ ნაწილში“.

1857 წელს სვანეთში სამხედრო შენაერთები შეიყვანეს. კონსტანტინე დადიშქელიანი ნებაყოფლობით გამოცხადდა რუსთა ბანაკში, მაგრამ იგი დააპატიმრეს და გადასახლებას უპირებდნენ. მთავარმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ იგი მალევე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. 1857 წელს სვანეთის სამთავრო გაუქმდა. ორი წლის შემდეგ მთავრის უფლებებზე უარი ათქმევინეს დადიშქელიანთა მეორე სახლის წარმომადგენელს თენგიზსაც. ბალსქვემო სვანეთში რუსული მმართველობა დამყარდა.

„თავისუფალი სვანეთი“ რუსეთის მფლობელობაში მხოლოდ 1858 წლიდან შევიდა, როდესაც იგი დანარჩენ სვანეთთან ერთად საბოქაულოდ გარდაქმნეს (ცენტრით სოფელ ბეჩოში) და რაჭის მაზრაში გააერთიანეს.



სურ. 3. კონსტანტინე დადიშქელიანი


მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ წარმატებით დაასრულა ჩრდილოეთ და დასავლეთ კავკასიის მთიელი ხალხების დასამორჩილებლად წარმოებული ხანგრძლივი ომი, ე. წ. კავკასიის ომი, აფხაზეთის სამთავროს ჯერიც დადგა. 1864 წლის ივნისში გამოქვეყნდა ბრძანებულება აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ამ მხარეში რუსული „დროებითი სამხედრო-სახალხო მმართველობის“ შემოღების შესახებ. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე სამშობლოდან გაასახლეს. იგი ვორონეჟში გარდაიცვალა. მთავრის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და მოქვის ეკლესიაში დაკრძალეს.

აფხაზეთის ყოფილ სამთავროს სოხუმის სამხედრო განყოფილება უწოდეს, რომელიც 1883 წლიდან ქუთაისის გუბერნიაში შემავალ სოხუმის ოკრუგად გადაქმნეს.

Don't copy

წყარო ზ) ქართულენოვანი წარწერა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის საფლავის ქვაზე

„აქ განისვენებს მთავარი აფხაზეთისა მიხაილ გიორგის ძე შარვაშიძე მიცვალებული 1866 წელსა“.



სურ. 4. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის და მისი მეუღლის ალექსანდრა დადიანის საფლავის ქვები მოქვის ტაძარში (ოჩამჩირის რ-ნი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

კავკასიის ომი (1817-1864) – ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. დასრულდა რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ანექსიითა და ზოგიერთი მთიელი ხალხის განადგურებით.

30. რატომ არის სვანეთი და აფხაზეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი? რა საფრთხე მოელოდა რუსეთს სვანეთიდან (წყარო ვ) და აფხაზეთიდან XIX საუკუნის 50-იან წლებსა და 60-იანების დასაწყისში?

31. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის საფლავის ქვის წარწერა ქართულადაა შესრულებული?

32. როგორ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის იმპერია სამთავროების მიმართ და რა მეთოდებს იყენებდა მათ გასაკონტროლებად?

33. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 104. გაეცანი პარაგრაფში არსებულ ინფორმაციას და იმსჯელე, რატომ ვერ შეინარჩუნეს ქართველმა მეფე-მთავრებმა დამოუკიდებლობა: როგორ ვითარდებოდა ეს ისტორიული პროცესი; რა იყო ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები; რა მეთოდებს იყენებდა რუსეთი ამ პროცესის დროს. პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

41 რატომ გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და იმერეთის დაპყრობამ საქართველოს ეკლესიაც მძიმე განსაცდელში ჩააგდო. იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებულებით, კათალიკოსს, ანტონ II-ს, თავისი ქვეყნის საეკლესიო მმართველობის რეორგანიზაცია დაევალა. ცვლილების მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა და მისი რუსეთის სახელმწიფოსათვის სრული დამორჩილება. ქართველ მღვდელმთავარს არ სურდა ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი მართვა-გამგეობის წესის მოშლა და დავალების შესრულებას აჭიანურებდა.

წყარო ა) ქართული საეკლესიო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1900 წ.

„ანტონ კათალიკოსი... არ იშლიდა ზრუნვას იმაზე, რომ ეკლესია ხელშეუხებელი ყოფილიყო, და აგრეთვე იმაზე, რომ ეკლესიისაგან დაწესებული რიგი არავის მოეშალა“.

მთავარმართებელმა ტორმასოვმა დაარწმუნა საიმპერატორო კარი, რომ უმჯობესი იყო, საქართველოს საეკლესიო მმართველობის გარდაქმნა სხვა ვინმესთვის მიენდოთ. ანტონ II რუსეთში გაიწვიეს (გარდაიცვალა 1827 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში). 1811 წელს ეკლესიის ავტოკეფალიას ბოლო მოეღო, კათოლიკოს-პატრიარქობა გაუქმდა და დაწესდა **ეგზარქოსის** თანამდებობა. შემოიღეს **ვიკარ-ეპისკოპოსისა** და **ბლაღოჩინის** ინსტიტუტებიც. საქართველოს ეკლესია რუსეთის უწმინდეს სინოდს დაუქვემდებარეს. კანონიკური თვალსაზრისით, ეს დაუშვებელი იყო, რადგან მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და **მოციქულთა კანონებს** არღვევდა, მაგრამ ამისთვის ანგარიში არ გაუწევიათ.

ეგზარქოსს თანამდებობაზე უწმინდესი სინოდის წარდგინებით იმპერატორი ნიშნავდა. საქართველოს პირველ ეგზარქოსად რუსეთში მოღვაწე ქართველი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი გამოიგზავნა.

თავიდან საქართველოს ეკლესიის საქმეებს რუსეთის სინოდის განყოფილება – სასულიერო დიკასტერია მართავდა. დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმებიდან მალევე, 1815 წელს, ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, რომელსაც ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების, გურიისა და სამეგრელოს, ეკლესიებიც დაუქვემდებარეს.

1. **რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთის მმართველი წრეებისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება?**
2. **როგორ და რატომ შეცვალეს საეკლესიო იერარქია?**
3. **შენი აზრით, რატომ გზავნის პირველ ეგზარქოსად რუსეთის იმპერია საქართველოში ქართული წარმოშობის სასულიერო პირს?**
4. **გაიხსენე „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ის პუნქტი, რომელიც საქართველოს ეკლესიას ეხებოდა. რამდენად ეხმიანებოდა რუსული პოლიტიკა ამ მუხლს?**

ეგზარქოსი – მართლმადიდებელთა ცალკე საეკლესიო ოლქის ან დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი.
ვიკარ-ეპისკოპოსი – ეგზარქოსის თანაშემწე ადმინისტრაციისა და სამართლის სფეროში.
ბლაღოჩინი – კეთილმოწესე, ეპისკოპოსის თანაშემწე.
მოციქულთა კანონები – წმინდა მოციქულთა სწავლებებში, მათ მიერ სიტყვიერად გადმოცემულ მცნებებსა და დარიგებებში ჩამოყალიბებული ნორმები, რომლებსაც უპირველესი ადგილი უკავია მართლმადიდებლური ეკლესიის კანონთა კრებულებში.

საქართველოს ეკლესიას სოლიდური ქონება გააჩნდა სახნავ-სათესი მიწების, ტყეების, შენობებისა და სხვათა სახით. ეკლესიის სიმდიდრე და შემოსავლები სათანადოდ აღირიცხა და მას სინოდი დაეპატრონა. ეკლესიისათვის ჩამორთმეული ყმა-მამულის დიდი ნაწილიც დროთა განმავლობაში ხაზინის გამგებლობაში გადავიდა. სასულიერო პირებს არსებობის წყარო მოესპოთ და სახელმწი-

Don't copy

Do not copy

რუკა 34. ქართული საეკლესიო ეპარქიები ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წ.)



ფოს მიერ დანიშნული ხელფასის ამარა დარჩნენ. ამის გამო ისინი დაშორდნენ მრევლს და, ფაქტობრივად, ხელისუფლების მოხელეებად იქცნენ, რამაც მათი ავტორიტეტი დასცა.

ავტოკეფალიის გაუქმების წინ აღმოსავლეთ საქართველოში 13 ეპარქია, 800-მდე ეკლესია და 15 მონასტერი მოითვლებოდა. ეგზარქოსობის დაწესების დროიდან ქართლის 8 საეპისკოპოსო ერთ – მცხეთისა და ქართლის ეპარქიად, ხოლო კახეთის 5 საეპისკოპოსო ასევე ერთ – ალავერდ-კახეთის ეპარქიად გააერთიანეს.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ აქ არსებული საეპისკოპოსოები ერთ ეპარქიად გააერთიანეს, თითო-თითო ეპარქია დარჩა გურიასა და სამეგრელოშიც. 1851 წელს ჩამოყალიბდა აფხაზეთის ეპარქია, რომელიც მანამდე იმერეთის ეპარქიაში შედიოდა. ეპარქიების რიცხვი და დასახელება შემდგომშიც არაერთხელ შეიცვალა.

სურ. 1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II

წყარო ბ) ნიკოლოზ დურნოვო, XX ს.-ის რუსი ისტორიკოსი, „ქართული ეკლესიის ბედი“, 1907 წ.

„დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია... საქართველოში გამწესებული რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვავ მხარეს... რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და მისი საეკლესიო განძეულობა შემოსავლის წყაროდ გადააქციეს... ნათქვამს ემატება ქართული მონასტრებისა და სალოცავების ძარცვა. ნაძარცვი ათეულობით მილიონობით მანეთს შეადგენს. ხაზინამ წაიღო 150 მილიონ მანეთად ღირებული ქართული საეკლესიო ქონება“.

5. შენი აზრით, რატომ შეამცირეს ეპარქიების რაოდენობა?
6. რამდენად ასახავს რუსული ეკლესიის მესვეურების პოლიტიკა იმპერიაში მიმდინარე პროცესებს, სახელმწიფოში შემავალი მცირე ერების მიმართ მათ დამოკიდებულებას?
7. შენი აზრით, რატომ და რა მეთოდებით ცდილობს რუსეთის საიმპერატორო კარი, გავლენა მოიპოვოს სასულიერო იერარქებზე? რაში შეიძლება დასჭირდეს ეს მას?

რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით, 1808 წელს აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი სასულიერო პირები (მღვდლები, დიაკვნები, მედავითნეები) თავად-აზნაურთა ყმობისა და საბატონო გადასახადებისაგან გაანთავისუფლეს. სამღვდელოების ამ ნაწილმა, მართალია, თავი დააღწია ყმურ დამოკიდებულებას, მაგრამ ეპარქიათა და მოქმედ ტაძართა რიცხვის შემცირების პირობებში, რასაც რუსული ხელისუფლება ახორციელებდა, მათი დიდი ნაწილი უადგილოდ დარჩა.

წყარო გ) იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებიდან მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი, 1808 წ. 7 ივლისი

„ბევრი სასულიერო პირი მღვდლისა და დიაკვნის რანგში, რომლებიც ადგილობრივი თავადებისა და აზნაურების მიერ მოქცეულნი არიან ყმობაში, იხდიან ღალას და ასრულებენ გლეხებზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს. არ შეესაბამება რა ეს მდგომარეობა რუსეთის კანონებსა და სათაკილოა ჩემთვის ძალიან პატივსაცემი წოდების ღირსებისათვის, ვბრძანებ, საქართველოში მუდმივ წესად დამკვიდრდეს, რომ სასულიერო წოდება არა მარტო მემამულეთა ყმობისგან, არამედ ყოველგვარი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან თავისუფალია“.

8. შენი აზრით, რა იყო რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი? პასუხი დაასაბუთე.
9. იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, რა ცვლილებები განხორციელდა სოციალურ სფეროში? შეაფასე ამ ცვლილებების შედეგები სასულიერო და საერო საზოგადოებისთვის.

Don't copy

რეორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას ემსახურებოდა, ეტაპობრივად განხორციელდა და საეკლესიო ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს შეეხო, მათ შორის სასულიერო პირთა შესამოსელსა და წირვა-ლოცვასაც. ღვთისმსახურებაში სლავური წეს-განგება დააკანონეს, აიკრძალა ქართული საეკლესიო საგალობლები, აღარ აღინიშნებოდა ქართველი წმინდანების დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ქეთევან დედოფლისა და სხვათა ხსენების დღეები. მეტიც, ქართველ წმინდანთა სახელზე აგებულ ეკლესიებს სახელები შეუცვალეს და რუსი წმინდანების სახელზე აკურთხეს. რუს ეგზარქოსთა გადაწყვეტილებით, არაერთი ადგილობრივი ეკლესია-მონასტრის ინტერიერი კირხსნარით შეათეთრეს, რათა ძველი ქართული კულტურის შთამბეჭდავი კვალი დაეფარათ. ზოგიერთი ქართული ტაძარი, მათ შორის თბილისში მდებარე ანჩიხატის ბაზილიკური ეკლესია, ლურჯი მონასტერი და სხვ., რუსულ ყაიდაზე გადააკეთეს, ახალ ეკლესიებს ძირითადად რუსულ სტილში (ე. წ. „ხახვისებური გუმბათით“) აგებდნენ.

წყარო დ) გაზეთი „დროება“, 1878 წ. 5 მაისი

„თფილისის მარცხენა მხარეს, ვერისხევთან მტკვრის ზემოდამ... სდგას ერთი დიახ მშვენიერი ძველი ქართული ეკლესია... რუსების შეერთების დროს გაოხრებულა ეს ეკლესია. დასავლეთ მხარეს, კედელში, ერთი მარმარილოს ქვა ყოფილა, სადაც ქართულად წერილა, რომ ეს ეკლესია ამა და ამ საუკუნეში, ამა და ამ მმართველთა მეფობის დროს აშენდაო. შარშან, გადაკეთების დროს ეს ქვა გამოუღიათ, ქართულათ ნაწერი წაუშლიათ და რუსულათ დაუწერიათ, ევსევი ეგზარხის ბრძანებით, რომ ეს ეკლესია განახლდა საქართველოს ღირსი ევსევის ეგზარქობის დროსა“.



გარდაქმნა სამონასტრო ცხოვრებასაც შეეხო. სხვადასხვა მონასტრიდან ქართველი ბერები გააძევეს და ისინი რუსეთიდან ჩამოყვანილი ბერ-მონაზვნებით ჩაანაცვლეს. მონასტრების წინამძღვრებადაც უმთავრესად რუს სასულიერო პირებს ნიშნავდნენ.

სურ. 2. ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი „სობორო“.

წყარო ე) იმერეთის მოსახლეობის წერილიდან რუსული ხელისუფლებისადმი, XIX ს.-ის 10-ინი წლები

„ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმინდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ ღვთისმოშიშ მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებს და ხატებს და ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შეძენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერაა საჩუქრად გადმოცემული“.

10. რატომ ათეთრებდნენ ქართული ეკლესიების ფრესკებს და ანადგურებდნენ ქართულ წარწერებს?

11. ქართველი სასულიერო პირების რუსებით ჩანაცვლება როგორ ეხმიანება საერთო იმპერიულ პოლიტიკას?

12. შენი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გრძელვადიანი შედეგი?

13. რატომ ებრძოდა რუსეთის იმპერია დაპყრობილ ხალხებში ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნას?

რუსეთი საქართველოს ერთმორწმუნე ქვეყანა იყო, რომელშიც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. ამასთან, ეს რელიგია იმპერიული იდეოლოგის როლს ასრულებდა და დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, რეჟიმისადმი მორჩილ, შემგუებლურ

Don't copy

დამოკიდებულებას ნერგავდა. ეკლესიას რუსეთის იმპერიაში ისეთივე პოლიტიკური იარაღის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, როგორიც სკოლას: მასაც ხელი უნდა შეეწყო არარუსი ხალხების ასიმილაციისა და რუსიფიკაციისათვის.

წყარო ვ) დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რუსეთის მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე, XX ს.-ის დასაწყისი

„საქართველოს რუს სამღვდელოებას მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია, მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.

წყარო ზ) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიმართვიდან საქართველოს მთავარმართებლისადმი, 1900 წ.

„გამოვგლიჯოთ სკოლა და ეკლესია ხელიდან ქართველ სამღვდელოებას, რომ წირვა-ლოცვა ეკლესიებსა და სკოლებში სლავურ ენაზე ტარდებოდეს. ამ ღონისძიებით გადავარჩენთ ადგილობრივ მოსახლეობას ქართული გავლენისაგან“.

წყარო თ) ილია ჭავჭავაძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

„გარუსების იდეა თავისი არსებით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია, თუ არა უარყოფა ღვთის ნებისა, რომელიც გამომჟღავნდა ღვთიურ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარ ტომთა შექმნაში“.

ქართველ სასულიერო პირებს რუსული ხელისუფლება ფიზიკურადაც უსწორდებოდა. 1905 წლის მაისში თბილისში პოლიციამ ქართველი სამღვდლოების ყრილობა დაარბია. კაზაკები ტყვიებით გაუმასპინძლდნენ დედაქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შეკრებილ ორიათასკაციანი მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს. დაიღუპა 100 და დაიჭრა 300 ადამიანი, 170 კაცი დააპატიმრეს. ამ ყველაფერთან ერთად, ეგზარქოსობის პერიოდში გაიძარცვა საქართველოს ეკლესია-მონასტრები, თვით რუსმა ეგზარქოსებმა მიისაკუთრეს და ქვეყნიდან გაიტანეს არაერთი ქრისტიანული სიწმინდე და ძვირფასეულობა.

წყარო ი) ნიკოლოზ დურნოვო, რუსი ისტორიკოსი, „საეკლესიო საკითხები რუსეთში“, 1896 წ.

„თუ რომელიმე ქართველი ავტორი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების – უზურპატორების ქმედებებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდებოდა, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათთვის მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ, ნაძარცვი ქონებითა და ფულით, რუსეთში დაბრუნებულიყვნენ“.

14. როგორ ფიქრობ, იყენებდა თუ არა რუსეთის საიმპერატორო კარი რელიგიას, როგორც იდეოლოგიას? თუ კი, რატომ?
15. შენი აზრით, რატომ ცდილობდნენ წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დამკვიდრებას?
16. როგორ აისახა რუსული პოლიტიკა ქართული ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, მნიშვნელობასა და დაკნინებაზე?
17. შენი აზრით, რატომ ჰქონდა რუსული საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს განსხვავებული დამოკიდებულება ქართული ეკლესიისა და ერის მიმართ? რა იყო ამის მიზეზი?
18. როგორ ფიქრობ, XIX ს.-ის ქართველი ინტელიგენცია სრულად გაიზიარებდა ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.

საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ სასულიერო სასწავლებლებში – ეკლესიებთან გახსნილ სამრევლო სკოლებსა თუ სემინარიებში – სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლება იდევნებოდა, გამეფებული იყო ანტიქართული განწყობილება.

Don't copy

რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა 1815 წლიდან აღდგენილი „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც 1860 წლისათვის „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ ჩაანაცვლა. საზოგადოებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ როგორც კავკასიის მეფისნაცვლები, ისე საქართველოს ეგზარქოსები.

„საზოგადოებას“ ქრისტიანობის აღდგენა და განმტკიცება ევალებოდა იმ კუთხეებში, სადაც იგი შესუსტებული იყო: აფხაზეთში, სვანეთში, ოსეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აქტიური სამისიონერო საქმიანობა მიმდინარეობდა საინგილოში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაშიც. მისიონერებად რუსი და ქართველი სასულიერო პირები იგზავნებოდნენ. საზოგადოების ინიციატივით დაიწყეს საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა ოსურ, აფხაზურ, სვანურ და ქისტურ ენებზე. დამწერლობის არმქონე აფხაზებისა და ოსებისათვის შექმნეს აფხაზური და ოსური ანბანი. ამ პოლიტიკას დაუპირისპირდა ქართველი საზოგადოება და, რაც მთავარია, თარგმნილი ლოცვები არ მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ.

19. შენი აზრით, რატომ არ სჭირდებოდა რუსეთის საიმპერატორო კარს ქართული ენაზე შექმნილი სასულიერო და საერო ლიტერატურა?

20. რა დამოკიდებულება ჰქონდათ რუსულ მმართველ წრეებს განსხვავებული რელიგიური მრწამსის მიმართ? შენი აზრით, რატომ?

ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება არასოდეს შერიგებია ეკლესიის თვითმწყემსობის დაკარგვას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი შენაკადი იყო. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ეპისკოპოსების კირიონის, ლეონიდესა და სხვათა მონაწილეობით დაიწყო და ფართოდ გავრცელდა ავტოკეფალისტთა მოძრაობა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა რამდენჯერმე წარუდგინეს უმაღლეს საიმპერატორო ხელისუფლებას. ამავე საკითხზე რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად მოხსენებას ამზადებდა ილია ჭავჭავაძე, მაგრამ აღარ დასცალდა. ხელისუფლებამ ქართველთა კანონიერი მოთხოვნა უარყო, რადგან ამ მოთხოვნაში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახა.

რევოლუციის დამარცხების შემდგომ ქართველ ავტოკეფალისტებს დევნა და შევიწროება დაუწყეს. ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილს სასულიერო ხარისხი ჩამოართვეს, რუსეთში გადაასახლეს და ერთ-ერთ მონასტერში გამწესებულს ფარულ მეთვალყურედ პოლიცია მიუჩინეს. ასევე რუსეთის შორეულ ეპარქიაში გაამწესეს არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და სხვ. რეპრესიების მიუხედავად, პროგრესული ქართველი სამღვდელოება აგრძელებდა ბრძოლას სულიერი თავისუფლებისათვის.

წყარო კ) ივანე ჯავახიშვილი, ისტორიკოსი, „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“, 1906.

„არც სპარსელებს, არაბებს, მონღოლებსა და თურქებს არ გაუკეთებიათ ის, რაც რუსულმა ხელისუფლებამ და მისმა ეგზარქოსებმა გაუკეთეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას“.

წყარო ლ) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის მიმართვიდან საქართველოს ეკლესიის საწმყოსადმი, 1917 წ. 1 ოქტომბერი

„ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი სისტემა ერის გულთან შეთანხმებული. დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი“.

21. სახელმძღვანელოს ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, რამდენად გამართლდა XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა იმედები რუსეთის ერთმორწმუნეობასთან დაკავშირებით.

22. რა შედეგები მოუტანა ქართველ ერს ამ ისტორიულმა პროცესმა?

23. კლასში გამართეთ დისკუსია კითხვაზე: როგორი იყო რუსეთის იმპერიის სამოქალაქო და სასულიერო პირების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის მიმართ?

Don't copy

42-43 როგორ და რატომ იბრძოდნენ კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში

კახეთის 1802 წლის პოლიტიკური პროტესტი. წართმეული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ქართველ ხალხს იმთავითვე არ შეუმართავს იარაღი და თავიდან ბრძოლას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. საპროტესტო მოძრაობა 1802 წლის ივლისში კახეთის თავადთა შეთქმულებით დაიწყო. ადგილობრივ მეთაურთა შორის იყვნენ თავადები ივანე ანდრონიკაშვილი, ომან ჯანდიერი, იოსებ ჭავჭავაძე, სიმონ ქობულაშვილი და სხვები. მათთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბატონიშვილებს ვახტანგ ერეკლეს ძეს, თეიმურაზ გიორგის ძესა და ირანში მყოფ ალექსანდრე ერეკლეს ძეს. მოძრაობას თბილისიდან დარეჯან დედოფალი ხელმძღვანელობდა. შეთქმულებს კათალიკოსი ანტონიც თანაუგრძნობდა.

ერთმანეთთან კავშირისათვის შეთქმულებს საიდუმლო შიფრი ჰქონდათ შედგენილი. წარჩინებული წოდების უკმაყოფილო წარმომადგენლებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს გაუქმებული სამეფოს აღდგენის მოთხოვნით. 1802 წლის 24 ივლისს ქიზიყელი თავადები მდინარე ლაკბესთან შეიკრიბნენ, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მიიწვიეს და ჯერ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, შემდეგ კი იულონის მეფობაზე დაიფიცეს.

წყარო ა) დავით ბატონიშვილი, XIX ს.-ის მემატიანე, „ახალი მოთხრობა“.

„წელსა 1802, აღადგინეს ამბოხი კახთა შემჭიდროების გამო რუსეთისა, და წარუვლინეს კაცი მეფის ძეს იულონს იმერეთს, რათა მოვიდეს კახეთს და ჰყონ მეფედ“.



სურ. 1. იულონ ბატონიშვილი

შეთქმულებმა კახეთის დანარჩენ თავადაზნაურობასა და გლეხობას მსგავსი ფიცის მიღებისაკენ მოუწოდეს. მათვე იმპერატორ ალექსანდრე I-თვის გასაგზავნად შეადგინეს პეტიცია, რომელსაც ხელს 70-მდე თავადი აწერდა. პეტიციის ავტორები 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენას და მეფედ იულონ ბატონიშვილის დამტკიცებას მოითხოვდნენ.

რუსულმა ხელისუფლებამ რამდენიმე ეჭვმიტანილი დააპატიმრა. თავადთა ერთმა ჯგუფმა კახეთში მდგომი რუსთა ჯარის სარდალს, გენერალ გულიაკოვს, წერილით მიმართა, მდგომარეობა აუხსნა და დაპატიმრებულთა განთავისუფლება ითხოვა.

წყარო ბ) კახეთის თავადთა წერილიდან გენერალ გულიაკოვისადმი, 1802 წ. 25 ივლისი

„ჩუენმა დიდათ მოჭირნახულემ მეფე ირაკლიმ ანდერძი ბრძანა და დაფიცებულნიც ვართ, რომ მეფის გიორგის შემდგომად მეფეთ იულონ ყოფილიყო. ჩუენ იმ ფიცზედ და იმის ანდერძზედ ვდგევართ... მთლად ქიზიყმა და სხუათ თავადთ და გლეხთ ჩუენ ჯერ ხელმწიფის ერთგულობაზედ დავიფიცეთ, მერე იულონის მეფობაზედ, რომ იულონ მეფედ გვეჯდეს და ხელმწიფის ერთგულნი ვიყვნეთ, რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსახური ენებებოდეს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ გვიბრძანოს და ისე ჩვენის შეძლებით ხელმწიფეს ვმსახუროთ“.

1. რა იყო 1802 წლის პოლიტიკური პროტესტის მიზეზები?
2. მმართველობის როგორი ფორმის აღდგენას მოითხოვენ შეთქმულები?
3. რომელი დოკუმენტების საფუძველზე ითხოვდნენ მეფედ იულონ ბატონიშვილს?
4. რომელი სოციალური ფენების წარმომადგენელები დგანან გამოსვლის სათავეში? რატომ?
5. რა მეთოდებით ცდილობდა რუსული მმართველობა ძალაუფლების შენარჩუნებას?

Don't copy

თავადები რუსულ ხელისუფლებას ბრალს სდებდნენ მანიფესტით აღთქმული პირობების შეუსრულებლობაში.

წყარო გ) ქართველი თავადაზნაურობის პეტიცია გენერალ გულიაკოვისადმი, 1802 წ. 21 ივლისი

„ინება ყოვლად-მოწყალემ ხელმწიფემ და საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფესტები გვიბოძა... რაც წყალობა მანიფესტით გვიბრძანა, თქვენგან არ აღგვისრულდა. უშიშროება გვიბრძანა. რაში ჩანს? სოფლებს გლეჯენ ლეკნი და არას ნაღვლობთ. ეკლესიებისა და ეფისკოპოზთ პატივის მომატება ბრძანა, – თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით. თავადთ პატივის მომატება გვიბრძანა... და ის პატივი მოგვეშალა“.

6. რუსეთის ბატონობის რა შედეგებზე ამახვილებდნენ ყურადღებას პეტიციის ავტორები?
7. როგორ ფიქრობ, თავადაზნაურობა თავისი ფენის ვიწრო ინტერესებს გამოხატავდა თუ საერთო ეროვნული საშიშროება ჰქონდა მხედველობაში? პასუხი დაასაბუთე.
8. შენი აზრით, რატომ არ შეასრულა რუსულმა მმართველობამ მანიფესტით გათვალისწინებული დაპირებები?

საპასუხოდ კახეთში ჯარის დამატებითი ნაწილებით გენერალი ლაზარევი ჩავიდა. მან მეამბოხე თავადაზნაურები აიძულა, უარი ეთქვათ იულონისადმი მიცემულ ფიცზე და იმპერატორის ერთგულებაზე ხელახლა დაეფიცათ. ვინც დაუმორჩილებლობა ამჯობინა, ირანში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა.

კახეთის თავადთა საპროტესტო გამოსვლა, რომელიც პეტიციებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს არ გასცილებია, რუსულ ოფიციალურ მასალებში „ბუნტად“, „აღშფოთებად“, „შეთქმულებად“ იწოდება და კვალიფიცირდება, როგორც „რუსეთთან შეერთებულ და იმპერატორის ქვეშევრდომობაში მიღებულ საქართველოში არსებული სიმშვიდისა და კეთილდღეობის დარღვევა“.

პეტიცია – წერილობითი კოლექტიური თხოვნა, შუამდგომლობა, მიმართვა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი, მთავრობის მეთაურისადმი.

წყარო დ) ნიკოლოზ დუბროვინი, XIX ს.-ის რუსი გენერალი და სამხედრო ისტორიკოსი, „1802 წელი საქართველოში“

1802 წლის ივლისის ბოლოს „გამოვლინდა ხალხის გონების გარკვეული მღელვარება და თავადების უბრალო პროტესტი, იმ ცრუ ხმების წინააღმდეგ, თითქოს ვინმე უკვეცდა მათს საუკუნოებრივ უპირატესობას. უბრალო ხალხი დარჩა რუსული ხელისუფლების გულწრფელად ერთგული და სანდო... საჭირო იყო ამ ხალხის დაცვა, რამაც თავადების შეპყრობა განაპირობა“.

წყარო ე) ალექსანდრე მანველიშვილი, XX ს.-ში ემიგრაციაში მოღვაწე ისტორიკოსი, „რუსეთი და საქართველო (1801-1951), ტომი პირველი“.

„ოფიციალური ნოტებიდან სჩანს, რომ ქართველები მოითხოვენ დამოუკიდებლობას, მათი მეფის და შინაური მართვა-გამგეობის აღდგენას, ამავე დროს კი, რუსეთის იმპერატორის მფარველობაში დარჩენას. უკანასკნელი მხოლოდ დიპლომატიური ხერხი იყო ქართველებისა. ოფიციალურ ნოტებში, ცხადია, თავიანთ განზრახვებს პირდაპირ ვერ განაცხადებდნენ; მაგრამ მთელი იმ გარემოების და ქართველთა ყოველმხრივი მზადებითგან კი მხოლოდ ერთი დასკვნა გვრჩება, რომ მათი მიზანი იყო რუსების სრული განდევნა საქართველოდან“.

მეფის მთავრობას ამ გამოსვლის გამო თავისი კავკასიური პოლიტიკა, ცხადია, არ გადაუსინჯავს, მაგრამ ალექსანდრე I იძულებული გახდა, რამდენადმე შეემსუბუქებინა ის.

Don't copy

9. რა საფრთხეს ხედავდა რუსული ხელისუფლება უფლისწულებისაგან? შენი აზრით, რა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დადებას?

10. როგორ ფიქრობ, რატომ უწოდა რუსულმა მმართველობამ 1802 წლის გამოსვლას „სიმშვიდისა და კეთილდღეობის დარღვევა“?

11. როგორ აფასებენ ამ გამოსვლას ქართველი და რუსი ისტორიკოსები? გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.

12. ნ. დუბროვინის მიხედვით, რომელი ფენის ინტერესების დამცველად გვევლინება რუსული ხელისუფლება? რას ფიქრობ გენერლის მოსაზრებაზე?

13. რა იყო, ისტორიკოს ა. მანველიშვილის აზრით, მეამბოხეთა მიზანი? შენი აზრით, არსებობდა თუ არა რესურსი ამ მიზნის მისაღწევად? პასუხი დაასაბუთე.

14. შენთვის რომელი მოსაზრებაა უფრო მისაღები? რატომ?

ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება. რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მალე სოციალური ჩაგვრით შევიწროებული გლეხობაც გამოვიდა. გლეხებს ნატურალურ და ფულად გადასახადებთან ერთად ახალი ბეგარა-ვალდებულებებიც დაეკისრათ. რუსეთის ჯარის ნაწილების სურსათ-სანოვაგითა თუ საომარი აღჭურვილობით უზრუნველსაყოფად გლეხებისაგან მოითხოვდნენ, სისტემატურად გამოეყვანათ ურმები და ხარ-კამეჩი. მათვე ევალებოდათ გზებისა და ხიდების მშენებლობა, დაზიანებულთა შეკეთება და სხვ. ქანცგაწყვეტამდე შრომა უწევდა არაგვისა და დარიალის ხეობათა მკვიდრ მოსახლეობას საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე, რომელიც რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიასთან აკავშირებდა და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ამასთან, აუტანელი იყო დაბა-სოფლებში დისლოცირებული სამხედრო დანაყოფების მომსახურება, უფრო მეტად კი – გახშირებული ეგზეკუციები.

ეგზეკუცია – მეფის დროინდელ რუსეთში დამსჯელი რაზმების ჩაყენება ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განწყობილ სოფლებში.

განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ქართლის მთიანეთში. ლაღ ცხოვრებას შეჩვეული მთიელებისათვის სრულიად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ის აბუჩად აგდება, ფიზიკური შეურაცხყოფა, პიროვნული ღირსების შემლახველი და დამამცირებელი მოქმედებები, რომლებსაც მათთან ურთიერთობისას რუსი მოხელეები და სამხედროები მიმართავდნენ.

წყარო ვ) ნაწყვეტი 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილეთა საჩივრიდან

„მოვიდა 80 სალდათი და 12 ცხენოსანი ყაზახი; ამათ უნდებოდათ დღეში: სალდათებს 10 საკლავი, ყაზახებს –. 2, ქათამს, ყველს, ერბოს ვინ იანგარიშებს?.. ცხენს და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და ქირაც არ მოუციათ; ერთხელ მოგვცეს თითო მანეთი, ესეც მოვითმინეთ. ორი დედაკაცი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ... ჩვენ ერთობით ეს აწ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას, მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლების უწესოს საქმის დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ. მარტო მთიულეთში ცემით 23 კაცი მომკვდარა სხვას გარდა“.

წყარო ზ) ნიკოლოზ დუბროვინი, XIX ს.-ის რუსი გენერალი და ისტორიკოსი, „რუსთა ომებისა და ბატონობის ისტორია კავკასიაში, ტომი VII“

საკმარისი იყო ერთი უბრალო ეჭვი მცხოვრებლებზედ და მაშინათვე დაიჭერდნენ, ზურგზე ხელებს გაუკრავდნენ, ყელზე ტვირთს ჩამოჰკიდებდნენ და როგორც მძიმე დამნაშავეს, ფეხით ატარებდნენ 50 ვერსტს, ხან კიდევ მეტს. მოხელეებს და ოფიცრებს ძალით მიჰყავდათ სოფლებიდან ქალები და ქალიშვილები და აუპატიურებდნენ“.

Don't copy

15. **შენი აზრით, რატომ გაჩნდა რუსეთის ხელისუფლებისათვის დარიალის ხეობის გავლით სამხედრო გზის მშენებლობის აუცილებლობა?**
16. **რა გახდა ავჯანყების დაწყების ძირითადი საბაბი?**
17. **როგორ ფიქრობ, რუსი სამხედროების ასეთი ცუდი ქცევა რომ არა, მთიულები ავჯანყდებოდნენ? პასუხი დაასაბუთე.**
18. **რატომ უჭირდათ განსაკუთრებით მთიელებს რუსეთის ბატონობასთან შეგუება? გაიხსენე მაგალითები ისტორიული წარსულიდან.**

1804 წლის მაისში, რუსეთ-ირანის ომის მიმდინარეობისას, მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოზე საიერიშოდ ლაშქრის შეკრება ანანურის მაზრაშიც დააპირა. მთიელებმა ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს, წმინდა გიორგის ხატზე ფიცი დადეს, რუსებს აღარ ვეყმოთო და ავჯანყების დროშა აღმართეს.

ამბოხებულებმა აიღეს რამდენიმე საგუშაგო, ჩახერგეს დარიალის ხეობა და კონტროლი დაამყარეს საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე. ავჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მთიულებსა და მოხევეებს თუშები და ფშავ-ხევსურებიც შეუერთდნენ. მღელვარება გავრცელდა თრუსოს ხეობის ოსებშიც, რომლებიც ასევე საბრძოლველად დაირაზმნენ.



რუკა 35. მთიულეთის ავჯანყება 1804 წელს

Don't copy



სურ. 2. ალექსანდრე ბატონიშვილი

აჯანყებულებს, რომელთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა, მკაფიო მიზანი ჰქონდათ: საოკუპაციო რეჟიმის დამხობა და ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების აღდგენა. საბრძოლო მოქმედებებს ლევან ნაზღაიძე, დეკანოზი შიო ბურდული და სხვები მეთაურობდნენ, აჯანყების იდეური ხელმძღვანელები კი ბატონიშვილები ალექსანდრე, იულონი და ფარნაოზი იყვნენ.

1804 წლის აგვისტოს დასაწყისში აჯანყებულები ქსნის ხეობაშიც გადავიდნენ. რუსთა ერთგულებისათვის მათ შური იძიეს ქსნის ერისთავებზე, რომელთა სოფლებს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს.

აჯანყებულებთან შესაერთებლად იმერეთიდან, მცირერიცხოვანი მხლებლებით, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები გამოემართნენ. რუსეთის მხარეზე გადასულ ქართველ ფეოდალთა ხელშეწყობით იულონი შეიპყრეს. ფარნაოზი მოწინააღმდეგეს დაუსხლტდა და კახეთში შეაღწია. მან კავშირი გააბა ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელმაც შაჰის ჯარებით დახმარება აღუთქვა, მაგრამ საქართველოში შემოღწევა ვერ შეძლო.

ამასობაში მთავრობაც გადამჭრელ მოქმედებაზე გადავიდა. ციციანოვმა მოხსნა ერევნის წარუმატებელი ალყა, საქართველოში დაბრუნდა და მთელი ჯარით ქართლის მთიანეთისაკენ გაეშურა. გადამწყვეტი ბრძოლა 1804 წლის 13 ოქტომბერს სიონთან გაიმართა. აჯანყებულები დამარცხდნენ. ფარნაოზ ბატონიშვილი და მისი მხლებლები, მათ შორის, მომავალი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე დაატყვევეს.მთავარმართებელმა სცადა წესრიგი აღედგინა მთაში. მისი ბრძანებით, ხელახლა განისაზღვრა სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებთა უფლება-მოვალეობანი, ტვირთების გადაზიდვისათვის თუ გზის მომსახურებისათვის აღადგინეს ქართლ-კახეთის მეფეთა დროს დაწესებული ნიხრი, შეიზღუდა მოხელეთა თავაშვებულობა და სხვ.მიუხედავად ამისა, მთა ისევ ურჩობდა და დანებებას არ აპირებდა. ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართა. აჯანყების მონაწილე 300-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს, ბევრიც გადაასახლეს. გამძვინვარებულმა ჯარმა რამდენიმე სოფელი ცეცხლს მისცა და ნაცარტუტად აქცია. ეს არ ნიშნავდა ქართლის მთიანეთის დამორჩილებას. ბრძოლა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

19. სახელმძღვანელოს ტექსტისა და რუკა 35-ის მიხედვით, იმსჯელე, საქართველოს რომელი რეგიონები მოიცვა აჯანყებამ.

20. შენი აზრით, იქნებოდა თუ არა დაინტერესებული ირანის ხელისუფლება აჯანყებულების დახმარებით? პასუხი დაასაბუთე.

21. მმართველობის როგორი ფორმის დამყარება სურდათ აჯანყებულებს?

22. რატომ დამარცხდნენ აჯანყებულები გადამწყვეტ ბრძოლაში? შენი აზრით, ჰქონდათ თუ არა მათ საჭირო რესურსი თავიანთი მიზნების მისაღწევად?

1812 წლის აჯანყება კახეთში. ხანგრძლივ ომებს, რომლებსაც რუსეთი ირანთან და ოსმალეთთან აწარმოებდა, 1811 წელს საქართველოში მოუსავლიანობა და შავი ჭირიც დაერთო. ეპიდემიის შედეგად მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 4200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ასეთ მძიმე ვითარებაშიც კი ხელისუფლებას გადასახადები და ვალდებულებები არ შეუმსუბუქებია. ქართლ-კახეთის მცხოვრებთ კვლავ ეკისრებოდათ ზურგის სამსახური – მძიმე სატრანსპორტო ბეგარა და ჯარის სურსათით მომარაგება. ფრონტისათვის საჭირო პურს მთავრობა ადგილობრივებისაგან საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლებად ყიდულობდა. ამასთან, სიღნაღის მაზრის გლეხობას დადგენილზე მეტი – 40 ათასი **კოდი** ხორბალი შეაწერეს. ჭირნახული ძალით მიჰქონდათ და ოჯახებს უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ. მოსახლეობამ უარი თქვა პურის მუქთად მიყიდვაზე. პასუხად მთავარმართებელმა ურჩ სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა, რასაც აჯანყება მოჰყვა.

კოდი – მარცვლეული კულტურების საწყაო XV–XIX საუკუნეებში საქართველოში. XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში კოდის სიდიდე 50 კგ-მდე იყო.

Don't copy

წყარო თ) დავით ბატონიშვილი, XIX ს.-ის მემატიანე, „ახალი მოთხრობა“.

მაშინ ქართველთა დიდი შეჭირვება იყო... სადაც რუსები გაივლიდნენ, სოფლებს ცემით, ტაცებითა და ბოლო თეთრის რთმევით აწიოკებდნენ... მარკიზმა (მთავარმართებელი პაულუჩი) ბრძანა კახთაგან გასული ორი წლის ხორბლის მოსავლისა და სურსათის მოკრეფა, რაც მოუსავლიანობის გამო შეუძლებელი იყო. მაშინ მან ბრძანა ყველა სოფელში ეგზეკუციის ჩაყენება – ორასი და სამასი ჯარისკაცისა თითო სოფელში. სადაც მივიდოდნენ, იყო უბედურება, ვინაიდან სცემდნენ ქალებს, ხელებით ჰკიდებდნენ და ხორბალს ძალით ართმევდნენ.

წყარო ი) ნიკოლოზ დუბროვინი, XIX ს.-ის რუსი ისტორიკოსი, „რუსთა ომებისა და ბატონობის ისტორია კავკასიაში, ტ. V“

„ფასები პურზე დანიშნული იყო ნახევარი და ხშირად მეოთხედი ნამდვილი ღირებულებისა; მაგალითად, ხაზინა მათ აძლევდა კოდ ხორბალში 6 აბაზს, მაშინ, როდესაც მცხოვრებნი მას ყიდულობდნენ 25 აბაზად... ქართველები იხდიდნენ მორჩილებით და არ ჩიოდნენ, სანამ მათმა შევიწროებამ არ მიაღწია უკიდურეს საზღვრებს“.

აჯანყება 1812 წელს 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო და მალე მთელ კახეთს მოედო. ამბოხებულებმა ჯერ თელავი აიღეს, შემდეგ სიღნაღიც დაიკავეს და თბილისისაკენ მიმავალი გზებიც ჩაკეტეს. დაბა-სოფლებიდან რუსთა რაზმები გარეკეს და მრავალი ტყვეც აიყვანეს. ბრძოლებს თავადები ადამ ბებურიშვილები, ივანე მაყაშვილი, ოთარ ქობულაშვილი და სხვები ხელმძღვანელობდნენ.

აჯანყებას ენერგიულად დაუჭირეს მხარი ფშავ-ხევსურებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს სამხედრო გზაზე არსებული რამდენიმე რუსული საგუშაგო. აჯანყებულები თბილისის აღებასაც გეგმავდნენ. იარაღასხმულმა კახეთის მოსახლეობამ სამშობლოში დარჩენილი **ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე** თავისთან მიიწვია და მეფედ გამოაცხადა.

ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე – გიორგი XII-ის შვილიშვილი.

მთავარმართებელი მარკიზი პაულუჩი, რომელიც იმხანად რუსეთ-ირანის ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა, თბილისში დაბრუნდა, ჯარის ნაწილებს თავი მოუყარა და არტილერიის თანხლებით კახეთისაკენ დაიძრა. მან აჯანყებულებს პროკლამაციით მიმართა და მორჩილებისაკენ მოუწოდა.

წყარო კ) აჯანყებულთა პასუხი პაულუჩის პროკლამაციაზე, 1812 წ.

„ჩვენ ვიცით, რომ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არა გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა, მათ გაგვჟლიტონ. ჩვენ რუსეთის მეფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა: მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისატიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ეხლა, როცა ღმერთმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როცა თვითონ ბალახებულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ! ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვაძევეს, ხელებს აფათურებდნენ და ჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხდნენ, ქვევრში სიბინძურეს გვიყრიდნენ, ბოლოს ჩვენს თვალწინ ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასიღა ექნება?“

მთავარმართებელი შეტევაზე გადავიდა. მან რამდენიმე ტყვედ აყვანილი ამბოხებული სახრჩობელაზე ჩამოჰკიდა, ქიზიყი ბრძოლით გაიარა და გეზი თელავისაკენ აიღო. აჯანყებულები ბატონიშვილ გრიგოლ იოანის ძის წინამძღოლობით მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

Don't copy

წყარო ლ) მარკიზ პაულუჩის პატაკიდან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. რუმიანცევისადმი, 1812 წ. მარტი

„კახელ მეამბოხეთა მიერ საქართველოს მეფედ გამოცხადებული ბატონიშვილი გრიგოლი, რომელიც თავისი სახელით ავრცელებდა აღმაშფოთებელ პროკლამაციებს, ასევე რომლის სახელსაც აჯანყებულნი ეკლესიებში მოიხსენიებდნენ როგორც მეფისას და რომელმაც თავი მოუყარა მრავალ მეამბოხეს და იბრძოდა საიმპერატორო არმიის წინააღმდეგ, ჩემგან ძლეული, გაიქცა დაღესტანში... გატარებული ზომების შედეგად იგი ამჟამად ჩემს ხელთაა“.

გრიგოლ ბატონიშვილი რუსეთში გადაასახლეს და ერთი წლით ციხეში გამოამწყვდიეს. კახეთმა დროებით შეწყვიტა წინააღმდეგობა. „მართვა-გამგეობის წესი და რიგი აღდგენილია და სრულიად საქართველო დაწყნარდა“, – უპატაკა მთავარმართებელმა იმპერატორს, თუმცა მას მნიშვნელოვან დათმობებზეც მოუწია წასვლა: კაპიტან-ისპრავნიკთა თანამდებობა გააუქმეს და მოურავობა აღადგინეს, აიკრძალა ეგზეკუციები და სხვ.

23. რა სირთულეების წინაშე აყენებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას რუსების მიერ რეგიონში წარმოებული მასშტაბური ომები?
24. წყაროს მიხედვით, რა იყო აჯანყებულთა მთავარი არგუმენტები?
25. შენი აზრით, რა უნდა დაეპირისპირებინა რუსი ჩინოვნიკებისა და ჯარისკაცების უმსგავსო საქციელისთვის კახეთის მოსახლეობას?
26. რატომ მიიწვიეს აჯანყების ხელმძღვანელად ბატონიშვილი გრიგოლი?
27. გააანალიზე თ), ი), კ) და ლ) წყაროები და იმსჯელე, რუსი მოხელეებისა და ჯარისკაცების მოქმედებები მათი პირადი ინიციატივა იყო თუ სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება?

1812 წლის აპრილში პაულუჩი პეტერბურგს გაიწვიეს, მის ნაცვლად გენერალი რტიშჩევი დაინიშნა. მალე საერთაშორისო ვითარებაც ძირეულად შეიცვალა: რუსეთში ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმია შეიჭრა. კახეთში მდგომარეობა ხელსაყრელად მიიჩნიეს და აჯანყება განაახლეს. თავისუფლებისათვის ბრძოლას ამჯერად სათავეში ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე ჩაუდგა, რომელმაც სექტემბერში ირანიდან სამშობლოში შემოაღწია და ასკაციანი რაზმით თიანეთში დაბანაკდა. მას მრავალი ქართლელი თავადი, აზნაური თუ გლეხი შეუერთდა. აჯანყებულთა დასახმარებლად დაღესტნიდან ლეკთა 1200-კაციანი რაზმიც გადმოვიდა.

ალავერდობის დღესასწაულისთვის განზრახული იყო ალექსანდრე ბაგრატიონის მეფედ კურთხევა, მაგრამ რუსულმა ადმინისტრაციამ ეს განზრახვა აღკვეთა. 1812 წლის ოქტომბერში რუსებმა სძლიეს თბილისისაკენ დაძრულ ირანის ჯარს და მთელი ძალები კახეთისაკენ მიმართეს.

26 ნოემბერს აჯანყებულები მანავთან გამართულ შეტაკებაში დამარცხდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილმა ხევსურეთში გადაინაცვლა და რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მთიელების დარაზმვას ახლა შატილიდან შეეცადა. ხევსურეთში შეჭრილმა რუსეთის ჯარმა ორ ათეულამდე სოფელი მიწასთან გაასწორა. ბრძოლას 700 ხევსური შეეწირა.

კოლონიური ადმინისტრაცია სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. ბევრი მათგანი გააციმბირეს, ხუთი ადამიანი, მათ შორის 75 წლის მოხუცი ქალი, ჩამოახრჩვეს. რვა ათეულზე მეტი ქართველი თავად-აზნაური სხვადასხვა ვადით გადაასახლეს, მათი მამულები კი ხაზინას გადასცეს.

კახეთის აჯანყება, რომელსაც პაულუჩი რევოლუციას უწოდებდა, ფაქტობრივად, ომი იყო რუსეთის იმპერიასთან. ხანგრძლივ უთანასწორო ბრძოლაში ქართველობა დამარცხდა, მაგრამ სულით არ გატეხილა და წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია.

1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში. სამეფოს ტახტის მოშლასა და რუსული მმართველობის დაწესებას იმერეთში მკაცრი ზამთარი, წყალდიდობა, შიმშილობა და 1811 წელს შავი ჭირის ეპიდემიაც დაერთო, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა საეკლესიო რეფორმამ, რომლის ძირითადი მიზანი საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობა და მისი თვითმპყრობელობის სამსახურში მოქცევა იყო.

ახალ ეგზარქოსად დანიშნული თეოფილაქტე რუსანოვი, რეფორმის შესაბამისად, შეუდგა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქონების აღწერას. დაიწყო ეპარქიების შემცირება და სასულიერო

DonTcopy

პირების ხელფასზე გადაყვანა. ხელისუფლება ეკლესია-მონასტრებს ართმევდა ყმა-მამულსა და სხვა შემოსავალს და იგი ხაზინის გამგებლობაში გადაჰქონდა. მნიშვნელოვნად გადიდდა საეკლესიო გადასახადიც, რომელიც გლეხს ახალა ნატურით კი არა, ფულით უნდა დაეფარა.

საეკლესიო რეფორმა ლახავდა როგორც ღვთისმსახურთა, ისე საზოგადოების სხვა სოციალური ფენების ინტერესებს, რამაც ისინი რეფორმისადმი მტრულად განაწყო.

1819 წლის ივნისში იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სწრაფად გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, აჯანყება საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ იგივე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა იყო „რუსობის“ წინააღმდეგ. ამას ისიც მოწმობს, რომ წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა იმერეთიდან ეგზარქოსის გაწვევისა და საეკლესიო რეფორმების შეჩერების შემდეგაც.

აჯანყებას სათავეში დასავლეთ საქართველოს თავადები და საეკლესიო მოღვაწეები ჩაუდგნენ. მათ იმერეთის სამეფოს აღდგენა მოითხოვეს და ტახტი სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილს შესთავაზეს. როდესაც ალექსანდრემ შეთავაზებაზე თავი შეიკავა, მეფედ სოლომონ I-ის შვილიშვილი, ივანე აბაშიძე გამოაცხადეს (წყაროებში დასახელებულია მეფობის კიდევ ერთი კანდიდატი – იმერეთის მეფის დავით II-ის ქორწინების გარეშე შეძენილი შვილის, როსტომ ბატონიშვილის ვაჟი ვახტანგ ბაგრატიონი).

აჯანყებულებმა ქუთაისში მიმავალი გზები დაიკავეს და ქალაქზე იერიშიც დააპირეს. მთავრობამ ქუთაისის მისადგომები საგანგებოდ გაამაგრა. იმერეთის პარალელურად აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო რაჭაში. ადგილობრივებმა შეწყვიტეს გადასახადების გადახდა, ხელში იარაღი აიღეს და თანამოძმეთა მისაშველებლად ქუთაისისაკენ გაემართნენ. აჯანყებულებმა გურიაში სიცოცხლეს გამოასალმეს იმერეთის მმართველი პუზირევსკი, ჩოხატაურთან ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს რუსთა სამხედრო შენაერთი. ამბოხებას ხმა მისცა სამეგრელომაც. ბრძოლის მოთავეობა აქ მთავრის ძმამ, გრიგოლ დადიანმა იკისრა, რომელმაც ჩაკეტა სოხუმიდან მომავალი გზა.

მთავარმართებელმა ა. ერმოლოვმა, რომელიც ამ დროს საომარ ოპერაციებს აწარმოებდა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ, თავის დროებით შემცვლელ გენერალ ა. ველიამინოვს იმერეთში დამატებითი სამხედრო ნაწილების გაგზავნა უბრძანა.

1820 წლის აპრილში ველიამინოვი დიდძალი ჯარით აჯანყების ჩასახშობად გაეშურა. მას თან ახლდა იმერეთის ახლად დანიშნული მმართველი თავადი პ. გორჩაკოვი. რუსთა ჯარმა კვარას ციხესთან სძლია აჯანყებულ რაჭველებს და რაჭა სასტიკად დაარბია.

თავადაზნაურთა დიდი ნაწილი შეშინდა, ველიამინოვს ეახლა და რუსულ ხელისუფლებას მორჩილება განუცხადა. მთავრობის ჯარებმა ივანე აბაშიძე დაამარცხეს და ქუთაისი დაიკავეს. აჯანყებულებთან ბრძოლაში სამეგრელოს მილიციით იმერეთისაკენ გზას იკაფავდა რუსთა ერთგული მთავარი ლევან დადიანიც.

წყარო მ) XIX ს.-ის მემატიანე ნიკო დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“

გორჩაკოვმა „ყოველნი ურჩნი მოსწვა და მოაოხრა ... და ერთგულთა მისცეს წყალობანი. და ესრეთ დაამშვიდა რაჭა და შთამოვიდა კვალად ქუთაისს. მერმეთ შეუდგენ დამშვიდებასა იმერეთისასა: მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს, ხოლო ერთგულნი აღავსეს წყალობით და ესრეთის მოქმედებით დაამშვიდეს იმერეთი“.

დამარცხებული ივანე აბაშიძე ბრძოლის ველს გაეცალა და ქაიხოსრო გურიელთან ერთად ოსმალეთს შეეხიზნა. აჯანყებულთა მეთაურები: მიტროპოლიტები ექვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სოლომონ I-ის ასული დარეჯანი (ივანე აბაშიძის დედა), სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე და სხვები შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. დაპატიმრებულ მღვდელმთავრებს თავზე ტომრები ჩამოაცვეს და იმერეთიდან ფარულად გაიყვანეს. ჯარისკაცებისაგან ნაცემი დოსითეოს ქუთათელი გზაში, სურამთან გარდაიცვალა.

ველიამინოვმა სასტიკად იძია შური აჯანყების მონაწილეებზეც, ცეცხლს მისცა და გადაბუგა მათი სახლ-კარი. დაანგრია შემოქმედისა და სხვ. ციხეები, გაკაფა ბაღ-ვენახები, მთელი დასავლეთ საქართველო ააოხრა და ამბოხებული სოფლები ნაცარტუტად აქცია.

Don't copy

წყარო ნ) კავკასიის მთავარმართებელი ა. ერმოლოვი. ალექსანდრ ერმოლოვის ჩანაწერები, 1798-1826

„ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღარიბე იქნება მათი სასჯელი“.

1819-1820 წლების აჯანყება რუსულმა მმართველობამ სისხლში ჩაახშო. აჯანყების ზოგიერთი წინამძღოლი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, მტრის მიერ შეპყრობილთაგან რამდენიმე იქვე ჩამოახრჩეს, სხვებს კი ციმბირისა და სხვა გუბერნიებში უკრეს თავი. მრავალი დაპატიმრებული სხვადასხვა ვადით ციხეებში გამოკეტეს. დასჯილთა მამულებს და ქონებას ხაზინა დაეპატრონა.

დამარცხების მიუხედავად, იმერეთის აჯანყებამ კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახადა, სიფრთხილით მოჰკიდებოდა საეკლესიო რეფორმას დასავლეთ საქართველოში. ქართველი ერის შეურიგებელმა ბრძოლამ ხელისუფლება იმაშიც დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ფიქრი გარკვეულ ცვლილებათა შეტანაზე საოუკუპაციო მმართველობაში.

28. როგორ შეუწყო ხელი აჯანყებულებს საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ?
29. რა რესურსს ეყრდნობოდა ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის რეგულარულ არმიისთან ბრძოლის დროს?
30. რა იყო ყველა ამ აჯანყების მიზანი და რა ტიპის სახელმწიფოს აღდგენა უნდოდათ აჯანყებულებს?
31. როგორ მოექცნენ რუსი სამხედროები ქართველ მღვდელმთავრებს? რას გეუბნება ეს ფაქტი ქართული ეკლესიისადმი რუსეთის დამოკიდებულებაზე?
32. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 105. გაეცანი ტექსტსა და წყაროებს 1802-1820 წლებში ანტირუსული გამოსვლების შესახებ და შეავსე ცხრილი.
33. ეთანხმები თუ არა მ. წერეთლის მოსაზრებას და რატომ?

1832 წლის შეთქმულება. კოლონიური უღლისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად რუსეთში გადასახლებულმა ქართველმა ბატონიშვილებმა XIX საუკუნის 20-იან წლებში ახალი მოძრაობა წამოიწყეს. 1825 წელს დიმიტრი იულონის ძემ პეტერბურგში, 1826 წელს კი ოქროპირ გიორგის ძემ მოსკოვში ფარული წრეები ჩამოყალიბეს. მათში გაერთიანებული ქართული არისტოკრატიული წოდების წარმომადგენლები ეცნობოდნენ დასავლურ განმანათლებლურ შეხედულებებს, თავისუფლებისათვის ბრძოლის ევროპულ თუ რუსულ გამოცდილებას, მსჯელობდნენ სამშობლოს მომავალზე და მისი ხსნის გზებზე.

მოკლე ხანში მოძრაობის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. რუსეთიდან დაბრუნებულ სოლომონ დოდაშვილს, ფილადელფოს კიკნაძეს, ელიზბარ ერისთავსა და სხვებს აქ ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ასევე ერეკლე II-ის ასული თეკლა ბატონიშვილი, იულონ ერეკლეს ძის ასული თამარ ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე კატინა შეუერთდნენ. მოძრაობის ხელმძღვანელ ბირთვს ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი შეადგენდნენ.

წყარო ო) საგამომძიებლო კომისია სოლომონ დოდაშვილის შესახებ

„დოდაშვილი სხვებზე უფრო გულჩათხრობილი და ფრთხილია, ის ეხმარებოდა [შეთქმულებს] არა იმდენად მონაწილეთა გამოძებნით, რამდენადაც სხვადასხვა რჩევა-დარიგებით, წაქეზებითა და მსჯელობით თათბირებზე; მან იკისრა ქართული გაზეთის გამოცემა გონებათა ასამღვრევად, მოამზადა პროკლამაცია ხალხის აღსაშფოთებლად და საერთოდ მიმართავდა უპირატესად ამგვარ საშუალებებს“.

Don't copy

შეთქმულები საიდუმლო ანბანით სარგებლობდნენ, რომელიც ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ შეიმუშავა. მანვე შეადგინა ფარული საზოგადოების წესდებაც – „აქტი გონიური“. შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან, ჩრდილო-კავკასიელ მთიელებთან, ირანში გახიზნულ ალექსანდრე ბატონიშვილთან, პროგრესულ რუს მოხელეებთან, თბილისში საფრანგეთის საკონსულოსა და საქართველოში მყოფ პოლონელებთან. ჰქონდათ ევროპული ქვეყნების – საფრანგეთისა და ინგლისის – დახმარების იმედიც.

ქართველ პატრიოტთა დაპირისპირება თვითმპყრობელობასთან ეხმიანებოდა რუსეთის იმპერიის სხვა ჩაგრული ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას. იგი მხარს უბამდა ეპოქის საერთო მოთხოვნებსა და საკაცობრიო პროგრესულ იდეალებს.

წყარო პ) მიხეილ პოლიევქტოვი, XX ს.-ის საქართველოში მოღვაწე რუსი ისტორიკოსი, „საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის“

,,თავისი გარეგანი ფორმების მიხედვითაც კი 1832 წლის შეთქმულება... გვაგონებს იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებითაც ასე მდიდარია იმავე ეპოქის ევროპული ქვეყნების ისტორია“.

34. რატომ დაიწყო 1832 წლის შეთქმულების ორგანიზება რუსეთში და არა საქართველოში?

35. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ის ფუნქცია, რომელიც სოლომონ დოდაშვილს ევალებოდა? პასუხი დაასაბუთე.

36. გაიხსენე იმ პერიოდის ევროპის ისტორია. შენი აზრით, რა იგულისხმება წყარო ნ-ს ავტორის ფრაზებში: 1832 წლის შეთქმულება „მხარს უბამდა ეპოქის საერთო მოთხოვნებსა და საკაცობრიო პროგრესულ იდეალებს“ და „გვაგონებს იმ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებითაც ასე მდიდარია იმავე ეპოქის ევროპული ქვეყნების ისტორია“?

შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ არა მხოლოდ თავად-აზნაურთა აჯანყება, არამედ „მთელი საქართველოს ხალხის“ – ქუდზე კაცის გამოყვანა, რეგულარული პოლკების ჩამოყალიბება, რომელთაც გამოცდილი მეთაურები უხელმძღვანელებდნენ და სხვ. გამოსვლა ხელსაყრელი საგარეო ვითარების, კერძოდ, 1830 წლიდან პოლონეთში მიმდინარე აჯანყებისათვის უნდა დაემთხვიათ, მაგრამ ვერ მოხერხდა.


წყარო ჟ) ნაწყვეტი ალექსანდრე ორბელიანის წერილიდან „ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა“

„შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“.

წყარო რ) ალექსანდრე ორბელიანის საგამოძიებო ჩვენებიდან

„თამარ ბატონიშვილის წინადადებით, განზრახვა გვქონდა, მე ჩემი ცოლ-შვილით, ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავები და ჩემი ძმა ვახტანგი... წავსულიყავით იერუსალიმში, ხელმწიფე იმპერატორის ნებით, და ოსმალოს სამძღვარში რომ შევიდოდით, მაშინ ჩვენგან ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატონიშვილთან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და სწორედ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავისათვის თაყვანი უნდა გვეცა და იქიდგან ფრანციას პარიჟში მივსულიყავით. იქედგან გვსურდა... რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე, ...ჯერ აქ, პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან, შემდეგ ანგლიაში... და აქაც ეგრეთვე უნდა გვეჩივლა, მას უკან ავსტრიაში უნდა გამოვსულიყავით და აქაც ეგრეთვე უნდა გვეჩივლა და ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებიათ რუსებისგან“.

Don't copy



სურ. 3. ალექსანდრე ორბელიანი

საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე შეთქმულთა შორის ერთსულოვნება არ იყო. განიხილავდნენ სახელმწიფოს მმართველობის სამ ფორმას: მონარქიას, კონსტიტუციურ მონარქიასა და რესპუბლიკას, თუმცა უპირატესობას მაინც პარლამენტით (სეიმით) შეზღუდულ მონარქიულ წყობილებას ანიჭებდნენ. მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევას ვარაუდობდნენ. შერჩეული ჰყავდათ მინისტრობის კანდიდატებიც. აღსანიშნავია, რომ მოძრაობის არც ერთ ხელმძღვანელს მომავალი მთავრობის შემადგენლობაში თავისთვის თანამდებობა არ დაუბევებია.

შეთქმულებმა შეიმუშავეს აჯანყების კონკრეტული გეგმა – „პირველი ღამის განკარგულება“, რომელიც თბილისში განლაგებულ სტრატეგიულ ობიექტებზე შეტევის დეტალებს შეიცავდა.

წყარო ს) ნაწყვეტი სოლომონ დოდაშვილის მოწოდებიდან ქართველი ხალხისადმი

„აღვიპყრათ ხელთა მახვილი, მივცეთ მტერთა შიში ძრიელი, ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი, განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მაოხრებელნი, წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა!“

გამოსვლის თარიღი რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს კი 1832 წლის 20 დეკემბრისათვის დაინიშნა. დათქმულ დრომდე რამდენიმე დღით ადრე შეთქმულება მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა იასე ფალავანდიშვილმა გასცა. მოძრაობის მონაწილე 150-მდე კაცი დააპატიმრეს. ძიების პროცესში ისინი სამხედრო ყაზარმებში ჰყავდათ გამოკეტილი, რის გამოც ეს პერიოდი ისტორიაში „ყაზარმობის“ სახელით შევიდა.

დაპატიმრებულები თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებას სხვადასხვანაირად ცდილობდნენ. ზოგი შეთქმულებაში მონაწილეობას უარყოფდა, ზოგიც თავს შეცდომაში შეყვანის მსხვერპლად აცხადებდა და სხვ.

წყარო ტ) ნაწყვეტი სოლომონ დოდაშვილის ჩვენებიდან

„მთავარი ჩემი განზრახვა და ერთადერთი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ შემეკრიბა თავადები და მეთხოვა შემოწირულება სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოების გასამრავლებლად, მაგრამ ბოლოს დავინახე რა, რომ მათი საუბარი ამ საგანს ასცდა, თავი დავანებე... ჩვენ არა შევიწროებამ გვაფიქრებინა საქართველოს განთავისუფლება, არამედ მხოლოდ უგუნურებამ, სისულელემ, გამოუცდელობამ და ახალგაზრდობამ ჩვენმა“.

ბრალდებულნი დანაშაულის მიხედვით ჯგუფებად დაყვეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მათი საქმე 1834 წლის თებერვალში თბილისში გამართულმა სამხედრო სასამართლომ განიხილა. ყველაზე აქტიურ შეთქმულებს (13 კაცი), მათ შორის ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს, ბორჩალოელ მოლა ზამანასა და სხვებს, სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ იმპერატორის ნებით, ყველანი შეიწყალეს და სხვადასხვა ვადით გადასახლება აკმარეს. მათ გარდა, გადასახლებულთა შორის იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, თამარ იულონის ასული და სხვები.

Don't copy



სურ. 4. სოლომონ დოდაშვილი

XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის სახალხო აჯანყებებისაგან განსხვავებით, 1832 წლის შეთქმულება გარკვეულ პროგრამაზე იყო დაფუძნებული. ის მიზანმიმართული მოქმედების მცდელობას წარმოადგენდა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მთელი საქართველოს მასშტაბით ითვალისწინებდა. დამარცხების მიუხედავად, 1832 წლის შეთქმულება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამოკვეთილ ნიშანსვეტად რჩება. მან ნიადაგი შეუმზადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომლის მედროშეობა ილია ჭავჭავაძემ და სხვა „თერგდალეულებმა“ იტვირთეს.

XX ს.-ის ქართველი ისტორიკოსის გიორგი გოზალიშვილის სიტყვით: შეთქმულები „ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, შექმნილ ვითარებას სათანადოდ გამოეხმაურნენ და ღირსეული მოქმედებით უპასუხეს, რითაც საქართველოს ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელი კიდევ ჩაწერეს“.

წყარო უ) ისიდორე მანწკავა, XX ს.-ის ემიგრანტი მოაზროვნე, „ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში“

„ყველაზე მძიმე შეთქმულთათვის ის იყო, რომ მათ სახელოვანი სიკვდილიც ვერ მოახერხეს. მოსაქნევად მომზადებული ხმალი მოქნევამდე გადატყდა. მებრძოლისათვის მარცხი ყოველგვარ დამარცხებაზე სასტიკია. სწორედ ეს სასტიკი ბედი ხვდათ წილად ჩვენს შეთქმულებს და სამარადისო ჩრდილით დადაღა მათი სახეები“.

წყარო ფ) ალექსანდრე მანველიშვილი, XX ს.-ის ემიგრაციაში მოღვაწე ისტორიკოსი, „რუსეთი და საქართველო (1801-1951), ტომი პირველი“.

1832 წლის შეთქმულების შემდეგ „აჯანყების საკითხი იხსნება და მორალურად დაღლილი, ფიზიკურად განადგურებული ერი... დროებით განსვენებას ეძლევა“.

37. რამდენად შესაძლებელი იყო აჯანყებაში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხის ჩართვა? პასუხი დაასაბუთე.

38. შეადარე ერთმანეთს 1832 წლის შეთქმულების წინ ქართველებს შორის განსხვავებული თვალსაზრისი და იმსჯელე, რომელი პასუხობდა იმდროინდელ რეალობას?

39. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 106. გაეცანი 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორთა გეგმებს და შეავსე ცხრილი. იმსჯელე, მმართველობის რომელი ფორმა იყო საუკეთესო იმ ეპოქის საქართველოსთვის.

40. ევროპაში მიმდინარე რომელ ისტორიული პროცესებს შეადარებდი ამ შეთქმულებას?

41. რომელი ქვეყნებისთვის აპირებდნენ ისინი დახმარების თხოვნას და რამდენად რეალური იყო ამ დახმარების მიღება?

42. როგორ ფიქრობ, რამდენად რეალური იყო შეთქმულების გეგმა? პასუხი დაასაბუთე.

43. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 107. ერთმანეთს შეადარე 1832 წლამდე მომხდარი ანტირუსული გამოსვლებისა და 1832 წლის შეთქმულების ხასიათი და თავისებურებები.

44. შენი აზრით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ერთ-ერთ მონაწილეს რომ არ გაეცა შეთქმულება?

45. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 108. გაეცანი ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებებს 1832 წლის შეთქმულების შესახებ და შეავსე ცხრილი.

46. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 109. ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით შეავსე ცხრილი.

Don't copy

44 რატომ მოხდა კავკასიის რუსული მმართველობის ევოლუცია და როგორ მიიღო ის ქართულმა საზოგადოებამ

რუსული მმართველობის შემოღებას, რომელსაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში სათავეში მთავარმართებლები ედგნენ, ქართველი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა უკმაყოფილოდ შეხვდა. მეფობის გაუქმებამ, პირველ რიგში, სამეფო ოჯახის წევრთა ინტერესები შელახა: ისინი არა მხოლოდ ხელისუფლებას ჩამოაცილეს, არამედ საქართველოშიც აღარ გააჩერეს.

პეტერბურგში მიიჩნევდნენ, რომ ბაგრატიონების სამშობლოში ყოფნა ქართველ ხალხში სახელმწიფოებრიობის განახლების წყურვილს ასაზრდოებდა. იმის შიშით, რომ ქართლ-კახეთში გაუქმებული დინასტია ტახტზე ხელახლა არ აღედგინათ, საიმპერატორო კარმა 1803-1805 წლებში ბაგრატიონთა თითქმის მთელი საგვარეულო რუსეთში გადაასახლა.

რუსეთში დამკვიდრებული ბაგრატიონთა პირველი თაობა ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ (ცარევიჩებად) იწოდებოდა და „უგანათლებულესობის“ საპატიო ტიტულს ატარებდა. შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილთა მემკვიდრენი „გრუზინსკების“, ხოლო ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენლები „იმერეტინსკების“ გვარით იყვნენ ცნობილი.

რუსულ რეჟიმს მტრულად შეხვდა ქართველი თავადობა. ამ წარჩინებულმა წოდებამ დაკარგა როგორც სახელმწიფო, ისე სამხედრო სამსახური და შეიზღუდა მისი შეუვალობაც. 1827 წლის კანონით, საქართველოს თავადაზნაურობა რუსეთის **„დვორიანსტვოს“** გაუთანაბრეს, მაგრამ ქართველ მემამულეთა ეკონომიკური ძლიერება სათავადოთა სისტემის თანდათანობითმა მოშლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა.

თავადებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი აზნაურთა ფენაც რუსული მმართველობით უკმაყოფილო იყო. მართალია, აზნაურები თავადთა ვასალობისაგან გაათავისუფლეს და უფლებრივად მათთან გაათანაბრეს, მაგრამ ამას აზნაურობის მატერიალურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ უმოქმედია: ჯერაც ვიწრო იყო ის ასპარეზი, სადაც ქართველი აზნაური გაუქმებული მოურაობისა თუ მისთვის ხელმისაწვდომი სხვა საკარისკაცო თანამდებობის კომპენსაციას პოვებდა. ვითარება 1830-იანი წლებიდან შეიცვალა, როდესაც ქართველ თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩადგა და მეფის არმიის ოფიცერთა რიგები შეავსო. იმპერიის შეიარაღებულ ძალებში ასეულობით გენერალი და სხვა მაღალი რანგის ქართველი სამხედრო მსახურობდა, რომლებიც თავიანთი საბრძოლო მამაცობით რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებას განამტკიცებდნენ.

წყარო ა) დავით კლდიაშვილი, XIX-XX სს. მწერალი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

„ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან თავადაზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებლებში, კორპუსებში. მიჰყავდა ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდა ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივიწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებული“.

შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართველი სამღვდელოებაც. მართალია, დაბალი სასულიერო ფენა – მღვდლები, დიაკვნები, მედავითნეები და სხვები თავადაზნაურთა ყმები აღარ იყვნენ, მაგრამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეკლესიამ საზოგადოებასა და სახელმწიფოში თავისი ტრადიციული მდგომარეობა და ადგილი დაკარგა.

რუსული მმართველობის დაწესებით ქართველი გლეხკაცობა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას მოელოდა, რაც ამ ღარიბი ფენისათვის ეკონომიკურად წელში გამართვის წინაპირობად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იმედი მალე გაცრუვდა. გლეხები არა მარტო გადასახადებისაგან არ გაათავისუფლეს, არამედ დამატებითი ბეგარა-ვალდებულებებიც დააკისრეს. გლეხობისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო მათ სახლებში ჯარისკაცთა ჩასახლება, რასაც თან ახლდა მცხოვრებთა აბუჩად აგდება, პიროვნული და ოჯახური ღირსების შეურაცხყოფა, ქონების წართმევა თუ განადგურება.

Don't copy

წყარო ბ) დავით ბატონიშვილი, XIX ს.-ის დასაწყისის მემატიანე, „ახალი მოთხრობა“.

„საცა გავლიდიან რუსნი, ამჭივრებდიან სოფლელთა ცემით, ტაცებით და რთმევითა, თვინიერ თეთრისა. საცა მივიდიან რუსნი, იყო ვაებაი მათი ზედა მით, რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთა და ართმევდიან პურთა ძალითა“.

წყარო გ) კავკასიის მთავარსარდალ პასკევიჩის წერილი რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს, გრაფ კანკრინს, 1830 წ.

„განა საქართველო არ უნდა განვიხილოთ, როგორც კოლონია, რომელიც, დაამზადებს რა უხეშ მასალას ჩვენი ფაბრიკებისთვის, რუსეთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს? საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნელის კავშირ-ურთიერთობა რუსეთთან“.

1. შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული რუსული იმპერიული ხელისუფლება ქართული თავადაზნაურობის დასუსტებით? როგორ ფიქრობ, სათავადოთა სისტემის მოშლა პროგრესული ამბავი იყო თუ რეგრესული? რატომ?

2. როგორ შეიცვალა გლეხობის სოციალური ყოფა რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ?

3. ჩამოთვალე ის ღონისძიებები, რომლებიც ხელისუფლებამ გაატარა საქართველოს რუსიფიკაციის მიზნით. შენი აზრით, რომელი იყო უფრო ეფექტიანი?

4. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 110. ცხრილის სახით წარმოადგინე ცვლილება, რომელიც განიცადა სხვადასხვა სოციალური ფენის ყოფამ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ.

5. წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

6. შეადარე ეს პოლიტიკა სხვა იმპერიების მიერ საკუთარ კოლონიებში განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.

რუსული ხელისუფლება უფრო მისაღები ვაჭართა წრისათვის აღმოჩნდა, რომელშიც უმთავრესად არაქართველები ჭარბობდნენ. ქვეყანაში არსებული ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო შიდა ვაჭრობის გააქტიურებას, ხოლო საქართველოს რუსეთთან მიერთებამ იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან კავშირი გააიოლა. ამის მიუხედავად, მალე ვაჭართა შორისაც იჩინა თავი უკმაყოფილებამ, რადგან მთავრობამ ვაჭრებიც გადასახადის გადამხდელთა კატეგორიაში შეიყვანა.

საქართველოში რუსული მმართველობის ძირითადი საყრდენი ჯარი, პოლიცია და ჟანდარმერია იყო. ქვეყნის არა მხოლოდ საგუბერნიო ცენტრებში, არამედ სამაზრო ქალაქებშიც კი რუსეთის არმიის შეიარაღებული ნაწილები იდგნენ და საოკუპაციო რეჟიმს იცავდნენ.

მართვა-გამგეობის საქმეც უმთავრესად სამხედრო უწყების ხელში რჩებოდა, მმართველობას სამხედრო ხასიათი ჰქონდა და თითქმის მთელი აპარატი გასამხედროებული იყო. 1811 წელს საქართველოში შემოიღეს სამხედრო სასამართლოებიც, რომლებიც ღალატის, უცხოეთში გაქცევის, მტერთან კავშირის გაბმისა და სხვა მსგავს საქმეებს იხილავდა.

საქართველოს პირველ მთავარმართებლებს საიმპერიო კარისაგან მიღებული ჰქონდათ დავალება, მხარის რუსული მმართველობა ქართველი ხალხის „ზნე-ჩვეულებასა და გუნება-განწყობილებასთან“ შეეხამებინათ, რაც პრაქტიკაში ნაკლებად ხორციელდებოდა.

წყარო დ) ნიკოლოზ დობროლიუბოვი, XIX ს.-ის რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი, „კავკასიაში ჩვენს ბოლოდროინდელ გმირობათა მნიშვნელობის შესახებ“

„ჩვენი მმართველობა კავკასიაში სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ მოთხოვნილებებთან და ურთიერთობებთან“.

Don't copy

წყარო ე) ნიკო ბერძენიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II.

„რუსეთის მთავრობა იმისათვის მომზადებული არ აღმოჩნდა, რომ დაპყრობილ ქვეყანაში რუსული მმართველობის შემოღებისას საჭირო მოქნილობა გამოეჩინა და ქართველი ხალხის კულტურული თავისებურებისათვის შესაფერისი ანგარიში გაეწია“.

წყარო ვ) ივანე ჯავახიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“.

„საქართველოში იმხანად დამკვიდრებულ რუს მმართველთა, მთავარსარდალთა და მოხელეთა უცერემონიობას საზღვარი არ ჰქონდა... მათი ბოროტება საარაკო და აღმაშფოთებელი იყო“.

7. რა თავისებურებების გამო აკრიტიკებენ მმართველობას ა), ბ), დ), ე) და ვ) წყაროების ავტორები?
8. რატომ იწვევდა მმართველობის ეს ფორმა უკმაყოფილებას ქართულ საზოგადოებაში და შენი აზრით, რა ცვლილებებს შეიძლებოდა დაეძლია ეს პრობლემა?
9. რომელი სახელისუფლებო სტრუქტურები გახდა საქართველოში რუსული ხელისუფლების საყრდენი? რატომ?
10. შენი აზრით, რატომ მიიღეს რუსმა მთავარმართებლებმა დავალება, რომ რუსული მმართველობა „ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებასა და გუნება-განწყობილებასთან შეეხამებინათ“? რატომ დასრულდა წარუმატებლად ეს მცდელობა?
11. როგორ ფიქრობ, რა პირადი ინტერესები შეიძლებოდა ჰქონოდათ საქართველოში მოვლენილ რუს მოხელეებს?

1837 წელს საქართველოში იმპერატორი ნიკოლოზ I ჩამოვიდა. იგი უკმაყოფილო დარჩა კავკასიის ადმინისტრაციით, რომელსაც „საძაგელი მართებლობა“ უწოდა. მხარის სარევიზიოდ პეტერბურგიდან გამოგზავნილი დიდმოხელეებისთვისაც (პ. განი, მ. პოზენი და სხვ.) ცხადი გახდა, რომ მმართველობის არსებული სისტემა კოლონიური პოლიტიკის დასახულ მიზნებს ვეღარ პასუხობდა. საჭირო გახდა მისი გარდაქმნა. განხორციელდა საკადრო ცვლილებები მხარის მმართველობასა და კავკასიის კორპუსში.

1840-1841 წლებში სამხრეთ კავკასია ორ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად – „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ და კასპიის ოლქად დაიყო. 1844 წლის ბოლოს კი რუსეთის იმპერიაში შემავალ კავკასიის ტერიტორიაზე კავკასიის სამეფისნაცვლო ჩამოყალიბდა, რომლის ცენტრი თბილისი იყო.

1846 წელს „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიის დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ტფილისისა (თბილისის) და ქუთაისის გუბერნიები ჩამოყალიბდა. გუბერნიები მაზრებად იყო დაყოფილი, ხოლო მაზრები – საპოლიციო უბნებად.

კავკასიის პირველ მეფისნაცვლად გრაფი მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. ევროპაში აღზრდილ და ფართოდ განათლებულ ამ სახელმოხვეჭილ გენერალს ადმინისტრაციულ სფეროშიც საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. გამოირჩეოდა განათლებისა და კულტურული აღმშენებლობისადმი დიდი მიდრეკილებითაც.


წყარო ზ) ნიკოლოზ I-ის განკარგულება კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს, 1844 წ.

„ყველა ეს საქმე, რომელიც ამჟამად არსებული წესების მიხედვით, ამიერკავკასიის მთავარმართებლობის მიერ წარედგინებოდა გადასაჭრელად სამინისტროებს, უფლება გეძლევათ, თქვენ თვითონ გადაჭრათ ადგილზე... ამას გარდა, ნება გაქვთ, სადაც საჭიროდ დაინახავთ, ადგილობრივად მიიღოთ აუცილებლობით გამოწვეული ყველა საჭირო ზომა და ამის შესახებ, ისევე როგორც მათ გამომწვევ მიზეზებზე, მომახსენოთ პირადად მე“.

Don't copy

Do not copy

რუკ 36. რუსული ადმინისტრაციული მოწყობა კავკასიაში XIX ს. II ნახევარში



რუკა 37. ტფილისის გუბერნია



რუკა 38. ქუთაისის გუბერნია

Don't copy



რუკა 39. ზაქათალის ოლქი

Don't copy

12. შენი აზრით, რატომ ვერ პასუხობდა კავკასიის ადმინისტრაცია რუსეთის კოლონიურ ინტერესებს?

13. შენი აზრით, რატომ გახდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრი თბილისი?

14. დააკვირდი რუკა 36-სა და 38-ს და იმსჯელე, სამხრეთ კავკასიის რომელი ტერიტორია არ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რატომ?

15. გააანალიზე წყარო ზ) და იმსჯელე, რა შეიცვალა სამხრეთ კავკასიის მმართველობაში.

მეფისნაცვალს შეუზღუდავი უფლებები მიენიჭა. მას მხარის თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტა სამინისტროების გვერდის ავლით, დამოუკიდებლად, უშუალოდ იმპერატორთან შეთანხმებით შეეძლო.

ადგილობრივ მკვიდრთა დამორჩილებისა და იმპერიასთან შერწყმის მიზნით კავკასიის წინა მმართველები სამხედრო ძალასა და უხეშ ადმინისტრირებას მიმართავდნენ. ვორონცოვმა ტლანქ ძალმომრეობას ცივილიზებული მეთოდები, ალერსისა და დაყვავების კურსი შეუნაცვლა, რაც „მათრახისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკად, თანამედროვე ტერმინოლოგიით კი, **„რბილი ძალის“** გამოყენებად მიიჩნევა.

მ. ვორონცოვის ხელშეწყობით თბილისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, დაარსდა რუსული დრამატული თეატრი, იტალიური ოპერა, აღორძინდა ქართული თეატრი, გამოიცა ჟურნალი „ცისკარი“, ჩამოყალიბდა კავკასიის მუზეუმი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება და სხვ. თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და გიმნაზიები, გაფართოვდა სასკოლო ქსე-

ლი. მეფისნაცვლის ძალისხმევით, 30 ათასამდე თავად-აზნაურს თავისი სოციალური სტატუსი დაუკანონდა, ქართველი თავად-აზნაურების შვილებისათვის გამოიყო 160 სტიპენდია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. მეფისნაცვალი დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციას. ვორონცოვის მმართველობის სტილი მართლაც ადუნებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ სიფხიზლეს, ხლეჩდა მის ეროვნულ ცნობიერებას და მკვიდრი მოსახლეობის გადაგვარების რეალურ საფრთხეს შეიცავდა.

თავისი მზრუნველობით ვორონცოვმა ქართველი არისტოკრატია გაიერთგულა, ჩააბა იგი სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში და კავკასიაში იმპერიის დასაყრდენ ძალად გადააქცია.



სურ. 1 მიხეილ ვორონცოვი

16. პარაგრაფის ტექსტის სრულად გაცნობის შემდეგ მე-10 კითხვაზე შენი მოსაზრების ძირითადი არსი ხომ არ შეიცვალა?

17. შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა ვორონცოვის პოლიტიკას კულტურისა და განათლების სფეროში?

18. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 111. შეადარე ერთმანეთს ამიერკავკასიის რუსული მმართველობა 1844 წლამდე და 1844 წლის შემდეგ.

მიხეილ ვორონცოვის მმართველობას არაერთგვაროვნად აფასებდნენ მისი თანამედროვე თუ შემდგომი ხანის ქართველი მოღვაწეები.

წყარო თ) იონა მეუნარგია, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“.

„მადლიერმა კავკასიამ ძეგლი აღუმართა ვორონცოვს და დღეს იმისი სახელი ნამდვილი ისტორიული სახელი არის, რომლის შუქი მთელს XIX საუკუნეს ანათებს“.

წყარო ი) აკაკი წერეთელი, XIX-XX სს.-ის პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ვორონცოვს „უნდოდა საქართველო უკეთესს და უბრწყინვალესს თვლად ჩაექსოვა რუსეთის გვირგვინში“.

წყარო კ) არჩილ ჯორჯაძე, XIX-XX სს.-ის ქართველი საზოგადო მოღვაწე, „წარსულის გაკვეთილი“.

„ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო. ჩვენში არც წინათ, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არ ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველ წრეებში ქართული პოლიტიკური აზროვნება, ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ“.

წყარო ლ) ზაქარია ჭიჭინაძე, XIX-XX სს.-ის საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს განთავისუფლების მოღვაწენი (1832 წ. „ფარული საზოგადოება“).

„ვორონცოვმა ქართველებში ისე გაიკეთა სახელი, ვითომც იგი ქართველი ერის გულშემატკივარი იყო, ის კი არა, იგი იყო ჩუმი მტერი და ისეთი ბოროტი, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნებოდა თვით აშკარად ბოროტად ცნობილთა შორისაც“.

Don't copy

მეფისნაცვლობის დაწესებას მხარის კოლონიური მმართველობა დიდად არ შეუცვლია – იგი კვლავაც სამხედრო-პოლიციურ ხასიათს ინარჩუნებდა. იმპერიის საზღვრისპირა ადმინისტრაციულ ერთეულებს, მათ შორის ქუთაისის გუბერნიას, სათავეში სამხედრო გუბერნატორი ედგა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემაში გარკვეული კორექტივები შევიდა, თუმცა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა ბოლომდე ვერ გაიმიჯნა. ბათუმის ოლქს სამხედრო გუბერნატორი განაგებდა, სამხედროები მართავდნენ ასევე სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებს.

ზემოთ აღნიშნული და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელებით მ. ვორონცოვმა შეძლო საერთო ენის გამონახვა ქართველ თავადაზნაურობასთან და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომად გადაქცევა. აკაკი წერეთელი წერდა: „იმ დროს (მ. ვორონცოვის გარდაცვალების შემდეგ) საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ საქართველოში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ... სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დაიკარგება“.



სურ. 2. მეფისნაცვლის სასახლე თბილისში

Don't copy

19. საქართველოს რუსეთთან შეერთება როგორ აისახებოდა: ა) საქართველოს ქალაქების, პირველ რიგში, თბილისის იერსახეზე? ბ) ვაჭრობასა და ხელოსნობაზე? გ) კულტურაზე? დ) ეთნიკურ სურათზე?

20. რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის მთავარმართებლის მეფისნაცვლით ჩანაცვლება? დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, 1801 წლიდან 1844 წლამდე, რა მოვლენებმა გამოიწვია ეს ცვლილება?

21. რატომ არ სურდა რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას კავკასიაში სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა?

22. ა. ჯორჯაძის აზრით, რა სარგებელი მოუტანა რუსეთს და რა – საქართველოს ვორონცოვის პოლიტიკამ? როგორია შენი მოსაზრება ამ საკითხებზე?

23. შენი აზრით, რით აიხსნება ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკა?

24. შენი აზრით, რატომ აფასებდნენ ქართველი მოღვაწეები არაერთგვაროვნად მ. ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკას და მისი მმართველობის სტილს? შენ რომელ მოსაზრებას ეთანხმები და რატომ?

25. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 112. შეაფასე ვორონცოვის მმართველობის შედეგები.

დვორიანსტვო – რუს. იურიდიულად გაფორმებული საერო მიწათმფლობელთა პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელიც სასულიერო წოდებასთან ერთად შეადგენდა გაბატონებულ კლასს.

რბილი ძალა – სახელმწიფოს კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის არა იძულების, არამედ თანამშრომლობის, მიმზიდველობის, დარწმუნების მეთოდებით სარგებლობა.

ასიმილაცია – შერწყმა; აქ – ერთი ხალხის ეროვნული თავისებურების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში.

წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნის შუა ხანების საქართველოში, მეფისნაცვალ ვორონცოვის ეპოქაში, მოღვაწეობ და **პუბლიცისტი** ხარ. კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გადაწყვიტე, დაწერო პუბლიცისტური წერილი, რომელშიც წარმოაჩენ რუსეთის იმპერიისა და საქართველოს ურთიერთობას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიიდან მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობამდე. შენ მიერ დაწერილი წერილი, გსურს, ახლად გახსნილ საზოგადოებრივ-პოპულარულ ჟურნალში გამოაქვეყნო.

წერილში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა მიზეზებმა განაპირობა 1802-1832 წლის ანტირუსული გამოსვლები, რა რესურსებს ეყრდნობოდნენ აჯანყებულები და რა შედეგით დასრულდა ეს ისტორიული პროცესები? (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 1, ძალაუფლება მკ.წ. 3)
- რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსთა შორის 1832 წლის შეთქმულების შედეგების შესახებ და რამდენად რეალური იყო შეთქმულთა მოსაზრებები საქართველოს სამომავლო მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით? (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 2, ძალაუფლება 4,5,)
- როგორ იბრძოდა რუსეთის ხელისუფლება ქართულ ეკლესიაზე გავლენის მოსაპოვებლად და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისთვის ეკლესიის თვითმყოფადობის შენარჩუნებას? (ძალაუფლება, მკ.წ, 1)
- რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე? (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 3)
- რა ცვლილებები მოხდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თავლსაზრისით? (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 4)
- რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა რუსეთის მმართველობის პერიოდის საქართველოში და რა როლს ასრულებდნენ ისინი რუსული მმართველობის შენარჩუნების პროცესში? (ძალაუფლება, მკ.წ. 2)

პუბლიცისტი – მწერალი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე წერს.

Don't copy

ქვეთავი II. რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად

45 რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის პირველი მესამედის რუსეთის კავკასიური ომების შედეგად

სამხრეთ კავკასიაში დასამკვიდრებლად XIX საუკუნეში რუსეთმა ირანსა და ოსმალეთთან ექვსი ომი გადაიხადა. ყველა ამ ომის დროს საქართველოზე ან ფრონტის ხაზი გადიოდა, ან მისი ფუნქცია ზურგის უზრუნველყოფა იყო. მრავალრიცხოვანი ქართველი გენერლებისა და ოფიცრების გარდა, საბრძოლო ოპერაციებში საქართველოდან გაწვეული ათეულ ათასობით მოლაშქრე ან **რეკრუტი** მონაწილეობდა.

წყარო ა) ქართველი და რუსი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები რუსეთის კავკასიურ ომებში ქართველების მონაწილეობის შესახებ:

გრიგოლ ორბელიანი: „იყო სამოცი წელიწადი ბრძოლა და ამ ბრძოლაში ყოველთვის მსახურობდნენ თავადაზნაურნი თავგანწირვით. რომელი ოჯახი არის, რომ არ ჰყავდეს რამდენიმე დაჭრილ-დახოცილი ომში?“

ილია ჭავჭავაძე: „ქართული დროშა, რუსეთის დროშასთან ერთად, არაერთხელ გამოსულა საომარს ველზე და მისი წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია სისხლი რუსებთან ერთად“.

ალექსანდრ პუშკინი: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ დაამტკიცეს თავიანთი მამაცობა ჩვენი დროშის ქვეშ“.

1. **რატომ მონაწილეობდნენ ქართველები რუსეთის ომებში ოსმალეთთან და ირანთან?**
2. **შენი აზრით, ეს ომები საქართველოსთვის მომგებიანი იყო? პასუხი დაასაბუთე.**
3. **წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, როგორ იყენებდა რუსეთის იმპერია ქართველი ხალხის მხედრულ სიმამაცეს.**
4. **როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიას რუსეთის წინააზიურ პოლიტიკაში?**

რუსეთ–ირანის 1804–1813 წწ. ომი

სამხრეთ კავკასიაში არსებული სამეფო-სამთავროებისა და სახანოების რუსეთის იმპერიაში **ინკორპორაციამ** გაამწვავა ცარიზმის ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან. ალექსანდრე I მოელოდა, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკის მეტისმეტად გააქტიურება მას ამ ქვეყნებთან სამხედრო კონფლიქტამდე მიიყვანდა, მაგრამ ვიდრე რუსეთი ნაპოლეონთან იყო დაპირისპირებული, ცდილობდა, გარკვეული დროით მაინც აეცილებინა თავიდან მოსალოდნელი შეტაკება, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

რუსეთის სტრატეგიული პლაცდარმის შექმნა ირან-ოსმალეთის საზღვრებთან მიუღებელი იყო ოფიციალური ლონდონისა და პარიზისათვის, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში თავიანთი სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ. ამასთან, ინგლისს ირანში პოზიციების გამაგრება ინდოეთის დასაცავად სურდა, საფრანგეთს კი – ინდოეთზე თავდასასხმელად. ნაპოლეონი იმედოვნებდა, რომ შაჰი, რომელიც საქართველოს სპარსელებისთვის წართმეულ ქვეყნად მიიჩნევდა და მისი დაბრუნება სურდა, რუსეთთან ომის მეორე ფრონტს გახსნიდა.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიამ და განჯის დაკავებამ ირანი დიდად აღაშფოთა. 1804 წლის გაზაფხულზე საქართველოდან რუსეთის განსადევნად შაჰმა ჯარების მობილიზაცია დაიწყო. კავკასიის მთავარმართებელმა ციციანოვმა მოწინააღმდეგეს დაასწრო და იქით შეუტია. პირველი შეტაკებები მეომარ მხარეთა შორის 1804 წლის ივნისში **გუმბრის** მიდამოებში და **ეჩმიაძინის** მისადგომებთან გაიმართა. ციციანოვმა ირანის ჯარების მხედართმთავრის, აბას მირზას, ლაშქარს უკან დაახევინა, შემდეგ ერევნისაკენ დაიძრა და ქალაქი ალყაში მოაქცია.

Don't copy

ომი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ირანელებმა საქართველოში მომხდარი ანტი-რუსული აჯანყებებით ვერ ისარგებლეს. ირანის შაჰს დახმარებას ხან საფრანგეთი უწევდა, ხან ინგლისი, მაგრამ გამარჯვება მაინც რუსეთის იმპერიას დარჩა.

წყარო ბ) ე. ლავისი, ა. რამბო, XIX- XX სს. ფრანგი ისტორიკოსები, XIX საუკუნის ისტორია

საქართველოს საკითხი ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში: „ნაპოლეონი აღიარებდა ფათჰ-ალი შაჰის უფლებებს საქართველოზე და ვალდებულებას იღებდა, რომ აიძულებდა რუსებს, დაეტოვებინათ საქართველო და ირანის ტერიტორიები“.

1812 წლის ოქტომბერში **ასლანდუზთან** გამართულ ბრძოლაში რუსებმა აბას მირზას მრავალ-რიცხოვანი არმია გაანადგურეს, რამაც ირანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა. რუსეთ-ირანის გაჭიანურებული ომი 1813 წლის 12 ოქტომბერს გულისტანის ზავით დამთავრდა.

რეკრუტი – ახლად გაწვეული ჯარისკაცი.
გუმბრი, იგივე გიუმრი – ქალაქი სომხეთში.
ეჩმიაძინი – ქალაქი სომხეთში.
ფინკენშტაინის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა საფრანგეთის იმპერიასა და სპარსეთს შორის 1807 წელს, რუსეთ-ირანის ომის მიმდინარეობისას.
ასლანდუზი – ქალაქი ირანში.

წყარო გ) ნაწყვეტი გულისტანის ტრაქტატიდან, 1813 წ.

მუხლი 3: მისი უდიდებულესობა შაჰი ფათჰ-ალი საზეიმოდ ცნობს რუსეთის იმპერიის სა-კუთრებაში ყარაბაღისა და განჯის სახანოებს, აგრეთვე შაქის, შირვანის, დერბენდის, ყუბის, ბაქოს, თალიშის სახანოებს. ამასთან ერთად მთელ დაღესტანს, საქართველოს, იმერეთს, გურ-იას, სამეგრელოს, აფხაზეთს და ყველა იმ მიწას, რომელიც მდებარეობს ამჟამად დადგენილ საზღვარსა (ირან-რუსეთის) და „კავკასიის ხაზს“ შორის.

მუხლი 5: კასპიის ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება ექნებათ რუსეთისა და სპარსე-თის სავაჭრო ხომალდებს. სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება ექნება მხოლოდ რუსეთს.


5. რა ინტერესები ჰქონდათ ევროპის დიდ სახელმწიფოებს კავკასიის რეგიონში? შეეძლო თუ არა ქართულ საზოგადოებას ამ ინტერესების თავის სასარგებლოდ გამოყენება?
6. გამოთქვი ვარაუდი, რა საშიშროება ემუქრებოდა ირანს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე კონ-ტროლის დაკარგვის შემდეგ?
7. რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის გულისტანის ზავით ამიერკავკასიის ტერ-იტორიების მის სამფლობელოდ აღიარებას?
8. რა უპირატესობას აძლევდა რუსეთს სამხედრო ფლოტის ერთპიროვნულად ყოლის უფლება კასპიის ზღვაზე?
9. შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა კავკასიის სოციალურ-კულტურულ ყოფაზე ირანული გავლენის რუსულით ჩანაცვლება?
10. რა ტიპის წყაროა გულისტანის ტრაქტატი?

რუსეთ-ირანის 1826–1828 წწ. ომი

რუსეთთან ხელახლა დასაპირისპირებლად ირანს ინგლისი აგულიანებდა, რომელმაც შაჰს სამხედრო საჭიროებისათვის სოლიდური თანხა და იარაღი გამოუყო. ბრიტანელი სპეციალისტე-ბი მონაწილეობდნენ ირანის საბრძოლო გეგმების შემუშავებაში, კადრების მომზადებაში და სხვ. ირანმა რუსეთის წინააღმდეგ ომი 1826 წლის ივლისში წამოიწყო. მიზანი სამხრეთ კავკასიის, მათ შორის თბილისის დაუფლება და რეგიონიდან რუსეთის განდევნა იყო.

ომის საწყისი ეტაპი ირანელთა უპირატესობით წარიმართა. ზაფხულის განმავლობაში ირანის ჯარებმა წინა ომში დაკარგული ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნეს, ბაქოსაც მიადგნენ, მაგრამ წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა.

Don't copy


რუსეთ – ირანის ომები სამხრეთ კავკასიისათვის
XIX ს. პირველ მესამედში
შავი ზღვა
ოსმალეთი
ირანი
ჩრდილოეთ კავკასიის ოლქები
ტრაპიზონი
ბათუმი
ქობულეთი
ფოთი
ბიჭვინთა
სოხუმი
ბზიფი
ილორი
ბედია
ზუგდიდი
ქუთაისი
ახალციხე
ახალქალაქი
ყარსი
დასავლეთ საქართველოს სამთავრო
სვანეთის სამთავრო
სამეგრელოს სამთავრო
იმერეთის სამეფო
გურია
საქართველოს სამეფო
თბილისი
გორი
თელავი
ბორჩალოს მაზრა
ნახჭევანის სახანო
ერევანის სახანო
ყარაბაღის სახანო
განჯის სახანო
შაქის (ნუხის) სახანო
შირვანის სახანო
ყუბის სახანო
ბაქოს სახანო
დარუბანდის სახანო
თალიშის სახანო
ბაიაზეთი
ნახჭევანი
ერევანი
შამქორი
განჯა
გულისტანი
შუშა
შამახაია
ბაქო
ყუბა
დარუბანდი
ხუნძახი
ტარკი
წახური
ლენქორანი
არდებილი
ასტარა
თავრიზი
თურქმანჩაი
ვანის ტბა
სევანის ტბა
ურმიის ტბა
არაქსი
მტკვარი
ალაზანი
სამხრეთ კავკასიის სახანოების დაპყრობა რუსეთის მიერ რუსეთ-ირანის 1804-1813 და 1828-1829 წწ. ომების შედეგად
1804 - განჯის სახანო
1805 - შაქის სახანო
1805 - შირვანის სახანო
1805 - ყარაბაღის სახანო
1806 - ბაქოს სახანო
1806 - ყუბის სახანო
1806 - დარუბანდი
1813 - თალიშის სახანო
1828 - ერევნის სახანო
1828 - ნახჭევნის სახანო
1830 - ჭარ-ბელაქანი
პირობითი აღნიშვნები
სახელმწიფო საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
ადმინისტრაციული ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ბრძოლის ადგილი

რუსეთის არმიამ საბრძოლო მოქმედებები 1827 წლიდან გაშალა, როდესაც კავკასიის ჯარების სარდლად ერმოლოვის ნაცვლად გენერალი პასკევიჩი დაინიშნა. პასკევიჩმა ჯერ ნახჭევანის, შემდეგ კი ერევნის სახანოები დაიმორჩილა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად პასკევიჩს „ერევნელის“ ტიტული უბოძეს, მთავარმართებლის პატივსაცემად კი თბილისის მთავარ – დღევანდელ თავისუფლების – მოედანს ერევნელის მოედანი დაერქვა.



ერევნისათვის ბრძოლაში ქართველთა 600-კაციანი რაზმი მონაწილეობდა, რომელსაც გენერალი რომან ბაგრატიონი მეთაურობდა. ქალაქის მისადგომებთან მამაცურად იბრძოდა მომავალი გენერალი, პოეტი გრიგოლ ორბელიანიც. სწორედ ერევნის აღებამ შთააგონა მას პოემა „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“.

გენერალმა გიორგი ერისთავმა მცირე რაზმით მდინარე არაქსი გადალახა და მოულოდნელი იერიშით ირანის მეორე სატახტო ქალაქი, თავრიზი, აიღო.

სურ. 1. გრიგოლ ორბელიანი

წყარო დ) ნიკო ბერძენიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II.

„საუკუნოვან მტერზე შურისძიების ნიშნად გიორგი ერისთავმა ქართველ მეომრებთან ერთად შაჰის სასახლეში ფერხული დაუარა და „თბილისის აოხრების ჯავრი ამოიყარა“.

წყარო ე) რუსი მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. ომში საქართველოს მონაწილეობის შესახებ

„საქართველომ პურით, სასაპალნე და გამწევი პირუტყვით, გადამრეკებით და სხვ. საერთო ანგარიშით მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამის გაკეთებას შეძლებდა რუსეთის ყველაზე უფრო აყვავებული ოლქთაგანი მაშინ, როცა მოსახლეობით და სიდიდით იგი ველიკორუსული გუბერნიების მხოლოდ სამ მოზრდილ მაზრას უდრის“.

1828 წლის 10 თებერვალს სოფელ თურქმანჩაიში ირანსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულება გაფორმდა. მან მთლიანად დაადასტურა გულისტანის ზავის ყველა პირობა. დამარცხებულმა შაჰმა 20 მილიონი მანეთის **კონტრიბუცია** იკისრა. 1830 წელს რუსეთმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ **ჭარ-ბელაქნის** მხარეც შეიერთა.

წყარო ვ) ნაწყვეტი თურქმანჩაის ზავიდან, 1828 წ.

მუხლი 3: სპარსეთის შაჰი თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით სრულ საკუთრებაში გადასცემს რუსეთის იმპერატორს ერევნის სახანოს, ნახიჭავანის სახანოს, მდ. არაქსის ორსავე მხარეს.

მუხლი 5: სპარსეთის შაჰი აღიარებს ზემოთ ხსენებულ სასაზღვრო ზოლს, კავკასიონის ქედსა და კასპიის ზღვას შორის მდებარე მიწებს აქ მცხოვრები ხალხებით სამუდამოდ რუსეთის იმპერიის მფლობელობაში.

მუხლი 8: კასპიის ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება ექნებათ რუსეთის და სპარსეთის სავაჭრო ხომალდებს. სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება ექნება მხოლოდ რუსეთს.

კონტრიბუცია – ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს საზავო ხელშეკრულების ძალით.

ჭარ-ბელაქანი – XVIII საუკუნის I მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (ისტორიული კაკ-ენისელი) დაღესტნელი ფეოდალების მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეული; იგივეა, რაც გვიანდელი საინგილო.

Don't copy

11. როგორ აისახებოდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე რუსეთ-ირანის ომები?
12. თბილისის რომელ აოხრებაზე „ჯავრის ამოყრას“ გულისხმობდა გიორგი ერისთავის საქციელი თავრიზის აღების შემდეგ (წყარო დ)?
13. შენი აზრით, რა შეიცვლებოდა რუსეთის იმპერიის მიერ ჭარ-ბელაქნის ხელში ჩაგდების შემდეგ? რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას?
14. როგორ გესმის ტრაქტატის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით ირანი სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს „სამუდამოდ რუსეთის მფლობელობაში“ აღიარებს? ამ ხალხების რა უფლებებია დარღვეული?
15. გააანალიზე გ) და ე) წყაროები და რუკა 39 და იმსჯელე, რა ტერიტორია მიიღო რუსეთის იმპერიამ ირანთან ომების შემდეგ.
16. შენი აზრით, რა სარგებელი მიიღო საქართველომ ამ ომების შედეგად?

რუსეთ–ოსმალეთის 1806–1812 წლების ომი

რუსეთის მეორე მთავარი მოწინააღმდეგე კავკასიაში ოსმალეთის იმპერია იყო. ოსმალეთის სულთანი მთელ დასავლეთ საქართველოს თავის სამფლობელოდ თვლიდა, მაგრამ რუსეთმა ისე მოახერხა სამეგრელოს სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღება, ოსმალეთს განსაკუთრებული პროტესტი არ გამოუხატავს.

ირანთან 1804 წელს დაწყებული ომის მსვლელობისას რუსეთს შეტაკება ოსმალეთთანაც მოუწია. 1806 წლის ნოემბერში რუსეთმა ბალკანეთში ჯარი შეიყვანა, მოლდოვასა და ვლახეთის ზოგიერთ გამაგრებულ პუნქტს დაეუფლა და ბუქარესტიც ხელთ იგდო. იმავე წლის დეკემბრის ბოლოს სულთანმა სელიმ III-მ რუსეთს ომი გამოუცხადა. ბრძოლები ორ რეგიონში – ბალკანეთსა და კავკასიაში მიმდინარეობდა.

წყარო ზ) ელდარ მამისთვალიშვილი, XX-XXI საუკუნეების ისტორიკოსი, „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, ტ. III.

„რუსი პოლიტიკოსები და დიპლომატები საქართველოსთან ურთიერთობას ფორმალურად აგებდნენ ქრისტიანულ კაცთმოყვარეობასა და სუსტის დაცვის პრინციპებზე, რომ ისინი იღვწოდნენ ქრისტიანული საქართველოს მუსლიმანთა მონობისაგან დახსნისათვის... რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების გაგებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოტყუებულ ქართველებს რაც შეიძლება მეტი ადამიანური და მატერიალური რესურსი უნდა გაეღოთ რუსეთის ოსმალეთზე გამარჯვებისათვის“.

კავკასიის ფრონტზე არსებითი გარდატეხა მოჰყვა 1807 წელს რუს-ქართველთა გამარჯვებას მდინარე არფაჩაის სანაპიროზე. მოწინააღმდეგის მარცხმა შეაფერხა და ჩაშალა ირან-ოსმალეთის მოსალოდნელი სამხედრო კოალიცია. ოსმალეთმა რუსეთთან დასაპირისპირებლად ვერც ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ამხედრება შეძლო.

მეომარი მხარეები ორი წლით დაზავდნენ (1807 წლის აგვისტო – 1809 წლის მარტი). რუსეთმა იმერეთსა და სამეგრელოში პოზიციები შეინარჩუნა, მაგრამ ალექსანდრე I-ს ჯარი უნდა გაეყვანა მოლდოვა-ვლახეთიდან.

საომარი მოქმედებების განახლების შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1809 წლის შემოდგომაზე ფოთის ციხის დაუფლებას და მომდევნო პერიოდში სოხუმისა და ახალქალაქის აღებას. 1812 წლის 16 მაისს ბუქარესტში ხელმოწერილი ზავით მეფის მთავრობამ ოსმალეთს უკანვე დაუბრუნა ფოთი და ახალქალაქი, მაგრამ შეინარჩუნა იმერეთი და აფხაზეთის სამთავრო. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ბზიფიდან ჩოლოქამდე რუსეთის ხელში გადავიდა.

წყარო თ) ნაწყვეტი ბუქარესტის ხელშეკრულებიდან, 1812 წ. მაისი

სტატია 6. რუსეთის იმპერია ვალდებულია, დაუბრუნოს ბრწყინვალე პორტას (ოსმალეთს) კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები. დასავლეთ საქართველოს მმართველების ის მიწები, რომლებიც ნებაყოფლობით გახდა რუსეთის ქვეშევრდომი, რჩება იმპერიის შემადგენლობაში.

საიდუმლო პუნქტი 2. რუსეთის იმპერიის ხომალდებს უფლება ეძლევა, გამოიყენონ ოსმალეთის სანაპიროს ნავმისადგომები ქ. ფოთთან.

Don't copy

17. მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენე, რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1812 წლის შემოდგომაზე და გამოთქვი ვარაუდი, რატომ დაუბრუნა ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ოსმალეთს ახალქალაქი და ფოთი?
18. რატომ ჰქონდა რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ომებში ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების თანადგომას?
19. რას ემყარებოდა რუსული იმპერიული იდეოლოგია საქართველოსთან მიმართებაში (წყარო ვ)? როგორ და რატომ იყენებდა მას რუსეთი ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმოებული ომების დროს?
20. რას გეუბნება ბუქარესტის ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტი (პუნქტი 2) რუსეთის იმპერიის სამომავლო მიზნების შესახებ?



სურ. 2. ალექსანდრე ჭავჭავაძე

რუსეთ–ოსმალეთის 1828–1829 წლების ომი

სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და დაპყრობილ ქვეყნებში (სერბეთში, საბერძნეთში) აზვირთებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ XIX საუკუნის 20-იანი წლებში ოსმალეთის იმპერია დაშლის პირას მიიყვანა. ევროპის სახელმწიფოები ახლა ერთმანეთს ამ „მომაკვდავი“ იმპერიის დანაწილებისათვის ეცილებოდნენ. ასე წარმოიშვა ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცა.

ოსმალეთი ბუქარესტის ზავის პირობებს აღარ ასრულებდა. სულთანი დასავლეთ საქართველოს რუსთაგან დაცლას მოითხოვდა, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ჩაკეტა და თავისი სამფლობელოებიდან რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა გაძევება დაიწყო.

1828 წლის აპრილში რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. საომარი მოქმედება, ტრადიციულად, ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე გაიშალა. რუსეთის ჯარებმა დუნაის პროვინციები იოლად დაიკავეს, მაგრამ შემდგომი წინსვლა ვეღარ შეძლეს და პოზიციურ ბრძოლებზე გადავიდნენ.

უფრო შესამჩნევი წარმატებები რუსთა შეტევას აზიის მიმართულებით მოჰყვა. 1828 წლის ივნისში დაეცა თურქთა მძლავრი ციხესიმაგრე ყარსი. ივლისში კავკასიის კორპუსმა გრაფ პასკევიჩის სარდლობით ახალქალაქი აიღო, ხოლო აგვისტოში – ახალციხე. მალე ალექსანდრე ჭავჭავაძემ ბაიაზეთი და მთელი მისი საფაშო რუსეთის იარაღს დაუმორჩილა.

1829 წლის შემოდგომაზე გენერალმა ჰესემ იერიში მიიტანა აჭარაზე, მაგრამ სამხედრო ექსპედიცია სათანადოდ არ ყოფილა მომზადებული და რუსთა ჯარმა ციხისძირთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. აჭარისა და ქვემო გურიის შემოერთების ცდა წარუმატებელი გამოდგა.

სამხრეთკავკასიელთა, მათ შორის, ქართველ მოლაშქრეთა, მრავალრიცხოვანი ქვეითი თუ ცხენოსანი რაზმები რუს ჯარისკაცთა გვერდით თავდადებით იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ.

წყარო ი) გრაფი პასკევიჩი გურიის მოლაშქრეთა საბრძოლო მამაცობის შესახებ


მოლაშქრეებმა გადააჭარბეს ყოველგვარ მოლოდინს და იმსახურებენ იმას, რომ მოწინააღმდეგის ბანაკიდან წამოღებული მთელი ნადავლი მათ გადაეცეს.

იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ომში აქტიური მონაწილეობისათვის გურიის მოსახლეობას დროშა აჩუქა სამადლობელო წარწერით.

ცალკეულ საბრძოლო შენაერთებს უნარიანად მეთაურობდნენ ქართველი ოფიცრები და გენერლები. საქართველოს მოსახლეობა მებრძოლთა ზურგის უზრუნველყოფაშიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა. ქართული ლაშქარი ათავისუფლებდა თავისი ქვეყნის სამხრეთის ისტორიულ მიწა-წყალს, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

რუსეთის არმიამ ენერგიულად შეუტია ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. ევროპის სახელმწიფოთა შუამდგომლობით საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა. ოსმალეთი დამარცხდა. ადრიანოპოლის ზავით, რომელიც 1829 წლის 14 სექტემბერს დაიდო, ომი დამთავრდა.

Don't copy



რუკა 41. რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წწ. ომი და ქართული მიწების დაბრუნება

წყარო კ) ნაწყვეტი ადრიანოპოლის ტრაქტატიდან, 1829 წ.

მუხლი 2: მოლდოვა, ვლახეთი, რუმელია და რუსეთის მიერ დაკავებული ყველა ტერიტორია უბრუნდება ოსმალეთს.

მუხლი 4: შავი ზღვის სანაპირო ყუბანის შესართავიდან შეკვეთილამდე რუსეთის იმპერიას გადაეცა. საქართველო, იმერეთი, სამეგრელო, გურია და ამიერკავკასიის მრავალი სხვა ოლქი დიდი ხნის წინ სამუდამოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიას. აზიაში რუსეთის საიმპერატორო კარისა და ოსმალეთის ბრწყინვალე პორტას შორის საზღვარი გაივლოს იმგვარად, რომ ქალაქი ახალციხე და ახალქალაქის ციხესიმაგრე აღმოჩნდეს სასაზღვრო ხაზიდან ორი საათის სავალზე ჩრდილოეთით... რუსეთის საიმპერატორო კარი უბრუნებს ბრწყინვალე პორტას ახალციხის საფაშოს დანარჩენ ნაწილს, ქალაქებს: ყარსს, ბაიაზეთს, არზრუმს.

მუხლი 7: ბრწყინვალე პორტა ცნობს შავ ზღვაზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალ ნაოსნობას ყველა კეთილგანწყობილი სახელმწიფოს სავაჭრო ხომალდებისათვის.

მუხლი 13: მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განაახლებენ გულწრფელ მეგობრობას, ანიჭებენ საყოველთაო შეწყალებას და სრულ ამნისტიას თავიანთ ქვეშევრდომებს... ქვეშევრდომებს, მცხოვრებთ ტერიტორიაზე, რომელიც დაუბრუნდა ბრწყინვალე პორტას ან დაეთმო რუსეთის საიმპერატორო კარს, ეძლევათ რატიფიკაციიდან 18 თვე, რათა, თუ საჭიროდ ჩათვლიან, განკარგონ ომამდე თუ ომის შემდგომ შეძენილი ქონება და თავისი ქონებით მეორე მხარეს გადავიდნენ.

21. როგორ ფიქრობ, ევროპის რომელი დიდი სახელმწიფოები იქნებოდნენ ჩართული აღმოსავლეთის საკითხში? გამოთქვი ვარაუდი, რა დაინტერესება ექნებოდა თითოეულ მათგანს?

22. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 113. დიაგრამის გამოყენებით იმსჯელე ოსმალეთის იმპერიის დაშლის ხელშემწყობ და ხელის შემშლელ ფაქტორებზე.

23. რა ტერიტორია მიიღო რუსეთის იმპერიამ ადრიანოპოლის ზავით?

Don't copy

24. შენი აზრით, რატომ იბრძოდნენ განსაკუთრებული შემართებით ქართველი ოფიცრები და მოლაშქრეები?

25. რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხეს ოსმალეთის იმპერიისთვის? რა შეიცვლებოდა რუსეთის იმპერიის მიერ ამ ქალაქის დაუფლების შემდეგ?

26. როგორ განისაზღვრა ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ახალი მფლობელის ხელში გადასული მოსახლეობის ბედი? შენი აზრით, რა არჩევანს გააკეთებდა მოსახლეობა?

27. რა ინტერესები ჰქონდა რუსეთის იმპერიას შავ ზღვასთან მიმართებაში? შენი აზრით, დააკმაყოფილა თუ არა მისი მოთხოვნები ადრიანოპოლის ტრაქტატმა?

სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ახალციხის ოლქი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგში თბილისის გუბერნიაში შემავალ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებად გადაკეთდა.

ისტორიული მესხეთის ნაწილის საქართველოსთან შეერთებას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მეფის მთავრობის ანტიქართულმა პოლიტიკამ იგი რამდენადმე გააფერმკრთალა. ადრიანოპოლის ზავს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის რადიკალური შეცვლა მოჰყვა. მანამდე ახალციხის საფაშოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას გამუსლიმებული ქართველები შეადგენდნენ. სამხრეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ისე ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ქართველ მუსლიმთა დიდი ნაწილი ყოფილი საფაშოს ტერიტორიიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ადრიანოპოლის ზავის დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში სამცხე-საათაბაგოდან ოსმალეთში 70-75 ათასი ქართველი მუსლიმი გადასახლდა.

კორპუსი – მუდმივი ან დროებითი სამხედრო ფორმირება საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად.

წყარო ლ) ივანე ჯავახიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „მოხსენება საქართველოს მთავრობისადმი“, 1925 წ.

„1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30 ათასი მცხოვრები ჩაასახლა“.

28. შენი აზრით, რამ განაპირობა რუსეთის წარმატება სპარსეთთან და ოსმალეთთან ომებში?

29. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მიწების ერთი იმპერიის ფარგლებში მოქცევას?

30. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 114. შეავსე ცხრილი XIX საუკუნეში კავკასიაში დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების შესახებ.

31. როგორ ფიქრობ, რატომ შეიტანეს ადრიანოპოლის ტრაქტატში რუსეთისა და ოსმალეთის მხარეებმა 18-თვიანი ვადა ქვეშევრდომთა თავისუფალი გადასახლებისათვის?

32. რომელ მოსახლეობას ასახლებდა დაცარიელებულ ტერიტორიებზე რუსეთი და რატომ?

33. რა პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა რუსეთს ახლად შემოერთებული მიწების მოსახლეობის მიმართ?

34. რა დამოკიდებულება აქვს წყარო ლ)-ს ავტორს სამხრეთ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაციასთან დაკავშირებით? რატომ?

35. როგორ შეიცვალა საზღვრები რუსეთ-სპარსეთ-ოსმალეთის 1804-1813 და 1826-1829 წწ.-ის ომების შედეგად სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში?

36. შეაფასე რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგები საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიისთვის. მოიძიე რუკა 41-ზე ჩამოთვლილი პუნქტები.

37. ტექსტისა და წყაროების მიხედვით აღწერე სამხრეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები.

38. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 115. სახელმძღვანელოს ტექსტის, წერილობითი წყაროებისა და რუკების გამოყენებით შეავსე ცხრილი. ჩაწერე სხვადასხვა საერთაშორისო საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პირობები კავკასიისა და საქართველოსათვის.

Don't copy

46 რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ომებს საქართველოსთვის


ყირიმის ომი და საქართველო

1853 წლიდან კავკასია კიდევ ერთხელ იქცა ომის ასპარეზად. შეტაკება თავდაპირველად რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო, მაგრამ მალე ომში ოსმალეთის მხარეზე ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და სარდინიის სამეფო ჩაერთვნენ. ეს ომი ისტორიაში ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი, რადგან მთავარი მოვლენები ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარდა.

საბრძოლო მოქმედებები ამჯერად უფრო მრავალ ფრონტზე გაიშალა, მათ შორის ბალტიის, თეთრ, აზოვისა და ბარენცის ზღვებში, ასევე, კამჩატკაზეც, მაგრამ, დუნაისპირეთის, ყირიმისა და კავკასიის გარდა, ომს ყველგან ლოკალური ხასიათი ჰქონდა. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება ძირითადად ისევ ორ რეგიონში – ბალკანეთსა და კავკასიაში მიმდინარეობდა. რუსეთს პრიორიტეტულ მიმათულებად ბალკანეთი მიაჩნდა, რადგან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება და შავ ზღვაზე კონტროლის დამყარება სურდა.

რუსეთის ამბიციურ გეგმებს წინ აღუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა ფლოტმა იერიში მიიტანა სევასტოპოლზე. ადგილობრივი გარნიზონი თერთმეტი თვის განმავლობაში იგერიებდა იერიშებს. სევასტოპოლის ყურეში რუსებმა ცარიელი ხომალდებიც კი ჩაძირეს, რომ მოწინააღმდეგისათვის ზღვიდან მისასვლელი ჩაეხერგათ, მაგრამ ქალაქის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ოსმალეთმა ისარგებლა ყირიმში რუსეთის წარუმატებლობით და კავკასიისაკენ 60-ათასიანი არმია დაძრა. 1855 წლის სექტემბერში თურქთა საექსპედიციო კორპუსი ომერ ფაშას მეთაურობით შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსხდა და სამეგრელოში შეიჭრა. მათ მოსაგერიებლად ადგილობრივ **მილიციას** სათავეში ჩაუდგა სამეგრელოს მთავრის ქვრივი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელიც მტერს იარაღასხმული ებრძოდა.



რუკა 42. 1853-56 წწ. ყირიმის ომი და საომარი მოქმედებები დას. საქართველოს ტერიტორიაზე

Don't copy

წყარო ა) კავკასიაში ინგლისის აგენტის ფ. ლონგუორტისა და საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკის გრაფ მეფრეს დაპირებები ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი:



სურ. 1. ეკატერინე ჭავჭავაძე

„ევროპამ ახლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი... გაათავისუფლოს; ევროპას სურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულ ხალხს; რომ იმ განძით და სიმდიდრით, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ“.

სულთანმა აბდულ ჰამიდ I-მა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინამძღოლს, იმამ **შამილს, ჯიჰადისაკენ** მოუწოდა. 1855 წელს შამილი თავისი რაზმებით კახეთს შეესია. თავდამსხმელებმა სოფლები აიკლეს, ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის ბაღი და სასახლე გაძარცვეს, ტყვეები წაასხეს და საქონელი გარეკეს. შამილის ტყვეთა შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის, დავითის ოჯახიც აღმოჩნდა. შამილის წინააღმდეგ, რომელსაც ამ ლაშქრობისათვის სულთანმა მარშლის წოდება უბოძა, იარაღი აისხა კახეთის მოსახლეობამ, მათ გვერდით ამოუდგნენ რუსთა რაზმებიც და მომხდურნი უკუაქციეს.

რუსეთის ჯარის ნაწილებმა ქართველ მოლაშქრეთა მონაწილეობით 1854 წლის ივნისში ჩოლოქის ბრძოლაში გაიმარჯვეს, ხოლო 1855 წლის ნოემბერში ყარსის ციხესიმაგრე აიღეს.



სურ. 2. ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სასახლე

წყარო ბ) გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტი ყირიმის ომში ქართული მილიციის მონაწილეობის შესახებ

„შეუძლებელია არ გაგაოცოთ ქართული მილიციის სანიმუშო სიმტკიცემ, ამტანობამ და თავგანწირულობამ. მილიცია ისე ამაყად და მხიარულად მიისწრაფოდა ომში, როგორც დღესასწაულზე“.

მილიცია – ადგილობრივი მოსახლეობისგან შეკრებილი არარეგულარული შეიარაღებული ფორმირება.

შამილი – ჩრდილო კავკასიის მთიელი ხალხების იმამი (სულიერი წინამძღოლი) და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიდერი 1834-1859 წლებში, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ეროვნული გმირი.

ჯიჰადი – ისლამში: წმინდა ომი სხვა რელიგიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.



სურ. 3. შამილი

1. **რატომ აღუდგნენ წინ ევროპული სახელმწიფოები რუსეთის ანტიოსმალურ გეგმებს?**
2. **როგორ ისარგებლა ოსმალეთმა სევასტოპოლში რუსეთის მარცხით?**
3. **რა იყო ქართული მილიციის მოტივაცია რუსეთის კავკასიურ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის დროს?**
4. **რატომ ჰპირდებოდნენ ინგლისი და საფრანგეთის წარმომადგენლები სამეგრელოს მთავარს დახმარებას?**

Don't copy

5. შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ეს წინადადება?
6. რა გავლენას მოახდენდა საქართველოს ბედზე ყირიმის ომის შედეგები?
7. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 116. ყირიმის ომთან დაკავშირებით შეავსე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემა.
8. გაიხსენე წინა გაკვეთილები. შენი აზრით, იმოქმედა თუ არა „თაფლაკვერის“ პოლიტიკამ ქართველი თავად-აზნაურების (მათ შორის 1832 წლის შეთქმულების მონაწილეების) განწყობაზე რუსეთის იმპერიის მიმართ? პასუხი დაასაბუთე.

მიუხედავად კავკასიის მიმართულებით მოპოვებული წარმატებისა, რუსეთმა ომი წააგო. ეს მისი პირველი მარცხი იყო XIX საუკუნეში. საზავო კონგრესი პარიზში გაიმართა და 1856 წლის 18 მარტს ზავის ხელმოწერით დასრულდა.

წყარო გ) პარიზის ტრაქტატი, 1856 წ.

რუსეთის იმპერატორი, საფრანგეთის იმპერატორი, დიდი ბრიტანეთისა და შოტლანდიის შეერთებული სამეფოს დედოფალი, სარდინიის მეფე, ოსმალეთის სულთანი უერთდებიან ავსტრიის იმპერატორის შუამდგომლობას ომის დამთავრებისა და ოსმალეთის იმპერიის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 4. მოკავშირეები უბრუნებენ რუსეთს შემდეგ ქალაქებსა და პორტებს: სევასტოპოლს, ბალაკლავას, კამიშს, ევპატორიას, ქერჩ-ენიკალეს, კინსბურგს და სხვა ადგილებს, რომლებიც დაკავებული იყო მათი ჯარებით.

მუხლი 11. შავი ზღვა ცხადდება ნეიტრალურად. იგი და მისი პორტები ღია იქნება როგორც მოსაზღვრე, ისე სხვა ქვეყნების სავაჭრო ხომალდებისთვის, ხოლო სამხედრო ხომალდებისთვის სამუდამოდ იქნება ჩაკეტილი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.

მუხლი 13. რუსეთი და ოსმალეთი იღებენ ვალდებულებას, არ დატოვონ და არ შეიტანონ შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო არსენალი.

მუხლი 30. რუსეთი და ოსმალეთი ინარჩუნებენ თავიანთ სამფლობელოებს აზიაში იმ საზღვრებში, რომლებიც დადგენილი იყო ომამდე.

რუსეთმა ოსმალეთს ყარსი დაუბრუნა და ყველა ის ტერიტორიაც გადასცა, რომლებიც ომის მსვლელობისას დაიკავა. შავი ზღვა ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და მასში სამხედრო ფლოტის შეყვანა აიკრძალა. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ყველა სახელმწიფოსათვის დაიკეტა.

წყარო დ) ალექსანდრე მანველიშვილი, XX ს.-ის ემიგრანტი ისტორიკოსი, „საქართველო და რუსეთი და საქართველო (1801-1951), პირველი ტომი, პარიზი, 1951.

„პარიზის კონგრესზე სიტყვა საქართველო და კავკასია არც უხსენებიათ... საქართველოს და კავკასიის საკითხი ამ დროს ყველას მიერ განწირული იყო და ის რუსეთის შინაურ საკითხად დარჩა“.

9. შენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ხელს ყირიმის ომში გამარჯვება ოსმალეთის იმპერიაში ევროპის დიდ სახელმწიფოთა გავლენის ზრდას? პასუხი დაასაბუთე.
10. რომელი სახელმწიფოები ებრძოდნენ რუსეთს ყირიმის ომში? რამ გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა თურქეთისადმი?
11. ომის მვლელობის დროს რომელი დაკარგული ტერიტორიები დაუბრუნდა ოსმალეთს და რომელი – რუსეთს (წყარო გ)?
12. შენი აზრით, ტრაქტატის რომელი მუხლები ლახავდა რუსეთის ინტერესებს? პასუხი დაასაბუთე.
13. ვისთვის იყო მომგებიანი შავი ზღვის ნეიტრალურად გამოცხადება? პასუხი დაასაბუთე.
14. საქართველოსთან მიმართებაში განმარტე პარიზის ტრაქტატის 30-ე მუხლი და დ) წყარო.

Don't copy

რუსეთ–ოსმალეთის 1877–1878 წლების ომი

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიამ საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა და პარიზის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა შეძლო. მისი მოთხოვნით, 1871 წლის ლონდონის კონფერენციამ შავი ზღვის ნეიტრალური სტატუსი გააუქმა. რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მიეცა.

ამავე პერიოდში გართულდა ვითარება ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. 1875 წელს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ანტიოსმალურმა აჯანყებამ იფეთქა. მომდევნო წელს ამბოხებები ბულგარეთში, სერბეთსა და ჩერნოგორიაშიც (მონტენეგრო) მოეწყო. ოსმალეთი აჯანყებულებს დაუნდობლად გაუსწორდა.

სლავი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარი დაუჭირა რუსეთმა, რამაც რუსეთ-ოსმალეთის ახალი შეტაკება გამოიწვია. 1877 წლის აპრილში რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ომის ძირითადი ასპარეზი ბალკანეთი იყო, თუმცა არანაკლებ მწვავე ბრძოლები გაიმართა მცირე აზიის ფრონტზეც.

ცარიზმის კავკასიურ არმიას, რომელიც 70 ათას კაცს მოითვლიდა, მეფისნაცვალი **მიხეილ ნიკოლოზის ძე** სარდლობდა. მას უპირისპირდებოდა ოსმალთა ანატოლიის არმია მუხთარ ფაშას მეთაურობით.

ოსმალეთს უპირატესობა ჰქონდა შავ ზღვაზე, სადაც მძლავრი არტილერიით აღჭურვილი დიდი ფლოტი ჰყავდა. თუმცა სახმელეთო ოპერაციების დროს რუსეთის არმიამ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. რუსეთის ჯარებმა ომის დასაწყისშივე დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, არტაანი, სხვა დასახლებული პუნქტები და გეზი ყარსისაკენ აიღეს.



რუკა 43. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომი

ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, მოკლე დროში შეიქმნა ცხენოსანი და ქვეითი მილიციელთა ასეულები, რომლებშიც 35 ათასი ქართველი მებრძოლი იყო გაერთიანებული.

ბრძოლის ველზე მიმავალ მოლაშქრეებს გზა გრიგოლ ორბელიანმა დაულოცა. თანამემამულეებს სიმხნევისა და მამაცობისაკენ მოუწოდებდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა „თერგდალეულები“.

DonCopy

მიხეილ ნიკოლოზის ძე – კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი.

წყარო ე) ნიკო ნიკოლაძე, XIX-XX სს.-ის პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, 1877 წ.

„ყოველს ქართველს მტკიცეთ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენს ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის, ეგრეთვე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხათ. იმისთანათ, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისთვის და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის... ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდი პატივცემულ სახელს... ნუ დავიმალვით სოროში. მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“.

15. რატომ ვერ ეგუებოდა რუსეთი შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლების შეზღუდვას?

16. რა საბაბი გამოიყენა რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ საომარ კამპანიაში ჩასართავად? რა იყო რუსეთის რეალური ინტერესი?

17. რა განაპირობებდა ქართული საზოგადოების დაინტერესებას და აქტიურ ჩართულობას 1877 წელს დაწყებულ საომარ კამპანიაში?

18. შენი აზრით, რატომ მოუწოდებდა ნ. ნიკოლაძე ქართველებს მამაცური ბრძოლისკენ? რის მოლოდინი ჰქონდა მას?

საქართველოს ტერიტორიაზე რუს-ქართველთა შეერთებულმა ნაწილებმა ოსმალებს მუხაესტატესთან და ხუცუბანთან გამართულ ბრძოლებში სძლიეს. 1877 წლის ნოემბერში რუსეთის სამხედრო ნაწილები ყარსის ძლიერ ციხეს დაეუფლნენ და ალყაში მოაქციეს ქალაქი არზრუმი.

რუსეთის ჯარებმა წარმატებები მოიპოვეს ბალკანეთშიც, სადაც შიპკის უღელტეხილი გადალახეს, ბულგარელი, სერბი და რუმინელი მოლაშქრეების მხარდაჭერით, ქალაქები სოფია, ანდრიანოპოლი და სხვ. დაიკავეს და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ. ოსმალეთმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. რუსეთის გამარჯვება 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში დადებულ საზავო ხელშეკრულებაში აისახა.

წყარო ვ) ნაწყვეტი სან-სტეფანოს წინასწარი საზავო ხელშეკრულებიდან, 1878 წ. 3 მარტი

მუხლი 2: ბრწყინვალე პორტა აღიარებს ჩერნოგორიის სამთავროს დამოუკიდებლობას;

მუხლი 3: ბრწყინვალე პორტა აღიარებს სერბეთის სამთავროს დამოუკიდებლობას;

მუხლი 5: ბრწყინვალე პორტა აღიარებს რუმინეთის დამოუკიდებლობას;

მუხლი 6: ბულგარეთი იქნება თვითმმართველობის უფლებით ხარკის გადამხდელი ქრისტიანული სამთავრო;

მუხლი 12: დუნაიზე ყველა ციხესიმაგრე უნდა დაინგრეს. რუმინეთის, სერბეთისა და ბულგარეთის სამთავროთა წყლებში იკრძალება სამხედრო ხომალდების მანევრირება;

მუხლი 19: სამხედრო კონტრიბუცია, რასაც მოითხოვს რუსეთის იმპერატორი, მოიცავს 1 410 მილიონ რუბლს. იმპერატორი ითვალისწინებს თურქეთის ფინანსურ პრობლემებს და თანხმობას აცხადებს შეიცვალოს დიდი ნაწილი აღნიშნული თანხისა შემდეგი ტერიტორიული დათმობებით: ტულჩინოს სანჯაყი, ბესარაბია, არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი;

მუხლი 21: რუსეთისათვის დათმობილ ტერიტორიაზე მცხოვრებთ შეუძლიათ 3 წლის განმავლობაში გაყიდონ უძრავი ქონება და გადასახლდნენ იმპერიის ფარგლებს გარეთ. ვინც 3 წლის ვადაში არ დატოვებს ტერიტორიას და არ გაყიდის ქონებას, დარჩება რუსეთის ქვეშევრდომობაში.

Don't copy

ხელშეკრულება ცნობდა ბულგარეთის, სერბიის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის დამოუკიდებლობას და აძლიერებდა ცარიზმის გავლენას ბალკანეთში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი – ე. წ. „ოსმალოს საქართველო“ – რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა. მეფის მთავრობას კონტრიბუციის სახითაც დიდი თანხა უნდა მიეღო.

19. რით იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის სან-სტეფანოს წინასწარი ხელშეკრულება?
20. შენი აზრით, რას გულისხმობდა 21-ე მუხლი და რამდენად მოსალოდნელი იყო მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ოსმალეთში? პასუხი დაასაბუთე.
21. გაიხსენე „მესამე რომის“ თეორია და იმსჯელე, რატომ იყო რუსეთის იმპერიისთვის მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ ევროპის სლავური სახელმწიფოების ოსმალეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობა.
22. შენი აზრით, რატომ დამკვიდრდა ქართულ ცნობიერებაში ტერმინი „ოსმალოს საქართველო“?

ეს ზავი რუსეთისათვის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა ოსმალეთთან წარმოებულ სხვა ომებთან შედარებით, მაგრამ იგი ცხოვრებაში არ გატარებულა. დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნით, სან-სტეფანოს ხელშეკრულების მუხლები 1878 წლის ივლისში ბერლინის კონგრესზე გადაისინჯა და მასში რუსეთის საზიანოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. თუმცა ეს მხოლოდ მცირედ შეეხო კავკასიას.

წყარო ზ) ნაწყვეტი ბერლინის ტრაქტატიდან

მუხლი 1: ბულგარეთის სამთავრო იქნება თურქეთის ვასალი, შეინარჩუნებს თვითმმართველობას და გადაიხდის ხარკს;
მუხლი 13: ბალკანეთის მთების სამხრეთით ოსმალეთის სულთნის პოლიტიკური და სამხედრო დაქვემდებარებით ჩამოყალიბდება „აღმოსავლეთი რუმელია“ ადმინისტრაციული ავტონომიის პირობით და ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორით;
მუხლი 25: ბოსნიასა და ჰერცეგოვინას მართავს ავსტრია-უნგრეთი;
მუხლი 26: ხელშეკრულების დამდები მხარეები აღიარებენ ჩერნოგორიის სამთავროს დამოუკიდებლობას;
მუხლი 43: ხელშეკრულების დამდები მხარეები აღიარებენ რუმინეთის დამოუკიდებლობას;
მუხლი 45: რუმინეთის სამთავრო რუსეთის იმპერატორს უთმობს ბესარაბიის ნაწილს;
მუხლი 58: ბრწყინვალე პორტა რუსეთის იმპერიას აზიაში უთმობს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ტერიტორიებს, ბათუმის ნავსადგურით. ართვინი და ოლთისი რუსეთის ფარგლებშია;
მუხლი 59: მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ მისი განზრახვაა, ბათუმის **პორტო-ფრანკო** ძირითადად კომერციული გახდეს;
მუხლი 60: ალაშკერტის ველი და ქალაქი ბაიაზეთი უბრუნდება თურქეთს;
მუხლი 62: ოსმალეთის იმპერიის ყველა მხარეში, აღმსარებლობის მიუხედავად, არ შეიძლება შეიზღუდოს პიროვნების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები: სამოხელეო და სამსახურებრივი საქმიანობა, თავისუფალი მუშაობა და რეწვა. ნებისმიერი აღმსარებლობის პიროვნება დაიშვება სასამართლოში მოწმედ.

პორტო-ფრანკო – ქალაქი, ზღვისპირა ოლქი, რომლის საზღვრებში ნებადართულია უცხოური საქონლის თავისუფლად, უბაჟოდ შეტანა და გატანა.

ბერლინის ხელშეკრულებით, რუსეთმა შეიერთა ყარსი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ამ ტერიტორიის ერთ ნაწილზე ბათუმის ოლქი შეიქმნა, რომელიც 1886 წლიდან ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. კოლა-არტაანი და ოლთისი ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

Don't copy

წყარო თ) საზოგადო მოღვაწის გულო კაიკაციშვილის მიმართვა ქობულეთში შესულ განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებისადმი, 1878 წლის 19 აგვისტო.

„ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებდით და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორიც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას“.

გულო კაიკაციშვილი – ქობულეთში მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწე (1840 -1923 წწ.). იბრძოდა ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. მისი წერილები ხშირად ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში. ეწეოდა ქართული ენის დაცვისა და განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას, უანგაროდ ემსახურებოდა მუსლიმ ქართველთა შორის მშობლიური კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეს. მის საგვარეულო მამულში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ქობულეთში. ილია ჭავჭავაძემ გულო კაიკაციშვილს „აჭარის გული“ უწოდა.

რუსეთ-ოსმალეთის დასრულებულ ომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქრთველოსთვის. საუკუნეთა განმავლობაში მტრისაგან მიტაცებული ძირძველი ქართული მიწა-წყალი კვლავ დედასამშობლოს, საქართველოს, დაუბრუნდა. ომის შედეგებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქართველი ერის კონსოლიდაციას.

წყარო ი) ილია ჭავჭავაძე, XIX-XX სს.-ის მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ოსმალოს საქართველო, 1877

„არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სარწმუნოებას, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი“.

საქართველოს მატიანე, შინაური მიმოხილვები, 1879

„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ჩვენი ძმები ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი უწინდელის განათლების და სხვა სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

ქართველი ხალხი სიხარულით შეეგება ოსმალეთის უღლისაგან თავდაღწეული ძმების დაბრუნებას საკუთარ ოჯახში. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი...) ინიციატივით 1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია აჭარის დეპუტაცია: ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები. რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მუსლიმი ქართველების ოსმალეთში გადასახლება (მუჰაჯირობა), რასაც ხელს უწყობდა რუსეთი. რუსეთი დაინტერესებული იყო სახელმწიფო საზღვრის რაიონიდან რაც შეიძლება მეტი მუსლიმი ქართველი მოეშორებინა. ამიტომაც რუსებმა აჭარის მუსლიმ მოსახლეობას აუტანელი პირობები შეუქმნეს. მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ოსმალეთის აგენტურაც, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა, დაეტოვებინათ რუსეთის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, მუჰაჯირობის პერიოდში, აჭარიდან დაახლოებით 30 ათასი ქართველი მუსლიმი გადაიხვეწა.

Don't copy

23. როგორ ფიქრობ, რატომ აცხადებს რუსეთის იმპერატორი ბათუმს „პორტო-ფრანკოდ“?
24. რომელ თანამედროვე ღირებულებებს აღიარებს ბერლინის ტრაქტატის 62-ე მუხლი?
25. ბერლინის ტრაქტატის თანახმად, ოსმალეთის ტერიტორიაზე რომელი ახალი სახელმწიფოები წარმოიქმნა.
26. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 117. ვენის დიაგრამის დახმარებით ერთმანეთს შეადარე სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება და ბერლინის ტრაქტატი (წყაროები ვ), ზ).
27. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის „ოსმალოს საქართველოს“ მიწა-წყლის შეერთებას დანარჩენ საქართველოსთან?
28. რატომ უწყობდა ხელს რუსეთის იმპერია მუჰაჯირობას?
29. შენი აზრით, რატომ არჩია დაბრუნებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილმა რუსეთის იმპერიის სოციალურ-კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას ოსმალეთში გადასახლება?
30. რას გეუბნება გულო კაიკაციშვილის მიმართვა (წყარო თ) ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების დამოკიდებულებაზე თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმართ?
31. როგორი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება მუჰაჯირობისადმი?
32. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 118. ტექსტისა და წყაროების გამოყენებით შეავსე ცხრილი, ჩაწერე საერთაშორისო საზავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პირობები სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოსათვის.

წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ XIX საუკუნის საქართველოში და ხარ ერთ-ერთი გაზეთის სამხედრო რუბრიკის მიმოხილველი; იკვლევ სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ ბრძოლებს და სამხედრო კამპანიებს. გაზეთის რედაქტორმა დაგავალა, მოამზადო სტატია XIX საუკუნეში რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის მიერ კავკასიის რეგიონში წარმოებული ომების შესახებ, რომელშიც ყურადღებას გაამახვილებ ამ მოვლენებთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებზე, ასევე სივრცეზე, სადაც ეს დაპირისპირებები მიმდინარეობდა.

სტატიაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა სახის წყაროები არსებობს XIX საუკუნის რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური ომების შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდიან და რამდენად სანდოა ისინი? (წყარო. 1,2,3)
- რა ეკონომიკური, სტრატეგიული, გეოგრაფიული ფაქტორების გამო ხდებოდა კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი და რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოფაზე? (სივრცე. 1, 3,)
- რა მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ირან ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებაში ქართველების როლზე? (წყარო. 4.)
- რა შედეგები ჰქონდა ამ ომებს და როგორ აისახებოდა ისინი საქართველოს და კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეზე? (სივრცე. 2)

Don't Copy

47 როგორ შეიცვალა ქართული საზოგადოება „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის შედეგად

ტერმინი „თერგდალეული“ პირველად მწერალმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა გამოიყენა თავის კომედიაში „გაყრა“. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, თავადი ივანე დიდებულიძე, რომელმაც განათლება ვარშავაში მიიღო, მაგრამ ცხოვრებაში გამოუცდელი და არაპრაქტიკულია, ცდილობს, იქაური წეს-ჩვეულებები ქართულ სინამდვილეში მექანიკურად გადმოიტანოს, რის გამოც დასაცინი ხდება.

მოგვიანებით ცნებამ მნიშვნელობა შეიცვალა და იმ მოღვაწეთა აღსანიშნავად დამკვიდრდა, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში განათლებას თერგს მიღმა – რუსეთში დაეუფლნენ, საქართველოში „მამულის მსახურების“ იდეით შეკავშირებულნი დაბრუნდნენ და მთელი თავიანთი ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარეს. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები.



სურ. 1. ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან ოლღა გურამიშვილთან ერთად

„თერგდალეულობა“განსაზღვრული წესდებისა თუ პროგრამის საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება არ ყოფილა. ის იდეურ-საზოგადოებრივი მოძრაობა იყო, რომლის წევრები საქართველოს განახლების, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილით ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას განიმსჭვალნენ. ქართველ „სამოციანელებს“ მიღებული ჰქონდათ იმ დროისათვის საუკეთესო განათლება, იცნობდნენ უახლეს დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოძღვრებებს, განმათავისუფლებელი ბრძოლის რუსულ და ევროპულ გამოცდილებას.



სურ. 2. აკაკი წერეთელი

სამოღვაწეო ასპარეზზე „თერგდალეულთა“ გამოსვლისას საქართველო ბრძოლისაგან დაღლილ, „კუთხე-პროვინციებად“ დანაწევრებული ქვეყანა იყო, რომელსაც **კონფორმიზმი** მოსძალებოდა და რული მორეოდა. თავადაზნაურობა დეგრადაციის გზას ადგა. რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილი ეკლესია ხალხის ზნეობრივი მოძღვრის როლს ვეღარ ასრულებდა. რწმენის სიმტკიცეს საფუძველი შერყეოდა. შევიწროებული იყო ქართული ენის სამოქმედო არეალი. არ ჩანდა რამე საზოგადოებრივი, მით უფრო პოლიტიკური ძალა, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან ერის გამოყვანას შეეცდებოდა, სამომავლო გეზს განსაზღვრავდა.

კონფორმიზმი – შემგუებლობა, საკუთარი პოზიციის უქონლობა.

Don't C

წყარო ა) ილია ჭავჭავაძე, ნაწყვეტი სტატიიდან „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“, 1860 წ.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

1. საზოგადოების რა დანიშნულებაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე?
2. შენი აზრით, რა მდგომარეობაში იყო ქართული საზოგადოება XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში და რატომ გახდა აუცილებელი ამ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება?

იმხანად საქართველოში გამომავალი ერთადერთი ჟურნალის „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილი ადამიანები უნდობლად უცქერდნენ საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარ სიახლეს. ჟურნალის თემატიკა ჩამორჩებოდა ცხოვრებას, პუბლიკაციების რთული და მოძველებული ენა კი ხალხისათვის გაუგებარი რჩებოდა.

„თერგდალეულები“ „ცისკრის“ კონსერვატიულ ბანაკს თავდაპირველად ენისა და ლიტერატურის საკითხებზე დაუპირისპირდნენ. მალე კამათი ძველი და ახალი თაობის წინააღმდეგობაში გადაიზარდა, რომელიც საქართველოს ისტორიას „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით შემორჩა და „შვილების“ ისტორიული გამარჯვებით დასრულდა.

საზოგადოებრივი ყოფის შეცვლისა და განახლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სალიტერატურო ქართული ენის გამარტივებას, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და სხვა „თერგდალეულებმა“ ითავეს. მათ მშობლიური სამწერლო ენა ხალხისათვის მისაწვდომი და იოლად გასაგები გახადეს. „თერგდალეულები“ შეუპოვრად იბრძოდნენ ქართული ენის შეზღუდვისა და დევნის წინააღმდეგაც.

წყარო ბ) https://ghn.ge/news/203317

„ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დახვეწის მიზნით ჩაატარეს ქართული დამწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა – ქართული ანბანიდან ამოაგდეს 5 მოძველებული, არქაული ასო-ნიშანი, რომელიც ცოცხალ ქართულ ენაში აღარ გამოიყენებოდა“.

3. შენი აზრით, რატომ ჰქონდათ ჟურნალ „ცისკრის” გარშემო შემოკრებილ ადამიანებს უნდობლობა სიახლეების მიმართ?
4. ვინ იგულისხმება „მამებსა და შვილებში” და რატომ ჰქონოდათ მათ განსხვავებული შეხედულება ქვეყნის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით?
5. როგორ ფიქრობ, რა რეაქციას გამოიწვევდა ე. წ. „მამათა“ თაობაში ენის რეფორმა?
6. შესაძლებელი იყო თუ არა იგივე პროცესი დაეწყოთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეებს? პასუხი დაასაბუთე
7. რატომ იყო სალიტერატურო ენის გამარტივება მნიშვნელოვანი?

„თერგდალეულებმა“ უცხოეთში მიმდინარე რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულ ნიადაგზე დააფუძნეს და ქვეყნის კოლონიური მდგომარეობით განპირობებულ სატკივარს მიუსადაგეს. „სამოციანელები“ საქართველოს „აღდგენა-გამოხსნის“ საწინდრად ეროვნული ერთიანობის მიღწევას, საერთო იდეის ირგვლივ მთელი ერის დარაზმვას და შეკავშირებას მიიჩნევდნენ. ისინი პირველ ადგილზე ეროვნულ საკითხს აყენებდნენ. ამასთან, „თერგდალეულთა“ ზრუნვის საგანი იყო ბატონყმობის სრული გაუქმება, თავისუფალი შრომის დამკვიდრება, სოციალური სამართლიანობის, „ძმობის, ერთობისა და თანასწორობის“ მიღწევა.

Don't copy

წყარო გ) ილია ჭავჭავაძე, ნაწყვეტი წერილიდან „წოდებათა თანასწორობა“, 1888 წ.

„ჩვენი ძირითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლივ ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს, ცხოვრების გზა გაიკვლიოს... ტყუილად ფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს, რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რამე ხეირი და სიკეთე ნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა თუ ერისა დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შემობერვაზედვე დაიფუშება“.

წყარო დ) იაკობ გოგებაშვილი. „დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი?“, გაზეთი „ივერია“, 1899 წ. 24 თებერვალი

„მარტო ერთ წოდებას ვერ ძალუძს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაცემას, დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა. საჭიროა შეერთებული ძალა ყოველთა წოდებათთა... ჩვენში-კი შინაურის ბრძოლის გამწვავებას მოჰყვება ის სავალალო შედეგი, რომელიც დაემართა ორს მოჩხუბარს მამლაყინწას გურამიშვილის პოემაში. ორივე მოქანცულნი მოჩხუბარნი, ... ქორმა წააწიალა თავის ბუდეში გადასაყლაპავად“.

8. გაიხსნეთ რომელ რევოლუციას უკავშირდება ლოზუნგი – “ძმობა, ერთობა და თანასწორობა” და რა შეცვალა მან პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებში?

9. რომელი წოდებების შესახებ საუბრობს ილია? გაიხსნე რა უფლებრივ-მოვალეობითი ურთიერთოებები არსებობდა მათ შორის?

10. ქართული საზოგადოების რა პრობლემაზე მიუთითებენ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი?


11. შენი აზრით, რატომ იყო ბატონყმობის სრული გაუქმება, ეროვნული ერთიანობის მიღწევისთვის საჭირო?

12. შენი აზრით, რამდენად იყო შესაძლებელი ამ საზოგადოების ერთი იდეის გარშემო დარაზმვა?

საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლების, ხალხის გათვითცნობიერებისა და ეროვნული კონსოლიდაციის მისაღწევად „თერგდალეულებმა“ თავიანთი პერიოდული გამოცემები დააფუძნეს. 1863 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. 1866 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „დროება“, 1871 წლიდან – ჟურნალი „კრებული“, 1877 წლიდან – „ივერია“ და სხვ. „სამოციანელთა“ ძალისხმევით დაარსდა დრამატული საზოგადოება და განახლდა ქართული თეატრი.



სურ. 3. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“



სურ. 4. გაზეთი „ივერია“




სურ. 5. გაზეთი „დროება“

Don't copy



სურ. 6. იაკობ გოგებაშვილი



სურ. 7. დედა ენა

ქართული პრესის ერთი მთავარი მიმართულება პუბლიცისტიკა იყო. ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა”, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი სფერო აისახებოდა. ამ რუბრიკით გაზეთში ქვეყნდებოდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების საარსებო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომელთა ნაწილი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

1875 წელს თბილისში შეიქმნა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომლის დაარსების იდეა დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა. ბანკს ოცდაათი წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე მესვეურობდა. 1876 წელს ასეთივე ბანკი ქუთაისშიც გაიხსნა.

მოგების ნაწილი სწავლა-განათლების, ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს ხმარდებოდა. ამასთან, ბანკები იმის საშუალებასაც იძლეოდა, რომ თავადაზნაურობას მიწა კი არ გაეყიდა, დაეგირავებინა და ბანკში დაბრუნების თანხის შემდეგ ქონება უკან დაებრუნებინა.

1879 წელს „თერგდალეულებმა“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ჩამოაყალიბეს, რომელსაც თავიდან დიმიტრი ყიფიანი, 1882-1885 წლებში ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ხოლო 1885-1907 წლებში უცვლელად ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. საზოგადოების სალაროში მნიშვნელოვანი თანხა შეიტანეს ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა, დავით სარაჯიშვილმა და სხვებმა. საზოგადოებას აქტიურად ედგნენ მხარში ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

საზოგადოების ძალისხმევით საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში გაიხსნა დაწყებითი სკოლები, მოეწყო ბიბლოთეკა-სამკითხველოები, დაიბეჭდა სახელმძღვანელოები, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვ. ნიჭიერი, ხელმოკლე მოწაფეების სწავლის ხელშესაწყობად საზოგადოებას დაწესებული ჰქონდა არაერთი სტიპენდია.

„საზოგადოება“ ქართულ სკოლებს, საქართველოს გარდა, რუსეთის იმპერიის იმ ქალაქებშიც აარსებდა, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ (ვლადიკავკაზში, არმავირში, ბაქოში, განჯაში და სხვაგან).

ქართული პრესის ერთი მთავარი მიმართულება პუბლიცისტიკა იყო. ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი სფერო აისახებოდა. ამ რუბრიკით გაზეთში ქვეყნდებოდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომელთა ნაწილი დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას.

წყარო ე) გაზეთი „ივერია“, 1877 წ., 3 მარტი.

„სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, – აი რაში მდგომარეობს ჩვენი გაზეთის პროგრამა“.

თერგდალეულთა პუბლიცისტურ მოღვაწეობას უკავშირდება საზოგადოებისათვის ევროპის მოწინავე იდეების, ცივილიზაციური მიღწევებისა და ტექნიკური პროგრესის გაცნობა, ძალისხმევა საქართველოში დასავლური განათლების შემოტანისა და საზოგადოების შემზადებისათვის ევროპული ღირებულებების მისაღებად.

თერგდალეულები მისაბაძად სახავდნენ თანასწორობასა და თავისუფლებას, რაც მკვიდრდებოდა დასავლეთის მოწინავე სახელმწიფოებში, სადაც ადამიანის შრომას ფასი ედო, წახალისებული და მხარდაჭერილი იყო პიროვნული ინიციატივა და განახლებისაკენ სწრაფვა.

Don't copy

ქართული პერიოდული პრესის აქტუალური თემები იყო ანტიკოლონიალიზმი და განმათავისუფლებელი იდეები, ქალთა ემანსიპაციისა და უფლებების საკითხები, გენდერული პრობლემების პოპულარიზაცია და სხვ. ქართველი პუბლიცისტები თვალს ადევნებდნენ თანადროულ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, თარგმნიდნენ და ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ ცნობილ დასავლელ მოღვაწეთა (აბრაამ ლინკოლნი, ჯორჯ ვაშინგტონი, უილიამ გლადასტონი, ოტო ბისმარკი, ლეონ გამბეტა და სხვ.) ბიოგრაფიებს. ყურადღება ექცეოდა ისეთი პოლიტიკური ტერმინების ახსნასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებას, როგორიცაა პარლამენტი, დემოკრატია, კონსტიტუცია, იდეა, ავტონომია და სხვ.

წყარო ვ) გაზეთი „ივერია“, 1889 წ., 26 თებერვალი.

„ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. ...და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა“.

წყარო ზ) აკაკი წერეთელი ქალთა როლისა და უფლებების შესახებ, 1961

„ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოსიც, ე. ი. მთელის მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი. ...ერის ცხოვრებაში ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში. თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას“.



ემანსიპაცია – უფლებების გათანაბრება (ჩვეულებრივ, ქალთა და მამაკაცთა).

წყარო თ) სამსონ ფირცხალავა, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ნაწყვეტი წერილიდან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში (1879-1904)“.

„წერა-კითხვის საზოგადოება“ ჩვენი საუკეთესო კულტურული დაწესებულებაა. მისი მოქმედების ასპარეზი მეტად საპატიო და ძვირფასია: ეს ჩვენი გონებრივი განვითარება, ცოდნის გავრცელება ხალხში, ერის კულტურულად გაღონიერებაა; ...ტყვილად არ ჩაუვლია მის ამდენიხნის არსებობას, მისი სარგებლობა, მისი ნაყოფიერობა, მის მიერ დაჩენილი კვალი ყოველ ეჭვს გარეშეა. „საზოგადოების“ ხელში 8 სასწავლებელია, 11 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მის სკოლებში სწავლობს 1200-ზე მეტი მოსწავლე; მის ბიბლიოთეკებში 16000-ზე მეტი წიგნია, რომლითაც სარგებლობს 2,300 კაცი, მის სამკითხველოებში ყოველწლიურად შედის 62,000 მკითხველი. „საზოგადოებას“ აქვს ბიბლიოთეკა-მუზეუმი, სადაც შეკრებილია მრავალი ძვირფასი ქართული ხელნაწერი; „საზოგადოებას“ გამოუცია 68 სხვადასხვა სახელმძღვანელო თუ ისე საკითხავი წიგნი, „საზოგადოება“ ეხმარება ფულით თუ წიგნებით სხვა ბიბლიოთეკებს, სკოლებსა და კერძო პირებს. „საზოგადოებას“ ჰყავს დღეს 1000-ზე მეტი წევრი“.

წყარო ი) იაკობ გოგებაშვილი, „ხე ნაყოფით იცნობება“, 1880 წ.

„ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ღატაკი სკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია. ზოგიერთ სკოლებში ქართული სასტიკად არის აკრძალული და ქართულის წიგნის გაჭაჭანება ასეთს სკოლებში სამოსწავლო მთავრობას ნამდვილ დანაშაულობად მიაჩნია“.

Don't copy

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები
პირობითი აღნიშვნები
სახელმწიფო საზღვარი
გუბერნიისა და ოლქის საზღვარი
ოკრუგის საზღვარი
გუბერნიისა და ოლქის ცენტრი
ოკრუგის ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა
ბათუმის ოკრუგი
ბათუმის ოლქი
ართვინის ოკრუგი
ართვინის ოლქი
ყარსის ოკრუგი
ყარსის ოლქი
ახალციხის ოკრუგი
ახალციხის ოლქი
ელიზავეტპოლის გუბერნია
ელიზავეტპოლის (განჯის) ოკრუგი
ტფილისის გუბერნია
ქუთაისის გუბერნია
ქ. ტფილისის სკოლები
ნავთლული, კუკია, ავლაბარი, ვერა, დიღომი.
სურათვეების ფარგლებს გარეთ დაშორებული სკოლები
ბაქო, ნახჭევანი, არმავირი, ერევანი, შუშა.
შავი ზღვა
სოხუმი
ბათუმი
ფოთი
ქუთაისი
ახალციხე
ახალქალაქი
ართვინი
არტაანი
ყარსი
ოლთისი
ყაზახი
ზაქათალა
ელიზავეტპოლი (განჯა)
ერევანი
შუშა
ვლადიკავკაზი
ტფილისი
ბორჯომ

წყარო კ) ქართული ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი-პარიზი, 1922 წლის 20 თებერვალი, № 17

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ორმოცი წლის განმავლობაში შეუდრეკლად იდგა ეროვნული კულტურის სადარაჯოზე და მხნეთ იგერიებდა რუსიფიქატორების თავდასხმას. ქართველი ხალხი განუზომელი პატივისცემით ეპყრობოდა ამ საზოგადოებას და ეხმარებოდა. ყველა დიდი მწერალი ანდერძათ თავის თხზულებებს, ბიბლიოთეკებს და ზოგჯერ მთელ თავის ქონებასაც მას სწირავდა“

13. როგორ ფიქრობ, რატომ იყო ჟურნალ-გაზეთებისა და პერიოდული გამოცემების დაარსება და ფუნქციონირება საზოგადოების ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი?

14. შენი აზრით, სოციალური ფენების ყოფის გაუმჯობესებას, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსება რატომ და როგორ შეუწყობდა ხელს?

15. როგორ ფიქრობ, რატომ გახდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც შეცვალა საზოგადოების ცნობიერება?

16. შესაძლებელი იყო თუ არა ასეთი ორგანიზაციის არსებობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში?

17. 1832 წლის შეთქმულებიდან „თერგდალეულთა“ მოღვაწეობამდე სულ ოცდაათი წელი იყო გასული. რატომ და რამ შეცვალა ქართული საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლების მსოფლმხედველობა?

18. რატომ ანიჭებდნენ ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი ასეთ დიდ მნიშვნელობას მშობლიური ენის დაცვას?

19. „თერგდალეულთა“ რა დამსახურებებზე მიუთითებენ თ) და კ) წყაროების ავტორები? ეთანხმები თუ არა მათ? რატომ?

20. როგორ ფიქრობ რატომ იყო დაინტერესებული ქართული საზოგადოების მდიდარი ფენა კულტურულ-საგანმათლებლო ღონისძიებებისთვის ფულადი მხარდაჭერით



სურ. 8. სერგი მესხი

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დიდი ღვაწლი დასდო ქართული ფოლკლორული და ნუმიზმატიკური მასალების, ძველი ხელნაწერი ძეგლების შეკრებასა და მოვლა-პატრონობას, ქართული წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას.

„სამოციანელთა“ მთელი პლეადა მწერლობის წარმომადგენლები იყვნენ. თავიანთი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოებებით ისინი ქართველ ერს იმედსა და საკუთარი ძალების რწმენას უნერგავდნენ, შთააგონებდნენ, რომ საქართველო დაამსხვრევს თვითმპყრობელობის მონობის ბორკილს და აწმყო თუ არა სწყალობს, მომავალი უეჭველად მას ეკუთვნის.

„თერგდალეულებს“ მოგვიანებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები – სერგი მესხი, ვაჟა-ფშაველა, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. შეუერთდნენ, რომლებმაც ქართული კულტურის საგანძური კიდევ უფრო განავრცეს და გაამდიდრეს.

მართალია, „სამოციანელთა“ შორის შეინიშნებოდა აზრთა სხვადასხვაობა ქართველი ერის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების ტაქტიკურ საკითხებზე, მაგრამ შეხედულებათა წინააღმდეგობას „თერგდალეულთა“ დასის ორგანიზაციული გათიშვა არ გამოუწვევია.

ილიას ეპოქა. მსოფლიოში არც ისე ბევრია ერი, რომლის ცხოვრებაშიც ეპოქა მწერალმა შექმნა. ამას უფრო გამოჩენილი მხედართმთავრები, სახელმწიფო ან პოლიტიკური ლიდერები განსაზღვრავდნენ. ახალი დროის საქართველოს ისტორიაში ერთი დიდი ეპოქა, რომელიც ქვეყნისთვის ურთულეს, გარდამტეხ დროს დაემთხვა, ილია ჭავჭავაძის სახელთან ასოცირდება.

ილია ჭავჭავაძემ თვითმპყრობელობის იმპერიული უღლისაგან საქართველოს გამოხსნისა

Don't copy

და ეროვნული თავისუფლების პროგრამა შეიმუშავა. ეს პროგრამა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკისაგან განსხვავებით, მხოლოდ მშვიდობიან ბრძოლას ეფუძნებოდა. მწერალმა ქართველ ხალხს პირდაპირ აჯანყება-შეთქმულებისაკენ კი არ მოუწოდა, არამედ პირველ რიგში გამოფხიზლების, განათლების, დაცემული ვინაობის აღდგენის, ზნეობრივი გაჯანსაღების, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლების, სულის წვრთნის ამოცანა დაუსახა, მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვისაკენ მოუწოდა. სამომავლო მიზანი ილიამ ლაკონურად გამოთქვა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, რაც საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლებას გულისხმობდა.



სურ. 9. ვაჟა ფშაველა

წყარო ლ) ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“, 1862 წ.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

წყარო მ) ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ. მაისი

„ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. ...ის „სხვა რამე“ იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“.

21. როგორ და, შენი აზრით, რატომ შეიცვალა ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკა?

22. რის გაუმჯობესებას ცდილობდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები?

23. როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს ილია დაცემულის ვინაობაში და რა ფათერაკზე მიუთითებდა ის?

24. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 119. ახსენი თერგდალეულთა ღონისძიებების წინაპირობები და მიზეზები, შეაფასე შედეგები.

Don't copy

ილია ჭავჭავაძემ, პირველმა ქართულ სინამდვილეში, მთელი სიმწვავით დააყენა ხიდჩატეხილობის აღმოფხვრის, ურთიერთდაპირისპირებულ წოდებათა შერიგების, საქართველოს ყველა სოციალური ფენის გაერთიანების ამოცანა. მანვე ამგვარი მთლიანობის საფუძვლად ეროვნულ ძალთა შეკავშირების – საერთო ნიადაგის – თეორია გამოაცხადა.

ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მოთავე ან აქტიური მონაწილე იყო. იგი ბანკირიც იყო და რედაქტორიც, მომრიგებელი მოსამართლეცა და ერის უფლებათა დამცველიც, ქართველთა შორის წიგნიერების გამავრცელებელიც და სხვა მრავალი წამოწყების სულისჩამდგმელი.

მიძინებული ქართველი ერის გამოფხიზლებისა და გაჯანსაღებისთვის ილია არ ერიდებოდა საზოგადოებრივ მანკიერებათა საჯაროდ მხილებას, მის შეუფარავ კრიტიკას. იგი ერს საკუთარი თავის იმედს განუმტკიცებდა, თვითდაჯერებას მატებდა. მას ქვეყნისთვის იმაზე მეტი პრაქტიკული ამოცანა არ დაუსახავს, რის მიღწევაც კონკრეტულ ვითარებაში უმსხვერპლოდ და უზიანოდ არ იყო შესაძლებელი.

ილია ჭავჭავაძე სწორად აცნობიერებდა დროთა კავშირს და ქართული სახელმწიფოს მომავალს მის წარსულსა და აწმყოსთან კავშირში განიხილავდა. მწერლის აზრით, პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება მომავალში საქართველოს დამოუკიდებლობის წინაპირობად უნდა ქცეულიყო.

ილია ჭავჭავაძე და სხვა „სამოციანელები“ რევოლუციონერებს არ მიეკუთვნებოდნენ, თუმცა მათ სამი-ოთხი ათწლეულის განმავლობაში არსებითად შეცვალეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება. „თერგდალეულებმა“ არა მარტო დასახეს საქართველოს თავისუფლების გზა, არამედ გაკაფეს კიდევაც იგი და მომდევნო თაობებს ბრძოლა გაუადვილეს.

25. როგორ ფიქრობ, რატომ მიიჩნევდა ილია წოდებათა შორის არსებულ ხიდჩატეხილობას საზოგადოების მთავარ პრობლემად?

26. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 120. სქემის გამოყენებით იმსჯელე სოციალური უთანხმოების პრობლემაზე ქართულ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, მიზეზებზე და გადაჭროს გზებზე.

27. შენი აზრით, რატომ მიაჩნდა ილიას ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება, საქართველოს დამოუკიდებლობის წინაპირობად?

წყარო ნ) ნიკო ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა“, 1873 წ.

„1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება. ...ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც“.

წყარო ო) ნიკო ნიკოლაძე, ნაწყვეტი წერილიდან „მამულის სიყვარული და მსახურება“, 1879 წ.

„ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია... ამ ოცი, თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა. მოვიგონოთ ის წყეული და ბნელითმოსილი დრო, რომელიც ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს ჩვენს მამულს! გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია – ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინოო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა... ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვენის პირადი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება... გახსოვთ, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, წერით თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანეთს ხელი გავუწყოთ და დავეხმაროთო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინოვნიკებისა და აფიცრებისაგან შედგებოდა!.. გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერლობის საჭიროებას“.

28. საქართველოს საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარ რა ცვლილებებზე მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე?

29. შენი აზრით, ვის გულისხმობს „ქოსებში“?

30. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 121. შეავსე ცხრილი: როგორი იყო ქართული საზოგადოება „თერგდალეულების“ ასპარეზზე გამოსვლამდე და რა შეცვალეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა მიმდევრებმა.

Don't copy

48 რატომ გაუქმდა ბატონყმობა რუსეთში და როგორ შეიცვალა საზოგადოება ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად.

ბატონყმობის გაუქმება

რუსეთის იმპერიის განვითარებას აფერხებდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა, რომელიც უკვე XIX საუკუნის შუახანებისათვის მძიმე კრიზისმა მოიცვა. კრიზისი მკაფიოდ გამოვლინდა როგორც ყირიმის ომში განცდილ მარცხში, ისე გლეხთა გახშირებულ მღელვარებებსა და აჯანყებებში. გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. გლეხები უარს ამბობდნენ არა მარტო ახალ გადასახადებზე, არამედ თავს არიდებდნენ ტრადიციული ბეგარა-ვალდებულებების შესრულებასაც. ფართო ხასიათი შეიძინა ყმათა აყრა-გაქცევამ, ცალკეულ მემამულეთა მკვლელობამ და სხვ., რაც დიდ სახალხო მოძრაობაში გადაიზარდა. ანტიბატონყმურ განწყობას ამძაფრებდა ქართული მწერლობაც (რაფიელ ერისთავის „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.).

წყარო ა) ეგნატე იოსელიანი, XIX ს.-ის პუბლიცისტი, „ქართული ლიტერატურა“, ჟურნ. „ივერია“, 1883, N 4.

„ერთი ძველთაგან დარჩენილი საქართველოს სენი, დამამახინჯებელი ერისა იყო ბატონ-ყმობა. ...ბატონ-ყმობა ჭირი იყო და არა ძველის გმირების სასახელო საქმე“. სამოციანელები „თავიანთ ძალას, ჭკუას... იმისათვის ხმარობდნენ, რომ მოესპოთ ძველი უსამართლობა, ბატონყმობა. ცდილობდნენ ჩამოერთმიათ მათრახი, **პალაჩობა** ყმებზედ და გამოეყვანათ ისინი ქვეყანაზე კაცად“.

1. **როგორ ფიქრობ, რატომ გამწვავდა სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობა და როგორ ცდილობენ გლეხები საკუთარი ინტერესების დაცვას?**
2. **შენი აზრით, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას ქვეყანაში ბატონყმობის არსებობა რა პრობლემებს უქმნიდა? პასუხი დაასაბუთე.**
3. **როგორ ახასიათებს ე. იოსელიანი ქართულ ბატონყმურ საზოგადოებას?**
4. **შენი აზრით, რატომ უპირისპირდებოდნენ 60-იანელები ბატონყმობას?**

პალაჩობა – ჯალათობა.

რუსეთი თავისი განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. აშკარა გახდა, რომ ბატონყმური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა ღრმა კრიზისში შევიდა, რომელიც ქვეყანას განვითარების საშუალებას აღარ აძლევდა. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტური წარმოება სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, ბატონყმური რუსეთი ერთ ადგილს ტკეპნიდა.

რუსეთის ეკონომიკური ჩამორჩენა კარგად გამოჩნდა 1853-1856 წწ. ყირიმის ომის დროს, როდესაც აშკარა გახდა სამხედრო შეიარაღებაში დასავლეთევროპელების უპირატესობა. ქვეყანას რეფორმები სჭირდებოდა. რუსეთის ახალმა იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ, მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურობის შეკრებაზე ჯერ კიდევ 1856 წელს განაცხადა: „ჯობს, ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, ვიდრე ეს გლეხებმა გააკეთონ ქვემოდან“.



სურ. 1. ალექსანდრე II

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწ-

Don't copy

ერა მანიფესტს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გატარებული რეფორმის ძალით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი გახდა, იგი ყმობისაგან განთავისუფლდა, თუმცა მიწა კვლავ ძველი პატრონის საკუთრებად დარჩა. ყოფილ ყმებს მემკვიდრეობითი სარგებლობისათვის მიწის განსაზღვრული ნორმა გამოეყოთ, რომელსაც ნადელი ეწოდა. გლეხს ამ ნადელის შესყიდვის უფლებაც მიეცა, მაგრამ თანხის საბოლოოდ გადახდამდე იგი დროებითვალდებულად ითვლებოდა და რეფორმამდელი გადასახადებით იბეგრებოდა. გლეხთა იმ ნაწილს, რომელიც ნადელზე მეტ ფართობს ფლობდა, მიწა მემამულეთა სასარგებლოდ ჩამოეჭრა (ჩამონაჭერი).

მთავრობამ „საგლეხო რეფორმის“ გატარება იმპერიის განაპირა მხარეებში, მეტროპოლიაში მისი განხორციელების შემდეგ დააპირა. საქართველოში რეფორმის პროექტი სპეციალურად საამისოდ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი ხელმძღვანელობდა.

ნადელი – მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოსყიდვის შედეგად შეეძლო მიეღო გლეხს სარგებლობის უფლებით.

მეტროპოლია – იმპერიის ცენტრალური ტერიტორია, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას კოლონიურ სამფლობელოებზე.

მიწისმფლობელთა აზრის მაქსიმალურად გასათვალისწინებლად დ. ყიფიანმა შეადგინა კითხვარი, რომელზეც 240 მემამულის პასუხი მიიღო. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას, ხოლო გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან დიდ კომპენსაციას მოითხოვდა. ამ შეხედულებათა საფუძველზე შედგა ე. წ „უმრავლესობის“ პროექტი. ამ პროექტის თანახმად ბატონყმობისგან განთავისუფლებული გლეხს სახლ-კარისა და კალო-საბძლის ადგილისათვის არაფერი მოეთხოვებოდა, მაგრამ საბატონო ადგილ-მამულებით – სახნავ-სათესით, სავენახე და საბალახე მიწებით, ტყითა და წყლით – სარგებლობისათვის გადასახადი უნდა გადაეხადა, ბეგარაც (ე. ი. შრომითი გადასახადი) გაეწია.

14-მა ქართველმა მემამულემ ადმინისტრაციას აზრი დამოუკიდებლად წარუდგინა (ე. წ. „უმცირესობის“ პროექტი). უმცირესობის პროექტის ავტორები მთლიანად იზიარებდნენ უმრავლესობის მიერ გამოთქმულ ყველა პრინციპულ მოსაზრებას, კერძოდ, ყმების უმიწოდ განთავისუფლების შესახებ. ამასთან, დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსული გლეხების მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად მათ საჭიროდ მიაჩნდათ გლეხის უფლების აღიარება შინაურ საქონელზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, საცხოვრებელ სახლსა და სამეურნეო ნაგებობებზე, ბაღებსა და ვენახებზე.

ცალკე პროექტი შეიმუშავა კონსტანტინე მამაცაშვილმა. ის ყმების მიწით გათავისუფლებას და მათთვის იმ მამულების საკუთრებად დამტკიცება მოითხოვდა, რომლებსაც ისინი ფაქტობრივად ფლობდნენ ბატონყმობის გაუქმებამდე. ასაბუთებდა, თუ ასე არ მოხდება, ხელს შევუწყობთ პროლეტარული ელემენტების გაჩენას, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის წესრიგსა და მშვიდობიანობასო.

წყარო ბ) ნაწყვეტი გორის მაზრის მემამულეთა განცხადებიდან, 1864 წ.

„რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩვენ კარით-კარად უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის დამმუშავებელი, აღარც საქონლის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა...“

საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით საყურადღებო აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ. იგი გლეხებისათვის მიწის ნაკვეთის სრულ საკუთრებაში დამტკიცებას მოითხოვდა და დროებითი ვალდებულების შემოღებას ეწინააღმდეგებოდა. მისი აზრით, გლეხთა საკითხის გადაწყვეტა უნდა დაფუძნებოდა გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვას, ყველა ძაფის გაწყვეტას, რომლებიც ნაბატონარსა და ნაყმევს ერთმანეთთან იძულებით აკავშირებდა.

წყარო გ) ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1905 წ.

„მე ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემ ნაყმევთა შორის“.

Don't COPY

5. რას ეყრდნობოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა და განვითარების დონით, რუსეთის იმპერია მათ რატომ ჩამორჩებოდა?

6. შენი აზრით, რა იგულისხმება რუსეთის იმპერატორის სიტყვებში: „ჯობს ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, ვიდრე ეს გლეხებმა გააკეთონ ქვემოდან“.

7. ალესანდრე II-ის მანიფესტით, რა შეიცვლა სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობაში?

8. როგორ ფიქრობ მანიფესტის პუნქტები გლეხს რეალურ თავისუფლებას აძლევდა? პასუხი დაასაბუთე

9. შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ის საშიშროება, რომელზეც გორის მაზრის მემამულეები მიუთითებდნენ?

10. როგორ ფიქრობ, რომელი პროექტი უფრო მისაღები იქნებოდა ქართული საზოგადოებისთვის?

11. რატომ ითვლებოდა, რომ პროლეტარიატი საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს? მოიყვანე მაგალითები ევროპის ისტორიიდან.

12. „უმრავლესობის პროექტის“ რომელი დებულების წინააღმდეგ გამოდიოდა ილია ჭავჭავაძე?

13. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 122. შეავსე ცხრილი, გამოყავი მსგავსება-განსხვავებები და გამოთქვი ვარაუდი, რომელი პროექტის დებულებებს მოიწონებდა ხელისუფლება და რატომ? შენთვის რომელია მისაღები და რატომ?

ხელისუფლებამ ქართული პროექტები დაიწუნა, თუმცა რეფორმა მემამულეთა ინტერესების გათვალისწინებით – რუსეთში განხორციელებული მოდელის შესაბამისად – გაატარა. 1864 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება თბილისის გუბერნიაში გლეხთა ყმობისგან განთავისუფლების შესახებ.

წყარო დ) ნაწყვეტი იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებულებიდან, 1864 წ.

„თბილისის გუბერნიის ყველა მემამულე, რომლებსაც უკანასკნელი კამერული აღწერით ყმა-გლეხები ჰყავდათ, მიუხედავად იმისა, ეს ყმა-გლეხები მოწყობილ იქნენ საკუთრივ ამ მემამულის თუ სხვა მეპატრონის მიწაზე, ანდა ქალაქად ცხოვრობენ, მამრობითი სქესის ყოველ ერთ სულზე მიიღებს ოცდახუთი მანეთის ანაზღაურებას“.

წყარო ე) მუხლები საერთო დებულებიდან ბატონყმური დამოკიდებულებისგან განთავისუფლებული გლეხების შესახებ

მუხლი 1. მემამულეთა მიწებზე დამკვიდრებულ გლეხებსა და შინაყმებზე ბატონყმური უფლება სამუდამოდ უქმდება;

მუხლი 4. გლეხები, მათთვის გადაცემული ნადელის სანაცვლოდ, მოვალენი არიან, მემამულეთა სასარგებლოდ მოიხადონ მოვალეობები: შრომითი ან ფულადი;

მუხლი 11. გლეხებს აქვთ უფლება, გამოისყიდონ საკარმიდამო ნაკვეთი შესაბამისი თანხის გადახდით;

მუხლი 15. გლეხები, რომლებიც გამოვიდნენ ბატონყმური დამოკიდებულებიდან, მაგრამ მიწით სარგებლობის გამო რჩებიან მემამულურ დამოკიდებულებაში, იწოდებიან „დროებითვალდებულ გლეხებად“;

მუხლი 16. გლეხები, რომლებიც გამოვლენ ბატონყმური დამოკიდებულებიდან და შეიძენენ მიწის სავარგულებს, იწოდებიან „მესაკუთრე გლეხებად“.

ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია) ბატონყმობა 1865 წელს გაუქმდა. საგლეხო რეფორმა სამეგრელოში 1866, აფხაზეთში 1870, ხოლო სვანეთში 1871 წელს განხორციელდა. ეთნიკური უმცირესობებით (აზერბაიჯანელებით, სომხებით) დასახლებულ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებს აგრარული ცვლილება XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის შეეხო. საგლეხო რეფორმას არაფერი შეუცვლია მრავალრიცხოვანი შინაყმებისა და ხიზნების ცხოვრებაში.

Don't copy

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით მცირე ნადელი დაწესდა. მისი ზომა საშუალოდ 3,4 **დესეტინით**, ხოლო გამოსასყიდი თანხა 250-350 მანეთით განისაზღვრა. ყმობისგან თავდახსნილ გლეხს პირად სარგებლობაში არ მისცეს არც ტყე, არც სათიბი და საძოვარი, რისთვისაც კვლავაც მძიმე გადასახადი უნდა ეხადა.

რეფორმა გარკვეული თავისებურებებით გატარდა აფხაზეთში. გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში აქაურ გლეხს მიწა სრულ საკუთრებაში გადაეცემოდა. დროებითვალდებულება კი მხოლოდ 4 წლით წესდებოდა, რის შემდეგაც გლეხი თავისუფალი მოსახლე ხდებოდა.

საქართველოს დანარჩენ კუთხეებში დროებითვალდებულება გაჭიანურდა. იგი 1912 წლის კანონით ფორმალურად გაუქმდა, მაგრამ ფაქტობრივად თვითმპყრობელობის დამხობამდე ძალაში დარჩა.

დესეტინა – უდრიდა 1, 09 ჰექტარს.

წყარო ვ) ნიკო ნიკოლაძე, „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, 1865 წ.

„კაცმა რომ იკითხოს, სადაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ...აბა, სადაა გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება?“ რეფორმა „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულის დაკანონება“ იყო“.

14. დააკვირდი შენ მიერ შედგენილ ცხრილს. წარმოდგენილი პროექტებიდან რა გაიზიარა და რა არა მთავრობამ?

15. მემამულეები ვალდებული იყვნენ, გლეხებისთვის მიწა მიეყიდათ. როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები საწინააღმდეგო შემთხვევაში?

16. პროექტით რომელი მხარის უპირატესობაა გამოხატული, მემამულისა თუ გლეხისა? რა უპირატესობებია ეს? პასუხისათვის დაეყრდენი შესაბამის მუხლებს.

17. გამოთქვი ვარაუდი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რეფორმა განსხვავებულად რატომ განხორციელდა?

18. შენი აზრით, რატომ აკრიტიკებდა ამ რეფორმას ნ. ნიკოლაძე?

19. როგორ ფიქრობ, ნაკლოვანებების მიუხედავად, რეფორმას დადებითი შედეგები მოჰყვებოდა?

20. საზოგადოებაში როგორ სოციალურ ცვლილებებს გამოიწვევდა ეს რეფორმა?

21. რა ეკონომიკურ პროცესებს დააჩქარებდა ყმა გლეხების გათავისუფლება?

Don't copy

XIX საუკუნის 60–70-იანი წლების რეფორმები


საგლეხო რეფორმის შემდეგ ცარიზმმა რუსეთში სხვა გარდაქმნებიც განახორციელა, მათ შორის, საერობო, სასამართლო, სასოფლო, საქალაქო მმართველობის, სამხედრო, საფინანსო და სხვა სფეროში. განაპირა მხარეებში, კერძოდ საქართველოში, ხელისუფლებამ თავი შეიკავა ზოგიერთი რეფორმის გატარებისაგან და მიზეზად მკვიდრი მოსახლეობის მოუმზადებლობა დაასახელა. სინამდვილეში მეფის მთავრობას ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის შეზღუდვა არ სურდა.

1864 წელს დაიწყო და რამდენიმე წლის განმავლობაში იმპერიის ევროპული ნაწილის 30-ზე მეტ გუბერნიაში საერობო რეფორმა გატარდა. ერობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი, წარმომადგენლობითი ორგანო იყო, რომელსაც მაზრებსა და გუბერნიებში სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო საქმეთა გაძღოლა დაეკისრა. ერობათა უფლებები შეზღუდული იყო, მათ მუშაობას გუბერნატორი და შინაგან საქმეთა მინისტრი აკონტროლებდა, რომლებსაც ერობის ნებისმიერი გადაწყვეტილების შეჩერება და გაუქმება შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, ერობის შემოღებამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ინიციატივის, მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

ერობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა იმ ერის ცხოვრებაში, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღარ გააჩნდა. „თერგდალეულები“ ერობაში „სიკეთის ღონეს“ ხედავდნენ და იბრძოდნენ, რათა იგი ჩვენშიც დამკვიდრებულიყო.

წყარო ზ) ნიკო ნიკოლაძე, „ერობა (Земство) მისი დანიშნულება და წესდება“, 1882 წ.

„დედამიწაზე ერთი ერი არ მოიძებნება, მგონია, რომელსაც თვითმმართველობა არ მოხდენოდეს. დააკვირდით ერის ზნეს და ცხოვრებას თვითმმართველობის შემოღებიდან და შემოღების ათიოდე წლის შემდეგ: ყველაფერში შეამჩნევთ ცვლილებას და გაუმჯობესებას, ზრდას, გაძლიერებას. არათუ მარტო საზოგადო საქმე ძლევით იმოსება, კერძო წევრებზედაც, მათ ზრდილობასა და ზნეზედაც ელვარებს თვითმმართველობის, ესე იგი თავისუფლების შუქი... ერობის ყველაზე უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონად ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება... გვამაღლებს კაცების ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას“.



სურ. 2. ნიკო ნიკოლაძე

22. რა საქმეებს უძღვებოდა ერობა? შენი აზრით, რატომ იყო ერობების უფლებები შეზღუდული და რატომ აკონტროლებდა მათ მუშაობას გუბერნატორი და შინაგან საქმეთა მინისტრი?
23. თვითმმართველობის რა სიკეთეზე წერდა ნ. ნიკოლაძე?
24. შენი აზრით, საზოგადოების რა კუთხით განვითარებას შეუწყობდა ხელს ეს რეფორმა?
25. როგორ ფიქრობ, შესაძლებელი იყო თუ არა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ რეფორმის გატარება? პასუხი დაასაბუთე.

მეფის ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწია ქართველთა სამართლიან მოთხოვნას და საქართველო ერობის გარეშე დატოვა.

სასოფლო მმართველობის რეფორმა საქართველოში 1865 წელს განხორციელდა. ჩამოყალიბდა გლეხთა წოდებრივი დაწესებულება – საზოგადოებრივი მმართველობები, რომელთა უმაღლესი ორგანო სოფლის ყრილობა იყო, აღმასრულებელი ფუნქცია კი 3 წლის ვადით არჩეულ მამასახლისებსა და მათ მოადგილეებს ეკისრებოდათ, რომლებსაც ნაცვლები ერქვათ. მმართველობათა კომპეტენციაში შედიოდა სოფლის როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული საქმეების მართვა, ბეგარა-გადასახადების აკრეფა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა და სხვ. სოფლის კანცელარიას მწერალი განაგებდა, სახაზინო გადასახადებს სპეციალური მოხელე – გზირი კრეფდა.


წყარო თ) ალექსანდრე ბენდიანიშვილი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „საქართველოს ისტორია“, თბ., 1999.

„მაზრის უფროსი და პოლიციის მოხელეები ხშირად ახერხებდნენ სოფლისათვის თავს მოეხვიათ მთავრობისათვის სასურველი მამასახლისი, რომელიც გლეხთა ყრილობის დადგენილებას კი არ ასრულებდა, არამედ გამოდიოდა პოლიციის აგენტის როლში და იმას აკეთებდა, რასაც მაზრის უფროსი უბრძანებდა“.

საზოგადოებრივ მმართველობებს მხოლოდ გლეხთა წოდება ექვემდებარებოდა, სოფლის მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილზე მისი ხელმძღვანელობა არ ვრცელდებოდა. სხვადასხვა ნაკლის მიუხედავად, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობების ძალისხმევით ბევრგან გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, აფთიაქი, გაიყვანეს ან შეკეთდა სასოფლო გზები, ხიდები, ბოგირები და სხვ.

26. შენი აზრით, რატომ არ განხორციელა მეფის რუსეთმა ერობის რეფორმა საქართველოში?
27. რატომ იყო მნიშვნელოვანი სასოფლო მმართველობის რეფორმა?
28. მიუხედავად მთავრობის ჩარევისა, შეუწყობდა თუ არა ეს რეფორმა ხელს სასოფლო საზოგადოების განვითარებას? თუ კი, რატომ?

Don't copy



სურ. 3. დიმიტრი ყიფიანი

სასამართლო რუსეთის იმპერიაში წოდებრივი იყო. ამასთან, მართლმსაჯულება მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს ადმინისტრაცია ნიშნავდა, ხოლო გამოძიებას პოლიცია წარმართავდა. 1864 წელს ალექსანდრე II-მ დაამტკიცა ახალი სასამართლო წესდება, რომლითაც მართლმსაჯულების ორგანოებს გარკვეული დამოუკიდებლობა მიეცა. წოდებრივი სასამართლო გაუქმდა და ჩამოყალიბდა ყველა ფენისათვის საერთო სასამართლო სისტემა. მაზრებში შეიქმნა მომრიგებელი, ხოლო გუბერნიებში საოლქო სასამართლო დაწესებულებები. საქმეს სასამართლოს გამომძიებელი იძიებდა. სასამართლო პროცესმა ღია და საჯარო ხასიათი შეიძინა. დაწესდა მხარეთა პაექრობა. ბრალდებას პროკურორი ასაბუთებდა, ბრალდებულს ადვოკატი იცავდა. შემოიღეს მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა და სხვ.

ეს იყო ყველაზე დემოკრატიული და თანამიმდევრული რეფორმა, თუმცა იგი საქართველოში შეკვეცილი სახით, არასრულად გატარდა და ძალაში 1868 წლიდან შევიდა. საქართველოში არ შემოუღიათ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და არც მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპი. აქ მოსამართლე უწინდებურად მთავრობის მიერ დანიშნული მოხელე იყო, რომელიც ხელისუფლების ნებას ვერ გადალახავდა. რეფორმირებულ სასამართლოში საქმის წარმოება კვლავაც მოსახლეობისათვის უცხო და გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ დაბალი ინსტანცია – მომრიგებელი განყოფილებები, რომლებშიც საქმის ქართულ ენაზე განხილვა შეიძლებოდა. მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა ერთხანს დუშეთში ილია ჭავჭავაძეს, ხოლო რაჭის მაზრაში კიტა აბაშიძეს ეკავათ.

პროგრესული ქართული საზოგადოებრიობა მოითხოვდა სასამართლოს გაქართულებას და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, მაგრამ უშედეგოდ.

რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს ქალაქებს ძირითადად პოლიცია განაგებდა. მდგომარეობა არსებითად 1870-იანი წლებიდან შეიცვალა, როდესაც რუსეთში დიდ და საშუალო ქალაქებს თვითმმართველობა მიენიჭა. საქალაქო მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო. სათათბიროს ხმოსნების (დეპუტატების) ამომრჩეველთა რიცხვი ქონებრივი ცენზით იყო შეზღუდული: საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდათ ვაჭრებს, მეწარმეებსა და უძრავი ქონების მფლობელებს.

საქალაქო რეფორმა საქართველოში 1874 წლიდან დაიწყო და პირველად თბილისში გატარდა. არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულ სათათბიროში 75 ხმოსანი შედიოდა. მათ მუშაობას უძღვებოდა გამგეობა ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. თვითმმართველობის უმთავრეს ფუნქციას კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა, ქალაქის გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა, განათლების კერებისა და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა და სხვ. შეადგენდა.

1875-1876 წლებში საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს ქუთაისში, გორსა და ახალციხეში, 1882 წელს – ფოთში, 1888 წელს კი – ბათუმში. ცნობილ ქართველ მოღვაწეთაგან დიმიტრი ყიფიანი თბილისის ქალაქის თავად იყო არჩეული, ხოლო ნიკო ნიკოლაძე – ფოთის ქალაქის თავად.

29. როგორ ფიქრობ, რატომ არ ჩაატარა ხელისუფლებამ სრულყოფილი სასამართლო რეფორმა იმპერიის არარუსულ გუბერნიებში?

30. შენი აზრით, რას გამოიწვევდა იმპერიის არარუსულენოვან რეგიონებში სასამართლოს არამშობლიურ ენაზე წარმოება?

31. შენი აზრით, საგლეხო რეფორმამ გამოიწვია თუ არა სხვა რეფორმების განხორციელების აუცილებლობა? თუ კი, რატომ?

32. მიუხედავად შეზღუდვებისა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საერობო და საქალაქო რეფორმები?

33. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 123: ცხრილის გამოყენებით შეაფასე საქართველოში რუსული ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისთვის.

Don't copy

49-50 როგორ ვითარდებოდა საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ბევრი რამ შეიცვალა. 1801 წლიდან ერთი ასწლეულის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რიცხვი 675 ათასიდან თითქმის 2 მილიონამდე გაიზარდა. მკვიდრ მცხოვრებთა ბუნებრივ მატებასთან ერთად შესამჩნევი იყო მიგრაციით გამოწვეული უცხოტომელთა რაოდენობის მექანიკური ზრდაც. დემოგრაფიულმა ექსპანსიამ, რომელსაც რუსეთის იმპერია მიმართავდა, საქართველოს შესამჩნევი კვალი დაატყო. ჯერ კიდევ 1803 წელს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოდან მიგრირებული 11 ათასი სომეხი თბილისსა და ქვემო ქართლში დაასახლა. 1817-1818 წლებში რუსეთიდან საქართველოში გერმანელი კოლონისტების რამდენიმე ასეული ოჯახი გადმოიყვანეს. მომდევნო ორ ათწლეულში კი საქართველოს 10 ათასზე მეტი რუსი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი, მათ შორის, მალაკნები, დუხობორები, სკოპცები და სხვები შეემატნენ.

წყარო ა) გერმანელი კოლონისტების არქიტექტურა საქართველოში.
http://german-georgian.archive.ge/ka/blog/15

„1817 წლის 21 სექტემბერს საქართველოში ვიურტემბერგელი შვაბების 31 ოჯახი ჩამოვიდა. ისინი სართიჭალის მახლობლად დაასახლეს და კოლონიას მარიენფელდი უწოდეს. გერმანელთა შემდეგი ნაკადი, 500-მდე ოჯახი, 1818 წელს ჩამოვიდა. 1819 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ექვსი გერმანული კოლონია იყო: მარიენფელდი, ნოი-ტიფლისი, ალექსანდერდორფი, კატარინენფელდი, ელიზაბეტთალი და პეტერსდორფი. გერმანელთა ჩამოსვლა გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც“.

თბილისში გამომავალი გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ შენიშნავდა: კავკასიის მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის აზრით, „ბეჯითი და მიზანსწრაფული გერმანელები საქართველოს მოსახლეობას კარგ მაგალითს მისცემდნენ და ძალისხმევის ბრწყინვალე შედეგების ჩვენებით გაუღვივებდნენ სურვილს, მათთვის მიებაძათ და თავიანთი ქვეყანა უკეთესად აეშენებინათ“.

გერმანელები კოლონისტები მართლაც მისაბაძნი გახდნენ თავიანთი შრომის კულტურით, მუყაითობითა თუ საქმის ორგანიზებით. ისინი აწარმოებდნენ საუკეთესო ხარისხის ყველს, ლუდს და განთქმულნი იყვნენ ხელოსნობით. არაერთმა გერმანელმა თავისი წვლილი საქართველოს კულტურის განვითარებაშიც შეიტანა (არქიტექტორები ალბერტ ზალცმანი და ოტო სიმონსონი, მხატვარი და კარიკატურისტი ოსკარ შმერლინგები და სხვ.).



სურ. 1 სასტუმრო „ვეტცელი” (დღეს დავით აღმაშენებლის პრ. №103) აიგო 1897-1900 წწ. (არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი).



სურ. 2. „სოლოლაკელი ბურჟუა“. ოსკარ შმერლინგის კარიკატურა

Don't copy

წყარო ბ) პავლე ინგოროყვა, XX ს.-ის მეცნიერი, „საქართველოს ტერიტორიული საზღვრების შესახებ“, 1918 წ

„რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველო, ყველაზე კომპაქტურად და ეროვნულად ერთგვაროვანი ერთეული ამიერკავკასიის სამფლობელოებში, ეთნოგრაფიულად აეჭრელებინათ და ამით გამოეწვიათ დასუსტება ქართველობისა, როგორც ყველაზე კულტურული და სახელმწიფოებრივი ერისა კავკასიაში“.

ხელისუფლება საქართველოში დისლოცირებული რუსეთის არმიიდან **დემობილიზებულ** რუს ჯარისკაცთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვე ტოვებდა და მათთვის კომპაქტურ დასახლებებს – სამხედრო დაბებს ქმნიდა. დაბებს ქართულის ნაცვლად რუსულ სახელებს არქმევდნენ. 1856 წლისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 21 ასეთი რუსული დასახლება მოითვლებოდა.

წყარო გ) მორიც ვაგნერი, გერმანელი მოგზაური და ბუნებისმეტყველი, XIX ს. „საქართველოს შესახებ“.

„ალბათ მოვა დრო, როცა ფაზისზე გაქრებიან მკვიდრები, ხოლო სლავი მოახალშენეები დაამუშავებენ ამ უდაბურ ადგილებს და მეგრულ რასას და ენას მხოლოდ ისტორია მოიგონებს. კოლხეთის ამ მოდუნებული მეოცნებე ხალხის საქმე უარესად წავა, ვიდრე მისისიპზე მცხოვრები ინდიელი ტომებისა“.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ამ კუთხის შავზღვისპირა ზოლში, რუს მოახალშენეთა გარდა, ბერძნები, ბულგარელები, მოლდოველები და სხვები ჩამოასახლეს. 20 ათასი მუსლიმი აფხაზი კი აიძულეს, საცხოვრისი მიეტოვებინა და ოსმალეთის იმპერიაში გადასულიყო. მათ მუჰაჯირებს უწოდებდნენ, რაც არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს. 1877-1878 წლებში მუჰაჯირად აქციეს აფხაზეთიდან და აჭარიდან დევნილი 55 ათასზე მეტი ქართველი და აფხაზი.

წყარო დ) ირაკლი ანთელავა, XX ს.-ის ისტორიკოსი, „ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V.

რუსეთის „უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო, საქართველო გადაექცია ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პროგრამის განხორციელებას ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა“.

მკვიდრი მოსახლეობის თანაცხოვრებას ჩამოსახლებულებთან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. ახალმოსახლეებს ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე არავინ ავიწროებდა, მათ საქართველოში თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობა უცვლელად შეინარჩუნეს.


წყარო ე) ვაჟა-ფშაველა, „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, 1905 წ.

„გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“.

Don't copy



რუკა 45. გერმანელ კოლონისტთა დასახლებები სამხრეთ კავკასიაში



რუკა 46. დუხობორთა დასახლებები საქართველოში

Don't copy

1. **შენი აზრით, რატომ დაასახლა მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოდან მიგრირებულიი სომხები თბილისსა და ქვემო ქართლში?**
2. **როგორ ფიქრობ, რელიგიურ უმცირესობებს პერიფერიებში რატომ ასახლებდნენ?**
3. **როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ადგილობრივებს ჩამოსახლებულების მიმართ? შენი აზრით რა იყო ასეთი დამოკიდებულების განმაპირობებელი?**
4. **როგორ ფიქრობ, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მასობრივი ჩამოსახლება შეიცავდა თუ არა იმ საფრთხეს, რაზეც წყაროების (ბ), გ), დ) ავტორები მიუთითებენ?**
5. **შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე?**
6. **შეადარე წყარო ე) 46-ე და 47-ე პარაგრაფებში „თერგდალეულების“ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს განვითარების, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების შესახებ და იმსჯელე, როგორ შეუწყობდა ხელს მათი იდეები საქართველოს საზოგადოების შემდგომ განვითარებას.**

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც სოფლად ცხოვრობდა და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაშიც. ძირითად საზოგადოებრივ ფენებად ჯერაც თავადაზნაურობა და გლეხობა რჩებოდა, თუმცა ისინი სწრაფ ქონებრივ დიფერენციაციას განიცდიდნენ. გლეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკებასთან ერთად იზრდებოდა საშუალო და შეძლებულ გლეხთა რიცხვიც, თუმცა დიდი იყო მცირემიწიანი და საერთოდ, უმამულო გლეხთა რაოდენობაც. ბევრი მათგანი იძულებული იყო, უფრო შეძლებულ ოჯახს მოჯამაგირედ დასდგომოდა, ქირაზე ევლო ან კიდევ სარჩოსთვის საშოვარზე გასულიყო.

წყარო ვ) გრიგოლ მარგიანი, XX ს.-ის ისტორიკოსი, „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917)“.

„საშოვარზე გასვლა დიდად ხელსაყრელია მცირემიწიანი გლეხობისათვის, რაჭველები კალატოზებად და დურგლებად მუშაობენ, მეგრელები, გურულები ნავსადგურების მუშების მნიშნელოვან ნაწილს შეადგენენ, ბევრი გლეხი ქუთაისისა და შორაპნის მაზრების სხვადასხვა კუთხიდან მიემგზავრება თბილისის გუბერნიაში, სადაც მათ შეძლეს სადუქნო ვაჭრობის მონოპოლიზირება... ქუთაისის გუბერნია შავი მუშებითა და მოსამსახურეებით ამიერკავკასიის ბევრ ქალაქს ამარაგებს“.

საშუალო და შეძლებული გლეხები თავიანთი მუყაითი გარჯით, ასევე, დაქირავებული მუშახელის გამოყენებით მნიშვნელოვნად აფართოებდნენ მეურნეობას, ჭარბი პროდუქტი ბაზარზეც გაჰქონდათ, იძენდნენ უკეთეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და აგროვებდნენ უძრავ თუ მოძრავ ქონებას.

მწარმოებელი ფენები სხვადასხვა გადასახადით იყვნენ დაბეგრილი. სოფლად სულადობრივ და მიწის გადასახადებთან ერთად, იხდიდნენ არაპირდაპირ გადასახადებს საძოვარზე, სასმელზე აქციზის სახით და სხვ. ქალაქის მცხოვრებთ უნდა გადაეხადათ საპოლიციო გამოსაღები, უძრავი ქონების გადასახადი, ვაჭრობის უფლების გადასახადი, მარილის მოსაკრებელი, თამბაქოს ბაჟი და ა. შ.

1897 წლის აღწერის მონაცემთა თანახმად, საქართველოს მოსახლეობაში სოციალური ნიშნით გამოიყოფოდნენ: შთამომავლობითი და პირადი აზნაურები, სასულიერო წოდება, საპატიო მოქალაქეები, ვაჭრები, **მეშჩანები** და გლეხები.

ქართულმა არისტოკრატიამ ვერ აუწყო ფეხი ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ გარდაქმნებს. იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი სინამდვილისათვის და უიმედოდ ჩამორჩა დროს. მეურნეობის მოდერნიზება, ევროპული ტექნიკის შემოტანა და შრომის რაციონალიზაციის გზით წარმოების გაუმჯობესება მხოლოდ ერთეულებმა მოახერხეს. ასეთთა შორის იყვნენ: დიმიტრი აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე მუხრანბატონი, სოლომონ ანდრონიკაშვილი, ნიკო ჩიჯავაძე, მიხეილ ერისთავი და სხვები.

Don't copy

დემობილიზაცია – ჯარისკაცების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება მათი თადარიგში გასვლის ან არმიის სამშვიდობო მდგომარეობაზე გადაყვანის გამო.

მეშჩანი – ქალაქის წვრილ მესაკუთრეთა კატეგორია. აერთიანებდა მცირე ვაჭრებს, ხელოსნებს, მოსამსახურეებს.

წყარო ზ) ეგნატე იოსელიანი, XIX ს.-ის პუბლიცისტი, „ქართული ლიტერატურა“, ჟურნ. „ივერია“, 1883, N 4.

„უწინდელი ზნეობა, ხასიათი, ყოფა-ქცევა, მიხვრა-მოხვრა სასაცილოდ გადაიქცა. ვინც ვერ მოასწრო, ვერ შეეფერა, ვერ მოექნა ახალ მოთხოვნილებას, იმას ნელ-ნელა ფეხქვეშიდამ მიწა ეცლებოდა, დასაცემად ემზადებოდა. ქართველობის გამოცდილება, სწავლა აღარ აძლევდა კაცს გზასა საზოგადო ასპარეზზე. მრავალნი პირნი ძველის დროის შემდეგ ბავშვებსავით გაშტერებულნი დარჩნენ, არ იცოდნენ, საით მიეღოთ თავი, რისთვის მოეკიდათ ხელი, რომ სიკვდილამდის თავიანთ ჩვეულებრივი პატიოსნება არ დაეკარგათ“.

წყარო თ) ივანე მუხრანბატონი, ინოვატორი ანტრეპრენიორი XIX საუკუნის საქართველოდან. https://www.entrepreneur.com/ka/inspiratsia/ivane-mukhranbatoni/325601

„გენერალ-ლეიტენანტი, თავადი ივანე მუხრანბატონი თბილისის გუბერნიაში 25 794 დესეტინა მიწას ფლობდა. ჰყავდა 147 ძროხა, 7 500 ცხვარი, 300 ღორი, 68 ხარ-კამეჩი და 61 ცხენი. მუხრანბატონმა სოფელ მუხრანში 100 ათასი ვედრო ტევადობის ქარხანა ააგო, რომელშიც ღვინოს ევროპული წესით აყენებდა. მისი ღვინის ხარისხი საუკეთესო იყო რუსეთის იმპერიაში. 1882 წელს მოსკოვის გამფენაზე მუხრანულმა ღვინომ ოქროს მედალი დაისახურა“.

წყარო ი) ნიკო ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა“, ჟურნალი „კრებული“, 1873, N1.

„როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს, მაშინ საჭიროა მწარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებ-მიცემის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამომძებნელი... აი, ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოთ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თაობის უკანასკნელი ნავსაყუდი... მაშ, მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები, თუ კი ჩვენ საკუთარ თავში ჩვენ საკმაო იმედს და ძალას ვგრძნობთ, და ვეცადოთ ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ჭკვიანური საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დავიკაოთ ის ალაგი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს“.

7. რომელი მთავარი პრობლემაა გაშუქებული ვ), ზ), თ) და ი) წყაროებში?

8. როგორ შეიცვლა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საზოგადოებრივი ფენების ყოფა და მათი ურთიერთობა?

9. რა ეკონომიკურ საქმიანობაში იყო ჩართული გლეხობა და როგორ აისახებოდა ეს მათ სოციალურ მდგომარეობაზე?

10. როგორ ფიქრობ, იმდროინდელმა ქართული არისტოკრატიის უმეტესობამ რატომ ვერ აუწყო ფეხი ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლელებებს?

11. რა გზას გვთავაზობს ნ. ნიკოლაძე და, შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა დაძლეულიყო ეს პრობლემა?

Don't copy

მემამულეთა უმრავლესობამ მამაპაპეული მიწების გაყიდვა ან დაგირავება დაიწყო. მყიდველი ძირითადად ვაჭართა, მევახშეთა, მრეწველთა არაქართულ წრეს ეკუთვნოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათასობით ჰექტარ მიწა-წყალს ისაკუთრებდნენ საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლები და კავკასიის რუსი მმართველებიც. XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოს მთელი მიწის ფონდის ნახევარს რუსეთის იმპერიის ხაზინა ფლობდა.

„პირად აზნაურთა“ დიდი უმრავლესობა ე. წ. „შემოდგომის აზნაურებს“ მიეკუთვნებოდა, რომელთა ქონებრივი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა ქართველი გლეხის მდგომარეობისაგან.

შემოდგომის აზნაურები – იმერეთის გაღარიბებული აზნაურები, რომელთა ტიპური სახეები თავის მოთხრობებში ირონიით ასახა მწერალმა დავით კლდიაშვილმა.

12. რა ნიშნის მიხედვით არის ქართული საზოგადოება დაქსაქსული?
13. შენი აზრით, რა იყო ამ დაქსაქსულობის ძირითადი მიზეზი?
14. გაიხსენე ქართული ლიტერატურიდან დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები. როგორაა ეს პრობლემა გაშუქებული?
15.როგორ ფიქრობ, მიწის გარეშე დარჩენილ არისტოკრატიულ ფენა, როგორ ეცდებოდა საკუთარი ინტერესების დაცვას?

მრეწველობის განვითარების პარალელურად გაჩნდა ახალი სოციალური ფენები – ბურჟუაზია და მუშათა კლასი. ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შორის არაქართული წარმოშობის მეწარმეები, ვაჭრები და სხვა საქმიანი ადამიანები ჭარბობდნენ. მუშათა უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ.

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოს ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გასამმაგდა და 140 ათასს გადააჭარბა. ყველაზე მრავალრიცხოვანი თბილისი იყო. ქალაქი მულტიეთნიკური მოსახლეობით გამოირჩეოდა. ქართველების გარდა აქ მრავლად ცხოვრობდნენ სომხები, აზერბაიჯანლები, რუსები, გერმანელები, პოლონელები, ოსები, ებრაელები, სპარსელები, დაღესტნელები, ბერძნები და სხვ. მათ უმეტესობას ქალაქში თავთავიანთი უბნები გააჩნდათ. მაგალითად, სომხური ბურჟუაზია, საცხოვრებლად სოლოლაკს ირჩევდა, შედარებით ხელმოკლე სომხების უბანს კი ავლაბარი წარმოადგენდა. სპარსელების უბანს სეიდაბადი ერქვა, რომელიც ახლანდელი აბანოთუბნის ტერიტორიას მოიცავდა. რუსები რიყეზე სახლობდნენ, გერმანელთა განსახლების არეალი კუკიით, დიდუბითა და დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე სივრცით შემოფარგლებოდა. ამასთან, განსაკუთრებული კოლორიტით გამოირჩეოდა თბილისური ეზოები, რომლებშიც ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნების, სოციალური ფენისა და პროფესიის ადამიანები ცხოვრობდნენ. მეზობლები ერთმანეთის ჭირისა და ლხინის თანამოზიარენი იყვნენ. თანაქალაქელები მონაწილეობდნენ ერთმანეთის საერო თუ რელიგიურ დღესასწაულებში, ულოცავდნენ და ერთად ზეიმობედნენ კიდეც. ურბანიზაციის პროცესში მოიმატა ქალაქების როლმა და მნიშვნელობამ ქვეყნის როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ცხოვრებაში. შესამჩნევად გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ამ მხრივ გამოირჩეოდა თბილისი. აქ ძველი საოჯახო სალონები ადგილს უთმობდნენ სათავადაზნაურო, ოფიცერთა და სხვა კლუბებს, ეწყობოდა გასართობი ღონისძიებანი, 1846 წელს გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, დაარსდა იტალიური ოპერა, რუსული და ქართული დრამის თეატრები და სხვ.

ქალაქის მკვიდრთა შორის გამოიკვეთა მოქალაქეთა წოდება. ქონებრივი თვალსაზრისით, იყვნენ პირველხარისხოვანი, შეძლებული, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქეები. თბილისის მდიდარ მოქალაქეთა ხელში თავს იყრიდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის დიდი ნაწილი. რეფორმის შემდეგ პერიოდში მუშათა რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ რიცხობრივად იგი საქართველოს მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს – 1,4%-ს არ აღემატებოდა (დაახლოებით 28-32 ათასი).

ინდუსტრიულმა რევოლუციამ და კაპიტალიზმის განვითარებამ მსოფლიოს მასშტაბით მძლავრი ბიძგი მისცა უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებსა და თვალსაჩინო მიღწევებს მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებში. ტექნიკური პროგრესის პარალელურად ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოებრივმა ურთიერთობამაც, მოგვიანებით კაპიტალიზმის წიაღში წარმოიშვა დემოკრატიაც და ადამიანის უფლებებიც. ეს სიახლეები ევროპიდან თანდათან რუსეთის იმპერია-

Don't copy

შიც აღწევდა.


ბატონყმობის გაუქმებამ და მომდევნო ბურჟუაზიულმა რეფორმებმა საქართველოსაც ეკონომიკური წინსვლის საშუალება მისცა. უმთავრესად იმპერიის საჭიროებისათვის, მაგრამ მაინც გაყვანილ იქნა გზები და აიგო სარკინიგზო მაგისტრალი. გაჩნდა ახალი დასახლებული პუნქტები, განმტკიცდა კავშირი ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის და სხვ. რკინიგზის პირველი ხაზი სამხრეთ კავკასიაში 1871 წელს ფოთსა და ყვირილას შორის გაიყვანეს. 1872 წელს ფოთის ნავსადგური რკინიგზით უკვე თბილისს დაუკავშირდა. 1883 წელს დასრულდა სამტრედია-ბათუმის მონაკვეთის მშენებლობა და იმავე წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის მაგისტრალიც გაიხსნა.

ქვეყნის ტერიტორიულმა და ეროვნულმა გაერთიანებამ, საგრძნობმა ეკონომიკურმა ძვრებმა ქართველი ხალხის მდგომარეობა თანდათანობით უკეთესობისკენ გარდაქმნა. ქართული საზოგადოება სოციალურ ტრანსფორმაციასთან ერთად მოდერნიზაციასაც განიცდიდა. თანადროულობის შესაბამისად, ცვლილებები აისახებოდა ხალხის ყოფასა და ცხოვრებაზე, ყოველდღიურობაში, ჩაცმა-დახურვასა და კვებაშიც კი. ქართული ეროვნული ტანსაცმლის გვერდით გავრცელდა ევროპული კოსტუმი. გამრავალფეროვნდა კულინარია. გაფართოვდა საკვები პროდუქტების ასორტიმენტი, გაუმჯობესდა რაციონი და სხვ. ქართული სუფრის უცვლელ ატრიბუტად რჩებოდა ღვინო, რომელსაც, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქრთველოში ტრადიციულად ამზადებდნენ. სიახლე შეეხო დროის ათვლის სისტემას. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოში დროს, ზოგჯერ კვლავ ქორონიკონით აითვლიდნენ. 1312 წლიდან დაიწყო მე-14 მოქცევა, რომელიც 1844 წელს დამთავრდა. ამის შემდეგ ქორონიკონით წელთაღრიცხვა საქართველოში აღარ გამოიყენებოდა. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად უკვე იულიუსის კალენდარი მოქმედებდა. საინტერესოა, რომ საუკუნის განმავლობაში, რუსეთის სამეცნიერო წრეები რამდენჯერმე შეეცადნენ გადასულიყვნენ გრიგორიანულ კალენდარზე, მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდნენ როგორც მმართველი წრეები, ასევე სასულიერი პირები და საზოგადოების ნაწილი. შესაბამისად, საქართველოშიც ეს რეფორმა ვერ გატარდა.

სამწუხაროდ, კვლავ დაბალი რჩებოდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. 1880-იანი წლებისათვის ეს მაჩვენებელი იმპერიის მასშტაბით მამაკაცებში 29, ხოლო ქალებში – 31 წელს შეადგენდა და ძირთადად გამოწვეული იყო ჩვილთა მაღალი სიკვდილიანობით და შედარებით ხშირი ეპიდემიებით (მაგალითად, შავი ჭირი 1811 წელს, ქოლერა 1830, 1857 და 1892 წლებში).

დაბალი იყო მოსახლეობის წიგნიერების დონეც. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სასკოლო ქსელი შესამჩნევად გაფართოვდა (1865 წლის დამლევისათვის ქვეყანაში არსებობდა ყველა ტიპის 251 სკოლა, რომლებშიც 11 868 მოსწავლე სწავლობდა), მაგრამ განათლებაზე გაზრდილ მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებდა.

წყარო კ) გაზეთი „ივერია“ მუსლიმთა დღესასწაულის შესახებ, 1886 წ., 11 მარტი.



**კვირას, 9 მარტს მუსულმანიტები თავიანთ ახალ-წლის პირველს დღესა დღესასწაულობდნენ. ეს დღესასწაული ყოველთვის სამის დღით არის ხოლმე. ტფილისში მცხოვრებნი სპარსელნი პირველად თავიანთ კონსულს მიულოცავენ ხოლმე, მიდის მთელი ამქარი ზურნითა და დაფითა. კონსუ-

რუსები ადმინისტრაციაში, სამხედრო და საპოლიციო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებულები, სომხები ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ, გერმანელები ქალაქს რძითა და რძის პროდუქტებით ამარაგებდნენ, ბერძნები ქვის მთლელები იყვნენ, სპარსელები და აზერბაიჯანელები ეგზოტიკური ხალიჩების წარმოებით გამოირჩეოდნენ და სხვ. სხვადასხვა სარწმუნოების და

Don't copy

ეროვნების ქალაქის მცხოვრებნი თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ თბილისში საკუთარი საკულტო ნაგებობებიც – ეკლესია, სინაგოგა, კირხე, მეჩეთი ჰქონდათ. ქართველებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა თანაცხოვრება ურთიერთპატივისცემით, დანათესავებით, შერეული ოჯახების შექმნით ხასიათდებოდა.

1846 წელს საგუბერნიო ცენტრად გამოცხადდა ქუთაისი, რამაც ქალაქის ზრდა-განვითარება შესამჩნევად დააჩქარა. აღმავლობის გზას ადგნენ სამაზრო ქალაქებიც გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, დუშეთი და სხვ. პორტო ფრანკოდ გამოცხადებამ და შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევამ სწრაფად დააწინაურა ბათუმი, რომელიც თანდათან შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან ნავსადგურად და სამრეწველო ქალაქად ყალიბდებოდა. ძირეულად იცვალა სახე დაჭაობებულმა დაბა ფოთმა. მის ქალაქის თავად ნიკო ნიკოლაძის ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ფოთი ევროპული ტიპის ქალაქად და „პირველხარისხოვან ბოღაზად“ (ნავსადგურად) მოგვევლინა. მნიშვნელოვანი საკვანძო ფუნქციები დაეკისრათ სარკინიგზო პუნქტებს ხაშურს, ზესტაფონსა და სამტრედიას.

წყარო ლ) ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად თავისი მუშაობის შესახებ

„ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტაოდნავ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არც ერთს თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, რწმუნებრივი რწმუნებული თუ ნაციონალური მიდრეკილება. ყველასაგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ“.

16. გაიხსენე, წელთაღრიცხვის აღნუსხვის რომელ სისტემებს იყენებდა ვახუშტი ბატონიშვილი (§30-31)?

17. შენი აზრით, XIX საუკუნეში, ჩვენს ქვეყანაში ძირითადად იულიუსის კალენდარი რატომ მოქმედებდა?

18. როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ახალი სოციალური ფენების გაჩენას ხელი და რამ განაპირობა მათი წოდებებად დაყოფა?

19. რა ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა აღნიშნულ ეპოქაში და როგორ უწყობდა აღნიშნული პროექტები ეკონომიკის განვითარებას ხელს?

20. როგორ იმოქმედა „თერგდალეულთა“ მოღვაწეობამ მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაზე?

21. სასკოლო ქსელის გაფართოება გამოიწვევდა თუ არა მომავალში საზოგადოებრივ ცვლილებებს? როგორ? პასუხი დაასაბუთე.

კაპიტალიზმის შემოღწევა ქართულ სოფელსაც დაეტყო. ხორბლისა და სიმინდის წარმოებამ სასაქონლო ხასიათი შეიძინა სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც. მხარე უკვე საკუთარი პურით ამარაგებდა აქ დისლოცირებულ რუსეთის მრავალათასიან არმიას, ხორბლის ნაწილი საზღვარგარეთაც იყიდებოდა. დასავლეთი საქართველო სიმინდის დამზადებისა და გატანის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. ყოველწლიურად აქედან ევროპაში 5-6 მილიონი ფუთი სიმინდი იგზავნებოდა. 1,2 მლნ. მანეთის კვერცხი გაჰქონდათ გასაყიდად ლონდონში, ვენაში, პარიზში, ბერლინში და სხვაგან. XIX-XX სს.-ის მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ბაზარს 2,5 მლნ. მანეთის მეფრინველეობის პროდუქტსაც აწვდიდა.

XIX საუკუნის ბოლოდან საქართველოდან ექსპორტის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი ნავთობი და მარგანეცი გახდა. მას შემდეგ, რაც ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობა დასრულდა (1897-1906 წწ.), კასპიის ზღვისპირას მოპოვებული ნავთობი მილსადენით ბათუმში გადაიქაჩებოდა, საიდანაც საზღვარგარეთ ბიდონებით, ცისტერნებითა და ტანკერებით გაჰქონდათ. ჭიათურის მაღაროებიდან ამოღებული მარგანეცის მადანი კი უცხოეთში ფოთის ნავსადგურიდან გადიოდა.

ბათუმში სწრაფად განვითარდა საექსპორტოდ გათვალისწინებული ნავთობის სპეციალური ტარის წარმოება. ნავსადგურის მახლობლად თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამამზადებელი ქარხნები ააშენეს ა. როტშილდმა, ძმებმა ნობელმა, ა. მანთაშევმა, სიდერიდისმა და სხვებმა. ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი იყო ხეტყის დამზადება და ვაჭრობა. ადგილობრივი შემოსავლის დიდი ნაწილი მრავალრიცხოვანი ჯარის ნაწილებისა და ბიუროკრატიული აპარატის შენახვას ხმარდებოდა.

Don't copy

სარკინიგზო ქსელის მშენებლობა კავკასიაში XIX ს. II ნახევარში
პირობითი აღნიშვნები
სახელმწიფო საზღვარი
გუბერნიისა და ოლქის საზღვარი
ოკრუგის საზღვარი
გუბერნიისა და ოლქის ცენტრი
ოკრუგის ცენტრი
მაზრის ცენტრი
დასახლებული პუნქტი
სარკინიგზო ხაზების მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში
1871 წ. ფოთი-ზესტაფონის ხაზი
1872 წ. ზესტაფონი-თბილისის ხაზი
1883 წ. ბათუმი-სამტრედიის ხაზი
1883 წ. ბაქო-თბილისის ხაზი
1887 წ. ქუთაისი-ჭყონდიდის ხაზი
1889 წ. თბილისი-ყარსის ხაზი
1890 წ. წინის გვირაბი
1894 წ. ხაშური-ბორჯომის ხაზი
1895 წ. ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერის ხაზი
1899 წ. თბილისი-ერევნის ხაზი
1902 წ. ბორჯომი-ბაკურიანის ხაზი
1915 წ. კახეთის რკინიგზის ხაზი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ზესტაფონი
სამტრედია
ხაშური
ბორჯომი
ახალქალაქი
ახალციხე
ვალე
ახალდაბა
ახალციხე
ახალქალაქი
ალექსანდროპოლი
(გიუმრი)
ყარსის ოლქი
ყარსი
არტვინი
ართვინი
ბათუმის ოკრუგი
ბათუმის ოკრუგი
ყარსის ოკრუგი
ყარსის ოკრუგი
ტფილისის გუბერნია
ტფილისის გუბერნია
ქუთაისის გუბერნია
ქუთაისის გუბერნია
ბათუმის ოლქი
ბათუმის ოლქი
ყარსის ოლქი
ყარსის ოლქ

წყარო მ) ფილიპე გოგიჩაიშვილი, XX ს.-ის მეცნიერი, ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, 1992, № 2.

„რუსები მუდამ იმას გაიძახოდნენ, საქართველოს ჩვენ ვარჩენთო... უნდა ვთქვათ, რომ რუსები აქ ბევრ ფულს ხარჯავდნენ, მაგრამ ჩვენი – ქართველი ხალხის მოთხოვნილებას კი არ აკმაყოფილებდნენ, არამედ ფული სჭირდებოდათ მათ სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად. რუსეთს საქართველო კოლონიად ჰყავდა გადაქცეული, თავის ინტერესებისათვის. აქედან ყველაფერი გაჰქონდა და ეს უდიდესი ხარჯები მისდიოდა თავისი ჩინოვნიკების შესანახავად“.

წყარო ნ) კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი (1919-1921), „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი 2.

„მთელი მე-19 საუკუნე, ეს უდიდესი ხანა ეკონომიკურ განვითარებისა მთელ მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას ძალიან მცირეთ დაეტყო, და იმის ბედ-იღბლის გამგებლათ მოვლინებული ძველი რუსეთი ისე ჩაბარდა ისტორიას, რომ ორიოდე რიგიანათ მოწყობილი ქარხანა მას საქართველოში არ დაუტოვებია“.

22. შეაფასე იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და იმსჯელე, რესურსების სამართლიანი გამოყენება, სოციალური ფენების ყოფის გაუმჯობესებას როგორ შეუწყობდა ხელს?

23. მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენე სხვადასხვა ქვეყნის დამოკიდებულება საკუთარი კოლონიების მიმართ და გაავლე პარალელი რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასთან.

1866 წელს გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება, თბილისსა და ფოთში დაარსდა სასაქონლო-საფონდო ბირჟები. 1871 წელს დაფუძნდა თბილისის კომერციული ბანკი, გაჩნდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები.

რუსეთის იმპერიაში, მთელი მისი არსებობის განმავლობაში, ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზატორის როლში სახელმწიფო გამოდიოდა. ხელისუფლება ნაკლებად იყო დაინტერესებული გაბატონებული ფორმების განვითარებით სხვა მხარეებში, მათ შორის საქართველოშიც, მრეწველობის განვითარებით. ამის შედეგიც იყო, რომ ვერ ჩამოყალიბდა ქართველ მესაკუთრეთა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ფენა. თითებზე ჩამოითვლებოდნენ ქართული ბურჟუაზიის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, რომლებიც რაოდენობრივად და ქონებრივად დიდად ჩამორჩებოდნენ უცხოტომელ კაპიტალისტებს.

საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლების ხელში იყო მოქცეული, რომლებიც კავკასიის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ისინი აკონტროლებდნენ ხელოსნობისა და კომერციის სფეროს და ფლობდნენ წვრილ სამრეწველო საწარმოებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებს.

თბილისში ფეხსაცმლის ფაბრიკა ჰქონდა გრიგოლ ადელხანოვს; ნიკოლოზ ბოზარჯიანცსა და ამბარცუმ ენფიანჯიანცს ეკუთვნოდათ თამბაქოს ფაბრიკები. მსხვილი ბიზნესის მფლობელები იყვნენ ნავთობის მაგნატი ალექსანდრე მანთაშევი, კომერსანტები მიქაელ არამიანცი, გაბრიელ თამამშევი, ივანე ანანოვი და სხვები, რომლებიც მეცენატობითაც გამოირჩეოდნენ.

წყარო ო) არშაკ ჯამალიანი, სომეხი პოლიტიკოსი და დიპლომატი, XX ს. „ქართველები და სომხები“, ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1934 № 16.

„გამარჯვებული მტრის შემოსევების შემდგომ ქართველები და სომხები ბევრჯელ იფარავდნენ თავს ერთი მეორესთან; მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, სომხები აფარებდნენ თავს საქართველოს, რადგან სამხრეთიდან შემოსევები უფრო ხშირი და სასტიკი იყო, ვიდრე ჩრდილოეთიდან. ეს ცხადი გაკვეთილები ისტორიისა ქართველებმა და სომხებმა დაივიწყეს ამიერკავკასიაში რუსეთის ბატონობის დროიდან. რუსეთის ძალუფლებამ და მისმა **divide et impera**-ს პოლიტიკამ დაანგრია ერთობა ქართველ-სომხებისა და ვერაგულად დაუპირისპირა ერთმანეთს“.

Don't copy

წყარო პ) გაბრიელ სუნდუკიანი, თბილისში მოღვაწე სომეხი მწერალი და დრამატურგი, XIX-XX სს. ს. ავჩიანი, ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობები http://www.imsa.ge/webmill/data/file/XX_century_georgia_ge.pdf

„მე ვშრომობდი ორი ჩემი სამშობლოს, თანაბრად ძვირფასი ერის ქართველთა და სომეხთა სცენისათვის“

წყარო ჟ) სამსონ ფირცხალავა, XX ს.-ის პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, „სომხები და ქართველები“, ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1934, № 16.

„სომხები იშვიათის ერთგულებით და მეგობრობით ეპყრობოდნენ საქართველოს და ქართულ საქმეს – მის პოლიტიკურ გაძლიერებას და კულტურულ დაწინაურებას უყურებდნენ, როგორც საკუთარ საქმეს... ჩვენს ისტორიას მრავალი სომხის გვარი ამშვენებს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საგანმანათლებლო სარბიელზე და ასე გაგრძელდა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის სულ უკანასკნელ მეოთხედამდე, როცა სომეხ-ქართველთა ურთიერთობანი ცოტათი აიმღვრა. რამდენ სომეხს მოვსწრებივართ ჩვენ თვითონ, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობდნენ ქართული საზოგადოეობრიობისა, ქართული მწერლობისა, თეატრისათვის! იყვნენ სომხები საქართველოს ნამდვილი პატრიოტები!“

წყარო რ) ნიკო მარი, რუსი აღმოსავლეთმცოდნე და კავკასიოლოგი, XIX-XX სს. „კავკასიის კულტურული სამყარო და სომხეთი“


სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ საქართველოს სომხობამ „ქართული ეროვნული კოლექტივის მესამე წოდების მდგომარეობიდან სომხურ საზოგადოებრივ ძალად იწყო გარდაქმნა“.

24. შენი აზრით, რატომ არ იყო დაინტერესებული რუსეთის იმპერია საქართველოში მესაკუთრეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებით?

25. როგორ ფიქრობ, რატომ უჭერდა მხარს კავკასიის ადმინისტრაცია სომხურ ბურჟუაზიას?

26. რატომ ცდილობდა რუსული იმპერიული მმართველობა, შუღლი ჩამოეგდო ორ მოძმე ერს შორის?

27. შენი აზრით, როგორ უნდა დაპირისპირებოდა ქართული და სომხური საზოგადოება ამ პრობლემას?



სურ. 3. მიქაელ არამიანცი

კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობას ინარჩუნებდნენ ევროპელი და ამერიკელი მრეწველები და ფინანსისტები, რომლებიც დიდძალ კაპიტალს განკარგავდნენ, საქართველოში მსხვილ საწარმოებსა და ფირმებს აარსებდნენ. თავიანთი ინვესტიციებით რუსეთის მოდერნიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ალფონს როტშილდის „კასპიისა და შავი ზღვების ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება“, ვალტერ და ოტო სიმენსების ფირმა „სიმენსი და ჰალსკე“, ძმები ნობელების „ნავთობის წარმოების ამხანაგობა“ „ბრანობელი“, ისააკ ზინგერის „ზინგერის კომპანია“, „გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“ და სხვ.

კონკურენციას ვერ უძლებდა ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმიც. მაგალითად, საქართველოს მეაბრეშუმეობა სერიოზულად დააზარალა ევროპიდან იაფფასიანი აბრეშუმის ქსოვილების შემოტანამ, შესუსტდა ადრე სახელგანთქმული ხმალ-სატევრის ხელოსნობა, მათ შორის ფართოდ ცნობილი ელიზარაშვილების ოჯახის „ბულატის“ ხმლების წარმოება, რქის დამუშავება, მეჩუქურთმეობა და სხვ.

ქართველ მეწარმეთაგან ფართოდ გაითქვეს სახელი ძმებმა ზუბალაშვილებმა, დავით სარაჯიშვილმა, აკაკი ხოშტარიამ, მიტროფანე ლაღიძემ და სხვებმა.

Don't copy



სურ. 4 სასტუმრო „მაჯესტიკი“, ახლანდელი სასტუმრო „მერიოტი“ ქ. თბილისში (აიგო არამიანცის დაკვეთით)

ძმები ზუბალაშვილების სახელით მოიხსენიებენ ცნობილ მეწარმეებსა და ქველმოქმედებს ლევან, სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებს, რომელთა მამა და პაპაც ასევე სახელგანთქმული **ფილანთროპები** იყვნენ. მათი წინაპარი სტეფანე ზუბალაშვილი ერთ-ერთი პირველი მდიდარი ქართველი ვაჭარი იყო. მისმა მემკვიდრეებმა ბაქოში ნავთობის რამდენიმე საბადოც შეიძინეს.

ზუბალაშვილები ფინანსურად ეხმარებოდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და სახელმძღვანელოების გამომცემლებს. მათი შემწეობით ბევრი ქართველი ახალგაზრდა უმაღლესი ცოდნის შესაძენად რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში გაიგზავნა. მრეწველმა იაკობ ზუბალაშვილმა თბილისში ააშენა და ქალაქს უსახსოვრა ქარვასლა (ახლანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), რომელიც 10 მაღაზიას, საწყობებს, ღვინის სარდაფებსა და 71 სასტუმრო ოთახს შეიცავდა. ზუბალაშვილებმა თბილისის გამგეობას გადასცეს აგრეთვე მათ მიერვე აგებული ,,სახალხო სახლი“ (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი).



ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი ძმები ზუბალაშვილები

სურ. 5. ძმები ზუბალაშვილები (ზემოთ მარცხნიდან მარჯვნივ: ლევანი და პეტრე, ქვემოთ მარცხნიდან მარჯვნივ: სტეფანე და იაკობი)



სურ. 6. კათოლიკური ეკლესია ბათუმში. ააგო სტეფანე ზუბალაშვილმა



სურ. 7. „სახალხო სახლი“ (ახლანდელი კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრი)

Don't copy

დავით სარაჯიშვილი ევროპული განათლების მქონე პირველი ქართველი მრეწველი იყო, რომელიც ფართო ქველმოქმედებასაც ეწეოდა. 1888 წელს თბილისში გახსნილი მისი კონიაკის ქარხანა მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. სარაჯიშვილის საკუთრება იყო კონიაკის კიდევ 6 ქარხანა, არყის, ლიქიორის საწარმოები, ასევე საწყობები და მაღაზიები იმპერიის მთავარ ქალაქებში, სადაც მისი ნაწარმი იყიდებოდა. პროდუქციის ნაწილი დასავლეთ ევროპაშიც გაჰქონდათ. დავით სარაჯიშვილს მოპოვებული ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო კარის სასმელებით მომარაგების პატივი.

დავით სარაჯიშვილი განსაკუთრებით მზრუნველობდა ქართულ მწერლობას, თეატრს, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. მას ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდებისათვის დაწესებული ჰქონდა სტიპენდიები წამყვან უნივერსიტეტებში განათლების მისაღებად და სხვ.



სურ. 8. დავით სარაჯიშვილი



სურ. 9. დავით სარაჯიშვილის სახლი თბილისში, ამჟამინდელი მწერალთა სახლი



სურ 10. აკაკი ხოშტარიას სახლი სოფ. სუჯუნაში (აბაშის მუნიციპალიტეტი)

ქველმოქმედებით გამოირჩეოდა ქართველი ფინანსისტი და მრეწველი აკაკი ხოშტარია. იგი ბაქოში მსხვილი სანავთობე კომპანიის, ხოლო ირანში ნავთობისა და ხეტყის კონცესიების, ასევე თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკის“ მფლობელი იყო.

ეროვნული კულტურის დიდი მოყვარული და მოამაგე იყო საქართველოში უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების – „ლაღიძის წყლების“ შემქმნელი მიტროფანე ლაღიძე. იგი ფინანსურად ეხმარებოდა ქართველ მწერლებს, მსახიობებს, ხელოვნების სხვა მოღვაწეებს.

წარმატებული საქმიანი ადამიანების წრე საქართველოში ფეოდალური ეკონომიური სტრუქტურის შეცვლის, ახალი, ბურჟუაზიულ ურთიერთობების დამკვიდრების ტონის მიმცემ ძალად ყალიბდებოდა. ამის მიუხედავად, ქართული ბურჟუაზია თავისი მცირერიცხოვნობისა და სისუსტის გამო, განსხვავებით ევროპული ანალოგისაგან, ვერ იქცა ერის მესვეურ ძალად. მან ვერ შეძლო, ჩანაცვლებოდა დაკნინების გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას და ვერც ქვეყნის განვითრების მესაჭეობა იტვირთა.

divide et impera – ლათ. გაყავი და იბატონე.
ფილანთროპი – ქველმოქმედი.

28. მრეწველობის რომელ დარგებში დებდნენ კაპიტალს საქართველოში მოღვაწე გავლენიანი უცხოური კომპანიები? შენი აზრით რა იყო ამ დაინტრესების მიზეზი?

29. როგორ ფიქრობ, რატომ ვერ ახერხებდა ტრადიციული თბილისური ხელოსნური ნაწარმი უცხოური საქონლისათვის კონკურენციის გაწევა? შეიძლებოდა თუ არა გამოსავლის პოვნა? პასუხი დაასაბუთე

30. შენ აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოში მოღვაწე მეწარმეების მიერ, თავისი შემოსავლის მნიშვენლოვანი წილის განათლებაში, კულტურასა და ხელოვნების სფეროში ჩადება?

31. რატომ ვერ მოხერხდა ქართული ბურჟუაზიის გავლენიან ძალად ჩამოყალიბება. იმსჯელე ამ პრობლემის მიზეზების შესახებ?

32. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 134. შეავსე კონტურული რუკა, „სარკინიგზო მშენებლობა კავკასიაში XIX ს. მეორე ნახევარში“

33. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 135. შეავსე კონტურული რუკა, „გერმანელ კოლონისტთა დასახლებები სამხრეთ კავკასიაში“

Don

51-52 როგორ განვითარდა საზოგადოებრივი ყოფა და ქართული კულტურა

ქართველი ერის როგორც მატერიალურმა, ისე სულიერმა კულტურამ XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მიუხედავად დიდი განსაცდელისა, რომელშიც ჩვენი ქვეყანა რუსეთის კოლონიურმა ბატონობამ ჩააგდო, ქართველთა საუკეთესო ნაწილმა მტკიცე ეროვნული თვითშეგნება და ტრადიციული კულტურული იერსახე შეინარჩუნა. ქართველთა დამახასიათებელ თვისებად კვლავ რჩებოდა თავაზიანობა, გულისხმიერება, სტუმართმოყვარეობა, უფროსების პატივისცემა, მოძმეთა თანადგომა, ტოლერანტობა და სხვ. ჩვეულებრივ, უსწავლელ გლეხკაცსაც კი მაღალი ზნეობა, პატიოსნება და შინაგანი ტაქტი გამოარჩევდა, რაც მის ქცევასა თუ ყოფით კულტურაში ვლინდებოდა.

მეურნეობის თვალსაზრისით საქართველო კვლავ აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, თუმცა ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა სამრეწველო წარმოება. ტრადიციულ დარგებს: მევენახეობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობასა და სხვ. ჯერაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, დიდხანს ძველებური იყო შრომის იარაღები, მაგრამ 50-იანი წლებიდან დასავლური ტექნიკის შემოტანა დაიწყეს. მომრავლდა მსხვილი მემამულური და ბურჟუაზიული მეურნეობები, გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები.

წყარო ა) გიორგი მაიაშვილი – ზდანოვიჩი, მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა, 1890 წ.

„ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერება ჩვენში უეჭველია. თან და თან წინანდელი მეურნეობა ჰკარგავს თავის თვისებას ბუნებურის წარმოებისას. ეს მეურნეობა ნაწილოვანდება და ბევრი სხვა ახალი წარმოებაც ჩნდება. ამ გარემოებას ის მოსდევს, რომ ქვეყანა უფრო უმატებს წარმოებას და ეს მატება წარმოებისა ორის გზით მიდის. ერთი გზა ის არის, რომ წინანდელი, მამა-პაპეული წარმოება მატულობს და მატულობს ამ წარმოებაში თვით ამაგი და გარჯაცა. ჩვენ ვამბობთ სასოფლო მეურნეობის თაობაზედ. მეორე გზა ის არის, რომ სხვა, სულ ახალი წარმოება ჩნდება, ისეთი წარმოება, რომლის ხსენებაც არ იყო წინად. ამ ორმა გზამ დაჰბადა შეძლება და ღონე, რასაც აუცილებლად მოჰყვა გონებრივი და ზნეობრივი წარმატება. აქამდე ჩვენებურს მწარმოებელს, თავის საჭიროებათა გარდა, ახლო ბაზარი ჰქონდა სახეში და იქ ჰფიქრობდა თავის ნაამაგევის გასაღებას; ეხლა კი აღებ-მიცემის გაძლიერებამ თვალ-წინ დაუყენა უფრო შორეული ბაზრები, ისეთი ბაზრებიც კი, რომელიც ზღვებსა და ცხრა მთას იქით არის. ჩვენს წარმოებაზე მოქმედობს ეხლა არა მარტო ახლო-მახლო ბაზრის საჭიროება, არამედ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნილებაცა. აუარებელი მინდვრები გადაიქცა სასიმინდეებათ და სიმინდის მოყვანამ უკან დააყენა სხვა ჭირნახულის მოყვანა; ზოგან აუარებელი თუთუნი ითესება; იქ თუთით გაივსო ბაღები და აბრეშუმის მოყვანას გამოეკიდნენ; აქ ვენახებს ატანენ ძალას; ერთგან ხეხილის ბაღებს აშენებენ, მეორეგან ქვა-ნახშირისა და ქვა-გუნდის მეტს არას აწარმოებენ თითქმის...ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერების გამო, რომელიც მოჰყვა ამაგის დანაწილოვანებას, სიმინდის მწარმოებელი, მაგალითად, იმერეთში ამ ჟამად ამერიკასა და საფრანგეთის მოსავალს უფრო უყურებს, ვიდრე ქართლ-კახეთისას; თვალი შავი ზღვისკენ უჭირავს, გული უცხოელების ბაზრისაკენ აქვს, იმიტომ რომ ის ბაზარი ჰკვებავს და აცხოვრებს. წინად არ იცოდა, ან თუ იცოდა, არას დასდევდა, რა მეურნეობა ჰქონდა შორეულ საფრანგეთის რომელსამე ბურჟუას. ეხლა კი იმ ბურჟუას ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, რა უფრო მოიყვანოს ჩვენებურმა მწარმოებელმა, რას უფრო მიაქციოს ყურადღება, პურსა, თუ ღვინოს, აბრეშუმსა თუ მატყლს, ბამბას, თუ სიმინდს“.

1. **რა პროცესზე ამახვილებს ყურადღებას წყაროს ავტორი?**
2. **მოიპოვე ინფორმაცია წყაროს ავტორზე და იმსჯელე, საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაში, მისი ღვაწლის შესახებ?**
3. **გაავლე პარალელი XIX- XX საუკუნეების მიჯნასა და XXI საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს შორის? გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.**

ქვეყნის ტერიტორიულმა და ეროვნულმა გაერთიანებამ, სოციალურმა და ეკონომიკურმა წინსვლამ თანდათანობით ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაც შეცვალა. გარდაქმნა გარეგნულ მხარესაც შეეხო. ახალმა რეალობამ გავლენა იქონია მოსახლეობის ჩაცმა-დახურვაზეც, გამრავალ-

Don't copy

ფეროვნდა გარდერობი და ჩოხა-ახალუხის, ნაბდისა და ქართული ეროვნული ტანსაცმლის გვერდით ადგილი დაიკავა ევროპულმა კოსტიუმმაც.

ქართველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა სტუმრის მიღებასა და მასპინძლობას, რომელიც მისაბაძ ტრადიციად ითვლებოდა.

განათლება

საქართველოს რუსული ადმინისტრაცია ახლად დაპყრობილი მხარის განათლებასა და კულტურულ განახლებაზე ნაკლებად ზრუნავდა, მაგრამ მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მოსამზადებლად აუცილებელი იყო, ყურადღება განათლების სფეროსთვისაც მიექცია. პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თბილისში 1802 წელს გაიხსნა. 1804 წელს დაარსდა თბილისის კეთილშობილთა ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ჯერ ექვსკლასიანად, ხოლო 1870 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. მოსახლეობის ფართო ფენებისათვის სკოლა მიუწვდომელი იყო. დაბალი წოდების ხალხი წერა-კითხვას მღვდლებისა თუ სოფლის მასწავლებლების მეშვეობით სწავლობდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს სამაზრო ქალაქებში ორკლასიანი სასწავლებლები დაფუძნდა. ამავე პერიოდიდან დაბა-სოფლებში დაწყებითი სკოლები დაარსდა, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი საკუთარი ხარჯით ინახავდნენ.

თბილისში ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი და გიმნაზიაც გაიხსნა. 1850 წლიდან გიმნაზია ქუთაისშიც ფუნქციონირებდა. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის დროს,

ეროვნული სწავლა-განათლების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. მისი ეგიდით დაწყებითი სკოლები შეემატა ბათუმს, თიანეთს, კავკავსა და სხვ. საგანმანათლებლო-პოპულარული და სამეცნიერო ლიტერატურის გამოქვეყნებასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა სახელმძღვანელოების გამოცემას. საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ი. გოგებაშვილის „დედა ენამ“, „ბუნების კარმა“ და „რუსკოე სლოვომ“.

1846 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. 1873 წელს პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა ქ. ქუთაისშიც.

4. როგორ ფიქრობ, რატომ იყო ძალიან მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკების დაარსება?

5. როგორ და რატომ იყენებდა რუსულ ადმინისტრაცია განათლებას, რიგორც თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტს?

6. ქართული საზოგადოების წინაშე არსებული რომელი გამოწვევების მოგვარებას ემსახურებოდა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადეობის” დაარსება? შენი აზრით, შეძლეს თუ არა ორგანიზაციის მესვეურებმა ამ პრობლემების გადაჭრა? პასუხი დაასაბუთე.

პრესა

ქართული კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა პერიოდულმა პრესამ. საქართველოსა და მთელ კავკასიაში პირველი გაზეთი 1819 წლის 8 მარტს თბილისში დაიბეჭდა „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით (1820 წლის მეორე ნახევრიდან გამოცემას „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა). 1828-1832 წლებში თბილისში გამოდიოდა ახალი ქართულენოვანი გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. ამ გაზეთის დამატების სახით 1832 წელს გამოიცა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი).

1846 წელს დაარსდა მთავრობის ოფიციალური ორგანო „კავკაზი“. ამ ყოველკვირეულ რუსულ გაზეთში ქართველი მოღვაწენიც თანამშრომლობდნენ. 1852 წლის იანვარში კავკასიის მეფისნაცვლის, მ. ვორონცოვის ხელშეწყობით გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი“, რომელსაც გიორგი ერისთავი რედაქტორობდა.

ქართულ ჟურნალისტიკაში სრულიად ახალი სიტყ-



სურ. 1. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

Don't copy

ვა იყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა 1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. ჟურნალმა სულ რაღაც ერთი წელი იარსება, მაგრამ შესამჩნევი წვლილი შეიტანა ქართული დემოკრატიული პრესის ფორმირებაში, ეროვნული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებაში.

ამ მხრივ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთ „დროებას“, რომელიც 1866 წელს დაარსდა და 1885 წლამდე სისტემატურად გამოდიოდა. მას თავიდან სათავეში გიორგი წერეთელი ედგა, უფრო დიდხანს – სერგი მესხი, ბოლო წლებში კი ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. ეს იყო „ევროპული ხასიათის“ ქართული გაზეთი, რომლის ირგვლივ საქართველოს მთელი პროგრესული ინტელიგენცია შემოიკრიბა. „დროება“ სხვა პრობლემათა გვერდით, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ევროპული სინამდვილის გაცნობას ქართველი მკითხველისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია სტატიები: „ამერიკის ქალების პეტიცია (თხოვნა), რომ იმათ მიენიჭოთ პოლიტიკური უფლება“; „ანგლია (ინგლისი) – ბილი პარლამენტის რეფორმაზედ“; „იტალია – გარიბალდის აზრი პოლიტიკაზედ“; საფრანგეთი –საფრანგეთის მართვა მონარხიელების („მონარქისტების“) ხელში“ და სხვ.

საყურადღებო გამოცემები იყო ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები „კრებული“ (დაარსდა 1871 წელს ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით) და „მოამბე“ (გამოიცა 1894 წელს, რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია).

ქართველი ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში, ზოგადად, ეროვნული კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“. იგი 1877 წელს დაარსდა როგორც ყოველკვირეული გაზეთი, 1879 წელს ყოველთვიური ჟურნალის სახე მიიღო, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიური გაზეთის სახით გამოდიოდა.

90-იან წლებში ქართულ პერიოდიკას შეემატა გაზეთი „კვალი“ (დაფუძნდა 1893 წელს, რედაქტორი გიორგი წერეთელი), „ცნობის ფურცელი“ (დაარსდა 1896 წ., რედაქტორი ჯერ ვალერიან გუნია, შემდეგ ალექსანდრე ჭყონია).

XX საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში რამდენიმე ათეული პერიოდული ორგანო იბეჭდებოდა, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები გამოსცემდნენ.

7. როდორ ფიქრობ, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოშვება?

8. შენი აზრით, რატომ აშუქებდნენ „თერგდალეულები“ აქტიურად დასავლეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს?

მეცნიერება

ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლამ საქართველოში საფუძველი გამოაცალა მეცნიერების განვითარებას, მაგრამ ინტერესი კულტურის ამ სფეროსადმი არ ჩამკვდარა. ჩვენი თანამემამულენი და ასევე, უცხოელი მკვლევარები, სამშობლოს გარეთ, მოსკოვსა და პეტერბურგში, განაგრძობდნენ სამეცნიერო თუ კვლევით საქმიანობას.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ქართველი ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე დავით ჩუბინაშვილი. მან შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები; რუსულ ენაზე დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა. დავით ჩუბინაშვილის რედაქციით 1860 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამავე უნივერსიტეტში ფართო კვლევა-ძიებით მუშაობას ეწეოდა ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომლის ფუნდამენტურ ნაშრომებს ქართველოლოგიის მრავალ დარგში დღემდე არ დაუკარგავთ ღირებულება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკო მარმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლაში. 1904 წელს მარმა ამ მხარეში მოაწყო ექსპედიცია, რომლის შედეგები „დღიურების“ სახით გამოაქვეყნა. ნიკო მარის დამსახურებაა არაერთი ძველი ქართული ტექსტის გამოცემა („გრიგოლ ხანთელის ცხოვრება“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ და სხვ.). მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი იკვლევდა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას. მის კალამს ეკუთვნის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ და

Don't copy

სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.

ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების ახალი მიმართულების, ჩამოყალიბებას ევროპაში, ასევე ქართული კულტურის დასავლელი მკითხველისათვის გაცნობის საქმეს დიდი ამაგი დასდო ფრანგმა ორიენტალისტმა, აკადემიკოსმა მარი ბროსემ. მან ფრანგულად თარგმნა და პეტერბურგში გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, ვრცელი მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები და სხვ.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში თვალსაჩინო როლი მიუძღვის დიმიტრი ბაქრაძეს. მისი ინიციატივით 1889 წელს ჩამოყალიბდა საეკლესიო მუზეუმი, შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება და სხვ.

საქართველოს წარსულის შესწავლას ემსახურებოდნენ მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ექვთიმე თაყაიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვ. 1903 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას.

ივანე ჯავახიშვილი მეცნიერული პოზიციიდან დაუპირისპირდა იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების მიზნით დასაშვებად წარმოედგინა ისტორიის „ადვოკატური გამოსარჩლება“, როცა „ღირსებანი დიდდებიან და ნაკლოვანებანი მცირდებიან“.

წყარო ბ) ივანე ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება, 1904

„ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა, იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

ისტორიკოსი მოვალეა, მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული... ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავისი ერის წარსული თანამემამულეებს და უცხოელებსაც“.

ქართველმა სწავლულებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საბუნებისმეტყველო დარგებშიც. პროფესორი ივანე თარხნიშვილი განაგებდა ფიზიოლოგიის კათედრას პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ აღიარებული ქიმიკოსები პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი.

Don't copy

9. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართულ-უცხოური და უცხოურ-ქართული ლექსიკონების გამოცემა?

10. გაანალიზე იაკობ გოგებაშვილის და ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება „ისტორიის რაობის“ თაობაზე და იმსჯელე, რომელი მათგანია შენთვის უფრო მისაღები. რატომ?

11. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი, ქართველი სწავლულების იმპერიის სხვადასხვა ქალაქების სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობა?

ლიტერატურა

მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში გამორჩეული წვლილი მიუძღვის იოანე ბატონიშვილს. მისი ენციკლოპედიური თხზულება „კალმასობა“ არა მხოლოდ წყობილსიტყვაობის საყურადღებო ძეგლია, არამედ ავტორის თანადროული ეპოქის ერთგვარი მატიანეც.

XIX საუკუნის პირველ მესამედში ჩამოყალიბდა და ეროვნული ლიტერატურის მთავარ მიმართულებად იქცა რომანტიზმი, რომელიც ქართულ მხატვრულ აზროვნებაში „ევროპეიზმის“ დასაწყისადაა მიჩნეული.

რომანტიკოს შემოქმედთა შორის გამოირჩევიან ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ ორბელიანი. ალექსანდრე ჭავჭავაძის მემკვიდრეობაში გაიდეალებულია საქართველოს ნამყო, რომლის ფონზეც უსახური აწმყო პოეტში სევდასა და გულისტკივილს იწვევდა. პოეტის მხატვრული ნააზრევი გამსჭვალულია ჭეშმარიტების ძიებისა და უკეთესი მერმისის – „გულთ მაამი ჟამის“ რწმენით.

წყარო გ) ვახტანგ კოტეტიშვილი, XX ს.-ის ლიტერატურათმ¬ცოდნე, კრიტიკოსი. „ქართული ლიტერატურის ისტორია“, XIX ს. ნაწ. 1.

„ხანა, რომელშიც ცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, ერთგვარი ბურუსით იყო მოცული. აღარ იცოდნენ, რა მოუვიდათ. არ იცოდნენ, რა ექნათ? კი შეატყვეს, რომ რაღაცაში მოსტყუვდნენ, კი შეამჩნიეს, რომ მძიმე რაღაც დააწვათ კისერზე, მაგრამ ჯერ ამ მოვლენის საზოგადო სახელი არ იყო შემუშავებული, რადგან თვით მოვლენა ჯერ გამოურკვეველი იყო. ისე რომ, ეს გამოურკვევლობა იყო დამახასიათებელი რამ არა მხოლოდ ა. ჭავჭავაძის შემოქმედების, არამედ თვით იმ ხანისაც, რომელშიაც სცხოვრობდა იგი“.

12. როგორ ფიქრობ, წყარო გ-ს ავტორი რატომ აკეთებს აქცენტს, იმ კონკრეტულ პერიოდზე, როდესაც ქართველი რომანტიკოსები მოღვაწეობდნენ?

13. რა ცვლილებები მოხდა საქართველოს საზოგადოებაში XIX საუკუნის I ნახევარში, რამაც მათი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა გამოიწვია?

საქართველოს რაინდული წარსულის ხოტბას შეიცავს გრიგოლ ორბელიანის მრავალი ნაწარმოები, რომლებსაც პატრიოტული სულისკვეთება გამოარჩევთ.

ეროვნული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომლის პოეზიას ქართული რომანტიზმის გვირგვინს უწოდებენ, ზოგიერთი ლექსი კი ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრადაა აღიარებული.

წყარო დ) ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“.

„იგი მით იყო ძლიერი ლირიკაში, ...რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე კერძონი... მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა განსჯის საგნად აქცია თავისი დროის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხის გარკვევას შეეხებოდა. პოეტი თავისუფლების აპოლოგეტია, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა მისთვის შინაგანად მიუღებელია („ბედი ქართლისა“). ჩვენი ქვეყნის რუსეთთან დაკავშირებას იგი „ტკბილ ნაყოფად“ აღიქვამს („საფლავი მეფის ირაკლისა“), მაგრამ ეს ნაყოფი „წართმეული თავისუფლების საზღაური არ იყო“ და პოეტიც არ ურიგდება სინამდვილეს, ემიჯნება „ბოროტ სულს“, პროტესტს უცხადებს აუტანელ კოლონიურ ყოფას („სუმბული და მწირი“) და აღვივებს მისდამი დაუმორჩილებლობის სულისკვეთებას.



სურ. 2 ნიკოლოზ ბარათაშვილი

14. რა განასხვავებს სხვა რომანტიკოსებისგან ნიკოლოზ ბარათაშვილს?

15. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 125. გააანალიზე ნაწყვეტები ნ. ბარათაშვილის ორი ცნობილი ლექსიდან და დაუკავშირე იმ ეპოქას, როდესაც ის მოღვაწეობდა. რა მთავარი იდეაა ამ ფრაზებში გადმოცემული და რატომ? შეადარე წინა (124-ე) დავალებას. ბარათაშვილის მსოფლმხედველობას რომელი პერიოდის (XIX საუკუნის I ნახევრისა თუ II ნახევრის თუ მათ შორის შუალედურს) საზოგადოებას მიაკუთვნებ? პასუხი დაასაბუთე. ამ თემაზე შეიძლება კლასში გაიმართოს დისკუსია.

Don't copy

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში პოეზიის გვერდით ფართოდ ვითარდება დრამატურგია და პროზა. ცხოვრების რეალისტური ასახვა ლიტერატურის განმსაზღვრელ კურსად იქცევა. ჩვენს მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად გიორგი ერისთავია მიჩნეული („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“ და სხვ.). მწერალი, ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მან დიდად განავითარა **ვოდევილის** ჟანრიც („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), გამოსცა რამდენიმე სპეციალიზებული ლექსიკონი, მოიძია, შეკრიბა და გამოაქვეყნა ქართული ფოლკლორის ნიმუშები და სხვ.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამორჩეული სახელია ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა („ელეგია“, „ყვარლის მთებს“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „განდეგილი“, „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.) ჩვენი ეროვნული საუნჯე და სულიერების უშრეტი წყაროა.

ჭეშმარიტად სახალხო მგოსანი იყო დიდი პოეტი და მოაზროვნე აკაკი წერეთელი, რომელსაც „ქართული პოეზიის იალბუზს“ უწოდებენ. პოეტმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა პატრიოტული ლირიკა, გრძნობით უმღერდა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, ძმობა-ერთობისა და მეგობრობის საკაცობრიო იდეალებს.



სურ. 3 ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი

ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, „დედა ენის“ შემდგენელი და გამომცემელი იაკობ გოგებაშვილი ჩინებული საბავშვო მწერალიც იყო.

მშობლიურ ლიტერატურას დიდი ამაგი დასდეს პროზაიკოსებმს გიორგი წერეთელმა, ეკატერინე გაბაშვილმა, ნიკო ლომოურმა და ეგნატე ნინოშვილმა.

ქართულ პოეზიაში მთის სუნთქვა, სილაღე და მგზნებარება შემოიტანა ვაჟა-ფშაველამ. ბუნების დიდმა მესაიდუმლემ უსულო სამყაროსაც სული შთაბერა და ადამიანურ ენაზე აამეტყველა. მის ლექსებსა თუ მოთხრობებში შვლის ნუკრიც გვესაუბრება და მთის წყაროც, ნაზი იაც და ადიდებული მდინარეც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წინა პლანზეა წამოწეული კაი ყმობის, ვაჟკაცობის, პატრიოტიზმის მოტივები, საქართველოს თავისუფლების, თემისა და პიროვნების ურთიერთობის, ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და სხვა პრობლემები („კაი ყმა“, „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“).

რომანტიზმი – მიმდინარეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, აღმოცენდა XVIII საუკუნეში, ევროპის ქვეყნებში. ლიტერატურაში რომანტიკოსებმა ახალი კონცეფცია შემოიტანეს. რომანტიკოსი მწერლის მიზანია არა რეალობის ზუსტი ასახვა, არამედ მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, საკუთარი იდეალური სამყაროს შექმნა და მისი მეშვეობით საკუთარი იდეალის მიტანა მკითხველამდე.

ვოდევილი – მცირე ზომის, ერთ-ორ მოქმედებიანი კომიკური პიესა, რომელშიც დიალოგს ენაცვლება სასიმღერო სტროფები და ცეკვა.

რაინდობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის მაღალი იდეალები გამოარჩევთ ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული ნაწარმოებების „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვა თხზულებათა გმირებს.

90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სიტყვის ოსტატთა ახალი, ნიჭიერი თაობა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი და სხვ.

16. დაუკავშირე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე ცვლილებებს.

17. შენი აზრით, უკავშირდება თუ არა ეს ცვლილებები წინა თაობის, განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის, შემოქმედებას?

თეატრი

XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან იწყება ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება. მისი ინიციატორი და ხელმძღვანელი მწერალი გიორგი ერისთავი იყო, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ პროფესიულ თეატრს. ახალი ქართული თეატრის რამპის ჩირაღდანი 1850 წლის 2 (14) იანვარს აინთო. ამ დღეს თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. თეატრმა საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მალე მოიპოვა პოპულარულობა, თუმცა უსახსრობის გამო 1856 წელს დასი დიშალა.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით 1879 წელს თბილისში აღდგა მუდმივი თეატრი, ხოლო მისი საქმიანობის წარმართვის მიზნით შეიქმნა დრამატული საზოგადოება. სცენური კულტურისა და მსახიობთა პროფესიული დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი შექსპირის ტრაგედიების ივანე მაჩაბლისეულმა თარგმანებმა. წარმატებით იდგმებოდა დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული პიესა „სამშობლო“, ასევე ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ისტორიული დრამა „ღალატი“ და სხვა.

1880 წელს დრამატული თეტრი დაარსდა ქუთაისში, სცენის მოყვარულთა წრეები გაჩნდა გორში, თელავსა და ოზურგეთში. მუშა-სცენისმოყვარეთა ძალებით 1894 წელს ჩამოყალიბდა ბაქოს ქართული თეატრი. 1858 წელს თბილისში სომხური თეატრიც გაიხსნა.

ქართულ სცენას თეატრალური ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე ამშვენებდა, მათ შორის, ვასო აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია და სხვები.


სახვითი ხელოვნება

ოქრომჭედლობის, ჩუქურთმის, ფრესკის მდიდარ ქართულ ტრადიციებს დაეფუძნა სახვითი ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება.

ქართული ფერწერის გამოჩენილი მოღვაწე იყო გიგო გაბაშვილი. სამხატვრო განათლებას იგი რუსეთსა და გერმანიაში დაეუფლა. მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრეობიდან (დახატა ორი ათასზე მეტი სურათი) შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა „სამი მოქალაქე“, „მთვრალი ხევსური“, „ალავერდობა“ და სხვ.



სურ. 4 გიგო გაბაშვილი, „სამი მოქალაქე“



სურ. 5 ნიკო ფიროსმანი

90-იანი წლების ბოლოს დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა უნიჭიერესმა მხატვრებმა მოსე თოიძემ, ანტონ გოგიაშვილმა და ნიკო ფიროსმანაშვილმა. ფიროსმანის ქმნილებებმა მოგვიანებით მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ქართული კარიკატურის ფუძემდებლად ითვლება გერმანული წარმოშობის ქართველი მხატვარი ოსკარ შმერლინგი.


Don't copy



სურ. 6. ნ. ფიროსმანი. რთველი.



სურ. 7. ნ. ფიროსმანი.
მებადური



სურ. 8. ნ. ფიროსმანი. კახეთის მატარებელი



სურ. 9. ნ. ფიროსმანი. ოჯახური არიფანა (დღეობა)



სურ. 11. ო.შმერლინგი. თბილისის ბაზარი.



სურ. 10. ო.შმერლინგი.
სადალაქოში



სურ. 12. ო.შმერლინგი. ძველი თბილისი.
ოჯახური იდილია



სურ. 13. ო.შმერლინგი. ტფილისის „კრუჟოკი“ (
საზოგადოება) სიმფონიურ საღამოებზე

18. რომელი სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან გამოსახულნი ზემოთ აღნიშნულ ნახატებზე (6-13)? რატომ ფიქრობ ასე?

19. რა ინფორმაციას გაძლევს აღნიშნული ნახატები იმ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ?

მუსიკა

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომლის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ, ფილიმონ ქორიძემ (ლოტბარი, მომღერალი), „საქართველოს ბულბულად“ წოდებულმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილმა (კომპოზიტორი) და სხვ.



სურ.14. მირზა შაფი ვაზეჰი

საქართველოში მოღვაწეობდა სომხური, აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურის მრავალი წარმომადგენელი.

თბილისთანაა დაკავშირებული არაერთი აზერბაიჯანელი შემოქმედის, მათ შორის, მწერლისა და ისტორიკოსის აბას ყული-აღა ბაკიხანოვის, პოეტ მირზა ვაზეჰის (ფსევდონიმი მირზა შაფი), ფილოსოფოსისა და დრამატურგის მირზა-ფათალი ახუნდოვის შემოქმედება, ასევე, სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების – ხაჩატურ აბოვიანის, გაბრიელ სუნდუკიანის, ჰოვანეს თუმანიანის, მხატვარ კარაპეტ გრიგორიანცის, პუბლიცისტ გრიგორ არწრუნისა და სხვათა საქმიანობა. თბილისში გამოიცემოდა აზერბაიჯანული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, სომხური გაზეთები „არარატი“, „მშაკი“ და სხვ.



სურ. 15. ჟურნალი „მოლა ნასრედინი“

ქართული კულტურის მოღვაწეებს შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდათ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კულტურულ მოღვაწეებთან. საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებით დაინტერესდა არაერთი უცხოელი მწერალი თუ მეცნიერი.

1858 წელს საქართველოში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები სამშობლოში მოზრდილ წიგნად გამოაქვეყნა გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ. 80-იანი წლებიდან თბილისში დაიდო ბინა ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რომელმაც საქართველოს ისტორიისა თუ ქართული კულტურის ამსახველი საყურადღებიო ნაშრომები გამოსცა. ლაისტი სათავეში ედგა ასევე, თბილისში გამომავალ გერმანულ გაზეთს „კაუკაზიშე პოსტს“.



სურ. 16. არტურ ლაისტი

ქართული ლიტერატურის რამდენიმე შედევრი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი” ინგლისელ მკითხველს გააცნო მარჯორი უორდროპმა, ხოლო მისმა ძმამ, ბრიტანელმა დიპლომატმა და მთარგმნელმა ოლივერ უორდროპმა საქართველოს მიუძღვნა წიგნი „საქართველოს სამეფო“.

20. რა ფაქტორები უწყობდა ხელს იმ მოვლენას, რომ თბილისი, კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების კულტურული თვითგამოხატვის ადგილი გახდა?

21. შენი აზრით, XIX საუკუნეში საქართველო რატომ გახდა ევროპელი კულტურის მოღვაწეთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი?

Don't COPY

53 როგორ გავრცელდა მარქსიზმი და რა პოლიტიკური ორგანიზაციები წარმოიშვა საქართველოში XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის პირველ ნახევარში

მარქსიზმის გავრცელება

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში გავრცელებას იწყებს ახალი იდეური მიმდინარეობა, რომელიც მარქსიზმის სახელითაა ცნობილი. ამ მოძღვრების ფუძემდებლები გერმანელი მოაზროვნენი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ. მათი შეხედულებები ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტურ სინამდვილეზე დაკვირვებას, წინა ეპოქათა საზოგადოებრივი თუ მეცნიერული აზრის მიღწევების კრიტიკულ გადამუშავებას დაეფუძნა.

მარქსიზმი რევოლუციური მსოფლმხედველობა იყო, რომელიც მუშათა მოძრაობის იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. ეს მოძღვრება სოციალური პროგრესის მამოძრავებელ ძალად კლასობრივ ბრძოლას მიიჩნევდა, უარყოფდა კერძო საკუთრებას, რელიგიური რწმენის საჭიროებას, ყოფიერებას ცნობიერების განმსაზღვრელად წარმოაჩენდა...

მარქსისტული თეორიის თანახმად, არსებული კაპიტალისტური წყობილება დიდხანს ვეღარ იარსებებდა და მას სოციალიზმი ჩაანაცვლებდა, რადგან კაპიტალიზმმა პროლეტარიატის სახით თავისი მესაფლავე კლასი წარმოშვა. პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის გზით ხელში უნდა ჩაეგდო ძალაუფლება, თავისი მმართველობა – პროლეტარიატის დიქტატურა დაემყარებინა და შემდეგ უსახელმწიფო, უკლასო საზოგადოება – კომუნიზმი აეშენებინა.

ახალი იდეოლოგია ჩვენში ორი – რუსეთისა და ევროპის – გზით შემოდიოდა. რუსეთიდან იგი კავკასიაში გადმოსახლებულ თუ საგანგებოდ ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს შემოჰქონდათ, ევროპიდან კი სოციალისტური შეხედულებები საქართველოში საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდების მეშვეობით აღწევდა.

მარქსისტული, ანუ სოციალ-დემოკრატიული, მიმართულების პირველი ჯგუფი ქართულ სინამდვილეში 1892-1893 წლებში მწერალ ეგნატე ნინოშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა. ჯგუფი, რომელსაც მწერალმა გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილს, კარლო ჩხეიძეს, ფილიპე მახარაძესა და სხვებს აერთიანებდა.

წყარო ა) გიორგი წერეთელი, XIX ს.-ის მწერალი, „ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გასვენება“, გაზეთი „კვალი“, 1894 წ., 15 მაისი, N21.

„დასში არიან მრავალი სოფლის მასწავლებელნი, გონება-განვითარებულნი სემინარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურსდამთავრებულნი და მეოთხმოცდაათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა... ამ მესამე დასმა საგნათ აღირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები“.

წყარო ბ) მიხეილ წერეთელი, XX ს.-ის მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ნოე ჟორდანია“, 1953 წ.

„ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური იდეალის მქონე ქართველობა: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, თვით თავადაზნაურობის მოზრდილი ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელ მძიმე პირობებში ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში“.

„მესამედასელები“ დაუპირისპირდნენ „თერგდალეულთა“ ეროვნულ მსოფლმხედველობას, დაგმეს წოდებათა შერიგება-თანამშრომლობისა და ერის გამთლიანების თვალსაზრისი. თავიანთი შეხედულებების პროპაგანდისათვის ქართველი მარქსისტები გაზეთ „კვალს“ იყენებდნენ, რომელიც მათ გიორგი წერეთელმა დაუთმო.





სურ. 1. გიორგი წერეთელი

სურ. 2. მიხეილ წერეთელი

Don't copy

წყარო გ) ევგენი გეგეჭკორი, XX ს.-ის პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, „ჩემი მოგონებები“. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 2016, № 4 (7).

„ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ძველი რეჟიმი დაეცემოდა, მას თან მოჰყვებოდა დაწყვეტა ყველა ბორკილების, ეროვნული იყო ისინი თუ სოციალურ-პოლიტიკური; დემოკრატიულ ძალების დაქსაქსვა, გაერთიანებული ფრონტის დაშლა საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართულ ძალების დასუსტებათ მიგვაჩნდა“.

მარქსიზმის გარდა, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა სოციალისტური მიმდინარეობანიც აღმოცენდა. „კვალის“ ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფის წევრები თავიდან დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის გავლენას განიცდიდნენ. მათ სოციალიზმის დამყარება პოლიტიკური რეფორმების მეშვეობითაც შესაძლებლად მიაჩნდათ.

„მესამე დასმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში, მათ შეკავშირებასა და პოლიტიკურად გაწაფვაში.

სოციალ-დემოკრატები

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ გააღრმავა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია. საზოგადოება მრავალფეროვანი გახდა და განსხვავებული ინტერესების მქონე ფენებად დაიყო (მუშები, გლეხობა, მეწარმეები, ვაჭრები, ხელოსნები, ინტელიგენცია და სხვ.). მათი ინტერესების გამოხატვა და დაცვა პოლიტიკურმა ძალებმა იკისრეს, რომლებიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არალეგალურად აღმოცენდნენ. 1900-იანი წლების დასაწყისიდან ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას აღმავლობა დაეტყო. სამოღვაწეო ასპარეზს ახალი ინტელექტუალური ძალები შეემატა. მნიშვნელოვანი სიახლე იყო პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების წარმოშობაც.

საქართველოში აღმოცენებული პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია „მესამე დასი“ იყო. 1901 წლისათვის თბილისში, „მესამე დასისაგან“ დამოუკიდებლად, ახალი „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ ჩამოყალიბდა (ი. ჯუღაშვილი, ვ. კეცხოველი, ა. ენუქიძე და სხვ.), რომელმაც ბაქოში იატაკქვეშა სტამბა მოაწყო და არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ დააფუძნა. მალე ასეთივე ჯგუფი ბათუმშიც დაარსდა.

1903 წლისათვის რუსეთის იმპერიის ცალკეულ კუთხეებში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, ჯგუფები თუ წრეები, მათ შორის, „მესამე დასიც“, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (რსდმპ) შეერწყა და მისი ნაწილი გახდა.

რსდმპ დაარსებისთანავე ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაითიშა, თუმცა 1912 წლამდე ორივე ფრაქცია ერთ პარტიაში თანაარსებობდა. სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქცია კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და ეროვნულ საკითხში ნიჰილიზმს იჩენდა.

წყარო დ) ნოე ჟორდანია, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, XX ს. „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, 1908 წ.

„არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური საკითხი, როგორც ქართველ ხალხს... მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არაერთხელ მოხდა, მაგრამ ეს იყო არა ხალხის, არამედ მხოლოდ თავადაზნაურობის ან ინტელიგენციის მოძრაობა“.

წყარო ე) ფილიპე მახარაძე, საქართველოს ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, „ნაციონალური საკითხი“, 1924 წ.

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“.

Don't copy

საქართველოში მენშევიკები ბოლშევიკებზე მეტი გავლენით სარგებლობდნენ. ისინი ორგანიზებას უწევდნენ მუშათა გამოსვლებსა და გაფიცვებს, წარმართავდნენ რევოლუციურ მოძრაობას. ქართველი მენშევიკები 1906 წლიდან მუდმივად იმარჯვებდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასაც ხელმძღვანელობდნენ.

სოციალ-დემოკრატებს მრავალრიცხოვანი პერიოდული გამოცემა ჰქონდათ. მათ შორის, გაზეთი „ბრძოლა“ და ჟურნალი „მოგზაური“ ბოლშევიკური გამოცემები იყო, ხოლო გაზეთები „სოციალ-დემოკრატი“, „სხივი“, „ერთობა“ მენშევიკებს ეკუთვნოდათ.

ქართველი ბოლშევიკებიც (იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი), მიხა ცხაკაია, ალიოშა ჯაფარიძე და სხვ.) და მენშევიკებიც (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი) პარტიაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ. ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი იმპერიის მასშტაბით აღიარებულ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა.



სურ. 3. იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი)

რსდმპ ორივე ფრაქცია მიზნად ცარისტული რეჟიმის შეცვლას და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას ისახავდა. ბოლშევიკები ამის მიღწევას მხოლოდ ძალდატანებითა და შეიარაღებული აჯანყების მეშვეობით ესწრაფოდნენ. მათი წარმოდგენით, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდებოდა. რუსეთიდან პოლიტიკური რევოლუცია მთელ მსოფლიოს მოედებოდა, კლასობრივი წყობილება ყველგან მოისპობოდა და სოციალიზმი საყოველთაოდ გაიმარჯვებდა.

კლასობრივ ბრძოლას ერთგულებდნენ მენშევიკებიც, რომელთა საბოლოო მიზანიც რუსეთში არსებული წყობილების სოციალისტურად გარდაქმნა იყო. მენშევიკები არ გამორიცხავდნენ, რომ სოციალიზმის მიღწევა, რევოლუციასთან ერთად, მშვიდობიანი – საპარლამენტო ბრძოლის გზითაც შეიძლებოდა.

ბრძოლა მუშათა მოძრაობაში ჰეგემონობისათვის, რუსეთის რევოლუციური პერსპექტივის განსხვავებული გააზრება და სხვ. ფრაქციებს შორის თავიდანვე არსებულ დაპირისპირებას დროთა განმავლობაში სულ უფრო ამძაფრებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ ყოფილა იზოლირებული რუსეთის იმპერიასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე მსგავსი მოძრაობისაგან. რსდმპ, რომლის ნაწილსაც შეადგენდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, გაერთიანებული იყო ჯერ კიდევ 1889 წელს ჩამოყალიბებულ მეორე სოციალისტურ ინტერნაციონალში და მასთან ერთად იბრძოდა მშრომელი კლასების თავისუფლებისათვის (მეორე ინტერნაციონალის დაწესებულია საზეიმო თარიღები – 1 მაისი, როგორც მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის და 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღედ).

ბოლშევიზმიცა და მენშევიზმიც კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და ეროვნულ საკითხში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ერთა თვითგამორკვევას ისინი მხოლოდ სიტყვით აღიარებდნენ. ბოლშევიკები გადაჭრით უპირისპირდებოდნენ ყოველგვარ ავტონომიას და ებრძოდნენ მის მომხრეებს. მენშევიკები რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭებას ემხრობოდნენ. მოგვიანებით მათ შეცვალეს პოზიცია და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეა გაიზიარეს.

1. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება? შენი აზრით, როგორ შეეძლოთ მათ საზოგადოებრივი ფენების ინტერესების გამოხატვა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება?

2. რა იყო მარქსიზმის მთავარი იდეა?

3. როგორ ფიქრობ, რას გულისხმობდნენ მარქსისტები, როდესაც ამბობდნენ, რომ კაპიტალისტურმა წყობამ თავისი მესაფლავე კლასი, პროლეტარიატი წარმოშვა?

4. შენი აზრით, რამდენად რეალისტური იყო მათი იდეა, უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ?

5. იმსჯელე, საქართველოში მარქსიზმის ჩამოყალიბების მიზეზებსა და წინაპირობებზე.

Don't copy

6. „ისტორიის“ გაკვეთილიდან გაიხსნე, რას ქადაგებდნენ ევროპელი სოციალ-დემოკრატები და რა განასხვავებდა მათ რუსი სოციალ-დემოკრატებისგან?
7. შენი აზრით, რატომ შეერწყა ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას?
8. გამოთქვი მოსაზრება, როგორ და რატომ შეძლო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვება?
9. შენი აზრით, რით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ საქართველოში ბოლშევიკებთან შედარებით მენშევიკები უფრო დიდი გავლენით სარგებლობდნენ? პასუხი დაასაბუთე
10. რა მიაჩნდა ევგენი გეგეჭკორს ქვეყნის ყველა უბედურების მიზეზად? რას ფიქრობთ მის მოსაზრებაზე?
11. როგორი იყო სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხის მიმართ და რა მიზეზებით იყო ეს დამოკიდებულება გამოწვეული?
12. გააანალიზე წყაროები და გამოთქვი ვარაუდი, რომელ ქართველ მოღვაწეს დაუპირისპირდებოდნენ სოციალ-დემოკრატები?



სურ. 4. ნოე ჟორდანია



სურ. 5. არჩილ ჯორჯაძე

სოციალისტ-ფედერალისტები

1901 წლიდან გაზეთ „ცნობის ფურცელის“ გარშემო საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდები – გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, თედო სახოკია, სამსონ ფირცხალავა და სხვები – გაერთიანდნენ. ჯგუფს სათავეში არჩილ ჯორჯაძე ჩაუდგა.

არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის თაოსნობით ჯგუფმა 1903 წლის 1 მაისს პარიზში გაზეთი „საქართველო“ დააფუძნა (იქვე გამოიცემოდა მისი ფრანგული ვერსიაც „ლა ჟორჟის“ სახელწოდებით).

წყარო ვ) გაზეთ „საქართველოს“ მიმართვიდან რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ, 1903 წ.

„ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება – განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერისი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“.

Don't copy

„საქართველოს“ რედაქციამ 1904 წელს ჟენევაში ქართული რევოლუციური ჯგუფების კონფერენცია მოიწვია. კონფერენცია პოლიტიკური ორგანიზაციის – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნით დაგვირგვინდა. პარტია ძირითადად ინტელიგენტური და წვრილბურჟუაზიული წრეებისაგან შედგებოდა. პირველ ხანებში მის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ანარქისტთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

პარტიის პროგრამაში მთავარი ადგილი საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას ეკავა. მისი მიღწევის გზად კი რუსეთის ფედერაციის პრინციპებზე მოწყობა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა იყო დასახელებული.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შეიარაღებულ გამოსვლებშიც მონაწილეობდა და მშვიდობიანი ბრძოლის საშუალებად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნასაც იყენებდა. ფედერალისტები გამოსცემდნენ გაზეთებს: „შრომა“, „მეგობარი“, „ისარი“, „სახალხო ფურცელი“, „სახალხო საქმე“ და სხვ.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ ფედერალისტთა საქმიანობას სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი და სხვები წარმართავდნენ.

13. რა მსგავსება-განსხვავებაა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის?

14. ძირითადად რომელი ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ სოციალისტ-ფედერალისტები?

15. შენი აზრით, რამდენად რეალისტური იყო სოციალისტ-ფედერალისტთა იდეები? რა განწყობა დახვდებოდა მას იმპერიულ ხელისუფლებაში?

16. ბრძოლის რა ხერხებს მიმართავდნენ სოციალიტ-ფედერალისტები? რომელი გზა არის თქვენთვის მისაღები?

Don't copy

ეროვნულ-დემოკრატები

ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის წანამძღვრები ჯერ კიდევ „თერგდალეულთა“ ნააზრევში ჩამოყალიბდა. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით შეიმუშავა, დაბეჭდა და გაავრცელა მომავალი პარტიის პროგრამა და წესდება. მართალია, ამ ძალისხმევას მაშინ პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება ვერ მოჰყვა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიზმი განაგრძობდა არსებობას, როგორც იდეური მიმდინარეობა.

ეროვნულ-დემოკრატებს პოლიტიკური პარტია ზეკლასობრივ, ზოგადეროვნული ინტერესების გამომხატველ ძალად წარმოედგინათ. ისინი საქართველოს თავისუფლებას ესწრაფოდნენ, მხარს უჭერდნენ კერძო საკუთრებას და ქვეყნის დასავლური გზით განვითარებას.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს ქართველი ერის ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული უფლებების დასაცავად. თავიანთი გამოცემების მეშვეობით (ჟურნალები „ერი“, „კლდე“, გაზეთები „თავისუფალი საქართველო“, „იმერეთი“, „სამშობლო“, „საქართველო“) მათ ხელი შეუწყვეს საზოგადოებაში პატრიოტული სულისკვეთებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის განმტკიცებას.

წყარო ზ) ი. ჭავჭავაძე, ნაწყვეტი წერილიდან „წოდებათა თანასწორობა“, 1888 წ.

„ჩვენი ძირითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს, ცხოვრების გზა გაიკვლიოს... ტყუილად ფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს, რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რამე ხეირი და სიკეთე ნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა თუ ერისა დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შემობერვაზედვე დაიფუშება“.

დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხოლოდ 1917 წლის ივნისში გაფორმდა. მის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია აირჩიეს. პარტიის ლიდერთა შორის იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიზმი საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეოლოგად იქცა, რომლის პროგრამა ქართველი ერის სრულ თავისუფლებასა და მის ისტორიულ საზღვრებში, სუვერენული სახელმწიფოს აღდგენას ითვალისწინებდა. ეროვნულ-დემოკრატები დასახული მიზნის მიღწევას მშვიდობიანი, ევოლუციური გზით გეგმავდნენ.



სურ. 6. სპირიდონ კედია

17. რატომ ცდილობდნენ ილია და მისი თანამოაზრეები პარტია ზეკლასობრივ, ზოგადეროვნულ ძალად ექციათ?

18. გამოყავი ზ) წყაროდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი საპროგრამო მოწოდებები.

19. ილიას, როგორც პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, რომელი ძირითადი იდეა შეგიძლია ამოიკითხო წერილის ნაწყვეტში?


20. რა ძირეული განსხვავება იყო სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების იდეოლოგიას შორის? რომელს ეთანხმები? რატომ?

ანარქისტები

სოციალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის – ანარქიზმის მოძღვრებას ქართველი მოღვაწეები ევროპაში გაეცნენ და აქტიურად ჩაერთნენ მის პროპაგანდაში. ანარქიზმი უარყოფდა სახელმწიფოს, უპირისპირდებოდა ადამიანური თავისუფლების შემზღუდველ სისტემებსა და ნორმებს, ასაბუთებდა კერძო საკუთრების აუცილებლობას და სხვ.

საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი. იგი დიდ ძალისხმევას ახმარდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნულ უფლებათა დაცვას და თვითმპყრობელობის კოლონიური უღლისაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად იღვწოდა.

ანარქისტული შეხედულების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პოლიტიკურ მოღვაწესა და მეცნიერს მიხეილ წერეთელს. ანარქიზმის გზით სოციალიზმის მიღწევის იდეასთან ერთად ისიც ერთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპს იცავდა. 1910 წელს მ. წერეთელი ანარქისტულ მოძრაობას ჩამოშორდა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში გადაინაცვლა.



სურ. 7. ვარლამ ჩერქეზიშვილი

წყარო ზ) არჩილ ჯორჯაძე, XX ს.-ის საზოგადო მოღვაწე, „შეთანხმების იმედი“, 1911 წ.

„ადამიანის ძალაუფლება ადამიანზე, როგორი ფორმაც არ უნდა მიიღოს მან, არის ჩაგვრა. საზოგადოება სრულყოფის უმაღლეს ხარისხს მიაღწევს წესრიგის ანარქიასთან შეერთებით, ე.ი. უხელისუფლებობით“.

Don't copy

ქართველ ანარქისტებს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. ბევრი ანარქისტი ორგანიზაციულად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ირიცხებოდა.

საქართველოში მოქმედებდნენ ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი აზერბაიჯანული მუსავატის ფილიალი, სომხური დაშნაკცუთიუნისა და ჰნაჩაკის პარტიებიც.

პოლიტიკიური ორგანიზაციების წარმოშობამ გამოაცოცხლა ერის მიყუჩებული მაჯისცემა, ბიძგი მისცა საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობას, ხელი შეუწყო მოსახლეობის ფართო ფენებში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებასა და სხვა, მაგრამ განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მიზანდასახულობის პარტიების შექმნამ ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალების გათიშვა, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება გამოიწვია და ეროვნული კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესი საგრძნობლად შეაფერხა.

21. რამდენად ეთანხმებოდა ქართველი ანარქისტების მსოფლმხედველობა პიერ პრუდონის გამონათქვამს?

22. შენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების... მართვა იერარქიის გარეშე ?

23. როგორ ფიქრობ, რატომ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა სოციალიზმის მიღწევის გზებთან დაკავშირებით?

24. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 126. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები ქართველი ანარქისტებისა და სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ნააზრევს შორის.

Don't copy

54-55 როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოება 1905–1907 წლების რევოლუციისა და პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში

თვითმპყრობელობის დესპოტიზმმა, აგრარული საკითხის მოუგვარებლობამ, სრულმა პოლიტიკურმა უუფლებობამ, ძლიერმა ეროვნულმა და სოციალურმა ჩაგვრამ რუსეთის იმპერიაში რევოლუციის ტალღები ააზვირთა. რევოლუციის დაწყების თარიღად 1905 წლის 9 იანვარი – პეტერბურგში მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის დღე – მიიჩნევა, რომელიც „სისხლიან კვირად“ იწოდება.

უიარაღო დემონსტრანტების ანგარიშსწორებას აქტიურად გამოეხმაურა საქართველოც. 18 იანვარს თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებმა დაზგები მიატოვეს და პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. მეორე დღეს გაფიცვას სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურენიც შეუერთდნენ. დაიხურა სტამბები. მეცადინეობა შეწყვიტეს ქალაქის სასწავლებლებმა. ხალხი ქუჩაში გამოეფინა. იმართებოდა საპროტესტო მიტინგები და შეკრებები. ხალხმრავალი დემონსტრაცია მოეწყო გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე. მოჰქონდათ ლოზუნგები: „ძირს სისხლიანი თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს რევოლუციას!“. დემონსტრაციის დასაშლელად მთავრობამ პოლიცია და ჯარის ნაწილები გამოიყვანა. შეტაკებისას წესრიგის რამდენიმე დამცველი და დემონსტრანტი დაიჭრა. 40 კაცი დააპატიმრეს.

გაფიცვა ერთ კვირას გაგრძელდა ქუთაისში. მუშებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ მოსწავლეებიც. საგაფიცვო მოძრაობას შეუერთდნენ ბათუმის, ფოთის, ტყიბულის, სოხუმის, ჭიათურის, ყვირილის (ზესტაფონი), გორის, ხაშურის, თელავისა და სხვ. ფაბრიკა-ქარხნების მუშები, ხელოსნები, გიმნაზიებისა თუ სემინარიების უფროსკლასელები.

მღელვარებამ მოიცვა ინტელიგენცია, სტუდენტობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა. ფართო ხასიათი მიიღო გლეხთა გამოსვლებმაც. დაწყებულ მოძრაობას თავიანთი მოწოდებებით კიდევ უფრო ამწვავებდნენ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც „ერთობის კაცებს“ ეძახდნენ.

„ერთობა“ პატიოსნების, ვაჟკაცობის, სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლის სიმბოლოდ აღიქმებოდა, თუმცა მას უარყოფითი გამოვლინებანიც საკმაოდ ჰქონდა. „ერთობის“ სახელით ხშირად უდანაშაულო ადამიანებიც ხდებოდნენ ძალადობის მსხვერპლნი. „ერთობის“ ტერორისტები არავის არ ინდობდნენ და უბრალო ეჭვის გამო მტერსა თუ მოყვარეს ტყვიით უმასპინძლდებოდნენ.

წყარო ა) დავით კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“

„ერთობა“ ისმოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; ყველა „ერთობაში“ უნდა შესულიყო, „ერთობა“-სათვის ფიცი უნდა მიეღო; ვინც „ერთობას“ განზე უდგებოდა, იგი სასტიკად იდევნებოდა“.

1. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 127. შესწავლილი მასალის გათვალისწინებით ცხრილში დააჯგუფე და შეაფასე რევოლუციის წინ ცალკეული სოციალური ფენების უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მაღალი ქულა ნიშნავს დადებით მაჩვენებელს, დაბალი – პირიქით.

2. რატომ რჩებოდა აგრარული საკითხი საქართველოს საზოგადოების ძირითად პრობლემად?

3. საზოგადოების რომელი ფენები იყვნენ რევოლუციის ინიციატორები? რატომ?

4. შენ აზრით, რუსეთის იმპერიის პერიფერიებში, რატომ გავრცელდა რევოლუციური მოძრაობა ასე სწრაფად?

მეფის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მთელ სოფლებსა და ქალაქებს. ამის მკაფიო მაგალითია დასავლეთი საქართველო.

გლეხთა მღელვარებები აქ რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო და არც შეწყვეტილა. გლეხობა მიწას, სამართალსა და თავისუფლებას მოითხოვდა, მოხელეთა თვითნებობასა და გადასახადების სიმძიმეს უჩიოდა, სალდათად გაწვევას აპროტესტებდა, დროებითვალდებულებისა და წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას ეშურებოდა, ასაბუთებდა დემოკრატიული გარდაქმნების საჭიროებას, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების აუცილებლობასა და სხვ.

Don't copy

ბევრგან მოსახლეობა ხელისუფლების ორგანოებს აღარ ემორჩილებოდა. 1905 წლის დამდეგიდანვე გლეხობამ მასობრივად თქვა უარი გადასახადებსა და მემამულეთა თუ ეკლესიის მიმართ სხვა ვალდებულებებზე. შეიარაღებული გლეხები სოფლებიდან აძევებდნენ მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისებს, აღარ ასრულებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის განკარგულებებს, ძალით იკავებდნენ მებატონეთა, ხაზინისა და სხვა მიწებს, წვავდნენ საძულველ მემამულეთა სახლებს, ბეღლებს, წისქვილებს. გლეხთა რაზმები იჭრებოდნენ საბოქაულო უბნებში, სამაზრო ცენტრებში, იტაცებდნენ იარაღს, ანადგურებდნენ ქონებასა და დოკუმენტაციას.

დასავლეთ საქართველოს მრავალ სოფელში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გაუქმებულად გამოცხადდა და ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდა. ასე წარმოიშვა თავისებური პატარა „რესპუბლიკები“ (გურიის, ზუგდიდის, ჭიათურის, ნაძალადევის...), რომლებმაც მცირე ხანს იარსებეს, მაგრამ ფართო ინტერესი და გამოხმაურება პოვეს.

ადგილობრივ ადმინისტრაციას შიშის ზარს სცემდა „ტყის ძმებს“ სახელით ცნობილი გლეხთა წითელი რაზმები, რომლებიც ქართლსა და კახეთში მოქმედებდნენ.

გლეხთა მღელვარების „დასაწყნარებლად“ ადმინისტრაციას მხარში ამოუდგნენ გორელი თავადები ამილახვარი და აბდუშელიშვილი. მათი კბილებამდე შეიარაღებული 700-კაციანი „დრუჟინა“, რომელსაც ხალხმა „შავი რაზმი“ შეარქვა, სოფელ-სოფელ დათარეშობდა, თავს ესხმოდა, ძარცვავდა და აწიოკებდა ურჩ გლეხთა ოჯახებს.

წყარო ბ) ვაჟა-ფშაველა, „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“, 1908-1909 წწ.

„ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ და ურემი კი შინ მისატანი დაგვრჩა, შუა გზაში გახიდული“.

წყარო გ) ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1905 წ.

„დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ“.

5. შენი აზრით, რატომ ვერ მოხერხდა წოდებათა შორის “ჩატეხილი ხიდის” გამთელება?
6. რა საშიშროებას უქადდა საქართველოს საზოგადოებას ის უსამართლობა, რასაც „ერთობის“ სახელით სჩადიოდნენ?
7. რა პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას ვაჟა და ილია?
8. რა მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების მოტანა შეეძლო ხელსუფლების ძალადობრივ პოლიტიკას?

1905 წლის მარტში ქართველ თავად-აზნაურთა კრებამ მხარი დაუჭირა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას და თავისი გადაწყვეტილება საიმპერიო ხელისუფლებას ოფიციალურად შეატყობინა. ამავე პერიოდში ეპისკოპოსების კირიონის, ლეონიდესა და სხვათა მონაწილეობით ფართოდ გავრცელდა ავტოკეფალისტთა მოძრაობა, რომლის მიზანი საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის განახლება იყო. რუსეთის წმინდა სინოდთან შექმნილმა სპეციალური კომისიამ განიხილა ეს საკითხი, მაგრამ ავტოკეფალიის აღდგენაში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახა და უარყო.

9. შენი აზრით, ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა საქართველოს ეკლესიის გარშემო საზოგადოების კონსოლიდაცია? პასუხი დაასაბუთე.
10. ავტოკეფალისტთა მაგალითის მოშველიებით იმსჯელე, რამდენად განსაზღვრავს კონკრეტული პერიოდი/დრო ამა თუ იმ იდეის განხორციელების შესაძლებლობას.

1905 წლის გაზაფხულიდან კავკასიაში აღადგინეს მეფისნაცვლის თანამდებობა, რომელიც 1882 წლიდან გაუქმებული იყო და სამხრეთ კავკასია ისევ მთავარმართებელს ემორჩილებოდა. მეფისნაცვლის პოსტზე გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. ახალმა მმართველმა გარკვეულ

Don't copy

ცვლილებათა პროექტები შეიმუშავა, მაგრამ უმაღლესმა ხელისუფლებამ კავკასიაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება არ ინება და რეპრესიული ზომები გააძლიერა.

თბილისში პოლიციამ ქართველი სამღვდელოების ყრილობა დაარბია. კაზაკები ტყვიებით გაუმასპინძლდნენ დედაქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შეკრებილ ორიათასკაციანი მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს. დაიღუპა 100 ადამიანი, დაჭრილთა რიცხვი 300-ს აღწევდა, 170 კაცი დააპატიმრეს.

მხარის ადმინისტრაციის წაქეზებით ბაქოში სომეხთა და აზერბაიჯანელთა სისხლისმღვრელი შეტაკება მოეწყო. მსგავსი ხოცვა-ჟლეტის პროვოცირება ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე თბილისშიც იგეგმებოდა, მაგრამ ავტორიტეტული პოლიტიკური ორგანიზაციების მესვეურთა და მოქალაქეთა ძალისხმევით მოხერხდა მასშტაბური ტრაგედიის თავიდან აცილება.

11. იქნებოდა თუ არა მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენა ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი?

12. ეთნიკურ ნიადაგზე კავკასიის ხალხების დაპირისპირება ვისთვის იქნებოდა სასარგებლო? რატომ?

13. რატომ მიიჩნია მეფის ხელისუფლებამ თბილისი შიდა დაპირისპირებების პროვოცირებისათვის ხელსაყრელ ადგილად?

14. გაავლე პარალელი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კავკასიაში ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებებთან. იმსჯელე ასეთ პირობებში საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე.

რევოლუციაში აქტიურად იყვნენ ჩართული საქრთველოში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები და მიმდინარეობები. მეტად გაბედული აქცია განახორციელა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ. მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი დეკანოზიშვილმა, იაპონიის დაზვერვის სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით, 1905 წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთ 7 ათასი თოფი და 2 მილიონამდე ვაზნა შეიძინა, ჰოლანდიური გემი დაიქირავა და არალეგალურად იარაღი სამშობლოში შემოიტანა. ხომალდს, რომელსაც „სირიუსი“ ერქვა, ფრანგი და ჰოლანდიელი ანარქისტებისგან დაკომპლექტებული ეკიპაჟი მართავდა ქრისტიან კორნელისენის მეთაურობით. ფოთში გადმოტვირთული უცხოური თოფების ნაწილი, მართალია, ხელთ პოლიციას ჩაუვარდა, მაგრამ დანარჩენი რევოლუციურად განწყობილ მოსახლეობას გაუნაწილეს.

15. მოიძიე ინფორმაცია 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის შესახებ და იმსჯელე, რატომ დააფინანსა იაპონიის დაზვერვამ საქართველოში იარაღის შემოტანის ოპერაცია.

16. რაზე მიუთითებს ევროპელი ანარქისტების დახმარება ქართველი აჯანყებულებისთვის?

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის რევოლუციური ამხედრება „თერგდალეულთა“ ხანშიშესულმა თაობამ საქართველოს გამოღვიძების, ეროვნული განახლების დასაწყისად წარმოიდგინა. „ამას ველოდი, მოვესწარ!.. ვიცინი, აღარ ვსტირი მე!“ – წერდა აკაკი წერეთელი და ახალგაზრდობას გაბედული გამოსვლისაკენ მოუწოდებდა. მგოსანმა, რომელიც ძმობას, ერთობას, სიყვარულს უმღეროდა, იმ დღეებში ქართულად თარგმნა „ინტერნაციონალი“.

ინტერნაციონალი – საერთაშორისო პროლეტარული ჰიმნი.

1905 წლის ოქტომბერში მოსკოვში დაწყებული მუშათა გამოსვლები იმპერიის მასშტაბით საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. რევოლუციური მოძრაობის გაქანებამ ცარიზმი აიძულა, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა იმპერა-

Don't copy

ტორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი, რომელმაც სიტყვის, პრესის, კავშირების, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება დაუშვა. ამასთან, გამოცხადდა, რომ რუსეთში მოიწვევდნენ წარმომადგენლობით ორგანოს – სახელმწიფო სათათბიროს, თუმცა იგი უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება არ იქნებოდა. მის მიერ შემუშავებული კანონპროექტები იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. მანიფესტით შესამჩნევად ფართოვდებოდა ელექტორატი, საარჩევნო ხმის უფლება მუშებსა და გლეხებსაც ეძლეოდათ.



სურ. 1. ნიკოლოზ II

17. რატომ უჭერდა თერგდალეულთა უფროსი თაობა მხარს რევოლუციას? შენი აზრით , რა მოლოდინები ექნებოდათ მათ ამ პროცესებისგან ?
18. რამდენად უპასუხებდა 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხის მოთხოვნებს?
19. რა მნიშვნელობა ჰქონდა მუშებისა და გლეხების მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებას?
20. როგორ ფიქრობ, რამდენად ეფექტიანი იქნებოდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა?
21. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეთოდებიდან, შენი აზრით, რომელი იყო ყველაზე მისაღები? რატომ?

შემდგომი მშვიდობიანი ცვლილებების იმედით, საზოგადოების ზომიერი ნაწილი – ლიბერალური ბურჟუაზია, ინტელიგენცია და სხვ. – რევოლუციას ჩამოშორდა. ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მზადება დაიწყო. ამის მიუხედავად, ბოლშევიკებმა ვითარება გაამწვავეს და 1905 წლის დეკემბერში მოსკოვში მუშათა შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. მთავრობა იოლად გაუმკლავდა გამოსვლას და იგი სისხლში ჩაახშო.

ქართველმა ბოლშევიკებმა აჯანყების ორგანიზება თბილისშიც სცადეს, ნაძალადევსა და დიდუბეში ქუჩებში გამოიყვანეს მუშათა მებრძოლი რაზმები, დროებით ეს უბნები დაიკავეს კიდეც, მაგრამ პოლიციასა და ჯარის ნაწილებს ვერ სძლიეს. შეიარაღებული აჯანყების მარცხმა რევოლუციის ბედიც გადაწყვიტა. მართალია, მუშათა და გლეხთა მღელვარებები ერთბაშად არ დამცხრალა, მაგრამ სახალხო მოძრაობამ დაღმასვლა დაიწყო.

მთავრობამ ამით ისარგებლა და 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხისთვის ნაწყალობები სამოქალაქო უფლებები შეზღუდა: აიკრძალა გაფიცვები, შევიწროვდა ბეჭდვითი სიტყვა. გაძლიერდა **ჟანდარმერია, ოხრანკა** და პოლიციის სხვა სტრუქტურები. გამარჯვებული თვითმპყრობლობა განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა იმპერიის განაპირა რეგიონებს და არარუს ხალხებს. დამსჯელმა ექსპედიციამ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით გადაწვა გურიის ბევრი სოფელი, ხარაგაულის, ზესტაფონის, ქუთაისის ნაწილი. გამოსვლების მოთავეებს სიკვდილით სჯიდნენ ან აციმბირებდნენ. რუსეთის შორეულ გუბერნიებსა და კატორღაში რამდენიმე ათასი კაცი გაგზავნეს.

ჟანდარმერია – სამხედრო წყობის პოლიცია; მეფის რუსეთში პოლიტიკური პოლიცია.
ოხრანკა – მეფის რუსეთში საიდუმლო პოლიციის ორგანო.

საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ცნობები საზღვარგარეთაც ფართოდ გავრცელდა. კორესპონდენციები და მასალები ქვეყნდებოდა როგორც ევროპის, ისე აშშ-ის პრესის ორგანოებში. საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის პროგრესული საზოგადოება არაერთ მიტინგზე გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებდა ქართველ ხალხს. საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა გაზეთ „ტაიმსის“ საკუთარი კორესპონდენტი ვილარი, რომელიც ადგილზე გაეცნო ვითარებას და სამშობლოში დაბრუნებისას გამოსცა წიგნი სახელწოდებით „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“. სხვა არაერთმა უცხოელმა ჟურნალისტმაც აღწერა დამსჯელი რაზმების სისასტიკე საქართველოში და მსოფლიოს რუსეთის ადმინისტრაციის ბარბაროსობის ფაქტები გააცნო.

Don't copy

წყარო დ) ივანე ჯავახიშვილი, „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“, 1906 წ.

„რევოლუციის ჩახშობის ეპოქაში საქართველო ისე განადგურდა, თითქოს მას დუშმანი შემოსეოდეს“.

წყარო ე) გაზეთ „ტაიმსის“ საკუთარი კორესპონდენტი ვილარი, „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“, ლონდონი, 1905.

„გადამწვარი ქართული სოფლების მოსახლეობას თავი ღირსეულად ეჭირა. არსად გაგვიგონია ტირილი, კვნესა ან ჩივილი. პირიქით, თითქოს ჩვენ ვიდექით იმ ჯარის წინ, რომელმაც ეს-ესაა სასტიკი ომი გადაიხადა და მხნედ ემზადება ახალი შეტაკებისთვის“.

22. რატომ იჩენდა მეფის მთავრობა განსაკუთრებულ სისასტიკეს იმპერიის იმ მხარეებში, სადაც ე. წ. ეროვნული უმცირესობები ცხოვრობდნენ?
23. რატომ აღმოჩნდა 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაწყალობები უფლებები ხანმოკლე?
24. რამდენად მნიშვნელოვანი იყო რევოლუციონერებისთვის ევროპის და ამერიკის საინფორმაციო გამოცემების მხარდაჭერა? შეეძლო თუ არა ამ თანადგომას სიტუაციაზე გავლენის მოხდენა?

საქართველოს საკითხით რუსეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეების დასაინტერესებლადაც დამატებით შესაძლებლობას იძლეოდა სახელმწიფო სათათბირო. ამიტომ ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოწონებით შეხვდა მისი დაარსების იდეას.

წყარო ვ) გაზეთი „ივერია“, 1905 წ., 5 მარტი

„სახელმწიფო სათათბიროში უნდა შევიდეთ, უნდა აღვნუსხოთ მთელი სინამდვილე. იქიდან ეს უტყუარი ფაქტები ყველას ყურამდე მიაღწევს და ხმას ამოიღებს მთელი ევროპა“... კაცები გვჭირია, რომელთაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა უნდა ამცნონ მთელ რუსეთის საუკეთესო ნაწილს და თვით ევროპასაც. ვის შეუძლია ესა ჰქმნას ისე კარგად, ისეთის ავტორიტეტით, როგორც მომავალ დეპუტატებს?“

წყარო ზ) არჩილ ჯორჯაძე, ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „შეთანხმების იმედი“, 1911 წ.

„იურიდიული საბუთი არსად ისე არ გამოდგება, როგორც პარლამენტის ტრიბუნაზე“.

25. შენი აზრით, რამდენად მისაღები იქნებოდა საქართველოს საზოგადოების უმრავლესობისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებისთვის ვ) და ზ) წყაროების ავტორთა მოსაზრება?
26. ავტორების აზრით, რის საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს საპარლამენტო ტრიბუნა? იზიარებ თუ არ მათ მოსაზრებებს? რატომ?

I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში 1906 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა. მასში წარმატებას ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) მიაღწიეს. საქართველოში არჩეული 8 დეპუტატიდან 5 (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი და სხვ.) მათ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ქართველ დეპუტატებს სათათბიროში მოღვაწეობა მცირე ხნით მოუწიათ. 1906 წლის 9 ივლისს ნიკოლოზ II-მ ხალხის წარმომადგენლები დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა.

რუსეთის მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს დეპუტაციას მხოლოდ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) წარმოადგენდნენ. მესამე და მეოთხე მოწვევის სათათბიროებშიც ჩვენი ქვეყნიდან ისინი დომინანტობდნენ. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე მესამე და მეოთხე სათათბიროებში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასაც ხელმძღვანელობდა.

Don't copy



სათათბიროში წლების განმავლობაში განიხილებოდა საქართველოსთვის საჭირბოროტო ისეთი სოციალური და აგრარული პრობლემა, როგორიც იყო ხიზანთა მიწათმოწყობის საკითხი და სხვ. მაგრამ უფრო არსებითი, პოლიტიკური ჟღერადობის ზოგადქართული მოთხოვნა იმპერიის ამ მაღალი ტრიბუნიდან მხოლოდ 1912 წ. 12 დეკემბერს გაისმა. IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველმა დეპუტატმა, ფედერალისტმა ვარლამ გელოვანმა ამ დღეს ოფიციალურად დასვა საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მინიჭების საკითხი.

სურ. 2 ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე

წყარო თ) დეპუტატ ვარლამ გელოვანის გამოსვლიდან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, 1912 წ. 12 დეკემბერი

„საქართველო არის ქვეყანა თავისი დამოუკიდებელი ისტორიით, თავისი კულტურით, თავისი ენით, თავისებური ყოფით, თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფებითა და საჭიროებით...

რუსეთი პატარა, ერთმორწმუნე ქართველი ხალხის მფარველად კი არ მოგვევლინა, არამედ დამპყრობლად, დაუძინებელ მტრად. დესპოტური რეჟიმით სულშეხუთული საქართველოს მთელი მოსახლეობა გმინავს და თავისუფლებას ესწრაფვის. მას მთავრობის იმედი აღარ აქვს. ის რუსი ხალხისაგან მოელის ღირსეულ ადამიანურ უფლებას, რისი ერთ-ერთი საშუალებაც იქნება საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის დაკანონება“.



ვარლამ გელოვანის მიერ გაცხადებულ ქართველი ერის მისწრაფებას სახელმწიფო სათათბირო დუმილით შეხვდა. სათათბირომ არათუ არ დააკმაყოფილა ეს სამართლიანი მოთხოვნა, იგი განხილვის ღირსადაც არ ჩათვალა. ამის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განახლების მოთხოვნას, თუნდაც ავტონომიური ფორმით, რომელიც მთელი რუსეთის, მათ შორის, იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების გასაგონად გაცხადდა, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

სურ. 3. ვარლამ გელოვანი

27. გამოთქვი ვარაუდი, რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ვარლამ გელოვანის გამოსვლას?
28. რა არგუმენტებს ეყრდნობოდა ვარლამ გელოვანი? შენი აზრით, რატომ არ აღმოჩნდა სათათბიროსთვის საინტერესო მისი მოთხოვნები?
29. რამდენად გამოხატავდა ეს გამოსვლა საქართველოს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესს?

ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე იდგა ილია ჭავჭავაძეც, რომელიც 1906 წლის აპრილში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. მწერალმა პეტერბურგელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ემხრობა საქართველოს ფართო თვითმმართველობას, ხოლო სახელმწიფო საბჭოში იგი სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს დაიცავდა და არა რომელიმე კლასისას. ილია ჭავჭავაძე რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად ამზადებდა მოხსენებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე, მაგრამ აღარ დასცალდა. 1907 წლის 30 აგვისტოს ერის დიდი მოძღვარი საქართველოში სიცოცხლეს გამოასალმეს.

Don't copy

წყარო ი) ვაჟა-ფშაველა, გაზეთი „ისარი“, 1907 წ., 6 სექტემბერი

„ილია რომ მოჰკლეს!“ მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა. თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისთვის მოჭირნახულე ადამიანს? ...საშინელი მეტის-მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება... მოჰკლეს ილია! მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება... თუ რამდენიმე თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს“.

წყარო კ) სამსონ ფირცხალავა, „ვინ მოჰკლა ილია?“, გაზეთი „ისარი“, 1907 წ., 10 ოქტომბერი

„ამ რამდენიმე დღის წინათ პეტერბურგში ქართველ სტუდენტების კრება მოხდა. ეს იყო პირველი კრება წელს და ამიტომ ერთმა სტუდენტმა წინადადება მისცა ამხანაგებს, რომ ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულ ი. ჭავჭავაძისათვის და დეპეშა გაეგზავნათ იმის მხეცურ მოკვლის დასაგმობად... მაგრამ მეცნიერების ტაძარში ყოფილან ისეთი ქართველი სტუდენტები, რომლებსაც სულ სხვანაირი შეხედულება ჰქონიათ ილიას მოკვლის შესახებ... მარტო 4 სტუდენტმა მისცა მწუხარების და დაგმობის დეპეშას ხმა, ორი აშკარად წინ აღუდგა და 39 „გაჩუმდა“, უხმოდ დარჩა. უხმოდ დარჩა საკითხის გადაწყვეტის დროს; ხოლო როცა საქმე ირჩეოდა, მაშინ კი ხმამაღლა ამტკიცებდნენ, რომ ილიას მოკვლა რევოლუციური აქტია, ილია, როგორც მემამულე, მოსაკლავი იყოო და სხვა.

წყარო ლ) ნოე ჟორდანია – ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ. „ბნელი ძალები“, გაზეთი „ჩვენი გზა“, 1907 წ., 9 ოქტომბერი

„ვთქვათ, სოც.-დემოკრატიის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი?“.

წყარო მ) გალაკტიონ ტაბიძე, XX ს.-ის პოეტი.

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

30. რომელი პარტიებისთვის იქნებოდა მიუღებელი ილიას პოზიცია?
31. როგორ ახასიათებენ ქართულ საზოგადოებას ვაჟა და სამსონ ფირცხალავა?
32. რა დამოკიდებულებას გამოხატავს გაზეთი „ისარი“ ილიას მკვლელობის მიმართ?
33. შენი აზრით, საზოგადოების რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავს ეს გაზეთი?
34. გამოთქვი ვარაუდი, რომელი პარტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობა.
35. შენი აზრით, რატომ იმართლებს თავს ნოე ჟორდანია?



სურ. 4. ილიას საფლავი მთაწმინდის პანთეონში

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში არაერთი ცნობილი უცხოელი მოღვაწე იყო ჩამოსული, საქართველოს საკითხი დასავლეთის სახელმწიფოთა ყურადღებას ვერ იქცევდა. ამ მხრივ სერიოზული გარღვევა 1903 წელს პარიზში დაარსებულმა გაზეთმა „საქართველომ“ და მისმა ფრანგულმა დამატებამ „ლა ჟორჟიმ“ სცადეს. მათ ევროპას პირველად ამცნეს ქართველი ხალხის მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ. ქართველთა გულისწადილს დასავლეთის ლიბერალური პრესა, არაერთი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწე თანაგრძნობით გამოეხმაურა.

Don't copy

1906 წელს ლონდონში ინგლისურ-ქართული კომიტეტი ჩამოყალიბდა. კომიტეტმა 4 ათასზე მეტი ინგლისელი ქალის ხელმოწერა შეაგროვა და ბრიტანეთის ხელისუფლების მეშვეობით პროტესტი გამოუცხადა ნიკოლოზ II-ის მთავრობას მისი ადმინისტრაციის ბარბაროსობის გამო საქართველოში.

დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მიერ 1907 წელს განხორციელებულმა პოლიტიკურმა აქციამ, რომლის თაოსნები და ორგანიზატორები ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ წერეთელი და გიორგი გვაზავა იყვნენ. იმხანად ჰააგაში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნად შედგა პეტიცია სახელწოდებით „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“. ორი ათასზე მეტი კაცის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი ვარლამ ჩერქეზიშვილმა ლონდონში არსებულ ინგლისურ-ქართულ კომიტეტს წარუდგინა. კომიტეტმა პეტიცია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დაბეჭდა, საგანგებო მიმართვა დაურთო და სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეებს დაუგზავნა.

პეტიცია მსოფლიო სახელმწიფოთა მესვეურებს აცნობდა საქართველოს უფლებრივ სტატუსს რუსეთის იმპერიაში, აღუწერდა იმ არნახულ დევნა-შევიწროებას, რასაც ქართველი ხალხი განიცდიდა.

წყარო ნ) „ნაწყვეტი „საქართველოს ხალხის მემორანდუმიდან“, 1907 წ.

„...თქვენი თანაგრძნობა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნენ 1783 წლის ტრაქტატის თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისა და ეროვნული ავტონომიისათვის“.

36. რატომ მიუთითებენ მემორანდუმის ავტორები 1783 წლის ტრაქტატზე?

კონფერენციის დელეგატები გაეცნენ მემორანდუმს, მაგრამ, რადგან დღის წესრიგი ადრევე იყო დამტკიცებული, საქართველოს საკითხზე ცალკე არ უმსჯელიათ. ამის მიუხედავად, „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ მაინც ფართოდ გავრცელდა. პეტიციის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ბელგიის, აშშ-ისა და ინგლისის პრესაში. ინფორმაციები დაბეჭდეს ესპანეთის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებმა. „განათლებულმა კაცობრიობამ საქართველოს შესახებ ლაპარაკი დაიწყო“, – წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი.

საქართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გამართულ „დამონებულ ერთა“ საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში. ვარლამ ჩარქეზიშვილის წინადადებით, 1910 წელს ლონდონში შემდგარმა ერთ-ერთმა ასეთმა კონფერენციამ რეზოლუციაში შეიტანა მუხლი, რომელიც საერთაშორისო ტრიბუნალს მოუწოდებდა, ანგარიში გაეწია მცირე და ჩაგრულ ერთა მიერ დიდ სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებების, შეთანხმებისა და ტრაქტატებისათვის.

1912 წელს ლონდონში დაფუძნდა „ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი“, რომლის წევრები 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე დაყრდნობით ევროპის ქვეყნებში ეწეოდნენ საქართველოს ისტორიული უფლებების პროპაგანდას, ცდილობდნენ, საქართველოს საკითხი წამოეჭრათ დიდი სახელმწფოების წინაშე. იმავე მიზნით პარიზში მცხოვრებმა ქართველებმა, ცნობილ ფრანგ მოღვაწეთა თანადგომით, დააარსეს „საქართველოს უფლებათა დამცველი ლიგა“ და სხვ.

1913 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის ძალისხმევით, ლივერპულში შეკრებილმა ინგლისის სამშვიდობო საზოგადოების კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით დაგმო თვითმპყრობელობის განზრახვა, ქართლის შუაგულში, მდინარე ტირიფონის ნოყიერ ველზე, მოეწყო სამხედრო პოლიგონი. პოლიგონის გამართვა ველის გარშემო ინტენსიურად დასახლებული სოფლებიდან რამდენიმე ათასი კომლის – ძირითადად ქართველი გლეხობის – აყრას გამოიწვევდა.



სურ. 5 პეტრე სურგულაძე

Don't copy

1910 წლიდან ჟენევაში პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით მოქმედებდა „საქართველოს განთავისუფლების ჯგუფი“, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. ჯგუფის ბეჭდვითი ორგანო „თავისუფალი საქართველო“ უცხოეთში გამოცემული პირველი ქართული ჟურნალი იყო. მისი დამფუძნებლები თანამემამულეებს ეროვნული კონსოლიდაციის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.

„ხანგრძლივი XIX საუკუნის“ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ძირითადი შედეგები და გამოწვევები

XIX საუკუნემ ბევრი რამ შეცვლა კაცობრიობის ისტორიაში. ამ ასწლეულის განსაკუთრებით მეორე ნახევარში ადამიანთა წინაშე ცივილიზაციური პროგრესის ისეთი სივრცეები გადაიშალა, რომელთაც წარსულში ძნელად ეძებნება ანალოგი.

,,სხვათათვის დიდ საუკუნეს“ უწოდებდა ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეს და ეს მართლაც ასე იყო. საუკუნის ,,სიდიდე“ და მასშტაბურობა სხვა ხალხების ცხოვრებას უფრო დაეტყო, ვიდრე საქართველოსას. ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების მხრივ განსხვავება დაწინაურებულ და დანარჩენ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და თვალსაჩინო გახდა.

ამის მიუხედავად, ეს „ხანგრძლივი საუკუნე“ არც საქართველოსათვის გამომდგარა უმნიშვნელო. ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესი გასდევს წითელ ზოლად ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთს: ერთის მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, მისი კოლონიურ უღელქვეშ მოქცევის, ქართველი ხალხის ასიმილაცია-გარუსების და, მეორეს მხრივ, საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის, ტერიტორიული გამთლიანების, ეროვნული კონსოლიდაციის, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის, განათლებისა და კულტურული აღმავლობისა.

სოციალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა ბატონყმობის გაუქმებას, რომელმაც გზა გაუხსნა კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებას. მართალია, ეს პროცესი ნელა წარიმართა, მაგრამ მაინც ეპოქის განმსაზღვრელ მოვლენად იქცა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის პრინციპი არ გაუქმებულა. ძირითად საზოგადოებრივ კლასებად კვლავ თავადაზნაურობა და გლეხობა რჩებოდა, რომელსაც ბურჟუაზია და მუშათა კლასიც შეემატა.

ახალ რეალობაში ქართველი თავადაზნაურობის სოციალური მდგომარეობა შესამჩნევად დაკნინდა. დიფერენციაციის შედეგად, გლეხთა კატეგორია ღარიბ, საშუალო და მდიდარ გლეხებად დაიყო. გლეხობის ნაწილმა ქალაქებში ფაბრიკა-ქარხნებს მიაშურა ან ვაჭრობაში ჩაერთო.

კაპიტალიზმმა მრეწველობის განვითარება და ურბანიზაციის პროცესი, ხოლო რკინიგზის მშენებლობამ ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა ურთიერთდაკავშირება და საშინაო ბაზრის გაფართოვება განაპირობა. საქართველო უფრო ფართოდ ჩაება როგორც რუსეთის იმპერიის, ისე, საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაშიც.

მნიშვნელოვანი სიახლე იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე პოლიტიკური ორგანიზაციების გამოსვლა, რომლებიც მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ.

ამავე საუკუნეში ნაციონალიზმის სახით წარმოიშვა ახალი იდეური მიმდინარეობა, რომელმაც ევროპაში ერი-სახელმწიფოების შექმნა დააჩქარა. ნაციონალიზმი საქართველოშიც ფართოდ გავრცელდა. ამას ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების გარდა, ხელი შეუწყო განათლების ქსელისა და ბეჭდური მედიის (პერიოდული პრესის), ასევე, კომუნიკაციის საშუალებების – რკინიგზის, ფოსტის, ტელეგრაფის განვითარებამ და სხვ.

ხსენებულ წანამძღვრებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიულ და კულტურულ ინტეგრაციას დაეფუძნა სამოქალაქო ერის მშენებლობა, რომლის ხუროთმოძღვრები თერგდალეულები იყვნენ. ისე მოხდა, რომ ქართველი ერის თანამედროვე პოლიტიკურ ერად ჩამოყალიბება განსახილველ პერიოდში ვერ დასრულდა. მოდერნიზაციის პროცესის გაჭიანურებისა და დაუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი რუსეთის იმპერიული ბატონობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის არქონა იყო. სოციალური უთანასწორობის დაძლევის, ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროექტების განხორციელება სამომავლო ამოცანებად და XX საუკუნის გამოწვევებად დარჩა.

Don't copy

წყარო ო) ნიკო ნიკოლაძე, ნაწყვეტი წერილიდან „მამულის სიყვარული და მსახურება“, 1879 წ.

„ოცი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზამზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა. ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება ადგილი ხალხთა საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს“.

36. რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს საკითხი აქტუალური გამხდარიყო მსოფლიოს საზოგადოებისთვის?

37. რატომ ინტერესდებოდა ევროპის საზოგადოება ქართველი ერის უფლებების დაცვის საკითხით?

38. რისკენ მოუწოდებდა ნიკო ნიკოლაძე? რამდენად ეხმიანება მისი პროგნოზი, რომელიც 1879 წელს გააკეთა, XX საუკუნის I ათწლეულის მსოფლიოს ისტორიას?

39. შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 128. შესწავლილი მასალის გათვალისწინებით, ცხრილში დააჯგუფე და შეაფასე, რევოლუციის წინ ცალკეული სოციალური ფენების უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მაღალი ქულა ნიშნავს დადებით მაჩვენებელს, დაბალი – პირიქით.

40. დაწერე ესე, რომელშიც გააანალიზებ „ხანგრძლივ XIX საუკუნეში“ საქართველოს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს, მათ შედეგებს და ამის გათვალისწინებით გამოყავი პერიოდები, მათ შორის განსხვავებები და ის კრიტერიუმები, რომლებითაც პერიოდები ერთმანეთისგან განასხვავე.

41. შეასრულე მოსწავლის რვეულში დავალება 128*. განიხილეთ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

დრო, საზოგადოება

XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის დამდეგი რუსეთის იმპერიასა და საქართველოში დიდი ძვრებისა და გარდაქმნების ხანაა: ასპარეზზე გამოდიან თერგდალეულები, ხელისუფლებამ გაატარა სოციალური და სამართლებრივი რეფორმები, იწყება სოციალური მოძრაობები და ყალიბდება პოლიტიკური პარტიები. წარმოიდგინე, რომ ხარ პოლიტოლოგი, რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული ეპოქის კვლევით. დაწერე მცირე პოლიტიკური ნარკვევი, რომელიც ამ საკითხებს ეხება.

ნარკვევში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ და რატომ ცდილობდნენ თერგდალეულები სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის თანხმობის მიღწევას და რა იდეები მიაჩნდათ საზოგადოების ერთიანობის საფუძვლად? (საზ. 3)
- როგორ და რატომ მიმართავდა რუსეთი საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების ხელოვნურად ჩასახლების პოლიტიკას და რა დამოკიდებულება არსებობდა ადგილობრივ და კოლონისტ მოსახლეობას შორის? (საზ. 4)
- როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება, ინტერესი, საზრუნავი XIX საუკუნის 60-იანი წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად? (დრ. 1, საზ. 1)
- რომელი პოლიტიკური მოძრაობები და პარტიები ჩამოყალიბდა ქართულ საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს და როგორ დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? (საზ. 2, დრო 2)
- საბოლოოდ როგორ დამკვიდრდა იულიუსის კალენდარი XIX საუკუნის საქართველოში და მეცნიერთა ნაწილს რატომ სურდა გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლა? (დრ. 3.)

Don't copy

Don't copy

Don't copy